ანზორ ფეიქრიშვილი

ეგიპტიური ეკლესიები



გამომცემლობა
„საბჭოთა აჭარა“
19 ბათუმი 69

Г-2
893.962.1-1
Ზ-511

ამირან შერვაშიძის მოთხრობების წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. ავტორი სიყვარულით მოგვითხრობს როგორც გამოჩენილი მხედართმთავრის, რუსეთის პირველი სამამულო ომის გმირის, პეტრე ბაგრატიონის სასახელო საქმეებზე, ასევე აპარის თანამედროვე, უბრალო, მაგრამ შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანებზე, რომლებიც ახალ ცხოვრებას აშენებენ.

კრებულში შეტანილი ზოგიერთი ადრინდელი მოთხრობა ავტორის მიერ საგრძნობლად გადამუშავებულია.

7-3-3
28-აღგ.

ყიზლარიდან ბოროდინოამდე

ვუძღვნი მიკოლა ბაკანს

ავტორი

ყიზლარიდან ყიზლარამდე

* * *

იმ დღეს საშინელმა სიცხემ დააჭირა. მზე გავარვარებული ქვაბივით ადგა თავს ყიზლარსა და მის მიდამოს. ჰაერი შეიკუმშა, ხეებზე არც ერთი ფოთოლი არ ირხეოდა, ჰორიზონტი თანდათან მუქ ფერს იღებდა. მალე მზე ბურუსში გაეხვია და ქარიშხალი ამოვარდა. ცაზე ღრუბლები შავნაბდიანი მხედრებივით შემოიჭრნენ. სადღაც იელვა, მას გრუხუნი მოჰყვა და სულ მალე იქაურობა ჭექა-ქუხილმა გადააყრუა.

ახლად დაბადებული გულგრილად უსმენდა ციდან მოხეთქილ ჯოჯოხეთურ ხმაურს და ხმას არ იღებდა... მერე ხელები აასავსავა, თითქოს ცას ემუქრებაო, პაწაწინა მუშტები შემართა, პირი დააღო და თავისი ვერცხლივით წკრიალა ხმა ბუნების შემზარავ ხმაურს შეუერთა.

ბუნების მრისხანება როგორც დაიწყო, ისევე მოულოდნელად შეწყდა, მაგრამ იოანე ბაგრატიონის სახლში ისეთი ხმაური, ჟრიამული და სროლა ატყდა, რომ ყიზლარამდე ისმოდა. მალე ყიზლარშიც გავარდა ხმა — რუსეთის არმიის სეკუნდ-მაიორს იოანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს ვაჟიშვილი შეეძინაო.

ეს მოხდა 1765 წლის 6 ივლისს. ახლად დაბადებულს პეტრე დაარქვეს. მაგრამ იმ დღეს ქარიშხალი კი არა, ოდნავი ნიავიც არ ქროდა. არც ჭექა-ქუხილს გადაუყრუებია იქაურობა. პირიქით, თურმე ყიზლარში ზაფხულის ჩვეულებრივი

წყნარი და მზიანი დღე იდგა. ელვა, ჭექა-ქუხილი, ქარიშხალი ყიზლარელებმა მხოლოდ მაშინ მოივონეს და შეთხზეს, რაც პეტრე ბაგრატიონის გმირულმა სახელმა ჭექა-ქუხილივით გადაუარა ქვეყანას.

* * *

პეტრეს მამა, იოანე ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ძმის — იესეს პირდაპირი შთამომავალი, მისი შვილიშვილი იყო.

ისევე, როგორც მამამისი ალექსანდრე, იგი 1757 წლიდან ყიზლარში ცხოვრობდა.

ალექსანდრე რუსეთის სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის ჩინით გადადგა, იოანემ კი პოლკოვნიკობამდე მიაღწია.

პეტრე მაშინ დაიბადა, როცა მამამისი სეკუნდ-მაიორი იყო და იმავე წლის ბოლოს პოდპოლკოვნიკის ჩინიც მიიღო. მოკლე ხანში იოანეს ოჯახს კიდევ ორი ვაჟი ალექსანდრე და რევაზი (რომანი) შეეძინა. თუმცა იოანე ბაგრატიონი დიდი გვარის წარმომადგენელი იყო და საკმაოდ მაღალი საშნედრო ჩინიც ჰქონდა, მაინც ხელმოკლედ ცხოვრობდა. მაგრამ შვილების აღზრდისათვის ყველაფერი გააკეთა. იოანე ბაგრატიონის ოჯახი სავსე იყო ქართული ხელნაწერებით, თბილისში და რუსეთში გამოცემული ქართული წიგნებით. ოჯახის ყველა წევრმა კარგად იცოდა ქართული, რუსული, სპარსული და ფრანგული ენები.

როცა პეტრე წამოიზარდა, იგი მამას შეეკითხა, ქართველები ვართ და საქართველოში რისთვის არ ვცხოვრობთო. თუმცა ბევრჯერ მოუსმენია, თუ რა იყო მამისა და პაპის რუსეთში გადმოხვეწის მიზეზი, მაგრამ იგი მაინც ხშირად ეკითხებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ბავშვს აწუხებდა ისიც, რომ ესმოდა სამშობლოში არევ-დარევა და გარეშე მტრების თავდასხმებიაო. როცა პეტრეს თექვსმეტი წელი შეუსრულდა, მამამ დაბადების დღე დიდი ზეიმით გადაუხადა. ნაშუაღამევს სტუმრები გაისტუმრეს და იოანე ბაგრატიონის ოჯახის წევრები ის იყო დასაძინებლად ემზადებოდნენ, რომ ჭიშკართან ცხენოსანთა ხმაური მოისმა. მალე იოანეს მოახსენეს, ჩეჩნები გესტუმრნენო. მასპინძელს ძლიერ ესიამოვნა და ბრძანა ახა-

ლი სუფრა გაშალეთო. ჭიშკარი გაიღო და სტუმრებმა ცხენები ეზოში შემოაგელვეს. ჩეჩნები ხუთნი იყვნენ. ხუთივე არწივებს ჰგვანდნენ. მაგრამ მათში ყველაზე უფროსი, სამოც წელს მიღწეული მანსურ მაგომა თავისი ახალგაზრდული შემართებით, მოხდენილობითა და სიდარბაისლით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა.

მანსურ მაგომა განთქმული ნაიბი იყო ჩეჩნეთსა და მთელ დაღესტანში. მას, როგორც ბევრ ჩეჩენსა და ლეკს, ცოტა სიაძაგლე როდი ჰქონდა ჩადენილი კახეთსა და ქართლში, მაგრამ ბევრი მეგობარიც და ძმადნაფიციც ჰყავდა. მის კაცებს ხშირად მოჰქონდათ იოანე ბაგრატიონთან ქართლ-კახეთის ამბები. თუმცა რუსეთსა და ჩეჩნეთ-დაღესტანს შორის ომი იყო, მაგრამ მანსურ მაგომა არასოდეს არ ივიწყებდა იოანე ბაგრატიონს და, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ხშირად ნახულობდა თავის მეგობარს. იმ ღამით კი განსაკუთრებული მიზნით ეწვია მანსურ მაგომა იოანე ბაგრატიონის ოჯახს. ძვირფასი საჩუქარი იქვე ჩამოჰკიდეს პეტრე ბაგრატიონს.

— სახელოვანი მამის შვილს ჩამოვუტანე ეს საჩუქარი მისი დაბადების თექვსმეტი წლისთავის აღსანიშნავად. — სიყვარულით მიმართა მანსურ მაგომამ იოანე ბაგრატიონს და მერე კი პეტრეს მიუბრუნდა: — ეს ხმალი ყველაზე განოქმული ოსტატის ნახელავია... მას ბადალი არა ჰყავს მთელ დაღესტანში. ჩემი და მამაშენის მეგობრობის ნიშნად ატარე იგი და მაგ ხმლით კავკასიელთა მტრები აგეკუწოს!

მანსურ მაგომამ მხრებში ხელები წაავლო პეტრეს, ახლოს მიიზიდა და შუბლზე აკოცა, პეტრე კი ძვირფასი სტუმრის მკერდს ეამბორა. მასპინძელმა სანატრი და მუდამ სასურველი სტუმრები სუფრასთან მიიწვია. პეტრე კი ერთ ადგილზე იდგა გაოგნებული და საჩუქარს თვალს არ აშორებდა. უცებ მის თვალებში ცეცხლმა იელვა, ხმალი ქარქაშიდან ამოიღო, მის ბასრ პირს დააცქერდა, ჯერ მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე გასინჯა მისი ფხიანობა, მერე თავისი ხუპუპი თმიდან რამდენიმე ბალანი მოსწყვიტა და, როცა ისინი ხმლის ოღნავი შეხებით შუაზე გადასჭრა, აღტაცებისაგან კინაღამ შეჰყვირა. ხმლის სახელურს ამშვენებდა არაჩვეულებრივი ოსტატობით შესრულებული ძვლის, ვერცხლის და ოქროს მოჭედილო-

ბა. ასევე მშვენიერი იყო ქარქაშიც. ხმალი ქარქაშში ჩააგო, მარჯვენა ხელი სახელურს წაავლო, მარდად შეტრიალდა, თვალები დარბაზს მიაპყრო და სიყვარულით გახედა ივირფას სტუმრებს, რომლებიც უკვე სუფრას შემოსხდომოდნენ. პეტრეს გათენებამდე თვალი არ მოუხუჭავს: თავისი ოთახიდან სულგანაბული უსმენდა მამისა და მანსურ მაგომას საუბარს.

— და მაინც ვიტყვი, ჩემო ძვირფასო ყონაღო, — გულისწუხილით ამბობდა მანსურ მაგომა, — რომ ქართველები მცდარ გზას ადგიხართ. ერეკლეს უკვე აღარ ენდობიან. მას პატივს არ სცემენ არც სულთანი და არც შაჰინ-შაჰი... და ეს იმიტომ, რომ თავი არ დაანება რუსეთთან კავშირს. ჯერ კიდევ თქვენი პაპის, მეფე იესეს ძმამ, დიდებულმა მეფე ვახტანგმა იგემა რუსთა ერთგულების მწარე ნაყოფი, როცა იგი რუსეთის მეფისაგან მოტყუებული მარტოდმარტო აღმოჩნდა მტრის წინაშე. პეტრე პირველის ღალატი იყო იმის ძიზეზი, რომ ვახტანგმა ტახტი დაკარგა, თურქებმა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრო, თვითონ ვახტანგი კი თავისი დიდი ამალით საქართველოდან გადაიკარგა და რუსეთს შეეხიზნა. აი, რად დაუჯდა ვახტნაგ მეფეს რუსეთთან კავშირი... მიუხედავად ამისა, პეტრე პირველის მიერ მოტყუებულმა ისევ პეტრე პირველს მიაშურა. სად არის აქ მეფური თავმოყვარეობა ან გონიერება? ამის შემდეგ რაღა ფასი აქვს ერეკლეს ჯიუტობას? თქვენი მეფეები თვითონვე ლესავენ თქვენი ხალხის დასაკლავ დანას...

— თუმცა ჩემი ძვირფასი ყონაღი, ჩემი ძმადნაფიცი ხარ, მაგრამ მაგ სიტყვის გამო ჩემი გულისწყრომა რომ არ გამოვთქვა არ შემიძლია... — იოანეს ხმაში სიბრაზე იგრძნობოდა, მაგრამ მარჯვენა ხელი მაინც სიყვარულით დააღო მხარზე მანსურ მაგომას და ისე განაგრძო...

* * *

უკვე ექვსი თვე გავიდა, რაც პეტრე ბაგრატიონი მამიდას ესტუმრა პეტერბურგში და თითქმის ყოველდღე ნერვიულობდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში საწადელს ვერ ეწია. ანა ალექსანდრეს ასული ბაგრატიონი თვით რუსეთის კანცლერის ანდრია ბორისის ძე გოლიცინის მეუღლე იყო და სა-

სახლეში გავლენითა და პატივისცემით სარგებლობდა. პეტრეს თხოვნას იგი არასოდეს ივიწყებდა, მოსიყვარულე მამიდა მხოლოდ შესაფერ დროს უცდიდა, რათა ძმისწულის საწადელი კეთილად დაეგვირგვინებინა. ამ დრომაც ჰოაღწია. ერთ საღამოს გოლიცინის სახლს მეფის სასახლის კარეტა მოადგა — იმ დროს რუსეთში ყოვლისშემძლე უგვირგვინო მეფე გრიგოლ პოტიომკინი პეტრე ბაგრატიონს სასახლეში იბარებდა. ახალგაზრდა ქართველის არწივისებური იერი და სიტყვა-პასუხი ძლიერ მოეწონა პოტიომკინს და კმაყოფილებით გადახედა ანა ბაგრატიონს, რომელიც სიყვარულით უცქეროდა თავის ახოვან ძმისწულს. ერთი საათის შემდეგ თექვსმეტი წლის ქართველი ჭაბუკი რუსეთის არმიის კავკასიის მუშკეტერთა პოლკის სერჟანტის ჩინით დაბრუნდა სახლში. 1782 წლის თებერვლის სუსხიან დღეს პეტრე ბაგრატიონი ჩრდილოეთ კავკასიაში ჩავიდა და გამოცხადდა კავკასიის მუშკეტერთა მეორე პოლკში, რომელსაც პოლკოვნიკი პიერი მეთაურობდა.

1783 წელს ბაგრატიონმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ჩეჩნების წინააღმდეგ ომში და მამაცობისა და ვამჭრიახობის გამოჩენისათვის პრაპორჩიკის ჩინი მიენიჭა. ამ დროს პეტრე უკვე თვრამეტი წლისა იყო და სწორედ მაშინ გაიგო, რომ გეორგიევსკში ეკატერინე მეორის სახელით გენერალ-პორუჩიკმა პავლე პოტიომკინმა და მეფე ერეკლეს სახელით თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას.

პეტრეს გულს უკლავდა ჩეჩნების წინააღმდეგ ვაჩაღებული ომი და სისხლისღვრა. მას არ ავიწყდებოდა მანსურ მაგომას სიტყვები: „ამ ხმლით მხოლოდ კავკასიელთა მტრები აგეკუწოს“. სინამდვილეში კი ის ხმალი პეტრე ბაგრატიონმა კავკასიელ თანამოძმეთა — ჩეჩნებისა და დაღესტნელების წინააღმდეგ დაატრიალა და მათ წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, მაგრამ გულს იმით იკეთებდა, რომ მას, ქართველთა მოკავშირე რუსეთის არმიის მეომარს, სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. არ შეეძლო იმიტომ, რომ საქართველოს ხსნას მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდა და ამავე დროს გული მოსდიოდა ქართველებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებ-

ზე, ჩრდილო კავკასიის მთიელებზე, ყველა კავკასიელზე იმ კინკლაობის გამო, რომელსაც ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ საერთო ენა გამოენახათ და გადაულახავ კედლად აღმართულიყვნენ საერთო მტრების წინააღმდეგ. ზოგი მათგანი სპარსეთს შესცქეროდა, ზოგი — ოსმალეთს, ზოგი კი რუსეთს უხმობდა საშველად და ავიწყდებოდათ, რომ ასეთ შემთხვევაში მშველელის შველა შემდეგში უსაშველო ხაფანგად გადაიქცეოდა. პეტრე ბაგრატიონი ფიქრობდა: თუმცა გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით საქართველომ ბევრ რამეში დაუქვემდებარა თავი რუსეთის სახელმწიფოს, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ზოგიერთი უფლება. რუსეთთან კავშირი კი შეაძლებლობას მისცემს გაუმკლავდეს როგორც სპარსეთს, ისე ოსმალეთს და ჩრდილო კავკასიის მთიელთა განუწყვეტელ თავდასხმებს. ჰოდა, პეტრე ბაგრატიონს სწამდა: რუსეთის მხარეზე რომ იბრძოდა თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, ამით საქართველოს შველოდა.

იმ დროს, როგორც საქართველოს, ისე რუსეთის წინააღმდეგ განსაკუთრებით გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები ცნობილი ავანტიურისტის უშურმას მეთაურობით, რომელმაც თვითონ უწოდა თავისთავს შეიხი მანსური. იგი გაშმაგებით იბრძოდა ისლამის განმტკიცებისა და შარიათის კანონების დანერგვისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის. ამ მოძრაობამ განსაკუთრებული სიმძაფრით იჩინა თავი გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ. ჩრდილოეთიდან ლეკები და ჩეჩნები ესხმოდნენ ქართლსა და კახეთს, სამხრეთიდან სპარსელები გააქტიურდნენ. სამხრეთ-დასავლეთიდან კი ოსმალეთი იტაცებდა საქართველოს მიწებს.

ქართველები კი ვერა და ვერ შეკავშირდნენ ერთ მთლიან სახელმწიფოდ და განცალკევებით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ. შეიხი მანსური სულ უფრო და უფრო აღვივებდა კავკასიის მთიელთა სიძულვილს საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთი კავკასიაზე გაელენისათვის იბრძოდა, ოსმალეთი კი კავკასიელი მუსლიმანების სიხლით ცდილობდა თავისი

გავლენის განმტკიცებას კავკასიაში. 1783-1785 წლების ომს ჩრდილოეთ კავკასიაში უფრო პოზიციური ბრძოლების ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შეტევითი და ამიტომ არც ერთ მხარეს არ გაუმარჯვია. ყველა ამ ბრძოლაში პეტრე ბაგრატიონი აქტიურად მონაწილეობდა და პორუჩიკის ჩინი მიიღო.

ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა 1785 წლის გაზაფხულზე. ბრძოლა დაიწყო მზის ამოსვლისას და შუადღემდე გასტანა.

ორივე მხარეს აუნაზღაურებელი ზარალი მოუვიდა. პეტრე ბაგრატიონი თავისი რაზმით მუსრს ავლებდა მოწინააღმდეგეს. მოულოდნელად იგი ჩიხში მოემწყვდა. აღსასრული თითქოს შორს აღარ იყო. უცებ ბაგრატიონს გონება ვაუბრწყინდა, მკლავში ძალა მოემატა და ლეკების მიერ გამოპენდილი ჩეჩნური ხმალი ჩეჩენთა რისხვად აამოძრავა... სასტიკ ბრძოლაში პეტრემ მარჯვენა მკერდზე საშინელი ტკივილი იგრძნო, მერე ფეხები მოეკვეთა, თვალები დაუბნელდა და რუს მებრძოლთა გვამებს შორის დაეცა. მაგრამ პირზე ღიმილი არ ჩაქრობია და მკვდრებს შორის ისე იწვა, თითქოს სადაც არის ფეხზე წამოდგება და კვლავ შემართავს თავის ხმალს მტრების შესამუსრავადო.

დაღამდა.

მთებიდან სავსე მთვარე გამოჩნდა, თანდათან მაღლა აცოცდა და სხივები უხვად დააფრქვია ბრძოლის ველს. ჩეჩნებმა რუს მეომართა გვამების ძარცვა დაიწყეს, როცა პეტრე ბაგრატიონს მიადგნენ, მანსურ მაგომას ერთ-ერთმა მცველმა უმალვე იცნო ნაიბის გაჩუქებული ხმალი.

— ჰოი, უღირსო გიაურო! — შეჰყვირა მანსურ მაგომამ და ჯერ ხმალს დააცქერდა, მერე კი მიწაზე გაშოტილ პეტრე ბაგრატიონს და სახეზე ზიზღმა გადაურბინა.

მძიმედ დაჭრილი და გრძნობადაკარგული პეტრე ბაგრატიონი ჩეჩნებმა თავის ბანაკში წაიყვანეს და მანსურ მაგომას ბრძანებით სათუთად უვლიდნენ.

ერთი კვირის შემდეგ პეტრე ფეხზე წამოდგა და მანსურ მაგომას მიჰგვარეს. ახალგაზრდა ბაგრატიონი ამაყად და თამამად წარსდგა ჩეჩენი რაინდის წინაშე, მაგრამ როცა მის ხე-

ლში თავისი ხმალი დაინახა, გაწითლდა, ტანში ერუანტელმა დაუარა და თვალები ძირს დახარა.

— ეს ხმალი, — დინჯად დაიწყო მანსურ მაგომამ, — ღირსეული ქართველი ადამიანის შვილს მიართვეს ნიშნად სიყვარულისა, პატივისცემისა და იმ იმედით, რომ იგი ამით მხოლოდ კავკასიელთა მტრებს აკუწავდა, მაგრამ მან ნაჩუქარი ხმლით მშობლიური ხალხის თანამოძმეთა სისხლი დაღვარა. ამას კი ღალატი ჰქვია... დიახ, ღალატი!

— ღალატი... — დამარცვლით წარმოთქვა ბაგრატიონმა და დამცინავად გაიღიმა, — რატომ გავიწყდებათ, რომ ის, რაც თქვენთვის ერთგულებაა, სხვისთვის, ადვილი შესაძლებელია, ღალატზე უარესია?!.

— აღარ მიკვირს, რომ შენ რუსეთს ემსახურები, — ნაღვლიანად წამოიძახა მანსურ მაგომამ და ბაგრატიონს ზიზღით შეხედა.

— ცდებით, მე არავის მოსამსახურე არა ვარ... მე რუსეთის მეომარი ვარ... რაც შეეხება რუსეთს, იგი ამჟამად საქართველოს საფარი გახლავთ, საქართველო კი მისი ძმადნაფიცია.

— ეცადეთ, რომ ეგ საფარი შემდეგ ხაფანგად არ გადაიქცეს, ანდა ხუნდებად არ შეიცვალოს... — დამცინავად და ბრაზით წარმოთქვა მანსურ მაგომამ.

— შესაძლებელია, მაგრამ დღეს ერთადერთი სწორი გზა ეს არის, საქართველო კი ისეთი ქვეყანა არ გახლავთ, რომ სხვას ემონოს... იგი ბევრჯერ დაიპყრეს, მაგრამ ვერ დაიმონეს: ქართველებს რომ უკიჟინებთ, განა თქვენ თვითონ არა ხართ სხვა ქვეყნის სურვილების აღმსრულებელი? თანამემამულეთა სისხლს ღვრით კავკასიაში ოსმალეთის გასამარჯვებლად. და თუ მართლა გაიმარჯვა ოსმალეთმა, ჩეჩნეთი და დაღესტანი მათი სამფლობელო გახდება და... თქვენ რა? უცხოთა უღელი რომ დაიდგათ, ამისათვის სწირავთ თანამოძმეთა სისხლსა და სიცოცხლეს?

მანსურ მაგომამ მრისხანედ შეაწყვეტინა სიტყვა ბაგრატიონს:

— ოსმალეთი ჩვენთვის უცხო არ არის და ჩვენც ამიტომ...

ახლა თვითონ ბაგრატიონმა შეაწყვეტინა სიტყვა მანსურ მაგომას და ამაყად უპასუხა:

— რუსეთს რომ ვიცავ, ამით საქართველოს ვემსახურები და თუ დღეს ჩვენ რუსეთის მოკავშირეები ვართ, აქ გასაკვირი და დასაძრახი არაფერია...

— შენ გინდა, რომ ჩემი ქვეყანა რუსეთმა ჯიჯგნოს?! — დაიღრიალა მაგომამ და ბაგრატიონის ხმალი კინაღამ შუაზე გადატეხა.

— ეგ ხმალი, რომელიც ახლა თქვენი არის და რომელიც ოდესღაც მე მაჩუქეთ, რათა მხოლოდ კავკასიელთა მტრები ამეკუწა, ხედავთ, შუაზე მაინც ვერ გადატეხეთ, თუმცა სცადეთ... მოვა დრო და ჩვენი შთამომავლები თავის ძმობას უფრო მეტად განამტკიცებენ და ეგ ხმალი ჩვენი ხალხების ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო იქნება.

მანსურ მაგომა აღარ უსმენდა პეტრე ბაგრატიონის სიტყვებს. იგი თავჩაქინდრული დასცქეროდა ბაგრატიონის ხმალს და მწარედ ფიქრობდა.

* * *

ვინაიდან ყიზლარი შორს არ იყო, პეტრე ბაგრატიონი მამამისს მიჰგვარეს, ნიშნად მისდამი ღრმა პატივისცემისა და ამავე დროს ბოდიში მოიხადეს, რომ ოდესღაც ბაგრატიონისათვის მიძღვნილი ხმალი თან არ გაატანეს.

სამი წლის წინათ ყიზლარიდან წასული პეტრე ბაგრატიონი ისევ ყიზლარში მოხვდა, რათა იქიდან ხელმეორედ დაეწყო თავისი ცხოვრებისა და ბრძოლების დიდებული გზა.

მეგობრობის დასაწყისი

1786 წელს მხედართმთავარი ალექსანდრე სუვოროვი ბრძოლას აწარმოებდა ყუბანელების წინააღმდეგ მდინარე ყუბანის მარცხენა შენაკადის — ლაბას ნაპირზე, სადაც ჩერქეზებმა, ყარაჩაელებმა და უბიხებმა თურქთა ემისრების მეთაურობით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსთა ჯარების შეტევას. სუვოროვი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ დროზე ვერ გამოიცნო მტრის განზრახვა და ნაცვლად იმისა, რომ ისინი ტყვედ ჩაეგდო ხელში, ხელიდან უსხლტდებოდნენ და

შესაძლებელია, შემდეგში თვითონ გადმოსულიყვნენ შეტევაზე, მაგრამ ამ დროს სუვოროვის ყურადღება ლაბას მოპირდაპირე ნაპირზე გამართულმა ბრძოლამ მიიპყრო.

— საიდან? როგორ? — ფიქრობდა სუვოროვი. — ნუთუ გაღმა ნაპირზე ვინმე აღმოჩნდა ჩვენი მოკავშირე? ნუთუ მათი შემწეობით უნდა გამოსწორდეს თითქმის წაგებული ბრძოლის სასწორი?

ლაბას მოპირდაპირე ნაპირზე მტრის ბატარიები მოულოდნელად დადუმდნენ... ყუბანელთა მთელი ყურადღება იმ ნაპირზე გამართულმა ბრძოლამ მიიპყრო, მაგრამ გვიანღა იყო, ისინი ჯერ კიდევ გამოღმა ნაპირზე იყვნენ და სანამ ოავიანთი ცხენები მდინარეში შეაგელვეს ბატარიის გადასარჩენად, მათი ბატარია კვლავ ალაპარაკდა, მაგრამ ყუბანელთა ქვეითები რუსთა ჯარის განლაგების ნაცვლად თვითონ ყუბანელებს უშენდა. დივერსიული რაზმი, რომელსაც მეთაურობდა ოცდაერთი წლის პორუჩიკი პეტრე ბაგრატიონი, ყველასათვის მოულოდნელად აღმოჩნდა ლაბას მეორე ნაპირზე. იგი ელვისებური სისწრაფით დაესხა ყუბანელთა ბატარიას, ხელთ იგდო და მოექცა რა მოწინააღმდეგის ზურგში, ორ ცეცხლს შორის ჩააგდო მტრის ლაშქარი. იმ დღეს ბრძოლა რუსთა გამარჯვებით დამთავრდა და ამ ბრძოლის მთავარი გმირი იყო პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც სუვოროვმა მამობრივი გრძნობით მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება და იმ დღიდან ახალგაზრდა პეტრე ბაგრატიონსა და ხანშიშესულ მხედართმთავარს შორის ჩაისახა მამაშვილური სიყვარული, რომელიც შემდგომში უმწიკვლო, სანიმუშო და თავდადებულ მეგობრობად გადაიქცა.

პავლე პირველი

ეკატერინე მეორის საწოლ ოთახში ახალმა ფავორიტმა, უკვე მოხუცი იმპერატრიცას ახალმა საყვარელმა არაჩვეულებრივი სიჯიუტე გამოიჩინა.

ოცდაოთხი წლის ზუბოვმა, ეკატერინეს შვილიშვილის — ალექსანდრეს ტოლმა, იმპერატრიცას ლოგინში ნებივრობასთან ერთად სახელმწიფო საქმეებშიც მოინდომა ხელის ფათურა.

მიაღწია კიდეც...

„ყველა საქმეთა მინისტრი“ გრაფი ზუბოვი უკვე ვეღარ ითმენდა, თუმცა უკვე მოხუცის, მაგრამ ბევრის მნახველი და ყოვლისშემძლე კარისკაცის — ბეზბოროდკოს უკონტროლო პარპაშს სასახლეში.

დიდი ნდობით აღჭურვილი ეკატერინეს მდივანი, გრაფი ბეზბოროდკო, იმპერატრიცას ლოგინში ერთი ღამის ალერსის საფასურად მიღებული უფლებით უმოწყალოდ გადმოაყირავა ახალგაზრდა ზუბოვმა.

— ვაი, დროებავ! — ამბობდა გრაფი ბეზბოროდკო და ყველა საქმეს ჩამოშორებული მაინც ხშირად დადიოდა სასახლეში და იმედიანად ფიქრობდა: თუკი 1763 წელს, ოცდამეორე საყვარელი — სტანისლავ პონიატოვსკი ეკატერინემ პოლონეთის ტახტზე აიყვანა, რამდენიმე წლის შემდეგ ხომ იმავე მეფის ოქროს ტახტი პეტერბურგში გადმოატანინა და თავის საპირფარეშოში დაადგმევინა სულ სხვა საჭიროებისათვის... რატომ არ შეიძლება, რომ ზუბოვი, როგორც ეკატერინეს ყველა წინანდელი ფავორიტი, ახალმა შეცვალოს და კვლავ ამობრწყინდეს ჩემი ვარსკვლავიო... სულ სხვა გზით ამობრწყინდა.

ამბობენ: ადამიანი ისე მოკვდება, როგორი სიკეთილის ღირსიც არისო. ეს თუ ასეა — რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე თავის საპირფარეშოში გარდაიცვალა.

კატასტროფა 1796 წლის 5 ნოემბერს მოხდა.

იმ დღეს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა საპირფარეშოში შებრძანდა საჭირო საქმისათვის და იქ ჩვეულებრივზე მეტ ხანს დარჩა.

ეკატერინეს ახლობლები ძლიერ შეწუხდნენ იმის გამო, რომ მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ასე დიდხანს ინება საპირფარეშოში ყოფნა.

მართალია, ღვთის მიერ მირონცხებული ხელმწიფე იმპერატრიცა იქ პოლონეთის ოქროს ტახტზე იჯდა, მაგრამ მისთვის შეუფერებელ ადგილსამყოფელში ასე დიდხანს ყოფნამ ყველანი საგონებელში ჩააგდო.

ბოლოს, როცა მდგომარეობა უკვე საეჭვო შეიქმნა, გაბედეს და კარებზე დააკაკუნეს, მაგრამ პასუხი არ მოისმა.

საჭირო გახდა ჩაკეტილი კარების ძალით შემტვრევა, ასეც მოიქცნენ...

რუსეთის იმპერატორის ტახტის მფლობელი საპირფარეშოდ გადაკეთებული პოლონეთის ტახტიდან გადმოვარდნილიყო, საშინლად იკრუნჩხებოდა, დროგამოშვებით ისევ ინაბებოდა და ღონეგამოლეული სიკვდილს ებრძოდა... ეკატერინე პირზე დორბლმორეული და თვალებგადმოკარკლული მომაკვდავად სვნეშოდა და უგრძნობლად ეგდო. ხშირად პირს აღებდა, ეტყობოდა რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენაწართმეულს აღარაფრის თქმა აღარ შეეძლო, ეტყობოდა ეკატერინე ანდერძის თქმას ვეღარ მოახერხებდა. წერილობითი ანდერძი კი მხოლოდ ზუბოვმა და ბეზბოროდკომ იცოდნენ, 'მინაარსთან ერთად ისიც იცოდნენ, თუ სად ინახებოდა ეს ფრიად საინტერესო დოკუმენტი.

მომაკვდავი გვირგვინოსანი საპირფარეშოდან საწოლ ოთახში გადაიტანეს და მრავლისმომსწრე მრავალცოდვილიან საწოლზე დაასვენეს.

სანამ მისი უდიდებულესობა სულს განუტევებდა, ბეზბოროდკომ დრო იხელთა და ადვილად მოიპარა ეკატერინეს ანდერძი, რომლის ძალითაც რუსეთის სამეფოს ტახტზე ასვლის უფლება ეძლეოდა არა შვილს, არა პავლეს, არა პირდაპირ მემკვიდრეს, არამედ შვილიშვილს ალექსანდრეს, რომელზეც ეკატერინე ბავშვობიდანვე მზრუნველობდა და მემკვიდრედ ზრდიდა.

მოხუცი ბეზბოროდკო ახალგაზრდული ენერგიით სავსე გამოვიდა სასახლიდან და როგორც კი კარეტაში ჩაჯდა, მხოლოდ ერთი სიტყვა წამოიძახა: გატჩინა!

* * *

მოსაწყენ გატჩინის სასახლეში უფლისწული პავლე რომანოვი (თუ სალტიკოვი, თუ კიდევ ვინ, ღმერთმა უწყის... ეს მშობელმა დედამ, თვითონ ეკატერინე შეორემაც არ იცოდა კარგად) თავისი პატარა გვარდიით გართობის შემდეგ მთელი დღის განმავლობაში რამდენჯერმე გამხიარულდა, სადილის წინ მოიღუშა, ნასადილევს ძაღლსაც კი მოეფერა და ბაღში

ხეირნობისას თითქმის სრულებით უშიზეზოდ ისე განრისხდა, რომ დორბლებიც გადმოჰყარა.

გატჩინა თითქოს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო სახელმწიფოში.

აქ ჯერ კიდევ გამეფებამდე მეფედ გრძნობდა თავს პავლე პირველი... თავისი პატარა სამეფო კარით, თავისი პრუსიულ წესზე აღზრდილი გვარდიითა და დრაკონული კანონებით ფრიდრიხ მეორისდროინდელ პატარა პრუსიას მოგაგონებდათ გატჩინა, რომელიც ჯერ კიდევ 1783 წელს აჩუქა ეკატერინე მეორემ თავის მემკვიდრეს. მაგრამ შემდეგ არათუ მარტო დედასა და შვილს შორის, იმპერატრიცასა და უფლისწულს შორისაც კი თავი იჩინა უთანხმოებამ, რომელიც დროთა ვითარებაში სიძულვილით შეიცვალა.

გატჩინაში ყველაფერი, უბრალო წვრილმანიც კი, პრუსიულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და ვინც იქ მოხვდებოდა, თავს ფრიდრიხ მეორის მეფობის დროინდელ პოტსდამში გრძნობდა.

ცამეტ წელიწადში პავლემ თავისი პატარა გატჩინური არმია და ფლოტი შექმნა. პრუსიულ წესზე აღზრდილი პავლე პირველის გატჩინელი ჯარისკაცები საშინლად ჰგავდნენ იმ სათამაშო ჯარისკაცებს, რომლებიც გრაფმა როსტოპჩინმა ბერლინში კარტის თამაშში მოუგო ერთ პრუსიელ მაიორს და შემდეგ პავლეს აჩუქა.

სათამაშო მაგიდას პატარა სახელურები ჰქონდა, დაატრიალებდით სახელურს და თითქოს პოტსდამის პლაცზე არიანო, სათამაშო ჯარისკაცები მწყობრში დგებოდნენ, კიდევ დაატრიალებდით სახელურს და — ჯარისკაცები მარშით გაივლიდნენ... ერთი სიტყვით, მექანიკურად აკეთებდნენ ყველაფერს, რაც სახელურის გადატრიალებას უკავშირდებოდა.

უსულო, მექანიკური თოჯინები ძლიერ მოსწონდა პავლეს. ამიტომაც იყო სუვოროვთან საუბრის დროს რომ წამოიძახა: „ჯარისკაცები არტიკულივით გათვალისწინებული მექანიზმიაო“.

სუვოროვმა კი საპასუხოდ მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა: „ჯარისკაცი ადამიანია...“

ხოლო საბოლოოდ სამაგიერო მაშინ გადაუხადა სუვოროვმა, როცა პავლე პლაცზე საპარადოდ გამოყვანილი თავისი გვარდიის ჩვენებას დაპირდა.

— თქვენო უმაღლესობავ, — უთხრა სუვოროვმა, — ფრიად საინტერესოა, მაგრამ ძალიან მეჩქარება და არ შემიძლია თქვენი სათამაშოების ნახვა.

ჯერ მანამდე სძულდა პავლეს სუვოროვი, ამ დღიდან კი სავსებით შეიძულა. უფლისწულს მოსვენებას არ აძლევდა სურვილი, რომ თავისი გატჩინური წესი შეეტანა რუსეთის არმიაში და ამით სამუდამოდ დაეხშო პეტრე დიდის, რუმიანცევისა და სუვოროვის სამხედრო ტრადიციებზე აღზრდილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მოქმედების სისტემა და სულისკვეთება.

ეს დღეც დადგა.

პავლე ის-ის იყო ბაღში სეირნობიდან დაბრუნდა, როცა ბეზბოროდკო ქარიშხალივით მიიჭრა გატჩინის სასახლესთან.

უფლისწულთან მისვლის ყველა ცერემონიალის გავლის შემდეგ, საბერველივით აქლოშინებული გრაფი ხელში ეკატერინეს ანდერძით მუმიასავით იდგა პავლეს წინაშე და აკანკალებული ხმით ჰყვებოდა ზამთრის სასახლეში მომხდარ ამბავს.

გახარებული პავლე მადლობის ნიშნად ბეზბოროდკოს მოეხვია და აკოცა.

— შენი დამსახურება სათანადოდ დაფასდება, პირველთა შორის პირველი იქნები ჩემი იმპერიის ქვეშევრდომია რიცხვში... — ხმამაღლა წამოიძახა სიხარულისაგან აცახცახებულმა პავლემ. ერთხელ კიდევ მოეხვია ბეზბოროდკოს და ერთხელ კიდევ გადაიკითხა ანდერძი, რომელიც შემდეგ აგიზგიზებულ ბუხარში შეაგდო და ფერფლად აქცია.

ერთი საათის შემდეგ პავლე შავი ლრუბელივით მიჰქროდა პეტერბურგისაკენ და პირზე დორბლმორეული ხრინწიანი ხმით გაიძახოდა: „ძირს აკადემიები, უნივერსიტეტები, დამღუპველი განათლება და ლიბერალები. რუსეთს მხოლოდ სამხედრო დასახლებანი, ყაზარმები, ჯოხი და შპიცრუტენი სჭირდებაო“.

ასეც მოიქცა.

სულ მოკლე დროში იმპერატორმა პავლე პირველმა მთელი რუსეთი ჯოხისა და შპიცრუტენის ქვეშ დააყენა.

იმპერიის ქვეშევრდომთა ცხოვრება რეგლამენტირებულ იქნა. აიკრძალა ფრაკისა და მრგვალი შპალების ტარება, განსაკუთრებით სდევნიდნენ ფრანგული მოდის ტანსაცმელს და სავალდებულო გახდა პრუსიული ტანსაცმლის ტარება.

აკრძალეს საზღვარგარეთიდან ყოველგვარი ლიტერატურის შემოტანა. მიწერ-მოწერას კი სასტიკად ამოწმებდნენ.

პავლეს განსაკუთრებით აშინებდა რუსეთის ცაზე იაკობინელთა ვარსკვლავის გამოჩენა.

„თავისუფლება", „მოქალაქე", „სამშობლო" და სხვა მსგავსი სიტყვები სასტიკად აიკრძალა.

რუსეთში საფრანგეთის რევოლუციის იდეების შემოჭრის შიშით შეპყრობილმა იმპერატორმა საშინელი დესპოტიზმი დაამკვიდრა და მთელი რუსეთი ერთ დიდ ყაზარმად გადააქცია.

* * *

პავლე პირველი მეფედ ეკურთხა კვირა დღეს, 1797 წლის 5 აპრილს. პავლეს მეფედ კურთხევამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო.

ერთგულები იმპერატორმა ულუხვად დააჯილდოვა. მეფის წყალობით ათასობით მიიღეს ჩინები, ორდენები და ყმა ვლეხები. ყველაზე მეტი გრაფ ბეზბოროდკოს ხვდა... რუსეთის იმპერიის თავადობა მიიღო „მისი ბრწყინვალების" ტიტულით. ათი ათასი სული ორიოლის გუბერნიაში და სამი ათასი დესეტინა კარგმოსავლიანი მიწა ვორონეჟის გუბერნიაში გამოუკო იმპერატორმა პავლემ თავის ახალ ფავორიტს. ამასთან ბეზბოროდკოს კანცლერობა ეწყალობა. არაკჩევს ალექსანდრეს კავალრობა და ბარონის ტიტული ებოძა.

ულუხვობასთან ერთად პავლე პირველმა თავისი ღვარძლიც გაღმოანთხია. ყველა არათანამოაზრე ულმობლად დასაჯა და გააუბედურა.

პავლეს რეჟიმის სიმძიმე ყველაზე უფრო არმიას დაწვა, რომელიც რუსული სამხედრო მეცნიერების ტრადიციებ-

ზე იყო აღზრდილი და პავლე პირველის პრუსიულ სისტემას ეწინააღმდეგებოდა.

რუსეთის არმიაში პავლე პირველმა, უწინარეს ყოვლისა, ფელდმარშალი სუვოროვი ამოიჩემა.

იმ ხანად სუვოროვის ჯარი ტულჩინაში იდგა.

67 წლის ფელდმარშალმა, რომელმაც 50 წელიწადი არმიაში დაჰყო და საარაკო გამარჯვებებით დიდების შარავანდედით შეამკო რუსეთის უძლეველი იარაღი, ვეღარ გაუძლო იმპერატორ პავლეს ბინძური ხელის ფათურს არმიაში და იძულებული შეიქმნა თვითონ ეთხოვა გადადგომა, მაგრამ პავლემ მოასწრო და არმიიდან გაძევების ბრძანება გაუგზავნა.

იმპერატორის ასეთი რისხვა თვითონ სუვოროვის მიერ პავლეზე შეთხზულმა ლექსმა დააჩქარა. ეს ლექსი არაკჩევს ჩაუვარდა ხელში და ყოვლად ძლიერმა მედროვემ დიდი ამბით გააცნო იმპერატორს:

„შენ გვირგვინოსანი კი არა ხარ
დიდ პეტრეს სახელოვან ქალაქში,
მხოლოდ ბარბაროსი და კაპრალი ბრძანდები
სასახლის პლაცპარადზე“.

პავლეს ბრძანება საგანგებო ესტაფეტით გაგზავნილმა პოლკოვნიკმა ჩამოიტანა ტულჩინოში და დაუყოვნებლივ გადასცა სუვოროვს. მთელი არმია სულგანაბული ელოდა პავლეს ბრძანების შინაარსის გაგებას.

საყვარელი თანამებრძოლებით გარშემოხვეულ სუვოროვს კი პავლეს ბრძანება ხელში ეჭირა და ყველას გასაგონად კითხულობდა: „ვინაიდან ფელდმარშალი გრაფი სუვოროვი მის იმპერატორობით უდიდებულესობას არ...“

ბევრისმომსწრე მხედართმთავარს უცებ ხმა ჩაუწყდა, თვალებზე ბინდი გადაეფარა და კარგა ხანს ვერაფერი გაარკვია, ბოლოს, როგორც კი მხედველობა დაუბრუნდა, დამცინავი ღიმილით განაგრძო: „იმის გამო, რომ ომი არ არის და მას არავითარი საქმე აღარ აქვს, — თავხედობისათვის დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნას სამსახურიდან, რაც ცერემონიით გამოცხადდეს პაროლის დროს საგუშაგოს შეცვლისას“.

სუვოროვმა მოღიმარი თვალებით გადახედა თავის არწივებს და ბრძანების უკანასკნელი სიტყვები ზეპირად წარმოთქვა: „გაძევებულ იქნას უმუნდიროდ და უპენსიოდ“.

ირგვლივ აღშფოთების ყრუ გმინვა გაისმა.

— სუვოროვი რუსეთის არმიის დროშაა. თუ იმპერატორის ბრძანება შესრულდა, მაშინ ჩვენ თქვენთან ერთად დავტოვებთ არმიას, თქვენო ბრწყინვალებავ! — აღშფოთებით წამოიძახა ახალგაზრდა გენერალმა.

ეს იყო სუვოროვის ყველაზე უფრო საყვარელი მოწაფე და მეგობარი პეტრე ბაგრატიონი.

სუვოროვმა ბაგრატიონს მხრებში წაავლო ხელი და ნაღვლიანი თვალებითა და სიყვარულით გადახედა დანარჩენ თანამებრძოლებს.

— შვილებო, ჩემო მეგობრებო, რუსეთი უარმიოდ უპატრონო ეზო იქნება, არმია კი უთქვენოდ — უთავბოლო ბრბო. უჯარისკაცოდ ჩვენი ფასიც არარა არის, თქვენ საჭირო ხართ არმიისათვის, რუსეთისათვის, სამშობლოსათვის. მე კი უკვე მოვხუცდი და, ალბათ, დროა ჩემი ბებერი ძვლები დავასვენო.

ცოტა ხნის შემდეგ სუვოროვი ჯარს ეთხოვებოდა. სუვოროვის საარაკო დევგმირები, განსაკუთრებით ვეტერანები, თვალცრემლიანნი იდგნენ მწყობრში და გულდაწყვეტილნი უსმენდნენ საყვარელ მხედართმთავარს.

სუვოროვმა ფრთხილად მოიხსნა მკერდიდან ორდენები. და მის წინ მდგომ ორკესტრის დოლზე დაალაგა. შემდეგ ჯარისკაცებს გადახედა და აღელვებული ხმით მიმართა:

— თქვენთან ერთად დავიმსახურე — თქვენვე გიტოვებთ! სუვოროვი დიდია მაშინ, როცა თქვენთან ერთად არის, უთქვენოდ კი იგი ძლიერ პატარაა!

— თქვენო ბრწყინვალებავ... ჩვენო მამავ, ნუ მიგვატოვებთ, — ერთხმად გაჰყვიროდნენ გულდათუთქული ჯარისკაცები და ბევრ მათგანს ცრემლები უნამავდა თვალებს.

* * *

იმპერატორმა პავლემ თავისი სახელის განსადიდებლად სისასტიკესთან ერთად თითქოს ერთგვარი გულკეთილობაც გამოიჩინა.

მან მოულოდნელად გაათავისუფლა ნოვიკოვი შლისელ-ბურგის ციხიდან, ციმბირიდან რადიშჩევი დააბრუნა, პოლონელ ტყვეებსა და მათ შორის სახელგანთქმულ პოლონელ პატრიოტს კოსტიუშკოს თავისუფლება დაუბრუნა და მისივე თხოვნით საკუთარი ნარჯით გაისტუმრა ამერიკაში.

სტანისლავ პონიატოვსკიც შეიწყნარა და ასეთი საქმეებით გაამაყებულმა, თვითკმაყოფილებით აღსავსემ ისედაც აბზეკილი ცხვირი საშინლად აბზიკა და ცა ქუდად აღარ ეჩვენებოდა, ხოლო დედამიწა — ქალამნად.

ამასთან ერთად იმპერატორმა პავლემ მოულოდნელად შეწყვიტა ომი სპარსეთთან, რომლის წინააღმდეგ ქართველებთან ერთად მოქმედი რუსეთის ჯარის ნაწილები უკან გამოითხოვა და თავის მფარველობაში მყოფსა და მოკავშირე აღმოსავლეთ საქართველოს ზურგში ლახვარი ჩასცა.

ამან ძლიერ იმოქმედა რუსეთში მყოფ ქართველებზე, განსაკუთრებით რუსეთის არმიაში შესულ ქართველ მხედრობაზე, რომლებიც მუდამ მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის მტერთა წინააღმდეგ რუსი მხედრობის მხარდამხარ.

მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი და სახელმოხვეჭილი ქართველი მხედრები, განსაკუთრებით პეტრე ბაგრატიონი, ძმები იაშვილები, პავლე ციციშვილი და ძმები გრუზინოვები (ნამჩევაძეები) იმპერატორ პავლეს გადაწყვეტილებამ უსაზღვროდ აღაშფოთა.

მათ ბრძოლებში დაღვრილი სისხლით დაამტკიცეს ერთგულება რუსეთისადმი, რომელიც მოკავშირედ და მეგობრად მიაჩნდათ საერთო მტრების წინააღმდეგ, განსაკუთრებით საქართველოს დაუძინებელი მტრების — თურქი და სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ.. და აი, მოკავშირემ სრულებით მოულოდნელად მიატოვა ქართველები სპარსელთა ურდოების წინაშე.

ქართველ მეომრებს კარგად ესმოდათ, რომ პავლე პირველი არ გამოხატავდა რუსეთის პროგრესული საზოგადოების აზრსა და ნებისყოფას და ამიტომაც კვლავ რუსეთის ერთგულ პატრიოტებად დარჩნენ. პავლეს კი მტრობა გამოუცხადეს. ეს მტრობა და სიძულვილი პავლესადმი ქართველ მხედრებს ჯერ კიდევ ეკატერინე მეორეს დროს ჰქონდათ გულში.

არც თვითონ ეკატერინე იყო დაზღვეული მათი მტრული ზრახვებისაგან, ვინაიდან ისინი იმ პროგრესულ რუს ოფიცერთა რიცხვს ეკუთვნოდნენ, რომლებიც არსებული წყობილების უკმაყოფილონი იყვნენ და აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

კონჩანსკოე

მეფის მიერ შერისხული და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი 68 წლის სუვოროვი თავის მამულში სოფელ კონჩანსკოეში ატარებდა ცხოვრების უკანასკნელი წლების უფერულ დღეებს.

თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა და მთელი დღეების განმავლობაში კონჩანსკოელ გლეხებთან და აქ დასახლებულ სუვოროვის არმიის ძველ ინვალიდ ვეტერანებთან ერთად სოფლის ცხოვრების ჭირვარამითა და საქმიანობით ერთობოდა.

საღამოობითა, და ხშირად მთელი დღეების განმავლობაშიც კი, თავის შესანიშნავ „გამარჯვების მეცნიერებას“ წერდა.

პოეტი და მწერალი, ფილოსოფოსი და დიპლომატი, სამხედრო ხელმძღვანელი და უძლეველი მხედართმთავარი სუვოროვი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ძველ და ახალ ლიტერატურას, ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფორტიფიკაციას და სამხედრო-საზღვაო მეცნიერებას. მან სრულყოფილად იცოდა იტალიური, ფრანგული, გერმანული, სპარსული, პოლონური, ფინური და თურქული ენები და ამიტომაც იყო, რომ მთელ ღამეებს ათენებდა ამ ენებზე დაწერილი სხვადასხვა წიგნების კითხვით.

იგი უდიდესი სულიერი კულტურის ადამიანი იყო და ხშირად ლექსებსაც წერდა. იგი მარსს ემსახურებოდა, მაგრამ მუდამ იყო აპოლონის მსახურიც, თუმცა თვითონ სუვოროვი მეტად კრიტიკულად ეკიდებოდა თაკის პოეტურ ნიჭს. „ჭეშმარიტ პოეზიას შთაგონება შობს, — ამბობდა იგი, — მე კი უბრალოდ ვაწყობ რითმებსო“.

სპეციალურად მიჩენილი პირები ხშირად ხვერავდნენ და ამოწმებდნენ სუვოროვის ყოველ ნაბიჯსა და საქმიანობას.

მათ კარგად იცნობდნენ სუვოროვის თაყვანისმცემლები და როგორც კი რომელიმე მათგანი სუვოროვის სახლთან გამოჩნდებოდა, განგაში ატყდებოდა ხოლმე. ჯაშუშებს გასაქანს არ აძლევდნენ კონჩანსკოელი გლეხები და ინვალიდი ვეტერანები.

ერთხელ, ღამით, სუვოროვის სახლის წინ, ეზოში საშინელი ხმაური ატყდა. როგორც კი ხმაური მოესმა, სუვოროვმა თავი მიანება წიგნის კითხვას და თვალები კარებს მიაპყრო.

კარები გაიღო და ოთახში გლეხებისა და ინვალიდი ვეტერანების მთელი ჯგუფი შემოიჭრა, თან ძონძებში გახვეული ვიღაც მაწანწალა შემოათრიეს. სუვოროვი გაკვირვებული დააცქერდა მაწანწალას და შემდეგ გლეხებისა და ინვალიდების ჯგუფს გადახედა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, — დაიწყო ერთ-ერთმა ინვალიდმა, — ეს მაწანწალა ქურდულად შემოიპარა ეზოში და როცა თქვენს ფანჯარას მიუახლოვდა, ხელი ვტაცეთ და თქვენთან მოვაბრძანეთ.

— ვინ ხარ? — აუღელვებლად შეეკითხა სუვოროვი მაწანწალას, რომელმაც პასუხის ნაცვლად რაღაც ჩაიბურდღუნა.

— ვინ ხარ-მეთქი?

ახლა უკვე ხმამაღლა შეეკითხა გულმოსული სუვოროვი.

მაწანწალამ ხელები გაითავისუფლა, ძონძები შემოიძრო, სახიდან საბურავი შემოიხსნა და სუვოროვის წინაშე წარსდგა. საშუალო ტანის, მაგრამ კოხტად ჩამოსხმული და ვაჟკაცური შესახედაობის პეტრე ბაგრატიონი.

ასეთი მოულოდნელი შეხვედრით გაკვირვებულმა სუვოროვმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, ხელები გაშალა და შემდეგ ქორივით მივარდა თავის საყვარელ გმირს, მკერდზე მიიკრა და ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა.

— პეტრე, ჩემო ძვირფასო თავადო პეტრე, ნუთუ ეს შენა ხარ?! — ჩურჩულებდა თვალცრემლიანი სუვოროვი და სიყვარულით ეალერსებოდა თავის ერთგულ მეგობარს.

* * *

უკვე შუაღამეს გადასული იყო.
მამლებმა მეორეჯერ იყივლეს.

პატარა მაგიდასთან მსხდომნი სუვოროვი და ბაგრატიონი ბაასით იყვნენ გატაცებულნი.

ნამგზავრსა და დამშეულ ბაგრატიონს სუვოროვი ზედიზედ აწვდიდა კერძებს და თან გულდასმით და დიდი ინტერესით უსმენდა.

— არმიაში თქვენი თაყვანისმცემლების უკმაყოფილება კვლავინდებურად გრძელდება, — უამბობდა ბაგრატიონი, — ურჩობისათვის ბევრი მათგანი სასტიკად დასჯა პავლემ. ამჟამად არმიაში და პეტერბურგის საზოგადოების ზედა ფენებში სამი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებაა, მაგრამ ყველა ისინი უკმაყოფილოთა ერთ ბანაკს შეადგენს. ესენი არიან პირველ ყოვლისა რესპუბლიკური მმართველობის მომხრენი, შემდეგ კონსტიტუციონალისტები, რომლებიც რუსეთის მონარქიის რეორგანიზაციას და თვითმპყრობელობის შეზღუდვას მოითხოვენ და, ბოლოს, აბსოლუტური მონარქიის მომხრენი, რომლებიც მხოლოდ პავლეს შეცვლისათვის იბრძვიან. ისედაც ეჭვიანი და სულით ავადმყოფი პავლე გაცოფებამდე არის მისული და ვაი, მის ტყავს, ვინც ხელში ჩაუვარდება. საკმარისია ოდნავი ეჭვის მიტანა და — მშვიდობით თავისუფლებავ! ასობით და ათასობით რუსეთის საუკეთესო შვილები ციმბირში გაასახლა და ბევრი მათგანი შლისელბურგის ციხეში ჩაყარა. ამას წინათ მთელი პეტერბურგი შეაშრწუნა ჩვენი სასიქადულო გმირის — ევგრაფ გრუზინოვისა და მისი სახელოვანი ძმის პეტრე გრუზინოვისადმი პავლეს მიერ გამოჩენილმა სისასტიკემ. ევგრაფი დააპატიმრა და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ ჩერკასკში გადაასახლა, პეტრე ჯერ ციხეში ჩაკეტა, შემდეგ კი ისიც ჩერკასკში გაისტუმრა. მეფის ადიუტანტებს რომ არ მოესწროთ, პეტრე ალბათ ნაკუწებად აქცევდა ხელმწიფე იმპერატორს.

ეს ამბავი ასე მოხდა: იმპერატორის ბრძანებით პეტრე სასახლეში გამოცხადდა. შეხვედრისთანავე პავლემ მას ბრისხანე და დამცინავი ტონით მიმართა.

— ბატონო პოდპოლკოვნიკო, იაკობინელთა სული უდის თქვენს ბინძურ მოქმედებას იმპერატორის წინააღმდეგ. თქვენ სასტიკი სასჯელი დაიმსახურეთ. მე ვბრძანებ მათრახებით

გცემონ და შემდეგ კი ჩერკასკში გაგაძევონ ცხენებისათვის კუდების ასაბმელად.

— თქვენ ალბათ შეიშალეთ, იმპერატორო! — ხმამაღლა წამოიძახა აღშფოთებულმა პეტრე გრუზინოვმა.

— დამაცა, მე შენ მუხლებზე დაგაჩოქებ, არამზადავ! — იღრიალა პავლემ და მრისხანედ სავსე თვალები მიანათა პეტრე გრუზინოვს, მაგრამ იგი არ დაიბნა და გამანადგურებელი პასუხი გასცა იმპერატორს.

— იქნებ პეტრე გრუზინოვი გატჩინელი გვარდიელი გგონიათ. ცდებით იმპერატორო! თქვენ ვერასოდეს ვერ ეღირსებით ცხენების კუდები აბმევინოთ იმას, ვინაც რიმნიკის ბრძოლაში სულეიმან ფაშას კვერთხი წაართვა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თქვენ თავს ირთობდით გატჩინაში გვარდიის ჯამბაზობით და თაყვანს სცემდით პრუსიელებს, მე, ქართველი კაცი, სისხლს ვღვრიდი რუსეთისათვის და იარაღშემართული ვესხმოდი მტერს ოჩაკოვისათვის ბრძოლაში, რისთვისაც რუსეთმა სიყვარულით დამაჯილდოვა.

— იმპერატორის მიერ ნაბოძებმა ჯილდოებმა გაგაამაყა და გაგათავხედა, ახლავე ააგლიჯეთ ამ არამზადას მკერდიდან ჯვრები და ორდენები და სახეში მიაყარეთ, — ისტერიულად შეჰყვირა გააფთრებულმა პავლემ.

— ეს ჯილდოები მე მომცა მადლიერმა რუსეთმა და არა შენ, იმპერატორო! — ამაყად უპასუხა პეტრე გრუზინოვმა.

— ახლავე შეჰკარით! — ახლა უკვე ხრინწიანი ხმით იჩხავლა პავლემ, მაგრამ პეტრე გრუზინოვმა ხმალი იშიშვლა და, ალბათ, მეფის სისხლსაც დაღვრიდა, რომ დროზე არ მოესწროთ და ხელები არ შეეკრათ მისთვის.

ბაგრატიონის ნაამბობით აღტაცებული სუვოროვი ახალგაზრდული სიმარდით წამოხტა ადგილიდან, შემდეგ კი სიცილი აუტყდა და აღტაცებით წამოიძახა:

— ყოჩაღ, ჩემო გაზრდილო არწივო... ვაშა პეტრე გრუზინოვს!

სუვოროვი უცებ დადუმდა, მერე ზანტად წამოვიდა, ბაგრატიონის გვერდით ჩამოჯდა და სერიოზული ტონით დაიწყო:

— იმპერატორი, როგორც ეტყობა, ბედისწერას აუტანია,

ცუდად და ძალიან ადრე დაამთავრებს მეფობას და შესაძლებელია სიცოცხლესაც.

სუვოროვმა და ბაგრატიონმა კიდევ დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს, ნამგზავრსა და დაღლილ ბაგრატიონს ძილი მოეკიდა და სუვოროვმა თვითონ დაუგო ლოგინი ძვირფასს სტუმარს.

ბაგრატიონს დაწოლისთანავე ჩაეძინა.

სუვოროვი კი დიდხანს ფხიზლობდა. ათასმა ფიქრმა გაუარა თავში:

„რატომ, რისთვის იბრძვის ასე თავგამოდებით რუსეთის საკეთილდღეოდ ქართველი ბაგრატიონი?!"

„რისთვის სწირავენ თავს რუსეთისათვის გრუზინოვები, იაშვილები და სხვები?!".

პასუხად საკუთარი თავი გაიხსენა... სუვოროვის პაპა — სუვორა ხომ შვეციიდან გადმოსახლდა რუსეთში და რუსეთის მეფის სამსახურში სუვოროვის გვარით შევიდა. დღეს კი მისი შვილიშვილი ალექსანდრე სუვოროვი რუსეთის სახელოვანი არმიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი გახლავთ და მისი სახელი განსაკუთრებული ელვარებით აკიაფდა რუსი ხალხის დიდებულ ადამიანთა პლეადაში.

წარმოშობით შვედი რუსეთის უდიდესი პატრიოტი გახდა და რაღა საკვირველი იყო, მით უმეტეს, ქართველ ადამიანთა რუსული პატრიოტიზმი? ამიტომაც აღარ უკვირდა სუვოროვს ბაგრატიონის განუსაზღვრელი სიყვარული რუსეთისადმი, რომლის ბედს ნებაყოფლობით დაუკავშირა თავისი ბედი ბაგრატიონის მშობლიურმა ქართველმა ხალხმა, როგორც მოკავშირემ.

სუვოროვი ფეხაკრეფით, ფრთხილად მივიდა მძინარე ბაგრატიონთან, მშობლიური მზრუნველობით დაახურა გადამძვრალი საბანი, დიდხანს უცქერდა საყვარელი მოწაფის ვაჟკაცური სახის ნაკვთებს, შემდეგ მამობრივი სიყვარულით გადაუსვა ხელი კუპრივით შავსა და ხუჭუჭ თმაზე და ისევ ფეხაკრეფით დაუბრუნდა თავის ლოგინს.

* * *

საფრანგეთის რევოლუციის ლოზუნგი თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა — ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა გენერალმა ნაპოლეონმა სრულებით დაივიწყა...

მსოფლიო ბატონობის იდეით გატაცებულმა რევოლუციის შეზღუდვასთან ერთად ახალი მიწების მიტაცებას მიჰყო ხელი.

მან ზედიზედ დაიპყრო ბევრი ქვეყანა როგორც ევროპაში, ისე აფრიკაში. საფრანგეთის საზღვრები ძლიერ ფართოვდებოდა. საჭირო შეიქმნა ფრანგული იარაღის გამარჯვებათა შეზღუდვა და ევროპაში პოლიტიკური წონასწორობისა და მყარი მშვიდობის დასამყარებლად საფრანგეთის დაბრუნება თავის ყოფილ საზღვრებში. საამისოდ ინგლისმა მშვენივრად გამოიყენა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ჩამოვარდნილი დაძაბული მდგომარეობა ანტიფრანგულ კოალიციაში რუსეთის ჩათრევის მიზნით.

ინგლისთან და რუსეთთან ერთად მოკავშირეთა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ავსტრიამ, ოსმალეთმა და ნეაპოლმა.

საჭირო შეიქმნა რუსეთ-ავსტრიის გაერთიანებული სამხედრო ძალების მთავარსარდლის დანიშვნა.

ინგლისის მთავრობის მეთაურის პიტის წინადადებით სუვოროვის კანდიდატურა წამოაყენეს, რომელსაც ავსტრიელებმაც დაუჭირეს მხარი და თხოვნით მიმართეს იმპერატორ პავლეს სუვოროვის დანიშვნის შესახებ.

პავლე პირველმა სიამოვნებით მიიღო მის მიერ მოძულებული მხედართმთავრის, მაგრამ მისივე იმპერიის ქვეშევრდომის მთავარსარდლად დანიშვნის წინადადება.

— აი, როგორი ვართ... ჩვენ ყოველთვის ვჭირდებით! — სიამაყით წამოიძახა პავლემ და სასწრაფოდ გამოიძახა სუვოროვი გადასახლებიდან.

პავლემ არაჩვეულებრივი პატივისცემით მიიღო სუვოროვი.

— ისე იომე, როგორც გსურს და როგორც შენ შეგიძლია! — დაყვავებით უთხრა პავლემ სუვოროვს და გზა გამარჯვებისა უსურვა.

შვეიცარიაში

მეთვრამეტე საუკუნის დასრულებას სამი თვე აკლდა. სექტემბრის მიწურულს შვეიცარიის ალპებში არწივები უცხო სანახაობას შეესწრნენ... მაღალი მთის მწვერვალების ყინულოვან რკალში მომწყვდეულ კარავთან ცეცხლი ენთო. ღრმად ჩაფიქრებულ სარდალს ავსტრიისა და რუსეთის ოფიცრები შემოხვეოდნენ. სუვოროვის წინ გამოჭიმული შიკრიკი, რომელსაც ცხადად ეტყობოდა ხანგრძლივი მგზავრობა, ცუდ ამბავს ჰყვებოდა. ფიქრებში გართულ სუვოროვს თავი ჩაექიხდრა და ისე ეწვოდა გული, თითქოს იგი ამ მოგიზგიზე კოცონზე იდო.

— შემდეგ? — იკითხა სუვოროვმა.

— გოტცე და რიმსკი-კორსაკოვი ერთსა და იმავე დღეს დაამარცხეს ფრანგებმა.

სუვოროვს თითქოს არც გაუგონია გოტცეს სახელი.

— სად დაამარცხეს კორსაკოვი? — იკითხა მან.

— ციურიხის ახლოს, — უპასუხა შიკრიკმა.

— გოტცე?

— მდინარე ლინტის დაბლობში... ავსტრიელები უწესრიგოდ გაიქცნენ, გოტცე მოჰკლეს.

— გოტცე მოჰკლეს! — გაიმეორა სუვოროვმა გაუკვირვებლად, მას მხოლოდ რიმსკი-კორსაკოვის ბედი უკვირდა და აწუხებდა.

— გოტცე! ჰო, ისინი უკვე შეეჩვივნენ, მათ მუდამ ურტყამდნენ... მაგრამ კორსაკოვი, კორსაკოვი! — ჩუმად ჩაილაპარაკა სუვოროვმა და კვლავ კოცონს მიაცქერდა.

* * *

რამდენიმე წუთის შემდეგ მოხუცი სუვოროვი ჭასავით ხანშესულ, თეთრწვერა შვეიცარიელ გამყოლს ესაუბრებოდა.

— მოხუცო, არის თუ არა რაიმე გზა მატენტალიდან?

— მხოლოდ ერთი, გლარისზე გავლით და იქ ახლა ფრანგები დგანან, — უპასუხა შვეიცარიელმა.

— სამხრეთისაკენ, რაინის დაბლობში?

— პანიქსის მწვერვალის გარდა სხვა გზა არ არის, მაგრამ შემოდგომაზე პანიქსი გაუვალია.

— ბილიკები?

— არც ბილიკები გახლავთ, თქვენო ბრწყინვალეობავ!

— რაიმე საცალფეხო გზა დაბლობისაკენ?

— არც საცალფეხო გზა არის, ბატონო ფელდმარშალო!

სუვოროვმა წარბი შეიჭმუხნა, სწრაფად წამოდგა და მოხუც გამყოლს ბრძანების კილოთი უთხრა:

— გაგვიძეხ, მოხუცო!

თვალებდახრილმა მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— როგორ, უარი? — წამოიძახა გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა სუვოროვმა, — მაშ, შენ ბრუტოსი ყოფილხარ? აახ, მოხუცო, მე ამ მაღალ მთებს შორის გაზრდილი არწივი მეგონე. შენ კი უსახელოდ მოკლულის ლეშზე ამაყად წამომჯდარი ყორანი ყოფილხარ. შეგიძლია საკუთარ გზას გაუდგე, აღარ გვჭირდები.

მოხუცი სირცხვილით იწვოდა, მას ქვეყანა იცნობდა როგორც გამბედავ და საუცხოო ალპინისტს, მიუვალ მთებში გზის პირველ მაჩვენებელს. უხერხულად გრძნობდა თავს, უფრო მეტიც — შეურაცხყოფილად. იმიტომ არ დათანხმდა, რომ ჩინებულად იცოდა, წელიწადის ასეთ დროს ფათერაკებით სავსე ამ ადგილებს ვერავინ გაივლიდა.

— წადი, აღარ გვჭირდები, ჩვენ რუსები ვართ, ყველგან გავალთ!

სუვოროვი ახალგაზრდული სიმკვირცხლით შემოტრიალდა და იმედიანად წამოიძახა:

— სად არის ჩემი ბაგრატიონი?.. თავადი პეტრე!

ყველამ კუთხეში მიგდებულ ნაბდისაკენ მიიხედა. სუვოროვის დაძახილზე ნაბადი შეირხა, ნაბდიდან ჯერ თმახუჭუჭა თავი გამოჩნდა, შემდეგ მთელი თავისი სიდიადით, ორდენებით მკერდმოსილი ვაჟკაცი წამოდგა. ეს იყო ახალგაზრდა გენერალი, სუვოროვის მეწინავე ჯარების მამაცი მეთაური, სახელოვანი პეტრე ბაგრატიონი.

— არწივო, ჩვენ ახლა მთებში ვართ. მითხარი, რა ვიღონოთ? შვეიცარიიდან წავიდეთ — შეუძლებელია, ფრანგებს სამოცი ათასი მეომარი ჰყავთ, ჩვენ კი ოცი ათასიც არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, უსურსათოდ ვართ, უარტილერიოდ... — იმბობდა და ისე უცქეროდა ახალგაზრდა გენერალს, თითქოს მის თვალებში უნდოდა ამოეკითხა, როგორ შთაბეჭდილებას ტო-

ვებს ჩემი სიტყვებიო, — დახმარება არსაიდან ჩანს, — გაბაგრძო სუვოროვმა, — დაღუპვის პირას ვართ. მხოლოდ ერთი იმედიღა დაგვრჩენია: ღმერთი და ჩვენი მეომრების სიმამაცე და თავგანწირვა!..

— თქვენო ბრწყინვალებავ! აქ შეკრებილ რუსეთის ოფიცერთა და ჯარისკაცთა სახელით საზეიმოდ გარწმუნებთ ღა პირობას ვდებ, რომ ჩვენი ჯარები მზად არიან უყოყმანოდ წავიდნენ ყველგან, საითაც მათ მისი დიდი მხედართმთავარი წაიყვანს. ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი წინააღმდეგობა და დაბრკოლება, ყველაფერს გადავლახავთ!

გახარებულმა სუვოროვმა მხნედ და ახალგაზრდულად დაუდასტურა:

— დიახ, ჩვენ ყველა დაბრკოლებას გადავლახავთ! სადაც ირემი გაივლის, იქ რუსი ჯარისკაცებიც გაივლიან, სადაც ირემი ვერ გაივლის, იქ რუსი ჯარისკაცები მაინც გაივლიან!

გადაეხვია და გადაკოცნა მოხუცმა სუვოროვმა ახალგაზრდა ბაგრატიონი.

— შენ კი არ გეამბორები, მადლიერ სამშობლოს ვცემ თაყვანს, რომელმაც მოგვცა სასახელო შვილი, საქვეყნოდ სადიდებელი, — სუვოროვმა წამოსასხამი გადაიწია და ხმალი მოიხსნა — თვით იმპერატორ ეკატერინესაგან მივიღე, თავადო პეტრე, მთლად ოქროსია, ვადა ალმასებითაა მოჭედილი. — ხმალს ეამბორა და შემდეგ ბაგრატიონს გაუწოდა სახემწიანმა, — მიიღე საჩუქრად, შენს გარდა მისი ტარების ღირსს ვერავის ვხედავ.

გრძნობამორეულმა ბაგრატიონმა მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოახერხა:

— ალექსანდრე ვასილევიჩ! — ხმალი მოწიწებით მიიღო და ვადაზე აკოცა.

— ძვირფასო, შენზეა მთელი იმედი! — უთხრა სუვოროვმა, — წინ ყინვა, უფსკრულები, ბევრი ტანჯვა-წვალება და დაბრკოლებაა, მაგრამ ტანჯვა აკაჟებს ადამიანს, მახვილი ცეცხლში იწრთობა. თავადო, უნდა გაიჭრა და გზა გაგვიკაფო.

ბაგრატიონმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ნაპრალს წაადგა. ქვევით შვეიცარიის ალპების ლამაზი სანახაობა გა-

დაიშალა, ცას თითქოს ცეცხლი წაუკიდესო... მზე ამოდიოდა .. ხევებში სიბნელე თანდათან იფანტებოდა და მდინარეებს სიცოცხლის ელფერი ემატებოდა. ნაპრალზე კლდესავით აღმართულ ბაგრატიონს საქართველო მოაგონდა. სუვოროვის ხმალი შემართა და მზის სხივებზე ააელვარა.

ბაგრატიონმა ფიცი დადო:

— ამომავალი მზის წინაშე ხელთ მიჭირავს რუსეთის სინდისი, მისი დიდება და ვფიცავ, არ შევარცხვინო იგი! ვფიცავ, რუსეთის მეომრის უჭკნობი სახელით შევამკო ჩემი საყვარელი სამშობლოს ეს სიამაყე!

ბაგრატიონი და სუვოროვი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ფელდმარშალმა გამარჯვება უსურვა საყვარელ გენერელსა და მეგობარს.

— არწივო, შენთვის უცხო არ არის მაღალი მთების სიმკაცრე და დაბრკოლება. საჭიროა უძლეველი დაძლიო და ყველაფერი შენებური ვაჟკაცობით გადალახო. გასწი, მეგობარო, გზა დამილოცავს, მშვიდობით!

სუვოროვი მაღლობიდან უცქერდა ბაგრატიონს, მის მეომრებს და ამაყად ამოსულ მზეს შესძახა:

— რუსეთის არწივები გადააფრინდებიან რომის არწივებს!

ი ტ ა ლ ი ა შ ი

ბაგრატიონმა იერიშით აიღო ქალაქი — ციხე-სიმაგრე ბრეშია. სუვოროვმა იმპერატორისადმი გაგზავნილ ბარათში მოიხსენია ბაგრატიონის გამჭრიახობა და სიმამაცე. იმპერატორმა კი სუვოროვისადმი გაგზავნილ რესკრიპტში ჩაწერა: „გენერალ-მაიორ ბაგრატიონს ვუწყალობებ წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენის კავალრობას“, ლეკოს აღებისათვის ბაგრატიონმა მიიღო იოანე იერუსალიმელის, ანუ მალტური ჯვარი, მარენგოსთან ფრანგთა დამარცხებისათვის კი ალექსანდრე ნეველის ორდენი.

სუვოროვმა ბაგრატიონს მიანდო ინიციატივის უფლება და ერთ-ერთ საველე ბარათში მისწერა: „სხვას არავის შეუძლია ისე შეასრულოს საწადელი, როგორც თქვენს ბრწყინვალებას... ყველაფერს ვანდობ თქვენს გონივრ მოქმედებას“.

ასე დაიწყო ბაგრატიონის კიდევ ერთი ახალი ტრიუმფალური წინსვლა სახელისა და დიდებისაკენ გენიალურ სუვოროვთან უშუალო თანამშრომლობით. სამხედრო აკადემია მან დიდი ბრძოლების ველზე განვლო. „გამარჯვების მეცნიერებას“ თვითონ მისი შემქმნელის სუვოროვის ხელმძღვანელობით სწავლობდა. იტალიაში გალაშქრებისა და შვეიცარიის ალპებში ლეგენდარული ბრძოლების მთელ პერიოდში ოცდათოთხმეტი წლის გენერალი ბაგრატიონი სუვოროვის მარჯვენა ხელი იყო. იტალიასა და შვეიცარიაში რუსთა ჯარების საარაკო გალაშქრებამ მსოფლიო გააოცა, ფელდმარშალმა სუვოროვმა გენერალისიმუსის წოდება მიიღო. ამ დიდი ლაშქრობის შემდეგ სუვოროვის არმია სამშობლოსაკენ გამოემართა. ჭაღარა გენერალისიმუსს და ახალგაზრდა გმირს, სახელგანთქმულ გენერალ ბაგრატიონს სიყვარულითა და პატივისცემით ელოდა რუსეთი.

შ ე რ ი ს ხ ვ ა

ყველამ იცოდა, რომ სუვოროვის შესვლა პეტერბურგში დიდი ზეიმით უნდა აღინიშნათ. საამისო გეგმა უკვე შეედგინათ — სასახლის კარეტები სუვოროვს ჯერ კიდევ ნარვაში დახვდებოდნენ. ზამთრის სასახლეში ამზადებდნენ აპარატმენტებს სუვოროვისათვის. სუვოროვის შესვლა დედაქალაქში აღინიშნებოდა ზარების რეკვითა და ქვემეხთა ბათქით: ყველაფერი ეს ავადმყოფ გენერალისიმუსს სიცოცხლის ძალას მატებდა, მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობიდან დაბრუნებული სუვოროვი სნეულებამ ძლიერ დააუძლურა, მაინც იმედით სავსე წერილი მისწერა როსტოპჩინს. „თავადი ბაგრატიონი მოგიყვებათ ჩემი ცოდვილი სხეულის შესახებ... მაგრამ მე მაინც წინათგრძნობა მეუბნება, რომ დასასრული ახლოს არ არის“. გზიდანვე სუვოროვმა ასეთივე იმედით სავსე წერილი მისწერა ფუქსს, რომელიც სუვოროვის არმიაში საიდუმლო ექსპედიციის აგენტად ითვლებოდა. „ნელი ნაბიჯით ვბრუნდები საიქიოდან, საითაც მე უდიდესი წვალებით მეწეოდა დაუნდობელი ფლიქტენა“.

მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა პეტერბურგს დიდი

მხედართმთავარი, სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. მას ზედ დაერთო იმპერატორ პავლეს მიერ 26 მარტს გაგზავნილი უკმაყოფილებით სავსე რესკრიპტი სუვოროვისადმი და ისედაც დაუძლურებული გენერალისიმუსი უფრო მეტად დაავადმყოფდა. თითქმის არავის არ ეგონა, რომ იგი ცოცხალი მიაღწევდა პეტერბურგამდე, სადაც მას უკვე აღარ ელოდნენ ისეთი ზეიმით, როგორც წინათ გადაეწყვიტათ.

იმპერატორმა პავლემ ყველასათვის მოულოდნელად შეცვალა თავისი აზრი და დამოკიდებულება სუვოროვისადმი და თუკი სუვოროვის გამარჯვებებით მოხიბლულმა ხმამაღლა წამოიძახა — მე ის გენერალისიმუსის წოდებით შევამკე, რაც სხვებისათვის ბევრია, მისთვის კი ცოტაა: იგი ანგელოსად უნდა ჩაითვალოსო, დღეს, თავგასულმა და შიზოფრენიით შეპყრობილმა იმპერატორმა დიდი მხედართმთავარი იმისი ღირსიც კი არ გახადა, რომ პეტერბურგში მისთვის შესაფერი ზეიმით თუ არა, დამნაშავესავით მაინც არ შესულიყო.

იმპერატორმა პავლემ რატომღაც სწორედ მაშინ გაიხსენა სუვოროვის ურჩობა და თვითონ პავლეს მიერვე შედგენილი პრუსიული წესდების დარღვევა სუვოროვის არმიაში. როცა სახელოვანი ლაშქრობიდან დაბრუნებული ავადმყოფი გმირი პეტერბურგს უახლოვდებოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა სუვოროვი დანჯღრეული კარეტით შევიდა პეტერბურგში და გაჩერდა კრიუკოვის არხთან ხვოსტოვის სახლის წინ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ავადმყოფსა და დაქანცულ გენერალისიმუსს არავინ დახვდა. პეტერბურგს ეძინა. ხვოსტოვის სახლში მას მხოლოდ იმპერატორის შიკრიკი დოლგორუკოვი ელოდა. სულ რამდენიმე წუთი გავიდა, რაც დაუძლურებული სუვოროვი ლოგინში ჩაწვა, როცა მას იმპერატორის შიკრიკის მოსვლა მოახსენეს.

— შემოვიდეს, — მისუსტებული ხმით თქვა სუვოროვმა და თვალები გაუბრწყინდა, — ვინ იცის, რა ახალი ამბავი მოიტანა იმპერატორისაგანო. დოლგორუკოვი ფრთხილად, მაგრამ ყველა რეგალიით მკერდმოსილი ამაყად შემოვიდა და ქანდაკებასავით გამოეჭიმა სუვოროვს საწოლის წინ.

— თქვენო ბრწყინვალებავ, მისი იმპერატორობითი უდი-

დებულესობის მიერ დავალებული მაქვს გადმოგცით, რომ გენერალისიმუსს, თავად სუვოროვს აკრძალული აქვს იმპერატორის სასახლეში შესვლა.

თუთიყუშივით წამოისროლა დაზეპირებული სიტყვები დოლგორუკოვმა და კვლავ ქანდაკებას დაემსგავსა.

სუვოროვმა თვალები მოჭუტა და ისე მიაცქერდა დოლგორუკოვს:

— ვინ ხარ, შენ?

დოლგორუკოვი დუმდა.

— ვინ ხარ-მეთქი, გეკითხები?

ახლა უკვე ხმამაღლა წამოიძახა სუვოროვმა.

— თავადი დოლგორუკოვი, გენერალ-ადიუტანტი.

— გენერალი, — დაცინვით წაიჩურჩულა სუვოროვმა და სიცილი აუტყდა, — მე რატომ არ გიცნობ, ბატონო ვენერალო?

— არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ!

— იქნებ ის იცი, რომელ ბრძოლაში, რომელ ომში, რომელი საბრძოლო დამსახურებისათვის მიიღე ეგ სტანისლავი, ეგ ვლადიმირი, ან ეგ წმინდა ანას ლენტი, ან ეგ მალტური ჯვარი და ეგ ალექსანდრე ნეველი? იქნებ იზმაილის შტურმისათვის, ან პრაღისა და ვარშავის აღებისათვის, იქნებ რიმნიკისათვის... ჰო, სთქვი, რომელ ბრძოლებში დაიმსახურე შენ ეგ ჯილდოები?

— მე ბრძოლებში არ ვყოფილვარ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კარისკაცი ვარ და ყველაფერი ეს ჩვენი იმპერატორის წყალობაა, თქვენო ბრწყინვალებავ.

ძლივს წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა დოლგორუკოვმა და ისევ გაქვავდა.

— ჰოდა, ასე გადაეცი შენს იმპერატორს: სუვოროვი კარისკაცი არ არის, რომ მას სასახლეში მისვლა აუკრძალონ, სუვოროვი რუსეთის არმიის ჯარისკაცია, მისი გენერალისიმუსი და სუვოროვის სასახლე რუსეთის თვალუწვდენელი ველმინდვრებია, რომელთა დასაცავად თავის საკვირველ დევგმირებთან ერთად სისხლი უღვრია. დიდების შარავანდედით მე ჩემმა მადლიერმა სამშობლომ შემამკო და არა შენმა იმპერა-

ტორმა. თავმოყვარეობა, რომელიც იმპერატორს სურს შემილახოს, არასოდეს არ ყოფილა ჩემი სიცოცხლის მთავარი აზრი. თავმოყვარეობა, რასაც ყველაზე ხშირად წამიერი გატაცება ბადებს, არ წარმართავდა ჩემს მოქმედებას, და მე ვიცი-წყებდი საკუთარ თავს, როცა საქმე ეხებოდა სამშობლოს სარგებლობას. მხოლოდ იმით ვამაყობ, რომ რუსი ვარ, რუსეთის ჯარისკაცი და არა იმპერატორის კარისკაცი!

სუვოროვი წამით გაჩუმდა, შემდეგ საშინელი ხველა აუტყდა, და, როცა სული მოითქვა, კვლავ მოემზადა სალაპარაკოდ, მაგრამ ღონე არ ეყო, თავი ბალიშში ჩარგო, თვალები დახუჭა და სათქმელად მომზადებულ აზრებს ნისლი გადაეფარა.

* * *

ხვოსტოვის სახლის წინ ქვაფენილზე თივა დაყარეს, რომ ავადმყოფი სუვოროვი ქუჩიდან შემოსულ ხმაურს არ შეეწუხებინა. ლოგინად ჩავარდნილ გენერალისიმუსთან არავის უშვებდნენ. იმპერატორის შიშით არც არავინ მოდიოდა. პეტერბურგში ხმა დაირხა: სუვოროვი უკანასკნელ დღეშია და საცაა სულს განუტევებსო. მახლობლებიდან მხოლოდ „სუვოროჩკა“ (ასე ეძახდა სუვოროვი თავის ქალიშვილს) — ნატალია ალექსანდრეს ასული ზუბოვა უვლიდა ავადმყოფს.

* * *

ზამთრის სასახლეში ბალ-მასკარადი ახალი დაწყებული იყო, როცა დარბაზში სასახლის ცერემონმაისტერი შეპოვიდა.

ეტყობოდა, თვითონ იმპერატორი აპირებდა შემოსვლას. ყველამ კარგად იცოდა, რომ იმპერატორს თავისი საქმიანობის ჩვენება ყველა მისი კარისკაცისა და დიდებულების წინაშე უყვარდა.

სასახლის ცერემონმაისტერმა, თითქოს ცირკის არენაზეა და ფრანგული ჰიდაობის ჩემპიონატის მონაწილეთა გამოსვლას აცხადებსო, ისე წამოიძახა სამიოდე სიტყვა:

— მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა!

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. რანგის მიხედვით ყველანი ჯგუფებად დადგნენ და ახალი ამბით დაინტერესებულნი მოუთმენლად ელოდნენ პავლე პირველის გამოსვლას.

იმპერატორი მჩატე წონის მოჭიდავის პოზითა და მძიმე. პრუსიული სამხედრო ნაბიჯებით შემოვიდა დარბაზში. დამსწრეთა მდაბალ და ცერემონიულ მისალმებას პავლემ ცალი წარბის ოდნავი შერხევით უპასუხა. ისედაც აბზეკილი და პატარა ცხვირი უფრო მეტად აბზიკა, დიდებულებსა და კარისკაცებს მედიდურად გადახედა, სახეზე ოდნავი კმაყოფილების ელერი დაიმჩნია და თავისი სიტყვების სალაროდან ბრძანების კილოთი და ძუნწად რამდენიმე სიტყვა გაიმეტა:

— დღევანდელი აღლუმით კმაყოფილი ვარ. აღლუმის მონაწილე ოფიცრები სათანადოდ დააჯილდოვეთ!

სახელდობრ ვის უნდა დაეჯილდოვებინა ის ოფიცრები ჯერ არც კი ეთქვა, რომ მოულოდნელად სვეჩინს მიუბრუნდა:

— სვეჩინ, ახალი რა არის?

— მაიორი გეახლათ, თქვენო უდიდებულესობავ!

სვეჩინის პასუხზე პავლე ოდნავ ჩაფიქრდა, მერე ცალი თვალით როსტოპჩინს გადახედა და ალერსიანი ხმით უბრძანა:

— როსტოპჩინ, მიდი და უთხარი, რომ მე მას ვუწყალობე პოდპოლკოვნიკის ხარისხი.

როსტოპჩინი სწრაფად გავიდა.

პავლე საერთო დუმილის ფონზე მედიდურად გამოიყურებოდა და თან ცნობისმოყვარეობით და თვითკმაყოფილებით სავსე უცქეროდა დამსწრეთ, ანა როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ჩემმა ასეთმა გულუხვობამ. უფრო მეტი შთაბეჭდილების მიზნით იმპერატორმა ახლა სვეჩინს უბრძანა:

— სვეჩინ, მიდი და უთხარი, რომ მე მას ვუწყალობე პოლკოვნიკის ხარისხი.

სვეჩინი ჯერ არც კი გასულიყო იმპერატორის ბრძანების შესასრულებლად, რომ ამ დროს როსტოპჩინი დაბრუნდა.

— შესრულებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — მოწიწებითა და მონური თავმდაბლობით მოახსენა როსტოპჩინმა, მაგრამ პავლემ ისევ უბრძანა:

— მიდი და უთხარი, რომ მე მას ვუწყალობე გენერალ-მაიორის ხარისხი.

როსტოპჩინი გავიდა და სვეჩინი დაბრუნდა.

— შესრულებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — მოახსენა სვეჩინმა.

— სვეჩინ, მიდი და უთხარი, რომ მე მას ვუწყალობე წმინდა ანას ლენტი.

დიდად დასაქმებული სვეჩინი და როსტოპჩინი კარებთან კინაღამ დაეჯახნენ ერთმანეთს.

როსტოპჩინი შემოსვლისთანავე გამოიჭიმა იმპერატორის წინ და კვლავ მოკრძალებით მოახსენა:

— შესრულებულია, თქვენო უდიდებულესობავ.

— რაო? მგონი, ძალიან უკვირს, რას ამბობს? — იკითხა იმპერატორმა.

— არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა როსტოპჩინმა.

ამ დროს სვეჩინი შემოვიდა. იმპერატორმა ახლა მას ჰკითხა:

— როგორ არის, რას ამბობს?

— დუმს, თქვენო უდიდებულესობავ!

— მაშ ასე... მოუხმეთ ჩემთან!

სვეჩინი და როსტოპჩინი ერთად გავიდნენ მაიორის შემოსაყვანად.

ყველანი გულის ფანცქალით ელოდნენ მაიორს, რომელიც რამდენიმე წუთში გენერალ-მაიორად იქცა.

მაიორი შემოსვლისთანავე ადგილზევე გაქვავდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ისე დაიბნა, იმპერატორს არც კი მისალმებია.

უხერხულ მდგომარეობიდან ისევ პავლემ გამოიყვანა.

— მომილოცავს მეფის წყალობა... თქვენს ხარისხიან ერთად საჭიროა მეტი სიმდიდრეც, მიწყალობებია ხუთასი სული... ხომ კმაყოფილი ხართ?

პავლეს ასეთმა დახვედრამ მაიორი სულ დააბნია და ვერაფერი ვერ უპასუხა, მან მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩაიფუჩუნა.

— მე... მე... თქვენო უდიდებულესობავ...

— როგორ გგონიათ, რისთვის მიიღეთ ხელმწიფოს ასეთი წყალობა?

იმპერატორის შეკითხვას საბოლოოდ დაბნეულმა და უსაზღვროდ გაკვირვებულმა მაიორმა ვერც ახლა უპასუხა.

— მაშ, მე თვითონ აგიხსნით. — დაიწყო პავლემ, — მისმინეთ ყველამ... თქვენც როსტოპჩინ, თქვენც სვეჩინ...

ერთხელ მე ვათვალიერებდი სამხედრო მსახურება ძველ სიებს და ვნახე, რომ თქვენი დამსახურებისათვის გვერდი აუვლიათ იმპერატრიცა ეკატერინეს დროს. მე კი მინდა დავამტკიცო, რომ ჩემს დროში ძველი დამსახურებაც ფასდება. მშვიდობით, სიგელები და წყალობა მოგვივათ საცხოვრებელი ადგილის მისამართით.

მაიორი ისე გავიდა დარბაზიდან, რომ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა

ამ დროს ზარის ხმა მოისმა.

პავლემ ყურები დაცქვიტა და სახეზე გაკვირვებამ გადაუარა.

— რას ნიშნავს ეს? — იკითხა პავლემ.

— ერმიტაჟის მხრიდან ისმის... ზენა ქარს მოაქვს. ალბათ, გრაფინია სტროგანოვას სახლში სადილზე მოუხმობენ. — უპასუხა როსტოპჩინმა.

— რომელი საათია?

— სამი გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ! — თავის დაბლა დახრით მოახსენა როსტოპჩინმა იმპერატორს.

— რას გავს ეს? როგორ შეიძლება ასე გვიან სადილობა?! გაგზავნეთ კაცი და აცნობეთ, რომ ამიერიდან პირველ საათზე ისადილონ.

— შესრულებული იქნება, თქვენო უდიდებულესობავ, — კვლავ თავის დაბლა დახრით მიუგო როსტოპჩინმა.

შემდეგ სვეჩინს მიმართა პავლემ.

— სვეჩინ, თქვენ ინგლისიდან დაბრუნებული საზღვაო ფლოტის ლეიტენანტ აკიმოვის შესახებ უნდა მოგეხსენებინათ.

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ... როდესაც აკიმოვი პეტერბურგს დაბრუნდა, მას ყველაფერი უკუღმა შებრუნებულად მოეჩვენა. სხვათა შორის, მისი ყურადღება ისააკის ტაძარმა მიიპყრო. როგორც მოგეხსენებათ, ტაძრის ქვედა ნაწილი, რომლის აშენება იმპერატრიცა ეკატერინეს დროს დაიწყეს, მარმარილოსი გახლავთ, ხოლო ზედა ნაწილი, რომელიც თქვენი მეფობის დროს დააშენეს, აგურისაა... ამის თაო-

ბაზე ახალგაზრდა პოეტმა, საზღვაო ფლოტის ლეიტენანტმა აკიმოვმა დაწერა ლექსი და ტაძრის კედელზე გააკრა.

— სად არის ის ლექსი?

— თანა მაქვს.

— წაიკითხე.

ორი მეფობის ეს ძეგლი,
ორივე მეფის შესადარია,
მარმარილოა ქვედა ნაწილი,
ზევით აგურის თავსაფარია.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. ყველანი სულგანაბული ელოდნენ, თუ როგორ გადასწყვეტდა პავლე აკიმოვის ბედს ამ ლექსის გამო. პავლეს პატარა ცხვირთან შედარებით დიდი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ და იმ პირიდან, რომელიც მას ეკუთვნოდა, რისხვით აღსავსე სიტყვები გადმოცვივდა.

— არამზადა. ავაზაკი, იაკობინელი... დაუყოვნებლივ გადაეცით ჩემი ბრძანება ორლიანინოვსა და ფლოტის გენერალ-ინტენდანტ ბალეს, სასტიკად დასაჯონ თავხედი ლეიტენანტი... მოიცადეთ... ყურები დააჭრან, გაროზგონ და სამუდამოდ ციმბირში გადაასახლონ,

— შესრულებული იქნება, თქვენო უდიდებულესობავ! — მთრთოლვარე ხმით წარმოთქვა შეშინებულმა სვეჩინმა.

პავლემ მოულოდნელად ბაგრატიონი იკითხა.

— რატომ არ ვხედავ თავად ბაგრატიონს?.. როგორც კი მოვა, ჩემთან მოუხმეთ!

ეს თქვა და იმპერატორი პირველი დარბაზიდან ამალის თანხლებით გავიდა.

ყველა იქ მყოფს კისრიდან უდიდესი სიმძიმე მოხსნესო, ისე გაისმა დარბაზში ღრმა ამოხვნეშა.

დარბაზში უცებ ბაგრატიონზე ჩამოვარდა საუბარი.

— ძალიან მაინტერესებს მისი პიროვნება... ამბობენ, რომ იგი ლომია, რომელმაც არ იცის შიში და ყოყმანი.

— ახალგაზრდაა და უკვე თხუთმეტი ლაშქრობა და სამოცამდე ბრძოლა გადაუხდია.

— ამბობენ, ბაგრატიონი სუვოროვის ტრადიციების უნიკალური განმგრძობია.

— და, ალბათ, იმიტომ ჰყავს იმპერატორს განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. მეფე ძალიან ფრთხილობს ბაგრატიონისაგან მომავალი სუვოროვი არ გამოვიდეს.

— მთელი მისი სიცოცხლე ჯარსა და ლაშქრობაში ვაუტარებია. მან არც კი იცის, როგორ უნდა დაიჭიროს თავი სასახლეში.

— მეფესთან ისე შედის, თითქოს ფრონტზეა და მტერს დაეძებსო. სასახლეში ისე დადის, თითქოს ბრძოლის ველზეა... ნამდვილი სუვოროვია.

— და მიუხედავად ყოველივე ამისა, ამბობენ, რომ იგი საზოგადოებაში ძალიან თავმდაბალი და მორცხვია.

საუბარში ჩაერია გრაფი ბალაშოვიც, რომელიც ელისაბედ პავლეს ასულ სკავრონსკაიას კავალრობდა.

— განსაკუთრებით ქალებს ერიდება, ქალთა საზოგადოება მისთვის უჩვეულოა, — კომპეტენტურად წარმოთქვა ბალაშოვმა და კითხვის ნიშნით გადახედა ელიზავეტა პავლოვნას.

— საინტერესოა, — კეკლუცი ღიმილით წამოიძახა ცნობისმოყვარეობით სავსე ელიზავეტა პავლოვნამ, — ასეთ ძლიერ მხედართმთავარს არ შეფერის ქალთა წინაშე შიში და მორცხვობა... მას შეუძლია ყოველი ქალის გულში ინტერესი და სითბო გამოიწვიოს...

— აი, ვაუკაცი! — ისე წამოიძახა ბალაშოვმა, თითქოს ბაგრატიონი თვალწინ უდგასო, — მის გულში ჯერ ვერც ერთმა ქალმა ვერ დაისადგურა... მიუხედავად იმისა, რომ იგი სამხრეთელია, მისი გული კეკლუცთათვის ცივია, როგორც ჩრდილოეთის ყინულოვანი კლდე, — ბალაშოვმა ცალი თვალით ელიზავეტა პავლოვნას გადახედა და ისევ განაგრძო, — ვერც თქვენისთანა მცხუნვარე მზე გაალხობს მის გაყინულ გრძნობებს.

ბალაშოვის სიტყვებმა საკმაოდ იმოქმედა ელიზავეტა პავლოვნას თავმოყვარეობაზე და უკმაყოფილო ტონით მიმართა თავის კავალერს.

— ეგ სიმძიმეს მოკლებული ბუმბულია... ბუმბულს კი საანამ ქარი არ დაუბერავს, თავისი თავი მძიმე ჰგონია... — საკმარისია ოდნავი ნიავი და...

ელიზავეტა პავლოვნამ სიტყვა არ დაამთავრა, სამაგიეროდ სანთელივით ჩამოსხმული ლამაზი თითები ისე აამოძრავა, თითქოს ბუმბული მიფრინავსო.

შეცდომის გამოსასწორებლად ბალაშოვმა კომპლიმენტი ესროლა ელიზავეტა პავლოვნას.

— შესაძლებელია მხოლოდ თქვენმა ნიავმა დაძრას მძიმე ბუმბული...

— უეჭველად უნდა გამაცნოთ, — თითქმის ბრძანების კილოთი წარმოთქვა ელიზავეტა პავლოვნამ.

— ვეცდები.

თავის დაბლა დახრით უპასუხა ბალაშოვმა.

ელიზავეტა სტატს-დამა ეკატერინე ვასილის ასულ სკავრონსკაიასა და ნეაპოლში რუსეთის ელჩის პავლე სკავრონსკის ქალიშვილი იყო.

სტატს-დამა ეკატერინე ვასილის ასული, რუსეთის უგვირგვინო მეფის, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის უახლოესი და ყველაზე მეტად უფლებამოსილი ფავორიტის გრიგოლ პოტიომკინის დისშვილი, ფრიად გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა სასახლეში.

რაც შეეხება თვითონ პავლე სკავრონსკის, იგი პეტრე დიდის მეუღლის იმპერატრიცა ეკატერინე პირველის ღვიძლი ძმის კარლ სკავრონსკის პირდაპირი შთამომავალი იყო და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიტულოვანი და მდიდარი პიროვნება გახლდათ მთელ რუსეთში.

პავლე სკავრონსკი ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის მეფობის ჟამს, 1794 წელს გარდაიცვალა და უმდიდრესი მემკვიდრეობა დატოვა, მაგრამ პავლე სკავრონსკის მემკვიდრეობის საფასურში ყველაზე უფრო ძვირფას საგანძურად მისი ქალიშვილი ელისაბედ პავლეს ასული მიაჩნდათ.

ამიტომ იყო, რომ ელისაბედ პავლეს ასული სკავრონსკაია პეტერბურგის პირველ საპატარძლოდ ითვლებოდა როგორც სიმდიდრით, ისე არაჩვეულებრივი სილამაზითაც.

ჯერ მხოლოდ ოც წელს მიღწეული, გაჩებივრებული და ვაამაყებული ელისაბედ პავლეს ასული ქალთა მეფედ გრძნობდა თავს. მის ხელს თხოულობდა ბევრი წარჩინებული პიროვნება, მაგრამ მიზანს ვერავინ ვერ მიაღწია... თავი ისე ეჭირა,

თითქოს ამ ქვეყნად მისი სადარი არავინ დაბადებულა და თუ ვინმეს გაულიმებდა და გულში იმედის ნაპერწკალს გაუჩენდა, იმას ნიშნავდა, რომ ელისაბედ პავლეს ასული გართობის ხასიათზე იყო და თავის მსხვერპლს ისე გაეთამაშებოდა როგორც კატა ეთამაშება კლანჭებში მოქცეულ თაგვს.

მისი გაცნობისა და მასთან დაახლოების მიზნით, ვინ იცის რას არ სჩადიოდნენ წარჩინებული სასიძოები და ახლა ელიზავეტა პავლოვნამ თვითონ მოისურვა, თუმცა მეტად სახელოვანი, მაგრამ ახალგაზრდა სასიძოს პეტრე ბაგრატიონის გაცნობა.

უცებ დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, ყველას ყურადღება ახლად შემოსულმა ბაგრატიონმა მიიპყრო.

ზოგი მონოკლით, ზოგი ჭოგრიტით, ზოგი კიდევ შეუიარაღებელი თვალით უცქერდა ლეგენდარულ გმირს, რომელიც სასახლეში იშვიათად სტუმრობდა.

ეტყობოდა ბაგრატიონმა უკვე ინახულა იმპერატორი და დარბაზში შემოსვლისთანავე მასთან ყველაზე უწინ სასახლის ცერემონმაისტერი მიიჭრა.

— თქვენ იშვიათი სტუმარი ხართ სასახლეში... და ამიტომ, სასურველია, დღის ბოლომდე დარჩეთ... ზეიმი უკვე დაიწყო.

სასახლის ცერემონმაისტერს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ ბაგრატიონთან გრაფი ბალაშოვი მივიდა, უმდაბლესი სალამი მისცა და მერე გვერდით გაიხმო.

— თქვენო ბრწყინვალებავ, — მიმართა ბალაშოვმა, — ბოდიშს ვიხდი, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ ჩემი მოქმედება, პეტერბურგის მშვენების — ელიზავეტა პავლოვნას ნება-სურვილმა გამოიწვია.

— მე გისმენთ... რა არის მისი ნება-სურვილი? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბაგრატიონმა.

— თქვენი გაცნობა, — უცებ მიახალა ბალაშოვმა და ბაგრატიონს თვალებში ჩააცქერდა, თითქოს ეუბნებოდა, ხედავთ, რა ბედნიერი ხართო.

ბაგრატიონი, ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდეც, მაგრამ სულმალე გამოერკვა და ძალზე გაოცებულმა წაიჩურჩულა: „პირველად მესმის, რომ ქალმა გაცნობა მთხოვოს და მერე კიდევ ასეთმა მზეთუნახავმა“.

მისთვის უჩვეულო და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბაგრატიონი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ კი, თუმცა მოღიმარი სახით, მაგრამ თითქმის მტკიცე გადაწყვეტილებით, უარის ნიშნად გრაფ ბალაშოვს უთხრა:

— ბოდიში მოუხადეთ ჩემს მაგიერ და ასე გადაეცით უმშვენიერეს გრაფის ასულს, რომ მე მისთვის შეუფერებელი კავალერი ვარ... საღამო რომ არ ჩაუმწარდეს, უმჯობესია უჩემოდ იყოს.

გაკვირვებულმა ბალაშოვმა მხოლოდ ორიოდე სიტყვა წარმოსთქვა:

— სამწუხაროა... მაგრამ...

— რას იზამთ... სასახლეში არა ვარ ვაზრდილი და ნუ დამძრახავთ ჯარისკაცული პირდაპირობისათვის, ბოდიშს ვიხდი.

ბალაშოვმა ისე მოიხადა ბოდიში, თითქოს რაიმე დანაშაული ჩაედინოს.

— კარგად იყავით, — ისევ ღიმილით დაემშვიდობა ბაგრატიონი ბალაშოვს და მაშინვე თავის ადიუტანტს მიმართა.

— ახლავე კარეტა, თორემ ქალებში საღამო ჩამიმწარდება.

ადიუტანტი ელვის სისწრაფით გავიდა დარბაზიდან ბრძანების შესასრულებლად.

ბალაშოვი დარცხვენილი მივიდა ელიზავეტა პავლოვნასთან, რომელსაც ქალებისა და თაყვანისმცემელთა მთელი ჯგუფი შემოხვეოდა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გრაფი ბალაშოვი თვალებში შესცქეროდა ელიზავეტა პავლოვნას და არ იცოდა რა ეთქვა.

მაშინ ელიზავეტა პავლოვნამ თვითონ ჰკითხა:

— ჰო, რაო, რა გითხრა?

— ცუდად დამთავრდა ჩემი მისია, — დარცხვენილად უპასუხა ბალაშოვმა.

— უარი?!.

ყველამ ერთხმად გაიკვირვა, ელიზაეტა პავლოვნამ კი სიბრაზისაგან ენაზე იკბინა.

— ჰმ... აზიელი... არ შევარჩენ ამ თავხედობას... ჩემს ცხოვრებაში პირველად ჩავვარდი ასეთ სირცხვილში... მე მას ვანანებ.

— აკი გითხარით, მორცხვი, ჯიუტია, ქალთა წრეს არ არის ჩვეული და მას ყოველთვის გაურბის-მეთქი, — თავის გასამართლებლად და ელიზავეტა პავლოვნას სანუგეშოდ წარმოსთქვა ბალაშოვმა, მაგრამ ელიზავეტა პავლოვნა მაინც არ ცხრებოდა:

— ჩემს წინაშე ბევრი მინახავს მუხლმოდრეკილი .. ეს კი ვინ არის, გაუთლელი, თავხედი, ჩემი გაცნობა იუკადრისა...

— აი არწივი! — აღტაცებით წამოიძახა ვიღაცამ.

— ნაადრევია თქვენი სიხარული, არწივი დაბლა ჩამოფრინდება და ჩემს მუხლებთან დაიწყებს ფართხალს.

ეს სიტყვები თუმცა კაპასად, მაგრამ მაინც მისთვის ჩვეული მედიდურობით და სიამაყით წარმოთქვა ელიზავეტა პავლოვნამ.

ამ დროს ბაგრატიონის ადიუტანტი დაბრუნდა.

— კარეტა მზად არის.

როდესაც ბაგრატიონი მის ირგვლივ შეკრებილ დიდებულებს გამოესალმა და დარბაზიდან გასასვლელად მოემზადა, ელიზავეტა პავლოვნამ ყველასათვის მოულოდნელად გზა გადაუჭრა და გულში სიძულვილით, ხოლო სახეზე აღერსიანი გამომეტყველებით მიმართა:

— საით, არწივო? მამაც გენერალს არ შეფერის სუსტ ქალიშვილს ზურგი უჩვენოს და გაექცეს... მომეცით ხელი .. ელიზავეტა პავლეს ასული სკავრონსკაია.

— სასიამოვნოა... პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი.

ძლივს წარმოთქვა მოულოდნელი შეტევისაგან თავის ცხოვრებაში პირველად დაბნეულმა პეტრე ბაგრატიონმა.

* * *

მაისი დადგა და იმპერატორმა რამდენიმე დღით ცარსკოე სელოს მიაშურა.

მთელი სამეფო კარი და დიდებულები თან გაჰყვნენ. ბაგრატიონიც იქ იყო.

ცარსკოე სელოს ბაღში ელიზავეტა პავლოვნასა და ბაგრატიონს პაემანი დაენიშნათ.

პაემანზე ელიზავეტა პავლოვნა პირველი მოვიდა, ვინაიდან ძლიერ აფიქრებდა შექმნილი ვითარება.

მართალია, ჯერ თვითონ ელიზავეტამ ისურვა ბაგრატიონის ყურადღების მიპყრობა, შემდეგ, დაახლოების -მიზნით სიყვარულის ნაპერწკლებსაც კი ესროდა ბაგრატიონის კაჟივით გულს, რომელიც პირველად დაიჭრა არა ბრძოლის ველზე, არამედ სამშვიდობოში და არა მტრის ტყვიით, არამედ საყვარელი არსების ეშხითა და ვერაგობით. მაგრამ ელიზავეტა თავის საქციელს ვერაგობად მაინც არ თვლიდა...

მან ხომ მხოლოდ თავის მიზანს მიაღწია... მისი მიზანი კი ის იყო, რომ როგორც ყოველთვის, ყველა მოტრფიალე, სახელგანთქმული გმირიც მუხლმოდრეკილი ენახა თავის ფეხებთან.

ვინ მოთვლის, გამოცდილი არშიყი ქალის რამდენი ხერხი და ცბიერება იხმარა ახალგაზრდა ქალიშვილმა, ბაგრატიონის ჯერ მოთვინიერებისა და შემდეგ კი მისი მუხლებზე დაჩოქებისათვის.

ერთად შერწყმული სილამაზისა და ცბიერების დედოფლის უდიდეს გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია. ელიზავეტა პავლოვნამ, როგორც იქნა, შეძლო მოედრიკა ბაგრატიონის ამაყი სული და როცა მიზანს მიაღწია, ბაგრატიონის პირველი სიყვარულის სათუთი გრძნობა თავეს გასართობ სათამაშოდ გაიხადა... მაგრამ ელიზავეტამ ისიც კარგად იცოდა, რომ გამარჯვებებს შეჩვეული ბაგრატიონი ასეთ ბედს არ შეურიგდებოდა და საგონებელში ჩავარდა: „უკვე დროა ბოლო მოეღოს ასეთ დაძაბულ ურთიერთობას. დღეს უარს ვეტყვი, თორემ რაც დრო გადის, მით უფრო იწვის... და შემდეგ ვეღარავინ ჩააქრობს სიყვარულით ანთებულ ხანძარს“.

ბაგრატიონმა ისე გაიარა მეფისა და მისი ამალის ახლოს, რომ ვერავინ შეამჩნია. მხოლოდ და მხოლოდ თვითონ პავლემ მოჰკრა თვალი და მის სახეზე რაღაც სევდა და მწუხარება ამოიკითხა.

იმპერატორს ეჭვი დაებადა, ალბათ, ბაგრატიონი მომაკვდავი სუვოროვის ბედმა დააღონა და იმასა სწუხს, სუვოროვთან მისვლა რომ ავუკრძალეო. ამის გამო პავლეს ცუდმა აზრებმა გაუელვა თავში და იმპერატორი კინაღამ რისხვად გადაიქცა, მაგრამ ამასობაში მისი ყურადღება სასახლის ძაღლების თამაშმა მიიპყრო და ბაგრატიონი უცებ გადაავიწყდა.

ელიზავეტა საშინლად დაფრთხა და უხერხულად იგრძნო თავი, როცა ბაგრატიონი თავს წამოადგა.

მას არ უნდოდა ბაგრატიონს ცოდნოდა, რომ პაემანზე პირველი მოვიდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

— სულ ერთი წუთია, რაც გამოვიარე და უკვე წასვლას ვაპირებდი, — ძლივს წარმოსთქვა თავის გასამართლებლად ელიზავეტა პავლოვნამ.

— თქვენ ვადაზე ადრე მოსულხართ და წასვლაც ვადაზე ადრე გისურვებიათ, — გაიკვირვა ბაგრატიონმა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— ვისაც რა უნდა, მუდამ იმას ისურვებს. — უკმეხად უპასუხა ელიზავეტა პავლოვნამ და ბაგრატიონის სასურველი საპასუხო ღიმილის ნაცვლად თავის ლამაზ სახეზე შავი ღრუბელი გადაიფარა.

— საქართველოში ასე იტყვიან: ადამიანმა მარილი რომ გთხოვოს და არა გქონდეს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო, — ისევ ღიმილით მიუგო ბაგრატიონმა.

— აქ საქართველო არ არის და ეგ აზიური საზომი არ გამოგადგებათ.

სიტყვების დამთავრებისთანავე მიხვდა ელიზავეტა, რომ მეტისმეტი მოუვიდა და დაძაბული მდგომარეობის შესანელებლად სახეზე ღიმილი ნიღაბივით გადაიფარა, თვალებში ეშმაკები ჩაისვა და ისე შეხედა ბაგრატიონს, თითქოს მზე მასზე ამოუდისო. სკამზე ადგილიც შესთავაზა მის გვერდით.

ბაგრატიონი კი მაინც ფეხზე იდგა, თვალები მზესავით უბრწყინავდნენ, გულში ხანძარი ენთო და მისი სიყვარულით ალაპარაკდა:

— რატომ, რა საჭიროა ყველაფერი ეს, ძვირფასო ელიზავეტა? ნაცვლად იმისა, რომ მზეს შევხაროდეთ და ჩვენს გულში სიყვარულმა დაისადგუროს, ხანჯლებს ვლესავთ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. მომეცით ხელი, რომ სიხარულის მაღალი კოშკიდან არწივივით გავინავარდო რუსეთის მტერთა შესამუსრავად. მე ამ დღეებში ომში მივდივარ, დალოცვის ნაცვლად შხამს ნუ შემასმევთ. ელიზავეტა, გახდით ბაგრატიონის მეგობარი, რომლის სიყვარულს თქვენდამი მზე, ფრინველი,

მცენარე თუ ყველა სულდგმული ალბათ იწონებს და შეჰხარის კიდეც.

ბაგრატიონის სიტყვებით გაოცებული ელიზავეტა სკამიდან ჩიტივით წამოხტა და აღტაცებით წამოიძახა:

— თქვენ მშვენვრმეტყველი გენერალიც ყოფილსართ და სიტყვებსაც ტყვიაზე უფრო მოხერხებულად ისვრით...

— თუ ჩემი სიტყვა თქვენთვის ტყვიაა, მაშინ მე თქვენი მტერი ვყოფილვარ. ელიზავეტა, კმარა ამდენი ჯიუტობა, — მიუგო ბაგრატიონმა და მის სიტყვებში უკმაყოფილება უფრო ეღერდა, ვიდრე უბრალო შეკამათების კილო და ელიზავეტას ისე ჩააცქერდა თვალებში, თითქოს შიგ ჩაძვრომას ფიქრობსო.

— დავიჯერო, მართლა ასე გიყვართ ის ქალიშვილი, რომლის გაცნობა თქვენ ოდესღაც იუკადრისეთ?

— ელიზავეტა, სულზე უტკბესო!

ელიზავეტამ თავისი წკრიალა ხმით ცბიერად გადაიკისკისა.

— რა უცნაური და რა დიდი ბავშვი ყოფილხართ... ნუთუ მართლა გიყვარვართ?

ისევ აკისკისდა და დამცინავი თვალებით მიაშტერდა ბაგრატიონს.

— იცით რას გეტყვით? თქვენ ვერასოდეს ვერ ეღირსებით ჩემს თანხმობას. ამის შემდეგ კი თქვენ ვეღარ იტყვით, რომ მუდამ და ყველგან გამარჯვებული გამოდიოდით.

ბოლო სიტყვებთან ერთად ელიზავეტამ სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

ბაგრატიონმა ვეღარ მოითმინა და დაგუბებული ბრაზი ერთბაშად გადმოალაგა.

— კატისათვის თამაშობა — თაგვისათვის სულთან ბრძოლაა... მაგრამ თქვენი ტყვე არც ისე სულმოკლეა... ჩემს ცხოვრებაში პირველად დავმარცხდი, მაგრამ ეს ჩემთვის უჩვეულო ბრძოლის ველია... ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით. გრაფის ასულო!

— ეს კი უკვე მეტისმეტია... ეგ აზიური შეურაცხყოფა აზიაში გამოგადგებათ... თუმცა თავადი, მაგრამ ჯარისკაცებში გამოზრდილი ხართ და ამიტომ ჯენტლმენობას ვერავინ მოგ-

თხოვთ, — სულმოუთქმელად წამოიძახა ეკაპასებულმა ელიზავეტამ.

— დიახ, მე გენერალი, ჯარისკაცი ვარ და არა სასახლის კარზე გამოზრდილი ჩინ-მედალოსანი... თქვენისთანა ქალიშვილი კი მათ შორის ეძებს ღირსეულსა და თავის თანასწორს.

— ქალის წინაშე ვაუკაცობას რაინდობაც თან უნდა ახლდეს. უამისოდ წარმოუდგენელია ღირსეული გვარიშვილობა... თქვენ არშიყად მხოლოდ სოფლის გოგოსთან თუ ეამოდგებით... მაგრამ სოფლის გოგოებს ეხამუშება თქვენი გენერლობა, სასახლის ქალს კი — თქვენი უხეში ჯარისკაცობა. მე დავასრულე... უკვე ღამდება... უნდა წავიდე... დღეს სასახლეში მასკარადია.

ელიზავეტა წასასვლელად წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი ისე გადადგა, რომ ბაგრატიონს არც კი გამოთხოვებია, მაგრამ ბაგრატიონის სიტყვებმა იქვე გააქვავა.

— მთელი თქვენი ცხოვრება ხომ მასკარადია... წადით, იჩქარეთ... გზა მშვიდობისა.

— მშვიდობით, თავადო! — უკანასკნელი სიტყვა რაც შეიძლება დამცინავად წარმოთქვა ელიზავეტამ და იქაურობას ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

მარტოდ დარჩენილი ბაგრატიონი სკამზე ჩამოჯდა და თავჩაქინდრული დიდხანს ფიქრობდა:

„სენ-გოტარდზე არწივები დავაფრთხე... შვეიცარიის ალპებში ვიწრო კლდეები გავწიე და გავაფართოვე... ოჩაკოვზე დროშა აღვმართე... პრაღის მისადგომებთან იერიშის ცეცხლი დავანთე... ყველა სიმაგრე მოვდრიკე და გავაცამტვერე, ბრძოლებში მუდამ ვიმარჯვებდი. აქ კი ამ პატარა და სუსტმა არსებამ ძილი დამიფრთხო, გულში ჩამიჯდა და მტრის ტყვიაზე უფრო სასიკვდილოდ იკბინება“.

უცებ ბუჩქი შეირხა და იქიდან იმპერატორ პავლეს ადიუტანტი სვეჩინი გამოვიდა, იგი ფრთხილად გაეშურა იქითკენ, სადაც მას პავლე ეგულებოდა თავისი ამალით.

ფიქრებში გართულ ბაგრატიონს სრულებით არ შეუმჩნევია სვეჩინი, რომელიც პავლეს დავალებით უთვალთვალებდა ელიზავეტა პავლოვნასა და ბაგრატიონს და მათი საუბარი მთლიანად მოისმინა.

სვეჩინს, როგორც კი მეფესა და მის ამალას მიუახლოვდა, მაშინვე უნდოდა მოეხსენებინა დავალების შესრულება, მაგრამ იმპერატორი ამ დროს მოლოკნებზე განრისხებული დორბლმორეული გაჰყვიროდა:

— რას ჰგავს ეს? ჩვენი დედაქალაქის მიდამოებში თავი მოუყრიათ და ჭიანჭველებივით მრავლდებიან მოლოკნები, რომლებიც თავიანთ ეროტიულ ცოდვებს აღვივებდნენ მარილმადიდებული ეკლესიისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მე ვბრძანე დაეპატიმრებინათ ორი მთავარი დამნაშავე და ჩემთან მოეყვანათ.

— ისინი აქ არიან, თქვენო უდიდებულესობავ, — მოახსენა როსტოპჩინმა.

— უბრძანეთ, ახლავე აქ მოიყვანონ.

ორი წუთის შემდეგ ორი მოლოკანი, ერთი ხანშიშესული და მსუქანი, მეორე კი მწითური და გამხდარი, იმპერატორ პავლეს წინაშე იდგნენ.

— რას გაქვავებულხართ, რატომ არ მომესალმებით მეფეს! — მრისხანედ შეუყვირა პავლემ მის წინაშე ამაყად გამოჭიმულ მოლოკნებს.

— ვინ ხარ შენ, — უპასუხა იმპერატორს ხანში შესულმა და მსუქანმა მოლოკანმა, — განა შენ ღმერთი ხარ? შენ ისეთივე ცოდვილი ადამიანი ხარ, როგორიც ჩვენ... მხოლოდ ღმერთია თაყვანისცემის ღირსი.

— აქ რომ შემოხვედით, რატომ არ გადაიწერეთ პირჯვარი და რატომ არ ეთაყვანეთ ღმერთს? — შეეკამათა იმპერატორი.

— რისთვის ბრაზობ, — დაიწყო ხანშიშესულმა მოლოკანმა, — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რასაც ჩვენგან მოითხოვენ. ბეგარას გვაწერენ — ყოველთვის ვიხდით; რეკრუტში გაგვაწესებენ — ვმსახურობთ; გვერეკებიან გზებსა თუ სხვა სამუშაოზე — მივდივართ და ვმუშაობთ, მეტი რაღა ვინდათ? თქვენ თქვენებურად გწამთ, ჩვენ ჩვენებურად გვწამს, ჩვენ არაფერს გერჩით, ნურც თქვენ გვახლებთ ხელს.

უსაზღვროდ განრისხებულმა პავლემ ძლივს შეიკავა თავი და მოლოკნებს შედარებით წყნარი ხმით უბრძანა:

— წადით საყდარში, სახალხოდ მოინანიეთ თქვენი ცოდვები და ამის შემდეგ მიიღებთ მეფის წყალობას, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ცოდვით ჯოჯოხეთის მსახურებიც კი ატირდებიან.

ხანშიშესული და მსუქანი მოლოკანი კვლავ ამაყად იდგა იმპერატორის წინაშე, გამხდარი და მწითური კი იქვე დაემხო მიწაზე და პავლეს ფეხსაცმლებს დაუწყო კოცნა და ლოკვა.

— თქვენო უდიდებულესობავ, დიდო მეფეო, ოღონდ მოიღეთ თქვენი წყალობა და მე თქვენს ნაბრძანებს დაუყოვნებლივ შევასრულებ, თქვენი მუხლების ჭირიმე.

მოლოკნის ბოლანასკნელი სიტყვები თითქმის არც კი ისმოდა, ვინაიდან მისი ტუჩები პავლეს ფეხსაცმელს დაჰკროდა და გაშმაგებით კოცნიდა.

გამხდარი და მწითური მოლოკნის ეს საქციელი ძლიერ მოეწონა პავლეს და ნასიამოვნები ადამიანის ხმით წარმოსთქვა:

— აი, ჩემი სახელმწიფოს ნამდვილი ქვეშევრდომი... როსტოპჩინ, მე მას ვუწყალობებ სამას სულს და გარდა ამისა, მონანიებულს შეუქმენით ყველა პირობა, რომ იგი მდიდარი ვაჭარი გახდეს, შენ რაო? — მიუბრუნდა პავლე ხანშიშესულსა და მსუქან მოლოკანს.

— ჩემში ვერ ნახავთ სულმოკლეობასა და ფარისეველობას, თქვენს ჭეშმარიტ ქვეშევრდომთა დამამშვენებელს... მოიმოქმედეთ, რასაც ისურვებთ... თქვენ ჯიუტი მეფე ხართ, მე ურჩი ქვეშევრდომი...

ახლა კი საშინლად განრისხდა პავლე.

— წაიყვანეთ ახლავე და ასე გადაეცით გენერალ-პროკურორს: ცხვირის ნესტოებში ლურსმანი გაუყარონ, სახე შანთებით დაუდაღონ და ენა ძირში მიაჭრან, შემდეგ კი ციმბირში სამუდამო საკატორღო სამუშაოზე!

— თქვენ მშვენიერი გასართობი გქონიათ — მეფობა, უცხვირო მეფევ! — ზიზღით მიახალა ხანშიშესულმა და მსუქანმა მოლოკანმა.

პავლეს თავისი პატარა ცხვირის ნესტოები საშინლად დაეჭიმა და თვალები უსაზღვროდ გაუფართოვდა, ისედაც მოშ-

ლილი ნერვები მთლიანად მოეშალა და ჩახლეჩილი ხმით ძლივს წამოისროლა რამდენიმე სიტყვა:

— გაიყვანეთ, ახლავე გაიყვანეთ და დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჩემი ბრძანება... ესეც, ესეც თან მიაყოლეთ.

პავლემ მიუთითა მეორე მოლოკანზე, რომელიც ისევ მიწაზე ეგდო და პავლეს ფეხების ნატერფალს ჰკოცნიდა.

როდესაც მოლოკნები გაიყვანეს, პავლემ სვეჩინი შეამჩნია და ახალი ამბავის გაგებით დაინტერესებული ოდნავ დაცხრა.

— ჰო, რაო?.. რა დაემართა თავად ბაგრატიონს?

პავლე უკვე დამშვიდებული შეეკითხა სვეჩინს.

— შეყვარებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა სვეჩინმა.

—ვინ უყვარს?

— გრაფის ასული ელიზავეტა პავლოვნა სკავრონსკაია.

— მერე დაღვრემილობა რა შუაშია? იგი რაღაც ჩაფიქრებული და მოწყენილია.

— გრაფის ასული არ თანაუგრძნობს.

— ეს შეუძლებელია. ხვალვე მოუხმეთ ჩემთან ზამთრის სასახლეში სტატს-დამა სკავრონსკაიას ქალიშვილითურთ... გრაფის ასული საქორწილოდ იყოს მორთული... გენერალ ბაგრატიონს კი აცნობეთ, რომ საგუშაგოს შეცვლის შემდეგ ჩემთან დარჩება.

* * *

ზამთრის სასახლეში იმპერატორის ბრძანებისამებრ თავი მოეყარათ სტატს-დამა ეკატერინე ვასილის ასულ სკავრონსკაიას, საქორწილოდ მორთულ ელიზავეტა პავლოვნას და მათ ახლო ნათესავებს, აქვე იყვნენ თითქმის ყველა დიდებულნი და კარისკაცნი, რომლებიც სასახლის მღვდელთან ერთად მოუთმენლად ელოდნენ იმპერატორის გამოსვლას.

მოუთმენლობა და ნერვიულობა განსაკუთრებით ეკატერინე ვასილის ასულს და მის საპატარძლოდ გამოწყობილ ქალიშვილს ელიზავეტა პავლეს ასულს ეტყობოდა.

ეკატერინე ვასილევნა, თუმცა ხმადაბლა და მხოლოდ თავის ახლობლების ჯგუფში საუბრობდა, მაგრამ მისი მღელვა-

რებისა და უკმაყოფილების მიზეზი ყველასათვის გასაგები იყო.

— ნუთუ მართლა, ნუთუ ნამდვილად უნდა მოხდეს ეს საშინელი ქორწინება? იგი ხომ საშინელი ვინმეა!

დედის სიტყვებს ელიზავეტამ თავისიც დაუმატა.

— მე ის მძულს, მაგრამ ძლიერ მომწონს მისი სახელი.

— გამოდის, რომ თქვენ ერთის მხრივ თანახმა ხართ და მეორე მხრივ კი უარს ამბობთ, — ჩაერია მათ საუბარში სასახლის მღვდელიც.

— ო, წმიდა მამაო... მე სრულ უარს ვამბობ, მაგრამ ვინ გაექცევა მეფის ბრძანებას! რას ვფიქრობდი და რა ამისრულდა. საშინლად მაწუხებს და მოსვენებას არ მაძლევს ბაგრატიონთან ბრძოლის წაგება. ნუთუ მან ყველგან და მუდამ უნდა გაიმარჯვოს? მაგრამ არა, ისე ვანანო... და სიტყვა ველარ დაამთავრა. მას საშინლად აწუხებდა ბაგრატიონთან ბრძოლის წაგება, რასაც არასოდეს არ ფარავდა, მაგრამ ფარულად ძლიერ მოსწონდა ბაგრატიონის სახელი, მისი სიდიადე, მისი ვაჟკაცური იერი და გულის ფანცქალითა და დიდი სურვილით ელოდა მასთან შეუღლებას.

ეკატერინა ვასილევნა მღვდელს შეევედრა:

— წმიდა მამაო, გვიშველეთ რამე და დაგვეხმარეთ, გადაგვადებინე ეს საშინელი ქორწინება. მერე კი ბაგრატიონი იქნებ ცოცხალიც არ დაბრუნდეს ბრძოლის ველიდან. ანდა თვით მეფემ გადაიფიქროს თავისი სურვილი.

— სიამოვნებით, მაგრამ როგორ, თვითონ არ ვიცი.

შეწუხდა წმიდა მამა და ფიქრს მიეცა რაიმე საშუალების გამოსანახავად.

— მე მიკვირს, რატომ არ გსურთ ბაგრატიონის მოყვრობა? მისი სახელი გრგვინავს მთელ რუსეთში და საზღვარგარეთ. გარდა ამისა, იგი თვალტანადაც მოსაწონია, — თითქმის გულისწყრომით ეუბნებოდა გაკვირვებული როსტოპჩინი ეკატერინე ვასილევნას, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, სრულებით არ სიამოვნებდა როსტოპჩინის სიტყვები.

— ო, იგი სრულებითაც არ არის ჩვენი ტოლი... ჩვენი იდეალი ფრანგულად აღზრდილი დიდებული პიროვნება იყო... ბაგრატიონი კი გაჟღენთილი ჯარისკაცური სულისკვეთებით —

პირწავარდნილი სუვოროვია, მასავით ჯიქური და პირდაპირი.

— მაგრამ იგი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფროსახელოვანი ადამიანია.

ეკამათებოდა როსტოპჩინი ეკატერინეს, რომელიც უცებ მღვდელს მიუბრუნდა და თითქმის ხმამაღლა წამოიძახა.

— ევრიკა... მოვიგონე... ამჟამად ხომ დიდი მარხვაა... ვის გაუგონია დიდ მარხვაში და ისიც დიდებულთა დაქორწინება!

— ეგ აზრი მართლაც ჩინებულია, რატომ გამომრჩა მხედველობიდან?

— ალბათ, გეგონათ თქვენს ღვაწლს არ დავაფასებდით... დაგვეხმარეთ როგორმე და გასამრჯელოდ ათას მანეთს მიიღებთ ოქროთი.

— სიამოვნებით, — თითქოს დაეთანხმა მღვდელი, — მაგრამ მეფე არ დათანხმდება... იმან კარგად იცის, რომ ახლა დიდი მარხვაა, მიუხედავად ამისა, მისმა უდიდებულესობამ მაინც დღეისათვის დანიშნა ეს ქორწინება.

— წმიდა მამაო, ხამ ათას მანეთს...

— ნაკურთხი მეფის მოტყუება დიდი ცოდვაა, რომლის გამოსასყიდად პეტერბურგის ყველა საყრდის ყოველი ხატის წინ ჩემი სიმაღლის სანთლის დანთება მომიხდება...

— პეტერბურგის საყდრებთან ერთად მოსკოვის საყდარშიც დაანთეთ სანთლები. მიიღეთ ხუთი ათასი მანეთი... ოღონდ როგორმე დაარწმუნეთ მეფე, რომ ქორწილის გადადება აუცილებელია...

— მოსკოვში საყდრები პეტერბურგზე უფრო მეტია და მათში უთვალავი ხატებია.

— წმიდა მამაო, შვიდი ათასი მანეთი მიიღეთ.

— აქედან მოსკოვამდე დიდი გზაა და თითქმის ყოველ ნაბიჯზე საყდრებს შეხვდებით... საჭიროა ყოველ მათგანში სანთლის ანთება.

— წმიდა მამაო, ცხრა ათასი მანეთი ოქროთი...

— ყველა საყდრის წინ ყოველ გლახას და ყოველ მათხოვარს მე, ცოდვილმა, საჩუქარი უნდა...

— წმიდა მამაო, კმარა... ათი ათასი მანეთი...

მღვდელი მიხვდა, გასამრჯელო საკმაოდ დიდი იყო, მეტის მოთხოვნა კი უხერხული და დათანხმდა.

— ვეცდები ღვთის სახელით წარვდგე მეფესთან.

ამ დროს თვით პავლე შემოვიდა ბაგრატიონისა და ამალის თანხლებით.

საერთო მისალმების შემდეგ პავლემ დამხვდურთ თვალი გადაავლო, ინგლისის ელჩი შეამჩნია და პირველად მას გამოესაუბრა.

— დღეს თქვენ თავად ბაგრატიონის ქორწილში ხართ დაპატიჟებული. გუშინ სად ისადილეთ, ბატონო ელჩო?

ქორწილის გახსენებაზე სტატს-დამა ეკატერინე ვასილევნას ფერი ეცვალა.

მეფის შეკითხვაზე ელჩმა მოწიწებით, თითქმის რევერანსით წამოიწყო თავისი პასუხი.

— გუშინ, თქვენო უდიდებულესობავ, თავად კურაკინთან ვისადილე. იგი ნამდვილად დიდი ბატონია.

პავლემ წარბი შეიკრა და ელჩს უკმაყოფილო ტონით და ყველას გასაგონად უპასუხა:

— ბატონო ელჩო, არ არსებობს სხვა დიდი ბატონი, გარდა იმისა, ვისთანაც მე ვლაპარაკობ, და ისიც მხოლოდ ის დროს, როცა მე ველაპარაკები.

პავლემ ერთხელ კიდევ შემოავლო თვალი დამსწრეთ და შემდეგ სასახლის მღვდელს მიუბრუნდა.

— თქვენ რას იტყვით, წმიდა მამაო, დროა?

მღვდელს უცებ ათი ათასი მანეთი ოქროთი დაუდგა თვალწინ და დაუყოვნებლივ მოახსენა მეფეს.

— ჩვენო უფალო, თქვენო უდიდებულესობავ, იქნებ გადავდებთ ამ ჯვარისწერას, ჯერ კიდევ დიდი მარხვის დღეებია და...

პავლე გაჯავრდა და მღვდელს სიტყვა შეაწყვეტინა.

— ქორწილი გადაწყვეტილია. ბაგრატიონი ამ დღეებში სალაშქროდ მიდის.

თავის გასამართლებლად მღვდელმა მხოლოდ სამიოდე სიტყვის თქმა მოახერხა

— დედოფალს ცოდვა აშინებს.

პავლემ მღვდლის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და ბაგრატიონს მიუბრუნდა:

— თქვენ რას იტყვით, თავადო? გსურთ თუ არა დაქორწინება?

— ეს ჩემთვის ბედნიერებაა.

უპასუხა ბაგრატიონმა.

— ჩემი სურვილი ყველა ჩემი ქვეშევრდომისათვის ბედნიერებაა. — მისთვის ჩვეული სიამაყით და ცხვირის აბზეკით თქვა პავლემ და ახლა ელიზავეტა პავლოვნას მიუბრუნდა.

— როგორც ვატყობ, თქვენ უკვე იცით ჩემი სურვილი!

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ! — ძლივს უპასუხა აცახცახებულმა ელიზავეტა პავლოვნამ.

— გსურთ დღესვე გაჰყვეთ თავად ბაგრატიონს?

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ!

ელიზავეტა პავლოვნას სიტყვებზე პავლეს გაეღიმა და მღვდელს ხუმრობით მიმართა:

— წმიდა მამაო, ტყუილის თქმა დიდ მარხვაში მეტი ცოდვაა, ვიდრე შეყვარებულთა დაქორწინება. როგორ ფიქრობთ?

— სავსებით სწორია, თქვენო უდიდებულესობავ! — ძლივს წაილუღლუღა მღვდელმა და სირცხვილისაგან თავი დახარა.

ეკატერინე ვასილევნა ფერწასული და გაოგნებული იდგა და გულწასული ძირს დაეცემოდა, გრაფი როსტოპჩინი რომ დროზე არ მიშველებოდა.

— წავიდეთ საყდარში! — გაისმა პავლეს ბრძანება და ცოტა ხნით იქაურობა სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა.

ელიზავეტა პავლოვნამ ხელი გაუყარა მკლავში ბაგრატიონს და სიყვარულითა და ალერსით სავსე თვალებით მიაცქერდა თავის მომავალ მეუღლეს.

პავლე ნეფე-დედოფალს გვერდით ამოუდგა და ყველანი მთავარანგელოზ მიხეილის ეკლესიისაკენ გაემართნენ.

* * *

ქორწილის შემდეგ ბაგრატიონმა და მისმა უკვე კანონიერმა მეუღლემ ელიზავეტა პავლოვნამ პირველი ღამის ნახევარზე მეტი თითქმის უსიტყვოდ გაატარეს.

ნაშუაღამევს ელიზავეტა პავლოვნა თვითონ ესტუმრა ბაგრატიონს საწოლ ოთახში.

გვიან დილით ორივეს ტკბილად ჩაეძინა.

ძილში ბაგრატიონს მომაკვდავი სუვოროვი დაესიზმრა, რამდენჯერმე ღრმად ამოიკვნესა და გამოეღვიძა.

ჯერ კედლის საათს და კალენდარს გახედა. ისრები უკვე საღამოს ექვს საათს უჩვენებდნენ, კალენდარი კი 5 მაისის დადგომას... მერე...

ელიზავეტა პავლოვნას ბაგრატიონის მკლავზე ეძინა. სახეს ღიმილი შერჩენოდა. ვარდისფერი ტუჩები ოდნავ გახსნოდა და მარგალიტებივით ჩამწკრივებული კბილები გამომწვევად მოუჩანდა, ნაწნავები ოქროს გველებივით შესეოდნენ ბალიშს და ლამაზ სახეს ვნებისა და ნეტარების ღიმილი გადაჰფენოდა. მარჯვენა ხელი ბაგრატიონის ვაჟკაცურ მკერდზე დაედო, მარცხენა ხელის თითები კი ბაგრატიონისავე ხუჭუჭა თმებში სავარცხელივით გაეყარა.

ქალღმერთზე გამარჯვებულ მხედართმთავარს ტკბილად გაეღიმა, სილამაზის დამამშვენებელი თითებისაგან თავი ფრთხილად გაითავისუფლა, ცდუნებას სძლია, საყვარელ მასწავლებელზე ფიქრშეპყრობილი ლოგინიდან წამოდგა, ხალათი ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა.

გაფითრებულმა მოახლემ ბაგრატიონს საშინელი ამბავი მოახსენა: მისი ბრწყინვალება ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვი უკანასკნელ დღეშიაო.

მიუხედავად იმისა, რომ ახლადდაქორწინებულთ იმ საღამოს სტუმრები უნდა სწვეოდნენ, ერთი საათის შემდეგ ბაგრატიონი ექიმთან ერთად, მზითვად მიღებული სკავრონსკაიასეული მდიდრული კარეტით ხვოსტოვის სახლისაკენ მიჰქროდა.

* * *

პეტერბურგში სუვოროვის დაბრუნებიდან სრული ორი კვირა გავიდა.

1800 წლის 5 მაისი ახალი დაღამებული იყო. სულ რაღაც ხუთი წუთის წინ სუვოროვის მიერ მეორეჯერ გამათრახებული იმპერატორის მოგზავნილი დოლგორუკოვი წავიდა და ხვოსტოვის სახლს პეტრე ბაგრატიონი მიადგა ექიმის თანხლე-

ბით. მიუხედავად იმისა, რომ ყველას სასტიკად ეკრძალებოდა სუვოროვის ნახვა, ბაგრატიონმა მაინც დაარღვია იმპერატორის ბრძანება და მხოლოდ მან ერთმა მოინახულა თავისი ძვირფასი მასწავლებელი და მეგობარი, რომელსაც იგი მამას ეძახდა. სავარძელში ჩამჯდარი ბაგრატიონი მძინარე სუვოროვს სიყვარულითა და მზრუნველობით სავსე თვალებით უცქეროდა, მოშორებით მჯდარი ექიმი კი თვითონ ბაგრატიონს შესცქეროდა, წინა ღამის უძინარს, რული ერეოდა..., გაბაფხულის მოკლე ღამე კარგა ხანია მიილია. ინათა კიდევაც, მაგრამ მაინც ადრე იყო და სუვოროვს ისევ ეძინა... სიზმარს ხედავდა და დროგამოშვებით ბოდავდა — პროზოროვსკი... რეპნინი... რუმიანცევი... პოტიომკინი... აახ, პავლე, იმპერატორი პავლე! მიხაილო, როგორ ხარ, ჩემო ცალთვალო ვაუკაცო? ეს ხომ ჩემი კუტუზოვია... ვაშა, დიდება! იზმაილი, რიმნიკი, გენუა, პრაღა, ვარშავა, სენ-გოტარდი, პანიქსი! მიჰყევით, — ჩემო საარაკო დევგმირებო, ბაგრატიონი ყველგან გაგიყვანთ! სამხედრო ნაბიჯი — არშინი... წინ! თავი კუდს არ უცდის, მტერს მძლავრად მიაწექით, უფრო მეტად, უფრო ძლიერად, ჩემი ბაგრატიონი... გამარჯვება, ვაშა, დიდება!

სუვოროვი შეიშმუშნა, პირაღმა გადმოტრიალდა, თვალები გააღო და ერთხანს განცვიფრებით შესცქეროდა მოღიმარ ბაგრატიონს, ექიმს კი სავარძელში ჩასძინებოდა

* * *

1800 წლის 6 მაისი. უკვე შუაღამე ახლოვდებოდა. ბაგრატიონი ერთი წუთითაც არ მოშორებია სუვოროვის საწოლს. ამობურთული და სისხლგამოცლილი ძარღვებიანი, ძლიერ დანაოჭებული სუსტი ხელი სუვოროვს ახლო მჯდომი ბაგრატიონის მკლავზე დაედო და გატაცებით ესაუბრებოდა თავის საყვარელ მოწაფესა და მეგობარს.

— რუსეთის იმპერატორის სასახლეში აღარ უშვებენ რუსეთის გენერალისიმუსს, გესმის, თავადო პეტრე?! მე ხშირად ვყოფილვარ სასახლეში, მაგრამ არა კარისკაცად, არამედ ეზოპედ, ლაფონტენად, ხუმრობით და მხეცების ენაზე ვლაპარაკობდი სიმართლეს ბალაკირევის მსგავსად; ვიკრუნჩხებოდი და

ვიმანჭებოდი, მამალივით ვყიოდი მთვლემარეთა გასაღვიძებლად, მსურდა კეისრის კეთილშობილი სიამაყე მქონოდა, მაგრამ გავურბოდი მისგან გამოწვეულ მანკიერებას. ხშირად ბრიყვადაც მთვლიდნენ, ეგონათ არ ვიყავი ეშმაკი, მაგრამ ის როდია ეშმაკი, ვისაც ეშმაკად თვლიან.

ამ დროს ოთახში „სუვოროჩკას" თანხლებით ცნობილი მხატვარი მილერი შემოვიდა, მას საგანგებოდ აეღო მ[illegible]ეაკვდავი სუვოროვის დახატვის ნებართვა. როცა მილერმა [illegible]ისვლის მიზეზი აუწყა, სუვოროვს სიცილი აუტყდა.

— მეგობარო, ტყუილად გარჯილხართ, — უკვე სერიოზული ტონით მიმართა სუვოროვმა მილერს, — თქვენ თუ გენერალისიმუს სუვოროვის დახატვა გსურთ, იცოდეთ, რომ თქვენი ფუნჯით მხოლოდ ჩემი სახის მოჩვენებით ნაკვთებს დახატავთ, მაგრამ შინაგანი ადამიანი ჩემში დამალულია. მე ხშირად ვყოფილვარ ძალიან პატარა, ხშირად ძალიან დიდი და, თუ მხოლოდ მომაკვდავი ადამიანის დახატვა გსურთ, მაპატიეთ, მაგრამ ეს დიდი უზრდელობაა.

სუვოროვს ისევ აუტყდა სიცილი, მერე უცებ მოიღუშა, წარბები და გაქვავებული თვალებით მიაცქერდა მილერს, რომელიც ხაფანგში გამომწყვდეულივით გრძნობდა თავს, უკან-უკან იხევდა კარებისაკენ და, როცა ზღურბლამდე მიაღწია, დაბნეული და შეშინებული, არც კი დამშვიდობებია არც სუვოროვსა და არც ბაგრატიონს, ისე გავიდა ოთახიდან.

— აი, ჩემო ძვირფასო, — განაგრძო სუვოროვმა, — ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, უტაქტოაო. ჩემი ტაქტიკა კი როგორც ცხოვრებაში, ისე ომში აი როგორია: მამაცობა, ვაჟკაცობა, გამჭრიახობა, წინდახედულობა, წესრიგი, ზომიერება. თვალზომა, სისწრაფე, დაწოლა, ჰუმანურობა, სიმშვიდე. ჩემი საყვარელი წესია — „წინ", მაგრამ უკანაც უნდა მოიხედო. მოწინააღმდეგეს ჰგონია, რომ ჩვენ ასი, ორასი ვერსით ვართ დაშორებული, შენ კი ნაბიჯი გაიორკეცე, დევგმირულად გასწიე წინ, დაესხი სწრაფად, მოულოდნელად... მოწინააღმდეგე მღერის, სეირნობს, სუფთა მინდორზე გელის, შენ კი მთების იქიდან, დაბურული ტყიდან დაატყდი თავს მეწყერივით. მხედართმთავარი არასოდეს არ უნდა შეაჭოჭმანოს მტრის სიჭარ-

ბემ. იბრძვიან არა ჭარბი რიცხვით, არამედ უნარით. ანდერ-ძად კიდევ ერთს გეტყვი, ჩემო თავადო პეტრე!.. წინასწარ გა-ნჭვრიტე და ასე მოიქეცი: მოულოდნელ შემთხვევაში მდგომა-რეობის მიხედვით იმოქმედე. მტერს მკაცრად მოექეცი. მაგრამ შეწყალებაც უნდა იცოდე, სხვაფრივ სიმკაცრე ტირანობაა.... მტერი დაგნებდა — შეიწყალე. მე სისხლის ნაკადულები მიღ-ვრია და ეს მაძრწუნებს, მაგრამ მიყვარს მოყვასი, არავინ არ გამიუბედურებია, ხელი არ მომიწერია არც ერთი სასიკვდილო განაჩენისათვის, ჭიანჭველაც კი არ გამისრესია. გარდა ამისა, ჩემო ძვირფასო, წინასწარ ისწავლე სხვისი შეცდომების პა-ტიება და ნურასოდეს ნუ აპატიებ შენს თავს საკუთარ შეც-დომებს. შენ გიცქერი, ჩემს წარსულს ვხედავ და ამიტომაც ჩემს შემცვლელად შენ აგირჩიე — იქნები სახედ და მსგავსად სუვოროვისა.

ბაგრატიონს თვალებზე ცრემლი მოადგა, თავი დახარა... სუვოროვი მძიმედ სუნთქავდა, თვალს არ აშორებდა საყვა-რელ „თავად პეტრეს". უცებ გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა შე-აზანზარა მთელი სახლი. სუვოროვმა გადაიხარხარა და ბაგრა-ტიონს მკლავში ხელი წაავლო: — ხედავ, თავადო პეტრე, სუ-ვოროვს უხმობენ, სასახლეში სიარული ამიკრძალეს, საიქიო-ში კი მეპატიჟებიან. აი, მივდივარ კიდევაც და ჩემს ნაცვლად შენ გტოვებ, იცოდე. გარდა ამისა, კიდევ ერთს გეტყვი, ჩემო ძვირფასო... მუდამ გახსოვდეს: ომში უბედობა დიდი ჭირია, უნიჭობა კი უბედურება... უნიჭო და უბედური სარდალი უდი-დესი დამნაშავეა. ჩემი ბაგრატიონი კი გულოვანია, მარჯვე, მა-მაცი, შეუპოვარი, ჭკვიანი და ბედიც სწყალობს... ეს კი უკვე გამარჯვებაა.

ისევ გაიელვა და კვლავ საშინლად იჭექა, სუვოროვს თით-ქოს მეხი დაეცაო... უცებ დადუმდა, თავი პირაღმა დადო ბა-ლიშზე და თვალები ჭერს მიაპყრო, მაგრამ უკვე ვერაფერს ხე-დავდა, აზრსაც ნისლი გადაეფარა, ძარღვებში სისხლის მოძ-რაობამაც იკლო და, როგორც ეტყობოდა, აგონია დაიწყო.

— იზმაილი... რიმნიკი... სენ-გოტარდი... წინ... გამარჯვე-ბა. ვაშა... დიდება!, წამოიძახებდა ხოლმე სუვოროვი და ლია თვალებით კვლავ ჭერს შესცქეროდა, მაგრამ ისევ ვერაფერს

ხედავდა... უცებ კისერი თითქოს ბასრი ნაჯახით გადაჭრესო, თავი გვერდზე გადაუვარდა, ხელი, რომელიც ბაგრატიონის მკლავზე ედო, მოცელილივით მოწყდა და საწოლზე დაეკიდა. ბაგრატიონმა ხარივით იბღავლა და მუხლმოდრეკილი დაემხო ჯერ კიდევ თბილი ცხედრის წინაშე. ხმაურზე „სუვოროჩკა" შემოვარდა და როცა მის წინ გადაშლილი საზარელი სურათი დაინახა, თვალები დახუჭა, უკან დაიხია და გულწასული კედელს მიეყრდნო. კედელზე კი საათმა ხუთჯერ დარეკა, შუადღის ხუთი საათი იყო, კალენდარი 1800 წლის 6 მაისს უჩვენებდა.

იმპერატორ პავლეს ბრძანებით გენერალისიმუსი სუვოროვი ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს. 12 მაისს თითქმის მთელი პეტერბურგი მონაწილეობდა სამგლოვიარო პროცესიაში. არ იყვნენ მხოლოდ პავლე პირველი, მისი კარისკაცები და დიდებულები. იმპერატორი თავისი ბრწყინვალე ამალით იმ დღეს სეირნობდა და ნევისა და ბაღის ქუჩების კუთხეში კინაღამ სუვოროვის დაკრძალვის პროცესიას შეეყარა, მაგრამ პავლემ დროზე მოასწრო და, სანამ სამგლოვიარო პროცესია მოახლოვდებოდა, მისივე ბრძანებით იმპერატორის კარეტამ და იმპერატორისავე ამალის მთელმა ეკიპაჟმა ბაღის ქუჩისაკენ შეუხვია. როცა ნეშტი საფლავში ჩაუშვეს და მიწყნარდა თოფებისა და ქვემეხთა სალუტი, ლავრაში სულ რამდენიმე კაცი დარჩა. ესენი იყვნენ სუვოროვის ახლობელი ადამიანები, რომელთა შორის პეტრე ბაგრატიონი, თვითონ სუვოროვის ნაჩუქარ ხმალზე დაყრდნობილი, თვალებკრემლიანი დასცქეროდა საფლავს, რომელსაც იმ წუთში მარმარილოს დიდი ლოდი დააფარეს. ლოდზე არაფერი ეწერა. ბევრმა ძალიან გრძელ-გრძელი ეპიტაფია მოიტანა საფლავის ლოდზე დასაწერად, მაგრამ ბაგრატიონმა არც ერთი მათგანი არ ცნო სუვოროვის საფლავის დამშვენების ღირსად.

ბაგრატიონს გაახსედა სუვოროვის სიტყვები, რომლებიც ავსტრიის გენერალისიმუს ლაუდონის საფლავთან თქვა ძეგლზე გაკეთებული ძალიან გრძელი ეპიტაფიის გამო: „რა საჭიროა ეს? როცა მე დამასაფლავებენ, დეე უბრალოდ დააწერონ: „აქ წევს სუვოროვი".

* * *

თვითონ ბაგრატიონსაც კი უკვირდა, პავლემ რომ არ დასაჯა ურჩობისათვის.

სამაგიეროდ ახლადშერთული მეუღლის იერიშები ძლივს მოიგერია.

ელიზავეტა პავლოვნა საშინლად აჩჩხლობდა. რასაც ხელს უწყობდა დედამისის — ეკატერინე ვასილევნას მიერ დანთებული ცეცხლიც.

მათი აზრით, გამართლდა ის საშიშროება, რომელსაც ისინი ბაგრატიონისაგან მოელოდნენ: მან უმაღლესი არისტოკრატიული საზოგადოების წევრისათვის მიუტევებელი საქციელი ჩაიდინა: ახლადშერთული მეუღლე, რომელიც მის მწუხარებას არ იზიარებდა, რამდენიმე დღით უყურადღებოდ მიატოვა, არც მის ნათესავებს გაუწია ანგარიში და მთელი დღეღამე მეფის მიერ შერისხული მომაკვდავი სუვოროვის სასთუმალთან გაატარა. ესეც არ იკმარა, სუვოროვის დასაფლავებამდე და მის შემდეგ რამდენიმე დღეს თვალში არავინ უჩანდა.

ელიზავეტა პავლოვნამ მალე ავადმყოფობა მოიმიზეზა და დედასთან ერთად ბადენ-ბადენს გაემგზავრა სამკურნალოდ.

შემდეგ ნეაპოლს ესტუმრნენ, მერე ვენეცია, მილანი, რომი და ფლორენცია მოინახულეს, იქიდან ვენაში ამოყვეს თავი, პარიზში კი ელიზავეტა პავლოვნა მარტო დარჩა და მოაწყო ფრიად საინტერესო და მდიდრული სალონი, სადაც მაშინდელი საფრანგეთის ბრწყინვალე არისტოკრატია იკრიბებოდა.

ბაგრატიონის მეუღლედ ითვლებოდა, ბაგრატიონის გვარსაც ამაყად ატარებდა, მაგრამ ქმართან აღარ ცხოვრობდა, მეუღლესთან ერთად ოჯახი არ შეუქმნია.

რაც შეხება თვითონ პეტრე ბაგრატიონს, იგი მართლაც ბოლომდე „სახედ და მსგავსად სუვოროვისა“ დარჩა და მანაც არმიაში ჰპოვა ოჯახი მებრძოლი მეგობრებისა და ჯარისკაცების სახით.

ერთგულება, რომელიც ბაგრატიონმა თავისი დიდი მასწავლებლისა და მეგობრისადმი გამოიჩინა, ყველას პირზე ეკერა და სანიმუშოდ გადაიქცა მისი დროის საუკეთესო ადამიანებისათვის.

მრავალ საბრძოლო ჯილდოს შორის ბაგრატიონი ყველაზე უფრო მეტი სიამაყითა და სიყვარულით მუდამ თან ატარებდა სუვოროვის ნაჩუქარ ოქროს ხმალს.

სუვოროვის უერთგულესი მეგობარი, ნიჭიერი ბოწაფე და მისი ტრადიციების საუკეთესო განმგრძობი პეტრე ბაგრატიონი მუდამ მოქმედებდა თავისი დიდი მასწავლებლის დევიზით: „იბრძვიან არა ჯარბი რიცხვით, არამედ უნარით“.

მტრებიც კი იძულებული იყვნენ ელიარებინათ ბაგრატიონის დიდი მხედართმთავრული ნიჭი. იგი შიშის ზარს სცემდა საფრანგეთის გენერლებს და მარშლებს, თურქეთის ფაშებსა და სერასკირებს. ნაპოლეონმა, რომელსაც არაერთგზის მოუხდა თავისი საუკეთესო მარშლების გაგზავნა ბაგრატიონის წინააღმდეგ, აღიარა: გენერალი ბაგრატიონი რუსეთის არმიის ყველაზე უკეთესი გენერალიაო.

საუკეთესო ადამიანურმა თვისებებმა, დიდმა მხედრულმა ნიჭმა და მამაცობამ ქართველი ვაჟკაცი რუსი ჯარისკაცებისა და რუსი ხალხის საყვარელ ადამიანად აქცია.

— არწივი! — ასე ეძახდნენ ჯარისკაცები საყვარელ გენერალს.

მასზე სიმღერებს თხზავდნენ. ბოგ-რატი-ონ (მხედრობის ღმერთი) — ასე გაიაზრა რუსმა ჯარისკაცმა დიდი მხედართმთავრის ქართული გვარი.

შენგრაბენი

ეგვიპტიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა, რაკი იგრძნო მთელი სამხედრო ძლიერება ჩემს ხელშიაო, 1799 წლის 18 ბრიუმერს (9 ნოემბერს) მსხვილი ბურჟუაზიის მხარდაჭერით სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. დირექტორიის მთავრობა წარსულს ჩაბარდა და მთელმა ძალაუფლებამ სამი კონსულის ხელში მოიყარა თავი. მალე 1802 წელს ნაპოლეონმა, როგორც პირველმა კონსულმა, უმაღლესი ხელისუფლების უზურპირების გზით თავისი თავი გამოაცხადა სამუდამო კონსულად. ესეც არ იკმარა და 1804 წელს აბსოლუტური ხელისუფლების მოყვარულმა, დიქტატორული სურვილებით გამსჭვალულმა ნაპოლეონმა მოახერხა საფრანგეთი იმპერიად გა-

შოეცხადებინა და თავისი თავი კი იმპერატორ ნაპოლეონ პირველად. საფრანგეთში დამყარდა იმპერატორ ნაპოლეონ პირველის შეუბღალავი ხელისუფლება, — გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს აბსოლუტური სამხედრო დიქტატურა.

საფრანგეთის მსხვილმა კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიამ გამარჯვების პირველ დღეებშივე ფეხქვეშ გათელა რევოლუციის მონაპოვარი და ძირფესვიანად შეცვალა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა. დაპყრობითმა ომებმა ნაპოლეონი გაათამამა, იგი მსოფლიო ბატონობის სენმა შეიპყრო, საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის აგრესიულ პოლიტიკას ევროპის მესამე ანტიფრანგული კოალიციის შექმნით უპასუხეს. მისი სულისჩამდგმელი იყო ინგლისი. ამ კოალიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ინგლისი, რუსეთი, ავსტრია, შვედეთი და ნეაპოლიტანიის სამეფო. ინგლისი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ფინანსურ დახმარებას უწევდა მოკავშირეებს.

ამგვარად, 1805 წელს დაიწყო მესამე კოალიციის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. კოალიციური თათბირის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით ავსტრიას უნდა გამოეყვანა 300 ათასი კაცი, რუსეთს გამოჰყავდა 250 ათასი, მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილები ძლიერ დაქსაქსული იყვნენ. რუსეთის პირველ არმიაში, რომელსაც პოდოლის არმია ეწოდებოდა, 57 ათასი მეომარი, 168 ქვემეხი იყო. ამ არმიას მეთაურობდა ინფანტერიის გენერალი მიხეილ კუტუზოვი. იგი 13 აგვისტოს გამოვიდა რაძიმილოვიდან და გზას გაუდგა ქალაქ ულმისაკენ, სადაც ავსტრიელთა არმიას უნდა შეერთებოდა. მეორე არმია, რომელსაც გენერალი ბუქსგევდენი მეთაურობდა, 40 ათასი კაცისაგან შედგებოდა, იგი დიდი მანძილით იყო დაშორებული პირველ არმიას. საჭიროების მიხედვით, უფრო შორი მანძილიდან უნდა გასულიყო მესამე არმია გენერალ ბენიგსენის მეთაურობით. გარდა ამისა, ამ ომში მონაწილეობისათვის რუსეთს მზად ჰყავდა გვარდია დიდი მთავრის კონსტანტინეს ხელმძღვანელობით. ეს არმია დიდად დაშორებული იყო ომის ასპარეზს. ყველა ამ არმიის მთავარსარდლად დაინიშნა კუტუზოვი, მაგრამ მისი უფლებები ძლიერ შეზღუდული იყო, მას არ ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად ეწარმოებინა ომის ყვე-

ლა ოპერაცია, ალექსანდრემ იგი დაუქვემდებარა ავსტრიელთა შტაბს. გარდა ამისა, თვითონ იმპერატორი ალექსანდრეც ერეოდა რუსეთის არმიების საომარ ოპერაციებში.

სანამ რუსეთის არმიები დაიძროდნენ ავსტრიელებთან შესაერთებლად, ნაპოლეონი დიდი ბრიტანეთის კუნძულების დაპყრობას ლამობდა. იგი უკვე მზად იყო ინგლისში დესანტის გადასასხმელად ბულონის მიდამოებში, სადაც ლამანშის ფორსირება ეწადა. „მე მჭირდება მხოლოდ ორი-სამი ნისლიანი დღე ლამანშზე და მე ვიქნები ლონდონის პარლამენტისა და ინგლისის ბანკის პატრონი“.

მაგრამ იმპერატორმა ნაპოლეონმა დროზე გაიგო რუსეთისა და ავსტრიის არმიების მოსალოდნელი შეერთების ამბები, სწრაფად შეცვალა ინგლისის დაპყრობის გეგმა და მთელი თავისი ძალებით ავსტრიისა და რუსეთის ჯარების წინააღმდეგ გამოემართა. იგი ბავარიისაკენ გაეშურა თავისი 200 ათასიანი არმიით, რათა ხელი შეეშალა რუსეთისა და ავსტრიის არმიების შეერთებისათვის და, მისთვის ჩვეული წესით, ცალ-ცალკე გაენადგურებინა ისინი.

ამ დროს კუტუზოვი უკვე დაინიშნა ავსტრიისა და რუსეთის არმიების სარდლად. ნაპოლეონის წინააღმდეგ მოქმედი ავსტრია-რუსეთის გაერთიანებული არმიების ავანგარდის შეთაურობა ბაგრატიონს დაეკისრა. ოქტომბრამდე რუსთა არმიამ შეუჩერებლად განვლო პულინი, ლვოვი, გდოგი, კალვარია, ანდრიხაუ, ვიშაუ, ბროუნი და უკვე ახლოს, ძალიან ახლოს იყო ვენა, ახლოს იყო განთქმული ვენის სალონი ელიზავეტა პავლოვნა ბაგრატიონისა...

ბაგრატიონი ღელავდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ ვენაში უეჭველად შეხვდებოდა ელიზავეტა პავლოვნას, რომელიც ისევე, როგორც თვითონ პეტრე ბაგრატიონი, მღელვარებას შეეპყრო, მოუსვენრად დაძრწოდა თავისი შედარებით პატარა, მაგრამ მდიდრული სასახლის აპარტამენტებში და წუთით წუთზე ელოდა კუტუზოვის შემოსვლას ვენაში... და ალბათ, პეტრე ბაგრატიონი, როგორც კუტუზოვის მარჯვენა ხელი, თავის შეფთან ერთად ესტუმრება ვენასო. ესტუმრება და განა შეიძლება, რომ არ შეხვდეს? არ შეხვდეს ქმარს? მეუღ-

ლეს? არ შეხვდეს ადამიანს, რომელიც ოთხი წელიწადი არ ენახა და რომლის გვარსაც იგი სიამაყით ატარებდა? არ შეხვდეს გმირს, რომლის სახელი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო მთელს ევროპაში? ელიზავეტა პავლოვნამ წინდაწინ წარმოიდგინა, თუ როგორი იქნებოდა მათი შეხვედრა... ისინი ერთმანეთის წინაშე დარცხვენილნი დახრიან თავს, მერე თვალს თვალში გაუყრიან, ორთავეს სახეზე ღიმილი გამოანათებს და მერე... მერე ერთმანეთს ჩაეხვევიან, ჰო, ჩაეხვევიან და ასე იქნებიან დიდხანს, მერე? მერე ავსტრიის მეფის სასახლე, სადაც ქმრიანი, მაგრამ ყველასათვის ცნობილი მარტოხელა, ბრწყინვალე კნეინა ბაგრატიონისა, უკვე მარტო აღარ იქნება წვეულებაზე...

როგორი სიამაყით წარდგება იგი სასახლის დიდებულებისა და თვითონ მეფის წინაშე, თავისი სახელგანთქმული ქმრის გვერდით. ფიქრობდა, ოცნებობდა და ღელავდა ელიზავეტა პავლოვნა და ნანატრი შეხვედრის მოლოდინში წამი წუთად ეჩვენებოდა, წუთი საათად და... უცებ ელიზავეტამ გაიგო, რომ კუტუზოვი უკვე ვენაში იყო. ბაგრატიონი კი არსად ჩანდა და... ტკბილ ოცნებას ფარდა ჩამოეფარა.

* * *

რუსეთისა და ინგლისის მოკავშირე ავსტრია ამ ომში უსუსური გამოვიდა.

კუტუზოვი ვენაზე გავლით, თავისი არმიით, გაეშურა ულმისაკენ, სადაც უნდა შეერთებოდა ავსტრიელთა ჯარს, რომელსაც ყოყოჩა და უნიჭო გენერალი მაკი სარდლობდა.

მაკი მისკენ მომავალსა და ჯერ კიდევ შორს მყოფ კუტუზოვს სწერდა: — „მე 70 ათასი ჯარისკაცი მყავს თოფქვეშ... მე გავაცამტვერებ ნაპოლეონის ყველა ჩანაფიქრს და მტერს დავუმზადებ ხვედრს, რომელსაც იგი იმსახურებს“.

ასეთივე ტრაბახით სავსე ბარათი გაგზავნა ავსტრიელმა მთავარსარდალმა ვენაში:

— არასოდეს და არავის არმიას არ ჰქონია ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა, როგორიც ჩვენს არმიას აქვს. ვწუხვარ, რომ ამჟამად აქ არ არის იმპერატორი და მის უდიდებუ-

ლესობას არ შეუძლია პირადად იყოს მოწმე მისი ჯარების ზეიმისა“.

მაგრამ გენერალ მაკის ტრაბახს დიდი ღღე არ ეწერა. ნაპოლეონმა ადვილად გაანადგურა ავსტრიის არმია ულმთან და დაატყვევა 36 ათასი კაცი. ტყვეობაში მოხვდა თვითონ გენერალი მაკიც, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ნაპოლეონმა რატომღაც გაათავისუფლა და ავსტრიას გაისტუმრა.

რუსეთის არმია, ყველაზე წინ კი მისი ავანგარდი ბაგრატიონის მეთაურობით, ბრაუნაუს უახლოვდებოდა. კუტუზოვი ამ დროს ვენასთან იყო, თითქმის ორასი კილომეტრით დაშორებული ბრაუნაუსგან. როგორც კი ვაიგო ავსტრიელების სასტიკი დამარცხების ამბავი, კუტუზოვმა გადაწყვიტა უკან დაებრუნებინა მთელი თავისი არმია, იგი იძულებული იყო ბაგრატიონის ავანგარდისათვის დაევალებინა არიერგარდის ფუნქციები. ავსტრიელთა კაპიტულაციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთის პოდოლის არმია. ვინაიდან ბუკსგევდენის ჯარი, რომელიც კუტუზოვს უნდა შეერთებოდა, ჯერ კიდევ შორს იყო. შორს იყო ბენიგსენის არმიაც, დიდი მთავრის კონსტანტინეს გვარდიაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომ მათ არ შეეძლოთ დროზე მიშველებოდნენ კუტუზოვს და იგი იძულებული გახდა უკან დაეხია.

* * *

ბაგრატიონი შეჩვეული იყო პირველი დარტყმის მიღებას. იგი ხომ მუდამ რუსეთის არმიის ავანგარდს, ანდა არიერგარდს ხელმძღვანელობდა. მან მისთვის ჩვეული ოსტატობითა და მამაცობით დაიფარა რუსეთის არმიის უკანდახევა კრემსამდე. აქ კი კუტუზოვმა დუნაიზე გადასასვლელი ერთადერთი ხიდი ავსტრიელებს მიანდო, მაგრამ ავსტრიელებმა აქაც ბედოვლათობა გამოიჩინეს და ეს ხიდი ადვილად დაკარგეს. კუტუზოვის შედარებით მცირერიცხოვანი არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. იგი ყოველგვარი დამხმარე ძალების გარეშე პირისპირ რჩებოდა ნაპოლეონის 200 ათასიანი არმიის წინაშე. კატასტროფა გარდაუვალი ჩანდა. საჭირო იყო ძლიერი და მობილური არიერგარდი, რომელსაც უნარიანად და თავგანწირ-

ვით უნდა დაეცვა რუსეთის არმიის მთავარი ძალების უკან დახევა. კუტუზოვმა ეს დიდი საქმე ბაგრატიონს მიანდო და მართლაც არავის შეეძლო ამ დიდი დავალების შესრულება ბაგრატიონზე უკეთ.

უშიშარი და უძლეველი მოკვდავთა შორის, დინჯი და ამავე დროს ბობოქარი ბრძოლის ქარცეცხლში, ბაგრატიონი, როგორც ჯადოქარი, მთლიანად ფლობდა თავისი მებრძოლების გულს. ერთი მისი სიტყვა და ერთი მისი არწივისებური შეხედვა უძლეველ გმირებად აქცევდა ოფიცრებსაც, რომლებიც დიდად აფასებდნენ მის სამხედრო ნიჭს და რიგით მეომრებსაც, მისი გმირობის მრავალგზის მოწმეებს.

ბაგრატიონის არიერგარდს ერთი დღე-ღამით უნდა შეეჩერებინა ნაპოლეონის ურიცხვი ჯარი, რომ ამით კუტუზოვს საშუალება მისცემოდა დაშორებოდა მტერს და თავი დაეღწია დატყვევებისა და განადგურებისაგან. გაფთრებული ბრძოლებით აკავებდა ბაგრატიონი მტრის ჭარბ ძალებს და გმირულად იცავდა რუსეთის არმიის უკან დახევას. ლამბახი, ენსი, ამშტეტენი, კრემსი მოწმენი იყვნენ ბაგრატიონის მხედრული ნიჭისა და ვაჟკაცობისა.

ებერსბრიუნთან კუტუზოვი დარწმუნდა, რომ მიურატის ჯარი მასზე ადრე მიაღწევდა გუნტერსდორფს და უკან დასახევი გზა გადაეკეტებოდა.

მტრის გეგმის ჩასაფუშავად საჭირო იყო დრო, რომ კუტუზოვი ცნაიმზე გავლით გასულიყო სამშვიდობოზე, მაგრამ მოწინააღმდეგე გამალებით უახლოვდებოდა რუსთა არმიას. საჭირო იყო მტრის შეჩერება, ვიდრე კუტუზოვი ორი-სამი გადასასვლელით არ დაშორდებოდა ნაპოლეონის ჯარს.

ეს დიდი საქმეც ბაგრატიონს მიანდეეს.

გამოთხოვებისას კუტუზოვი ბაგრატიონს გამოემშვიდობა, როგორც განწირულს.

— თავადო პეტრე! დღეს ადვილი შესაძლებელია თქვენ თქვენი არიერგარდით კიდეც დაეცეთ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ გახსოვდეთ, რომ დღეს თქვენზე ჰკიდია დიდი რუსეთის არმიის ბედი, წარსულსა და მომავალში მისი განუწყვეტელი და თანდაყოლილი დიდი ღირსება.

— ჩვენზე მოსულ მტერს არ გავახარებ, დავხვდები, გადავეღობები, შევაჩერებ და მანამდე თქვენ უკვე სამშვიდობოზე იქნებით. იმედი გქონდეთ, მახვილი არ გაგვივარდება ხელიდან, სანამ ფეხზე ვიდგებით! — უპასუხა ბაგრატიონმა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

კუტუზოვი დიდხანს უმზერდა ბაგრატიონს, რომელიც მტკიცედ მიაბიჯებდა თავისი სასიკვდილოდ განწირული გმირთა რაზმისაკენ.

კუტუზოვმა თვალზე მომდგარი ცრემლი მჯიღით მოიწმინდა და გულში სამუდამოდ გამოემშვიდობა სიცოცხლესავით მჩქეფარე, ცეცხლოვან ბაგრატიონს, რომელიც მან რუსეთის არმიის გადასარჩენად სასიკვდილოდ გაიმეტა.

ბაგრატიონის არიერგარდის წინააღმდეგ მრისხანედ დაიძრა ფრანგთა მრავალრიცხოვანი ავანგარდი მარშალ მიურატის მეთაურობით. თანახმად კუტუზოვის მითითებისა, ბაგრატიონი დაბა ემბერსბრუნთან არჩეულ პოზიციაზე უნდა გამაგრებულიყო, მაგრამ ადვილზე მისვლისთანავე დაიწუნა კუტუზოვის მიერ არჩეული პოზიცია და იგი თავის ჯარით სოფელ შენგრაბენთან გამაგრდა. ბაგრატიონის ექვსი ათასიან რაზმში, რომელსაც წინააღმდეგობა უნდა გაეწია ფრანგთა თითქმის 50 ათასიანი არმიისათვის, ბაგრატიონის თანამემამულენიც იყვნენ: პოლკოვნიკი სიმონ ფანჩულიძე, პავლოგრადის ჰუსართა პოლკის მეთაური და მისი ძმა პოდპოლკოვნიკი დავით ფანჩულიძე, ცხენოსანი არტილერიის რაზმის მეთაური, პოლკოვნიკი ლევან იაშვილი, მაიორი ლაშკარიოვი (ბიბილური), პოდპოლკოვნიკი სპირიდონ ყივახოვი (ჯავახიშვილი) და სხვანი და სხვანი.

3 ნოემბერს მიურატის ჯარების მეწინავე რაზმები შეეჩეხნენ ავსტრიელთა ჯარის ნაწილს, რომელიც ავსტრიელი გენერლის ნოსტიცის მეთაურობით ბაგრატიონის რაზმის ავანგარდის რიგს ასრულებდა და ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად შეესრულებინა ბაგრატიონის ბრძანება და მედგრად დაეცვა დაკავებული პოზიცია, ვენერალი ნოსტიცი ადვილად გაება მარშალ მიურატის ხაფანგში. მიურატი აწყმუნებდა გენერალ ნოსტიცს, ავსტრიასა და საფრანგეთს თითქოს ზავი დადებოთ. ადვილად მოტყუებულმა გენერალმა ნოსტიცმა თავისი

გესენ-კობურის ჰუსარებთან ერთად თვითნებურად დატოვა დაკავებული პოზიცია. ამან არათუ ბაგრატიონის მცირერიცხოვანი რაზმი, რუსეთის პოდოლის არმიაც კი გასაჭირში ჩააგდო. გენერალ ნოსტიცის ასეთი ღალატის გამო ფრანგებს შესაძლებლობა მიეცათ მოულოდნელად დასხმოდნენ თავს ბაგრატიონს, ალყა შემოერტყათ მისთვის და გაენადგურებინათ, ამას კი კუტუზოვის არმიის განადგურება მოჰყვებოდა.

ბაგრატიონმა სასწრაფოდ გადააჯგუფა თავისი ჯარი და მზად იყო მტერთან შესაბმელად. მოწინააღმდეგემ შენგრაბენი დაიკავა და კუტუზოვის არიერგარდი, ბაგრატიონის სარდლობით, და ნაპოლეონის ავანგარდი, მარშალ მიურატის მეთაურობით, პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. მიურატი გახარებული იყო, მას ეგონა, კუტუზოვის არმიის მთავარი ძალების პირისპირ ვარო. ამიტომ გადაწყვიტა თავისი ჯარების თავმოყრა, რათა მთელი ძალებით დასხმოდა თავს და გაენადგურებინა კუტუზოვის არმია. ამისათვის საჭირო იყო დრო. დროს მოსაგებად კი მიურატმა ეშმაკობას მიმართა. მან პარლამენტიორი გაუგზავნა ბაგრატიონს მოსალაპარაკებლად. თითქოს ზავის დასადებად. თანახმად პირობისა, ამ ზავის რატიფიკაციამდე მოწინააღმდეგეთა ჯარები თავიანთ პოზიციებზე უნდა დარჩენილიყვნენ.

ბაგრატიონმა ადვილად გამოიცნო მიურატის განზრახვა. იგი გახარებული იყო, რომ დრო, რომელიც საჭირო იყო მიურატისათვის, ძლიერ ეხმარებოდა კუტუზოვს, რომელსაც საშუალება ეძლეოდა კიდევ ერთი-ორი გადასასვლელი დაშორებოდა მტრის არმიას და ცნაიმზე გავლით გასულიყო. კუტუზოვმა მარჯვედ გამოიყენა მიურატის მიერ შეთავაზებული ზავის პირობა, რომლის დამტკიცებასაც იგი სრულებითაც არ აპირებდა და დროს მოსაგებად პასუხი ოცი საათით დაუგვიანა. თვითონ კი ამ ხნის განმავლობაში სწრაფი მარშით იხევდა უკან და კარგა მანძილით დაშორდა მოწინააღმდეგეს.

ნაპოლეონი ძლიერ აღაშფოთა მიურატის უსუსურმა სამხედრო ეშმაკობამ, რომელიც მას ხშირად გაუდიოდა ავსტრიელ გენერლებთან, მაგრამ კუტუზოვთან არ გაჭრა. „სიტყვები ვერ გამომინახავს, — წერდა ნაპოლეონი მიურატს, — რომ

უკმაყოფილება გამოგიცხადო. თქვენ მეთაურობთ მხოლოდ ჩემს ავანგარდს და უფლება არა გაქვთ ჩემი ბრძანების გარეშე დროებითი ზავი დადოთ. თქვენ მაიძულებთ დავკარგო მთელი კამპანიის ნაყოფი. დაუყოვნებლივ დაარღვიეთ ზავი და გაილაშქრეთ მტრის წინააღმდეგ.

...ეს სხვა არაფერია, გარდა ეშმაკობისა, გასწით, გაანადგურეთ რუსთა არმია". ამავე დროს ნაპოლეონმა შეახსენა მიურატს, რომ თუ ავსტრიელები მოტყუვდნენ ფრანგთა ჯარის ხიდზე გავლის დროს, თქვენ რუსები გატყუებენო.

ნაპოლეონი თვითონ გაეშურა შენგრაბენისაკენ თავისი გვარდიით.

4 ნოემბერს, ნაპოლეონის ბრძანებით, ფრანგთა ბევრად ჭარბი ძალები გადავიდნენ შეტევაზე ბაგრატიონის მცირერიცხოვანი რაზმის წინააღმდეგ. მათი სარდლობის ჩანაფიქრით ბაგრატიონი უნდა მოეწყვიტათ რუსეთის არმიის მთავარი ძალებისაგან, გარს შემორტყმოდნენ და მთლიანად გაენადგურებინათ. ბაგრატიონის ექვსიათასიანი რაზმის წინააღმდეგ ბობოქარი ზვავივით წამოვიდა ფრანგთა 50 ათასამდე ლაშქარი. მიურატის ცხენოსნები უდინოს-თან ერთად ცენტრიდან უტევდნენ, ლანის კორპუსი მარცხნიდან, სულტის კორპუსი მარჯვენა ფლანგიდან არტყამდა ალყას.

მტრის პირველი შემოტევისთანავე ბაგრატიონის არტილერიამ, მათ შორის ცხენოსანი არტილერიის რაზმმა, რომელსაც პოლკოვნიკი იაშვილი მეთაურობდა, ცეცხლი დაუშინა სოფელ შენგრაბენს, სადაც გარდა მტრის ცოცხალი ძალისა, დიდძალი ტყვია-წამლის საწყობები იყო. ხანძარი მთელს სოფელს მოედო, შენგრაბენი იწვოდა, ფრანგები დაიბნენ და უდინოს ჯარები, რომლებიც შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ, მთელი ორი საათი ტყვია-წამლის გადარჩენას მოუნდნენ.

ორივე ფლანგზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა. გენერალ-მაიორ ულანიუსის, კიევის გრენადერთა მეექვსე ეგერთა და ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკებს სასტიკად უტევდა სულტის კორპუსი. მაგრამ უცებ ამოქმედდა რუსული ხიშტი და ფრანგები შედრკნენ. გენერალ-მაიორ სელიხოვის მეომრებმა ვაჟკაცურად მოიგერიეს ლანის კორპუსის იერიში. ბაგრატიონის

ოფლით გაღვრილი ცხენი ფაფარაყრილი დარბოდა ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილამდე და ქვემეხებისა და თოფების გრუხუნში ისმოდა ბაგრატიონის მჭექარე ხმა.

ბაგრატიონის რაზმი გააფთრებული ბრძოლით იხევდა. ცნაიმისაკენ. უცებ შავი ღრუბელივით წამოვიდა მიურატის კავალერია. რუსთა ჯარების მარცხენა ფლანგზე სასტიკი ჩეხვა გააჩაღა ლანის კორპუსმა, რომელსაც მარჯვენა ფლანგზე მოჰყვა სულტის კორპუსის იერიში და უდინოს ნაწილების გაშმაგებული შეტევა. მაგრამ ამ დროს დაიგრიალა იაშვილის არტილერიამ და შენელდა ნაპოლეონის ჯარების იერიში.

— ურაა! მომყევით ძმებო!—გაისმა ბაგრატიონის ბრძანება და ცხენიდან ჩამომხტარი ბაგრატიონი ხმალამოწვდილი შეიჭრა მტრის რიგებში. საყვარელ გენერალს გვერდში ამოუდგნენ ხიშტმომარჯვებული რუსი მეომრები და მათმა ურამ გააყრუა იქაურობა. მარჯვენა მხარეზე გამოჩნდა სიმონ ფანჩულიძის კავალერია. რომელიც გრიგალივით შეიჭრა მტრის განლაგებაში და მუსრი გაავლო მოწინააღმდეგეს. მარცხენა მხარეზე კი სიმონ ფანჩულიძის უმცროსი ძმა დავითი დრაგუნთა პოლკით ვაჟკაცურად მიარღვევდა მტრის გარემოცვას.

დღე და ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა ზარბაზნების გრიალი. ცხენების თქარა-თქური, თოფის სროლა, ფრანგთა ყიჟინი, რუსული ურა, ხიშტების ტრიალი, დაჭრილთა გმინვა და მომაკვდავთა კვნესა.

ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაური იყო. ამ ბრძოლაში ექვსი ათასამდე მეომარი დაეცა ორივე მხრიდან. გათენებისას გმირთა გუნდებმა გაიკაფეს გზა. ისინი მტრის მოძალებისაგან დაიცვეს მაიორ ეკონომოვის მეომრებმა, რომლებიც ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ შეურთდნენ დანარჩენ ნაწილებს. ბაგრატიონის არიერგარდი პოგორლიცისაკენ გაემართა კუტუზოვის არმიასთან შესაერთებლად. კუტუზოვის არმია კი უკვე ორი დღის საავალით იყო დაშორებული ფრანგთა ავანგარდს.

ამ ბრძოლით ბაგრატიონმა გადაარჩინა კუტუზოვის არმია უეჭველ განადგურებას. რუსეთის არმია აღტაცებული იყო ბაგრატიონის საჭლაჰრო გმირობით. შენგრაბენის ბრძოლები ოქროს ასოებით ჩაიწერა რუსეთის სამხედრო მატიანეში.

სიხარულით აცახცახებული და თვალცრემლიანი კუტუზოვი სიყვარულით შესცქეროდა ბრძოლებში გაწაფულ ბაგრატიონს. ორივე ხელით მიიზიდა და მკერდში ჩაიკრა თავისი ყველაზე უფრო ნიჭიერი, ყველაზე უფრო მამაცი და უშიშარი გენერალი, თავისი ყველაზე უფრო საიმედო თანაშემწე.

— შენ ცოცხალი ხარ? ღმერთო, ეს ჩემთვის ყველაზე უფრო დიდი ჯილდოა! — ლოცვასავით ამბობდა კუტუზოვი და მკერდიდან არ იშორებდა ბაგრატიონის ომის ცეცხლით შერუჯულ ხუჭუჭთმიან თავს.

კუტუზოვმა თავის რესკრიპტში იმპერატორს ასე მიწერა:

„...მოწინააღმდეგემ ალყა შემოარტყა გენერალ-მაიორ თავად ბაგრატიონს იმგვარად, რომ მისი კორპუსის განადგურება გარდაუვალი იყო, ასევე გარდაუვალი იყო თვით არმიის განადგურებაც.

...თავადმა ბაგრატიონმა, რომელიც 6 ათასი კაცისგან შემდგარი კორპუსით ებრძოდა სხვადასხვა გენერალ-ფელდმარშლების მეთაურობის ქვეშ მყოფ 30 ათას კაცს, გეგმაზომიერად დაიხია უკან და 7 ნოემბერს შეუერთდა არმიას და თან მოიყვანა ტყვეები: ერთი პოდპოლკოვნიკი, ორი ოფიცერი, ორმოცდაათი რიგითი და ერთი ფრანგული ალამიც მოიტანა“.

ბაგრატიონს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა და ჯილდოდ მიიღო გიორგის მეორე კლასის ორდენი. ავსტრიის იმპერატორმა კი მას მარია-ტერეზას ჯვრის კომანდორის ორდენის კავალრობა უბოძა,

ერთხელ კიდევ იქუხა ბაგრატიონის სახელმა მთელ ევროპაში. თვითონ ნაპოლეონს კი ასე წამოცდა: „— ასეთი მხედართმთავარი ჩემს იმპერიაში ერთ-ერთი პირველი მარშალი იქნებოდა და მეფედ დავსვამდი ევროპის რომელიმე სახელმწიფოში“.

ვოლკოვისკიდან ბოროდინომდე

დადგა 1812 წლის 24 ივნისი.

იმ დღეს იმპერატორი ნაპოლეონი თავისი დიდი არმიით რუსეთის საზღვართან იდგა. მდინარის დასავლეთ ნაპირზე აღმართული გორაკიდან, რომლის ახლოს ვილია ნემანს ერთვო-

და ნაპოლეონი მრისხანედ გასცქეროდა აღმოსავლეთ ნაპირს, იქ სიჩუმეს დაესადგურებინა.

უცებ ფრანგთა იმპერატორის ყურადღება რუსეთის ცამ მიიპყრო, იგი საშინლად მოღრუბლულიყო. შემდეგ იმპერატორმა თვალი გაღაავლო თავის ჯარს, მერე მზერა მდორე ნემანზე შეაჩერა, რომელზედაც საფრანგეთის მრავალრიცხოვანი არმიის გადასაყვანად ხიდები გაედოთ. მდინარის მიღმა უკვე რუსეთი იწყებოდა. რუსეთი... გამოუცნობი, იდუმალი და უზარმაზარი ქვეყანა...

განუწყვეტელი გამარჯვებებით განებივრებული მხედართმთავარი ჩაფიქრდა: „თუ კიევი ავიღე, მაშინ რუსეთის ფეხებში წავატან ხელს; თუ პეტერბურგი დავიპყარი, — რუსეთის თავს ჩავიგდებ ხელში; მოსკოვის აღებით კი რუსეთს გულს გაეუგმირავ“...

და ნაპოლეონმა მთელი თავისი ძალა რუსეთის ველისაკენ მიმართა... ნემანზე ნიაღვარივით გადადიოდნენ დუმარცხებელი მხედართმთავრის დიდი არმიის პოლკები, დივიზიები, კორპუსები.

მთავარი შტაბის გენერლები, რომლებიც თავიანთ იმპერატორთან ერთად მუდამ გამარჯვებას იბკიდნენ, მოღუშული უცქეროდნენ ამ სანახაობას. უცებ ყველას ყურადღება ბარონ ანტონი დედემ დე გელდერმა მიიპყრო. მიუხედავად არისტოკრატიული წარმოშობისა, მან ყველასათვის მოულოდნელად ისე უხეშად იხუმრა რუსეთის მისამართით, რომ აღშფოთებულმა გენერალმა ოგიუსტ ჟან კოლენკურმა იქვე შეაწყვეტინა:

— თქვენი სიცილი უადგილოა, ბარონ, ეს დიადი დღეა!

შემდეგ კი სევდიანი თვალებით მიაჩერდა მდინარის გაღმა ნაპირს, რომელიც შავ ნისლში გახვეულიყო, დიდხანს უყურებდა და ჩუმად წარმოსთქვა:

— იქ ჩვენი სასაფლაოა!

ქვემოთ კი ნაპოლეონის დიდი არმია, როგორც აღიდებული მდინარის ბობოქარი ზვირთი, ზათქიანა და ხმაურიანი გადადიოდა ნემანზე.

* * *

ფრანგთა დიდი არმიის მეათედმა ძლივს მოასწრო ნემანის გადალახვა, რომ გაავდრდა და რუსეთის მიწა ჭექა-ქუხილით შეხვდა მომხდურს. კოკისპირულად დაუშვა. ჯარისკაცები სულ ერთიან გაიწუწნენ. ნაპოლეონს სთხოვდნენ თავშესაფარში შებრძანებულიყო, მაგრამ ტლაპოში მდგარმა ფეხიც არ მოიცვალა. თავით ფეხამდე დასველებული დიდებული იმპერატორი ვერც კი გრძნობდა, რომ ალმაცერი წვიმა სახეში უტყლაშუნებდა. მას სულ სხვა რამე აფიქრებდა — რუსული ზარბაზნების გრიალს ელოდა, მაგრამ რუსეთი ჭექა-ქუხილითა და ქარიშხლით შეხვდა.

როგორც კი გამოიდარა, ყველა გამოცოცხლდა, მაგრამ ნაპოლეონს შეშფოთება ეტყობოდა, — მოწინააღმღეგე არა ჩანდა.

„ნუთუ, — ფიქრობდა ნაპოლეონი, — ძველად პართელებმა რომ რომის სარდალი შეიტყუეს, რუსებს ისე უნდათ შემიტყუონ ქვეყნის სიღრმეში და როცა დრო მოვა, წრეზე გამომიყვანონ? მაგრამ ეს არ მოხდება. საჭიროა გენერალური ბრძოლა და რაც შეიძლება მალე“.

* * *

სიმშვიდე სუფევდა ინფანტერიის გენერლის თავად პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მეორე დასავლეთის არმიის ბანაკში. მთავარსარდლის ადიუტანტი შტაბს-კაპიტანი იური ბაგროვი უფროსის კარავთან იჯდა, ჯოხს თლიდა და ჩუმი, მაგრამ მხიარული ხმით საყვარელ შაირებს ღიღინებდა. ბაგროვს მთელ ქვეყანაზე ყველაზე ბედნიერ კაცად მიაჩნდა თავი. იგი ოცდაცხრა წლის, ლამაზი და ტანადი იყო. შეძლებული ოჯახისშვილისა და განთქმული მოსკოველი ხუროთმოძღვრის კუპელევის მომხიბვლელი ქალიშვილის საქმროს, თვით ბაგრატიონის ადიუტანტს იური თედორეს ძე ბაგროვს არასოდეს არ მოშორებია ლამაზი სახიდან მისთვის ჩვეული მომაჯადოებელი ღიმილი. იგი ჯერ კიდევ საყვარელ საცოლესა და მომავალ სასიმამროსთან გამოთხოვების შთაბეჭდილებას შეეპყრო.

მათ მხოლოდ სამი დღე დაყვეს ბანაკში და იმ დილით სმოლენსკისაკენ გაემგზავრნენ, სადაც საკუთარ მამულში აპირებდნენ ზაფხულის გატარებას.

სტუმრები ნაშუადღევს გააცილა და ვინაიდან განთიადი შორს აღარ იყო, ბაგროვმა გადაწყვიტა აღარ დაწოლილიყო, იგი ბაგრატიონის კარავთან ჩამოჯდა, რაღაცას ღიღინებდა და ჯოხზე გულმოდგინედ გამოჰყავდა საყვარელი ქალიშვილის სახელი: „ანა, ანა, ანუშკა“.

— მოახსენეთ მის ბრწყინვალებას! — მოესმა მთვლემარე ბაგროვს და იმ წამსვე გამოერკვა. გამოერკვა და წინ საინტენდანტო სამსახურის უფროსი ოფიცერი დაინახა.

— მთავარსარდალი ჯერ არ ამდგარა! — ეპასუხა შემკრთალმა ბაგროვმა, რომელიც ფეხზე წამოხტა, ჯოხი ზურგს უკან გადამალა და უცებ მისი მზერა ბილიკზე მომავალმა ფიგურებმა მიიპყრეს. ესენი იყვნენ: მეექვსე კორპუსის სარდალი დიმიტრი სერგის ძე დოხტუროვი, მეორე არმიის შტაბის უფროსი ემანუილ ფრანცის ძე სენ-პრი და პოლკოვნიკი რომან ივანეს ძე ბაგრატიონი, რომელმაც მეორე არმიაში ძმის სანახავად გამოიარა.

— მისი ბრწყინვალება აქ არის?

— ჯერ კიდევ ისვენებს, თქვენო მაღალღმატებულებავ!

— წარმოუდგენელია, — გაიოცა სენ-პრიმ, — იგი მუდამ რიყრაჟზე იღვიძებს.

— თვითონვე ნახეთ, თქვენო მაღალღმატებულებავ! — ბაგროვმა ასწია კარვის კალთა, მაგრამ შიგ არავინ იყო.

— ეს რაღაა, მეგობარო? — გულღიად გაიღიმა დოხტუროვმა, — როგორც ჩანს, მორფეოსის ტყვეობაში მთავარსარდალი კი არა, მისი ადიუტანტი ყოფილა.

— მისი ბრწყინვალება ჩემი თანდასწრებით დაწვა დასასვენებლად. — წაიბურდღუნა გაწითლებულმა ბაგროვმა და როგორც კი ხელსაყრელი დრო შეარჩია, ჯოხი კარვის კალთაში შეაცურა.

— ადგა კი, ეტყობა, თქვენს დაუსწრებლად, — დაუმატა რომანმა და კარავში შესვლა დააპირა.

— აგერ ისიც, — წამოიძახა ბაგროვმა, როცა მოახლოებული ბაგრატიონი დაინახა.

* * *

ძმები დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს. უკანასკნელი შეხვედრიდან დიდი ხანი გასულიყო, რომანი სახელგანოქმული უფროსი ძმის კვალად მეომარი გახდა და კავალერიის გენერლის ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვის მესამე არმიაში მსახურობდა. იგი ძმაზე ცამეტი წლით უმცროსი იყო. იმ დღეებში ოცდათოთხმეტი წელი შეუსრულდა და პეტრე ბაგრატიონი დიდხანს კოცნიდა მას, ემანუილ სენ-პრი და დიმიტრი დოხტუროვი კეთილი ღიმილით უყურებდნენ ძმებს... სიამოვნებდათ მათი შეხვედრით გამოწვეული სიხარული.

— მე შენ რამდენიმე დღე გელოდი ვილნოში... მერე გავიგე არ ჩამოვაო და გამოგიარე, — ალერსით უთხრა რომანმა პეტრეს და ისინი ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს.

— კი, ბარონი ბენიგსენი და გრაფი ბალაშოვი მეპატიჟებოდნენ, — დაიწყო პეტრე ბაგრატიონმა, — ისინი ამბობდნენ, დღეს ან ხვალ მისი უდიდებულესობა ვილნოს ჩამობრძანდებაო... მაგრამ ახლა. როცა სამშობლოს საზღვრებზე თავს იყრიან მრისხანე ძალები, მე ვერ წარმომიდგენია არმიისაგან დაშორება... თქვენ როგორ ფიქრობთ, მეგობრებო?

— ბონაპარტესაგან ამჟამად ყველაფერი მოსალოდნელია. იგი მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვის. ევროპა უკვე დაიპყრო და ახლა ჩვენსკენ მოიოლტვის, მას, როგორც მოგეხსენებათ, პარიზში ახალი მედალი მოუჭრია ასეთი წარწერით: „ზეცა შენ, მიწა მე“, — თქვა დოხტუროვმა.

— მეც ხშირად მითქვამს, ჯერ კიდევ პეტერბურგში, რომ ომის საშიშროება თანდათან იზრდება... ომი გარდუვალია. დრო, დრო უნდა მოგვეგო... ოთხი-ხუთი კვირა მაინც. პირველი ჩვენ უნდა დაგვერტყა, არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ომი გაგვეჩაღებინა, მე სწორედ ასე ვწერდი ჩემს გეგმაში, რომელიც იმპერატორს წარვუდგინე... მაგრამ იგი საუბედუროდ, უარყოფილ იქნა... პრუსიელ ბარონ ფვულის დამღუპველმა სამხედრო მოსაზრებამ უფრო გაჭრა.

— ეს იმიტომ, რომ, როგორც ვატყობ, იმპერატორ ალექსანდრეს დიპლომატიური მანევრირების იმედი ჰქონდ..

— მეფე თუ ასე ფიქრობდა, სამწუხაროა! — უპასუხა ბაგრატიონმა დოხტუროვს. — ახლა, როდესაც ომი მოსალოდ-

ნელია, არა ავსტრიის ველებზე, არამედ უშუალოდ რუსეთში. ახლა, როცა უნდა გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის საკითხი, ასეთი გულუბრყვილობა დანაშაულს უარესია.

— რას მოითხოვდი იმისათვის, რომ ომი ჩვენს სასარგებლოდ დაწყებულიყო?

— მე მოვითხოვდი გაგვეგზავნა ნაპოლეონისა და ევროპის ყველა ქვეყნისათვის ნოტა, რომ რუსეთისათვის კარგად ცნობილია ნაპოლეონის ინტრიგები თურქეთში, საფრანგეთის არმიის თავმოყრა გერმანიაში და დანციგის დაკავების მიზანი.

ნაპოლეონისაგან უნდა მოგვეთხოვა გარანტია, რომ აღნიშნული ნოტის მიღებისთანავე მდინარე ოდერი ჩაეთვალა სადემარკაციო ხაზად, ხოლო თუ ამ ხაზს ნაპოლეონის არმიის თუნდაც ერთი ბატალიონი დაარღვევდა, ეს ომს მოასწავებდა.

— ჩვენ რომ ასეთი ნოტა გაგვეგზავნა ნაპოლეონისათვის, — ჩაერია საუბარში სენ-პრი, — ახლა უკვე ომის მდგომარეობაში ვიქნებოდით: მან დიდი ხანია გადმოლახა ოდერი .. მაგრამ ომს რომ დავიწყებდით, რა გარანტია გქონდათ, რომ უეჭველად გავიმარჯვებდით?

ბაგრატიონს არ მოეწონა სენ-პრის ეჭვები, მაგრამ მაინც დამშვიდებით უპასუხა:

— პირველი გარანტია ის გახლავთ, რომ რუსი ხალხი მამაცია, უყვარს თავისი სამშობლო და უნარი შესწევს იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. მეორეც ის, რომ გეგმის წარდგენისას მხედველობაში მქონდა ზავი ინგლისთან ღა მოსალოდნელი მღელვარებანი ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ ევროპის ქვეყნებში... ამ ქვეყნების ხალხები კი ყოველდღე ელიან შემთხვევას იარაღი აიღონ ხელში და მათი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ცხოველმყოფელ ნაკადულებად შეუერთდებიან ჩვენი ომის დიდ მდინარეს, რომელიც სამუდამოდ წალეკავს ნაპოლეონის ბატონობას მთელს ევროპაში. ომი უმაგალითოდ სისხლისმღვრელი იქნება, ორივე მხრისათვის ძლიერ დაძაბული, ურიცხვ ძალას შთანთქავს... ამიტომ მის უდიდებულესობას ვურჩიე, მთელს რუსეთში ჩატარებულიყო ახალი გაწვევა, შეედგინათ ჯარის ახალი ნაწილები და

სწრაფად და გულმოდგინედ გაეწრთვნათ. და თუ მტერი მოგვიახლოვდებოდა, მთელი ჩვენი ხალხი გადასულიყო შეტევაზე და ან გაემარჯვა, ანდა ძვლებად დაყრილიყო სამშობლოს ველთან... ებრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოდ. სანამ ადამიანებს შეეძლებათ ფეხზე იდგნენ, ვინაიდან ეს იქნება არა ჩვეულებრივი ომი, არამედ ეროვნული. თუმცა რაღა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. პეტერბურგმა უკვე მიიღო ბარონ ფვულის გეგმა დრისის ხეობის გამაგრების შესახებ.

— ასეთი გეგმა შეეძლო შეედგინა ან გიჟს, ანდა მოღალატეს, — ხმამაღლა წამოიძახა დიმიტრი დოხტუროვმა.

— დიახ, დამღუპველი გეგმაა, — ბაგრატიონმა ხმა აიმაღლა, მის თვალებში აღშფოთების ნაპერწკლები აელვარდა, — რაც შეეხება ჩვენს პატივცემულ სტუმრებს, რომლებიც ასე გულმოდგინებით მეპატიჟებოდნენ ვილნოში, ისინი უფრო საკუთარი ჯიბისათვის ზრუნავდნენ... ბენიგსენი შეშფოთებული იძახდა: ჩემი სასახლე ვილნოში, რომელიც აგრე ბოსწონს ალექსანდრეს, როგორ ტყუილუბრალოდ მეკარგებაო... დროზე უნდა მივყიდო მეფეს, თორემ ნაპოლეონი დღეს თუ ხვალ შემოესევა აქაურობას და... დიახ, ვილნო განსაცდელშია... დღეს იგი ჩვენია, ხვალ კი იქ შესაძლოა ნაპოლეონმა შემოდგეს ფეხი. ამასთან ერთად ისინი განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ მომავალ ბალზე, რომელიც მის უდიდებულესობას ბენიგსენის სასახლეში უნდა გაემართა. მეტი რომ არ მომესმინა მათი საუბარი, მოულოდნელად წამოვიძახე: გთხოვთ, ბატონებო, — ვეპატიჟებოდი მათ საუზმეზე, — პატივი მცეთ მე და ჩემს მზარეულს, დავნაყრდეთ იმით, რაც ჩვენთვის ღმერთს არ დაუშურებია! ისინი კი: გმადლობთ, თავადო, თქვენი სტუმართმოყვარეობა და თქვენი მზარეულის ოსტატობა ყველგან ცნობილია, მაგრამ ჩვენ ვილნოს გვეჩქარება... მე სიამოვნებით დავეთანხმე: „არ მიყვარს აჩქარებულთა დაყოვნება, — ვუთხარი მათ, — ველარ დაგაკავებთ. ბატონებო! გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!.. და აი გავაცილე. თქვენ კი, მგონი შეგობრებო, ვილნოს არ მიგეჩქარებათ, რომ საკუთარი სასახლეებით ივაჭროთ... და ამიტომ...

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ კარგად გვიცნობთ...

ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ სასახლის კაცები და არც მთავარ ბანაკებში გვიძებნია მეფის მოწყალება... ჩვენ ჯარის-კაცები ვართ და ამავე დროს თქვენი მზარეულის ხელოვნებას დიდ პატივსა ვცემთ...

ბაგრატიონს მოეწონა დოხტუროვის სიტყვები, გულიანად გაიცინა და სტუმრები კარავში მიიპატიჟა.

* * *

მწუხრი ჩამოწოლილიყო. ბადრი მთვარე დინჯად ამიწევდა მაღლა მოწმენდილ, უღრუბლო ცის კაბადონზე და სულ უფრო ძალუმად ანათებდა ბაგრატიონის კარვის მახლობლად ჯაშლილ სუფრას. მაგიდას მისხდომოდნენ დიმიტრი დოხტუროვი, ემანუილ სენ-პრი და პეტრე ბაგრატიონი ძმითურთ. დოხტუროვმა პირამდე გაავსო თასი ღვინით, ადგა, მთვარეს ახედა, თვალი მოავლო ბანაკს, სადაც კარვებს შორის კოცონები ენთო, და სადღეგრძელოთი მიმართა მეგობრებს.

— ღამის სიბნელეს აქ მთვარე უტევს
და ზეცის თაღი თავს გვახურია,
ბრძოლის ველებზე სიჩუმე სუფევს,
კარავთა შორის კოცონებია
როს მეგობრები ლხინობდნენ ერთად
თვითონ უფალსაც მოსწონებია.
მაშ ფიალები ალისფერ ღვინით
ავავსოთ, ძმებო, ყველამ ბოლომდე...
დავტკბეთ სიმღერით, ლექსით და ლხინით,
რომ გული წარსულს აღარ გლოვობდეს.
ო, ყოვლის შემძლე ღვინოვ, ძლიერო,
შენა ხარ გმირთა მალხინებელი!

მეგობრებმა ბოლომდე დაცალეს თასები. ღვინო, რომელსაც პირდაპირ ტიკიდან ასხამდნენ და სვამდნენ, ყველას მოეწონა.

— სიხარულით გამათბე, ძმაო რომან... რომ გამიხსენე და შემოიარე... მშფოთვარე დროა... ღმერთმა უწყის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს... ღვინისათვის კი დიდი მადლო-

ბა. დიმიტრი სერგეევიჩ და თქვენც, ემანუილ ფრანცევიჩ, იცით ეს ღვინო საქართველოდან, წინანდლიდან გამომიგზავნეს... თქვენ საქართველოში არ ყოფილხართ. იქ თვალწარმტაცი, დიდებული მთების მწვერვალები ცას ებჯინებიან... საქართველო, საქართველო, სულზე უტკბესი!

ბოლო სიტყვები პეტრე ბაგრატიონმა ნაღვლიანად წარმოთქვა, თავი დახარა და თვალები მიწას მიაპყრო.

— მოდით, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს, ძვირფასებო!

— თქვენ იცოცხლეთ, თქვენ გაგიმარჯოთ მრავალჟამიერ! — დაუმატა დოხტუროვის სიტყვებს რომანმა და ძმას მიუბრუნდა, — პეტრე, ჭირიმე, ნეტავი სად არის ახლა ელიზავეტა პავლოვნა?

ცოლის სახელის გაგონებაზე პეტრემ წარბები შეიჭმუხნა, თვალებში სევდა მოაწვა და ხელჩაქნევით უპასუხა ძმას. — იგი ალბათ, ახლა ან პარიზშია, ანდა ვენაში... ღიდი ხანია მისი არაფერი ვიცი.

— სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა... ასეთ დროს რუსი ადამიანისათვის შეუფერებელია ბონაპარტეს სამფლობელოში დარჩენა და ისიც რუსეთის მეორე არმიის მთავარსარდლის მეუღლისათვის.

— მეტს ნურაფერს იტყვი მასზე, ჩემო რომან! — გაბზარული ხმით შეევედრა პეტრე ძმას. სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხულობა ისევ დოხტუროვმა გაფანტა. ღვინო დაასხა ხის თასებში და მხიარულად წამოიწყო: — გაუმარჯოს ერთგულებას მეგობრობასა და სიყვარულს. — თასი ბოლომდე გამოცალა და ხმამაღლა დააყოლა: — კარგი ღვინოა! ვერაფერს ვიტყვი! ძლიერ კარგი ღვინოა!

— სად არის, რატომ არა ჩანს შენი საყვარელი ადიუტანტი დენისოვი? — შეეკითხა ძმას.

— დენისი უკვე კარგა ხანია აღარ არის ჩემი ადიუტანტი. იგი ახლა ახტირის ჰუსართა პოლკის პოდპოლკოვნიკია და ბატალიონს მეთაურობს და ალბათ, ლექსებს თხზავს...

— ლექსებსაც თხზავს. მშვენიერი პოეტი და ჩინებული ოფიცერია. თამამი, ფიცხი და გულადი, ბრძოლის ცეცხლში შუდამ პირველი შეიჭრება ხოლმე.

— დიდხანს აღარ მოუხდება ყოფნა განცხრომაში... მალე ალბათ ბრძოლებიც დაიწყება.

ბაგრატიონმა თასი ასწია, ალერსიანი თვალით ვადახედა მეგობრებს და ისე წარმოთქვა სადღეგრძელო:

— დიდი და მდაბალი მადლობა ძვირფასებო! ასე ღამეც შეუმჩნევლად გაიპარება. ხვალ კი.. ღმერთმა იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. მოდით, ძვირფასებო, შევსვათ ყველაზე კეთილშობილური სადღეგრძელო: ჩვენი მეომრების სახელის, დიდებისა და მამაცობის სადღეგრძელო, მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისა და ჩვენი დიდი სამშობლოს სადღეგრძელო!

მთვარე უკვე მომაღლოდ იდგა. კარვებს შორის ცეცხლი თვალებს ლულავდა. გარშემო სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა.

მყუდროება ნაბიჯების ხმამ დაარღვია. მალე ვამოჩნდა ორი ლანდი. ერთი ყოჩაღად მოაბიჯებდა, მეორე ძლივს მოათრევდა ფეხებს. მთვარემ გამოიხედა ღრუბლებიდან და ახლანათლად გამოჩნდა: კარავს ბაგროვის თანხლებით მოადგა ფელდიეგერი. მტვრით მოსვრილსა და ქანცგამოლეულს ხვითქი ჩამოსდიოდა სახეზე. ბაგოატიონს რაღაც მიუახლოვდა, ერთბაშად გამოიცვალა, ყოჩაღად გაიჭიმა მთავარსარდლის წინაშე. და პაკეტი გაუწოდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, პაკეტი გახლავთ პირველი არმიის მთავარსარდლისაგან, ინფანტერიის გენერალ თავადმიხეილ ბოგდანის ძე ბარკლაი დე-ტოლისაგან.

ფელდიეგერმა პაკეტი გადასცა ბაგრატიონს და გაბრუნდა.

ბაგრატიონმა დაუყოვნებლივ გახსნა პაკეტი და კითხვა დაიწყო: „ეინაიდან მტრის მთელი ძალები თავმოყრილია კოვნოსა და მერეჩს შორის, ხოლო დღეის რიცხვისათვის მოსალოდნელია მტრის გადმოსვლა ნემანზე, ხელმწიფე იმპერატორმა ინება გაცნობოთ შემდეგი:

1. პლატოვს ებრძანა თავის კორპუსს თავი მოუყარონ გროდნოს მახლობლად და მიმართოს მტრის ფლანგებს.

2. თქვენდამი რწმუნებულმა არმიამ ხელი უნდა შეუწყოს ამ მოქმედებას და უზრუნველყოს პლატოვის კორპუსის ზურგი.

3. ამის მიღებისთანავე თქვენი არმია უნდა განეწყოს და სრულებით განემზადოს მოქმედებისათვის თქვენდამი მოცემული ბრძანებისამებრ.

4. უკეთუ პირველი არმია ვერ შესძლებს ხელსაყრელი ბრძოლის გამართვას ვილნოს წინ, მაშინ მან შეიერთოს პირველი და მეექვსე კორპუსები, ესე იგი გრაფ ვიტგენშტეინისა და დოხტუროვისა და განეწყოს სვენციანის მახლობლად, სადაც შეიძლება კიდევაც გაიმართოს ბრძოლა. თუმცა, თუ გარემოება შესაძლებელს ყოფს, პირველი არმია სვენციანიდან თავად გაემართება წინ მტერზე საიერიშოდ.

მტრის სწრაფვამ პირველი არმიისა და მისი მოქმედების წინააღმდეგ უნდა განსაზღვროს თქვენი მოქმედება, რომელიც უნდა ესწრაფოდეს ერთ საერთო მიზანს, რომელიც ზემორე აღინიშნა. ბორისოვი არის უკანდასახევი პუნქტი.

ინფანტერიის გენერალი, თავადი ბარკლაი დე-ტოლი".

ის იყო ბაგრატიონი კითხვას მორჩა, რომ ცხენის თქარათქური მოისმა. წუთიც და მის წინ მეორე ფელდიეგერი იდგა.

— მის ბრწყინვალებას მეორე არმიის მთავარსარდალს, ინფანტერიის გენერალს თავად ბაგრატიონს სასწრაფო პაკეტი.

ბაგრატიონმა თვალის დახამხამებაში გახსნა პაკეტი, სწრაფად წაიკითხა, შემდეგ დამსწრეთ მოუბრუნდა და ოდნავ შესამჩნევი მღელვარებით ხმამაღლა თქვა:

— ბონაპარტეს ჯარებმა ნემანი გადმოლახეს.

— მაშ, ასე... ომია! — შესძახა დოხტუროვმა.

— მეგობრებო, ეს იქნება დიდი ომი!

* * *

ბაგრატიონს დიდხანს არ მოეკიდა ძილი. რამდენჯერმე გადაიკითხა ბარკლაი დე-ტოლის წერილი. „რა არის ეს? — ფიქრობდა იგი, — დირექტივა? ბრძანება? დიახ, ჩანს აგრეა. მაგრამ რა უფლება აქვს ერთი არმიის მთავარსარდალს უბრძანოს მეორე არმიის მთავარსარდალს?" ბაგრატიონმა აიღო იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებულება მმართველი სენატისადმი მეორე დასავლეთის არმიის მთავარსარდლად პ. ი. ბაგრატიონის დამტკიცების შესახებ და კითხვა დაიწყო:

„ინფანტერიის გენერალს თავად ბაგრატიონს უმოწყალესად ვამტკიცებ ჩვენი მეორე არმიის მთავარსარდლის წოდებაში ყველა უფლებით, ძალაუფლებითა და უპირატესობით დიდი მოქმედი არმიის მთავარსარდლისა.

სანკტ-პეტერბურგი, 1812 წლის მარტის 16-სა დღესა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე“.

ბარკლაი ისეთივე მთავარსარდალია არმიისა — ეგ არის და ეგ. ამასთან ბაგრატიონი მასზე უფროსია ჩინით. მაგრამ ეს დირექტივა? ეს ბრძანება? რით ავხსნათ ყოველივე ეს? მეტისმეტს ხომ არ კისრულობს ბარკლაი დე-ტოლი? და უცებ ბაგრატიონს გაახსენდა, რომ ბარკლაი, მიუხედავად იმისა, რომ პირველი არმიის მთავარსარდალია, ამავე დროს კვლავ რჩება სამხედრო მინისტრად და, როგორც ასეთს, შეუძლია გადასცეს ბაგრატიონს ბრძანება ხელმწიფის სახელით. ბაგრატიონმა გაიგო ბარკლაი დე-ტოლის დირექტივის მთავარი აზრი — დაიხიოს და რაც შეიძლება მალე შეუერთდეს პირველ არმიას... უკანდასახევი პუნქტი, ესე იგი ორივე არმიის შეხვედრის ადგილი ნათელია — ბორისოვი. მაგრამ მარშრუტი? მარშრუტის თაობაზე სიტყვაც არ დაუძრავს ბარკლაის. ხოლო რა მიმართულებით უნდა იმოქმედოს პლატოვის კორპუსმა, რომ დირექტივის თანახმად უზრუნველყოს მისი ზურგი, გაუგებარია. 25 ივნისს დილაადრიან ბაგრატიონმა ასეთი პასუხი გაუგზავნა ბარკლაი დე-ტოლის: „უმაღლესი ბრძანება, თქვენი აღმატებულების მიერ 12 ივნისის № 286-ით გამოცხადებული, ბედნიერება მქონდა მიმეღო ამა რიცხვს, შევუდექი რა მის დაუყოვნებლივ აღსრულებას, ჩემს გარდაუვალ ვალად ვრაცხ წარმოგიდგინოთ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კეთილგანსასჯელად ჩემი შენიშვნები.

1. არ ვიცი ზუსტად, რა მიმართულება მიეცა კავალერიის გენერალს პლატოვს, თუმცა ვფიქრობ, რომ იგი ფლანგებიდან ვერ შემოუვლის მტერს, რომელიც მდინარეს გადმოლახავს მერეჩსა და კოვნოს შორის, თუ არა ნემანის მარჯვენა მხრიდან; ამიტომ მე ისღა დამრჩენია, რომ შევეცადო მტრის იმ ძალების უკუგდებას, რომლებიც თავიანთი ახლანდელი გა-

ნლაგების მიხედვით ტიკოჩინზე სურაჟის გამოვლით შემოიჭ-
რებიან ჩვენს საზღვრებში.

2. მე შევძლებ გავუმკლავდე მტრის ამ ძალებს, მაგრამ ვითვალისწინებ რა, რომ პირველი არმია თავს მოიყრის ვილ-ნოსთან მტრის მოსაგერიებლად და მე არ მექნება არავითარი დაცვა მარჯვენა ფლანგზე იმის გამო, რომ მე-6 კორპუსი მეტისმეტად შორს არის და იგი მე-2 არმიას არსებითად არ ეკუთვნის, მე დიდ საფრთხეში აღმოვჩნდები, რომ ვილნოსკენ მტრის სწრაფი სვლის გამო არათუ სავსებით არ მოვწყდე პირველ არმიას.

მტერმა, ვილნოს რომ დაიკავებს, შეიძლება დასწროს მე-2 არმიის უკან დახევას მინსკისაკენ და, გზის სიმოკლის გამო, იქ უფრო ადრე აღმოჩნდება, ვიდრე, უკან დახევისას, მე იქ მივაღწევ.

მე-3 არმია თავის თავდაპირველ მდგომარეობაში რომ იყოს, მე შევძლებდი ხშირად მიმეყენებინა ზიანი მტრისათვის და მომესპო იგი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამერჩია უკან დახევის ყველაზე უხიფათო გზა. მაგრამ მისი ახლანდელი რიცხვის გამო, რაც ძლივს აღემატება ძლიერ კორპუსს, მე გარდაუვალ მოვალეობად მივიჩნიე განვმარტო ჩემ მიერ გათვალისწინებული შემთხვევები და მზად ვიყო უმკაცრესი სიზუსტით შევასრულო ჩემთვის მოცემული ბრძანება

ინფანტერიის გენერალი ბაგრატიონი".

იმავე დღეს ბაგრატიონმა წერილი გაუგზავნა კავალერიის გენერალს პლატოვს და მიუთითა მისი საკავალერიო კორპუსის სავალი გზა. წერილში აღნიშნული იყო, რომ პლატოვს თავისი პოლკებით მოსვენება არ მიეცა მტრის მარჯვენა ფლანგისა და ზურგისათვის. ამასთან ბაგრატიონი აცნობებდა პლატოვს, რომ მტერს, რომელიც ადვილად დაიკავებს ვილნოს, შეუძლია მარჯვენა ფლანგი ჰქონდეს მინსკისაკენ მიმავალ გზაზე და რომ აქედან გამომდინარე (პირველ არმიას რომ არ მოსწყდეს), პლატოვი უახლოესი გზით აუცილებლად უნდა გაჰყვეს ნემანის მარჯვენა ნაპირს, ლიდაზე გავლით მინსკისაკენ; მხედველობაში იქონიოს, რომ ბაგრატიონის ვარაუდით, მტერს შეუძლია ვილნო დაიკავოს არა უგვიანეს 16 და 17 რიცხვისა და მინსკს მიაღწიოს 24 ივნისისათვის.

შემდეგ ბაგრატიონი წერდა: „თქვენთან განუწყვეტელი ურთიერთობა რომ მქონდეს, უკეთუ ზემორე აღნიშნულ მიმართულებას გაჰყვებით, ჩემდამი რწმუნებულ არმიას თავს მოვუყრი ჯერ შარას გაღმა სლონიმში, სადაც უნდა შეიკრიბოს ყველა კაზაკთა პოლკი, რომლებიც გენერალ-მაიორ ილოვაისკის სარდლობაშია და რომლებიც ჩემი უკანდახევისას დაიცავენ ჩემს მარცხენა ფლანგს, საიდანაც მათ თქვენს კორპუსთან ერთობლივად და ჩემი არმიით განმტკიცებულად შეეძლებათ ზიანი მიაყენონ მტერს და შეინარჩუნონ კავშირი პირველ არმიასთან...

ჩემს ვალად ვრაცხ თქვენს მაღალადმატებულების გასათვალისწინებლად გაცნობოთ ჩემი შემდეგი შენიშვნა ჩემთვის ნაბრძანები უკან დახევის პუნქტამდე მანძილის შესახებ. მტერს გასავლელი აქვს კოვნოდან ვილნომდე — 102, ვილნოდან მინსკამდე — 200 ვერსი, მინსკიდან ბორისოვამდე — 75, სულ — 377. უკეთუ ვილნოდან გეზს აიღებს პირდაპირი გზით, რომელიც ფრიად მოსახერხებელია ჯარების გადასასვლელად და მინსკს მარჯვნივ მოიტოვებს, ბორისოვამდე ექნება 321, ესე იგი ჩემს ტრაქტზე 18 ვერსით ნაკლები; რამეთუ ვოლკოვისკიდან სლონიმამდე — 59, სლონიმიდან ნესვიჟამდე — 100, ნესვიჟიდან მინსკამდე — 105, მინსკიდან ბორისოვამდე — 75, სულ — 309.

ბოლოს ამას თან ვურთავ ასლს ბრძანებისას ჩემ მიერ გამოთხოვილი ნებართვის შესახებ — მოვსპო მარაგი და სხვა რამ, საჭიროებისამებრ.

კვლავ ვიმეორებ ჩემს თხოვნას მაუწყოთ ყველა ის გარემოება, რომელთაც კეთილ ინებებთ და საჭიროდ ჩათვლით ურთიერთკავშირისათვის“.

ბაგრატიონს მიაჩნდა, რომ პლატოვისადმი გაგზავნილი გაანგარიშების გათვალისწინებით მოძრაობა საუკეთესო იქნებოდა არა მარტო პირველი არმიისათვის, არამედ კაზაკთა კორპუსისათვის პირველ არმიასთან შესაერთებლად.

მეორე წერილში ბაგრატიონი პლატოვს აცნობებდა, რომ იგი არ იზიარებდა მტრის ფლანგზე და ზურგში მოქმედების აზრს, „რამეთუ მათ ყველგან მნიშვნელოვანი ძალები ჰყავთ... მაშასადამე საითაც გაიწევთ, ყველგან მარცხი მოგელით... თუ

ჩემი პატაკის პასუხს ვერ მივიღებ დღეს ღამემდე, — ნათქვამი იყო წერილში, — გაცნობებთ ჩემს უკან დახევას სლონიმის, ნესვიჟისა და მინსკისაკენ".

პლატოვმა დაუყოვნებლივ აცნობა ბაგრატიონს, რომ მისი კორპუსის ნაწილები გროდნოდან ნემანის მარჯვენა ნაპირს გაჰყვებიან „დაახლოებით მინსკის მიმართულებით".

ბაგრატიონმა და პლატოვმა კარგად გაუგეს ერთმანეთს და ამან შემდგომში უდიდესი უადებითი როლი შეასრულა და ხელი შეუწყო ისეთი ვითარების შექმნას, რომ მტრის ძალებს ნაწილ-ნაწილ არ გაენადგურებინათ.

* * *

როცა დიდი არმიის ძირითადი მასა ჯერ კიდევ გადმოდიოდა ნემანზე, მისი მეწინავე რაზმები უკვე შევიდნენ ქალაქ კოვნოში.

ნაპოლეონი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო შენობაში, მდიდარი ვაჭრის გეხელის სახლში დაბინავდა. იმპერატორმა სამი დღე დაჰყო კოვნოში. ხშირად დასეირნობდა ცხენით ქალაქის მთავარ ქუჩებში და ნემანისა და ვილიას ნაპირებზე, სადაც თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ აგებდნენ ხიდებს ჯარების გადასაყვანად, გემებს, რომლებსაც სურსათითა და საჭურველით ტვირთავდნენ.

„ჩემო მეგობარო, 24 რიცხვის დილის ორ საათზე გადავლახე ნემანი. საღამოს ვილიაზე გადავედი. ავიღე ქალაქი კოვნო. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მე ჯანმრთელად ვარ, მაგრამ საშინელი სიცხეა".

წერდა ნაპოლეონი იმპერატრიცა მარია-ლუიზას.

ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ დრისის სიმაგრე ნამდვილი ხაფანგი იყო და ბარკლაის არმიამ დაიწყო უკან დახევა.

კოვნოში რომ შევიდა, ნაპოლეონი დიდად გააოცა იმ გარემოებამ, რომ რუსთა ჯარების საარიერგარდო ნაწილები ვერ იხილა. ფრანგები იძულებული იყვნენ კაზაკთა ცხენოსან პატრულებთან ცალკეულ, უმნიშვნელო შეტაკებებს დასჯერებოდნენ. მალე მტრის არმია შემდგომ დაიძრა აღმოსავლეთისა-

კენ. რაკი წინააღმდეგობას არავინ უწევდა, ფრანგთა ჯარები სწრაფად მიიწევდნენ წინ. ნაპოლეონი ვილნოს უახლოვდებოდა.

* * *

ნაპოლეონი ვილნოს ისე მიადგა, რომ მის ავანგარდს ნემანიდან ვილნომდე არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია.

რუსებს ვიწრობები დაეტოვებინათ და ამან აღაშფოთა მრისხანე იმპერატორი: იგი აგინებდა რუსებს იმისათვის, რომ ისინი არა მარტო უვნებნი იყვნენ, არამედ უხილავნიც. ნაპოლეონი გულდაჯერებული იყო, თუ რუსები შემებრძოლებიან, ადვილად შევმუსრავო, მაგრამ რუსები არ ჩანდნენ. ისინი დუმდნენ და ნაპოლეონი შეფიქრდა — ამ დუმილში საფრთხე იმალებოდა. მაგრამ ფრანგთა იმპერატორმა მაინც ისარგებლა რუსების უკან დახევით და სრულიად დაუბრკოლებლად შევიდა ვილნოში, სადაც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ კავალერიის გენერლის ბარონ ბენიგსენის სასახლეში ბალი გაიმართა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ალექსანდრე პირველის პატივსაცემად. გვიან საღამოს, გაჩაღებული ბალის დროს ალექსანდრეს მოახსენეს ნაპოლეონის დიდმა არმიამ რუსეთის საზღვარი გადმოლახაო.

ამ ამბით შეშფოთებული იმპერატორი კაბინეტში ჩაიკეტა და დიდხანს ფიქრობდა.

ბარონი ბენიგსენი ძალზე გულდაწყვეტილი იყო, რომ ვერ მოასწრო და მეფეს ვერ მიჰყიდა თავისი სასახლე, რომელიც აგრერიგად მოსწონდა ალექსანდრეს. ხოლო ალექსანდრეს ბრწყინვალე ამალა აფორიაქებული იყო, რომ ასე შორს იყვნენ დედაქალაქიდან და ასე ახლოს ანტიქრისტე ნაპოლეონ ბონაპარტესთან.

საღამოს 10 საათზე ალექსანდრემ მიიხმო თავისი ამალის ერთ-ერთი წევრი, პოლიციის მინისტრი ალექსანდრე დიმიტრის ძე ბალაშოვი და მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ღელავდა და სახე აჭარხლებოდა, მშვიდი ხმით უთხრა:

— მაშ ასე, ბონაპარტემ დაარღვია ჩემი იმპერიის საზღვრები. ომი მრისხანე ფაქტი გახდა, შენ ალბათ, არ ეული, რის-

თვის გიხმე: განზრახული მაქვს იმპერატორ ნაპოლეონთან გაგაგზავნო.

ალექსანდრე დადუმდა. მარჯვენა ხელი რამდენჯერმე გადაისვა მელოტ თავზე და გამომცდელად შეხედა ბალაშოვს. ის კი ერთ ადგილზე გაშეშებული და გაოგნებული ახამხამებდა თვალებს.

ალექსანდრემ განაგრძო:

— მე ახლა მივიღე მოხსენება პეტერბურგიდან, რომ ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო საფრანგეთის საელჩოს ნოტა, რომელშიაც განმარტებულია, რომ რაკი ჩვენმა ელჩმა თავადმა კურაკინმა ერთ დღეს ორგზის მოითხოვა პასპორტი საფრანგეთიდან გასამგზავრებლად, ამას საფრანგეთი მიიჩნევს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტად და ასევე ებრძანა გრაფ ლორისტონს ითხოვოს პასპორტები და გაემგზავროს რუსეთიდან.

ბალაშოვს უნდოდა შეენიშნა, რომ ყოველივე ეს ფრიად უსაფუძვლოა, ფრიად არასერიოზულია, მაგრამ გაჩუმება არჩია.

— მაშ ასე, — განაგრძობდა ალექსანდრე, — დაე, ევროპამ იცოდეს, რომ ომს ჩვენ არ ვიწყებთ.

ნაპოლეონისათვის გადასაცემ წერილს რომ აძლევდა, ალექსანდრემ უბრძანა ბალაშოვს, ეცნობებინა საფრანგეთის იმპერატორისათვის, რომ თუ მას განზრახული აქვს მოლაპარაკება, იგი შეიძლება დაუყოვნებლივ დაიწყოს, მხოლოდ ერთი პირობით: საფრანგეთის არმია უმოკლეს ვადაში დატოვებს რუსეთის ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის იმპერატორი საქვეყნოდ გამოაცხადებს, რომ ვიდრე თუნდაც ერთი შეიარაღებული ფრანგი იქნება რუსეთის მიწაზე, სიტყვაც არ ითქმის არც ზავზე, არც მოლაპარაკებაზე.

განთიადისას იმპერატორ ალექსანდრეს საგანგებო რწმუნებული, რუსეთის პოლიციის მინისტრი ალექსანდრე დიმიტრის ძე ბალაშოვი დაბა როსიენტში იმყოფებოდა.

აქ განლაგებული იყო ფრანგთა ავანპოსტები. მარშალ მიურატის ჰუსარებმა თავდაპირველად იგი თვით ნეაპოლიტანიის მეფეს, საფრანგეთის მარშალ იოახიმ მიურატს მიჰგვა-

რეს, ხოლო შემდეგ აუერშტატის ჰერცოგს, ეკმიულის მთავარს, საფრანგეთის მარშალს ლუი დავუს.

ნაპოლეონი ვილნოში შევიდა ერთი საათის შემდეგ, რაც რუსეთის ჯარების უკანასკნელმა ნაწილმა დატოვა ქალაქი და ხიდს ცეცხლი წაუკიდა.

• ნაპოლეონი დიდხანს იდგა ცეცხლწაკიდებულ ხიდთან. ადგილობრივი მოსახლეობის დაკითხვის შემდეგ იმპერატორი მოიღუშა, რისხვის ნაოჭებმა დაფარა მისი სახე, ვინაიდან არც ერთმა დაკითხულმა არ მისცა სწორი ცნობა: ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო.

გვიან ღამით ნაპოლეონი მარია-ლუიზას სწერდა: „ჩემო მეგობარო, მე ვილნოში ვარ... ძლიერ დაკავებული. ჩემი საქმეები კარგად მიდის. მოწინააღმდეგე სასტიკად მოტყუვდა. ვილნო ძალიან კარგი ქალაქია. 40 ათასი მცხოვრებით. მე დავბინავდი საკმაოდ კარგ სახლში, სადაც რამდენიმე დღის წინათ იმყოფებოდა იმპერატორი ალექსანდრე, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მე ასე მალე შემოვიდოდი აქ".

ნაპოლეონი ვილნოში დარჩა დიდი ხნით. მან აქ გაატარა თითქმის თვრამეტი დღე, რომლებიც შემდეგ ძლიერ სავალალო აღმოჩნდა საფრანგეთის იმპერატორისათვის.

ვილნოში დიდხანს შეჩერების მთავარი მიზეზი პოლონეთის საკითხი იყო.

პოლონელები, რომლებისთვისაც ნაპოლეონს პირობა აძლევა პოლონეთს აღვადგენო, ყოველმხრივ ცდილობდნენ საკუთარი სახელმწიფოს აღდგენასთან ერთად ლიტვაც შეეერთებინათ. ვილნო გადაიქცა ზეიმის ადგილად, სადაც პოლონეთის არისტოკრატია ნაპოლეონს თითქმის ყოველდღე უმართავდა ნადიმებს. საფრანგეთის იმპერატორს „პოლონეთის მამას, მხსნელსა და პოლონეთის სახელმწიფოს აღმდგენელს" უწოდებდნენ. მაგრამ ნაპოლეონი ყველა ამ საკითხზე არავითარ რეალურ დაპირებას არ აძლევდა პოლონელებს, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ ელოდა რუსეთთან ხელსაყრელი ზავის დადებას და ამავე დროს აგრძელებდა ორჭოფ თამაშს პოლონელ დიდებულებთან.

— მე მიყვარს პოლონელები ბრძოლის ველზე, — ეუბნებოდა ნაპოლეონი თავის ადიუტანტს გრაფს ნარბონ-ლარი ლუ-

ის, ლუდოვიკო კაპეტის უკანონო შვილს, — ისინი კარგი ხალხია, მაგრამ რაც შეეხება მათ საკანონმდებლო კრებებს, მათ „თავისუფალ ვეტოს“, მათ სეიმებს, როცა ისინი თათბირობენ ცხენებზე წამოჭიმული, ხელში ხმლით, ეს მე არ მსურს.

პოლონელებს იგი ბევრს პირდებოდა, მაგრამ არაფერს არ აძლევდა. აქვე, ვილნოში, ნაპოლეონი ბევრს მუშაობდა ლიტვის მოწყობაზე, რათა რაც შეიძლება მეტი მიეღო მისგან ახალწვეულები, თივა, ქერი, ხორცი და პური.

* * *

30 ივნისს, ადრე დილით, ნაპოლეონი გულხელდაკრეფილი იდგა საიმპერატორო კაბინეტის ფანჯარასთან და არც კი მოუხედავს თავისი კამერჰერის გრაფ ტიურენისაკენ, ისე შეეკითხა:

— გრაფო, ჩვენ ჯარებისადმი მოწოდებას ვწერდით... რაზე შევჩერდით?

„— რუსეთი წერას აუტანია“... — იყო პასუხი.

— ჰო, განაგრძეთ, — და ნაპოლეონმა დაიწყო კარნახი,— რუსეთი წერას აუტანია, მისი ბედი უნდა გადაწყდეს! ნუთუ მას ჰგონია, რომ ჩვენ ვამოვიცვალეთ? განა ჩვენ აუსტერლიცის მეომრები არა ვართ? რუსეთმა ჩვენ სირცხვილსა და ოს შორის ჩაგვაყენა. არჩევანი ეჭვს გარეშეა. მაშ გავწიოთ წინ, პოლონეთის მეორე ომი, მსგავსად პირველისა, სახელს გაუთქვამს ფრანგთა იარაღს. ზავი კი, რომელსაც ჩვენ დავდებთ, მტკიცე იქნება და ბოლოს მოუღებს რუსეთის ყოყოჩ გავლენას ევროპის საქმეებზე...“

ნაპოლეონს გაახსენდა ალექსანდრეს ელჩი: „იგი კარგ დროს მოვიდა... იემს მიმართვას ჯარებისადმი, ხედავთ, მელანიც არ შეშრობია და იქნებ იმპერატორი ალექსანდრე დათმობაზეა“.

— ადვილი შესაძლებელია, თქვენო უდიდებულესობავ,— გაუბედავად უპასუხა გრაფმა ტიურენმა, — იგი ხომ ნამდვილი ქამელეონია.

— მართალი ხართ, — წამოიძახა ნაპოლეონმა, — ალექსანდრე თავის სიცოცხლეში რამდენჯერმე გამოიცვალა: მეფისწულობისას იგი ერთი იყო, პავლეს მოკვლის შემდეგ —

მეორე, ტილზიტის წინ — მესამე, მის შემდეგ — მეოთხე და აუსტერლიცის შემდეგ კი — მეხუთე... უცნაური, ძალზე უცნაური ადამიანია რუსეთის იმპერატორი!

ნაპოლეონმა იმ წუთშივე მიიწვია თავის კაბინეტში ბალაშოვი და გაიფიქრა: „ახლა საბოლოოდ გადაწყდება რუსეთის ბედი. კი, მისი ბედი ახლა ჩვენს ხელთაა".

გრაფი ტიურენი კი, ნაპოლეონის კაბინეტიდან რომ გადიოდა ბალაშოვის მოსაწვევად, სულ სხვაგვარად ფიქრობდა: „იქნებ წერას ჩვენ ავუტანივართ. და, ალბათ, ჩვენი ბედი აქ, რუსეთში გადაწყდება, მაგრამ, ვაი, როგორ..."

* * *

ნაპოლეონის კაბინეტში, იმპერატორთან თავი მოეყარათ საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსს, ნეშატელის ჰერცოგს, ვაგრამის თავადს, მარშალ ბერტიე ლუის, ალექსანდრეს ელჩს პეტერბურგში, ვიჩენცის ჰერცოგს გენერალ კოლენკურ არმან-ოგიუსტ-ლუის; ნაპოლეონის არმიის გენერალ-ინტენდანტს გრაფ დარიუ პიერ-ანტუან-ბრუნოს. ბალაშოვი ამაყად შემოვიდა საფრანგეთის იმპერატორის კაბინეტში, უმალვე იცნო, რომ ეს იყო სწორედ ის კაბინეტი, საიდანაც რამდენიმე დღის წინათ იგი ნაპოლეონთან გაგზავნეს.

მისალმების შემდეგ ნაპოლეონმა კეთილი ღიმილით მიმართა ბალაშოვს:

— მე თქვენი მობრძანების მოხარული ვარ, გრაფო... ვწუხვარ, რომ გზად ოდნავ შეგაყოვნეს. — პატარა პაუზის შემდეგ ნაპოლეონი ალერსიანი ხმით შეეკითხა: — როგორ არის იმპერატორი?

— ჩემი იმპერატორი მშვენივრად გრძნობს თავს და იმედი აქვს თქვენც ასევე ბრძანდებით, თქვენო უდიდებულესობავ. ჩემმა იმპერატორმა კეთილი სურვილებით გამომგზავნა. გთხოვთ მიიღოთ თქვენდამი ღრმა პატივისცემის რწმენება!

— უაღრესად მოხარული ვარ, — დამარცვლით წარმოსთქვა ნაპოლეონმა და პირდაპირ შეეხო მთავარ საკითხს. — საწყენია, ძალზე საწყენი, რომ იმპერატორმა გვერდი აუარა ტილზიტის პოლიტიკას და ჩემთან მეგობრობას. მე ძალიან მწყინს, რომ იმპერატორ ალექსანდრეს ცუდი მრჩევლები

ჰყავს. რას მოელის იგი ამ ომისაგან? მე უკვე დავიპყარი მისი ერთ-ერთი მშვენიერი პროვინცია ისე, რომ ჩემს არმიას ერთი ტყვიაც არ გაუსვრია.

— ჩემს იმპერატორს მხოლოდ მშვიდობა სურს, ელჩმა კურაკინმა კი თვითნებურად, დიახ, თავისი საკუთარი ნებითა და სურვილით გამოითხოვა პასპორტი გამოსამგზავრებლად. რაც შეეხება ინგლისისა და რუსეთის დაახლოებას, ეს ყოველ-გვარ სიმართლეს მოკლებულია.

ნაპოლეონი სავარძლიდან წამოდგა და ნერვულად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი.

— იმპერატორმა ალექსანდრემ შეურაცხმყო, როცა მოითხოვა ჩემი ჯარები პრუსიიდან გამეყვანა, — მრისხანედ წარმოსთქვა ნაპოლეონმა. ამ დროს ფანჯარა გაიღო, ნაპოლეონმა ფრთხილად დახურა იგი და ახლა უკვე დამშვიდებული მიუბრუნდა ბალაშოვს. — მეც ეკიპაჟი კინაღამ ესპანეთს ვავგზავნე და თვითონაც იქით უნდა წავსულიყავი, სრულიად არ ვფიქრობდი ომის დაწყებას რუსეთის წინააღმდეგ. კარგად ვიცი, რომ საფრანგეთის ომი რუსეთთან უბრალო საქმე არ არის არც რუსეთისა და არც საფრანგეთისათვის.

ნაპოლეონმა ისეთი წყნარი ტონით წარმოთქვა თავისი სიტყვა, რომ ბალაშოვს იმედი მიეცა და საზეიმოდ განაცხადა:

— ჩემმა იმპერატორმა დამავალა გადმოგცეთ, რომ უკეთუ თქვენი უდიდებულესობა თანახმაა მოლაპარაკებისა, იგი ახლავე შეიძლება დაიწყოს.

— მე არასოდეს არ ვიყავი მოლაპარაკების წინააღმდეგი, — დიდსულოვნად და მოუთმენლად განაცხადა ნაპოლეონმა იმ იმედით, რომ ეგონა, რუსეთის მეფე დათმობაზე მიდისო.

— სწორედ ამიტომ საჭიროა რამე ვიღონოთ, თორემ ომი მალე საშინელ ხასიათს მიიღებს. იმპერატორი ალექსანდრე საზავო მოლაპარაკებას დაიწყებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა თქვენი არმია უკანასკნელ ჯარისკაცამდე გადავა ნემანის იქით.

— ნემანის იქით... მხოლოდ მაშინ? — ირონიულად წამოიძახა ნაპოლეონმა.

— დიახ, ნემანს იქით! მხოლოდ მაშინ! — მტკიცედ მოუჭრა ბალაშოვმა.

— აი, თურმე რას ფიქრობენ რუსეთში!.. ეს მოთხოვნა კი არა, მუქარაა, — ნაპოლეონი უკმაყოფილო გამომეტყველებით მიუბრუნდა თავისიანებს, — გესმით. იმპერატორი ალექსანდრე მემუქრება! და ამას მშვიდობისმოყვარეობას ეძახიან!

მერე ბალაშოვს გადახედა და დამცინავად განაგრძო: — რუსეთს მშვიდობა სურს? ასეთი მშვიდობა?! მაშ, მეც მოგმისმინეთ. სად არის კონტინენტალური ბლოკადა? მე დამპირდნენ, რომ ინგლისურ საქონელს არ დაუშვებდნენ რუსეთის ბაზარზე. მაგრამ დაპირება მხოლოდ ცარიელ სიტყვებად დარჩა. ღმერთო ჩემო, რა უნდათ ამ ადამიანებს? მას შემდეგ, რაც იგი აუსტერლიცთან გაილახა, ერთი სიტყვით ორი უბედური ომის შემდეგ, იგი იძენს ფინეთს, მოლდავეთს, ვალახეთს, ბელოსტოკს და ტარნოპოლს. კიდევ უკმაყოფილია?! მე გული არ მომდის მასზე ამ ომის გამო. ერთი ზედმეტი ომი ზედმეტი ტრიუმფია ჩემთვის, მე სამჯერ მეტი ძალები მყავს, ვიდრე თქვენს იმპერატორს.

— სამაგიეროდ ჩვენი ჯარი საკუთარ ტერიტორიაზე იბრძოლებს, ეს კი უკვე ბევრის მთქმელია, — ჩაურთო ბალაშოვმა.

— თქვენი ჯარის სათავეში ამჟამად ბარკლაი დე-ტოლი დგას. ბაგრატიონი მეორე რიგშია. რაც შეეხება ბარკლაი დეტოლის, მე მას არ ვიცნობ, მაგრამ კამპანიის დაწყების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მას დიდი სამხედრო ნიჭი არა ჰქონია.

— ვინაიდან თქვენი უდიდებულესობა ნებას მაძლევს ვილაპარაკო ამ საგანზე, ვბედავ თამამად ვიწინასწარმეტყველო, რომ საშინელ ომს აჩაღებთ, იმპერატორო! ეს იქნება ომი მთელი ერისა, რომელიც მრისხანე ძალას წარმოადგენს. რუსი ჯარისკაცი მამაცია და მას უყვარს თავისი სამშობლო.

ნაპოლეონმა ნაძალადევად გაიღიმა და დაუფარავი ირონიით უპასუხა.

— კარგად ვიცი, რომ თქვენი ჯარისკაცი მამაცია. მაგრამ არც ჩემი ჯარისკაცია ლაჩარი. არა, როგორ შეგიძლიან თქვენ იომოთ მოკავშირეთა გარეშე, როცა მათი დახმარებითაც ვერაფერი გააწყვეთ, ახლა კი, როდესაც მთელი ევროპა ფეხდაფეხ მომყვება, როგორღა შეძლებთ გამკლავებას?

— ბუნებამ მხოლოდ ერთი რუსეთი შექმნა და მას ბადალი არა ჰყავს. ჩვენ ყველაფერს შევძლებთ, იმპერატორო! თუ თქვენ არ შეწყვეტთ და განაგრძობთ ომს, შესაძლებელია მოგვერიოთ, მაგრამ ზავს მაინც ვერასოდეს ვერ ეღირსებით.. თქვენ ბევრჯერ ძლიეთ ესპანელები, მაგრამ ისინი მაინც არ დამარცხებულან... პარიზიდან ჩვენამდე კი უფრო დიდი მანძილია, ვიდრე ესპანეთამდე, ამასთან მათ არც ჩვენი ბუნება და არც ჩვენი სახსრები გააჩნიათ. ჩვენს ზურგში თვალუწვდენელი სივრცეა და მშვენივრად ორგანიზებულ არმიას კარგად შევინახავთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვეძლება და ამასთან ღმერთიც შეგვეწევა.

— ეს მხოლოდ სიტყვებია! ღმერთი ყოველთვის ზეტი ბატალიონების მხარეზეა, — ხელი ოდნავ ჩაიქნია, დაძცინავად გაიღიმა და თვალები ზევით აღაპყრო, თითქოს ვეება და ძვირფას ჭაღს შესცქერისო. — ჰო, მხედართმთავრები! — ხმამაღლა წამოიძახა ნაპოლეონმა, — მხედართმთავრები რუსეთს არა ჰყავს, გარდა ბაგრატიონისა, მე მას დიდად ვაფასებ, იგი თავისი სახელით, ნიჭითა და საქმით ამშვენებს მთელი ევროპის მხედართუფროსთა პლეადას, მაგრამ რუსეთში რატომღაც მას არ აფასებენ. ბენიგსენი არაფრად ვარგა. როგორ იქცეოდა იგი ეილაუსთან, ფრიდლანდთან? ბარკლაი დე-ტოლის შესახებ მე უკვე ვთქვი.

— რუსეთი არც ისე ღარიბია მხედართმთავრებით, როგორც თქვენ ფიქრობთ. — ბალაშოვს ბრაზი აბრჩობდა, მაგრამ სიმშვიდე მაინც არ დაუკარგავს.

— მე გავიგე. რომ იმპერატორი ალექსანდრე თვითონ დგება არმიის სათავეში, რა საჭიროა ეს? ესე იგი მან პირადად მოიმზადა პასუხისმგებლობა დამარცხებისათვის. ომი ჩემი ხელობაა. მე მას შევეჩვიე. ალექსანდრე კი სულ სხვაა. იგი თავისი დაბადების უფლებით არის იმპერატორი. ის უნდა მეფობდეს მხოლოდ, სარდლად კი გენერალი დაინიშნოს: თუ გენერალი საქმეს კარგად წაიყვანს, დააჯილდოვებს, ცუდად წაიყვანს — დასჯის. უმჯობესია გენერალმა აგოს პასუხი მის წინაშე, ვიდრე თვითონ წარდგეს ხალხის წინაშე, როგორც დამნაშავე. ხელმწიფეებიც კი აგებენ პასუხს. ეს არ უნდა დავიწყონ. გადაეცით თქვენს იმპერატორს, რომ მე ცუდად არ ვიცი სამხედ-

რო ხელობა და რომ ჩემმა არმიამ კარგად იცის ბრძოლა და მას ცოტა როდი აქვს გამარჯვების გამოცდილება. და ჩვენ არა თუ ნემანს უკან გადავალთ, ჩვენ დნეპრის წინაც არ შეეჩერდებით. თუ საჭირო იქნება მე მოვაწყობ რუსეთის ერთ, ორს ან სამ კამპანიას, მივაღწევ რუსეთის უდაბნოებამდე... და... ეს იქნება ასე, სანამ არ მივაღწევთ ჩვენთვის საპატიო ზავს, ან მთლიანად... — ნაპოლეონმა სიტყვა არ დაამთავრა, ისევ მოიღუშა, წარბები შეიკრა და ხმამაღლა განაგრძო. — საკვირველია... შტეინი, არმფელდი, ვინცეგეროდე... აი რა ხალხი შემოიკრიბა ალექსანდრემ თავის გარშემო. და ამის შემდეგ თქვენ მშვიდობას ეძებთ? უთხარით იმპერატორ ალექსანდრეს, რომ რამდენადაც იგი იახლოვებს ჩემს პირად მტრებს, იმდენად შეურაცხმყოფს მე და ამიტომ ასევე მოვეპყრობი მას. მე გავდევნი ყველა მის ნათესავს ვიურტენბერგიდან, ბადენიდან, ვაიმარიდან. დეე, რუსეთში მოუმზადოს მათ თავშესაფარი... — რამდენიმე მოკლე ნაბიჯი გადადგა თავის დიდ კაბინეტში, მხარზე დაადო ხელი კოლენკურს, შემდეგ ბალაშოვს მიუბრუნდა და სარკასტული ღიმილით მიმართა: — აი თქვენი იმპერატორის რაინდი, იგი რუსია ფრანგთა ბანაკში. ჰო, მზად არის გენერლის ცხენები? — შეეკითხა კოლენკურს, — ჩემი ცხენები ნიეცით... მას ხანგრძლივი მოგზაურობა მოელის.

ნაპოლეონი იქვე გამოემშვიდობა ბალაშოვს.

იმპერატორ ალექსანდრეს ელჩის აუდენცია იმპერატორ ნაპოლეონთან დამთავრდა.

ომი ისევ ძალაში დარჩა.

გავიდა თუ არა ბალაშოვი, ძლიერი მღელვარებისაგან გაწითლებული კოლენკური ახლოს მივიდა ნაპოლეონთან და მისთვის ჩვეული ღირსებით სავსე ტონით, მაგრამ გაბრაზებული ხმით მიმართა:

— თქვენო უდიდებულესობავ... რად მომაყენეთ შეურაცხყოფა? მე ფრანგი ვარ და ძალიან კარგი ფრანგიც, მე ეს ბევრჯერ დავამტკიცე და კვალავაც დავამტკიცებ. ჩემი დაუღალავი შრომა საფრანგეთსა და რუსეთის შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად უნაყოფო აღმოჩნდა. პოლიტიკა ფეხებში ებორკება თქვენს სტრატეგიულ მოსაზრებებს. ეს ომი

საშინელია... იგი დაღუპავს არმიას, თვითონ ჩემს საყვარელ იმპერატორსაც. ევროპაში მხოლოდ რუსეთს შეუძლია გააჩაღოს ომი, როცა მას მოესურვება. თქვენ კი...

ნაპოლეონმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მან ძლიერ აწყენინა კოლენკურს და ამის გამო ოდნავ ღიმილითა და დაყვავებით უთხრა:

— დამშვიდდით. ჩემი არმია ისეა შედგენილი, რომ ყოველგვარი დეზორგანიზაციის მიუხედავად, მას მხოლოდ წინსვლა ასულდგმულებს. ეს არის თავდასხმის, წინსვლისა და არა თავდაცვის არმია.

კოლენკური ერთხანს გაოგნებული იდგა ფიქრებში წასული, მერე მოულოდნელად წამოიძახა:

— მეტი აღარ შემიძლია ტყვიის ბეჭედი დავადო ჩემს ბაგეს. თქვენო უდიდებულესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, შეაჩეროთ ეს დამღუპველი კამპანია, ჩვენ აქ არაფერს მივაღწევთ, გარდა საშინელი კატასტროფისა. ეს რუსეთია და იგი თავის კლიმატს, თავის ზამთარს და სივრცეებს მიანდობს ომის ბედს ჩვენს წინააღმდეგ... ფრანგი ჯარისკაცები გულადები არიან, მაგრამ ნაკლებ ამტანნი, ვიდრე რუსები... იცოდეთ იმპერატორო, რუსეთს არ უშიშვლებია მახვილი და არც პირველი ჩააგებს მას. ისინი უფრო კამჩატკისაკენ წავლენ და სუსხიან ჩრდილოეთს შეაფარებენ თავს, ვიდრე საკუთარ პროვინციებს დათმობენ და ზავს დათანხმდებიან. თქვენო უდიდებულესობავ, ჩემო იმპერატორო, კარგად დაიხსომეთ: ზავს თქვენ რუსეთში ვერ მიაღწევთ!..

— ომი უკვე დაიწყო და ჩემს ნებასურვილს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს! — თქვა ნაპოლეონმა და გავიდა კაბინეტიდან. სახეზე ისეთი იერი დაჰკრავდა, თითქოს გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ადიოდა.

* * *

ბაგრატიონის მეორე არმია 30 ივნისს, ადრე დილით, გავიდა ვოლკოვისკიდან. კმაყოფილი იყო, რომ მოასწრო პლატოვისათვის უკანდახევის მარშრუტის გაგზავნა. შუადღისას უკვე მიაღწია ზელვეს. აქ მას დაუხვდა ფლიგელ-ადიუტანტი ბენკენდორფი, რომელმაც იმპერატორ ალექსანდრეს წერილი გა-

დასცა. იმპერატორი მეორე დასავლეთის არმიის მთავარსარ-
დალს უბრძანებდა, ვილეიკის მიმართულებით წასულიყო, რა-
თა პირველ არმიას შეერთებოდა. მაგრამ მტრის ჯარები გაცი-
ლებით ახლოს იყვნენ ვილეიკასთან, ვიდრე ბაგრატიონის არ-
მია, რომელსაც ძნელი, ძალზე საშიში გვერდითი მარში ელო-
და ნოვოგრუდოკზე გავლით. გზაში ბაგრატიონმა შეიტყო,
რომ მტერს უკვე დაეკავებინა ვილეიკა. მთავარსარდალს ახა-
ლი თავსატეხი გაუჩნდა: რომელი გზა აერჩია, თანაც უმოკლე-
სი, რომ ბარკლაი დე-ტოლის არმიას შეერთებოდა. ნაპოლე-
ონს კარგად ესმოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბაგრა-
ტიონის არმიის განადგურება, ვინაიდან, თუ იგი პირველ არ-
მიას შეუერთდებოდა, ძალზე გაძნელდებოდა ნაპოლეონის შე-
ტევითი ოპერაციები. ამიტომ ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ გა-
მოუყო მარშალ დავუს სამი ძლიერი კოლონა და უბრძანა და-
სდევნებოდა და შეემუსრა ბაგრატიონი. მეორე არმიის წინა-
აღმდეგ დაიძრა ფრანგთა არმიის მრისხანე ძალა, რომელიც
თითქმის ერთისამად სჭარბობდა მეორე არმიას: 116 ათასი
ფრანგი ჯარისკაცი 40 ათასი რუსის წინააღმდეგ.

ბაგრატიონის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარებს სარდლობ-
დნენ: თვითონ მარშალი დავუ — 50 ათას კაცს, თავადი პო-
ნიატოვსკი — 36 ათასს, მეფე ჟერომ ბონაპარტი — 15 ათასს,
მარშალი გრუში — 7 ათასს, მარშალი ლატურ-მობური — 8
ათასს.

ბაგრატიონის არმიაც მოღონიერდა — მას შეუერთდნენ
კავალერიის გენერლის პლატოვის კაზაკთა კორპუსი და გენე-
რალ-მაიორ დოროხოვის დივიზია. მაგრამ ბაგრატიონის ძალა
მაინც სამჯერ ნაკლები იყო მტრის ძალასთან შედარებით.

პლატოვი ცხარე საარიერგარდო ბრძოლებს უმართავდა
მტერს და ამით ხელს უწყობდა მეორე არმიას დასახული მი-
ზნისაკენ წინსვლაში. პლატოვი დივერსიებს აწყობდა მარშალ
დავუს კორპუსის ნაწილების წინააღმდეგ. პლატოვმა სოფელ
ზაკრევჩიზნოს მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში ასი კა-
ცი მოსპო, ტყვედ ჩაიგდო ულანთა მე-9 პოლკის ოფიცერი, გე-
ნერალ დესეს მე-4 ქვეითი დივიზიის კავალერიისა და ქვეითი
ჯარის ერთი უნტერ-ოფიცერი და ოცი ჯარისკაცი. მტრის ნა-
წილები, რომლებიც პლატოვს უტევდნენ, უკუიქცნენ.

7 ივლისს, შეტევის დაწყების წინ, დასავლეთის მეორე არმიის მთავარსარდალმა ბაგრატიონმა თავის ჯარებს მიმართა ბრძანებით:

„დაბოლოს, მტრის ჯარები შეგვხვდნენ, კავალერიის გენერალი პლატოვი მიერეკება და ურტყამს ძათ. ჩვენ უნდა შევუტიოთ უშიშრად, სწრაფად, სროლას არ გამოვედეენოთ; არტილერიამ ურტყას ზუსტად; ირრეგულარული ჯარები უნდა ეცადონ ალყა შემოარტყან მათ ფლანგებსა და ზურგს — ეს მათ ძალუძთ, ოღონდ საჭიროა ოსტატურად ვიმოქმედოთ. რეგულარულმა კავალერიას შეუტიოს სწრაფად, მაგრამ ძალზე მწყობრად, არავითარ შემთხვევაში არ დაიფანტონ. ესკადრონები იერიშისას ერთმანეთს უნდა მიეშველონ, რეზერვები და ფლანგები დაცული უნდა ჰქონდეთ. კავალერია ჭადრაკულად უნდა განლაგდეს. პოლკების ბ-ნ შეფებს ვურჩევ. არავინ გავიდეს ფრონტიდან დაჭრილთა გასაყვანად — საამისოდ გამოყოფილი იქნება განსაკუთრებული რაზმი. სროლის დროს რაც შეიძლება ნაკლებად გაგზავნონ მსროლელნი, მხოლოდ მაშინ. თუ ფლანგებზე იქნება ტყე — ჩაუსაფრდნენ. კორპუსის მეთაურები ეცადონ და მთელი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ მტერი ხიშტებით განგმირონ მწკრივებში და შეუტიონ, თუ იგი უკუიქცევა. ცხენოსანი არტილერია უნდა მოქმედებდეს ძლიერად, ასევე კავალერია, მაგრამ ძალზე მწყობრად, ოდნავი არევ-დარევის გარეშე... მე მჯერა, ჩემდამი რწმუნებული არმიის სიმამაცე და რომ ყოველი ჩინის ადამიანები ეცდებიან კეთილგონივრულად, მამაცურად იმოქმედონ, რამეთუ ჩვენი ყოვლადმოწყალე და ჩვენი საყვარელი სამშობლო ამას მოითხოვს და ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი შვილური სიყვარული და შეუდრეკელი მამაცობა.

ჯარების ბატონმა ოფიცრებმა ჯარისკაცებს შთააგონონ, რომ მტრის ჯარები სხვა არა არიან რა, თუ არა მთელი ქვეყნიდან თავმოყრილი ვიგინდარები, ჩვენ კი რუსნი ვართ და ერთმორწმუნენი. მათ არ ძალუძთ მამაცურად ბრძოლა, განსაკუთრებით ეშინიათ ჩვენი ხიშტისა. შეუტიე მას: ტყვია განზე. მიეტანე მას — იგი გაიქცევა. ქვეითო. — ჰგმირე, კავალერიავ, — ჩეხე და თელე!

ჩემმა ოფიცრებმა მთელ ქვეყანას დაუმტკიცეს მამაცობა, ერთგულება, თავგამოდება და მორჩილება, მაშასადამე, ახლა ისინი ჩემს თვალწინ სულ უფრო მეტად გაამართლებენ დამსახურებულ მადლობას ოცდაათი წელია, მე ვმსახურობ და ოცდაათი წელია ვამარცხებ მტერს თქვენი მამაცობის წყალობით. მე მუდამ თქვენთან ვარ და თქვენ ჩემთან! ვიცი რა თქვენი სიყვარული სამშობლოსადმი, მე ყველაფერს მოველი მამაცი ჯარებისაგან. თქვენ თავს იჩენდით ჩემთან და ახლაც სულ უფრო მეტად უნდა გამოიჩინოთ თავი. ხელმწიფემ მიბოძა უფლება დაგაჯილდოვოთ. მაშასადამე, ჯილდო ჩემს ხელშია და მე მოვალედ ვრაცხ თავს სრული სამართლიანობით ვისარგებლო ხელმწიფის ნდობით. დავარტყათ მაგრად და ვძლიოთ მტერი. მაშინ ჩვენ მოვიხვეჭთ სამშობლოს პატივისცემას, დიდებასა და მადლობას, ხოლო ჩვენს საყვარელ მამულს მტრის დამარცხებით, რომელმაც გაბედა რუსეთის მიწა-წყალზე შემოჭრა, მივანიჭებთ მშვიდობასა და ნეტარებას".

ამ ბრძანებამ თავისებური სტილითა და ხასიათით კიდევ ერთხელ მოაგონა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს დიდი სუვოროვი. ამიტომაც მიაჩნდათ მათ თავისი უმამაცესი და უნიჭიერესი ბელადი გენერლად „ხატად და მსგავსად სუვოროვისა". როგორც რუსეთის მხედრობა, ისე მთელი რუსეთი მუდამ სიყვარულით წარმოთქვამდნენ ბაგრატიონის სახელს და იგი თავისი დროის სუვოროვად მიაჩნდათ.

მაგრამ იყვნენ ადამიანები როგორც არმიაში, ისე სასახლის კარზე, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ, როგორც დამსახურება და ღირსება ბაგრატიონისა, ისე მისი ბრწყინვალე მხედართმთავრული ნიჭი. თითქმის ყველა მათგანი უცხოური წარმოშობისა იყო. რუსეთის სამსახურში გამდიდრებისა და კარიერის გულისათვის ჩამდგარი. როგორც არმიაში, ისე იმპერატორის კარზე, ბლომად იყვნენ უცხოელები. განსაკუთრებით იგრძნობოდა გერმანელთა მოძალება. ამიტომაც იყო, რომ იმდროინდელი რუსული არმიის ერთერთმა დიდმა წარმომადგენელმა გენერალმა ერმოლოვმა ოფიციალურად, მაგრამ ცინიკურად სთხოვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, გერმანელობა მომანიჭეთო. ხოლო იმ დროს რუსეთში გერმანელს უწოდებდნენ არა მარტო საკუთრივ გერ-

ვანელებს, არამედ ყველა უცხოელს, ვინც რუსეთის სამსახურში იყო. ამიტომაც შესჩიოდა ბაგრატიონი მეფეს: „მინისტრთან ერთად ჩემი ყოფნა შეუძლებელია. ღვთის გულისათვის გამაგზავნეთ სადაც გნებავთ, თუნდაც პოლკის მეთაურად მოლდავეთში ან კავკასიაში, აქ კი ვერ ვიქნები; მთელი მთავარი ბანაკი გერმანელებით არის სავსე".

თუმცა ამ უცხოელებს შორის ისეთნიც იყვნენ, რომლებმაც რუსეთი შეიყვარეს და თავის მეორე, ხოლო ბევრს ნამდვილ სამშობლოდ მიაჩნდათ. მაგრამ მაინც უცხოელთა უმრავლესობა აბუჩად იგდებდა ყოველივე ჭეშმარიტად რუსულს და მხოლოდ თავისას და თავის თავს აქებდა. მათ ცუდად, ხოლო ბევრმა სრულებით არ იცოდა იმ ხალხის ენა, რომელმაც ისინი შეიფარა. მათ დაივიწყეს ელემენტარული მართებულობა — პატივი უნდა სცე იმ ხალხს, ვის ქვეყანაშიც ცხოვრობ. გენერალი ფვული შვიდ წელიწადს ცხოვრობდა სასახლის კარზე რუსეთის იმპერატორის სამხედრო მასწავლებლად და შვიდი რუსული სიტყვაც არ ისწავლა, ხოლო ჰის დენშჩიკს, უკრაინელს, ამის მეოთხედი დროც არ დაჭირებია, რომ გერმანულ ენას დაუფლებოდა. ბევრი უცხოელი თავს იწონებდა თავისი უცხოური ენით, ხოლო ისინი რომლებიც რუსულად ლაპარაკს ახერხებდნენ, წამდაუწუმ ხმარობდნენ უცხოურ ტერმინებს, რომ თავიანთი მოჩვენებითი განსწავლულობა გამოეჩინათ. ერთმა ამ „განათლებულმა" ავსტრიელმა, გენერალმა ვეიროტერმა, რომელმაც ალექსანდრე პირველის წინადადებით შეადგინა აუსტერლიცთან ბრძოლის დისპოზიცია, როგორც ცნობილია, კინაღამ დაღუპა რუსთა არმია. და ეს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ეს დისპოზიცია უნიჭოდ, უვიცად იყო შედგენილი, არამედ იმიტომაც, რომ იგი გერმანულად იყო დაწერილი და დიდი დრო დაიხარჯა რუსულად თარგმნაზე.

მრავალრიცხოვან უცხოურ და რუსულ თხზულებებშიც კი, რომელთა ავტორები უცხოური წარმოშობისა იყვნენ, აშკარად გაზვიადებულია ფრიად ძდარე მხედართმთავრების ბენიგსენის, ბარკლაი დე-ტოლის, ვიტგენშტეინისა და სხვათა დამსახურება, ხოლო დამცირებულია პირველ რიგში კუტუზოვისა და ბაგრატიონის, და შემდგომ დოხტუროვის, კონოვ-

ნიკინის, პლატოვის, ვორონცოვის, რაევსკისა და სხვათა უდიდესი დამსახურება და ნიჭი.

ახლა მემუარებს არ იკითხავთ? ომის შემდეგ დიდხანს ზედიზედ გამოდიოდა მოგონებები, რომელთა ავტორები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეფუჩეჩებინათ სხვების ღირსება, რომ თავიანთი ნაკლი მიეჩქმალათ. ამ მხრივ ბევრს სცოდავდნენ როგორც ბენიგსენი, ისე ბარკლაი დე-ტოლი. ისინი კუტუზოვისა და ბაგრატიონის სიკვდილს მოესწრნენ, ამით ისარგებლეს და უმართებულოდ მიითვისეს დამსახურება და დიდი მხედართმთავრების ღირსება.

„ხელმწიფეო. — სწერდა ბარკლაი მეფეს, — ფრიად არასასიამოვნოა, რომ თავადი ბაგრატიონი იმის ნაცვლად, რომ დაუყოვნებლივ შეასრულოს თქვენი უდიდებულესობის ბრძანებები, ზედმეტ განსჯაში კარგავს დროს და თანაც მათ გენერალ პლატოვს აცნობებს, თავგზას უპნევს ამ გენერალს, რომელიც ისედაც ნაკლებ განვითარებული და სრულიად ვაუნათლებელია".

ეს „ნაკლებ განვითარებული და სრულიად გაუნათლებელი" პლატოვი კი სწორედ ის კავალერიის გენერალი, დონის ჯარის ატამანი, კაზაკთა კორპუსის მამაცი მეთაური გახლდათ, რომელიც სწორედ იმ დღეებში, როცა ბარკლაი ამ წერილს სწერდა მეფეს, ვაჟკაცურად ურტყამდა მტრის ჯარებს. კარგად ერკვეოდა რთულ და ძნელ პირობებში და მეორე არმიასთან ერთად შეუპოვრად მიიწევდა პირველ არმიასთან შესაერთებლად, რომელიც ყოველგვარი ტაქტიკისა და გეგმის გარეშე იხევდა უკან.

ხოლო კარლ კლაუზევიცი? ამას ის სწერდა რუსეთის არმიის შესახებ — ჩამორჩენილია განათლების მხრივო და ეს თურმე მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრმა რუსმა საბუღალტრო მოღვაწემ არ იცოდა უცხო ენა, განსაკუთრებით გერმანული. „გენერალ-კვარტირმაისტერად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდაპირველად გენერალი მუხინი იყო, რომელსაც ერთი სიტყვაც არ გაეგებოდა უცხო ენებისა, — წერდა კლაუზევიცი, — და, მაშასადამე, არასოდეს არ წაეკითხა სხვა წიგნები, გარდა რუსულად დაწერილისა. იგი ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ დანიშნეს, რომ გამოირჩეოდა ადგილმდებარეობის გადა-

ლებისა და რუკების ხაზვის ხელოვნებით. არმიებში, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამორჩებიან განათლების მხრივ, ეს სპეციალობა, ჩვეულებრივ, მთელი სამხედრო მეცნიერების განსახიერებად ითვლება".

ასეთი აზრისა იყო რუსეთის არმიაზე ადამიანი, რომელმაც თავშესაფარი პოვა რუსეთსა და რუსთა არმიაში, სადაც მას ყველა პირობა ჰქონდა თავი გამოეჩინა როგორც თეორეტიკოსს, ისე პრაქტიკოსს, მაგრამ არაფერი სასიკეთო არ გაუკეთებია არც თეორიულად და არც პრაქტიკულად. და პრუსიულ-იუნკერული სამხედრო მეცნიერების ამ თავგამოდებულმა მიმდევარმა, უბადაღებული გერმანული პედანტიზმის წარმომადგენელმა, შემოქმედებითი აზროვნების ნიჭს მოკლებულმა კაცმა რუსი ხალხის, რუსეთის მხედრობის გამარჯვება ნაპოლეონზე მხოლოდ „გენერალ ზამთარს" მიაწერა.

აი კიდევ ბენიგსენი, რომელიც ჯერ კიდევ 1773 წელს ჩამოვიდა ჰანოვერიდან რუსეთში და რუსეთის არმიაში დაიწყო სამსახური პრემიერ-მაიორად. მან 45 წელი იცხოვრა რუსეთში, მიაღწია გენერალ-ფელდმარშლობას და ერთხელაც არ გამოუთქვამს სურვილი რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი გამხდარიყო. „სამუდამოდ რუსეთის ქვეშევრდომობა არასოდეს არ მსურდა და ეს არც ფიცით მევალება".

ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაახლოებული ადამიანი რუსეთის სასახლის კარზე, სასახლის ინტრიგების დახელოვნებული ოსტატი, წამგლეჯი და ხაზინის ქურდი, უნიჭო მხედართმთავარი ბენიგსენი, როცა აურაცხელი ქონება შეიძინა, მრუდე თუ მართალი გზით, გენერალ-ფელდმარშლობა გაიკრა და მკერდი ორდენებით გაიჭედა, კვლავ თავის ჰანოვერს დაუბრუნდა საერთოდ რუსეთის არმიის მთავარი ბანაკი, ისევე როგორც სამეფო კარი, სავსე იყო სარჩენად აკიდებული უცხოელებით: გენერალი მიშო-დე-ბერატური სარდინიიდან, გენერალი ლუდვიგ ვოლცოგენი პრუსიიდან, გენერალი ფერდინანდ ვინცენტ-გეროდე ჰესენიდან, გენერალი არმფელდი გუსტავ-ჰავრიკი, შვედი ბარონი; იმპერატორ ალექსანდრეს ნათესავები — ბიძა და ბიძაშვილები ვიურტემბერგელები, შვერინელი პრინცი კარლ მეკლენბურგელი, პაულიჩი და სხვა კარიერისტები, ხაზინის ქურდები და ინტრიგანები. ყველა ისინი მეფესთან ერ-

თად დაღსანს და ბევრს ფუსფუსებდნენ, ვერ შეიმუშავეს ომის წარმოების ერთიანი გეგმა, ვინაიდან სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების გადაჭრას დილეტანტურად უდგებოდნენ.

ბაგრატიონი იმ დროს ერთადერთი მხედართმთავარი იყო, რომელიც რუსეთისათვის ესოდენ ძნელბედობის ჟამს დამოუკიდებლად წყვეტდა ომის საკითხებს და მომხრე იყო გადამჭრელი ზომებისა, მიუხედავად მეფისა და მისი მთავარი ბანაკის შეხედულებისა, სადაც ქაოსი სუფევდა. ერთნი ფრანგულად ლაპარაკობდნენ, სხვანი გერმანულად, შემდეგ ერომახეთს უთარგმნიდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერს აგებინებდნენ და ალექსანდრე თითქმის წამდაუწემ ცვლიდა თავის ვადაწყვეტილებებს. ამიტომ ჩიოდა ბაგრატიონი: „მთელი მთავარი ბანაკი გერმანელებით არის სავსე, ისე რომ რუსს არ ეცხოვრება. ღმერთმანი ჯკუაზე შემშალეს ამ გუთავებელი ცვლილებებით“.

* * *

ბაგრატიონი ძნელსა და სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდა. მას ალყა შემოარტყეს ბარშალ დავუს ჯარებმა. ბაგრატიონი ისე იყო მოშწყვდეული, რომ აუცილებელი განადგურება ნიშნელოდა, მაგრამ მისთვის ჩვეული ოსტატობით აუარა გვერდი დაგებულ მახეს და გაიჭრა სამხრეთისაკენ, სადაც მას ჟერომ ბონაპარტეს ჯარი დაედევნა გზის გადასაჭრელად.

ბაგრატიონმა აქაც იმარჯვა, დაასწრო ჟერომ ბონაპარტეს და უვნებლად გასწია დასახული მიმართულებით.

ამ შემთხვევამ ძლიერ აღაშფოთა ნაპოლეონი: „ქალაჩუნები! ბაგრატიონის არმიის კატასტროფა აუცილებელი იყო. — ამბობდა ის, — ასეთი შემთხვევა, მეტად არასოდეს განმეორდება... ქალაჩუნები! გადაეცით ვესტფალიის მეფეს, რომ მე ძლიერ უკმაყოფილო ვარ. აცნობეთ ჟერომ ბონაპარტეს, რომ დაუყოვნებლივ დატოვოს ბრძოლის ველი და თავის საძეფოში, ვესტფალიაში დაბრუნდეს“.

ბაგრატიონი ჯიუტად და ენერგიულად მიიწევდა პირველ არმიასთან შესაერთებლად. ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ ბაგრატიონის არმიის ხელიდან გაშვება ნახევარ დამარცხებას უდრიდა. „იგი არ უნდა შეუერთდეს ბარკლაი დე-ტოლს...“ — გაიძახოდა ნაპოლეონი.

ფრანგები ყოველნაირად ცდილობდნენ ბაგრატიონი იძულებული გაეხადათ მოგილიოვში შესულიყო, ანდა პისსკის ჭაობებისაკენ გადაეგდოთ. ორივე შემთხვევაში ფრანგთა ნაწილები ვიტებსკში ბაგრატიონზე ადრე შევიდოდნენ. ამგვარად რუსეთის მეორე არმია მოწყვეტილი და გზაგადაჭრილი იქნებოდა პირველი არმიისაგან, რომელსაც, ნაპოლეონის აზრით, უფრო აღვილად გაუსწორდებოდნენ. ნოვგოროდოკში მეორე არმია ალყაში მოხვდა, მაგრამ ბაგრატიონი არ დაფნეულა და უნარიანი მოქმედებით გაარღვია ალყა, კვლავ ვაუსხლტა ხელიდან ნაპოლეონის მრავალრიცხოვან არმიას, ოსტატური მანევრით თავი დააღწია განსაცდელს და კვლავ სამხრეთისაკენ გაიჭრა. ბუბრუისკთან მიაღწია მდინარე ბერეზინას; გადალახა იგი და გასწია დნეპრისაკენ. დნეპრზე გადასვლას მოგილიოვთან აპირებდა, მაგრამ როცა გაიგო მოგილიოვი მარშალმა დავუმ დაიკავა, მაშინ ბრძოლით დაიხია და ამ ბრძოლაში ფრანგთა მსუბუქი კავალერიის მთელი პოლკი გაანადგურა.

ამ ცნობების მიღებისთანავე ნაპოლეონი უპირველესად ყოვლისა რუკას მივარდა და თითქმის ისტერიულად შეპყვირა:

— დნეპრი, დნეპრი თუ გადალახა?

— გადალახავს.

— სად?

— ნოვობიხოვთან.

ნაპოლეონი ერთხანს გაქვავებული იდგა; მერე მაგიდაზე გაშლილ რუკას ხელი წაავლო, კუთხეში ისროლა; ალმაცერად გადახედა ბერტიეს და გულღვარძლიანად წარმოთქვა:

— ისევ ის, ისევ ბაგრატიონი თავისი უცნაური, და თამამი მანევრებით! საშინელი, საშინელი შეცდომაა, რომ მას ბოლომდე არ მისდიეს.

მარშალი ბერტიე არ დაიბნა და უმალვე უპასუხა:

— მე კარგად მახსოვს თქვენივე სიტყვები, რომ ბაგრატიონი რუსეთის არმიის ყველაზე უკეთესი მხედართუფროსია და რომ თქვენ მისთვის საფრანგეთის პირველი მარშლის წოდებას არ დაიშურებდით.

— მეც მახსოვს, — ჩურჩულით წარმოთქვა ნაპოლეონმა, — მაგრამ ბაგრატიონი თვითონ არ მაძლევს ამის ღირსებების საშუალებას.

როგორც კი შეატყო, რომ ნაპოლეონი ოდნავ დაცხრა, მარშალმა ბერტიემ თავისი მოსაზრება მოახსენა.

— თუ ბარკლაი დე-ტოლი სმოლენსკისაკენ გაეშურა იმისათვის, რომ იქ შეუერთდეს ბაგრატიონს, მაშინ შესაძლებელია, ისინი სმოლენსკში შეჩერდნენ. ვიტებსკში ბარკლაის უბაგრატიონოდ მოუხდება ბრძოლა. სმოლენსკში კი მას შეუძლია იბრძოლოს ბაგრატიონის და მისი ჯარების გვერდით.

ნაპოლეონი ჩაფიქრდა, მას თუმცა არ მოეწონა ბერტიეს სიტყვები, მაგრამ ძალაუნებურად დაეთანხმა.

— ბაგრატიონის გარემოცვა და მისი დაჭერა არც ისე ადვილი ყოფილა, იგი გენერალი მაკი არ არის და არც პრუსიელ გენერლებსა ჰგავს. ის უეჭველად ჩავა სმოლენსკში... და, რაც მთავარია, არმიასაც ბრძოლის უნარმოუღებლად მიიყვანს დანიშნულ ადგილზე.

ჭრთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც კუთხეში ჩაფიქრებულმა დარიუმ დაარღვია.

— ომი თქვენი უდიდებულესობისათვის ყოველივის თამაში იყო, იგი ყოველთვის თქვენი მოგებით, თქვენი გამარჯვებით მთავრდებოდა. ამჟამად ავადმყოფობამ, შიმშილმა და დეზერტირობამ თქვენი დიდი არმია მესამედით შეამცირა. მომარაგებაც შეუძლებელი გახდა, და თუ ახლა უკვე ვიტებსკთან ალარ გვეყოფნის სურსათი, რაღა იქნება შემდეგ, როცა ჩვენი ჯარები უფრო ღრმად შეიჭრებიან რუსეთში.

ნაპოლეონი გამოცოცხლდა და ბრძანების კილოთი უპასუხა:

— ოფიცრები გაგზავნეთ სოფლებში სურსათის მოსაგვარებლად!

— სურსათისათვის გაგზავნილი ოფიცრები უკან ველარ ბრუნდებიან და თუ რომელიმე მათგანი მოახერხებს დაბრუნებას, ხელცარიელი მოდის. ხორცი და ფქვილი გვარდიისათვის, შესაძლებელია გვეყოს, მაგრამ სხვა ნაწილებისათვის არაფერი გვრჩება და ჯარში უკვე ბუზღუნი და უკმაყოფილებაა.

ნაპოლეონმა, თითქოს არ მოუსმენია დარიუს სიტყვები, საყვედურით წარმოთქვა:

— ჩვმს არმიას უკან სურსათის დიდი აღალი და მსხვილფეხა საქონლის ჯოგი მოსდევს.

— მაგრამ ყველაფერი ეს ზურგში რჩება არმიისაგან ათეული და ასეული კილომეტრებით დაშორებული, — განაგრძო დარიუმ, — ჩვენი საველე ჰოსპიტალებიც არმიას ბევრად ჩამორჩნენ და მოუვლელობით უამრავი დაჭრილი იხოცება, უნდა შევჩერდეთ, მეტი წინსვლა შეუძლებელია.

— მით უმეტეს, — ჩაერია საუბარში ბერტიე, — რომ ვიტებსკის შემდეგ იწყება ნამდვილი რუსეთი, სადაც მოსახლეობა გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევს... უნდა შევჩერდეთ, თქვენო უდიდებულესობავ!

ნაპოლეონმა ხელები გაშალა და ჭერს მიაპყრო თვალები, თითქოს ღმერთს ესაუბრებაო.

— როგორ შევჩერდეთ, როდესაც რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ უკან იხევს, ზავს მაინც არა გვთხოვს... მე კი ჩვენთვის სასარგებლო ზავი მსურს.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, ნაპოლეონი ღია ფანჯრიდან გაყინული თვალებით გასცქეროდა ტყეს, რომლის დასაწყისთან იმპერატორის ძველი გვარდია დაბანაკებულიყო, ამ დროს ზაფხულის გავარვარებული მზე ტყეს მიეფარა და დარბაზში სიბნელე ჩამოწვა, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი ზურგშექცეული იდგა, დარიუმ მაინც გამოთქვა თავისი აზრი.

— რუსებმა საშინლად გაჭიმეს ფრონტი, შეუჩერებლად უკან იხევენ და დუმან... ჩემი აზრით, დროული იქნება, თუ ამ ლაშქრობას შევწყვეტთ ვიტებსკთან... თუ ვიტებსკს გავცილდით, სმოლენსკი ჩვენთვის საბედისწერო იქნება.

ნაპოლეონი სხარტად შემობრუნდა, თვალებით გაზომა ბერტიე და დარიუ, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგიდას ორივე ხელებით დაეყრდნო და გამკილავად მიმართა ორიკეს.

— მე ვიცი, თქვენ კარლ მეთორმეტეზე ფიქრობთ, მაგრამ მისი მაგალითი აქ სრულებით უადგილოა. შვედების მეფე არ იყო მომზადებული ასეთი დიდი საქმისათვის... და ბოლოს ყოვლად შეუძლებელია, მარტო ერთი შემთხვევის, შვედთა დალუპვის საფუძველზე შევქმნათ საერთო წესი. მე ისტორიისაგან კი არ ვსწავლობ, მას თვითონ ვქმნი. არავითარი საერთო წესი და საზომი ჩემს მიმართ არ გამოდგება. მართალია, შვედეთის ცნობილი მეფე-მხედართმთავარი დაიღუპა, მაგრამ იგი

ოვითონ იყო დამნაშავე. იგი იყო მხოლოდ კარლ მეთორმეტე, და რად მოჰკიდა ხელი ისეთ საქმეს, რომელიც ძალუძს მხოლოდ ნაპოლეონს და სხვას არავის?

* * *

— თქვენ მოურავი ხართ, შეგიძლიათ ყველაფერი დამოუკიდებლად გადაწყვიტოთ. მეორე არმია თქვენი ბატონის მამულის მიდამოებში დაბანაკდა. სასურსათო საწყობები ჩამოგვრჩა. ბაგრატიონის ჯარს შიმშილი ემუქრება. ფურაჟიც შემოგველია. სანამ აღალი მოგვისწრებდეს, თქვენ თამამად შეგიძლიათ დააკმაყოფილოთ ჯარის მოთხოვნილება.

ბრაზმორეული ხმით ეუბნებოდა ბაგრატიონის ჯარის ინტენდანტი მოურავს, რომელსაც თითები სავარცხელივით გაერჭო წვერებში, ვიწრო გუგებში ჩასმული მისი თვალების პატარა კაკლები ვერცხლის წყლის წვეთებივით ეხეთქებოდნენ აქეთ-იქით, ისე, რომ მოსაუბრეს ერთხელაც ვერ გაუსწორა თვალები.

— არმიის გამოკვება, თუნდაც ერთი დღით, — დიდმნიშვნელოვნად წარმოთქვა მოურავმა, — თუნდაც ერთი დღით, უბრალო საქმე როდია. მე არ შემიძლია გავანიავო ჩემი ბატონის დოვლათი.

— ჩვენ ნაღდ ფულზე შევიძენთ სურსათს. ეს თქვენი ბატონისათვის ფრიად სასარგებლო იქნება. ხვალ აქ ბონაპარტე შემოვა და ყველაფერს უსასყიდლოდ ჩაიგდებს ხელში

— როგორ! — თითქმის შეჰკივლა შეშინებულმა მოურავმა, — თქვენ კვლავ უკან დაიხევთ?!

— დიახ, ჩვენ უკან დავიხევთ პირველ არმიასთან შეერთებამდე.

წყნარად, ისეთი სიმშვიდით წარმოთქვა ინტენდანტმა ეს სიტყვები, თითქოს სასიამოვნო ამბავს ჰყვებოდა, მაგრამ მისმა სიტყვებმა მოურავს ფერი წაართვა, ისედაც პატარა თვალები უფრო დაუპატარავდა და საშინლად აწრიალდა.

— ღმერთო ჩემო! ეს რა მითხარით? ჩემი ბატონი, დარწმუნებული იმაში, რომ ბაგრატიონი უკან აღარ დაიხევს, ორი დღე-ღამეა პრეფერანსს თამაშობს და ქეიფობს... მაპატიეთ ბა-

ტონო ოფიცერო, უნდა დაგტოვოთ, ასლავე ბატონს უნდა შევატყობინო ეს საშინელი ამბავი.

სიტყვა არც კი დაუმთავრებია, ისე მოჰქუსლა მოურავმა.

საკმარისი იყო მოურავი თვალს მიფარებოდა, ინტენდანტს გლეხების მთელი ჯგუფი შემოეხვია. მათ გაეგოთ მეორე არმიის გაჭირვება სურსათისა და ფურაჟის ნაკლებობის გამო და სანამ ინტენდანტი მოურავს ესაუბრებოდა, ერთხმად გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ჯარს რითაც შეძლებდნენ. გახსაკუთრებით ქალებმა გამოიჩინეს თავი... ზოგს შვილი, ზოგს ქმარი, ზოგს ძმა ყავდა ჯარში და მათთვის რუსი ჯარისკაცი უფრო ახლობელი ადამიანი იყო. ერთმანეთში არეული ქალებისა და კაცების ჯგუფს გამოეყო მამაკაცთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, სამოც წელს გადაცილებული ნიკიფოროვი და თამამად გამოიჭიმა ინტენდანტის წინაშე.

— ბატონო ოფიცერო, ჩვენც მოგვისმინეთ!

— სიამოვნებით, ძმებო!

— მე აქაური ბატონის მწყემსი ვარ, ნიკიფოროვი... ჩემმა თანასოფლელებმა დამავალეს მოგახსენოთ, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით და რომ ჩვენი სოფლის გლეხებმა შეაგროვეს ოცი ფუთი ფქვილი, ხუთასი კვერცხი, სამოცი ქათამი, ორი ძროხა, ხუთი თხა და ათი ზვინი თივა ბაგრატიონის ჯარისათვის.

— ყოჩაღ, ნიკიფოროვ! — ხმამაღლა წამოიძახა აღტაცებულმა ინტენდანტმა, — სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თქვენი სოფლის ამაგს. ამ ამბავს ახლავე თვით მთავარსარდალს მოვახსენებ. — თქვა ინტენდანტმა და იმ წამშივე შემოახტა თავის ცხენს. როცა გლეხები მარტონი დარჩნენ, საშინელი ყაყანი ატყდა.

— მე რომ მკითხოთ, სისულელეს ჩადიხართ, ძმებო!

წამოიძახა ერთმა მოხუცმა.

— სწორია! — დაეთანხმა მეორე.

— ძმებო, მუჟიკებო, ხმები დადის, ბონაპარტეს თურმე ჩვენი მეფისათვის წერილი გაუგზავნია.

— ჰო, რაო, რა მინდაო?

— რა მინდაო და... სანამ გლეხებს არ გაათავისუფლებ, მანამდე გეომები და ჩვენს შორის მშვიდობა არ იქნებაო.

— ნუ სულელობ! ბონაპარტე და ალექანდრე მეფეები არიან, იმათ გლეხებისათვის არა სცხელათ. — თითქმის ყვირილით წარმოთქვა ყველაზე უფრო მოხუცმა და მთელს სოფელში ყველაზე ჭკვიან კაცად ცნობილმა პროხორმა.

— მართალია. ამჟამად ჩვენ მხოლოდ რუსეთის დასაცავად უნდა ვიზრუნოთ! — შემოსძახა მაღლობზე ასულმა ნიკიფოროვმა.

* * *

— ხომ ყველაფერი მზად არის? აბა, ჩასხედით. დროზე გავასწროთ, თორემ ანტიქრისტე კარს მოგვადგა. ბონაპარტე ჩემი მამულიდან მხოლოდ ოციოდე ვერსით არის დაშორებული. — ხრინწიანი ხმით გაიძახოდა აწრიალებული მემამულე და ცოლ-შვილი დროშკაში ჩასვა, თვითონაც აპირებდა ასვლას, მაგრამ მოურავის დაბნეულ თვალებს შეეფეთა და კვლავ ალაპარაკდა. — მოურავო, დოვლათს მოუარე, ყმებსაც მიხედე, თვალები ადევნე, არ დაიფანტონ!

— მათი დაფანტვისა რა მოგახსენოთ... — უპასუხა მოურავმა, — მაგრამ დოვლათის განიავება კი ძალზე მაშინებს. პეტრუხა, აბა ჩქარა, აქ მომგვარე არამზადა მწყემსი ნიკიფოროვი.

მოურავის კაცებმა კინწისკვრით მიჰგვარეს მოურავს გაბაწრული ნიკიფოროვი.

— ეს გაიძვერა ჩემმა ბიჭებმა გაბაწრეს ქურდობისათვის.

— რა მოიპარა? — შიშნარევი ხმით იკითხა მემამულემ.

— ძროხა მიჰყავდა თქვენი ჯოგიდან ბაგრატიონის ჯარისკაცებისათვის. თავისი ერთადერთი თხაც ზედ დაუმატა... ბეგარა კი გადაუხდელი აქვს.

— როზგი! — დაიღრიალა მემამულემ. — ახლავე, აქვე ჩემს თვალწინ ოცდახუთი როზგი მიართვით მაგ არამზადას!

მოურავის კაცებმა ნიკიფოროვს ჯერ წელს ზევით გაბადეს, მერე ზედ შარაგზაზე პირქვე დაამხეს და ის იყო პეტრუხამ როზგი შემართა, რომ ყველას ყურადღება თანდათან მოახლოებული ცხენების ფლოქვთა თქარუნმა მიიპყრო. რამდენიმე წამიც და ბაგრატიონი გამოჩნდა ინტენდანტისა და ამალის თანხლებით.

— ბაგრატიონი! — ძლივს წამოიძახა მემამულემ და ხელი პირზე დაიდო.

ბაგრატიონმა მიწაზე გართხმულ ნიკიფოროვს გადახედა და იკითხა.

— ეს რას ნიშნავს, ბატონებო?

— ჩემი ყმაა, გაიძვერა... დანაშაული ჩაიდინა და უნდა დავსაჯო, თქვენო ბრწყინვალებავ!

ბაგრატიონმა ყურადღება არ მიაქცია მემამულეს და ცალი თვალით გადახედა ინტენდანტს, თითქოს ეკითხებოდა ეს არის ნიკიფოროვი.

— წამოაყენეთ! — ბრძანა ბაგრატიონმა და ნიკიფოროვი თვითონ წამოდგა ფეხზე, მიუხედავად იმისა, რომ ნიკიფოროვის წამოსაყენებლად პეტრუხასთან ერთად დაიზნიქა.

ბაგრატიონი ცხენიდან ჩამოხტა, ზიზღით გადახედა მემამულეს და მის მოურავს, ნიკიფოროვთან მივიდა. მხრებში წაავლო ხელები და თვალებში ჩააცქერდა.

— უნდა დაგაჯილდოვო, რას ისურვებდი?

შეეკითხა ბაგრატიონი.

— იარაღი! — მოკლედ უპასუხა ნიკიფოროვმა.

ბაგრატიონმა დამბაჩა გადასცა ნიკიფოროვს და თან დააყოლა.

— მე იმედი მაქვს, შენ ღირსეულად გამოიყენებ ამ საჩუქარს. — შემდეგ ბაგრატიონი გლეხებს მიუბრუნდა. თქვენ კი დიდი მადლობა, ნამდვილო რუსო ადამიანებო!

* * *

პირველი არმიის ბანაკში მეორე არმიის მთავარსარდალი პეტრე ბაგრატიონი გამოჩნდა. იგი საპარადო მუნდირში იყო გამოწყობილი და ორდენებით მკერდდამშვენებული. ეს ამბავი ხელად გაიგო პირველი არმიის მთავარსარდალმა და საპატიო სტუმრის შესახვედრად მუდამ ზანტი და მოუქნელი ბარკლაი დე-ტოლი მისთვის უჩვეულო სისწრაფით გამოვიდა ფრიად საპატიო სტუმართან შესახვედრად. ბარკლაი სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა დინჯად მომავალი სტუმრისაკენ და თან გაკვირვებული ფიქრობდა: „მე მინისტრი და პირველი არმიის მთავარსარდალი ვარ, მაგრამ ბაგრატიონი სამხედრო წოდებით

ჩემზე მაღლა დგას და, მიუხედავად ამისა, იგი თვითონ მოდის ჩემთან. მომწონს და მიკვირს მისი ესოდენ უბრალოება და თავმდაბლობა“.

— სალამი, ბატონო მინისტრო! — ბაგრატიონმა ისე წარმოთქვა სიტყვა „მინისტრი“, თითქოს მხედართმთავარს კი არა, ჩვეულებრივ ჩინოვნიკს შეხვდაო.

ბარკლაი აღელვებული იყო ლეგენდარულ გმირთან და ძლიერ მოქიშპესთან შეხვედრით და მას არც კი უგემნია ბაგრატიონის გესლიანი მისალმება.

— გილოცავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩინებული ბრძოლების კეთილ დაბოლოებას. — თითქმის მისთვის უჩვეულო მაამებლური ტონით ჩაილუღლუღა ბარკლაიმ.

— ჩვენ უკვე შევერთდით... ამიერიდან მე თქვენს ხელქვეითად ვთვლი თავს, მინისტრო!

ბაგრატიონის ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს, დააბნია ბარკლაი და ძლივს წარმოოქვა:

— კი, მაგრამ... თქვენო ბრწყინვალებავ!

— დიახ, ომში მთავარი ერთი უნდა იყოს... ჩვენი გაერთიანებული ძალები მიუვალ კედლად უნდა აღიმართოს ნაპოლეონის წინააღმდეგ. სმოლენსკი მოსკოვის კარიბჭე გახლავთ, და მას დავიცავთ, თუნდაც რომ საკუთარი ძვლები დავაწყოთ. სიტყვა მომეცით, მინისტრო, რომ უკან აღარ დავიხევთ. — სიტყვის დამთავრებისთანავე ბაგრატიონმა ისეთი თვალებით შეხედა ბარკლაის, რომ მას ბაგრატიონის სიტყვები სურვილად კი არა, ბრძანებად მოეჩვენა.

— სიტყვას ვიძლევი, ბრძოლას გავმართავთ სმოლენსკის მისადგომებთან! — ხელქვეითივით წამოიძახა ბარკლაი დე-ტოლიმ და უფერული თვალები ოდნავ აუციმციმდა, რაც ბარკლაის ღიმილს ნიშნავდა.

— გმადლობთ, მინისტრო! — მოკლედ მოუჭრა ბაგრატიონმა და თვალებით გაზომა თავიდან ფეხებამდე ხმელი და მაღალი ბარკლაი დე-ტოლი.

— დაიმედებული ბრძანდებოდეთ, თქვენო ბრწყინვალებავ! — მორჩილი ადამიანის ტონით წარმოთქვა მუდამ ქედმაღალმა ბარკლაი დე-ტოლიმ და ფრიად საპატიო სტუმარი ვახშამზე მიიპატიჟა.

* * *

შორს, სადაც მიწა ცას უერთდება თითქოს გავარვარებული მზე ამოდისო, ზაფხულის უმთვარო ღამეს სმოლენსკის ხანძარი ანათებდა. იწვოდა ქალაქი სმოლენსკი და უკან დახეულ რუსეთის ჯარისკაცთა და ოფიცერთა გულშიაც ცეცხლი ენთო.

ბაგრატიონს მწუხარებისა და რისხვისაგან თვალები გაფართოებოდა. ხელი რომ გაიშვირა ხანძრისაკენ, ისეთი თვალებით მიუბრუნდა ბარკლაის, რომ ეს უშიშარი მხედართმთავარი იძულებული იყო ერთი ნაბიჯით უკან დაეხია.

— უცქირეთ, დასტკბით... ეს ხომ თქვენი ნახელავია!

— თქვენო ბრწყინვალებავ! — ძლივს წარმოსთქვა შეურაცხყოფილმა ბარკლაიმ და გაკვირვებისაგან ხელები გაშალა.

— თქვენ მე მოთმინებიდან გამომიყვანეთ... თქვენ უსირცხვილოდ მიატოვეთ სმოლენსკი!

— თქვენ ცდებით, მე არ გამოვქცეულვარ! — ხმამაღლა წამოიძახა ბარკლაიმ და სახეზე სიბრაზის ალმურმა გადაუარა.

— თქვენ უკან იხევთ... მაგრამ საამისო გეგმა არ გაგაჩნიათ... და შემდეგში, ალბათ, ამ უწესრიგო რეტირადებს უკანდახევის სტრატეგიად მონათლავთ.

— ვითარება მაიძულებს, უარვყო წინასწარ მიღებული გეგმა და მდგომარეობის მიხედვით ვიმოქმედო, — შემარიგებელი ტონით დამარცვლა ბარკლაიმ ეს სიტყვები და ისეთი თვალებით შეხედა ბაგრატიონს, თქოს ეკითხებოდა, „ახლა რაღას მეტყვითო“.

— მე თქვენი მანევრირების არაფერი მესმის, იგი კუკუმალულობას უფრო წააგავს. ჩემი მანევრია, მოვძებნო და დავარტყა. სამხედრო სისტემა ჩემი აზრით ასეთია: ვინც ადრე ადგა და ჯოხი აიღო ხელში, კაპრალიც ის არის.

— ჩვენმა არმიამ სმოლენსკთან საგრძნობი ღანაკლისი განიცადა, — შეესიტყვა ახლა უკვე გათამამებული ბარკლაი, — გარდა ამისა, მტერი გეჭარბობდა რიცხვით და...

ბაგრატიონმა სიტყვის დამთავრება აღარ აცალა ბარკლაის და ისევ შეუტია:

— ჩვენ იქ ოთხი ათასზე მეტი დანაკლისი არა გვქონია... თუ გნებავთ, ათიც ყოფილიყო... სამაგიეროდ, მოსკოვის გასა-

ღებს — სმოლენსკს შევინარჩუნებდით, მტერს ძლიერ დავასუსტებდით. სმოლენსკთან ამის საუკეთესო პირობები იყო. ომში გაუბედაობა თვითმკვლელობაზე უარესია, ომი კატა-თაგვობანას თამაში არ გახლავთ, ბატონო მინისტრო. სადაც ომია, იქ უეჭველად სისხლი იღვრება. სადაც გამარჯვებაა, იქ მსხვერპლიც აუცილებელია. სმოლენსკის მიტოვებასთან დაკავშირებული მსხვერპლი უფრო დიდია, ვიდრე მის დაცვას მოუნდებოდა... რაც შეხება მტრის სიჭარბეს, ნუ დაგავიწყდებათ დიდი სუვოროვის ნათქვამი: „იბრძვიან ჭკუით, უნარით და არა რიცხვით“... ეს თუ ასე არ არის, რაღა საჭირო ვართ მაშინ ჩვენ, სარდლები — ჯარების გული, ნებისყოფა და ვონება?! რიცხვობრივი სიჭარბე თავისთავად არ წყვეტს გამარჯვების საკითხს... გარდა ამისა, ყოველ საქმეში გადამწყვეტია კიდევ ორი ფაქტორი — ღალატი და ერთგულება... რაც შეეხება პირველს, იგი თვალწინ მიდგას, როცა თქვენ გიცქერით, — უკანასკნელი სიტყვები თუმცა ოდნავი ჭოჭმანით, მაგრამ მაინც მრისხანედ და ზიზღით მიახალა განრისხებულმა ბაგრატიონმა გაფითრებულ ბარკლაი დე-ტოლის.

— თქვენ საშინელ შეურაცხყოფას მაყენებთ! მე თქვენ დუელში გამოგიწვევდით, მაგრამ სამშობლოს ასეთ უბედურების ჟამს ეს იქნებოდა უგუნურობა და ღალატი. თქვენ კი უამისოდაც ყოველთვის მოღალატეები გეჩვენებათ, კარგად დაიხსომეთ, თავადო, რომ ყველა თქვენი ბრალდება ჩემს წინააღმდეგ უსაფუძვლოა და საშინლად შეურაცხმყოფელი... ეს კი თქვენი შეურაცხყოფაც არის, ვინაიდან ასეთი საქციელი შეუფერებელია ბაგრატიონის სახელისათვის. იგი არ ეკადრება თქვენს ბრწყინვალებას.

დუელის გახსენებაზე ბაგრატიონმა თვალებში რისხვა ჩაისვა და სახეზე შერკინების სურვილის ალმა გადაუარა, თუმცა ბარკლაის უკანასკნელმა სიტყვებმა ოდნავ მოალბო, მაგრამ მაინც თავისებურად შეუტია:

— მე არა ვარ ორპირი: ვინც მიყვარს, პირდაპირ მიყვარს, და სიძულვილიც პირდაპირი ვიცი, მე არ შემიძლია ღავმალო სიხარული, მაგრამ აგრეთვე, უნარმოკლებული ვარ, დავმალო უკმაყოფილება.

— ამ თვისებით ადამიანები მტრებს იძენენ. — ბარკლაის თვითონვე მოეწონა თავისი პასუხი და ნაძალადევად გაიღიმა.

— უმჯობესია, გუავდეს აშკარა მტერი, ვიდრე შენიღბული მეგობარი, — ტყვიასავით მიახალა ბაგრატიონმა.

— თქვენ მალე საკუთარ თავსაც ეჭვის თვალით შეხედავთ.

— რაც შეეხება ეჭვებს, — თუმცა დაბალი, მაგრამ მრისხანე ხმით უპასუხა ბაგრატიონმა, — თქვენ მათ გარდა ვერავითარ სხვა გრძნობებს ვერ აღძრავთ ადამიანში. თქვენ კარგად იცით პრინც კარლ მეკლენბურგსკის საქციელიც, რომელიც ჩვენი შეიარაღებული ძალების მასსრად აგდებას და თითქმის ღალატსაც ნიშნავს, მაგრამ რატომღაც სდუმხართ. იქნებ იმიტომ, რომ ეს პრინცი ჩვენი იმპერატორის ნათესავია და საკუთარი ინტერესების შებღალვის შიშით არაფერს ამბობთ?

— ზოგჯერ სიტყვას ვერცხლის ფასი აქვს, სიჩუმეს კი ოქროს ღირსება! — ეს სიტყვები ისე წარმოთქვა ბარკლაიმ, თითქოს საკუთარი ჭკუის ნაყოფი იყო.

— ორთავეს კი დიდად სჯობია სინდისი და პირდაპირობა... თქვენ იგივე ხართ, რაც ბენიგსენი, თუმცა იგი ჩემი მომხრეა ბრძოლის ზოგიერთ საკითხში, მაგრამ საერთოდ ყველანი ერთი ცომისაგან გამომცხვარი ხართ... უცხოელები!

— მელამ მგელს შესძახა: ჰაი შე უმი ხორცის მჭამელოო, რით არის გერმანელი ბენიგსენი ქართველ ბაგრატიონზე ნაკლები რუსი?

— ეგ კი აღარ გამოგვიდათ, — როგორც ეტყობოდა, ბაგრატიონი დაცხრა და ახლა უკვე წყნარი ხმით ამბობდა, — პირველყოვლისა საკუთარი ერის შვილი უნდა იყო, თუმცა ეს როდი გიშლის გიყვარდეს მეორე სამშობლო.

— მე წარმოშობით, შოტლანდიელი გახლავარ... რუსეთის სამსახურში, ბენიგსენის მსგავსად, ფულის, კარიერისა და დიდების საძებნელად კი არ გადმოვსახლებულვარ, არამედ მეც თქვენსავით აქ, რუსეთში აღვიზარდე, ბავშვობიდანვე მისდამი სიყვარულით ვარ გამსჭვალული ისე, როგორც თქვენ, ბატონო სარდალო.

ბარკლაის გულწრფელმა სიტყვებმა სავსებით მოალბო

ბაგრატიონი და თანდათანობით მის სიტყვებში ბარკლაისადმი პატივისცემა იგრძნობოდა.

— ვიცი, ოცი წელაწადი ბოძოლაში გაატარეთ რუსთა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ... მაგრამ დღეს რაღა მოგდით? რატომ, რატომ აღძარით ჩემში ეჭვები, მაშინ როცა მინდა დაგენდოთ? მაგრამ მე მაინც კარგად ვიცნობ სასახლის კარზე მშიერ მგლებივით თავმოყრილ უცხოელებს და თვით ბენიგსენსაც...

ბარკლაიმ დრო უშოვა და ცეცხლი შეუნთო.

— მერე, ამიტომ დანიშნა მეფემ ბენიგსენი გაერთიანებული არმიების შტაბის უფროსად?

— ბენიგსენი შტაბის უფროსად?! — გველნაკბენივით წამოიძახა ბაგრატიონმა. მას ყველაზე უფრო ის უკვირდა, რომ რუსეთის გაერთიანებული არმიების ახალი მთავარსარდალი კუტუზოვი ბენიგსენის დანიშვნის წინააღმდეგი არ ყოფილა.

* * *

არმიაში კუტუზოვის ჩამოსვლამ ყველა გაახრა. ჯარისკაციდან გენერლამდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ გაუთავებელ უკანდახევას ბოლო მოეღებოდა. მით უმეტეს, რომ ჯარების დათვალიერების დროს კუტუზოვმა თვითონ განაცხადა: „როგორ შეიძლება, ასეთი დევგმირები გკყავდეს და გამუდმებით უკან იხევდე!“

იმავე საღამოს რუსეთის გაერთიანებული არმიების მთავარსარდალს ინფანტერიის გენერალს მიხეილ ილარიონის ძე კუტუზოვს თათბირი ჰქონდა. თათბირს ესწრებოდნენ მეორე არმიის მთავარსარდალი, ინფანტერიის გენერალი ბაგრატიონი, პირველი არმიის მთავარსარდალი და რუსეთის სამხედრო მინისტრი, ინფანტერიის გენერალი ბარკლაი დე-ტოლი, რუსეთის გაერთიანებული არმიის შტაბის უფროსი, კავალერიის გენერალი ბენიგსენი და გენერლები: დოხტუროვი, ერმოლოვი, პლატოვი, კუტაისოვი, კონოვნიცინი, რაევსკი, იაშვილი, ტოლი და სხვები. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლოს მაინც პატარა ინციდენტი საკმარისი გახდა, რათა კუტუზოვს თათბირი მალე დაეხურა.

— ისევ ერთად ვართ, თავადო პეტრე, — ალერსით მიმართა კუტუზოვმა ბაგრატიონს, — როგორც გადაწყვეტილია, თქვენ ისევ მეორე არმიის სარდლად დარჩებით. თქვენ კი, — კუტუზოვმა ბარკლაის გადახედა, — მინისტრო, კვლავ პირველ არმიას უხელმძღვანელებთ... შტაბის უფროსად მეფემ ბენიგსენი გამოგზავნა.

— საჭიროა, ზოგიერთებმა ეს კარგად შეიგნონ! — ეს სიტყვები ბენიგსენმა ისეთი გამომწვევი ტონით თქვა, რომ ბაგრატიონმა ვეღარ მოითმინა და მისთვის ჩვეული პირდაპიროობით მიახალა:

— ცუდს კარგად ვერასოდეს ვერ შეიგნებენ!

ბენიგსენმა აღშფოთებული და მომჩივანის თვალით გადახედა კუტუზოვს, თითქოს ეუბნებოდა: „რას ჰგავს ესო". კუტუზოვმა კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, დინჯად წარმოთქვა:

— სიმართლის თქმა სჯობს, თუმცა ზოგჯერ ამითაც დაშავდება... ბრძოლების წინ უმჯობესია ჩუმი დუმილი და ერთსულოვნება.

— ხვალ ბრძოლები გველის, დღეს საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთ პატივისცემა. — დაურთო ბარკლაი დეტოლმა.

— თქვენ მართალი ხართ, — დაეთანხმა კუტუზოვი ბარკლაის და ისევ ბაგრატიონს მიუბრუნდა, — თავადო პეტრე, ჩვენ კვლავ უნდა გავიხსენოთ ოჩაკოვი, იზმაილი, შენგრაბენი... თუმცა ეს ომი, მეგობრებო, წინანდელ ომებს არა გავს... ჩვენი სამშობლოს მიწის ყოველი მტკაველი ძვირად უნდა დავუჯინოთ თავდამსხმელს. რუსეთი აღდგა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისათვის. დღეს თუ დროებით დამარცხებულთა ბედი გვარგუნეს, ხვალ გამარჯვება ჩვენი ხვედრია. რუსეთი არის, იყო და მუდამ იქნება!

* * *

დილის თერთმეტი საათი იყო, მაგრამ ძლიერ ცხელოდა. ბაგრატიონის კარავთან რამდენიმე ოფიცერს მოეყარა თავი. ისინი გაცხარებით ბაასობდნენ და სიყვარულით შესცქეროდ-

ნენ დენის დავიდოვს; რომელიც აფორიაქებული იცქირებოდა ირგვლივ და ძლიერ ღელავდა.

— გაამაყებულხარ, დენის... უკვე ორი დღეა ბანაკში ხარ და თვალითაც არ გვენახვები.

— წუხელ შუაღამემდე გელოდით, იამაიკის რომიც გვქონდა შენთვის და კიზლიარკაც.

— მე არ ვარ დამნაშავე... განუწყვეტლივ კარვიდან კარავში ვარ და მაინც შემდურიან, რატომ კიდევ ცოტა ხანს არ მოიცადეო. ვისთანაც მოვასწარი მისვლა, ისინი უფრო მეტად მემდურებიან. დრო კი ცოტა მაქვს .. ღმერთმა იცის, კიდევ როდის შევხვდებით.

— რომ იცოდე, როგორი რომი ვიშოვეთ შენთვის.

— რაც შეხება რომს, ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში, ალბათ, მთელი კასრი შევსვი. ძმებო, ჩემი მფარველი ანგელოზი ხომ არ გინახავთ?

— მის ბრწყინვალებასთან წავიდა.

— წასულა! დიდება შენ, ღმერთო!

— ალბათ, შენს შესახებ.

— ჰო, ჩემს შესახებ.

— ისევ უკან ბრუნდები ბაგრატიონის ადიუტანტად?

— ვერ გამოიცანი.

— ალბათ, ხარისხის მომატება გწადია.

— ეჰ, ყვინჩილავ, დენის დავიდოვი სამხედრო ხარისხს ბრძოლაში იმატებს და შენც ამასვე გისურვებს.

— ალბათ პოლკი გინდა ჩაიბარო.

— პოლკამდე ჯერ კიდევ ადრეა... აგრე იყოს, გამოგიტყდებით, მხოლოდ იცოდეთ, ნაადრევად არ წამოაყრანტალოთ. ჩემო ძმებო, მოვიფიქრე მტრის ზურგში ავამოძრავო პარტიზანობა.

— პარტიზანობა?

— დიახ, პარტიზანობა. ისე გამიტაცა ამ აზრმა, რომ ერთი კვირის წინ წერილიც კი მივწერე თვითონ ბაგრატიონს.

— მერე რაო, რა გიპასუხა მისმა ბრწყინვალებამ?

— ის მიპასუხა, რასაც მოველოდი. გამომიძახა და მადლობა მითხრა, რომ ამ საქმეში მისი თანამოაზრე ვყოფილვარ.

ხვალვე მოვახსენებ მიხაილო კუტუზოვსო და აი, ახლა მოუთმენლად ველი მას და ვღელავ.

— ნუ ღელავ, აგერ თვითონ მისი ბრწყინვალებაც... არ დაგავიწყდეს, დენის, უეჭველად გამოგვიარე, რომიც კვლავინდებურად გვექნება.

— კიზლიარკაც... ჩვენ, ძმაო, შენი მომავალი წარმატებების სადღეგრძელო უეჭველად უნდა დავლიოთ.

— უსათუოდ გინახულებთ, ძმებო! დავლევთ კიდეც ჰუსარულად. თუ თავადი კარგი ამბით მოდის, სიხარულისაგან დავლევთ, თუ ცუდით — ჯავრისაგან.

* * *

— რა გაღელვებს, დენის?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ძვირფასო, მითხარით როგორ არის...

— ტფუ, როგორი სიცხეა, ნამდვილი აფრიკაა. რა კარგი იქნებოდა ახლა რამე ცივი, გამაგრილებელი.

— თქვენო ბრწყინვალებავ!

— ო, როგორი მოუთმენელი ხარ... უკვე ძნელია, გვიანღაა შენი გამოსწორება. ერთი სიტყვით ასე: მისი ბრწყინვალეშა დათანხმდა გაგზავნოს საცდელად ფრანგების ზურგში ერთი პარტია.

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მაგრამ ვინაიდან ამ საქმეს ეჭვის თვალით უცქერის, მხოლოდ ორმოცდაათი ჰუსარი და ასორმოცდაათი კაზაკი გამოჰყო. ამასთან ერთად, მის ბრწყინვალებას სურს, რომ შენ თვითონ უხელმძღვანელო ამ საქმეს.

— თქვენ თვითონ იცით, რომ მე მუდამ მზად ვარ... მხოლოდ ეს არის ცუდი, რომ ხალხი ცოტაა.

— მეტს არ იძლევა.

— თუ ასეა, მე ამ რაოდენობითაც მივდივარ... ამით დასაწყისი მიეცემა უფრო დიდი და მრავალრიცხოვანი რაზმების შექმნას.

— მეც სწორედ ამას მოველოდი შენგან... თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს და, რატომ შიშობს ასე მისი ბრწყინვალება? განა ღირს ვაჭრობა რამდენიმე ასეულ მეომარზე, როდესაც წარმატების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს თავისივე ზურგში გაუნადგურებენ ყველა საჭირო დასაყრდენს. წარუმატებლობის შემთხვევაში კი უმნიშვნელო მსხვერპლი მოგვივა. მაშ, როგორ გნებავთ? ომია! ომი კი — ხვევნა-კოცნა არ გასლავთ...

— მერწმუნეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ რაზმი საღად დარჩება, ამის პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ, მაგრამ, ვიმეორებ, ხალხი ცოტაა, მომეცით ათასამდე კაზაკი და თქვენ ნახავთ, რასაც გავაკეთებთ.

— მე სამი ათასსაც მოგცემდი, მაგრამ ახლა ზედმეტია ამაზე ლაპარაკი. მისმა ბრწყინვალებამ თვითონ დანიშნა პარტიის რაოდენობა. უნდა დაემორჩილო.., ჩემო დენის, აი შენი სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც მის ბრწყინვალებასთან ყოფნისას დავწერე. გარდა ამისა, ესეც წერილები გენერლების ვასილჩიკოვისა და კარპოვის სახელზე: ერთს — იმის შესახებ, რომ დაგინიშნოს საუკეთესო ჰუსარები, მეორეს კი — რომ უკეთესი კაზაკები არ დაიშუროს შენი რაზმისათვის. თითქმის ყველაფერი ითქვა... ჰო, სმოლენსკის გუბერნიის რუკა გაქვს?

— არა მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ცოტა სწრაფ მომითმინე, მეგობარო! — ბაგრატიონი კარავში შევიდა და დაკეცილი რუკა გამოიტანა, — აბა, დენის, მე შენი იმედი მაქვს. გზა დამილოცავს.

ბაგრატიონი გადაეხვია თავის საყვარელ მოწაფეს და სამჯერ გადაკოცნა.

— ოდესმე, როცა რუსი ადამიანები გაიხსენებენ მძიმე დღეებს, კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ პარტიზანების მიმართ... და მაშინ ყველასათვის ცნობილი გახდება, რომ თქვენ ამ მოძრაობის აკვანთან იდექით, თქვენო ბრწყინვალებავ!

ბაგრატიონი დიდხანს იდგა თავის კარავთან და სიყვარულით უცქერდა შიმავალ დავიდოვს,

— ოქრო ოფიცერია... რუსი ოფიცერი!

ჯერ კიდევ წინა საღამოს, როცა იმპერატორის კარავში გენერალი რაპი შეავიდა, ფიქრებში გართული იმპერატორი შესვლისთანავე შეეკითხა რაპს:

— დარწმუნებული ხართ თუ არა ხვალინდელ გამარჯვებაში?

ცბიერმა კარისკაცმა უმალვე უპასუხა:

— გამარჯვება უეჭველია, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ დიდი მსხვერპლის ფასად მოვიპოვებთ!

ცარევო-ზაიმიშში კუტუზოვის ჩამოსვლამ გაახარა ნაპოლეონი, ეგონა, რომ ეს ჩრდილოეთის ბეჭერი მელა (ეს სახელი კუტუზოვს თვითონ ნაპოლეონმა შეარქვა) არ დაიხევდა ბარკლაის მსგავსად და გამართავდა გენერალურ ბრძოლას... მაგრამ იქაც მოტყუვდა. „აქ კი, ბოროდინოსთან, — ფიქრობდა ნაპოლეონი, — უეჭველად არის იმის დამაჯერებელი სიმპტომები, რომ კუტუზოვი ბრძოლას მიიღებს. რუსეთის თვალუწვდენელი სივრცეები ისე განვვლეთ, რომ მოწინააღმდეგესთან გენერალური შეტაკება არსად გვქონია. ასე იქცეოდნენ ორი ათასი წლის წინათ რუსების წინაპრები — სკვითები... ისინი შეიტყუებდნენ ხოლმე მოწინააღმდეგეს თავიანთ თვალუწვდენელ სივრცეში და იქ ანადგურებდნენ... მაგრამ ახლა სულ სხვა დროა“.

დარიუ, კოლენკური, ნეი; ბერტიე და დავუ ერთად შეჯგუფებულიყვნენ და ისინიც ფიქრს მისცემოდნენ. ნაპოლეონმა თვალი გადაავლო მათ სახეებს და პირზე ბრაზმორეული ღიმილი მოადგა. მას არასოდეს არ უნახავს ისინი ბრძოლის წინ ასე გულჩათხრობილები.

— ვხედავ, ეჭვების ტყვეობაში ხართ, — მკაცრი ხმით მიმართა ნაპოლეონმა თავის მარშლებს, — ეჭვებით აღფურვილი ადამიანებისათვის, ისიც ბრძოლის წინ, გამარჯვება უცხო და მიუწვდომელი ხილია. აქ კი, საეჭვო არაფერია... სანამ მოქმედებას დავიწყებდე, ბევრი ვიფიქრე რუსეთის შესახებ... ჩემი გაანგარიშება სწორია... თუ კიევი ავიღე, მაშინ რუსეთს ფეხებში წავატან ხელებს, თუ პეტერბურგი დავიპყარი, მაშინ რუსეთის თავს ჩავიგდებ ხელში, მოსკოვის აღებით კი რუსეთს გულს გავუგმირავ... შემდეგ — გზა გაგვეხსნება ინდოე-

თისაკენ. ალექსანდრე მაკედონელმა მიაღწია განგას ისეთივე შორეული პუნქტიდან წასულმა, როგორიც მოსკოვია. წარმოიდგინეთ, რომ მოსკოვი აღებულია, რუსეთი დამხობილია, მეფე შეგვირიგდა, ან და ჩამოაგდეს სასახლის შეთქმულების მეშვეობით. მითხარით, განა შეუძლებელია მაშინ ფრანგთა არმიისა და დაშხმარე ჯარებისათვის განგამდე მიღწევა? განგისათვის კი, საკმარისია შეეხო ფრანგული ხმლით და ეს მერკანტინული სიდიადის შენობა სავსებით ჩამოინგრევა!

— ეშიშობ!.. — უნებურად წამოცდა მარშალ ბერტიეს.

— რამ დაგაშინათ? — შიშნარევი ხმით იკითხა ნაპოლეონმა და რატომღაც კოლენკურს მიაშტერდა.

— მეც... მაფიქრებს სივრცე, მეშინია, არ დავიკარგოთ!— ისე წამოიძახა კოლენკურმა, თითქოს ნაპოლეონის თვალებში ჩასმულ კითხვის ნიშანს უპასუხაო.

— აქ საშიში არაფერია, ჯერ მოსკოვისაკენ, მოსკოვის შემდეგ ინდოეთი... განგის სანაპიროებისაკენ... კიდევ ორი-სამი წელიწადი და მე მთელი მსოფლიოს ბატონი ვიქნები. — თქვა ნაპოლეონმა და მისთვის ჩვეული პოზა მიიღო, მარცხენა ხელი უკან წაიღო, მარჯვენა ხელის ოთხი თითი ჟილეტის გახსნილ არეში ჩაიყო, თავი მაღლა ასწია და თვალები ზეცას მიაპყრო.

— მის უდიდებულესობას სურს მიუწვდომელს მიწვდეს... მაგრამ... განა ეს შესაძლებელია? — თავისთვის ჩაილაპარაკა დარიუმ. ამ დროს კარავში შემოვიდა გენერალი რაპი, რომელიც ნაპოლეონის წინ გამოიჭიმა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ესპანეთიდან ჩამოვიდა მარშალ მარმონის ადიუტანტი პოლკოვნიკი ფავიე... იგი მოვიდა ფრიად სამწუხარო ცნობებით... აროპილეს მიდამოებში ესპანელებმა დაამარცხეს ჩვენი ჯარები... ჩვენი მდგომარეობა იქ თითქმის კატასტროფულია!

— ესპანეთი... ისევ ეს ჩემი მოურჩენელი ძველი იარა! — თითქმის ოხვრით აღმოხდა ნაპოლეონს და სკამზე ჩამოჯდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ უეჭველად დავიღუპავთ თავს!..

— ჯარები ესპანეთში ორჯერ მეტი გვყავდა, ვიდრე აქ.

ბოროდინოსთან... ასეთ პირობებში არ უნდა ვისწრაფოდეთ ახალი ბრძოლებისაკენ.

— ჩვენ ჯერ კიდეე სმოლენსკმა დაგვანახა ამ კამპანიის ცუდი შედეგი... ახლა კი რაღა აზრი აქვს მოსკოვზე ლაშქრობას?

— მართალი არის, უნდა შევწყვიტოთ ლაშქრობა!

ზედიზედ წარმოთქვეს თავისი აზრი ნაპოლეონის მარშლებმა.

ნაპოლეონმა დამცინავი ღიმილით გადახედა თავის ერთგულ თანამებრძოლებს, წამოდგა, ისევ თავისი საყვარელი პოზა მიიღო და თქვა:

— ლაშქრობა სმოლენსკიდან მოსკოვზე ეყრდნობა იმ აზრს, რომ მოწინააღმდეგე დედაქალაქის გადასარჩენად გამართავს ბრძოლას, გენერალურ ბრძოლას და რომ იგი ამ ბრძოლაში განადგურდება.

* * *

ნაპოლეონი ღელავდა. მთელი ღამის განმავლობაში ფრანგთა იმპერატორს თვალი არ მოუხუჭავს. იგი ხშირად გამოდიოდა კარვიდან და შიშით გასცქეროდა რუსთა ბანაკს, ხომ არ გამისხლტნენ ხელიდანო... მისი უდიდებულესობა ცუდად გრძნობდა თავს. ისინიც კი, რომლებიც მას ოცი წლის განმავლობაში მუდამ თან ახლდნენ და კარგად იცნობდნენ, პირველად ხედავდნენ მას ასე მშფოთვარეს.

სემიონოვსკოესა და ბოროდინოს მიდამოებში, აგრეთვე მეორე არმიის მთავარსარდლის ბაგრატიონის ფლანგზე — სემიონოვსკოეს ხევსა და უტიცას შორის კოცონები ენთო. ბრძოლა განთიადისას უნდა დაწყებულიყო და რუსთა ბანაკში თითქმის არავის ეძინა. როცა განთიადი მოახლოვდა, მთელი ღამის უძინარმა ნაპოლეონმა მიატოვა კარავი და ამალასთან ერთად მაღლობს მიაშურა. იქ, სადაც ნაპოლეონს რუსთა არმია ეგულებოდა, კვლავ კოცონები ენთო და ნაპოლეონი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსები ბრძოლას მიიღებდნენ.

— სადაც არის გათენდება და კუტუზოვი ჯერ კიდევ არ წასულა. იგი უეჭველად მიიღებს ბრძოლას. მე სრულებითაც

არა მსურს უბრძოლველად ავიღო მოსკოვი... რუსეთის არმიის განადგურება, გენერალური შეტაკება მოსკოვის მისადგომებთან! აი, რა არის საჭირო. კუტუზოვი მოსკოვს არ დათმობს უბრძოლველად, თუმცა ეს მისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელია, მაგრამ პოლიტიკურად შეუძლებელი... კიდევ ათი დღე და მოსკოვში შეგიყვანთ გამარჯვებულებს. — ნაპოლეონმა განთიადის პირველი ნიშანი შეამჩნია და იქვე იკითხა: — რუსთა მარცხენა ფლანგი ხომ არ გაძლიერებულა?

— იქ ყველაფერი კვლავინდებურადაა, თქვენო უდიდებულესობავ!.. ჯარების რაოდენობის, სიმაგრეების და რელიეფის მხრივაც იგი ყველაზე სუსტია რუსთა ბანაკში! — საქმის კარგი ცოდნით უპასუხა დარიუმ.

— მაგრამ იმ ფლანგს გენერალი ბაგრატიონი სარდლობს. — შეუსწორა ნაპოლეონმა, — ეს კი ბევრს ნიშნავს. ამიტომ სწორედ ამ ფლანგზე უნდა მოვასწროთ მთავარი დარტყმა... თავისი კორპუსებით შეუტევენ მარშლები დავუ, მიურატი და ნეი... თითქმის სამჯერ მეტი ჯარი... ამასთან სამი მარშალი ერთი გენერლის წინააღმდეგ... მგონი საკმარისია?

— უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება კიდევ დაემატოს!— დარიუს სიტყვებმა იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია.

— გრაფო, ხელგაშლილობა მხოლოდ ნადიმზე მოიწონს.

განთიადი თანდათან ახლოვდებოდა. მალე აღმოსავლეთი სისხლისფრად შეიღება. რუსთა ბანაკი შეირხა. ეტყობოდა, ჯარები პოზიციებზე მაგრდებოდნენ. უცებ იმპერატორის წინ გენერალი რაპი აღიმართა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ძველი გვარდია უკვე მწყობრშია!

პასუხის ნაცვლად ნაპოლეონი მაღლობზე ავიდა და იქიდან მიმართა თავის ძველ გვარდიას.

— ჯარისკაცებო! — ხმამაღლა დაიწყო ნაპოლეონმა, — აჰა, ის შეტაკება, რომელიც თქვენ ასე გწყუროდათ. გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული. იგი ჩვენთვის აუცილებელია. ჩვენ იგი მოგვცემს დიდ სიუხვეს, კარგ საზამთრო ბინებს და სამშობლოში სწრაფად დაბრუნების შესაძლებლობას. ამ ბრძოლის მოგება თქვენ გაგიღებთ რუსეთის ძველი დედაქალაქის — მოსკოვის კარებს. დაე, თქვან, რომ გმირობა გამოი-

ჩინეთ ბრძოლებში მოსკოვის მისადგომებთან,.. დამარცხებული მტერი იძულებული იქნება შემოგვთავაზოს ზავი, რომელიც სასახელო იქნება ჩვენთვის და ერთგული მოკავშირეებისათვის.

როცა ნაპოლეონი მაღლობიდან ჩამოვიდა, მზის პირველი სხივები ტყის ყველაზე მაღალი ხეების კენწეროებს დაეფრქვა და 1812 წლის 26 აგვისტოს, ბოროდინოს ბრძოლის სისხლიანი დილა დადგა. ნაპოლეონი უცებ გამოიცვალა. მის თვალებში კვლავ აკიაფდნენ ნაპერწკლები, დაღლილი სახე გამოუცოცხლდა და, როგორც ყოველთვის ბრძოლის წინ, ახალგაზრდულად ამოძრავდა. საათზე დაიხედა. უკვე ხუთი სრულდებოდა და ნაპოლეონმა ბრძანა:

— იტალიის ვიცე-მეფე ევგენი ბოგარნე თავისი კორპუსით ეკვეთოს სოფელ ბოროდინოს მარცხენა ფლანგს: მარშალი ნეი, დავუ, მიურატი გაეშურონ ბაგრატიონის სიმაგრეთა წინააღმდეგ სოფელ სემიონოვსკოეს ცენტრში. — ნაპოლეონმა ამომავალ მზეს მიაპყრო თვალები, თავისი საყვარელი პოზა მიიღო და, თითქოს მზეს შესძახაო, პათეტიკურად წარმოთქვა: — ვეღირსე! მტერი ხელთა მყავს. წინ! გავაღოთ მოსკოვის კარები! ხედავთ, მზე ამოდის, აუსტერლიცის მზე!

* * *

განთიადის წინ სემიონოვსკოეს ავანპოსტზე ბაგრატიონი მაღლობიდან გასცქეროდა ფრანგთა ბანაკს, კუტუზოვი კი იქვე დანთებულ კოცონთან წამოწოლილიყო და ფიქრებს გაეტაცა. „ბევრისაგან მსმენია, — ფიქრობდა კუტუზოვი. — და მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბარკლაის ნაცვლად ბაგრატიონს დანიშნავდნენ... მაგრამ ასე არ მოხდა და ღმერთმა უწყის რა არის ამის მიზეზი... თუმცა ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, თუ, რატომ მე, და, არა ბაგრატიონი. არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ალბათ, განუწყვეტელი უკანდახევით დაცემული პრესტიჟის ასამაღლებლად. ამ ბრძოლას ვიწყებ ისე როგორც აუსტერლიცისას, ჩემი სინდისისა და სურვილის წინააღმდეგ. ყოვლად შეუძლებელია მოსკოვის დატოვება უბრძოლველად... ამას არავინ მაპატიებს, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა რუსუ-

ლი გვარი მაქვს. ეს ბრძოლა, არასელსაყრელი სტრატეგიულად, აუცილებელია პოლიტიკურად".

ბაგრატიონი ადვილად მიუხვდა ღრმად ჩაფიქრებულ კუტუზოვს, რომელმაც ბოლო სიტყვები თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა.

— დიახ, მიხაილო ილარიონოვიჩ, — დაუდასტურა ბაგრატიონმა, — ეს ბრძოლა აუცილებელია და დღეს თქვენი ხელმძღვანელობით დანთებული ცეცხლი ერთხელ კიდევ გაუთქვამს სახელს რუსეთის უძლეველ იარაღს.

— ჩემო ძვირფასო, თავადო პეტრე, თქვენ ვაჟკაცობა და თქვენთვის ჩვეული გმირობა გიზიდავთ ბრძოლისაკენ.., სამშობლოს დიდ პატრიოტს მტერთან შეტაკება გწყურიათ... ეს ჩემთვის სასიამოვნოა და საესებით გასაგებიც. ბენიგსენი კი თავისი გაუთავებელი ლაყბობით გენერალურ ბრძოლაზე სულ სხვა ეპვებს მიღვიძებს... რაც შეეხება ბარკლაის, ნუ უწყრებით... მართალია, ხშირად ცდებოდა, მაგრამ ერთი კი ნათელია — იგი რუსეთის ერთგული მეომარია... თქვენ ფიცხი ხართ და ხშირად ამიტომ გეჩვენებოდათ მოღალატედ. — თქვა და თავისი ერთადერთი თვალი ალერსით მიაპყრო ბაგრატიონს.

— მე ასე ვმსჯელობ: უუნარო ხელმძღვანელი მტერზე უარესია... ხელს ნუ მოჰკიდებ იმას, რასაც ვერ გაუძღვები და რის უნარიც არ შეგწევს. დიახ, უუნარო ხელმძღვანელი დაკისრებული საქმის დამღუპველი და მოღალატეა. ბარკლაი უკან იხევდა, მაგრამ უკან დახევის გეგმა არ გააჩნდა... უგეგმოდ კი საქათმესაც არ აშენებენ. იყო წუთები, როცა გამარჯვება ხელიდან გაუშვა ეგრეთწოდებული უკანდახევით გატაცებულმა.. ბევრჯერ შეგვეძლო მტრის დიდი ძალების განადგურება, ჩვენს შორის თანხმობა და ერთსულოვნება რომ ყოფილიყო!

კუტუზოვი კარგად ხედავდა, ბაგრატიონი გაღიზიანებული იყო ბარკლაი დე-ტოლის გახსენებით და დამაწყნარებელი ტონით მიმართა:

— თქვენ მართალი ხართ, პიოტრ ივანოვიჩ... მაგრამ ბარკლაი ახლაც უკან დახევას მოითხოვდა და იგი სავსებით მართალი იქნებოდა... მეც ამ აზრისა ვარ... ეს ბრძოლა ახლა საზა-

რალია, მაგრამ როგორც თქვენც ბრძანეთ, უბრძოლველად არ შეიძლება. უკვე დრო არის, ხედავთ, განთიადია, მზე ამოდის! — კუტუზოვი წამოდგა, ბაგრატიონს ხელები მხრებში წაავლო, თვალებში ჩააცქერდა და ხმამაღლა უთხრა: — თავადო, ბევრს არაფერს გეტყვით... თქვენ იცით!

ბაგრატიონს კარგად ესმოდა კუტუზოვის ნათქვამიდან უკანასკნელი სიტყვების მნიშვნელობა... რომ ფრონტის ყველაზე რთული, ყველაზე ძნელი და გადამწყვეტი უბანი მას ებარა და ბრძოლის ბედიც მასზე ბევრად იყო დამოკიდებული.

თენდებოდა. ნისლი თანდათან იფანტებოდა. მზე ამობრწყინდა და ცვარით დანამულ მინდორ-ველზე სავსებით ქრებოდა გრძელი ჩრდილები. ბაგრატიონი საკომანდო პუნქტზე გამოჩნდა, მწყობრში ჩამდგარ ჯარს გადახედა და თავის საყვარელ მებრძოლ ძმებს სულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა:

— ჩემო ძვირფასო ძმებო! დღეს ჩვენ ბრძოლის ველზე შეეხვდებით რუსეთისა და მთელი ქვეყნიერების მტრებს. ზედმეტად მიმაჩნია აგიწეროთ ის უბედურება, რაც მათ დაპყრობილ ქვეყნებს მიაყენეს. მათ მიერ ჩადენილი საშინელება ჯოჯოხეთშიც კი ვერ დაეტევა. ღირსია გახდეს ნაპოლეონის უურმოჭრილ მონად ის, ვინც უარს ამბობს სამშობლოს ღირსებისა და უფლებების დაცვაზე. დიახ, მონაა ის, ვინც ნებით ემორჩილება ბოროტ ძალას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი, ვისაც შეუძლია დამშვიდებით უყუროს ტაძრების ნგრევას, ქალაქების დაქცევას, წინაპრების მშვიდობიან საცხოვრებელთა დაწვას, შრომით დამუშავებული მინდვრების გავერანებას, ჭაღარაშემოსილი მამებისათვის ბორკილების გაყრას, ცოლებისა და ქალიშვილების შეურაცხყოფას.

თქვენ ოჯახებმა აგირჩიეს იმის დასაცავად, რაც ყველაზე წმინდა და ძვირფასია თქვენთვის, თქვენი მტრები კი მხოლოდ ბოროტი ძალის ნებით იბრძვიან. მათ არაფერი აქვთ დასაცავი. მათი სამშობლო დაიღუპა თვითნებური ურწმუნოების ნანგრევებში. მათი მამები, ცოლები და შვილები, ვინც ულმობელ სიკვდილს გადაურჩნენ, ტირანმა დახვრიტა ან ჩამოახრჩო. თქვით, შეუძლიათ თუ არა მტრებს, საშინელი უბედუ-

რებით დამძიმებულთ. ჩვენსავით ბრძოლა?! ეჭვი არ მეპარება ჩვენს გამარჯვებაში მიჰყევით ჩემს მაგალითს!.. ნუ გეშინიათ ნურც სიკვდილის, ნურც უბედურების. სიკვდილს ვერავინ გაექცევა! იგი ერთნაირად ეწევა როგორც მდიდარს, ბრწყინვალე სასახლეში, რბილ სავარძელზე, ისე ღარიბს ქოხში, თივაზე. განა უმჯობესი არ არის სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე მახვილით ხელში სიკვდილი?! წინ! წინ! ჩემო მეგობრებო! ისმინეთ, ჩემო ძმებო, სადაც მე ვარ, იქ სიკვდილი ან გამარჯვებაა!

* * *

ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე დაიწყო ბრძოლა ბოროდინოსათვის. ამავე დროს ასზე მეტმა ქვემეხმა საშინელი ცეცხლი გახსნა ბაგრატიონის სიმაგრეთა წინააღმდეგ. ფრანგებს ცეცხლითვე უპასუხა რუსთა არტილერიამ და ისეთი ვრუხუნი ატყდა, თითქოს ცა ჩამოინგრა და მიწის ზედაპირი ქვესკნელს შეუერთდაო. ევგენი ბოგარნეს ჯარებმა სწრაფად დაიკავეს სოფელი ბოროდინო და იმავე დროს მარშალ დავუს ნაწილები გადავიდნენ შეტევაზე ბაგრატიონის სიმაგრეთა წინააღმდეგ.

ფრანგები სამჯერ ჭარბობდნენ ბაგრატიონის ჯარებს, არტილერიით კი ორჯერ. მარშალ დავუს ოცდახუთათასიანი კორპუსი ნიაღვარივით წამოვიდა ბაგრატიონის რვაათასიანი გრენადერთა და 27-ე ქვეითი დივიზიების წინააღმდეგ, მაგრამ ბაგრატიონის მეომრები გადაულახავ კედლად აღიმართნენ ფრანგთა წინაშე. საშინელი ჩეხვა და სისხლისღვრა დაიწყო სემიონოვსკოეს ცენტრში. მოწინააღმდეგემ ვეღარ გაუძლო რუსთა კონტრშეტევას და პირი იბრუნა.

შვიდი საათისათვის ფრანგებმა გააძლიერეს ბაგრატიონის წინააღმდეგ მოქმედი ნაწილები და ისევ გადავიდნენ შეტევაზე. დიდი ზარალის ფასად აიღეს მარცხენა ფლეში, მაგრამ ბაგრატიონი კონტრშეტევაზე გადავიდა და ფრანგები კვლავ განდევნა.

მარცხით დამთავრდა მათი მესამე შეტევა, მეოთხესაც იგივე ბედი ეწია და, როცა მეხუთეჯერ ფსიქიურ შეტევაზე გადმოვიდნენ, ბაგრატიონი აღტაცებით შესცქეროდა ფრანგთა რაზმებს, რომლებსაც თოფები მხრებზე დაედოთ და ბარაბანე-

ბის გრუხუნის რიტმს აყოლილნი მარშით მოდიოდნენ სიმაგრეებისაკენ, საიდანაც მათ რუსთა ტყვია უმოწყალოდ ცელავდა. ბაგრატიონი წამოხტა, მაღლობზე ავიდა და აღტაცებით გაიძახოდა:

— ვაშა! ვაშაააა!

— თქვენო ბრწყინვალებავ, ვის ასხამთ ხოტბას, ისინი ხომ ფრანგი ჯარისკაცები არიან, იმათ?! — მოესმა ბაგრატიონს ადიუტანტის სიტყვები.

— დიახ, იმათ! შეხედეთ, ნამდვილი ვაჟკაცები არიან. სად არის ჩემი ცხენი!

რამდენიმე წამის შემდეგ ბაგრატიონი ცხენზე შეჯდა, სწრაფად გაექანა შეტევაზე წამოსული მტრის წინააღმდეგ და თან გაიყოლია თავისი დევგმირები.

* * *

ნაპოლეონი მთელი თავისი ამალით მაღლობიდან გასცქეროდა ბრძოლის ველს, როცა ბანაკში გაოფლიანებული ცხენით შემოიჭრა თავით ფეხამდე მტვერში ამოსვრილი და საშინლად დაღლილი ოფიცერი. იგი მაინც მარდად გადმოხტა ცხენიდან და ყოჩაღად გამოიჭიმა ნაპოლეონის წინაშე.

— მარშალმა მიურატმა მიბრძანა მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, რომ დამხმარე ჯარს თხოულობს. — სულმოკლეთქმელად მოახსენა ოფიცერმა იმპერატორს. ნაპოლეონმა ოფიცერს არც კი შეხედა, ისე წარმოთქვა ნელი, მაგრამ მკაცრი ხმით:

— გადაეცით თქვენს მარშალს, რომ არავითარ დახმარებას არ მიიღებს. რუსთა მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ მასთან ერთად იბრძვიან ჩემი საუკეთესო ჯარები, ჩემი საუკეთესო მარშლების ნეისა და დავუს ხელმძღვანელობით. გადაეცით მარშალ მიურატს, რომ მისგან გამარჯვებას ველი და არა შაშველი ჯარების მოთხოვნას.

ნაპოლეონის ყურადღება მიიპყრეს სანიტრებმა, რომლებსაც ვიღაც დაჭრილი გენერალი თითქმის ხელში აყვანილი მოჰყავდათ. ნაპოლეონმა მყისვე იცნო დაჭრილი.

— აა, გენერალი ბლიუტო?

— მე ვარ, თქვენო უდიდებულესობავ. თვითონ არ ვიცი

როგორ მოვხვდი აქ, ჩანს, გრძნობადაკარგული ვიყავი, — მიუხედავად მძიმე ჭრილობისა, მაინც მხნედ მოახსენა იმპერატორს, მაგრამ იმპერატორი უკვე აღარ უსმენდა ბლიუტოს და დურბინდით ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას.

ბლიუტო ჩრდილში დასვეს და მის ირგვლივ ნაპოლეონის რეზერვის — ძველი გვარდიის ოფიცრები მოგროვდნენ.

— თქვენ ბაგრატიონის სიმაგრეებიდან ხართ? — ერთი მეორეზე ეკითხებოდნენ გვარდიის ოფიცრები.

— თუ ოდესმე შემეკითხებიან, — სუსტი სმით, მაგრამ ამაყად ამბობდა ბლიუტო, — ვყოფილვარ თუ არა ჯოჯოხეთში, თამამად ვუპასუხებ: მე ვიყავი ბაგრატიონის სიმაგრეებზე... თქვენ კარგად მიცნობთ, მე გენერალი ბლიუტო ვარ და სიცოცხლე ბოლოკისა და კიტრის მოვლისათვის არ შემიწირავს. ჯარისკაცი ვარ და ვამბობ: არასოდეს არ მინახავს ასეთი სისხლისღვრა, ასეთი სისასტიკე და თავგანწირვა. ბაგრატიონის სიმაგრეებზე ვიყავი და ვნახე დახოცილი რუსი მებრძოლები თავის ქვემეხებთან. ისინი ისროდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მიუხედავად იმისა, რომ ადვილად შეეძლოთ სიცოცხლის შენარჩუნება.

ამ დროს ნაპოლეონის წინაშე მაცნე წამოიჭიმა, რომელმაც სასიხარულო ცნობა მოიტანა:

— თქვენო უდიდებულესობავ, მარშალმა ნეიმ აიღო ბაგრატიონის სიმაგრეები.

— ისევ გამახსენდა ძველი ნეი. — სიხარულით აღმოხდა ნაპოლეონს და სახეზე კმაყოფილების იერმა გადაჰკრა, რომელიც იმ წუთშივე გაუქრო ახალმა მაცნემ.

— თქვენო უდიდებულესობავ, რუსებმა უკუაგდეს ჩვენი ჯარები, ჩვენ დიდი დანაკლისი განვიცადეთ... სიმაგრეები ისევ დავიკავეთ, ეს უკვე მეექვსეჯერ, მაგრამ პოწინაალმდეგე არნახული სიჯიუტით გვაწვება. თქვენო უდიდებულესობავ, მარშალი ნეი მოითხოვს მაშველ ჯარებს. იგი სიტყვას იძლევა, რომ ბრძოლას მოიგებს, თუ ბაგრატიონს გამოგლეჯს სოფელ სემიონოვსკოეს.

ნაპოლეონი რამდენიმე წამს დუმდა, მერე თავი ასწია და ნეის შიკრიკს ისე შეხედა, რომ უშიშარ მებრძოლს კანკალი დააწყებინა.

— გადაეცი მარშალ ნეის, რომ მას და მის ძეხოვლებს — მარშალ დავუს და მარშალ მიურატს ბევრად მეტი ჯარისკაცი ჰყავთ, ვიდრე ბაგრატიონს, და არტილერიითაც ჭარბობენ. ორმოცდაათი ათასი ფრანგი თვრამეტი ათასი რუსის წინააღმდეგ, სამი მარშალი ერთი ბაგრატიონის წინააღმდეგ. ამის შემდეგ რონელ დამხმარე ძალებზე შეიძლება ლაპარაკი?

ნაპოლეონი რომ ამას ამბობდა, დარიუ, ბერტიე და ამალის სხვა წევრები ცხარედ კამათობდნენ... როგორც კი დაამთავრა ნაპოლეონმა თავისი სიტყვა, გრაფი დარიუ გამოეყო ჯგუფს და თუმცა თამამად, მაგრამ მაინც მოკრძალებით მიმართა იმპერატორს:

— თქვენო უდიდებულესობავ! თუ ნებას მომცემთ, გავბედავ მოგახსენოთ თქვენი ყველაზე უფრო მორჩილ და ერთგულ ქვეშევრდომთა აზრი.

— თქვით, გრაფო, მხოლოდ გაფრთხილებთ, თუ დამხმარე ძალებზე დაიწყებთ ლაპარაკს, უმჯობესია არ დახარჯოთ მჭევრმეტყველება.

— მიუხედავად ამისა, მაინც გთხოვთ ნებას მოგახსენოთ ფრიად დამარწმუნებელი აზრი და რჩევა: აუცილებლად მიგვაჩნია ბრძოლაში ჩავაბათ ძველი გვარდია... უამისოდ...

ნაპოლეონი განრისხდა, დარიუს სიტყვა შეაწყვეტინა, ხელი ბრძოლის ველისაკენ გაიშვირა და ასე დაიწყო:

— ხედავთ, რა სისხლისმღვრელი ბრძოლაა? თუ ხვალ ჩვენ კვლავ მოგვიხდება ასეთი ბრძოლა, მითხარით, გრაფო, ვის გამოიყვანთ ბროლის ველზე? არ შემიძლია საფრანგეთიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულმა გავწირო უკანასკნელი იმედი — ძველი გვარდია... — თითქოს გულმა უგრძნო ბრძოლის ველზე რაღაც საშინელება ხდებაო, ნაპოლეონმა დურბინდი მიიტანა თვალებთან. — ეშმაკმა წაგიღოთ, — თითქმის ოხვრით აღმოხდა ნაპოლეონს, — რუსები კვლავ უტევენ ნეის. ეს ყველაზე უფრო სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლაა, რაც კი ვადამიხდია. ფრანგები აქ თავს იჩენენ, როგორც გამარჯვებულნი, რუსები კი როგორც დაუმარცხებელნი.

ახალმა მაცნემ ახალი უსიამოვნო ამბავი მოიტანა.

— ჰო, ახალი რა არის? — მოუთმენლობამ სძლია ნაპოლეონს და თვითონვე შეეკითხა ოფიცერს.

— თქვენო უდიდებულესობავ! ბაგრატიონი კვლავ გადმოვიდა შეტევაზე... სემიონოვსკოეს ცენტრში სასტიკი ბრძოლებია... მარშალი დავუ მძიმედ დაიჭრა.

ნაპოლეონმა თავი დახარა, იგი თავისთვის ამბობდა, მაგრამ ყველას მოესმა მისი სიტყვები:

— ო, სკვითების წყეულო მოდგმავ, შვეიცარიიდან მოყოლებული ყველგან და მუდამ ეს ბაგრატიონი! თუმცა აქ სკვითი რა შუაშია... კვლავ მახსენდება ქართველი მამელუკები, ეგვიპტესა და სირიაში ჩატარებული სისხლიანი ბრძოლების მძიმე კოშმარი.

ჩრდილში წამოწოლილ გენერალ ბლიუტოს, რომელსაც სანიტარი ჭრილობას უხვევდა, თვალები ცისთვის მიეპყრო და ხმამაღლა ამბობდა:

— მე ვომობდი ეგვიპტეში, ვიბრძოდი მარენგოსა და აუსტერლიცის მიდამოებში, აბუქირთან თურქებსაც შევეჯახე, მაგრამ არასოდეს მინახავს ისეთი გახელება, ისეთი სასტიკი სისხლისღვრა, როგორიც იყო ბაგრატიონის დაწყევლილ სიმაგრეებზე.

უცებ ყველას ყურადღება მორიგი მაცნეს მოახლოებამ მიიპყრო. იგი არაჩვეულებრივი სისწრაფითა და თავგამოდებით მოაჭენებდა თავის არაბულ ცხენს. ეტყობოდა, მაცნეს ფრიად სერიოზული ამბავი მოჰქონდა.

— ჰო, რა არის ახალი? — ისე იკითხა ნაპოლეონმა, რომ მაცნეს სულის მოთქმაც არ აცალა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ბაგრატიონი სასიკვდილოდ დაჭრილი ჩამოვარდა ცხენიდან, რუსები შედრკნენ!..

— მადლობა შენ უფალო! — ხმამაღლა წამოიძახა ნაპოლეონმა, — დააჯილდოვეთ მახარობელი. ჩვენს ბანაკში გამარჯვების პირველი სხივი შემოიჭრა!

* * *

უკვე რამდენიმე დღე გავიდა, რაც ნაპოლეონი მოსკოვში შევიდა, მაგრამ მორჩილებისა და ზავის ნაცვლად რუსეთის მეორე სატახტო ქალაქი ხანძრით შეხვდა. იწვოდა უკვე მთელი

ზამოსკვორეჩიე და ცეცხლი თანდათან ქალაქის სხვა უბნებსაც მოედო. იმ დღეს იმპერატორი ნაპოლეონი კრემლის გიორგის დიდებულ დარბაზში ნერვიულად დააბიჯებდა და უსიამოვნო ფიქრებს შეეპყრო: „ასე ამგვარად უკვე მოსკოვში ვარ, კრემლში, რუსეთის მეფეთა უძველესსა და დიდებული სასახლეში, მტერი თითქოს დავამარცხე... მაგრამ ზავი მაინც არა ჩანს... ზავისა და მორჩილების ნაცვლად ხანძრით შეგვსვდნენ, ქალაქს გამანადგურებელი ცეცხლი მოედო, იგი კრემლს უახლოვდება. რა საშინელი სანახაობაა! ისინი თვითონ წვავენ... როგორი გამბედაობაა! როგორი ხალხი! ესენი სკვითები არიან! გუშინ კვლავ დავსვრიტეთ ორმოცი რუსი, დღეს კიდევ სამოცს გამოვუტანეთ სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ მოსკოველებზე მაინც არაფერი მოქმედებს... ხანძარი დღეს უფრო ძლიერია, ვინემ ოდესმე. ასეთი მოწინააღმდეგე ჩვენ ჯერ არასოდეს შეგვხვედრია... ქალაქის მთელი მოსახლეობა გაიხიზნა, ვინც დარჩა, ისინი თითქმის ყველანი ცეცხლწამკიდებლები ყოფილან. ეს ყოველგვარ სინამდვილეს აჭარბებს. ეს ხოცვა-ჟლეტის ომია. ეს საშინელი ტაქტიკაა, რომელსაც ბადალი არ ჰყავს კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში. საკუთარი ქალაქების გადაწვა... ამ ხალხს თვითონ დემონი უნეიგავს, შთააგონებს... როგორი სასტიკი გამბედაობაა!.. როგორი ხალხი! როგორი ხალხი!..“

ნაპოლეონი ფანჯარასთან მივიდა და ცივი თვალებით გადახედა ნაადრევი თოვლით გადათეთრებულ მიდამოს. ამ დროს მას ქარის ზმუილი მოესმა, ტანში უსიამოვნოდ გააჟრჟოლა და თითქოს უხსენებელი ახსენაო, ისე წამოიძახა:

— რუსეთი! ეს, მძიმედ დაჭრილი ჩრდილოეთის დათვის შემზარავი ღმუილია!.. მაგრამ მძიმედ დაჭრილი დათვი, ნაკლებად ძლიერი როდია, ვინემ მის ბუნაგში მომწყვდეული მონადირე. მაშ ამ ქვეყნის თვალუწვდენელმა სივრცემ ჩაყლაპვა მომინდომა, მაგრამ მას ყელში გავეჩხირე. იმას არ ძალუძს ჩემი გადაყლაპვა, მე ვერ შევძელი მისი დახრჩობა!.. შევცდი, რომ არ დავუჯერე არც ბერტიესა და არცა დარიუს... მე ჯერ კიდევ ვიტებსკთან უნდა შევჩერებულიყავი და დიპლომატიური ბრძოლა გამემართა! მაგრამ ახლა ვაი, რომ გვიანღა არის. ამიტომ, აუცილებელია ბრძოლა ბოლომდე. პოლიტიკაში უკან

არ უნდა დაიხიო, არასოდეს არ უნდა გამოტყდე შეცდომებში— ეს ყოველგვარ პატივისცემას დაგიკარგავს!

ნაპოლეონმა გადაწყვიტა წერილი მიეწერა თავისი მეუღლისათვის პარიზში, იგი იმ წუთშივე გაემართა კაბინეტისაკენ, რუსეთის მეფის მაგიდასთან დაჯდა საფრანგეთის იმპერატორი და წერილის წერა დაიწყო: „...ქალაქი ისეთივე დიდია, როგორც პარიზი. აქ ათას ექვსასი სამრეკლოა და ათასზე მეტი სასახლე. ქალაქი მომარაგებულია ყველაფრით“... ნაპოლეონს გაეღიმა, როცა ამ უკანსკნელ სიტყვებს წერდა, მაგრამ მან მაინც კვლავინდებურად განაგრძო: „თავადაზნაურობა წასულია, ვაჭრებიც აიძულეს, რომ წასულიყვნენ, ხალხი დარჩა...“ ნაპოლეონმა წერა შეწყვიტა და თავისთვის ხმამაღლა ჩაილაპარაკა: — საუბედუროდ ცეცხლის წამკიდებლების მეტი არავინ დარჩა, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება, ვინ იცის რას იფიქრებენ პარიზში... რასაკვირველია—ხალხიც დარჩა, ქალაქიც მომარაგებულია და ყველაფერი წესრიგშია... საფრანგეთში არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს ჩემი გაჭირვების შესახებ. დიახ, აქ ყველაფერი წესრიგშია — და ნაპოლეონმა კვლავ განაგრძო წერა: „მოწინააღმდეგე უკან იხევს, როგორც ეტყობა, ყაზანის მიმართულებით. მოსკოვთან გამართული ომის შედეგად, ჩვენ მივიღეთ მშვენიერი ნადავლი“...

* * *

მოსკოვი იწვოდა, თითქმის მთელი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ხანძარი თანდათან კრემლს უახლოვდებოდა, მაგრამ კრემლში დაბანაკებული ნაპოლეონი მაინც ელოდა, რომ რუსეთი მას ზავს, ფრანგებისათვის სასარგებლო ზავს შესთავაზებდა...

ნაპოლეონი ბერტიესა და დარიუს ესაუბრებოდა, როცა მას მორიგე ოფიცერმა მოწიწებით მოახსენა.

— თქვენო უდიდებულესობავ, მთხოვნელები გეახლათ!

— ვინ არიან? — დაუმალავი ინტერესით იკითხა ნაპოლეონმა.

— მოსკოვის საალმზრდელო სახლის უფროსი გენერალ-მაიორი ტუტომლინი.

გახარებულმა ნაპოლეონმა სიტყვა შეაწყვეტინა მორიგე ოფიცერს და ფეხზე წამოდგა.

— რუსი გენერალი!.. დიდებული შემთხვევაა, რომელიც კარგად უნდა გამოვიყენოთ ჩემსა და ალექსანდრეს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად... მოუხმეთ ვენერალს!

მორიგე ოფიცერი სწრაფად გავიდა და იმავე წუთში იგი გენერალ ტუტომლინთან ერთად დაბრუნდა.

— მობრძანდით, ბატონო გენერალო! — ნაპოლეონმა მისთვის უჩვეულო მაამებლობით მიმართა ტუტომლინს შემოსვლისთანავე.

— თქვენო იმპერატორობითი უდიდებულესობავ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჩემი უმორჩილესი თხოვნა...

— დაბრძანდით, გისმენთ, თქვენო კეთილშობილებავ!

ნაპოლეონმა სავარძელზე მიუთითა და თვითონაც დაჯდა. ტუტომლინმა ძლივს წარმოთქვა თავისი სათქმელი მრისხანე იმპერატორის წინაშე.

— მე თქვენი უდიდებულესობის წინაშე მოვედი თხოვნით, რათა დაიცვათ სააღმზრდელო სახლი და მისი ბინადრები ამ არეული დროის ყოველგვარი განსაცდელისაგან. გარდა ამისა უმორჩილესად გთხოვთ, მოგვცეთ ნებართვა პატაკი მიწეროთ იმპერატრიცა მარიას.

ტუტომლინს თითქმის არც კი ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, უმალვე უპასუხა ნაპოლეონმა.

— დიდი სიამოვნებით, მხოლოდ ნუ დაგავიწყდებათ მისწეროთ იმპერატორ ალექსანდრესაც იმის შესახებ, რომ მე ზავი მსურს.. თუ თქვენ ითავებთ ჩემი წერილის გადაცემას იმპერატორზე, მაშინ, მე ვბრძანებ, რომ ყველა თქვენებისათვის, რიგმლებიც პეტერბურგს მიემგზავრებიან, გაიცეს მოსკოვიდან გასვლის ნებართვა!

— დიდი სიამოვნებით შევასრულებ თქვენს სურვილს, — ახლა უკვე თამამად წარმოთქვა ტუტომლინმა თავისი სათქმელი. — ბით უმეტეს, რომ ეს ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე იქნება!

— წინდაწინ მინდა მადლობა გამოგიცხადოთ!.. რაც შეეხება თქვენს თხოვნას, — აქ ნაპოლეონმა ტუტომლინს მეგობრულად გაუღიმა, — იგი დაუყოვნებლივ შესრულდება... გა-

რდა ამისა, ჩემი ბრძანებით დღესვე დაინიშნებიან სააღმზრდელო სახლისა და უსპენსკის სობოროს ყარაულები!

ამ დროს, კრემლთან მოახლოვებულმა და ქარის მიერ ჰაერში ატაცებულმა ცეცხლის ენებმა შემოანათეს სასახლის ფანჯრებში. ნაპოლეონმა თვალები ფანჯარას მიაპყრო და ისე განაგრძო. — სმოლენსკიდან დაწყებული ვიდრე მოსკოვამდე ვერაფერი ვერ ვნახე, გარდა ფერფლისა... მე კარგად მახსოვს წინანდელი ომები და ისიც, თუ როგორ გაიქცა ვენიდან ავსტრიის იმპერატორი, რომელმაც ქალაქის ხელისუფალთ დაუტოვა ბრძანება, რომ იმათ დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ შეესრულებიათ ყველა ჩვენი მოთხოვნები და ბრძანებები... აქ კი...

ნაპოლეონმა სიტყვა აღარ დაასრულა და ისევ ფანჯრებს გადახედა, ფანჯრებიდან კი კვლავ მოჩანდა გრანდიოზული ხანძრის შემზარავი ცეცხლის ენები. ნაპოლეონს ბერტიე წამოეშველა და თავისი იმპერატორის სიტყვა ასე გააგრძელა:

— თავისი დამარცხებული ქვეყნიდან გაქცეულმა პრუსიის მეფემ მოგვწერა, რომ მისი უდიდებულესობისათვის სასიამოვნო და მოხერხებული იქნებოდა პოტსდამის სასახლეში ცხოვრება, აქ კი — ხანძრით და საშინელი შურისძიებით შეგვხვდნენ. გარდა ამისა, ქალაქი სავსებით დაუცლიათ, მოსახლეობა თითქმის, მთლიანად გაქცეულა!

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ნაპოლეონი წერილს წერდა და როგორც ეტყობოდა ძლიერ გატაცებული იყო ამ საქმით, ტუტომლინმა მაინც უპასუხა ბერტიეს.

— მე თქვენ სავსებით გეთანხმებით, რუსები თითქმის არაფერში არ ჰგვანან ავსტრიელებსა და პრუსიელებს!

ამ დროს ნაპოლეონმა ხმამაღლა წაიკითხა მის მიერ დაწერილი წერილის უკანასკნელი სიტყვები. — მარად თქვენი პატივისმცემელი ნაპოლეონი. და წერილი იმ წუთშივე ტუტომლინს გაუწოდა. — აი, თქვენო კეთილშობილებავ! ეს წერილი, გთხოვთ გადასცეთ მის იმპერატორობით უდიდებულესობას — ალექსანდრეს!.. გარდა ამისა, გთხოვთ აცნობოთ მას, თანახმა ვარ ზავზე და, რომ იმპერატორი ალექსანდრე კვლავინდებურად მიყვარს და ვაფასებ... ჰო, აი რა, ბატონო გენერალო! გავიგე, რომ მძიმედ დაჭრილი გენერალი ბაგრატიონი სადღაც მიყრუებულ სოფელში წაუყვანით და მისი სიცოცხლე საფრთ-

ხეშიაო.., ეს დიდად სამწუხაროა, იგი დიდებული სარდალია... ხომ არაფერი იცით მისი ჯანმრთელობის შესახებ?

— სამწუხაროდ, ვერაფერს გეტყვით, მე არავითარი ცნობა არა მაქვს. — ტუტომლინი წასასვლელად მოემზადა, იგი წელში ოდნავ მოიღუნა და თავდახრილი მიმართა ნაპოლეონს. — უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ გამოჩენილი ყურადღებისათვის! გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემის რწმუნება.

ტუტომლინი გავიდა. ნაპოლეონი კვლავ გაჰყურებდა ფანჯრებს, რომლებს იქით კარგად მოსჩანდა თუ როგორ ბობოქრობდა მოსკოვის თავზე შემზარავი ხანძარი.

— მოსკოვი, მოსკოვი... რუსეთის მეფეთა უძველესი სატახტო ქალაქი, — ბუტბუტებდა ნაპოლეონი, — იწვის! — შემდეგ თავი მაღლა ასწია, ბერტიესა და დავუს მიუბრუნდა და ახლა უფრო ხმამაღლა წარმოთქვა, — არც მილანსა და ვენეციას, არც ალექსანდრიას და ქაიროს... არც ვენასა და ბერლინს, არც ვარშავასა და ამსტერდამს, არც რომსა და ანტვერპენს — არც ერთ დედაქალაქს, სადაც ჩემი გამარჯვებული ჯარები შევიდნენ, არა ჰქონიათ ჩემსა და ჩემი ჯარების თვალში ისეთი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორიც რუსეთის ამ უძველეს სატახტო ქალაქს, ევროპისა და აზიის შემაერთებელსა და მსოფლიოზე ბატონობის გასაღებს.

* * *

პეტერბურგიდან არაფერი ისმოდა. იმპერატორი ალექსანდრე დუმდა. ნაპოლეონის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ნაადრევ თოვლს ყინვები მოყვა. ყინვებს ნაპოლეონის ჯარის დემორალიზაცია მოყვა და ნაპოლეონი კანში ვერ ეტეოდა ისე იყო გაჯავრებული. ნაპოლეონის ყურამდე იმანაც კი მიაღწია, რომ მისი გენერლების უმეტესი ნაწილი შექმნილი მდგომარეობის გამო უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. მათ სახლი, ოჯახი, სამშობლო მოენატრათ და ამის შესახებ ისინი თითქმის ხმამაღლა გაიძახოდნენ. ყველაფერი ეს ძლიერ მოქმედებდა იმპერატორზე და იგი ცეცხლს აფრქვევდა.

— კი, ზედმეტად გავამდიდრე და გავანებივრე ჩემი გენერლები... ისინი მხოლოდ სიამოვნებაზე, დროსტარებაზე, ნადირობაზე, თავიანთი მდიდრული ეკიპაჟებით პარიზში სეირნობაზე ფიქრობენ! ომი მობეზრდათ. სწორია, აბსოლუტურად სწორია... დღევანდელი მონები — ხვალინდელი ბოღალატეები არიან. ყოველგვარი ფიცი მეგობრობაზე — საპნის ბუშტია, დიახ... მეგობრობა ლიტონი სიტყვაა; მე არავინ არ მიყვარს, ჩემი ძმებიც კი... და ისიც კარგად ვიცი, რომ მე არა მყავს ნამდვილი მეგობრები... სანამ მე — ის ვიქნები, რაც ახლა ვარ, მეგობრები შესახედავად იმდენი მეყოლება, რამდენიც გნებავთ. ძალა ეშმაკსაც კი შეგაყვარებს!

არც ბერტიესა და არც დარიუს არ მოეწონა ნაპოლეონის ასეთი გულახდილობა.

— თქვენო უდიდებულესობავ, — დაიწყო განაწყენებულმა ბერტიემ, — განა მიურატის თავგახწირული მოქმედება თქვენს გადასარჩენად ნათელი მაგალითი არ არის თქვენი თანამშრომლების ერთგულებისა და ნამდვილი მეგობრობისა?!

ნაპოლეონმა დამცინავად გაიღიმა.

— ჰო, იმ არამზადამ სასიკვდილოდ გამეტებულს, ხანჯალი გულისკენ დამიმიზნა. მაგრამ არ მომხვდა... მიურატი დროზე გადაეღობა და განაიარაღა... მაგრამ ვანა მიურატმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ მე მისი იმპერატორი არა ვარ? აბა ვყოფილიყავი უბრალო ვინმე, მიურატი მაშინ ოდნავადაც არ შეირხეოდა. — პატარა პაუზის შემდეგ, ნაპოლეონმა აგდებულად იკითხა, — ვინ ყოფილა თავდამსხმელი?

— თვითონ მიურატის კავალერიიღანაა. — უეუნებოდ ჩაილაპარაკა ბერტიემ.

— ესპანელი სტუდენტი, ხოსე ლუის ერნანდესი!

დაუმატა დარიუმ.

— შემოიყვანონ! — ბრძანა ნაპოლეონმა და რამდენიმე წუთის შემდეგ მის წინაშე ამაყად წარსდგა შავთვალა და ხუ- ...ჭთმიანი, ლამაზი, ოცდასამი წლის ესპანელი სტუდენტი ...ლუის ერნანდესი. ნაპოლეონმა ზიზღით შეათვალიერა ...ი და დაბალი ხმით შეეკითხა. — რისთვის განიზრახეთ ...დასხმა?

— მე დავრწმუნდი, რომ სანამ თქვენ ცოცხალი იქნებით, ვერც ჩემი სამშობლო და ვერც მთელი მსოფლიო ვერ ეღირსება მშვიდობასა და თავისუფლებას! — ამაყად უპასუხა ესპანელმა.

— ვინ მოგასწავლათ?

— არავინ! თვითონ!..

— თქვენ სტუდენტი ყოფილხართ... ნუთუ ასეთ საქმეებს სწავლობთ უნივერსიტეტში?

— საუბედურო ად იქ ასეთ რამეებს არავინ არ გვასწავლიდა!

ნაპოლეონმა ცალი თვალით გადახედა ესპანელს და ისევ აუღელვებლად შეეკითხა:

— რას იზამთ, რომ გაგათავისუფლოთ და გაგიშვათ? ისევ შეეცდებით ჩემს მოკვლას?

— დიახ, ისევ ვეცდები, თქვენო უდიდებულესობავ! — ამაყად, თავაწეული უპასუხა ერნანდესმა. ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდნენ მისი თვალები. ნაპოლეონს სადღაც, გულის სიღრმეში მოეწონა ესპანელის ვაჟკაცობა, ოაგრამ არ შეიმჩნია და საუბარი განაგრძო.

— თქვენ ალბათ გავიწყდებათ, რომ მე ნაპოლეონი ვარ, რომ მე დიდი ქვეყნის იმპერატორი და თითქმის ნახევარი მსოფლიოს მპყრობელი და მბრძანებელი.

— და იმიტომ, რომ თქვენ მბრძანებელი ბრძანდებით, იმიტომ, რომ, როგორც თვითონ თქვენ ბრძანეთ, თითქმის ნახევარი მსოფლიოს დიდმპყრობელი ხართ, თქვენი ხელები მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა სისხლით არის გასვრილი. დიახ, თქვენ ადამიანთა უბედურებითა და სისხლით გაიკაფეთ გზა საკუთარი თავის განსადიდებლად.

— ჩემი დიდება — საფრანგეთის დიდებაა.

ახლა უკვე ხმა აღიმაღლა ნაპოლეონმა.

— თქვენ ხშირად გაიძახით, რომ გიყვართ საფრანგეთი, რომ თქვენ იღწვით ფრანგი ხალხის საკეთილდღეოდ, რომ ყველა ეს ომები, რომლებიც თქვენ გაგიმართავთ და კვლავაც ეწევით, ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის აყვავებასა და ბედნიერების მიზანს ემსახურებაო.

— განა ეს ასე არ არის?!

უნებურად წამოცდა მოთმინებიდან გამოსულ ბერტიეს.

— არა, არა და არა, — ხმას აუწია ერნანდესმა, — ეს — სიცრუეა, ტყუილია. თქვენი მმართველობის მთელ პერიოდში, სისხლიანო იმპერატორო, საფრანგეთი უკიდურესობამდე დაიცალა სისხლისაგან და ჩემი სამშობლოს აწიოკებითაც ვეღარ გაძეხით. საკუთარი თავის განსადიდებლად და პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად არაფერს არ ერიდებით და ათეულ ათასობით ადამიანებს სასაკლაოზე ერეკებით. თქვენი სურვილია მთელი კაცობრიობა თქვენ ფეხებს ქვეშ ფართხალებდეს... თუმცა გენიოსი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ საშინელება, ავი სული ხართ, როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე ხალხთა ბედი სათამაშო გახდა თქვენს საშინელსა და სისხლიან ხელებში. კი, ეს ასეა, უსულგულო იმპერატორო! ერთი ადამიანის ჟინითა და სურვილით იხოცება ასეულათასობით ადამიანები. ვინ მოგცათ ამის უფლება?! თქვენც ხომ დედამ გ'მობათ, და არა...

ნაპოლეონი ჯერ გაფითრდა, თვალები მილულა, მერე, უცებ, თავდაჭერილი, მაგრამ მრისხანე ხმით წამოიძახა.

— გააჩუმეთ, გააჩუმეთ. — ფეხზე ადგა, ერნანდესთან ახლოს მივიდა, თვალებში ჩააცქერდა და დარიუს მიმართა, — ამაღამვე დახვრიტონ!

ნაპოლეონმა თვალით ანიშნა და ერნანდესი გაიყვანეს.

— მასთან ერთად დახვრიტონ კიდევ ასი ესპანელი, — ბრძანა ნაპოლეონმა.

— უდანაშაულონი?- — იკითხა დარიუმ და თვალები ორმაგად გაუდიდდა.

— ამქვეყნად არ არსებობს უდანაშაულო ადამიანი. რა კი ხარ ადამიანი — დამნაშავე ხარ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, სუსტი ბრძანდები თუ ძლიერი. თუ სუსტი ხარ, გაისრისები, ძლიერი კი დამნაშავეც მართალი არის. — ნაპოლეონმა ჯერ დამცინავად გაიღიმა, მერე კი ხმამაღლა გადაიხარხარა. — უდანაშაულო ადამიანები! ადამიანები — ბალღები და მონები არიან, მათ შეგიძლია უყო ის, რაც მოგესურვება, და ისინი არასოდეს არ მიანებებენ კოცნასა და ლოკვას იმ ხელილისას, რომელიც მათ ურტყამს... ისინი ყოველთვის ამჯობინვ-

ბენ შეასრულონ ჩემი მონების როლი, სანამ მე ძლიერი და მრისხანე მბრძანებელი ვიქნები. ადამიანები! ადამიანები — ხალხია, ხალხი კი — ბრბოა, თუ მაკარი ჯოხი გაქვს, ბრბოს საითაც გინდა იქით გარეკავ... მაგარი ჯოხი ხალხის თავზე ტახტის ძლიერების საფუძველია... თუ გულკეთილი ხარ, მეფობა არ გივარგა... გულკეთილობა პოეტების დამაშშვენებელი და მეფეთა დამღუპველია.

* * *

ნაპოლეონს ნერვებმა უღალატეს. იგი მუდამ დინჯი და დიდებული, კრემლის სასახლეში დაბინადრებული, ხაფანგში გამომწყვდეულს დაემსგავსა. ფრანგთა მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა, სულ უფრო და უფრო საგანგაშო ცნობები მოდიოდა და რაც შეეხება ზავს, მისი აჩრდილიც კი არა ჩანდა. საფრანგეთის დიდი იმპერატორი პატარა კაცს დაემსგავსა, კაცს, რომელიც იმქამად მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ არა იმპერიის, არამედ როგორმე თავისი სახელი დაეცვა დამცირებისაგან. ისეთი დამცირება კი, როგორიც ნაპოლეონმა მოსკოვში იგემა, მას არასოდეს არ განუცდია.

გამარჯვებული ზავს თხოულობდა, დამარცხებული კი დუმდა და ღმერთმა უწყის რას აპირებდა.

ნაპოლეონი თავისი ჩვეული პოზით სავარძელში იჯდა, მარჯვენა ფეხი მუხლში გამართული დოლზე დაედო და ფიქრებით გატაცებულს თვალები იატაკისათვის მიეპყრო. ამ დროს მას ფრიად არასასიამოვნო ამბავი მოახსენეს.

— თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენს სასურსათო საწყობებს გზაში თავს დასხმიან პარტიზანები და მთლიანად გაუნადგურებიათ. გარდა ამისა, წუხელ პარტიზანებს თავდასხმა მოუწყვიათ მიურატის კავალერიაზე და ხუთასზე მეტი ცხენი და ოცამდე ფურგუნი გაუტაცია!

— თქვენო უდიდებულესობავ, ხანძარი კრემლსაც მოედო, იწვის თითქმის ყველა სახლი და სასახლე... ქალაქში არეულობაა... მთვრალი ჯარისკაცები ძარცვავენ ღვინის სარდაფებს... ქალაქში შემოსასვლელ გზებზე დაბანაკებულ ნაწილებს კვლავ დაესხნენ პარტიზანები!

ნაპოლეონი ღრმად ჩაფიქრდა, ანალიზი გაუკეთა მთელს მის მდგომარეობას და ელდანაკრავივით წამოხტა.

— არა, ასე აღარ შეიძლება... იმპერატორ ალექსანდრესაგან ჩვენ ვერავითარ პასუხს ვერ ვეღირსებით! ზავი უნდა ვთხოვოთ კუტუზოვს... ალბათ მისი ჩარევა გადაწყვეტს საკითხს. მოუხმეთ გრაფ ლორისტონს!

მორიგე ოფიცერი ლორისტონის მოსაყვანად წავიდა. ნაპოლეონის უახლოესი თანამებრძოლები, მარშლები მიურატი, დავუ, ბერტიე და სხვები გრაფ დარიუსთან ერთად ნაპოლეონს თვალებში შესცქეროდნენ და დუმდნენ.

უცებ დარბაზი გადააყრუა ნაპოლეონის ისტერიულმა სიცილმა, რომელიც ხარხარში გადაიზარდა. ნაპოლეონის სიცილში ნათლად მოსჩანდა, რომ იგი თავის თავს დასცინოდა.

— რა დღეს მოესწარ ნაპოლეონო, მოწინააღმდეგის დედაქალაქში ზავს თხოულობს გამარჯვებული. დასწყეველოს ღმერთმა რუსთა ჯილაგი. ნუთუ მათ არ იციან, რომ ზავს თხოულობს მხოლოდ იგი, ვინც დამარცხებული ტოვებს სატახტო ქალაქს? გამარჯვებული მე მუდამ დიდებული ვიყავი. აქ კი გამარჯვებულს სასაცილო ხვედრი მარგუნეს. რა დღეს მოვესწარ! გვიან, ძალიან გვიან მოვეევლინე ქვეყანას... ვერაფერს ვერ მოვიმოქმედებ რაიმე დიადს. მე თანახმა ვარ, რომ ჩემი კარიერა საუცხოო და არაჩვეულებრივი იყო... დიახ, მშვენიერი ცხოვრების გზა გავიარე... მაგრამ დიდი, ძალზე დიდი სხვაობაა უძველეს დროსთან შედარებით... გაიხსენეთ ალექსანდრე მაკედონელი: როდესაც იმან აზია დაიპყრო და თავისი თავი იუპიტერის შვილად გამოაცხადა, მაშინ ოლიამპიადისა, არისტოტელისა და ათენის რამდენიმე პედანტის გარდა მთელმა აღმოსავლეთმა დაუჯერა მაკედონელს.. მე კი, ახლა ფიქრად რომ მოსვლოდა... ჩემი თავი გამომეცხადებია მარადისობის შვილად და პატივი მეცა ასეთისათვის, ბაზრის უკანასკნელი მოვაჭრე ქალიც კი პირში დამცინებდა.

დარბაზში ლორისტონი შემოვიდა და ნაპოლეონის წინაშე წარსდგა ისე, რომ გეგონებოდათ იგი არა პოლიტიკური, არა დიპლომატიური, არამედ წმინდა სამხედრო დავალების წინაშე დგას და მზად არის მაშინვე შეასრულოსო. ნაპოლეონმა არც კი აცალა, შემოსვლისთანავე ახალა ლორისტონს:

— გრაფ, ჩემს ბრძოლებში ყველაზე საშინელი და სისხლიანი იყო იგი, რომელიც აქ, მოსკოვის ახლოს გავმართე... ფრანგებმა აქ თავი იჩინეს გამარჯვებულთა თვისებებით... მაგრამ ჩვენ მაინც საშინლად მოვტყუვდით. რუსები ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ ომების ისტორიაში ჯერ არნახულ ტაქტიკას... ო, ესენი ნამდვილი სკვითები, ბარბაროსები არიან! ასე თუ გაგრძელდა, ჩვენი დაღუპვა აუცილებელია! ზავი, ზავი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს! წადით ლორისტონ რუსთა ბანაკში, დათანხმდით ყველაფერზე, მიეცით ყველაფერი, ოღონდ საფრანგეთის პრესტიჟი და ჩემი სახელი გადაარჩინეთ!

* * *

მეორე დღეს ბოროდინომდე მიაღწიეს. დილიდანვე თოვდა, ცა ტყვიისფერი იყო. გაძარცვულ ხეთა ტოტებზე სვავ-ყორნების ჩხავილი და ყრანტალი ისმოდა. მიუხედავად თოვლისა, ომის ნაკვალევი ნათლად იგრძნობოდა, დიდი ბრძოლების ჭრილობა კიდევ ეტყობოდა განაწამებ მიწას.

დარიუმ თავი აწია, ირგვლივ თვალი მოავლო მიდამოს და გულში გაიფიქრა: „აჰა, ჩვენ ისევ ბოროდინოს მივაღწიეთ... ეს საბედისწერო ბრძოლის ველია, სადაც სამუდამოდ შეწყდა მსოფლიოს დაპყრობის შესაძლებლობა, სადაც დაიწყო ჩვენი ბედნიერების საზარელი ნგრევა, განადგურება. აი, აქ შერჩება საუკუნეებს ჩვენი დიდების სასაფლაოზე დადგმული ძეგლი!“ ნაპოლეონი მარხილიდან გადმოვიდა, ჯერ ჩაფიქრებულ დარიუს შეხედა, მერე თვალი მოავლო მიდამოს, მრისხანედ და ბრაზით გაიხედა აღმოსავლეთისაკენ, სადაც მოსკოვი ეგულებოდა და ლოცვასავით წაიჩურჩულა: „რად დამაწექი გულზე ლოდივით, ჩრდილოეთის ტურფა ქალაქო? ნუთუ შენს მისადგომებთან შეწყდა ჩემი განუწყვეტელი ვზა დიდებისაკენ? მე ახლა, მხოლოდ ახლა შევიცან ამ თვალუწვდენ სივრცეთა ღრმამაც ადამიანთა ბუმბერაზობა... ნაპოლეონო, ო, ბონაპარტე, პირველად გაბრუნებინეს პირი გასაქცევად, მუდამ გამარჯვებულის სახელით შემკულს...

ჩემი ჯარების უბადრუკი ნარჩენები დასავლეთისაკენ იხევენ...

რუსეთო, წყეულიმც იყოს შენი სახელი!..

მხოლოდ შენ, შენ გადააფარე შავი სუდარა ჩემს ბრწყინვალე სახელს!" მარხილში დიდხანს ჯდომის გამო მთელ სხეულში სიცივე იგრძნო, ფეხები ეყინებოდა და საფრანგეთის იმპერატორი რუსეთის მიწაზე რამდენჯერმე შეხტა, ხელებიც გაავარჯიშა, მაგრამ უცებ შეწყვიტა სხეულის გათბობის მიზნით გამართული გიმნასტიკა — ნაპოლეონს მისი ამალის შერცხვა. იგი ისევ მარხილში ჩაჯდა და კრემლიდან გატაცებული ძვირფასი ბეწვეული გადაიფარა.

დარიუ თავის მარხილისაკენ გაემართა, მაგრამ მისი ყურადღება აღმოსავლეთის მხრიდან გამოჩენილმა ცხენოსანმა მიიპყრო. ფრანგთა ჯარების ჰუსართა პოლკის ოფიცერმა დარიუს ნიშანზე ცხენი მასთან შეაჩერა, ჩამოხტა და ეტყობოდა არასასიამოვნო ამბავს უყვებოდა. ნაპოლეონმა შეამჩნია, აღბათ, რაღაც არასასიამოვნო ამბავიაო და დარიუ იხმო.

— რა ამბავია, დარიუ?

— რუსთა ჯარები გვიახლოვდებიან!

— წინ, დასავლეთისაკენ! — წამოიძახა ნაპოლეონმა.

— ეს უკვე წინ აღარ არის... დასავლეთისაკენ ჩვენ მხოლოდ უკან ვიხევთ, იმპერატორო!

ნაპოლეონის მარხილი პირველი დაიძრა და მკაფიოდ ისმოდა ზიზღით სავსე სიტყვები:

— სკვითები, სკვითები!

დარიუმ თვალი გააყოლა ნაპოლეონს, ზანტად, გულჩათხრობილი მივიდა თავის მარხილთან, ჩაჯდა და როგორც კი დაიძრა მარხილი, მას თითქმის სმამაღლა წამოცდა:

— თქვენ მართალი ხართ, იმპერატორო! დიდებულიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია!..

პირველი დამარცხება

22 სექტემბერს, დილით, ბაგრატიონი უკეთ გრძნობდა თავს. იგი საშინლად სწუხდა, რომ სამშობლოსათვის ასეთ საჭირო დროს ლოგინზე იყო მიჯაჭვული. როგორც კი გაახილა თვალები, მან სამი კაცი შეამჩნია. სამთავე თეთრ ხალათებში იყვნენ გამოწყობილნი. ერთი მათგანი პროფესორი გილდენბრანტი იყო, მეორე მკურნალი ექიმი განგარტი და მესამე ექი-

მი გოვოროვი. მათი დანახვისთანავე ბაგრატიონი პროფესორ გილდენბრანტს შეეკითხა:

— რას იტყვით, პროფესორო, როდის მომირჩება ჭრილობა?

— ზედმეტად ვთვლი დაგიმალოთ ჩვენი გადაწყვეტილება.

— რა გადაწყვიტეთ, პროფესორო? — არც კი აცალა სიტყვის დამთავრება გილდენბრანტს, ისევ შეეკითხა ბაგრატიონი.

— საჭიროა დაჭრილი ფეხის ამპუტაცია. — მორიდებით მაგრამ მტკიცედ უპასუხა პროფესორმა.

— თქვენ ხუმრობთ, პროფესორო! — გაიხუმრა თვითონ ბაგრატიონმა.

— მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყოს. — მოიბოდიშა გილდენბრანტმა.

— არა, ვერ დავიჯერებ! ეს ტყუილია... ვერ წარმომიდგენია უფეხო ბაგრატიონი.

— უმჯობესია გამოეთხოვოთ ფეხს, ვიდრე სიცოცხლეს!

— არა, ჩემო ძვირფასო, უმჯობესია სიცოცხლეს გამოეთხოვო, ვინემ ჩემს ქვეყანაში ომის ცეცხლს ვუცქერდე და შისი ჩაქრობის ძალა აღარ მქონდეს, მტერს თვალით ვხედავდე, ხოლო დადევნების საშუალება აღარ მქონდეს, მერანივით ცხენი მყავდეს და ცალფეხა მეომარი საცოდავად დავდიოდე! არა, და არა, ჩემო ძვირფასო!

გილდენბრანტმა შეშფოთებული თვალებით გადახედა განგარტსა და გოვოროვს. ბოლოს, როგორც იქნა, ნებისყოფა მოიკრიფა და გაბედულად მიმართა ბაგრატიონს:

— თქვენო ბრწყინვალებავ, დრო არ იცდის, ფეხის მოკვეთაზე უსიტყვოდ უნდა დაგვემორჩილოთ!

ბაგრატიონი მოტყდა, გილდენბრანტის მტკიცე წინადადებამ შეაკრთო კიდეც და ახლა უკვე ხმაგაბზარული შეეკითხა:

— ნუთუ არავითარი იმედი არ გაქვთ, პროფესორო? იქნებ განვიკურნო ისე, რომ ორივე ფეხი შემრჩეს!

— საუბედუროდ, არა! ფეხის ამპუტაცია აუცილებელია. — ისევ მოისმა გილდენბრანტის მტკიცე პასუხი.

ბაგრატიონი ფიქრებს მიეცა, იგი უკვე აღარ ამჩნევდა

მკურნალებს და თავისთვის ჩურჩულებდა: „ცალფეხა მხედართმთავარი, ფრთებმოჭრილი ფრინველი!“

— თქვენო ბრწყინვალებავ, დრო არ იცდის!

ტყვიასავით მოხვდა ბაგრატიონის ყურთასმენას გილდენბრანტის სიტყვები და ბაგრატიონი ფიქრებიდან გამოერკვა. ჯერ უკმაყოფილო თვალებით მიაცქერდა გილდენბრანტს, მერე კი მის თვალებში ბაგრატიონისებური რისხვა აინთო და ახლა უკვე მოურიდებლად შეუტია თავის მკურნალ პროფესორს:

— მე თქვენ ამის ნებას არ გაძლევთ, გთხოვთ აღარ გამიმეოროთ!.. არა, კი არ გთხოვთ, გიბრძანებთ!

მაგრამ ბაგრატიონის სიტყვებმა ახლა უკვე აღარ იმოქმედა გილდენბრანტზე.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ბრძანება არმიაში სრულდება, თქვენ იქ ხართ გენერალი!.. აქ კი გენერალი მე ვარ! მე ვერ დავუშვებ, რომ თქვენი სიცოცხლე საფრთხეში ჩავაგდო! ამას მე არავინ არ მაპატიებს!

ბაგრატიონს თანდათან სახეზე ალმური მოედო და კბილები ისე ააღრჭიალა, ვერ გაიგებდით, სიბრაზისაგან მოუვიდა თუ ტკივილებისაგან.

— თავი დამანებეთ! მომშორდით! აღარ დამენახოთ! სადა ხარ, მამიდა, ხმა გამეცი!

უკანასკნელი სიტყვები ბაგრატიონმა ქართულად წაეოიძახა და უმალვე კარებში მამიდა ანა გამოჩნდა.

— აქა ვარ, გენაცვალე! — მოესმა ბაგრატიონს მამიდას ალერსიანი ხმა.

— უბრძანეთ, ახლავე გაიყვანონ ეს შეუბრალებელი ადამიანები!

— ნუ ღელავთ, თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენ თვითონ გავალთ... მხოლოდ უკანასკნელად და უმორჩილესად გთხოვთ, დაფიქრდეთ თქვენი მძიმე ჭრილობის შესახებ! — დაყვავებითა და თხოვნით მიმართა გილდენბრანტმა ავადმყოფს და განგარტისა და გოვოროვის თანხლებით ფეხაკრეფით გავიდა ბაგრატიონის ოთახიდან, მამიდა და ძმისშვილი ერთხანს ერთმანეთს შესცქეროდნენ, მერე ბაგრატიონს თვა-

ლებში ძალა გამოელია, ქუთუთოები ერთმანეთს მიეკვრინენ და ისე მარცვლავდა სიტყვებს ღონემიხდილი ხმით, თითქოს სიზმარში იყო და ლოცულობდა.

— ტკივილი ოდნავ მიყუჩდა, მამიდა!,. თვალებში ბინდი ჩამოწვა, რაღაც საშინელსა ვგრძნობ, ჩემო ძყირფასო მამიდა! სიკვდილი მიახლოვდება... ნუთუ შენი მზე უკვე ჩაესვენა ბედნიერო მეომარო... და უბედურო ადამიანო? — უცებ მთელი სხეული აუთრთოლდა, თვალები გაახილა და ხმამაღლა წამოიძახა: — ბაგროვ!

— აქა ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ! — მოისმა ბაგროვის ხმა და თვითონაც იმ წამშივე იქ გაჩნდა.

— მოსკოვიდან ხომ არავინ ჩამოსულა? ფრონტის რა ისმის? ბაგროვ, მე დამესიზმრა, რომ ელიზავეტას წერილი მიიღეთ... ელიზავეტა... უღელს მო'მორებულო..., ჩემო მეუღლე! ელიზავეტა... ელიზავეტა... — ბაგრატიონს ხმაში თანდათან ძალა ელეოდა, თვალები დახუჭა და ჩაეძინა.

— ჩაეძინა! — წაიჩურჩულა ანამ და სევდამორეული ალერსიანი თვალებით დააცქერდა საყვარელ ძმისშვილს..

— დიახ, ჩათვლიმა! — დაემოწმა ბაგროვი.

ანამ ბაგროვი გვერდზე გაიხმო და დაარიგა:

— კარგად დაიხსომე: ნაბრძანებია, მოსკოვის დაცემა გენერალს არ გაუმხილონ. მან არ უნდა იცოდეს მოსკოვის დაკარგვა! კარგად დაუკვირდი ყოველ სიტყვას მასთან საუბრის დროს, არაფერი წამოგცდეს!

ბაგროვი გულდასმით ისმენდა ანას სიტყვებს და თვალებში ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამბობდა ყველაფერში გეთანხმებიო. ამ დროს ბაგროვმა ფანჯრიდან თვალი მოჰკრა მდიდრულ კარეტას, რომელიც ეზოში შემოვიდა ცხენოსანი ამალით. ბაგრატიონმა თვალი გაახილა და ფანჯრისაკენ მიაპყრო მზერა.

— გესმით? ალბათ, ვიღაცა ჩამოვიდა მოსკოვიდან, ან პეტერბურგიდან... ალბათ ელიზავეტა, ელიზავეტა პავლოვნა... კი, ის იქნება, უეჭველად ის იქნება!

კარებში კამერდინერი გამოჩნდა და ანას მოახსენა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ხელმწიფის ფლიგელ-ადიუტანტი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან.

! ოხოვეთ! — მოკლედ უპასუხა ანამ.

ოთახში შემოვიდა საპარადო ფორმაში გამოწყობილი და ყველა რეგალიებით აღჭურვილი ხელმწიფის ფლიგელ-ადიუტანტი. ბაგრატიონმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი კაცი და თავაზიანად მიიპატიჟა.

— მოხარული ვარ! მობრძანდით!

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ! მაქვს პატივი გადმოგცეთ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის რესკრიპტი!

— ბაგროვ, წაიკითხე!

ბაგროვმა მოწიწებით ჩამოართვა ხელმწიფის ფლიგელ-ადიუტანტს ბაგრატიონისაკენ გაწვდილი რესკრიპტი და კითხვა დაიწყო: „თავადო, პეტრე ივანეს ძევ! გავიგე რა თქვენი გმირული თავდადება და ერთგული სამსახურის კიდევ ერთი მაგალითი, დამწუხრებული ვარ თქვენი ჭრილობის გამო, რომელიც დროებით არ გაძლევთ საშუალებას იყოთ ბრძოლის ველზე, სადაც ამჟამად უაღრესად საჭირო და სასარგებლო იქნებოდით, მსურს და მწამს, რომ ღმერთი მოგცემთ ჯანმრთელობას ახალი დიდებისა და სახელის მოსახვეჭად, ამასთან ერთად, არა ჯილდოს ნიშნად, რომელსაც თქვენ უახლოეს ხანში მიიღებთ, არამედ ერთგვარი დახმარების სახით, გიგზავნით ორმოცდაათი ათას მანეთს ოქროთი.

ვრჩები თქვენი კეთილისმსურველი

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე“.

პეტრემ სავარძლიდან წამოიწია, ბაგროვს გამოართვა რესკრიპტი, მადლობის თვალებით დააცქერდა მას და აკოცა.

— გმადლობთ, დიდებულო სამშობლოვ! — ხმამაღლა წაიჩოიძახა ბაგრატიონმა. — ახლა უნდა ვიყო ჩემს არწივებთან!.. ჰო, ბაგროვ! გაგზავნე წერილი დოხტუროვის სახელზე მოსკოვში?

ბაგრატიონის სიტყვებმა განცვიფრებაში მოიყვანა ხელმწიფის ფლიგელ-ადიუტანტი, რომელმაც იმ წამშივე წამოიძახა:

— როგორ? ნუთუ თქვენმა ბრწყინვალებამ არ იცის, რომ მოსკოვი დავტოვეთ?! — შეშფოთებულმა ანამ და ბაგროვმა

ყოველნაირად ანიშნეს ფლიგელ-ადიუტანტს, რომ გაჩუმებულიყო, მაგრამ ამან მათ ვერ გაუგო და ისევ ვანაგრძო. — მოსკოვში უკვე ნაპოლეონია, მოსკოვი იწვის, თქვენო ბრწყინვალებავ!

და მოხდა ის, რაც ყველაზე უფრო სახიფათო იყო.

ბაგრატიონი ჯერ გაშეშდა, თვალები ჭერს მიაპყრო და ნელი ხმით წარმოთქვა.

— მოსკოვი... მოსკოვში ნაპოლეონია... მოსკოვი იწვის.— თანდათან ხმას მოუმატა და ბაგრატიონისებური რისხვით შეიღრიალა. — ვინ შეურაცხყო ჩემი საშშობლო, ვინ? — ოთახში ექიმები შემოცვივდნენ, კარებში პახომი გამოჩნდა და ბაგრატიონმა ახლა მხოლოდ მას მიმართა. — პახომ, შენ ხომ ჩემი ძველი მეგობარი ხარ, ჩვენ ერთმანეთისათვის ბევრი კარგი გაგვიკეთებია. პახომ... ნუთუ ახლა ჩემთვის ერთ ტყვიას დაიშურებ, ჩემო მეგობარო? მომკალი, გადამარჩინე, პახომ, ყველაფერი დაკარგულია, იმედიც ჩაქრა, სიცოცხლე სირცხვილად დამაწვა და სიკვდილი მოვალეობად!

ბაგრატიონი ყველასათვის მოულოდნელად ფეხზე წამოდგა, კბილების ხრჭიალით საშინელი გმინვა აღმოხდა, თმაში ხელები წაივლო, დაჭრილი ფეხი სავარძელს მიარტყა და უგრძნობლად დაეშვა სავარძელზე.

პროფესორმა ვილდენბრანტმა მაჯაზე წაავლო ხელი ბაგრატიონს. ყველა იქ მყოფი სასოებით შესცქეროდა პროფესორს. როცა გილდენბრანტმა ბაგრატიონის მაჯას ხელი შეეშვა, თითქმის ყველა ერთხმად შეეკითხა:

— როგორ არის, რას გვეტყვი, ექიმო?

მაგრამ გილდენბრანტის თვალებში უკვე ყველაფრის აკოკითხვა შეიძლებოდა.

— ნუთუ ვეღარაფერი ვეღარ უშველის?

ძლივს გასაგებად მოისმა ანას სიტყვები.

— საუბედუროდ ვეღარ! რამდენიმე საათიღა შეუძლია იცოცხლოს...

ყველას ყურადღება საშინლად გაფითრებულმა ანამ მიიპყრო...

* * *

ოცდასამ სექტემბერს გაწვიმდა. სუსხმა დაჰკრა. ჰაერში შემოდგომის სუნთქვა იგრძნობოდა.

ბაგრატიონის ოთახის ბუხარში მშრალი შეშა ტკაცუნით იწვოდა და გავარვარებული მუგუზლები ნაპერწკლებს ხმაურით ისროდნენ.

მალე კანდელაბრებში სანთლები აანთეს.

ბაგრატიონს ეძინა.

მეზობელი დარბაზი ხალხით იყო სავსე.

გამუდმებით ისმოდა ფრთხილი ნაბიჯის ხმა. მიმოდიოდნენ მემამულეები, თავადები და სხვა წარჩინებულნი, რომლებიც საგანგებოდ ჩამოსულიყვნენ აქ ვლადიმირიდან, სუზდალიდან, ბოგოლუბოვოდან და სივა აღლომახლო ადგილებიდან.

აქვე ტრიალებდნენ მკურნალები ანდრეევის ჰოსპიტალიდან, რომლებსაც გამუდმებით ეკითხებოდნენ ბაგრატიონის ჭრილობისა და მისი ჯანმრთელობის ამბავს.

ღამის ცხრა საათზე გოლიცინის კარმიდამოს მდიდრული კარეტა მოადგა. იგი მტვრითა და ტალახით იყო გასვრილი. კარეტას რამდენიმე ცხენოსანი ახლდა.

სწრაფად გაიღო ეზოს დიდი რკინის ჭიშკარი. ეკიპაჟი ეზოში შევიდა და მთავარ სადარბაზოსთან შეჩერდა.

კარეტიდან შუახნის, მდიდრულად მორთული შავებიანი ქალი ჩამოვიდა. სახეს შავი ვუალი უფარავდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი უკვე ანა ალექსანდროვნას ოთახში იჯდა და დამწუხრებული უსმენდა ბაგრატიონის მამიდას

— ოთხი დღე უგონოდ იყო, — თითქმის ჩურჩულით თქვა ანამ, რომელიც უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად მოტყდა, სახე კიდევ უფრო დაუხაოჭდა და გაჭაღარავდა.

— მაგრამ მე დიდმა კნეინამ, ეკატერინე პავლოვნამ გამომგზავნა, უთუოდ უნდა ვინახულო მისი ბრწყინვალება! — დაბეჯითებით მოითხოვდა შავსამოსელიანი ქალი, რომელსაც შლაპა და ვუალი უკვე მოეხსნა და მაღალ შანდლებში მოლაპლაპე სანთლებს რაღაც განსაკუთრებული იერი მიეცა მისი ლამაზი სახისათვის.

ნახევარი საათი იყო გასული ეკატერინე პავლოვნას წარმომადგენლის მოსვლიდან, როცა ანას მოახსენეს: პეტ-

ჩემ გამოიღვიძა და, მიუხედავად სისუსტისა, დაბეჯითებით თხოულობს მამიდას ნახვასო.

ანა დაუყოვნებლივ გაეშურა ძმისწულთან და თან გაიყოლია დიდი თავადის ასულის წარმომადგენელი.

ბაგრატიონმა უმალვე იცნო ანა კარლოვნა ბრიუსი, ავადმყოფის თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალმა გაიელვა

ანა კარლოვნა დაიხარა და თავისი ხავერდოვანი და ნაზი ხმით ავადმყოფს ეკატერინე პავლოვნას გულთბილი სალამი და ადრე გამოჯანმრთელების სურვილი გადასცა. მადლობის ნიშნად ბაგრატიონმა ოდნავ შეარხია ტუჩები, სახეზე ღიმილმა გადაურბინა და დამნაშავესავით გახედა მამიდას, რომელიც ისეთი ნათესაური გრძნობით, ისეთი ადამიანური სითბოთი სავსე თვალებით დასცქეროდა თავის საყვარელ ძმისწულს, რომ ავადმყოფმა სხეულში სიცოცხლის მოზღვავება იგრძნო. ანა კარლოვნამ ბაგრატიონს გადასცა ეკატერინე პავლოვნას მინიატურული პორტრეტი, რომელიც თვითონ ეკატერინე პავლეს ასულმა გამოუგზავნა წერილთან ერთად.

ბაგრატიონმა წერილს აკოცა, გრძნობამორეულმა თვალები დახუჭა და ტუჩზე ბაგრატიონისებური ღიმილი აკანკალდა, რომელიც სიამოვნებასა და კმაყოფილებას გამოხატავდა. უცებ თვალწინ განწმორებული მეუღლის ელიზავეტა პავლოვნას სახე აღიმართა... იგი უღიმოდა, თავისკენ უხმობდა „თავად პეტრეს“, მაგრამ „თავადი პეტრე“ გაურბოდა და, როცა გონს მოვიდა, მამიდასა და ანა კარლოვნას თანდასწრებით თქვა:

— იური, დაჯექი და დაწერე რასაც გიკარნახებ!

ბაგროვი იმწამსვე მოემზადა.

ბაგრატიონმა ასე დაიწყო თავისი ანდერძი:

— მისი ბრწყინვალება, თავადი მთავარსარდალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი.. სიკვდილის წინ მოვითხოვ, რომ ჩემი ნაანდერძევი აღსრულდეს ასე: უფროს პროფესორს გილდენბრანტს ებოძოს ოქროს სათუთუნე და მიეცეს ასი თუმანი ოქროთი, ექიმებს გოვოროვსა და განგარტს — თვითეულს ორასორმოცდაათი თუმანი, ჩემთან მომსახურე გადამდგარ მაიორს კატოვს — ოთხმოცი თუმანი, პოდპორუჩიკ ჩევსკის — ოცდახუთი თუმანი, კამერდინერს იოზეფ გავის, რომელიც ერთგულად უხელფასოდ მემსახურებოდა 1806 წლიდან სიკვდილამდე

მიეცეს ექვსი ათასი თუმანი და ჩემი ლეგა ცხენი. ყმები ოსიპ მატვეევი — შვილი რუდაკოვისა, მათე ივანოვი — შვილი ლავცევიჩისა, პეტრე ილინი — შვილი სმირნოვისა, ანდრიან აბრამოვი — შვილი მიხეევისა, ანდრეი მაისეევი — შვილი იაგოდინისა გათავისუფლდნენ ყმობისაგან და თვითეულს მიეცეს ას-ასი მანეთი ასიგნაციებით, დაქირავებულ პირებს სამოილ ივანოვსა და ეგორ სობლინს — ას-ასი მანეთი; ორ მზარეულს ასორმოცდაათი მანეთი, ჩემი აღალის ორ უნტერ ოფიცერს ასი მანეთი, სხვა მოსამსახურეებს — ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი ასიგნაციებით. იური ალექსანდრეს ძე ბაგროვს, ჩემს ადიუტანტს კი...

აქ ბაგრატიონს სიტყვა ყელში გაეჩხირა, ბევრი ეცადა, მაგრამ ამაოდ, ხმა ვერ ამოიღო. მოულოდნელად მის თვალწინ ისევ აღიმართა ელიზავეტა პავლოვნას სახე, იგი კვლავ უხმობდა მას და... შეშფოთებული ბაგრატიონი ალაპარაკდა:

— მამიდა, ჩემო ძვირფასო, მთელ ჩემს ქონებას დაურიგებ ღარიბებსა და ღატაკებს, ჩემს იურის კი გადასცემ ყველა ჩემს ძვირფასეულობას. — შემდეგ ბაგრატიონი ანა კარლოვნას მიუბრუნდა და სუსტი და ნაზი ხმით მიმართა: — მის უმაღლესობას ეკატერინე პავლოვნას კი ვუტოვებ ყველასათვის გამოუცნობსა და მხოლოდ მისთვის ნაცნობ ჩემს გულს.

ბაგრატიონმა მზერა ისევ თავის საყვარელ მამიდას მიაპყრო, რომელსაც თვალის უპეებში ცრემლი ჩაგუბებოდა და ალერსით მიმართა: — ნუ სტირი, ჩემო ერთადერთო ღვიძლო ადამიანო. შენ, მხოლოდ შენ გამიხსენი გზა სიცოცხლისა და შენვე დამიხუჭავ თვალებს... ვიბრძოდი, როგორც შემეძლო და არაფერს ვიშურებდი სამშობლოს დიდებისათვის... გადაეცი ჩემს თანამემამულეებს, აგრეთვე რუსებს, რომ რუსეთი საქართველოს საფარი გახლავთ და მომავალში, თუ რუსეთი მბრძანებელი კი არა, თანასწორი მეგობარი იქნება საქართველოსი, ქართველები კვლავაც წარმოშობენ შვილებს, რომლებიც დიდებით შეამკობენ რუსეთს, — და ბაგრატიონმა ბაგროვს მიაპყრო თვალი, — შენ კი იური, აი, რა: როცა ყველაფერი გათავდება...

— რას ამბობთ, თქვენო ბრწყინვალებავ?! — წამოიძახა შეშინებულმა ბაგროვმა.

— იყუჩე, ვაჟო! — ბაგრატიონი შეეცადა გახუმრებოდა თავის საყვარელ ადიუტანტს. — ღმერთო, როგორ გაფუჭდნენ ადიუტანტები! ვიმეორებ, როცა ყველაფერი გათავდება, პირველ ყოვლისა, ჩემს წერილს წაიღებ მიხეილ ილარიონის ძეს და ეტყვი: „ბაგრატიონმა მდაბალი სალამი შემოგითვალათ და გთხოვათ აპატიოთ, რომ სიკვდილის წინ ვერ შესძლო გადაგხვეოდათ და ეკოცნა თქვენთვის. თქვენ სწორად იბრძოდით ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ და თქვენი სახელის დიდება საუკუნეებს გადაეცემა“. ხომ დაიხსომე, იური?

— კი, თქვენო ბრწყინვალებავ, — ძლივს წარმოსთქვა ბაგროვმა, — მაგრამ თქვენ ტყუილუბრალოდ ფიქრობთ, რომ.... თქვენ კიდევ იცოცხლებთ, დიდხანს იცოცხლებთ...

— იური, იყუჩე, იური! — ბაგრატიონი წამოიწია, რომ კედლიდან მარჯვენა ხელით მარგალიტებით მოოქვილი ხმალი ჩამოეღო, მაგრამ საშინელი ტკივილი იგრძნო, მოიკრუნჩხა და კვნესით დაეშვა საწოლზე, ბაგროვმა ხმალი ჩამოხსნა და ბაგრატიონს გაუწოდა.

— იცი, ვისი ნაჩუქარია?

— იმპერატორისა! — უცებ უპასუხა ბაგროვმა.

— ვერ მიხვდი, ძვირფასო! — ბაგრატიონი ძლივს შეეხო ხმალს. — სუვოროვმა, სუვოროვმა... საუკუნო სასუფეველი მას... წაიღებ და დენის დავიდოვს გადასცემ... და თან ეტყვი, ბაგრატიონმა დამაბარა, რომ მანამ გეჭიროს ხელში, ვიდრე მტრის თუნდაც ერთი მეომარი იქნება ჩვენს წმიდა მიწაზე. ხომ დაიხსომე?

ბაგრატიონმა ბაგროვის დახმარებით ხმალი ტუჩებთან მიიტანა, აკოცა და ალერსიანი თვალებით შეხედა თავის საყვარელ ადიუტანტს.

— შენ კი, იური, ამას გეტყვი: მუდამ ისეთი ოფიცერი იყავი, როგორსაც აქამდე ბაგრატიონი გიცნობდა... და კიდევ... — ბაგრატიონი დადუმდა, თავი ღრმად ჩარგო ბალიშში, თვალები დახუჭა და... მისი მარჯვენა საწოლზე ჩამოეკიდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც ავადმყოფის მძი-

მე სუნთქვა არღვევდა. ბაგრატიონს ჩათვლიმა. დროდადრო ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა: „არწიეგბო, წინ, სიკვდილი ან გამარჯვება!“ მერე ხმა უფრო მკაფიოდ და ძალუმად გაისმა:

— ო, როგორ მინდა, უკანასკნელად თვალი შეგავლო, ჩემო სულზე უტკბესო საქართველოვ!

ანა ალექსანდროვნამ მეტი ვეღარ გაუძლო და მწარედ აქვითინდა. ბაგრატიონი კი კვლავ განაგრძობდა:

— როცა ჩადგება ქარიშხალი, როცა შავი ღრუბლები მოშორდებიან რუსეთის ცას და ვარსკვლავები აინთებიან, როცა საკუთარი სისხლის მორევში დაიხრჩობა მტერი და ჩვენი მხარე კვლავ აყვავდება, როცა ჩემი სამშობლოს ბედნიერი შთამომავალნი სიყვარულით და სიხარულით აღივსებიან, — მომიგონებენ, გამიხსენებენ...

* * *

1812 წლის ოცდაოთხ სექტემბერს ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. ბაგრატიონის ოთახის ფანჯრებში მკრთალი სიხათლე შემოდიოდა. ავადმყოფს ჰაერი არ ყოფნიდა, სული ეხუთებოდა, ხშირ სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ჯანმრთელობა გაუარესდა. შეშფოთებული ჭირისუფლები, მეგობრები და მკურნალი ექიმები ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ „თავად პეტრეს“. როგორც ჩანს, აგონია დაეწყო. გოლიცინების ეზოსა და კარიბიდამოსთან გათენებამდე შეყრილიყო მთელი სოფელი: ხალხი მოუთმენლად ელოდა ბაგრატიონის ჯანმრთელობის ამბავს. გადაუღებლად წვიმდა, იგი სრულებით აღარ ჰგავდა ზაფხულის უდარდელსა და მხიარულ თქეშს, იგი მტირალი და მონიტონური იყო, მისი წვეთები ფანჯრის მინაზე იკრემლებოდა. ფანჯრის იქით კი, ნახევრადშიშველ ხეებს სუსტი ქარი არხევდა და ტოტები დროგამოშვებით ფანჯრებს ისე უკაკუნებდნენ, თითქოს იმ ქვეყნად ძიძავალ ადამიანს ემშვიდობებიანო, ადამიანს, რომელიც ძლივსღა სუნთქავდა.

მეზობელ ოთახში საათმა თორმეტჯერ დარეკა. ბაგრატიონის ოთახიდან უცებ ტირილი და მოთქმა მოისმა. პირველად დამარცხდა მუდამ დაუმარცხებელი ბაგრატიონი. ერთი წუთით ოთახში დაიფრქვა მზის სხივები, რომლებსაც ძლივს გაეგლიჯათ შავი ღრუბელი. ისინი ალერსით ათამაშდნენ ბაგრა-

ტიონის გაქვავებულ სახეზე და იმ წუთშივე გაქრნენ. ჩამობნელდა, ცა ისევ დაიბურა შავი, შემზარავი ღრუბლებით. ბაგრატიონის ოთახში გრძელი ჩრდილები გაწვა — გარდაცვლილი გმირის თავთან თაფლის დიდი სანთელი ენთო. ირგვლივ ქვისაგან გამოძერწილივით იდგნენ ადამიანები მწუხარე სახეებითა და ცრემლიანი თვალებით.

გოლიცინების კარმიდამოს შორი-ახლოს ბავშვები ოქროჩანას თამაშობდნენ. ანდრეიკა, რომელიც ბაგრატიონის როლში გამოდიოდა, თავისი რაზმით ელვისებურად ეკვეთა მოწინააღმდეგეს. ომახიანად ისმოდა მისი ბავშვური წამოძახილი: „მომყევით, ძმებო, წინ! სადაც ბაგრატიონია, იქ გამარჯვებაა!“ და მიდამოს აყრუებდა შეტევაზე გადასული რუსი ბიჭების „ურა“, თითქოს მათ მართლა მიუძღოდა ქართველი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

პროვინციელები

ბინდდებოდა.

მზე თითქოს სხივებს იკრეფდა, მაღე უკანასკნელი სხივი მაღალი კოშკის სახურავს გასცილდა, ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე გაითამაშა და ქვეყანას გამოეთხოვა.

დაღამდა, მაგრამ ფუნიკულიორის პლატოზე ლამპიონების სინათლე დაიფრქვა და სიბნელე მწვანე ნარგავებს შორის მიიმალა.

ქვევით უთვალავი ელნათურებით გაჩირაღდნებული თბილისი ხელისგულივით მოჩანდა.

გივი ვარკაციშვილი და მერი დარსაველიძე რესტორანის მოაჯირზე გადმომდგარიყვნენ და მოჯადოებული დასცქეროდნენ მშობლიურ ქალაქს, მაგრამ ისიხი თითქმის ვერაფერს ხედავდნენ. თავში მათ ათასი აზრი უტრიალებდათ, შამპანურს უსიტყვოდ სვამდნენ და ვაბშამს არ შეხებიან.

მერი დარსაველიძეს რამდენიმე დღის წინ ოცდაექვსი წელი შეუსრულდა, გივი ვარკაციშვილმა კი უკვე ოცდაათ წელიწადს გადააბიჯა და გარდა იმისა, რომ დედაქალაქის ახალგაზრდობის „თაიგულის“ წარმომადგენლად ითვლებოდა, ცნობილი იყო, აგრეთვე, როგორც დარსაველიძეების სასიძო.

თვითონ ელიზბარ დარსაველიძის ოჯახი კი განთქმული იყო ოჯახის პატრონის დიდი თანამდებობითა და უმაღლეს დამთავრებული, დიპლომით აღჭურვილი ლამაზი ქალიშვილით. რაც შეეხება ლამაზ ქალიშვილს, იგი მხოლოდ სილამაზით იყო ცნობილი, თანატოლი ქალიშვილები შურით უცქეროდნენ, როგორც ვარკაციშვილების ოჯახის სარძლოს.

მერი დარსაველიძეს სულ ერთი თვის წინ მისცეს ექიმის დიპლომი და აჭარაში გაანაწილეს სამუშაოდ, სოფელ ნამუხარის მედპუნქტში.

მერის დედა თავს იკლავდა, რა უნდა ჩემს ქალიშვილს სოფელშიო...

ქალაქში დარჩენის ერთადერთი საშუალება მერისათვის გათხოვება იყო. ჰოდა, ერმონია ქალიშვილის გადასარჩენად ჯარასავით დატრიალდა... თითქმის ყოველდღე ხვდებოდა გივი ვარკაციშვილს... „ვოლგას“ გიყიდიო, ვაკეში ცალკე სახლს აგიშენებო და ვინ იცის კიდევ რა არ დაპირდა, მაგრამ... გივი ვარკაციშვილი ასეთ საქმეებში არც ისე გულუბრყვილოა, რომ ეს საკითხი უცებ გადაეწყვიტა... მას ხომ ბევრი ცნობილი და დოვლათით სავსე ოჯახის ქალიშვილი ეძლეოდა და მათი მზითევი ბევრად სჭარბობდა ერმონიას შემოთავაზებულს. ზოგიერთი მათგანი არც შეხედულებით ჩამორჩებოდა მერის, და გივი ვარკაციშვილი საგონებელში ჩავარდა... ვაი თუ აჩქარებით საქმე გავაფუჭო და წაგებული დავრჩეო. დარსაველიძეებს კი ძლიერ ეჩქარებოდათ. სწორედ ეს იყო მიზეზი იმ დუმილისა, რომელიც გივისა და მერის შორის ჩამოვარდნილიყო.

უცებ მათ მაგიდას ორი შეზარხოშებული ახალგაზრდა წამოადგა.

ერთი მათგანი ქუთაისელი ჭიჭიკო იოსელიანი, თავის დასთან და მეგობართან ერთად, რამდენიმე დღე დაეძებდა გივი ვარკაციშვილს და აგერ, მიაგნო კიდეც.

ჭიჭიკოს ღვიძლი და აფროდიტა თბილისში სწავლობდა, სტომატოლოგიური ინსტიტუტის უკანსკნელ კურსზე და ამავე დროს გივი ვარკაციშვილის ერთ-ერთ საცოლედ ითვლებოდა.

ჭიჭიკო იოსელიანი ერთი კვირის წინ სპეციალურად ჩამოვიდა ქუთაისიდან სასიძოს სანახავად. ჩამოვიდა და, სასიძოს ისეთი ქეიფი გაუმართა, რომ დიდ ქორწილსაც არ ჩამოუვარდებოდა. პირობაც დადეს და მეორე დღეს ჭიჭიკო და გივი ქუთაისში უნდა გამგზავრებულიყვნენ. აფროდიტას მშობლებს სასიძოს ჩამოსვლა დიდი წვეულებით უნდა აღენიშნათ... სასიძო თბილისში დიდი კაცის შვილია და აბა, ქუთაისელებო, სირცხვილი არ ვჭამოთ და ქუთაისურად დავხვდეთო. მაგრამ ვაი სირცხვილო! ყველაფერი ჩაიშალა, არც სასიძო ჩანდა და არც სპეციალურად გაგზავნილ ჭიჭიკოსაგან ისმოდა რამე.

— ძლივს არ მოგაგენი, ჩემო ამშენებელო სასიძოვ? სამი დღე სანთლით დაგეძებთ და შენ კი ამ ფარშევანგთან ატარებ

დროს? — ჭიჭიკომ ისე გადახედა მერის, თითქოს ჩაყლაპვას უპირებსო.

მერი სირცხვილისაგან დაიწვა, სახეზე ალმური მოედო, დაიბნა, და მთელი სხეული აუკანკალდა. გივი ვარკაციშვილი. ხაფანგში გამომწყვდეულ თაგვს დაემსგავსა, სკამზე ისე აწრიალდა, თითქოს ნემსებზე იჯდაო და არ იცოდა თვალები საით მიეპყრო.

უხერხული მდგომარეობიდან ისინი ისევ ჭიჭიკომ გამოიყვანა.

— თქვენთან ბოდიშს ვიხდი, — თავაზიანად მიმართა ჭიჭიკომ მერის და გივის გადახედა, — ამ ვაუბატონთან პატარა საქმე მაქვს და ერთი წუთით დაგტოვებთ. — წამობრძანდი! — ბრძანების კილოთი უთხრა ჭიჭიკომ გივის. ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

მეორე დღეს გივი ვარკაციშვილის ნაცნობ-მეგობრებში ხმა დაირხა: წუხელის ფუნიკულიორის პლატოზე ვიღაცას გივი ვარკაციშვილი მაგრად მიუბეგვავსო. გივის მიბეგვის მიზეზი იცოდა მხოლოდ მერიმ. ქალიშვილს გულში ლახვარივით მოხვდა გივის თვალთმაქცობა. მერიმ მტკიცედ გადაწყვიტა თბილისში არ დარჩენილიყო და უკვე გასამგზავრებლად ემზადებოდა.

* * *

— რა კაცი ხარ, მითხარი! რით მოგაქვს თავი? თანამდებობით? რა ჭირად მინდა შენი თანამდებობა, თუ საკუთარ შვილს არაფერში გამოადევები. ასეთი უზარმაზარი ტრესტის მმართველი ხარ, ასობით თანაშრომელი თვალებში შემოგცქერის, შენი ერთი თითის გაქნევაზე ათობით სპეციალისტი ჯარასავით ტრიალებს, ყველა გიცნობს, რამდენი ქალი შურის თვალით მიყურებს — დიდი კაცის ცოლი ხარო. ასეთი პატარა საქმე ვერ გააკეთე?! განაწილების გარეშე მაინც დავტოვებდი. ეს ვერ მოახერხე ამხელა კაცმა? რა უნდა ჩემს მერიკოს სოფელში? სად გზავნი თუ იცი. კაცო, სად?

— სოფელში სამუშაოდ, ერმონია!

— ელიზბარ! — აუწია ხმას ერმონიამ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ერმონიას უმწეო ადამიანის იერმა გადაჰკრა და სასოწარკვეთით წარმოთქვა:

— არა, ამას ვერ გავუძლებ, იცოდე, თავს მოვიკლავ, ელიზბარ!

— ოღონდ შენ მაგას იზამდე, და მაღარიჩი ჩემზე იყოს,— ხუმრობის კილოთი, მაგრამ მაინც გაჯავრებით მიახალა ელიზბარმა.

— კი იზამ, ერთადერთი ქალიშვილი არ დაინდე და მე შემიბრალებ?

— ენას კბილი დააჭირე, ქალო, გეყოფა ამდენი!..

ცოლმა კარგად იცოდა ქმრის ხასიათი და, როცა შეატყო, მოთმინების სადავეები ჯერ კიდევ მაგრად უკავია ხელშიო, ფრთხილად, მაგრამ მაინც მისთვის ჩვეულ შეტევაზე გადავიდა.

— მართლაც მეყოფა დამცირება. ენას კბილს დავაჭერ კი არა, ქადაგად დავევარდები, თუ არ შეგრცხვება ყველამ გაიგოს შენი ვაჟკაცობა, საკუთარ ქალიშვილს კერ გამოადეკი და ქვეყანას გამოადგები? დედა, დედა, სად გამოვყო თავი! — მოთქმით გაბა ერმონიამ, — რა ვუყო ჩვენს სიამაყეს, ერთადერთ ქალიშვილს, ავ თვალს რომ არ დაენახვება ისეთ ქალიშვილს!

— „თბილისის მარგალიტს“, — დაცინვით დაუმატა ქმარმა ცოლის ტრაბახს.

— დიახაც, რომ ასეა, — ამაყად და თან კაპასად უთხრა ერმონიამ და სავსე ლოყები აუჭარხლდა.

— „დედაქალაქის ქალიშვილების დედოფალს“, — გამომწვევად განაგრძო ელიზბარმა და ისე მოქაჩა ახლადმოკიდებული პაპიროსი, რომ ნახევრამდე დაიყვანა.

— ტყუილია თუ?! ჩემი მერი რუსთაველის ან პლეხანოვის პროსპექტზე რომ გამოჩნდებოდა, ყველას ენაზე ეკერა. — რა დედამ შობა ასეთი მარგალიტიო... გვირგვინი აკლია თორემ ნამდვილი თამარ მეფეაო... და შენ ასეთ ქალიშვილს, ისიც ექიმის დიპლომიანს, სოფელში უკარი თავი?! ვაიმე, რატომ გათენდა ის დღე, შენ რომ ცოლად გამოგყევი.

— შაბათი იყო ის მართლაც დასაქცევი! — წამოიძახა გულმოსულმა ელიზბარმა, მაგრამ იმ წამსვე მოლბა. არ უნდოდა

ქალიშვილი, ისიც გამგზავრების წინ, უსიამოვნო კინკლაობის შორმე გამხდარიყო და ცოლს ალერსიანი ხმით მიუბრუნდა:

— არა, ჩემო ერმონია, იმ დღის შემდეგ შაბათი საკუთარ თავზე უფრო შემიყვარდა.

— შენ კიდევ ხუმრობის ხასიათზე ხარ? — იწყინა ერმონიამ.

— აბა, სატირალი რა გვაქვს, ჩემო გულისგამხარებელო!

— ელიზბარ! — ისევ აუწია ხმას ერმონიამ.

— ერმონია, კმარა-მეთქი! — წამოიძახა უკვე მოთმინებიდან გამოსულმა ელიზბარმა, პაპიროსის ნამწვი საფერფლეს დაასრისა და სახეზე ალმურმოდებული გავარდა სამუშაო ოთახში, რომელსაც თავმომწონე ერმონია კაბინეტს ეძახდა.

ახლა ერმონია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მერის კამგზავრობა გადაწყვეტილია და ამას ვერავინ შეცვლის. ბილეთი უკვე საყიდი იყო. მატარებელი ორ საათში გადიოდა. გულჩათრობილ მერის თავის ოთახში ჩემოდნები დაეწყო მაგიდაზე და შიგ ტანსაცმელს ალაგებდა. შინამოსამსახურე ქალი მარუსია, რომელიც ბაზარში გასლდათ მერისათვის სამგზავრო სურსათის საყიდლად, ჯერ კიდევ არ ჩანდა. როცა ზარის რეკვა ატყდა, ერმონია მისვდა, მარუსია რომ არ იქნებოდა, მას ბინის გასაღები თან ჰქონდა. ალბათ სტუმრები მოვიდნენო, ეს გაიფიქრა და თანამოაზრის მონახვის სურვილით სავსე კარებისაკენ გაექანა. ერმონია არ მოტყუებულა, როგორც კი გაიღო კარები, ჟივილ-ხივილით შემოცვივდნენ მერის მეგობარი ქალიშვილები — ნინელი, მეგი და ჟანეტა.

ნინელი ამერიკული მოდების ჟურნალიდან გადმომხტარ მანეკენს ჰგავდა ბუნების ნაჩუქარი წარბები სამართებლით გადაეპარსა და ფანქრით დახატული ორი წვრილი ხაზი სისხლგამოცლილ წურბლებივით გადაჰკროდა თვალებს ზემოთ, თმა ბიჭივით შეეკრიჭა (ჩიკაგოში ქალები ახლა ასე დადიანო), ტუჩებზე იისფერი პომადა წაეცხო. ნიანგის ტყავისაგან შეკერილი ტუფლების მაკარონის სიმსხო ქუსლებზე შემდგარიყო და ნეილონით გაწყობილ ფარჩის კაბაში ჩაცმული რაღაც უცხო ფრინველს ჰგავდა. მეგი შედარებით უფრო სადად და ბუნებრივად გამოიყურებოდა. მაგრამ ჟანეტა, ნინელის მსგავსად (უფრო მეტი თუ არა), პრეტენციოზულად მორთულიყო. მშობლების მიერ ფარცხანაყანევიდან გამოგზავნილი ოფლით ნა-

შოვი ფული ჟუჟუნას, თბილისში ჟანეტად გადაქცეულს და ამჟამად ექიმის დიპლომით აღჭურვილ ქალიშვილს, ჩაცმა-დახურვაში ეხარჯებოდა.

მერის მეგობრების დანახვაზე ერმონია ოდნავ გამხიარულდა.

— კი, მაგრამ მერი სადღაა, ქალბატონო ერმონია? — იკითხა ნინელიმ.

— გასამგზავრებლად ემზადება, ჩემო ნინელი, ტანსაცმელს ალაგებს ჩემოდნებში, — უპასუხა ერმონიამ და ქალიშვილებს სასტუმრო ოთახში შეუძღვა.

— როგორ? ორ საათში მატარებელი გავა, ჩვენი ბიჭები უკვე სადგურში წავიდნენ გასაცილებლად და მერი ჯერ კიდევ არაა მზად?

— ღმერთმანი, უდივიტელნო!

— თუ მიდის, უკვე მზად უნდა იყოს, თუ არ მიდის, რას ვგვაფორიაქა? — ზედიზედ მიაყარეს ერმონიას მერის მეგობრებმა. ნინელი სამჯერ შემოტრიალდა ტრიუმოს წინ და საკუთარი თავით კმაყოფილმა სამძიმრის ტონით მიმართა ერმონიას:

— საცოდავი მერი, ბედნიაჟკა. ნავერნოე რასტერიალას... — ასეთ მდგომარეობაში ჩვენი მერიკო კი არა, ვაჟკაცი დაიბნეოდა.

— რატომ უნდა დაბნეულიყო... რაც არ უნდა იყოს, იქაც ხალხია, იქაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, — მიუგო მეგიმ და ალბომს დაუწყო თვალიერება.

— რას ამბობს, ბოშო, — დაიწყო ჟანეტამ, რომელსაც ნაცნობი ვაჟები „ფარცხანაყანევის მადონას“ ეძახდნენ, — დაბადებიდან დღემდე ობილისი და უცებ — სოფელი, შუტკალი!

— შუტკა კი არა, ტანში დენივით დამიარს ხოლმე, როცა წარმოვიდგენ მერიკოს მდგომარეობას. ჟანეტა.—მიმართა ნინელიმ, რომელიც იმ წუთში სახელდახელოდ წამწამებს იღებავდა, — მამაშენს რომ შენთვის ექნა ასეთი რამ, რას იზამდი?

— რას ამბობ, ბოშო, ქვეყანას ავიკლებდი.

— ნეუჟელი ვერაფერი ვერ მოახერხა ბატონმა ელიზბარმა?—ისევ წამოიწყო ნინელიმ, — ავტორიტეტული, ყველგან

მიღებული პიროვნებაა და არ გაუჭირდებოდა. ასე როგორ გაიმეტა საკუთარი ქალიშვილი?!

გულდათუთქული ერმონია თვალცრემლიანი გავიდა ელიზბართან, ქალიშვილებს მორის უჩვეული სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ამ დროს მერი შემოვიდა, ხელში რამდენიმე კაბა ეჭირა და ნაძალადევი ღიმილით გადახედა მეგობრებს, რომლებიც ხმაურით შემოეხვივნენ, ზედიზედ გადაკოცნეს და სხაპასხუპით მიაყარეს:

— კაკ ტი სებია ჩუესტვუეშ, დარაგაია?

— ნაეერნოე ვალნუეშსია, გენაცვალე.

— აბა, დაწყნარებულ გუნებაზე იქნება, ბოშო? ხუმრობა საქმე ხომ არ არის — აჭარაში ქალიშვილი კი არა, მამაკაცი ვერ გაძლებს.

— ცდებით, მეგობრებო, აჭარა მშვენიერი კუთხეა და იქ ისეთივე ხალხია, როგორიც ყველგან საქართველოში, — შეუსწორა თავის მეგობრებს მერიმ.

— ისე გამოდის, სიამოვნებით მიდიხარ? — გაკვირვებით შეეკითხა ნინელი.

— სიამოვნების რა გითხრა და ისე კი, რას იზამ, მივდივარ.

— ეს კაბები თან მიგაქვს?

— შენმა ტუალეტმა, ბოშო, — დაუმატა ნინელის შეკითხვას მერის კაბებით მოსიბლულმა ჟანეტამ, — თბილისი აალაპარაკა და იქ ხომ მთლად ჭკუაზე შეიშლებიან.

— საშა პარტნოის შეკერილი იქ უნდა გააფუჭო?!

— ტანსაცმელი ყველა მიგაქვს? — ზედიზედ ეკითხებოდნენ მერის მისი აფორიაქებული მეგობრები.

— შენი წასვლის შემდეგ ბურთი და მოედანი, ალბათ, ვენერა ბუცხრიკიძეს და მადონა ნაჭყებიას დარჩებათ, — განაგრძო ნინელიმ — ტი სებე პრედსტავლიაეშ, ამას წინათ თურმე რიგაში ყოფილან და ისეთი ამერიკანსკი შუბები და ისეთი ნაილონის კოფტები შეუძენიათ და ისეთი კაბები შეუკერავთ, რომ პრიამო პრელესტ!..

— რას ამბობ, ბოშო, — დაიწყო ჟანეტამ, — მადონა ნაჭყებია და ვენერა ბუცხრიკიძე რა საბსენებელია, როცა მედიკო ყანჩაველმა და გაიანე საკოვამ მთელი თბილისი აალაპარაკეს..

— კი, მართალია. — დაეთანხმა ნინელი, — წუხელ ოპერაში ბრძანდებოდნენ, ანტრაქტის დროს ფოიეში თურმე ფარშავანგებივით გამოეფინენ.

— ისეთი ვენგერკები ეცვათ, — მიეშველა მეგი, — და ისეთი ჩეხოსლოვაკი სამკაულებით მორთულან, რომე ავ თვალს არ დაენახვება.

* * *

მოულოდნელად ირაკლი ვარკაციშვილის ოჯახზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ირაკლი ვარკაციშვილი ცნობილი სპეციალისტი და დიდი თანამდებობის პირი გახლდათ. მისი ერთადერთი ვაჟიშვილი გივი ერთ დროს მერის საქმროდ ითვლებოდა, მაგრამ ბოლო ხანს მათ შორის, როგორც იტყვიან, შავმა კატამ გაირბინა. მეგობრებად მაინც დარჩნენ... ხუმრობა საქმე ხომ არ არის პირველი კურსიდან მოყოლებული ინსტიტუტის დამთავრებამდე მუდამ ერთად იყვნენ — მათი ახლომეგობრული ურთიერთობა ყველასათვის ცნობილი იყო და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მათ ქორწილს ელოდა ნათესავი, ნაცნობი თუ მეგობარი. ერთი თვის წინათ მერის ვიღაცამ ჩაუჩურჩულა, გივი ძლიერ გართულია, ვიღაც სხვა უყვარს და ეს „სხვა“ მერიმ საკუთარი თვალებით დაინახა გივის გვერდით. გივი თუმცა თავს იმართლებდა, მაგრამ მერის აღარ სჯეროდა. მან კარგად იცოდა გივის ხასიათი — დროს ტარება და ქალები ქვეყანას ერჩია. ერმონიას ძლიერ მოსწონდა გივი ვარკაციშვილი და იგი მის სანატრელ სასიძოდ გადაიქცა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მერისა და გივის შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

მერი რომ გაჰყოლოდა გივი ვარკაციშვილს, მაშინ მას არ გაგზავნიდნენ რაიონში სამუშაოდ, მაგრამ ერმონიასათვის, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. გივი თბილისში დარჩა, მერი კი რაიონში გაანაწილეს. გივის მამამ „მოახერხა“ და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გივი განაწილების გარეშე დატოვეს. „მშვენივრად მოეწყო“, სამსახურში კი არა, არამედ, როგორც გივის მეგობრები იტყოდნენ — „საერთოდ ცხოვრებაში“. თქვენ ქალბატონ ერმონიასათვის გეკითხათ „სად მოეწყო გივი“, ან „რას აკეთებსო“, ერმონია გაკვირვებით შემოგხედავდათ და ასე გიპასუხებდათ: „რა უნდა გააკეთოს? უბრალო სა-

მსახურს ხომ არ შეაკლავს თავს? ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ადამიანს რაში სჭირდება საავადმყოფოში ან პოლიკლინიკაში მუშაობა? საამისოდ დროც არ ყოფნის. ექიმის სახელი ხომ აქვს, თავი რისთვის უნდა შეიწუხოს? მე თქვენ გეტყვით, ქონება აკლია, სიტყვა-პასუხი არ უყვარდა, მანერა. ცოდნა, მისვრა-მოსვრა, მოყვანილობა, გემოვნება, თუ რა? მართლაც რომ პირველი სასიძოა მთელ თბილისში".

იმ სანებში თვითონ ირაკლი ვარკაციშვილი საზღვარგარეთის მივლინებიდან დაბრუნდა, ჩვენი ნაცნობი ქალიშვილებისათვის რომ მოგესმინათ, აი რას გაიგონებდით:

— ირაკლი ვარკაციშვილი დაბრუნებულა საზღვარგარეთიდან. იმდენი და ისეთი რამეები ჩამოუტანია, რომ თვალებს მოგჭრის.

— ირაკლის სანაქებო ვაჟი, გივი ვარკაციშვილი, ახლა პირდაპირ ამერიკული მოდების ჟურნალის ყდაზე დახატული დენდი გეგონება.

— მთელი თბილისის ახალგაზრდებს მატი ვაუკეთა...

— რაო, — ცბიერად შეეკითხა ჟანეტა მერის, — არ გაცილებს?

— არ მჭირდება, — ამაყად უპასუხა მერიმ.

— ნუთუ თქვენს შორის ყველაფერი გათავდა?

— დიახ, თითქმის ყველაფერი, — უთხრა მერიმ და მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ნახევარ საათში სადგურზე უნდა ყოფილიყო.

— ვაიმე, ისე გავერთე თქვენთან საუბარში, რომ კინაღამ ყველაფერი დამავიწყდა, — მერი სწრაფად გავიდა თავის ოთახში, ნინელიმ ცბიერად ამოიოხრა, თითქოს ნაღვლიანი თვალებით გადახედა მეგობრებს და მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წამოსცდა.

— საცოდავი.

— მერი? — იკითხა მეგიმ.

— არა, ჟანა დარკი, — დამცინავად მიუგო ნინელიმ.

— რა უგავს საცოდავს? — გაიკვირვა მეგიმ.

— ბოშო, ქალიშვილს სადღაც დაკარგულში გზავნიან და აბა, ბედნიერი იქნება?

— იცით, რას გეტყვით! — დაიწყო ჟანეტას სიტყვებით

უკმაყოფილო მეგიმ, მაგრამ მაშინვე შეცვალა სიტყვების ტონი და შინაარსი, — თუმცა რა უნდა გითხრათ, მართლაც ძნელია, თორემ რა მინდა თბილისში.

— თავი ძლივს დააღწიე განაწილებას და ახლა ამბობ ასე?!

— ხელში ექიმის დიპლომით... ნინელის მსგავსად, ტრესტის მმართველის პირად მდივნად ხომ არ დავიწყებ მუშაობას? — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მეგიმ.

ნინელი თითქოს ახლა მიხვდა, რა მდგომარეობაშიც იყო. გაბრაზებული წამოხტა სავარძლიდან და კაპასად წამოიძახა:

— რა ჯანდაბა მინდოდა საექიმოზე რომ შევედი, გინახავს ასეთი? გსურს თუ არა გსურს, მაინცდამაინც რაიონში წადი სამუშაოდო.

— მერი ხომ მიდის?

მეგის ამ სიტყვებს კვლავ გაკაპასებით უპასუხა ნინელიმ:

— მალე ვნახავ მაგ შენს მერის ფეხშიშველი რომ გამორბოდეს იქიდან. ამოდენა ქალაქი ეპატარავებოდა და სოფელში გაგიჩერდება?

— რა ვიცი, მაგრად კია და. — თითქოს აღიზიანებსო, ისე მიუგო მეგიმ.

— ჩვენს დასანახავად სხვაგვარად ხომ არ მოიქცეოდა, თვალთმაქცობს...

ჟანეტას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს სასტუმრო ოთახში სამგზავროდ გამზადებული მერი შემოვიდა ელიზბარისა და ერმონიას თანხლებით. ელიზბარი ქალიშვილებს ღიმილით მიესალმა.

— აბა, ქალიშვილებო, უკვე დროა!

— ვაი ამ დროს! — აწუწუნდა ერმონია.

— ნუ წუწუნებ, ქალო, შენს ქალიშვილს ტირილით ნუ ამგზავრებ! მერი ცოტა ხანს რაიონში წაიმუშავებს, დახელოვნდება და შემდეგ ვნახოთ, თუ კარგად გამოიჩინა თავი, ისევ თბილისში გადმოიყვანენ! — უთხრა ცოლს ელიზბარმა.

— ვის უწევ აგიტაციას?! — იუკადრისა ერმონიამ მეუღლის სიტყვები, — თუ დახელოვნებაა მიზეზი, — რაიონში რა უნდა, აქ მოგეწყო... განა თბილისში უფრო უკეთესად არ აიმაღლებდა კვალიფიკაციას?

ამ დროს ავტომანქანის საყვირის ხმა მოისმა.

— მანქანა მოვიდა, წავიდეთ! — ამ სიტყვებთან ერთად ელიზბარმა მერის ჩემოდნებს წამოავლო ხელი, მაგრამ ახლად შემოსულმა მოსამსახურე ქალმა არ დაანება. აბასობაში შოფერიც ამოვიდა და მერის ბარგი გაიტანეს. მერი კარებთან ქანდაკებასავით იდგა, შემდეგ ნაღვლიანად გადახედა ყველას და ტირილი აუვარდა.

— ვაი დედაშენს, შვილო! — ვეღარ გაუძლო ერმონიამ და თავის საყვარელ ქალიშვილს. გამამხნევებელი სიტყვებით მიმართა: მარა ნუ გეშინია, მამაშენივით არ გაგიმეტებ. მთელ ქვეყანას შევეძრავ და ერთ თვეში თბილისში დაგაბრუნებ!

* * *

მერი რბილი ვაგონის კუპეში იჯდა და ნაღვლიანად ემშვიდობებოდა თბილისს. მატარებელი სულ უფრო და უფრო უმატებდა სვლას. ცოტა კიდევ და ფუნიკულიორიც მიიშალა.

— უკაცრავად, რომელ საათზე ჩავალთ ბათუმში? — შეეკითხა მერი თანამგზავრებს.

— ცხრა საათზე, — მიიღო პასუხად.

„ცხრა საათზე“ — უსიტყვოდ გაიმეორა მერიმ და ფიქრებს მიეცა.

იგი ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე. მისთვის ხომ ხვალიდან იწყებოდა ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრება ახალ გარემოში, უცნობ ადამიანთა შორის. ბორბლების მონოტონური გუგუნი ფიქრებს უფრო უღვივებდა. კუპეში ყველას ეძინა. მაგრამ მერი კვლავ ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე. გარეთ ბნელოდა, კუპეში კი ლურჯი სინათლე ენთო...

მატარებელი სწრაფად მიაპობდა სივრცეს...

* * *

აჭარისწყლის ხეობაში თვალწარმტაცად გადაჭიმულა სოფელი ნამუხარი. ოღესღაც აობრებულ და გავერანებულ სოფელს ახლა აყვავებული კარ-მიდამოები, ხილის ბაღები, თამბაქოს პლანტაციები და ვენახები ამშვენებდა.

გასცდებოდით თუ არა კოლმეურნეობის კანტორას, პირ-

ველი მოსახლის, ორმოცდაათ წელს მიღწეული კოლმეურნის ჯემალ გორგილაძის კარ-მიდამო შემოგხვდებოდათ.

გორგილაძის ეზოში ორი სახლი იდგა: ერთი ძველი და შეფერთხილი, მეორე კი ახალი და ლაზათიანი.

ახალი სახლი უკვე მზად იყო და ჯემალის ოჯახი დღე-დღეზე აპირებდა გადასვლას.

ძველი სახლის ძალზე შელახულ აივანზე ჯემალი იდგა. ხელში მაჭახელა ეჭირა, შორს იცქირებოდა და დროგამოშვებით თოფს ესაუბრებოდა.

— შვიდჯერ მიღალატე... ახლა მაინც გამიმართლე იმედი, ჩემო ძველო მეგობარო... შენი ჭექა-ქუსილით უნდა ვამცნო მთელ დუნიას ვაჟიშვილის დაბადება.

ეზოში შემოსული ახმედ ღუტკარაძე აივანთან შეჩერდა და გაკვირვებით შეაცქერდა მასპინძელს,

— ჯემალს გაუმარჯოს! ეზოში ნადირობ თუ თოფს სინჯავ, ჯემალ?

— ღმერთმა გამარჯვება ხუ მოგაკლოს, ჩემო ახმედ! რა დროს ნადირობაა! ქალი უნდა მოლოგინდეს, გათენებისას საავადმყოფოში წაიყვანეს და ყოველ წუთს მახაროპელს ველი.

— რახან ასეა, მეც დავიცდი... მეც პირველი მოგილოცავ შვილის შეძენას.

შვიდი შვილის მამა იყო ჯემალი, თუმცა შვიდში ერთიც არ გამორეოდა ვაჟიშვილი. „ალბათ, ახლა მაინც არ გამწირავს ღმერთი და ჩემს ოჯახს ვაჟი შეემატებაო", — ფიქრობდა იგი.

— ჰეი, ჩემო ახმედ, შენ რა გიჭირს, ბედნიერი კაცი ხარ, — სამი შვილის მამა ბრძანდები და სამივე ვაჟიშვილია. რა ისმის ასლანისაგან, ხომ არაფერი მიგიღია?

— მომილოცე, ჯემალ, წერილი მივიღე. მალე ჩამოვალო. ოთხი წელიწადი გერმანიის ჩიუბში იყო. ათი კიდევ იმსახურა და ახლა მაიორია.

— საიდან უნდა ჩამოვიდეს?

— ბერლინიდან, იქ მსახურობდა.

— მალე ჩამოვა, შენი ასლანი და... ეე, შენ რა გიჭირს, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული. მე ვიკითხო, ოჯახი ქალებით რომ ამევსო... ვაი ჩემს ბედს, ახლაც თუ ქალიშვილი შემეძინა!

— შენი თინათინი ხუთ ვაჟკაცს ჯობია. მარტო ჩვენი სოფ-
ლის კი არა, მთელი რაიონის სიამაყეა.

— მართალი ხარ, მაგრამ მაინც ქალიშვილია. ვაჟი სულ
სხვაა, ჩემო ახმედ!

— ვის რა აწუხებს, ჩემო ჯემალ, აი, მე ქალიშვილი მენა-
ტრება.

ჯემალ გორგილაძის უფროსი ქალიშვილი თინათინი, რო-
გორც იტყვიან, მთელი სოფლის თვალი იყო. ერთი კვირის
წინ წარჩინებით დაამთავრა ნამუხარის საშუალო სკოლა და
აქტიურ კოლმეურნეობაც ითვლებოდა. შრომაში ბადალი არ
ჰყავდა. თინათინის მოსწავლე ახალგაზრდობის რგოლი მუდამ
მოწინავე იყო. და თუ ჯემალ გორგილაძემ ახალი მშვენიერი
ოდა წამოჭიმა ეზოში, ამაში თინათინს ცოტა წვლილი როდი
ჰქონდა.

თინათინისათვის ეს ზაფხული ყველაზე უფრო მნიშვნე-
ლოვანი და საინტერესო გამოდგა! უკვე საშუალო ცოდნით
იდგა დიდსა და ფართო გზაზე. ამ გზაზე ვინ იცის რა მოელო-
და: გათხოვება, უმაღლესი სასწავლებელი,მუშაობა მშობლი-
ურ კოლმეურნეობაში თუ სხვა რამ.

თინათინი უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე ლამაზი. მას
არც გრძელი ნაწნავები ჰქონდა, არც მშვილდივით გადაჭიმუ-
ლი წარბები და გრძელი წამწამები; თვალები მაყვალს არ მი-
უგავდა, არც ატმისფერი ლოყები, ლერწამივით ტანი, ბროლის
თითები და მარგალიტის კბილები ამშვენებდა, მაგრამ მაინც
ყველას მოსწონდა. იმდენი ეშხი და ლაზათი ჩანდა მის გარე-
გნ[illegible] და ქცევაში, რომ ნამუხარის ახალგაზრდობას თინა-
თინ[illegible] ლამაზი ქვეყნად არავინ ეგულებოდა.

ამიტომ იყო, რომ რამაზ კონცელიძეს ძილი დაუფრთხო
თინ[illegible]ა. იგი ნამუხარის ღვინის ქარხნის დირექტორი ვახლ-
დათ გარეგნობით ფრიად წარმოსადეგი, მდგომარეობით და
დოვლათით თითქმის ყველა გასათხოვარი ქალიშვილისათვის
სასურველი და სანატრელი, რამაზი პირველ სასიძოდ ითვლე-
ბ[illegible] არათუ ნამუხარში, არამედ მთელ რაიონში და მაინც თი-
ნ[illegible]ს გული ვერ მოინადირა. თინათინს რამაზი მოსწონდა,
[illegible]მ დევაძე კი თითქმის უყვარდა. ნადიმი შორს იყო,

თბილისს გაიწვიეს ჩაის საკრეფი მანქანის გამომგზავნელთა ბრიგადაში და უკვე ერთი წელიწადი იქნებოდა ნამუსარში არავის უნახავს.

* * *

ჯემალსა და ახმედს ავტომანქანების საყვირის ხმა მოესმათ. უეცარ გაიფიქრეს, მახარობლები თუ მოდიანო

— ღმერთო, ბომხედე, ახლა მაინც მაღარსე ვაჟიშვილი!

ეს სიტყვები ისეთი ვედრებით წარმოთქვა ჯემალმა, ახმედი რომ ღმერთად ქცეულიყო, უეჭველად შეუსრულებდა ნატვრას.

კოლმეურნეობის სატვირთო მანქანა, რამაზ კონცელიძის „პობედა“ და ნამუხარის კოლმეურნეობის ბუღალტრის ილიკო ცენტერაძის „მოსკვიჩი“ ჯემალ გორგილაძის ეზოშიგან ადგა. ეზოში ერიამულით შემოკავებულნენ ასალგაზრდები, მათ შორის რამაზი, ილიკო ცენტერაძე და თინათინი.

— მამა, მამიკო! მომილოცავს, მომილოცავს... — გაიძახოდა თინათინი და ჯემალისაკენ მორბოდა.

— არ ამოხვიდე, მაქედან მითხარი — ბიუია თუ გოგო!

— გოგოა, მამიკო, გოგო!

გახარებული თინათინი აივანზე აიჭრა, მამას გადაეხვია, მაგრამ იგი დაღვრემილი უცქერდა ძირს დაშვებულ თოფს.

— ვინ გამოგეგზავნა ასეთი უბედო... რვაჯერ მილალატე... ესაა შენი სინდისი? ტფუ!

ჯემალმა თოფის გადაგდება დააპირა, მაგრამ თინათინმა არ დაანება.

— გაისროლე მამიკო! რატომ არ გემეტება? გაისროლე ჩვენი ნათელას სახელზე!

თინათინმა თვითონ დააპირა თოფის სროლა, მაგრამ ჯემალმა ხელიდან გამოსტაცა და კუთხეში მიაგდო.

— რა დაგემართა, ჯემალ ბიძია, — მაამებლურად შიმართა რამაზმა, — რუსთაველმა თქვა: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო...

— ნუ ტლიკინობ, ბიჭო, რუსთაველი კი არა, მტერი არ უსურვებს კაცს რვა ქალიშვილს! — მკვახედ უპასუხა ჯემალმა, მაგრამ მაინც მოღიმარი თვალებით გადახედა.

— სამაგიეროდ რვა სიძე გეყოლებათ, — გაუთამამდა რამაზი და ისეთი თვალებით მიაცქერდა თინათინის მამას, როგორც მონადირე მსხვერპლს, გაება თუ არა მახეში.

— იქნებ შენ ხარ ერთი მათგანი?

— თუ მიკადრებთ...

— დირექტორ კაცს ვინ არ იკადრებს, ბიჭო? — უცებ წამოცდა ჯემალს, მაგრამ არ დანანებია, იგი თანაუგრძნობდა რამაზს.

— მაშ, მოიტა ხელი! — უმალვე წამოიძახა გახარებულმა რამაზმა და ჯემალთან აირბინა, მადლობისა და დასტურის ნიშნად ხელი ჩამოართვა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მისი თვალები შიშსაც გამოსატავდნენ, თითქოს ამბობდნენ უარი არ თქვათ, არ დამკლათ კაციო და სწორედ ამ დროს თინათინის სიტყვები შემოესმა:

— ვის თხოულობ, რამაზ?

— საკითხავია? — ხმამაღლა წამოიძახა რამაზმა.

— არა, საკვირველი, — წყნარად უპასუხა თინათინმა

რამაზს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ბედნიერების ბურანში ღრმად შეპრილი ოდნავ გამოფხიზლდა და ისე ჰკითხა თინათინს, გეგონებოდათ ჩიტი ხელში ჰყავს და ეშინია არ გაუფრინდესო.

— მამაშენმა რომ თანხმობა მომცეს. შენ წინააღმდეგი იქნები?

— მარტო მამაჩემის თანხმობით ჩიტს ვერ დაიჭერ, რამაზ!

ამ სიტყვებმა რამაზი საკსებით გამოაფხიზლა და თინათინს ამაყად უპასუხა:

— ოღონდ გალია იყოს და ჩიტი ვერსად გამიფრინდება.

— ცუდი მონადირე ყოფილხარ! ჯერ ჩიტი არ დაგიჭერია, გალიას კი ეძებ.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. რამაზმა იგრძნო, რომ ცუდი დრო შეარჩია გულის ნადების გასამხელად. სიტყვები ვეღარ მონახა და ნაძალადევი ღიმილით გადახედა მამა-შვილს. აივნიდან ჩამოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო და ორიოდე წუთის წინათაც არ ენახოს იგი.

— ო, ცენტერაძეს გაუმარჯოს! როგორ ხარ ილიკო?

— არა მიშავს, შენ კარგი პაპიროსი იცი, მომაწოდე!

ცენტერაძე ცნობილი იყო, როგორც სხვისი პაპიროსის მოყვარული და რამაზმაც ამპარტავნად მიაწოდა ოქროს მონოგრამებით მოოქვილი ვერცხლის პორტსიგარი.

ცენტერაძემ ორი პაპიროსი აიღო, ერთი ყურსა და საფეთქელს შორის გაირჭო, მეორე მადიანად გააბოლა და ჯემალსა და თინათინს მიუბრუნდა:

— როგორც ვხედავ, ახალი სახლი უკვე დაგიმთავრებიათ კიდეც. პირობაზე როგორ ხართ, თბილისელ ექიმს თქვენთან დააბინავებთ თუ სხვასთან მოვაწყოთ? ამბობენ დღეს ჩამოვაო!

— რასაკვირველია, ჩვენთან... სიტყვა სიტყვაა, — უპასუხა თინათინმა.

— იცით მერე, რა ოჯახის შვილია? — განაგრძო ცენტერაძემ, — მამამისი თურმე მთავრობისსელა კაცია... მთელი თბილისი იცნობს, ჩვენი რაიფინგანის ყოფილი გამგე მათი რაღაც ნათესავი ყოფილა. მეც ვიცნობ.

ჯემალი აივნიდან ჩამოვიდა და ჭიშკრისაკენ გაეშურა.

— სად მიხვალ, მამა? — შეეკითხა თინათინი.

— საავადმყოფოში. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ჯემალმა.

— შენი ჭირიმე. ჩემო მამიკო! — თინათინმა სიყვარულით შემოხვია ხელები მამას და ჭიშკრამდე მიაცილა.

— ჩვენც მოვდივართ! — ერთხმად წამოიძახა ყველამ და ავტომანქანას მიაშურეს. რამაზმა ჯემალი ცენტერაძესთან ერთად თავის მანქანაში ჩასვა, თვითონ კი თინათინთან დარჩა.

თინათინი კარგად ხედავდა, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა რამაზი, მაგრამ არც თვითონ გრძნობდა უკეთ თავს. მას არ შეეძლო რამაზისათვის არც უარი ეთქვა და არც თანხმობა. ამის მიზეზი ნადიმი იყო. ნადიმი მუდამ თვალწინ ედგა თინათინს, თუმცა წავიდა და მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოიწერა ბარათი, ისიც უფრო საქმიანი, ვიდრე ახალგაზრდა ადამიანის გულისნადების გამმხელი. თინათინისათვის ცხადი იყო, ნადიმს მოსწონდა, ნამუსარში ყოფნისას მუდამ გულთბილად ეპყრობოდა, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა და განა ამას ისე, უგრძნობოდ აკეთებდა? არა, თინათინს სწამდა, რომ ნადიმისათვის ის და

სხვა ვინმე სულერთი არ იყო. რამაზი? რამაზს ?ართალია, აშ-კარად უყვარდა თინათინი და, როგორც ყოველ ქალს, ეს სია-მოვნებას ჰგვრიდა თინათინს, მაგრამ გულით ვერ გადაეწყვი-ტა პასუხი.:. თითქოს ორ ცეცხლში მომწყვდეული იცდიდა, ვნახოთ, დრო რას გვიჩვენებსო.

— რამაზ, — დაარღვია სიჩუმე თინათინმა, — ვგრძნობ, გეწყინა ჩემი ნათქვამი, მაგრამ რა ვქნა, სული წინ გისწრებს, ჩქარი ხარ, რამაზ!

— როგორ არ ვიჩქარო!.. როდემდის ვიცადო? საშუალო უკვე დაამთავრე... დღეს სიმწიფის ატესტატი მანახე, ალბათ ამ დღეებში ამხანაგებთან ერთად ბათუმისაკენ ან თბილისისა-კენ გასწევ უმაღლესში შესასვლელად და კიდევ ვიცადო? — უკმაყოფილოდ თქვა რამაზმა.

— არა, რამაზ, მე არსად არ მივდივარ..; განა ჩვენს სოფე-ლში ცოტა საქმეა?

რამაზს ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ როცა დარწმუნდა, თინათინმა ეს სერიოზულად თქვაო, სახე აუთამაშდა გაკვირვე-ბისაგან.

— რაო?! ყველაზე კარგად შენ დაამთავრე და უმაღლეს-ში სწავლა არ გინდა?!

— მინდა! — ბავშვური ღიმილით უპასუხა თინათინმა.

— ესე იგი, წახვალ.

— არა.

— გადამრევ, — წამოიძახა რამაზმა და სიბრაზისაგან ისე იტკიცა ხელი შუბლზე, რომ შუბლიც ეტკინა და ხელიც.

— ნასვამი ხომ არ ხარ, რამაზ?

— კი, ნასვამი ვარ... მთვრალი ვარ სიყვარულით.

— სიყვარულმა კეთილი და ვაჟკაცური საქმეები იცის... შენ კი...

— რაში მატყობ სილაჩრეს?

— სოფელს გაურბი, ქალაქისაკენ გიჭირავს თვალი... სულ მუდამ გაქცევაზე ფიქრობ.

— როგორ, სოფელს შევაბერდე?! ღვინის ქარხნის დირე-ქტორობა კმარა ასეთ დროს?

თინათინმა წარბები შეიკრა და უკმაყოფილოდ მიმართა რამაზს.

— კედლის სურათივით კი არ უნდა უცქირო ქვეყანას. სოფელს უნდა გამოადგე. შენსავით თუ იმსჯელა ყველამ, მალე სოფელში არავინ დარჩება.

— ისევ სოფელი, მთელი რაიონი ლაპარაკობს შენზე, — ჭკვიანი ქალიშვილიაო და ჩამორჩენილი ადამიანივით კი მსჯელობ.

რამაზის სიტყვებმა თინათინი გააღიზიანა.

— ცხოვრებას ჩამორჩენილს სხვაც ჩამორჩენილი ჰგონია! — მკვახედ უპასუხა თინათინმა.

— ისე გამოდის, არ მოგწონვარ! — თავმომწონედ შეეკითხა რამაზი და ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ეუბნებოდა: ერთი შემხედე, რა ბიჭი ვარო, მაგრამ თინათინმა მოკლედ მოუჭრა:

— ძალზე ბევრ რამეში.

რამაზს თითქოს წინდაწინვე მზად ჰქონდა პასუხიო, ისე სწრაფად უპასუხა:

— არ მიკვირს, ასეთი ლამაზი ხარ, მაგრამ ამბობენ, ხშირად სარკეში რომ იხედება, საკუთარი თავიც არ მოწონსო და მე მოგეწონები? თუმცა ვიცი, კარგად ვიცი რამაც გაგაამაყა, გამდიდრდი არა? მაგრამ გავიწყდება, ვინ დგას შენს წინაშე. შენ „მოსკვიჩზე“ ფიქრობ, მე კი „ზიმს“ ვყიდულობ.

ბოლო სიტყვები ისეთი გამომეტყველებით წარმოთქვა რამაზმა, ვითომ უკვე „ზიმში“ იჯდა და იქიდან გადმოსცქეროდა თინათინს.

— რომელი ფულებით? — ცბიერად შეეკითხა თინათინი.

— ფული მხოლოდ სულელსა და მშიშარას არა აქვს.

— მე კი მეგონა — უქნარასა და ზარმაცს.

— იცი შენ, რა თქვა ჭკვიანმა კაცმა, — დაიწყო რამაზმა და თვითონაც ჭკვიანი კაცის სახე მიიღო, — ძლიერ პიროვნებას ამქვეყნად მხოლოდ ერთი კანონი აქვს: საკუთარი სურვილიო.

— სურვილი ქონებაზე ჰკიდია, ქონება კი შრომის შვილია, — უპასუხა თინათინმა და გამაფრთხილებელი ტონით განაგრძო: — არ დაგავიწყდეს, თუ ბევრს წაეპოტინე — ცოტასაც დაჰკარგავ.

— ბედნიერების დედა ფულია. თუ ფული ბევრი გაქვს, ბედნიერების რამდენ დედასაც გინდა. იმდენს იშოვი.

— ფული მხოლოდ საკუთარი შრომით და სიმართლით უნდა მოიპოვო.

— სიმართლე ზღვის ფსკერზეაო, — ამბობენ.

— და მერე ესაა ჩვენთვის ჭეშმარიტება?

— ცენტერაძემ თქვა: ჭეშმარიტება საშიშია, სიმართლე კი ბოროტებაო. მე რომ მკითხო, ნაღდია!

თინათინს სიბრაზისაგან თვალები გაუფართოვდა. სახეზე ალმური მოედო და გულისტკივილით წამოიძახა:

— ნეტავი ვიცოდე, ვინ ჩაგაბარა ქარხანა?

— თუ ჩამაბარეს, საქმესაც ვაკეთებ და თვითონაც ვსარგებლობ. თინათინ, იცოდე, ჩემს ქონებას ბევრი ლამაზი და ნასწავლი ქალიშვილი დაეხარბება... მარტო ქარხნიდან იმდენი გამორჩენა მაქვს, სამ ოჯახს შევინახავ.

რამაზს ეგონა, თინათინი ზოგიერთი ქალიშვილივით სიმდიდრეს დაეხარბებაო, მაგრამ მოტყუვდა. მის სიტყვებში თინათინს სიმდიდრის ნაცვლად თვითონ რამაზის სახე წარმოუდგა, მთელი სიგრძე-სიგანით და შინაარსით.

— მე კაცი მეგონე, თურმე ქურდი ყოფილხარ! — ზიზღით მიახალა თინათინმა.

— რას ამბობ, თინა?! — ისე შეჰყვირა რამაზმა, თითქოს სახრჩობელაზე აჰყავთ და თინათინს შებრალებას თხოვსო.

— კი, უსინდისო, თაღლითი ყოფილხარ, — არ შეიბრალა ქალიშვილმა...

— მაპატიე, თინიკო, სიცრუეს სიმართლედ ნუ ჩამომართმევ.

— თუ ასე განაგრძე, იცოდე, ცხოვრება არ გაპატიებს.

— ოღონდ შენ მაპატიე და ცხოვრებას როგორმე გავუსწორდები. მალე დაგიმტკიცებ თუ რა ბიჭიც გახლავარ...

რომ დაინახა რამაზი მოტყდაო, თინათინიც მოლბა და მწარე სიტყვებში სითბოც გაურია.

— ენა საქმეს არ უნდა უსწრებდეს, თუ პირობას უეჭველად გაამართლებ, სიხარულის მეტს რას უნდა ელოდე, ახლა კი მშვიდობით გნახე!

დაძაბული ურთიერთობის შესანელებლად თინათინმა ოდნავ გაუღიმა და ისე მოშორდა რამაზს.

— სიხარულის მეტს რას უნდა ელოდე. — გაიმეორა რამაზმა თინათინის სიტყვები და გულში გაიფიქრა: დამაცა, თავს ისე მოგაჩვენებ, ჩემზე პატიოსანი ქვეყნად არავინ გეგულებოდეს. მაშინ კი, მე ვიცი... მაგ ამაყ თავს მიწამდე დაგაბრეევინებ.

კოლმეურნეობის კანტორასთან რამაზი ცენტერაძეს შეეფეთა, რომელიც საავადმყოფოდან ყველაზე ადრე წამოსულიყო.

თინათინის საუბრის შინაარსი რომ მოუყვა, ცენტერაძემ. თითქოს საიდუმლოებას უმჟღავნებსო, ყურში ჩასჩურჩულა რამაზს:

— ნუ გეშინია, ყურჭატა, მაეფარი ძაღლი საშიში არაა.

— რა ვიცი, ნამეტანს კი იკბინება.

— სად გაგონილა ვარდი უეკლოდ.

— მეშინია, ვაითუ ვარდი სხვამ მოსწყვიტოს და მე მხოლოდ ეკალი მერგოს. ეს გოგო ჩვეულებრივს არ ჰგავს. ჯერ ასე ახალგაზრდაა და სულ ქვეყნის საქმეებზე ფიქრობს.

— ადრე დაიწყო ჩიტმა გალობა. კატამ არ შეჭამოს. — თქვა ცენტერაძემ და თვითონაც კატას დაემსგავსა.

— კატა ვინაა, ვეფხვივით ვარ დაგეშილი.

— შენი ქონების პატრონი, ჩვენი სოფლის კი არა რუსთაველის თინათინსაც ყმად გაიხდიდა. კარგი პაპიროსი გექნება, მომაწოდე.

რამაზმა პორტსიგარი ამოიღო ჯიბიდან და თავაზიანად გაუწოდა ცენტერაძეს, რომელმაც ჩვეულებისამებრ ორი ცალი ამოიღო, ერთი ყურზე ჩამოიდო, მეორეს კი ცეცხლი მოუკიდა რამდენჯერმე რომ გააბოლა, რამაზს მიუბრუნდა:

— საბუთები უკვე მზად მაქვს.

ეს უთხრა ცენტერაძემ და თვალებში შეაცქერდა რამაზს, აბა რას იტყვისო.

— რა კარგია მეგობარი გაჭირვების დროს. ბუღალტერი კი არა, ჩემი ჭრილობის მალამო ხარ. შენ გენაცვალე, — სიხარულით წამოიძახა რამაზმა და ხელების სრესით განაგრძო, — ხუთი ტონა ხილი ჩვენი ქვეყნის შორეულ ბაზარზე და ფულს

ისევ ფული მიემატება. ფულით კი... ეჰეი, რას არ მიაღწევ! თუმცა... მიზნის მიღწევამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა. დიდ გზაზე კი პატარა ტვირთიც მძიმეა... მაგრამ შენისთანა ადამიანის გვერდით ჩემო ილიკო, ყველა სიმძიმეს მსუბუქად ასწევ.

— ჰო, რა „რეჩია!“ ასეთი სიტყვის თქმისას ხელში ყანწი უნდა გეჭიროს. სპეციალურად, შენ კი ამ მარგალიტივით სიტყვებს შარაგზაზე ფანტავ.

რამაზი, თითქოს ცენტერაძეს ქარაგმას ვერ მიუხვდაო, დუმდა... სიტყვა არ უთქვამს, იმ წუთში ცენტერაძის საბუთებზე ფიქრობდა... ნამუსარის კოლმეურნეობის სახელით შორეულ ბაზარზე ხილით ვაჭრობის საშუალებას იძლეოდნენ, ეს კი პატარა საქმე არ იყო. ამ საქმეს რამდენიმე ათასობით მანეთის სუნი უდიოდა.

— როდის აპირებ? — შეახსენა ცენტერაძემ ფიქრებში წასულ რამაზს.

— დროს არ გავაცდენ. — უპასუხა რამაზმა, — მაგრამ წასვლამდე თინათინი უნდა მოვთოკოთ.

— რომელიცა რომა, რასაკვირველია, ჩემი ხელშეწყობით. სპეციალურად, კეთილად დაგვირგვინდება. აჰა, საბუთები!

რამაზმა საბუთები სწრაფად და ხარბად გადაიკითხა, შემდეგ უბის ჯიბეში შეინახა და მოულოდნელი სიხარულისაგან ისე დაიბნა, მხოლოდ ერთი სიტყვა მიუგდო ცენტერაძეს.

— გმადლობთ.

— მადლობით არავინ გამძღარა, — უკმაყოფილოდ უპასუხა ცენტერაძემ.

— ვითომ რაო! ფული ხომ მოგეცი! კიდევ მიიღებ.

— პურმარილი?

— წამოდი!

და მთელი დღე ქეიფში დააღამეს.

* * *

თუმცა ჯემალ გორგილაძეს ძალზე ეწყინა ვაჟის ნაცვლად ქალიშვილის შეძენა, — მაინც საზეიმო ხასიათზე იყო. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ დღეს ბარგი და ავეჯი ძველი სახლიდან ახალში გადაიტანეს და ყველაფერი რიგზე დაალაგეს.

— რა დარჩა კიდევ? — იკითხა თინათინმა.

— თითქმის არაფერი. პიანინო, რადიომიმღები, წიგნის კარადა, საწერი მაგიდა და პატეფონი შენს ოთახში დავალაგეთ, დანარჩენები სხვა ოთახებში, — უპასუხა თინათინს სკოლის მეგობარმა ფერიდემ, რომელიც თავის მეგობრებთან და თინათინის უმცროს დებთან ერთად საქმიანობდა, — მაგრამ მამაშენის ძველ სკივრს, უნაგირს და მაჭახელას რაღა ვუყოთ, აქეთ გადმოვიტანოთ, თუ ისევ იქ დარჩეს?

— აგერ მამაჩემიც... უნაგირი და მაჭახელა თვითონ მოაქვს.

— ჯემალ ბიძია, რად გინდა უნაგირი? — გაიკვირვა ფერიდემ, — ცხენი არა გყავს და თინათინის „მოსკვიჩს“ ხომ არ უნდა დაადგა?

— თინათინის „მოსკვიჩსო!“ — გაიკვირვა ჯემალმა.

— ჰო, თინათინის „მოსკვიჩი“, — გაიმეორა ფერიდემ.

თინათინი სიურპრიზს უმზადებდა მამას, მოულოდნელად უნდოდა გაეხარებინა მშობელი საკუთარი შრომის დანაზოგებით შეძენილი ავტომანქანით, მაგრამ ფერიდემ უნებურად გასცა.

ახლა თინათინიც გამოტყდა.

— კი, მამა, ჩემი მანქანა ამ საღამოს საზეიმო ვითარებაში შეპოირბენს ეზოში!..

ჯემალმა აღარ იცოდა, რა ეთქვა უფროსი და საყვარელი ქალიშვილისათვის. თინათინი მისი ქალიშვილიც იყო, ვაჟიშვილიც, ძმაც და მეგობარიც.

ამ დროს ჭიშკარი გაიღო და ეზოში ხმაურით შემოვიდნენ თინათინის სკოლის მეგობრები შერიფი და ნოდარი, მათთან ერთად ილიკო ცენტერაძე და მერი. შერიფსა და ნოდარს მერის ჩემოდნები მოჰქონდათ.

ილიკო ცენტერაძემ არ იცოდა როგორ გამოეჩინა თავი მერის წინაშე და ასე მიმართა ჯემალსა და თინათინს:

— თანახმად თქვენი დაპირებისა, თქვენთან მოვიყვანეთ, დასაბინავებლად ჩვენთან მოვლენილი ახალი ექიმი, რომელიცა რომა, რასაკვირველია, ჩვენი ახალი ექიმი მერი დარსაველიძე თქვენი მდგმური იქნება და იმედი მაქვს კმაყოფილი დარჩება. გაიცანით!

გაცნობისას მერიმ ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი და თან ხმამაღლა წარმოთქვამდა თავის სახელს:

— ძლიერ სასიამოვნოა, რომ სწორედ დღეს გვეწვიეთ! — ღიმილით მიმართა თინათინმა მერის.

— ღმერთო ჩემო, — დაიწყო მერიმ, — მე სრულებითაც არ მინდოდა ვინმე შემეწუხებინა, მაგრამ რას იზამ, განაწილებაში მოვხვდი და თქვენს სოფელში მომიწია სამუშაოდ წამოსვლა

ნამუხარში ნახევარი საათის წინ ჩამოვიდა, ჯერ არაფერი ენახა, მაგრამ მაინც აწუწუნდა.

— ამხანაგო ექიმო, ჩვენ აქ ყველანი თქვენიანები ვართ.— თავაზიანად შეახსენა თინათინმა.

— მესმის, მესმის! — დამნაშავესავით წამოიძახა მერიმ, თუმცა თვითონაც არ იცოდა. რა ესმოდა.

— რაღას ვუცდით, მობრძანდით, ახალ სახლში ერთად დავიწყოთ ცხოვრება, — თავაზიანად მიმართა თინათინმა მერის და ისევ გაუღიმა, რადგან კარგად ატყობდა რაღაც დაბნეულობას.

— გმადლობთ! მეგონა უცხო მხარეში ბევრი განსაცდელი შემხვდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არა უშავს.

— ჩვენი სოფელი თქვენთვის უცხო მხარეა? — გაიკვირვა ფერიდემ,

— როგორ გეკადრებათ, მე სულ სხვა მინდოდა მეთქვა... აი წარმოიდგინეთ, მთელი ცხოვრება დიდ ქალაქში გაატაროთ, შეეთვისოთ, შეეზარდოთ მის მჩქეფარე ცხოვრებას და უცებ — სოფელი. ძნელია, უფრო მეტიც — საშინელებაა!

ეს უკვე აღარ მოეწონა თინათინს.

— ამხანაგო ექიმო, თქვენ, როგორც ვიცი, თბილისიდან ბრძანდებით.

— ღიახ, ღიახ!

— სოფელში არასოდეს არ ყოფილხართ?

— მხოლოდ ზაფხულობით, საკურორტო სეზონში... მაგალითად, ცემში, ბორჯომში, კოჯორში, წაღვერში, მაგრამ ჩვენ უფრო ხშირად სოჭსა და გაგრას ვეტანებოდით.

— არც სოჭა და არც გაგრა სოფელი არ არის, — შეუსწორა ფერიდემ.

— რასაკვირველია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც პროვინციაა... თბილისი კი სულ სხვაა, ცენტრია.

პროვინციის ხსენებაზე მერის თითქოს ხმა მიელიაო, ისეთი ჩურჩულით წარმოთქვა ეს სიტყვა, ხოლო ცენტრის გახსენებაზე ხმა აუმაღლა და თვალები ისე გაუფარფაოვდა, რომ წარბებიც კი აუთამაშდა.,

— თქვენს ოჯახში საქმელს თუ მიირთმევდნენ? — შეეკითხა თინათინი.

— რა საკითხავია?

— ჩაის ან ღვინოს თუ სვამდნენ, პურს თუ ჭამდნენ? — გაუმეორა უცნაური შეკითხვა თინათინმა.

— რასაკვირველია! — კვლავ გაიკვირვა მერიმ.

— ბოსტნეულსა და ხილს, ხორცს, რძეს, ყველს, კარაქს? ერთი სიტყვით ყველაფერს, რითაც ადამიანი იკვებება?

— ცხადია. მაგრამ ვერ გამიგია რისთვის მეკითხებით? — და მერიმ გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

— ამას ყველაფერს სოფელი ამზადებს, ჩვენ ვამზადებთ, კოლმეურნეები ამზადებენ, — ამაყად თქვა თინათინმა.

— მერე? — თითქოს გამომწვევად, მაგრამ მაინც დარცხვენით ჩაილუღლუღა მერიმ.

— მერე ის, რომ სოფელმა გამოგკვებათ და ახლა სოფელს უნდა გამოადგეთ. წამობრძანდით, დაბინავდით, დაისვენეთ!

ბოლო სიტყვები თინათინმა თუმცა ალერსით, მაგრამ ისეთი ნებისყოფით თქვა, რომ მერი უსიტყვოდ დაემორჩილა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ენა აქვს ასეთი, თორემ ისე კარგი გულის პატრონია, — ჩაულაპარაკა მერის ცენტერაძემ.

თინათინი და ახალგაზრდები სტუმარს ახალ სახლში შეუძღვნენ. ეზოში მარტო დარჩენილი ჯემალი და ცენტერაძე გაკვირვებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ბოლოს სიჩუმე ისევ ცენტერაძემ დაარღვია:

— ხედავ ჯემალ, რა ამბავშია შენი ქალიშვილი?

— მოგწონს?

— თვითონ კი, მაგრამ საქციელი არა.

— მიკვირს, ვის დაემსგავსა! — ისე გაიკვირმა ჯემალმა, თითქოს საკუთარ ქალიშვილს პირველად შეხვდა და მისი ხასიათისა არაფერი იცისო.

— კვიცი გვარზე ხტის... სიავე ალბათ, შთამომავლობით მოჰყვება, — დაუფიქრებლად წამოცდა ცენტერაძეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჯემალმა წარბები შეიკრა.

— ამხანაგო ცენტერაძე!

ცენტერაძემ უკან აღარ დაიხია და ჯემალს შეახსენა:

— ილიკო მქვია!

— ვინ დაგარქვა კაცის სახელი?

— კი მეკადრება, — იწყინა ილიკო ცენტერაძემ, მაგრამ შემარიგებელი ტონი ირჩია, — სიკეთისათვის სიავეო. სწორედ ამას ქვია.

— რომელ სიკეთეზე ლაპარაკობ?

— რასაც შენი ქალიშვილისათვის და შენივე სასიძოს სასარგებლოდ ცენტერაძე აკეთებდა, იმას ძმა არ გააკეთებდა ძმისათვის. ახლაც სპეციალურად იმისათვის გეახელით, — მაამებელი ხმით განაგრძო ცენტერაძემ, — რომ გაგაფრთხილოთ.

— რა მოხდა ასეთი?

— ნადიმ დევაძე ჩამოვიდა, ჩაის საკრეფი მანქანის გამომგონებელთა ბრიგადას ახლავს ბათუმში, თვითონ კი აქეთ წამოვიდა, — ცენტერაძე უფრო ახლო მივიდა ჯემალთან და ისე განაგრძო, თითქოს დიდი საიდუმლოება უნდა გაანდოსო, — ჩაის რა გითხრა და, თინათინის გულის ყვავილებს რომ უფრო ადვილად მოკრეფს, ამაში დარწმუნებული იყავით.

— თინათინის გულის ყვავილები უპატრონო ბაღში კი არ იზრდება...

მაგრამ ცენტერაძე მაინც არ ცხრებოდა:

— საუნჯეს თუ ცუდად დადებ, ქურდს ცოდვას ჩაადენინებო. სიყვარულზე დიდი ქურდი ჯერ არავის გაუგონია. ფრთხილად იყავი, ჯემალ — განაგრძო ცენტერაძემ, გამოცდილი მაჭანკალივით, — რამაზისთანა სასიძო ხელიდან გასაშვები არ არის.

— ჩემი სასიძო ის იქნება, ვისაც თვითონ თინათინი აირჩევს.

— რამაზს რომ სიტყვა მიეცი? — გაიკვირვა და თან ოდნავ აღშფოთდა კიდეც ცენტერაძე, — ხომ დათანხმდი, ვაჟ-

კაცს სიტყვის გატეხა არ შეჰფერის!, თუ გააკეთე, ნუ გეშინია, თუ გეშინია, ნუ გააკეთებ.

— ქალიშვილის გული თუ დაკეტილია, მამის სიტყვა საპატიოსათვის ცუდი გასაღებია

ახლა კი ნამდვილად აღშფოთდა ცენტერაძე.

— ამხელა კაცი გოგოს ჭკუას აპყევი?!

— მთელი რაიონი აქებს და მამამ დავიწუნო!

ცენტერაძე შეცბა და ისე დაწვრილდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა. ჯემალს სწამდა, რომ თინათინს იმდენი ჭკუა და სწავლა კი ჰქონდა, ცუდი და კარგი ერთმანეთისაგან გაერჩია. ამიტომაც არ სურდა ხელის ფათური ქალიშვილის გულთან.

— რაკი ნადიმი ჩამოვიდა, თინათინი აწი მით უფრო გაჯიუტდება. მე რომ მკითხო, თინათინი მართალია და ვერ ჩავერევი ამ საქმეში! — ჯემალს ამით უნდოდა დაემთავრებინა საუბარი, მაგრამ ცენტერაძე მაინც არ მოეშვა.

— თინათინი კი არა, შენ უფრო ჯიუტობ. თუ სათავე მღვრიეა, მდინარეც ამღვრეულია. მამა შვილის ცხოვრების სათავეა. კაცო, ნადიმი რამაზს უნდა ამჯობინო?! ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი. კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა, საშოვარზე გარეთ მიეშურებოდაო. მთელმა ქვეყანამ იცის, რამაზს პირობა რომ მიეცი, უფრთხილდი, თინათინმა საკოცნელი ლოყა საფურთხებლად არ გაიხადოს.

ჭიშკარი გაიღო და ეზოში ნადიმი შემოვიდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ცენტერაძეს ენა კინაღამ მუცელში ჩაუვარდა.

— ოო, ნადიმს გაუმარჯოს! — სიხარულით მიეგება ჯემალი ნადიმს.

— გამარჯვება ნუ მოგაკლოთ ღმერთმა! როგორ ბრძანდებით, ჯემალ ბიძია? სალამი ამხანაგო ცენტერაძე!

ნადიმმა ორივეს ხელი ჩამოართვა და ახალ სახლს შეაჩერდა.

— ეს რა კარგი სახლი წამოგიჭიმავთ!

— თინათინის შემწეობით.

— ყოჩაღ, ქალო! სწორედ მისი ნახვა მინდოდა.

ნადიმის ამ სიტყვებზე ცენტერაძეს ფერი ეცვალა, თითქოს რამაზს კი არა, თვითონ ცენტერაძეს ართმევენ საცოლე-

ს. ბოლოს, როგორც იქნა. სითამამე მოიკრიბა და ნადიმს გამოესაუბრა:

— ამხანაგო ნადიმ. ჩვენ სწორედ თქვენს შესახებ ვლაპარაკობდით, რომელიც რასაკვირველია, თქვენი ჩამოსვლა ძალიან გაგვეხარდა და იმედია, ალბათ, ჩვენს სოფელში დიდხანს დარჩებით!

— ვნახოთ... ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით არ ჩამოვსულვარ, — უპასუხა ნადიმმა.

— გაგვახარე და ის არის... რაც შეეხება საქმეს, თქვენ დაუსაქმობა?!

ნადიმმა შეატყო, ცნეტერაძე აღარ დაამთავრებს ძექებასო და სიტყვა შეაწყვეტინა:

— ამხანაგო ცენტერაძე, რა საჭიროა?

— გეწყინათ რამე?!

— ხომ გაგიგონიათ: ავი კაცი აქე და ერიდეო; ალბათ, თქვენთვის ავი ვყოფილვარ!

ცენტერაძე მაინც უტიფრად მიაშტერდა ნადიმს, ცბიერად გაუღიმა და ისე უთხრა:

— რა მოხდა, შე კაი კაცო, გაქებ, ხომ არ გაგინებ? კი მეკადრება... მაგრამ არა უშავს... ცენტრიდან ჩამოსულს, ალბათ, კარგი პაპიროსი გაქვს.

ნადიმმა სიგარეტი „პრიმა“ მიაწოდა. ცენტერაძემ მოსწია, საშინელი ხველა აუტყდა, მაგრამ მაინც შეაქო: „მშვენიერი თამბაქოაო“. ჯემალი სახლისაკენ გაუძღვა სტუმრებს. ნადიმი გვერდით მიჰყვებოდა, ცენტერაძე კი თანდათან უკან რჩებოდა. ბოლოს საქმეები მოიმიზეზა, კანტორაში მელოდებიანო, ორივეს ქათინაურით დაემშვიდობა და ეზოდან ისე გავიდა, უკან არ მოუხედავს. ღობეს რომ მიეფარა, სიგარეტს დახედა, დააფურთხა, მერე მიწაზე დააგდო და ფეხით გასრისა, ჯიბიდან საკუთარი „ყაზბეგი“ ამოიღო, მოუკიდა, მაგრად მოქაჩა, ღიღინით გზას გაუდგა და თან გულში ფიქრობდა: „მე ილიკო ცენტერაძე არ ვიყო, თუ ორივე მშრალზე არ დავტოვე. ჰა, ბურთი და ჰა მოედანი, ვნახოთ!“.

* * *

ორ დღეში მერიმ მთელი სოფელი გაიცნო. პირველ საღამოსვე თინათინმა კლუბში წაიყვანა — ბათუმიდან ჩამოსული მსახიობების კონცერტს დაესწრნენ. მეორე დღეს კი მერი სამსახურს შეუდგა. მთელი დღე თავის საქმეს, ნამუხარის საავადმყოფოს მუშაობის გაცნობას მოუნდა...

მერის ჩამოსვლის მესამე დღე კვირა გათენდა, მაგრამ ჯემალ გორგილაძის ოჯახის ყველა წევრი მაინც ჩვეულებრივად ადრე ადგა. მერი კი დიდხანს იწვა ლოგინში. თვალები ჭერისათვის მიეპყრო და ფიქრებს გაეტაცა.

— რა მინდა აქ, — ფიქრობდა მერი, — ნუთუ ეს იყო ჩემი ცხოვრების მიზანი?! სოფლის ექიმი! და მერე ვინ, მერი ელიზბარის ასული, რომელსაც თბილისიც მეპატარავებოდა. როდემდე უნდა ვიყო აქ? ერთი წელიწადი, ორი, სამი, იქნებ უფრო მეტიც. ჯერ მარტო ერთ წელიწადში სამას სამოცდახუთი დღეა. დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია, საათში სამოცი წუთია. წუთში სამოცი წამია. ღმერთო ჩემო, რა დაუღეველია წელიწადი და მერე ისიც აქ, სადაც დრო კუს ნაბიჯებზე უფრო ნელია, სადაც წუთი მთელ საათად გეჩვენება, საათი დღე-ღამედ, დღე-ღამე — თვედ, თვე — წელიწადად.

მერი რომ ასეთ ფიქრებში იყო, თინათინი „ვაზის ყვავილობის“ უკანასკნელ ფურცელს კითხულობდა. თინათინის ოთახში კედლის საათმა ათჯერ დარეკა. მერი კვლავ ლოგინში იწვა, თინათინს უკვირდა: „ამდენი ძილი ვის გაუგონიაო“.

უცებ ეზოში ფოსტალიონის ძახილი მოისმა, მერი ელდანაკრავივით წამოხტა ლოგინიდან... „ალბათ წერილი ან დეპეშაა თბილისიდან“. სწრაფად ჩაიცვა და გარეთ გავიდა. კიბეზე თინათინი შეხვდა. ფოსტალიონს გაზეთების გარდა არაფერი მოეტანა, ეწყინა მერის... აქამდე რატომ არაფერს მწერენ თბილისიდანო. დედაქალაქიდან ოთხი დღის წამოსულს, ოთხი დღე ოთხ თვედ ეჩვენებოდა.

* * *

შუადამე იყო. ბათუმიდან დაბრუნებული ილიკო ცენტერაძე რამაზ კონცელიძის სახლში სუფრას შემოჯდომოდა, ერთ ხელში ნახევარი ქათამი ეკავა, მეორეში — ჩაის ჭიქა. ქათამს

უმოწყალოდ გლეჯდა თითქმის დაუღეჭავად ყლაპავდა, ჩაის ჭიქით კი ღვინოს სვამდა და შიგადაშიგ სმენად გადაქცეულ რამაზს უყვებოდა:

— დილით ადრე ნადიმის ამბანაგები ჩამოვიდნენ ბათუმიდან. იმათგან გავიგე, სასწრაფოდ თბილისში გვიბარებენო. საშინლად მეწყინა, აშკარად ვხედავდი, გეგმა მეშლებოდა. მაგრამ ამ ამბავმა ახალი იდეა წარმოშვა. მერე არ იკითხავ, რა იდეა?! ახლავე მოგიყვები... ჰოდა იმას მოგახსენებდი.., ახალი იდეა დამებადა-მეთქი. ამ იდეის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა ალი სურმანიძეს ვტაცე ხელი, სპეციალურად... ალი სურმანიძეს არ იცნობ? რას ამბობ კაცო? სურმანიძეს მთელი ქვეყანა იცნობს. საკუთარი „ზიმი“ ჰყავს, მინისტრის სიძეა და ამ დილით ჩვენებური ჩაველრისათვის მოგვაკითხა ბათუმიდან, ექვსასი ლიტრა იყიდა. ქორწილისათვის ნდომებია. დას ათხოვებს და მაინცდამაინც თქვენებური ღვინო გვინდაო.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ალი სურმანიძეს ვტაცე-მეთქი ხელი. უკვე ბათუმისაკენ ბრუნდებოდა, მაგრამ შევეხვეწე: „თუ კაცი ხარ, ერთი თხოვნა შემისრულე-თქო“.. ბევრი დრო თუ არ უნდა, ორი იყოსო. მიპასუხა. მაშინ არც ვაცხელე და არც ვაციე, პირდაპირ მერი ეექიმთან გავაგზავნე დავალებით — „მიდი ექიმთან, ცალკე გამოიხმე და უთხარი, თბილისიდან ჩამოსული კაცი გაგვიხდა ავად და თუ შეიძლება, ინახულე-თქო“. ასეც მოიქცა. მერი თავისი მანქანით ნადიმთან მიიყვანა, თვითონ, როგორც დავარიგე, იქვე შემობრუნდა და ჰაიდა, ბათუმისაკენ. მე კი იმავე წუთს თინათინთან ბივირბინე, ვუთხარი, მაგ თქვენი მერი თურმე ჯერ კიდევ თბილისიდან ჰყავს ნადიმს აპორწიალებული-თქო. პიმპილვიით გაწითლდა, რა საბუთით აბბობს მაგასო, მითხრა და თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია.

— ა, ბატონო საბუთი... თუ გინდა ახლავე გაჩვენებ-მეთქი. — კი მინდაო, მიპასუხა, მაშინვე ხასან ბერიძის სახლისაკენ გავაქროლე და შორიდან დავანახე ნადიმი და მერი, რომლებიც ის-ის იყო სახლიდან გამოვიდნენ.

ნადიმი, როგორც ეტყობოდა, ბოდიშს უხდიდა მერის, მაგრამ მათი საუბარი შეყვარებული მტრედების ჟღურტულად

მოეჩვენა თინათინს. მერე იმდენი ვქენი, მერი და თინათინი კანტორასთან შევაჯახე ერთმანეთს. მერიმ იქ კინაღამ ყველაფერი დაფქვა, მაგრამ დროზე ვუშველე საქმეს. ხო, თინათინმა მომახსენა, რომე, სახლიდან გავაგდებ მერისო. თავის ნადიმს მიუჯდეს გვერდშიო. ხედავ, კაცო, რა ჩორთი ჩავაგდე მათ შორის?! როცა ჩვენსკენ მომავალი ნადიმი დავინახე, მართალი გითხრა, ფერი მეცვალა, მაგრამ სამ ხნაიშ, ილიკო ვარ ცენტერაძე! ხო, ხო, ხო, რა შტუკა გავუკეთე, რომ იცოდე! — ცენტერაძემ ერთხელ კიდევ გაისეირნა სუფრაზე თავისი გრძელი და გამხდარი ხელით და ყველაფერი, რაც კარგი იყო თეფშზე, გადაილაგა.

ცენტერაძე ეკლესიაში დასთებულ წვრილსა და გრძელ თაფლის სანთელს ჰგავდა, მაგრამ სამი კაცის სასმელ-საჭმელი გაათავა და სიმაძღრე მაიხც აო ეტყობოდა. როცა საგრძნობლად დანაყრდა, რამაზის პორტსიგარიდან პაპიროსი ააცოცა, მადიანად გააბოლა და საქმიანად განაგრძო ამბავი...

რამაზი უძრავად იჯდა სკამზე და სულგანაბული უსმენდა თავის ერთგულ მეგობარს. ცენტერაძე კი გატაცებით ყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ გაჰყვა ნადიმს ბათუმამდე და რა „შტუკა" გაუკეთა იქ.

— თინათინი, რასაკვირველია, ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ. რას ვნახავდით ბათუმში, როცა ნამუხარში დავტოვე. ნადიმს ძალიან ეწყინა, არასდიდებით არ უნდოდა თინათინის უნახავად წასვლა, მაგრამ რას იზამდა. მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე ქალიშვილებზე ჩამოვაგდე ლაპარაკი. „რაც შეეხება მერის, ჩემი ბრალი არ არის, ვიღაცას უხუმრია, თუმცა ეს ხუმრობა დიდი უზრდელობაა". აბა, ასე თქვა ნადიმმა და მაინც არ გავწითლებულვარ. ის გაწითლდეს, ვინც ცხოვრებაში ბავშვივით ტყუვდება, თორემ მე რა?.. კი, მაგრამ რა მოხდა ისეთი! — გავიოცე, თითქოს არაფერი ვიცოდი. „როგორ თუ რა მოხდა? ვიღაც ჩემი სახელით მისულა მასთან და უთქვამს ნადიმი ავად არის, ძალიან ცუდად გრძნობს თავს და გთხოვთ სასწრაფოდ ინახულოთო. მე, რასაკვირველია, კარგად მყოფი დავხვდი. როცა მისი მოსვლის მიზეზი გავიგე, ბოდიში მოვუხადე, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ბრალი არ მიმიძღოდა მის მოტყუებაში". რა ვიცი, ასეა თუ ისე ქალი-

შვილები გამწყრალი არიან. გადაეუბედი ანკესი. წამოეგო. „ამ-ხანაგო ცენტერაძე, ხომ ხედავთ, მატარებელი. სადაცაა გავა. თინათინს აქ ვერსად ვერ შევხვდით. ძალიან გთხოვთ. ჩემგან ორივეს ბოდიში გადაეცით და ყველაფერი აუხსენით". ისეთი ხვეწნით მითხრა ნადიმმა ეს სიტყვები. შეგეცოდებოდა. პატა-რა ბარათის მიწერა შევთავაზე, ხვალვე გადავცემთ-მეთქი და შეც ავუხსნი ამ არასასიამოვნო შემთხვევის მიზეზს. თორემ, ხომ იცით ხალხის ენა, წავა ჭორები — ალბათ, ეს ექიმი ქალი ნადიმმა გაარშიყების მიზნით მიიწვია ბინაზეო. რად გინდათ ბოფელში ცუდი სახელი დატოვო-თქო. ამ სიტყვებმა ისე იმო-ქმედა ნადიმზე, რომ იმ წუთშივე ქაღალდი მოითხოვა. მე ქა-ღალდიც მივეცი და წინასწარ გამზადებული კონვერტებიც. სასწრაფოდ დაწერა ორი წერილი. კონვერტებში ჩადო და ზეო სახელები დააწერა. წერილები მოწიწებით გაიმომცა და თავი-სი თხოვნაც დაუმატა... „თუ არ შეწუხდებით, ორივეს გადაე-ცითო".

აი, ეს წერილებიც.

ცენტერაძემ უბის ჯიბიდან ორი კონვერტი ამოიღო. ერთი მათგანი გახსნა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „პატივცემულო ამხანაგო ექიმო! გთხოვთ მერწმუნოთ, რომ ეს იყო ვიღაცის მიერ მოწყობილი უსუსური ხუმრობა, რის გამოც ერთხელ კი-დევ ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე. ნადიმ დევაძე".

— აჰ, ეს წერილი არ გამოგვადგება! — წამოიძახა ცენტე-რაძემ და მეორე კონვერტი გახსნა, ეს წერილიც ხმამაღლა წა-იკითხა: „ძვირფასო თინათინ! როგორც გავიგე, გამწყრალი ყო-ფილხარ ჩემზე. წასვლის წინ შენთან საუბარი მსურდა, მაგრამ შენ რატომღაც ყველაფერი დაგავიწყდა და საღამოც გაქრი. ჭო-რებს ნუ აყვები. შენს მეგობარ ქალიშვილს გადაეცი, ჩვენს შორის გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და ამიტომ ბოდიშს ვი-ხდი მის წინაშე. დანარჩენს ამხანაგი ცენტერაძე აგიხსნის".

ცენტერაძემ ეს წერილი რამდენჯერმე შეატრიალა ხელ-ში, ცალი თვალით გადახედა რამაზს და ცბიერად გადაულა-პარაკა:

— აი, ეს კი მალამოსავით გამოგვადგება.

— რაში უნდა გამოგვადგეს სხვისი წერილები? — გულუ-

პრუვილოდ შეეკითხა რამაზი, თუმცა გულში მასაც ეშმაკები უთამაშებდნენ.

— ეს წერილი რომ ამ კონვერტში ჩავდოთ, — ცენტერაძემ მერის მისამართით დაწერილ კონვერტზე მიუთითა, — როგორ ფიქრობ, არ გამოდგება? მაგრამ ჯერ ეს უნდა მოვაჭრათ.

ცენტერაძემ დანით გადაჭრა წერილის ის ადგილი, სადაც ეწერა „ძვირფასო თინათინ!" და დანარჩენი ნაწილი მერის მისამართით დაწერილ კონვერტში ჩადო.

— ესე იგი, რასაც ნადიმი თინათინს სწერს, ვითომ მერი ექიმს მისწერა, არა?

თითქოს ახლა მიუხვდა ცენტერაძის ოინებს, ისე შეეკითხა რამაზი.

— ვითომ კი არა, ნაღდია. ამას წყალი არ გაუვა... მაგრამ მთავარია ეს წერილი როგორმე თინათინს ჩაუვარდეს ხელში. თუმცა არც ესაა ძნელი. ამის შემდეგ კი თინათინს ნადიმი პირიკით შეძულდება.

თქვა და ისე ტკბილად და მედიდურად გაიზმორა ილიკო ცენტერაძემ, თითქოს ცხრათავიანი დევი დაამარცხაო.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, ილიკო, ჭკუის კოლოფი. მალადეც! — სიხარულით წამოიძახა ცენტერაძის ოინებით ნასიამოვნებმა რამაზმა.

— მალადეცი იქმევა თუ ისმევა?

— ვითომ რაო?

— დიდი მაღარიჩი უნდა გაამზადო. გარდა ამისა, ხვალაც დამპატიჟე!

— გენაცვალე სულ'ში!

* * *

თინათინი ცუდ გუნებაზე იყო. ძლიერ აწუხებდა მშობლიური სოფლისა და კოლმეურნეობის ბედი. სულ იმას ფიქრობდა როგორ დაერჩინა სოფელში თავისი ტოლი ახალგაზრდები, რომლებიც ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ. პირზე ყველას უმაღლესი სასწავლებელი ეკერა.

თინათინი ფიქრობდა: „წელს ოცამდე ახალგაზრდა ტოვებს სოფელს და ქალაქში მიემგზავრება... უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ოციდან სულ ბევრი ხუთი მოხვდება

ინსტიტუტში, თუ გნებავთ ათი იყოს. დანარჩენი ათი სად უნ-და წავიდეს. რა უნდა გააკეთოს, უკან არც ერთი მათგანი არ დაბრუნდება. ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ იქ, ქალაქში, რომ მოიკალათებენ, რა უნდა გააკეთონ, რას უნდა მოკიდონ ხელი? ქალაქში ხელის მოსაკიდებელი ბევრი რამეა. „ბოლოს და ბოლოს, რაც არ უნდა იყოს, მაინც ქალაქია", „აწყინოს ქერმა ლურჯასა", უპასუხებდნენ ხოლმე მისი მეგობარი ახალ-გაზრდები და ეს უწვავდა გულს, სოფელს მუშახელი არ ყოფ-ნიდა.

ნამუხარში საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე იმატა არაქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა, თინათინი ბევრ მათგანთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო და მა-თივე წყალობით თანდათანობით ეუფლებოდა მათ ენას.

ნამუხარში მოსახლეობა კი არ კლებულობდა, პირიქით, მატულობდა, მაგრამ თინათინს გულს უკლავდა ის, რომ ნამუხარში სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩებოდნენ. თვი-თონ თინათინის ნათესავები, მოგვარეები, თანასოფლელები და საერთოდ ნამუხარის მკვიდრნი. ვინც კი ნამუხარში სკოლას დაამთავრებდა, ორი-სამის გარდა, ყველა ქალაქისა-კენ მიეშურებოდა. ნამუხარელები შრომის მოყვარულები იყ-ვნენ: ბევრი მათგანი განსაკუთრებული წარჩინებისათვის მთა-ვრობის ჯილდოსაც კი ღებულობდა. ვინც შრომაში წარჩინებას მიაღწევდა, იმას (ყველას არა, მაგრამ საგრძნობ ნაწილს მაინც) აწინაურებდნენ. ბევრი მათგანი მიწას სწყებოდა და არავი-თარ მატერიალურ ღირებულებას აღარ ქმნიდა. მათ ადგილზე კი სხვა მხარეებიდან ჩამოყავდათ მუშახელი. თინათინი ფიქ-რობდა: „კვლავ ამგვარად თუ წავიდა საქმე, ეს რას ემგვანე-ბაო!"

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ახალგაზრდებს მოე-ყარათ თავი, მწვანესა და ყვავილნარში სკამებზე დამსხდარი-ყვნენ და ცხარედ კამათობდნენ. კამათის მიზეზი ისევ თინათი-ნის მოთხოვნა იყო, რომ მისი სკოლის მეგობრები სოფელში დარჩენილიყვნენ, მაგრამ ისინი სულ სხვა აზრისა იყვნენ.

— სოფელში ამდენი საქმეა, — გულისტკივილით ამბობდა თინათინი, — ხალხი არ გვყოფნის და ესენი კი... მე რომ ამის უფლება მქონდეს...

— ცხოვრებას ჩამორჩი, ბიძია, სისულელეს ლაპარაკობ, — ჩვეული უხეშობით მიახალა შერიფმა,

— ყველა სულელს ეგეშმარიტება სისულელე ჰგონია, — დაუყოვნებლივ მიართვა სამაგიერო თინათინმა. შერიფმა კარგად იცოდა თინათინთან კამათი ძნელი იყო და ეს სიძნელე თინათინის ენას დააბრალა.

— ენა რომ არ ჰქონდეს, ყვავი წაიღებდაო, სწორედ შენზეა ნათქვამი.

— უენოდაც არ უნდა იყო ისეთი მჩატე, რომ ყვავების სათრევი გახდე, — კვლავ მოუჭრა თინათინმა.

— ლაპარაკი კი იცი... ენაზე მოტორი გაქვს, რა დაგღლის.. შაგრამ რამდენიც არ უნდა ილაპარაკო, მაინც არა ხარ მართალი, — არ ცხრებოდა შერიფი, თუმცა კარგად ხედავდა, თუ როგორ მარცხდებოდა კამათში,

— ცოტა წესიერად რომ ილაპარაკო, აჯობებს, ბოლოს და ბოლოს ბავშვობის მეგობრებით ვართ, ათი წელიწადი ერთად ვისწავლეთ, არაფერს გვარგებს ასეთი კინკლაობა.

— ეგ სწორია! — თითქოს ჭიდაობაში გაიმარჯვაო, ისე მიუგო შერიფმა თინათინს.

— სწორი თუა, დარჩი სოფელში.. რომ აგიღია თავი და გაიძახი: მივდივარ, მივდივარო, სად მიდიხარ? ნეტავი სად გეპატიჟებიან?

— რა ამბავში ხარ, თუ იცი? — გაბრაზდა შერიფი, — რას გადამეკიდე, სხვა ვერავინ ნახე? თუ გინდა სხვები ავიღოთ, რა არის საძრახი იმაში, რომ ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც საშუალო სასწავლებელი დაამთავრა, უმაღლეს სასწავლებელში შესვლა დააპიროს? კომკავშირელი ქალიშვილი ხიბნელის მოციქულად გადაქცეულხარ. რად გინდა სწავლის გაგრძელებაო? გაგონილა ასეთი უვიცობა!

— იქნებ კიდევ დაუმატებ რამეს! — გამომწვევად შეეკითხა თინათინი.

— მე მეტს არაფერს ვიტყვი, ენითა მუნჯი სჯობია ავ მეტყველ მოუბარსაო.

— თვალში რა გჩხვლეტს და — შენივე წამწამიო, ბიჭო, ნაცვლად იმისა, რომ მხარი დამიჭირო, ბუნტი მომიწყვე?

— ბუნტი თვითონ დაიწყე და ახლა სხვას აბრალებ?

— შერიფ კმარა ამდენი. თინათინი ჩვენს წინაშე თითქმის ყველაფერში მართალია, — ჩაერია ფერიდე კამათში და თინათინის გვერდით გადაჯდა.

— მე ჩვენი საერთო საქმის სიკეთისათვის ვმსჯელობ ასე. თორემ ჩემი სიტყვები თუ თქვეს ღანძღვა-გინებად გეჩვენებათ დიდი ბოდიში. ბატონებო! — გულისტკივილით მიმართა თინათინმა თავის მოწინააღმდეგეებს, ბოლოს ველარ მოითმინა და ხვეწნა დაუწყო: — მეგობრებო, დამიჯერეთ, დარჩით სოფელში, ვიმუშაოთ როგორც ახალგაზრდებს შეფერის და ნახავეთ, თუ როგორი საინტერესო იქნება ჩვენი ცხოვრება. ჩვენ თუ არ დავიცავთ ჩვენი სოფლის ინტერესებს. მაშინ ვინ უნდა დაიცვას ივი?

— მე არსად არ წავალ. შენთან ვიქნები, თინიკო! — გადაჭრით წამოიძახა ფერიდემ და იმდენი სითბო იგრძნობოდა მის სიტყვებში, რომ თინათინს გული აუჩუყდა. სიყვარულით გადახედა და გახარებული შემოეხვია თავის განუყრელ მეგობარს.

— ხომ არ გაგიჟდი, გოგო?! — გიჟივით წამოიყვირა შეშფოთებულმა ნოდარიმ.

— აბა ჭკვიანი თინათინს აჰყვება? — გაბრაზდა შერიფი და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს ცენტერაძე წამოადგა თავს.

— ახალგაზრდებს გაემარჯოს! — შერიფ. მომაწოდე შენი კარგი პაპიროსი!

— მიირთვი, ილიკო!

შერიფმა ცენტერაძეს პაპიროსი მიაწოდა და კოლმეურნეობის კლუბისაკენ გაემართა.

— თინათინ. თუ იცი. საც ვნახავ ახლა მერის, სასწრაფო საქმე მაქვს მასთან! — საქმიანად მიმართა ცენტერაძემ თინათინს და წერილი ამოიღო ჯიბიდან.

— რაში გჭირდება ასე სასწრაფოდ. ავად ხომ არ ხარ. ილიკო? — ხუმრობით შეეკითხა თინათინი, მაგრამ მის ხმაში უფრო შეშფოთება იგრძნობოდა, ვიდრე ხუმრობა.

— რაში მჭირდება და.. უშველებელი დავალება მაქვს ნადიმისაგან.

ამ სიტყვებმა თინათინს ფერი უცვალა.

— რა დაგავალა?

— ეს წერილი ქალბატონ მერის გადაეცი.

— მე არ ვუკითხავ?

— ისე, სხვათაშორის.

— სხვათაშორის?! — ღონემიხდით წარმოთქვა თინათინმა და ეგონა გული გაუჩერდა.

— შენთვის სად ეცალა იმ ბაცოდავს, კაცი სიყვარულის ისარზეა აცმული... წასვლის წინ კინაღამ ბავშვივით ატირდა.— მორიელებივით შეუსია ეს სიტყვები თინათინის გულს ცენტერაძემ და უდარდელი ადამიანის გამომეტყველება მიიღო. თინათინმა წასვლა დააპირა. მაგრამ ცენტერაძემ შეაკავა.

— თინათინ, ნუ წახვალ, ერთი წუთით მომიცადე, მაგიდის უჯრა ღიად დამრჩა. ბეჭედი კი მაგიდაზე. ახლა გამახსენდა, კაბინეტიც არ დამიკეტია.

წერილი შეუმჩნევლად გამოაცოცა კონვერტიდან და ორივე ერთად ისე დააგდო მიწაზე, რომ თინათინს არც კი დაუხახავს.

ცენტერაძე რომ წავიდა, თინათინმა მაშინ შეამჩნია მის წინ მიწაზე დაგდებული კონვერტი და წერილი. ჯერ ზიზღით დააცქერდა მათ, მაგრამ შემდეგ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ორივე ხელით აიღო ისინი, ირგვლივ ნაღვლიანი თვალებით მიმოიხედა, მისი მეგობრებიც აღარ იყვნენ, საშინელი მარტოობა იგრძნო. ღონემიხდილი ხეს მიეყრდნო და საკუთარ თავს დაუწყო საუბარი: „ისე სხვათაშორის გიკითხაო, შენთვის სად ეცალა. კაცს გულში სიყვარულის ისარი აქვს გაყრილიო... ვაი, რა ბრმა ვყოფილვარ.. თუმცა, რისთვის უნდა გავამტყუნო, მას ჩემთვის არასოდეს არ უთქვამს, რომ... კი, მაგრამ რისთვის მეპყრობოდა ისეთი ვანსაკუთრებული ყურადღებით, ისე ტკბილად?! ეხ, თინათინ, ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილხარ“.

ღრმად ამოისუნთქა, ცრემლებით დანამული თვალები ცხვირსახოცით მოიწმინდა და ნაღვლიანად დახედა კონვერტს. რომელზედაც ნადიმის სელით ეწერა „ექიმ მერი დარსაველიძეს“... შემდეგ წერილს დააცქერდა, თავი უხერხულად იგრძ-

ნო, არ უნდოდა სხვისი წერილის წაკითხვა, მაგრამ ეჭვით გამოწვეულმა გრძნობამ ძლია და თინათინს თვალწინ სასტიკი განაჩენივით აუთამაშდნენ ნადიმის სიტყვები: „ჭორებს ნუ აჰყვები. შენს მეგობარ ქალიშვილს გადაეცი, რომ ჩვენს შორის გაუგებრობას ჰქონდა ადგილი“.

მეტი ვეღარ გაუძლო, თვალები ცრემლებით აევსო და სასოწარკვეთილებით წამოიძახა: „ნუთუ ასეთი უსულგულო ყოფილხარ, ნადიმ?! ჩვენი მეგობრობა შენთვის გაუგებრობა იყო?! რა დაგიშავე ბიჭო, ასე რისთვის მომშხამე?! კვლავ წერილს დახედა, მაგრამ ცრემლები გადაეფარა თვალებზე. ღონემიხდილი იქვე დაეცემოდა, ორივე ხელით ხეს რომ არ შემოხვეოდა, ნიკაპი საკუთარ მკერდს მიაბჯინა და გულის გასამაგრებლად კვლავ თავის თავს გაესაუბრა: „თუმცა თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილია. გამაგრდი თინათინ, ახლა მაინც გაახილე თვალები“..

უკან დაბრუნებულმა ცენტერაძემ ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო თინათინს. წერილი კონვერტთან ერთად თინათინის ფეხებთან ეგდო. ცენტერაძემ, ვითომ ვერ შეამჩნია, ისე დაადგა ფეხი წერილს, მაგრად მოსრისა და მიწაში გასვრილი ქაღალდი ნაკუწებად აქცია. თინათინი გონს მოვიდა. ძალა მოიკრიბა და წასვლა დააპირა, მაგრამ ცენტერაძემ შეაჩერა.

— თინიკო, იქნებ მერის შენ თვითონ გადასცემ წერილს!

— ნადიმისათვის ეს დიდი პატივისცემა იქნება... არ აწყინოს.

— რა მოხდა ასეთი, შე ქალო?!

— გთხოვთ, ნადიმის სახელი აღარ მიხსენოთ,

— ბოდიში ბატონო! მე თვითონ გადავცემ!

თინათინმა თავი უხერხულად იგრძნო, წერილი ხელში აღარ ჰქნოდა. ცენტერაძემ კი, თითქოს ახლა დაინახა, გაკვირვებული დააცქერდა, შემდეგ ხელში აიღო გასვრილი და ნაკუწებად ქცეული წერილი და აღშფოთებით წამოიძახა:

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები?! რა ვუთხრა ახლა მერის? თავი რით ვიმართლო? რას ჰგავს ეს! ამას დამწერიც ვეღარ ამოიკითხავს.

თინათინი დამნაშავესავით იდგა ცენტერაძის წინ და აღარ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ ცენტერაძე არ ცხრებოდა..

— ამის მერე რა თვალებით უნდა შევხვდე ნადიმს. ასეთი ბატარა დავალება ვერ შევასრულე და კაცი ვარ ახლა მე? ვაი. სირცხვილო! — დასვრილი წერილის ნაფლეთები ბუჩქებში გადაისროლა და თინათინს მიუბრუნდა:

— თინათინ, ძალიან გთხოვ, არაფერი უთხრა მერის ამ წერილის შესახებ. უხერხულია, თავი რით უნდა ვიმართლო? ღანარჩენი კი ჩემზე იყოს. თავი ისე დაიჭირე მის წინაშე, ვითომ არაფერი იცი ამ წერილის შესახებ. თორემ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩამაგდებ, სპეციალურად.

თინათინმა პირობა მისცა.

* * *

ახმედ ფუტკარაძეს ბედნიერი დღე გაუთენდა. დიდი ხნის უნახავი უფროსი ვაჟიშვილი ასლანი დაუბრუნდა სამხედრო სამსახურიდან.

ახმედი გათენებისას მივიდა ბათუმიდან მომავალი ავტობუსის გაჩერებასთან და დიდხანს ელოდა შვილს. ათჯერ ჩამოვიდა ავტობუსი ბათუმიდან, მაგრამ ასლანი არსად ჩანდა. მოხუცი ახმედი აღელდა: ნუთუ შეცდომა გაეპარათ, დეპეშაში ცხადად ეწერა: „30 ივლისს სახლში ვიქნები. თქვენი ასლანი". წინა ღამით ახმედს ერთი საათითაც არ მოუხუჭავს თვალი, მთელი ღამე თეთრად გაათენა. ვერ ისვენებდა. ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, ახმედი რომ შვილის შესახვედრად გამოვიდა. მაგრამ აი უკვე საღამომ მოაღწია და ასლანი მაინც არ ჩანდა. უცებ ახმედს „ზიმმა" ჩაუქროლა. ოციოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და იქიდან ასლანი და მისი ბათუმელი მეგობრები გადმოვიდნენ. ახმედმა როგორც კი დაინახა თავისი უფროსი პირმშო, ადგილზევე გაქვავდა. ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგა წინ. მოხუცის მკერდში გულმა ჩიტივით დაიწყო ფართხალი, დიდი გაჭირვებისა და უბედურების დროსაც არავის უნახავს ახმედის თვალებზე ცრემლი, მაგრამ როცა ასლანმა მკერდში ჩაიკრა საყვარელი მამა, ახმედის თვალებიდან თითქოს ცრემლების შადრევანმა გადმოხეთქაო... ტიროდა მოხუცი ახმედი. დაღვრილი ცრემლებისაგან ახმედის მკერდში სიმშვიდემ დაისადგურა. უსაზღვრო აღელვების შემდეგ სხვ-

ულის საშინელი მოთენთვა იგრძნო. ფეხზე ძლივს იდგა და მრავალ ქარცეცხლში ვამოვლილი ჰაღარა თავი ასლანის განიერ მკერდზე ისე მიეყრდნო, თითქოს იქ ნახა თავის ცხოვრების ნავსაყუდელიო.

სოფელში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა: „ასლან ფუტკარაძე ჩამოვიდა“, „მაიორი ფუტკარაძე ჩამოვიდაო“, და კოლმეურნეობის კანტორის წინ ათობით ნათესავი, მოგვარე თუ თანასოფლელი შეგროვდა. გზადაგზა ასლანი მეგობრებთან ერთად ტკბებოდა მშობლიური სოფლის სილამაზით და იმ ცვლილებებით, რომლებმაც ნამუხარს წინსვლისა და სიკეთის წარუშლელი დაღი დაატყო.

— როგორ შეცვლილა აქაურობა, როგორ გაზრდილა ჩვენი სოფელი! ალბათ, ახლობლებსაც ველარ ვიცნობ.

— კი, შვილო, ისინიც გამოიცვალნენ, სოფელიც გამოიცვალა! — ეუბნებოდა ახმედი და თვალს არ აშორებდა თავის ვაჟკაცს. გზად თინათინი შემოხვდათ. ასლანი ისე დააცქერდა მას, თითქოს რაღაცას იხსენებსო. ახმედი მიუხვდა შვილს:

— ვერ იცანი? ჯემალ გორგილაძის უფროსი ქალიშვილია.

— თალიე?!

— თალიე აღარ ჰქვია, ახლა თინათინია!

თინათინი ახალმოსულს დააკვირდა, იცნო და სიხარულით შეჰყვირა:

— ვაიმე, ასლანი!

— გაბსოვს, გოგო, ხელით რომ გატარებდი?

— ახლაც ხელის გულზე ჰყავთ და ისე ატარებენ... მარტო სოფლის კი არა, მთელი რაიონის სიამაყეა, — განუმარტა ახმედმა.

— ყოჩაღ თალიე!

— თინათინი!

— ბოდიში... თინათინ!

— ჩვენი სოფლის და მთელი რაიონის სიამაყე მე კი არა, აი ვინ არის, ბიძია ახმედ!

თინათინმა ახმედს შვილზე მიუთითა და ასლანის მკერდზე ჩამწკრივებულ ორდენებს და მედლებს დაუწყო თვლა. სად იყო და სად არა, ცენტერაძე გამოჩნდა, ახმედს სალამი მისცა და ასლანს დააკვირდა.

— მომკალი ვინცხამ... სპეციალურად... მოჩვენებაა თუ სიზმარი... ღმერთმანი, ცხადია, ასლანი, ჩვენი ასლანი, — მაიორი!

ცენტერაძემ ისე მაგრად ჩამოართვა ასლანს ხელი, რომ თვითონვე ეტკინა.

— როგორ ხარ, ილიკო, ისევ მოანგარიშედ მუშაობ?

— აჰ, როგორ გეკადრება, ასლან! — საანგარიშო საქმეში მეც მაიორი ვარ... კურსები დავამთავრე, უკვე სამი წელიწადია კოლმეურნეობის ბუღალტერი გახლავარ.

ამასობაში კონტორასაც მიუახლოვდნენ. იქ თავშეყრილი თანასოფლელნი სიყვარულით შემოეხვივნენ ასლანს და ჩამოსვლას ულოცავდნენ.

ჯერ ჯემალ გორგილაძე და ასლანი გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ კი სხვები იხუტებდნენ ძვირფასს თანასოფლელს.

— როგორ ხართ, ძვირფასებო, თქვენი ნახვის ნატვრა ამისრულდა.

ასლანი ყველას გულთბილად ესალმებოდა. ცენტერაძემ თინათინი ცალკე გაიხმო და ნადიმის შესახებ დაუწყო საუბარი, ხომ არაფერს იწერებაო. თინათინმა გულმოსულად უპასუხა:

— გთხოვთ, ნადიმის სახელი აღარ მიხსენოთ!

— ბოდიში, ბატონო, ასე რამ შეგაძულა, ექიმი ქალი შეიყვარა, კაცი ხომ არ მოუკლავს...

გაბრაზებულმა თინათინმა პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო, რადგან ასლანი გამოესაუბრა.

— თალიე... უკაცრავად, თინათინ! მამაშენი მართალს ამბობს, თინათინი სასწაულად არსად არ მიდისო?

— მე კი არა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ძვირფასი ასლანიც არსად არ წავა, ჩვენთან დარჩება და თავის ცოდნასა და გამოცდილებას სოფელს მოახმარს.

— გოგო, მთელი საბჭოთა კავშირი, ნახევარი აზია და ევროპა ფეხით შემოუვლია, მთელი მისი ცხოვრება დიდ ქალაქებში გაატარა და ახლა პატარა სოფელში ასახლებ? — შეესიტყვა ჩვეული მაამებლური ტონით ცენტერაძე თინათინს, მაგრამ ნამდვილად ასლანის გასაგონად თქვა.

— დიდი ქალაქი პატარა სოფლის გარეშე იგივეა, რაც მარცხენა უმარჯვენოდ და, პირიქით, — მიუგო თინათინმა.

— ოჰო, შენ აღარ ხუმრობ! ალბათ, ბრძანებასაც გამოუშვებ იმის შესახებ, რომ სოფლიდან აღარ გამიშვან, — იხუმრა ასლანმა.

— ბრძანების რა მოგახსენოთ და თხოვნით კი უეჭველად გთხოვთ. სოფელს თქვენისთანა ადამიანები სიცოცხლეს შემატებენ: სოფლის სიცოცხლე ხომ ქალაქთან ერთად ჩვენი ქვეყნის სიცოცხლეა.

შერიფსა და ნოდარს არ მოეწონათ თინათინის ასეთი სითამამე.

— ხედავ რა ამბავშია?!

— მაგრამ რას იზამ, ენა მანქანასავით აქვს აწყობილი, თუ შოუშვა, აღარ გააჩერებს, — დაიწყო შერიფმა.

— გინახავს ასეთი? მაიორ კაცს თოხს თავაზობს, მიწა ჩიჩქნეო, — დაუმატა ნოდარმა.

— მაგი რაა, — განაგრძო შერიფმა, — ამას წინათ თურმე მთელი ერთი ჰექტარი განცხადება დაწერა და მთავრობას გაუგზავნა, სოფლის მეურნეობის ის სპეციალისტები, რომლებიც ქალაქში მოკალათებულან, სოფელში გამოგზავნეთო.

— კი იზამდა.. ახლა ქალაქს მიწვდა, იქაც არ აძლევს ხალხს მოსვენებას... — წამოიძახა ვიღაცამ ქალიშვილების მხრიდან.

— კაპასმა ქალმა ძაღლი დააბა და ისე ააყეფაო, — კვლავ დაიწყო შერიფმა. — იციან, თქვენ რა თქვა მერი ექიმმა? თინათინი სწორია, მე თუ ქალაქელი სოფელში გამომგზავნეს სამუშაოდ, თქვენ რატომ უნდა წახვიდეთ ქალაქშიო.

— აგერ თვითონ ქალბატონი მერიც! — დამცინავად მოისმა ისევ ქალიშვილების მხრიდან.

მერი სამუშაოდან ბრუნდებოდა. ტანთ ნამუხარში შეკეცილი კაბა ეცვა — სადა და შნოიანი, ოდესღაც პრეტენზიებით სავსე გარეგნობა სამოსის მხრივ, ადგილობრივი პირობებისათვის შეეფარდებია და მშვენიერი სანახავი იყო. მშვენიერი იყო იმიტომ, რომ საკუთარი სიმშვენიერე გაეთავისუფლებინა ზედმეტი გარეგნული ძორთულობისაგან.

მერის ყველა პატივისცემით მიესალმა. ასლანი და მერი ერთმანეთის დანახვისთანავე ადგილზევე გაქვავდნენ. ისინი

ერთმანეთს ისე უცქერდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ და თითქოს არ ჯეროდათ, რომ მხოლოდ აქ შეხვდნენ ერთმანეთს.

— გაიცანით, — მიმართა ჯემალმა ასლანს, — ეს ქალიშვილი ჩვენი ახალი ექიმია, — შემდეგ მერის მიუბრუნდა, — ეს კი ჩვენი გმირი თანასოფლელი, ჩვენი სიამაყე ასლან ფუტკარაძე გახლავთ.

ასლანმა და მერიმ მოწიწებით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

— თქვენ მგონი თბილისიდან ბრძანდებით?

— დიახ!

— სასიამოვნოა!

— რა არის სასიამოვნო? თბილისის შემდეგ აქ ყოფნა? — ღიმილით. მაგრამ გამომწვევად შეეკითხა მერი ასლანს.

— მესმის, კარგად მესმის, — უპასუხა ასლანმა, მაგრამ რას იზამთ. ასეც ხდება. გულს ნუ გაიტეხთ. აი. მაგალითად. ჩვენი თალიე, ბოდიში თინათინი მეც სოფელში მტოვებს. თქვენ როგორ ფიქრობთ, დავემორჩილო თინათინის განკარგულებას.

— თქვენი ნებაა!

— ხედავთ, ბიჭო, როგორ ეკურკურება ასლანი ამ ჩვენს ექიმ ქალს? — გამჭირდავად მიმართა შერიფმა ნოდარს.

— ეტყობა ძალიან მოეწონა! — ჩაილაპარაკა ნოდარმა.

— რატომ არ მოეწონება, ქარხანასავით აწყობილი ქალია.

— მეზობლებო, მეგობრებო, — დაიწყო ახმედმა, — გთხოვთ, — ჩემი სიხარული თქვენც გაიზიაროთ. წამობრძანდით! — ახმედმა ყველა იქ მყოფი ოჯახში მიიპატიჟა.

* * *

— საომარი იერიშების ოსტატმა ვეღარ გაუძლო ჩვენს იერიშებს და ფარხმალი დაჰყარა. დღეიდან ასლანი ჩვენი კოლმეურნეობის ბრიგადირია.

— რას ამბობ, თინიკო?! — აღტაცებით წამოიძახა მერიმ და ამავე დროს გაკვირვების იერმა გადაკრა სახეზე.

— კიდევ ერთი კარგი კაცი შეემატა ჩვენს სოფელს, — ამაყად თქვა თინათინმა და სიხარულისაგან თვალები შუქურა-

საკით აუბრწყინდა. — თავმჯდომარედ აირჩევდნენ მაგრამ არ ჰქნა, ჯერ ბრიგადირობა ჯობიაო. მერიკო, დღეს ორ-ჯერ გიკითხა ასლანმა, როგორ არის, კვლავ ხომ არ მოიწყინა თბილისზე ფიქრითო, — ცბიერად უთხრა და გამომცდელი თვალით გადახედა მერის.

— სანამ აქა ვარ, — ნაღვლიანად დაიწყო მერიმ, — განა ოდესმე იქნება ისეთი წუთი, რომ თბილისზე არ ვიფიქრო? ეჰ, თბილისი, ჩვენი თბილისი...

— კიდევ ვის შესახებ ფიქრობ? — ჩაურთო თინათინმა.

— დედა, მამა, მეგობრები... იცი როგორ მენატრება ბათი ნახვა?

— მეტი არავინ დაგრჩა თბილისში?

— იყო და ახლა აღარ არის.

— ვინ იყო და რატომ აღარ არის? — არ ეშვებოდა თინათინი.

— რომ იცოდე, ვინ იყო!.. ირაკლი ვარკაციშვილის ვაჟიშვილი, თბილისის ახალგაზრდობის თვალსაჩინო წარმომადგენელი... მაგრამ ამაზე ლაპარაკიც აღარ ღირს. ჩვენს შორის შავმა კატამ გაირბინა და ყველაფერი გათავდა.

— ასლანი შემეკითხა: ჰყავს თუ არა ვინმეო. არა-მეთქი, ვუთხარი, სწორად მითქვამს?

— ეგ სწორია, მაგრამ ასლანის შეკითხვაა უცნაური, — ჩუმი ხმით უპასუხა მერიმ და ასლანის გახსენებაზე რაღაც გამოუცნობმა სითბომ დაუარა სხეულში.

— უცნაური ის იქნებოდა, შენ და ასლანი ერთმანეთს რომ არ შეხვედროდით.

— რას ამბობ, თინა?!

თინათინმა დრო იხელთა და ახლა უკვე პირდაპირ შეეკითხა მერის:

— მაგრამ ნადიმი? სულ დაივიწყე?!

მერის გაკვირვებისაგან წარბები აუთამაშდა.

— ნადიმი რა შუაშია?!

— რაც აშკარაა, საიდუმლოდ რატომ ინახავ? უმჯობესია, მართალი მითხრა, თქვენ, თურმე კარგახანია მეგობრობთ.

როგორც იქნა, თინათინმა გადმოულაგა გულისნადები.

მერი ერთხანს გაკვირვებული შეაყურებდა თინათინს, შემდეგ ხელები შემოხვია, სიყვარულით ჩააცქერდა თვალებში და ღიმილით უთხრა:

— თურმე, თვითონ არა ხარ დარწმუნებული და, ალბათ, სხვის მოგონილ ჭორებს აჰყევი.

ეზოდან ძაღლის ყეფა მოისმა. თინათინმა და მერიმ ფანჯრიდან გადაიხედეს და ეზოში შემოსული ასლანი დაინახეს.

თინათინი ფანჯარას მოსწყდა და გარეთ გავარდა, მერი ღია ფანჯარასთან იდგა და ამწონავი მზერით უცქერდა ასლანს, რომელსაც თინათინი შეეგება და სახლისაკენ წამოუძღვა. როდესაც ასლანი ოთახში შემოვიდა, მერიმ რატომღაც უხერხულად იგრძნო თავი, თითქოს რაღაც ცუდ საქმეში გამოიჭირესო, თვალები მორცხვად დახარა, სახეზე ალმური მოედო და გულისძგერამაც უმატა, მერის დანახვაზე კი ასლანს ძარღვებში ჭიანჭველები შეესია და ერთხანს ფეხიც ვერ მოიცვალა ადგილიდან... თავს ისე გრძნობდა, როგორც დაძნაშავე მოსამართლის წინაშე. უხერხულობიდან ისინი ისევ თინათინმა გამოიყვანა.

— რა კარგ დროს მობრძანდით, ასლან! მერი დღეს ძალიან გვიან დაბრუნდა სამსახურიდან და ჯერ არ უსადილია. მეც იმდენი ველაპარაკე, რომ ჭამა ორივეს გადაგვავიწყდა. სანამ თქვენ აქ ისაუბრებთ, მე ვახშამს მოვამზადებ და ერთად ვივახშმოთ, კარგი?

— სიამოვნებით...

როგორც იქნა, ამოიდგა ენა ასლანმა. თინათინი გავიდა და ვახშმის სამზადისს შეუდგა. მერიმ სკამი შესთავაზა ასლანს და თვითონ კი ისევ ფეხზე დარჩა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ მაგიდასთან. ჯერ თითო-ოროლა სიტყვით მიმართავდნენ ერთმანეთს, მერე უფრო წათამამდნენ და საუბარიც გაიბა.

— ძე მაინც ვერ წარმომიდგენია, რომ ადამიანმა თავისივე სურვილით აირჩიოს ცხოვრების ის პირობები, რომელზეც თქვენ დათანხმდით. მე, მაგალითად, განაწილებაში მოვხვდი და ძალაუნებურად ვარ აქ. მაგრამ თქვენ ვინ გაიძულათ?

ასლანმა ჯერ თვალებით გაზომა მერი, თან იმ თვალებში ისეთი მზე იდგა, რომ ქალმა თვალი ვერ გაუსწორა, შემდეგ

ასლანმა ფანქარი ასწია, ჰაერში შეატრიალა და ზედ მხოლოდ ორი სიტყვა დააყოლა:

— სინდისმა, მოვალეობამ...

— სინდისმა?! მოვალეობამ?!

— ნუთუ ასე გძულთ აქაურობა? — წყენით მიმართა ასლანმა.

— წარმოიდგინეთ, მე უკვე შევეჩვიე კიდეც აქაურობას, აქაურებსაც. მეგობრებიც შევიძინე... განსაკუთრებით თინათინი. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ სოფლად ასეთი ადამიანები იქნებოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც საშინელი მოწყენილობაა.

— თქვენ მართალი ხართ, — დაეთანხმა ასლანი. — მაგრამ მოწყენილობის მიზეზი ისევ ჩვენა ვართ. განა არ შეიძლება უფრო მხიარულად გავატაროთ თავისუფალი დრო? მაგრამ ერთმანეთს გავურბივართ, კარჩაკეტილად ვცხოვრობთ და მოწყენილობაც იწყება.

ასლანი დადუმდა, მაგრამ ძალა მოიკრიბა და ისევ ვანაგრძო: — ჩემი მოწყენილობის მთავარი მიზეზი კი...

მერი სმენად იქცა, მაგრამ ასლანი კვლავ დადუმდა.

— ჰო, რა არის? — მოუთმენლად შეეკითხა მერი.

— რა არის კი არა, ვინ არის...როდესაც ვერ ვხედავ, მოწყენილი ვარ.

— ვინ არის იგი, ასლან?

— ვინ იქნება, როგორ გგონიათ? —შეეკითხა და პასუხის მოლოდინში თვალი აარიდა მერის, ერთ წერტილს მიჩერებოდა და ფანქრით ნერვიულად აკაკუნებდა მაგიდაზე.

— რა ვიცი, კაცის გული ისეთია, რას არ დაიტევს, — მორცხვად უპასუხა მერიმ, მაგრამ ამ სიმორცხვეში ეშმაკობა უფრო მეტი ჩანდა, ვიდრე მორცხვობა.

— ჩემს გულში მხოლოდ ერთადერთი და განსაკუთრებული კუნჭულია ასეთი მაღალი გრძნობისათვის, — თანდათან სულ უფრო სითამამე ემატებოდა ასლანს, — და ამ კუნჭულში უკვე დაისადგურა იმან, ვისაც მეგობრის სახით ვეძებდი მთელ ჩემს ცხოვრებაში.

— ნეტავი ვინ არის... ბედნიერი?..

მოულოდნელად წამოცდა მერის და ენაზე იკბინა. ასლანმა მერის ეს სიტყვები გამომწვევად მიიღო, იმედის მომცემ გამომწვევად და მღელვარებისაგან ფეხზე წამოდგა. მერისთან ახლოს მივიდა. მის ყურთან დაიხარა და რაღაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ ამ დროს თინათინი შემოვიდა, ნამუხარის კოლმეურნეობის ფერმის გამგის რიფათ კონცელიძის ქალიშვილთან ერთად, ქალიშვილებს სახეზე ოფლი სდიოდათ, ღრმად და ხშირად სუნთქავდნენ, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და, მერი რომ დაინახეს, ერთბაშად დაწყნარდნენ.

— მერი, ექიმო!.. — დაიწყო რიფათის უფროსმა ქალიშვილმა აიშემ, — მაგრამ სიტყვა ვეღარ დაამთავრა და თინათინი მიეშველა.

— ჩვენი ფერმის გამგე სახურავიდან გადმოვარდნილა და ფეხი ულრძია, ძალიან გაუსივდაო...

— თქვენთან გამომგზავნეს, — დაუმატა უმცროსმა სემაეთმა, — თუ შეიძლება ინახულეთო.

— ამ წუთში წამოვალ!

მერიმ მედიკამენტები სასწრაფოდ ჩანთაში ჩააწყო და როცა წასასვლელად გამზადებულმა კარებისაკენ მიიხედა, თინათინი და ქალიშვილები უკვე აღარ ჩანდნენ. ასლანმა საათზე დაიხედა და მერის მზრუნველობით მიმართა:

— უკვე საღამოს ათი საათია... დილიდან დაწყებული ჯერ არ დაგისვენიათ და ისევ ავადმყოფი უნდა ინახულოთ. ივახშმეთ მაინც და ისე წადით, მე გაგაცილებთ.

— მადლობელი ვარ ყურადღებისათვის... — თავაზიანად მიუგო მერიმ.

რაც შეეხება ვახშამს... მერის ჯერ არც კი ესადილა... იმ დღეს ბევრი იმუშავა და რადგან შედეგით კმაყოფილი იყო, შიმშილსა და დაღლას მაინც არ გრძნობდა.

— თქვენი შრომა ყველაზე უფრო პატივსაცემი და კეთილშობილურია, — დაიწყო ასლანმა, — მამაჩემს ხშირად უთქვამს: ექიმი ყველაზე დასაფასებელი ადამიანიაო და ამაში მეც ვეთანხმები. იმ დღეებში, როცა ჩემი ავადმყოფობის გამო ჩვენსას დადიოდით, მთელ ოჯახში ღმერთქალად გთვლიდნენ... როგორც კი გამოჩნდებოდით, მამა იტყოდა, ჩემი ანგელოზი მოვიდაო.

— მაგრამ თქვენ თვალებანთებული შემომხედავდით და ნაცვლად ანგელოზისა...

სიტყვა აღარ დაამთავრა მერიმ და ღიმილით გადახედა ასლანს.

— მაინც ანგელოზს ვხედავდი.

ამ სიტყვებში მერიმ აშკარად შენიშნა, თუ როგორ ამეტ-ყველდა ასლანის ამდენხანს თითქოს უჩინარი და მდუმარე გრძნობა. ისინი თვალებში შეჰყურებდნენ ერთმანეთს და რა-ღაც უხილავი ჯადო ვაეს ქალიშვილისაკენ ეწეოდა, კიდევ ცოტა და მანძილი მათ შორის სულ დაილია, ისე დაილია, რომ მათი სუნთქვა და გულის ძგერაც, ალბათ, სრულებით გაერთი-ანდებოდა, რომ კარებში ისევ თინათინი და სემაეთი გაჩოჩდ-ნენ.

— ვაიმე, ავადმყოფი სულ დამავიწყდა, — უცებ გამოერ-კვა მერი, — პატივცემულო ასლან, თქვენ მე გაცილებას დამ-პირდით.

— თქვენს განკარგულებაში ვარ, — ძლივს წარმოთქვა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ასლანმა.

— წავიდეთ! — მოკლედ მოუჭრა მერიმ და კარებისაკენ გაემართა.

* * *

მიწაზე გაშხლართული ფერმის გამგე რიფათ კონცელიძე საშინლად იგრიხებოდა, ეტყობოდა, მაგრად დაეცა და ორივე ფეხი იღრძო.

რიფათის ცოლმა ზულფიემ საშინელი კივილი მორთო. მის კივილზე თითქმის ნახევარმა სოფელმა მოიყარა თავი. ყვე-ლაზე მეტად ილიკო ცენტერაძე აქტივობდა, მისი განკარგუ-ლებით რიფათ კონცელიძეს ხელი არ ახლეს... ექიმის მოსვლა-მდე ასე იყოსო და რიფათის ქალიშვილები აიშე და სემაეთი მერისთან აფრინეს.

ექიმის მოლოდინში საკვირველი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მარტო აიშე დაბრუნდა გორგი-ლაძეების სახლიდან და ამბავი მოიტანა: ექიმი მალე მოვა სე-მაეთთან ერთადო. როცა საკმაო დრომ განვლო და მერი არ გამოჩნდა, ხალხში უკმაყოფილება დაიწყო.

— სად არის ამდენხანს?

— გაგონილა ასეთი უყურადღებობა?!

— ალბათ თავის მორთულობას გადაყვა. სანამ კარგად არ გამოიპრანჭება, ისე როგორ გამოვა გარეთ, — იძახდნენ ქალები.

— ექიმი კი არა, ცირკის არტისტია.

— ნეტავი ვიცოდე, ვინ მისცა მაგას ექიმის დიპლომი, — ლუნჯობდნენ ვაჟები.

— კი, მაგრამ ამდენ ხანს მაინც სადაა? — აღშფოთებული ტონით დაიწყო ცენტერაძემ და აიშეს მიუბრუნდა — ლოგინში ხომ არ გაგიღვიძებიათ ის დალოცვილი. იქნებ ისევ ჩაებინა?

— ლოგინში რა უნდოდა ასე ადრე... თავის ოთახში იყო ვამოპრანჭული და ასლანს ელაპარაკებოდა.

— რომელ ასლახს?

— ფუტკარაძეს.

ასლანის ხსენებაზე ცენტერაძე ენად გადაიქცა.

— ესაა საქმე? ესაა ექიმი? ფუი, დაწყეველოს ღმერთმა, ჯერ იყო და ნადიმ დეკვაძე კინაღამ გააბა მახეში... ასლა, ხედავთ, სად გაუგდია ანკესი?! აჰ, აქედან არაფერი გამოვა, არშიყობაში გართული ქალის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს, რაცხა სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ.

— რას მიშვრებით. სანამდე უნდა ვეგდო უპატრონოდ... სად დაკარგეთ სინდის-ნამუსი... მიშველეთ რამე, თქვენ ბართლა უნამუსოებო, ვაიმე, მოვკვდი, გავთავდი კაცი! — ველარ მოითმინა რიფათმა.

მერე ისევ კვნესა დაიწყო და საშინელი ტკივილებისაგან ხელებს ფრთებმოტეხილი ფრინველივით ასავსავებდა.

დრო გადიოდა. მერი კი არ ჩანდა.

ამ დროს ეზოში „ზიმი“ შემოსრიალდა. მანქანიდან რიფათის ძმისშვილი რამაზ კონცელიძე გადმოვიდა.

ცენტერაძე პირველი მიიჭრა რამაზთან და, სანამ რამაზი ოავის დაშავებულ ბიძასთან მივიდოდა, ცენტერაძის კარნახით უკვე იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა — რიფათი სასწრაფოდ ბათუმში უნდა წაეყვანა, კარგ სპეციალისტებთან.

ხუთი წუთის შემდეგ რამაზი თავის ახალ „ზიმს“ ბათუმი-

საკენ მიაქროლებდა. ამასობაში მერიც მოვიდა ასლანისა და სემაეთის თანხლებით, მაგრამ გვიანღა იყო. ექიმს უხეშად შეხვდნენ და სათქმელიც არ დააკლეს.

მერის ფერი ეცვალა და, ალბათ, გული წაუვიდოდა, ასლანი დროზე რომ არ მიშველებოდა. რიფათის ცოლი მაინც არ ცხრებოდა, არც მისი ნათესავები იკავებდნენ თავს. გულმოსულმა ასლანმა ბრაზით გადახედა მათ, ხელი წაავლო მერის და უკანვე წამოიყვანა.

* * *

თინათინმა ვახშამი გაამზადა და სუფრა მერის ოთახში გააწყო. წიგნი აიღო, სუფრასთან დაჯდა და მერისა და ასლანის მოლოდინში კითხვა დაიწყო. რამდენიმე ფურცელი რომ მოათავა, აღარ ახსოვდა რა წაიკითხა, რადგან თავში სულ სხვა აზრები უტრიალებდნენ. „ჭორებს აჰყევიო... ნუთუ მართალი მითხრა?.. — ჩააფიქრა თინათინი მერის სიტყვებმა. — ეს თუ ასეა, მაშინ ცენტერაძე ხომ მატყუარა ყოფილა, ნადიმი კი... ეეხ, ვერაფერი გამიგია.., თუმცა ჩემი რა ბრალია. ამ ორი კვირის წინ ნადიმის წერილი გაუხსნელად რომ დავაბრუნე? ვინ იცის, რას იწერებოდა. რატომ ვარ ასეთი უკუდო ამპარტავანი! ამბობენ რამაზს უყვარხარო. დღეს ცენტერაძე გამომიგზავნა. პასუხს ველიო, რა ვუპასუხო? რამაზი კარგი კაცი რომ იყოს, მაშინაც უარს ვეტყოდი... განა ასე ადვილია ამ ოხერი გულიდან ნადიმის ამოგდება? რამაზი საკუთარით „ზიმით“ ჩამოვიდა რუსეთიდან, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იყოო.

სინამდვილეში ხილით და ქარხნიდან მოპარული ღვინით ვაჭრობდა, სპეკულანტია. ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ სხვები რატომ ვერ ხედავენ?“

კარები გაიღო და მერი და ასლანი შემოვიდნენ. თინათინმა ისინი სუფრასთან მიიპატიჟა. მერი და ასლანი უსიტყვოდ შემოუსხდნენ სუფრას. თინათინი გაკვირვებით მიაჩერდა ასლანს, რომელსაც ნათლად ეტყობოდა უგუნებობა. მერი თავჩაღუნული იჯდა, ცხვირსახოცს იფარებდა თვალებზე, თითებზე კი საშინელი ნერვიულობა ეტყობოდა, ბოღმისაგან გული მკერდში აღარ ეტეოდა. ბოლოს, ჩუმად ატირდა, შემდეგ გულამომჯდარი აქვითინდა და ეშხიანი თვალებიდან ცრემლები

წვიმასავით წამოუვიდა. ასლანი წამოდგა და ოთახში ისე გაიარ-გამოიარა, თითქოს ხაფანგში მოექცა და თავის დასაღწევ საშუალებას ეძებსო. თინათინი ვანცვიფრებული უყურებდა ორივეს და, ბოლოს, ასლანს ჰკითხა:

— რა მოხდა, რა დაგემართათ?!

— ყველაფერი ჩემი ბრალია, — დამნაშავის ტონით დაიწყო ასლანმა, — თქვენ არავითარი ბრალი არ მიგიძღვით იმათ წინაშე. სულ რამდენიმე წუთით დაიგვიანეთ და ერთი აშბავატეხეს, რატომ არ მოიცადეს თქვენს მისვლამდე? ავადმყოფი ბათუმში რისთვის წაიყვანეს? აქედან ბათუმამდე ერთი საათის გზაა. ერთ საათში თუ არაფერი მოუვა, რამდენიმე წუთში რა დაემართებოდა?.. მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია, როგორც ვატყობ. ვიღაც ცუდად არის თქვენდამი განწყობილი და ხელს უსინდისოდ ურევს. მაგრამ, მერი, მერწმუნეთ, თქვენს თავს აქ არაკის დავაჩაგვრინებ.

ასლანის სიტყვებმა მერის გული აუჩუყა და ბავშვივით ატირდა. ტიროდა მერი და თან არ იცოდა, როგორ აერიდებინა თვალი ასლანისათვის.

ასლანი მიუხვდა, ბოდიში მოიხადა, თავაზიანად გამოემშვიდობა ორივეს და ნელი, მძიმე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

ასლანის წასვლის შემდეგ ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, მერის და თინათინს ათამდე ქალმა მოაკითხა.

მათ დანახვაზე მერის ფერი ეცვალა, ალბათ ჩემთან საჩხუბრად მოვიდნენო.

არც შემცდარა. მოურიდებლად ზოგი სკამზე დაჯდა, ზოგი ტახტზე, ზოგი მერის საწოლზე მოეწყო და ერთმანეთს უცქერდნენ. აბა, რომელი დავიწყებთო. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა ისევ ზულფიე კონცელიძემ ითავა. ჯერ გიგონებს გადახედა, მერე ოთახს მოავლო თვალი, თინათინი თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა და, ბოლოს, მერიზე შეაჩერა ბრაზით სავსე თვალები, ტუჩები მოილოკა და აქაქანდა:

— ვინ ხარ, ვინ მოგიპატიჟა, ოფოფივით რომ დასეირნობ ჩვენს სოფელში და კაცებს გვირყვნი! რა ექიმი ხარ, რის ექიმი ხარ, მითხარი! თფუი, შეგირცხვეს ქალობა. იმხელა ქალაქიდან საარშიყოდ ჩამოხვედი? მთელი დუნია გაიძახის: ნადიმი

გაუფრინდა ხელიდან, ასლა ასლანს დასდევსო. ავადმყოფისათვის სად გეცლება, როცა საარშიყოდ არ გყოფნის დრო. მთავრობამ იმისათვის კი არ გამოგგზავნა აქ, ტანსაცმლით ვაგვაკვირვო, ბევრი გვინახავს შენისთანები.

— რა ამბავია, რას ჰგავს ეს? ასე როგორ შეიძლება? — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა სიტყვა თინათინმა და მერის გვერდით ამოუდგა.

— თინათინ, — წამოიძახა ფერიდეს დედამ, — კარგად იცი, ალიოსმან ირემაძის ქალი ვარ და ჩემი ოჯახის საქმეებში ჩარევას არავის ვაპატიებ, შენთვისაც მოვიცლით. შენ ცალკე მოგელაპარაკებით.

— გეყურბანე თუნთულ, სწორი ხარ, — ღაიწყო ისევ ზულფიემ — ჩვენ ჯერ ამასთან გვაქვს საქმე, — თითი უჩვენა მერიზე და კვლავ განაგრძო, — ვინ მისცა საბჭოთა ექიმს იმის უფლება, რომ კაცს დროზე არ მიხედოს. შენს მოლოდინში ჩემი კაცი ორ საათს ეგდო მიწაზე. დიდ ფულს მოგცემთო, რომ შემოგვეთვალა, ალბათ, ჩიტს მოასწრებდი. კიდევ კაი, რამაზმა გამეიარა თავისი მაშინით და ბათუმს წაიყვანა ნამდვილ ექიმებთან, თვარა შენ ხელში ან ფეხს გაფშეკდა, ანდა ორივე ფეხით სამუდამოდ თოფალი დარჩებოდა. ახლაც შენი ბრალი იქნება, რამე რომ მოუვიდეს! შენ რომ არ ყოფილიყავი, შენს ადგილზე, ალბათ, ნამდვილი ექიმი გვეყოლებოდა...

— კმარა, ზულფიე! ეს უკვე მეტისმეტია! — შეჰყვირა თინათინმა და მკაცრად გადახედა ზულფიეს, რომელიც არ აპირებდა სათქმელის დამთავრებას, მაგრამ თინათინის მრისხანე გამომეტყველებამ მუხრუჭივით იმოქმედა ზულფიეზე, უცებ ლაღუმდა, მაგრამ იმწამსვე თუნთული წამოექომაგა,

— თინათინ, თვალებს ნუ აბრიალებ. ამ ბოლო ხანს ისე გათამამდი, რომ თვალში არავინ გიჩანს. ერიცახა გომბიო მთელი დუნიის საქმეებში ერევი და არც ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს ასვენებ. შენ იმას ვინ გკითხავს, რაც მთავრობას არ დაუვალებია. მთელი მილეთი სწავლაშია, და შენ კი სულ იმას გეიძახი, რომე სოფელში დარჩითო... რა უნდა ჩემს ფერიდეს სოფელში, მაშინ როცა ხუსეინის ქალიშვილმა საექიმო დაამთავრა და ბათუმში მუშაობს. ქესკინ ბერიძის ბიჭმა ინჟინრობის უმაღლესი დაამთავრა და ახლა ბაქოში ისეთ სახლებს აშე-

ნებს. რომე ფადიშახსაც არ დაეს.ზმრება. დელი ოსმანის ბიჭმაც კი ივარგა, ზღვის უმაღლესი დაამთავრა და ახლა მთელი ამერიკისა და ფერ.ინგის ქვეყანა შემოიარა, სტამბოლში ასჯერ იყო. მამამისი კი ისე დაბერდა. თიფლისიც არ უნახია. ჯემალ დიასამიძის შვილმა მოსკოვში მთავრობის კაცების უმაღლესი დაამთავრა და ახლა ბათუმშია მთავრობაში. თოფუზ დიასამიძის ბიჭს ნამუხარში ბატს არ ენდობოდნენ, მაგრამ იმხელა სასადილოს დირექტორია, შიგ მთელი დუნია დიეტევა. ისმაილ თურმანიძის უფროსი ვაჟი დიდი ნასწავლი კაცი გამევიდაო, იმხელა წიგნი დაუწერია, რომე ხუთ თვეში ვერ წეაკითხავთო. თემელ ვერძაძის ქალიშვილი ხარკოვში მუშაობს ექიმად. რეჯებ გორგილაძის ქალიშვილიც იმხელა ნასწავლი გამევიდა. რომე უმაღლესში ასწავლის და მთავრობაშიც კი ეირჩიესო. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ყველამ ისწავლა, სხვებს რატომ უნდა ჩამორჩეს ჩემი გოგო?! ვისზე ნაკლებია ჩვენი ოჯახი?! რომ დაგიჩემებია, უმაღლესში ნუ მიდიანო, რას ფიქრობ, თუ იცი?! შენ რისთვის გჭირდება. სწორ გზას რომ ააცდინო ჩემი ფერიდე? ერთი სული გვქონდა სანამ საშუალოს დაამთავრებდა და ახლა სახლში დავტიო? უმაღლესში რომ არ წევიდეს, მამამისი ღორივით დაკლავს... თავს არ შეირცხვენს ჩემი კაცი, ექიმი უნდა გემევიდეს ჩემი ფერიდე, ექიმი! იქნებ ვინმეს ჰგონია სოფელში დავტოვებ და ჩემსავით მიწას ვაჩიჩქნიებ? ვერ მოგართვით!

— აი, თურმე, რამ შეგაწუხათ და რისთვის მოსულხართ ჩვენთან, — მკაცრად შეაწყვეტინა თინათინმა ლაპარაკის მადაზე მოსულ თუნთულს, — მაშინ კეთილი ინებეთ და მეც მომისმინეთ... როგორც ვიცი, თქვენს ოჯახში უწინ ათი სული იყო, ახლა სამნი დარჩენილხართ. აგერ, ფერიდესაც გაუშვებთ და ორნი დარჩებით. ვინც ამ ოჯახიდან ქალაქში წავიდა, უკან არც ერთი არ დაბრუნებულა. ასეა სხვა ოჯახებშიც. სოფლიდან წასულები ქალაქს მიემატნენ და სოფელს კი ხალხი დააკლდა. ბევრი, ვინც ნამუხარიდან წავიდა და უმაღლესი დაამთავრა, უკან არ დაბრუნებულა... ზოგი მოსკოვშია, ზოგი ხარკოვში, ზოგი ბაქოში, ტაშკენტში და ვინ იცის კიდევ სად. ყველამ თუ-

ასე ქნა, მაშინ რა იქნება? თემელ ვერძაძის ქალიშვილი ხარკოვში მუშაობს ექიმადო... ნამუხარიდან წასულმა უკან დაბრუნება აღარ იკადრა და ხარკოვში დარჩა. თბილისელი კი ნამუხარში გამოგზავნეს... თქვენ მაინც არა ხართ ჩვენი ასალი ექიმის კმაყოფილი!

თინათინი ისეთი გრძნობითა და აღელვებული ლაპარაკობდა, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაცარიელდა ოთახი. თითქოს შეთქმულნი იყვნენო, ყველამ ერთად მიატოვა თინათინი და მერი. ნელნელა წამოდგნენ და თუნთულის და ზულფიეს მეთაურობით უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან.

თინათინს სიბრაზისაგან ნესტოები გაუფართოვდა, ტუჩები უკანკალებდა, მძიმედ სუნთქავდა.

* * *

მერი დიდხანს ფხიზლობდა, რამდენი არ ეცადა, მაინც ვერ დაიძინა, ფიქრები არ ასვენებდნენ. სინათლე ჩააქრო, მაგრამ ოთახში არ ბნელოდა, ფანჯრიდან შემოჭრილი მთვარის ნათელი და ჩრდილი რაღაც უცნაურ სურათებს ხატავდნენ.

— აგერ ლენინის მოედანი, ზევით ფუნიკულიორი... აგერ რუსთაველის პროსპექტი, ესეც ოპერის თეატრი, თბილისი, თბილისი, თბილისი...

უკვე ღამის სამი საათია, ნეტავი როდის ჩამეძინებაო, ფიქრობდა მერი და თითქოს ფუტკრებივით შემოსეულ ფიქრებს გაურბისო, ლოგინში ნერვიულად ტრიალებდა, თვალებს ხუჭავდა, რომ მთვარის შუქით მოხატული სურათები არ დაენახა...

მერი ფუნიკულიორიდან დასცქერის ღამის სიბნელეში ჩაძირულ, მაგრამ ვარსკვლავებით აციმციმებულ ქალაქს...

...აგერ, ელიზბარი სამსახურიდან დაბრუნდა და ერმონიას სიტყვები მერის ყურში ზარივით რეკავს: „რა ადამიანი ხარ, მითხარი, ამხელა კაცმა ასეთი პატარა საქმე ვერ მოაწყვე?! მეგონა ერთ-ორ კვირაში ყველაფერი გაკეთდებოდა, მაგრამ შენ ყურებსაც არ იბერტყავ, რა უნდა ამდენხანს ჩემს მერიკოს საღლაც მიყრუებულ პროვინციაში? ელიზბარ, ამ საქმეს დროზე მიხედე, მთელ ქვეყანას შევძრავ, ქვას ქვაზე დავადუღებ და ჩემსას მაინც გავიტან“.

აგერ ოპერა დამთავრდა და მაყურებლები ხმაურით გამოდიან თეატრიდან. ნინელის, ჟანეტას და მეგის მხოლოდ ერთი კავალერი ახლავთ. „თქვენი ხათრისათვის წამოვედი, თორემ „აბესალომ და ეთერი“ თექვსმეტჯერ მინახავს. ახლა კეთილი ინებეთ და ყველამ ერთად გამაცილეთ“. სიცილით იცინის ჟანეტა და მხიარულ სახეზე თვალები ვარსკვლავივით უბრწყინავენ, კავალერმა ტაქსი დაიჭირა და „ფარცხანაყანევის მადონას“ სახლისაკენ მიაცილებენ.

ეს ხომ თვითონ გივი ვარკაციშვილი გახლავთ. კი, გივია. ჯერ კიდევ თეატრის ფოიეშია და თავის ახალ დულციენეს ელაქუცება.

აგერ, გივი ჩვეული, ელეგანტური ჟესტით ბოიხარა წელში. სახელგანთქმულ მსახიობ ქალს ხელზე ეამბორა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მასთან ერთად და მარჯვნივ სახელოვან პოეტს გადაუგდო რამდენიმე სიტყვა, მარცხნივ აკადემიკოსს ჩამოართვა ხელი და ქართული ფილოსოფიის ისტორიის ავტორს მეცნიერისავე აგარაკზე მოშენებულ მარწყვის მოსავალზე დაუწყო საუბარი.

შემდეგ რამდენიმე ნაცნობს თავი დაუქნია, ერთ-ერთ მინისტრს მძიმედ მიესალმა, თეატრიდან გავიდა და დულციენე რუსთაველის პროსპექტზე თამარ მეფესავით ჩამოატარა. მამამისის „ზიმში“ ისე ჩაჯდა, თითქოს საკუთარი შარვლის ტოტებში გაეყაროს ფეხები, ქალიც გვერდით მოისვა და შოფერს შეკითხვაზე ხურდასავით მხოლოდ ერთი სიტყვა გადაუგდო:

— ორიანტი...

...ბორგავდა, ნერვიულობდა, მოწამლულივით ტრიალებდა მერი ლოგინში და თვალწინ ისევ გივი ვარკაციშვილი ეცხადებოდა. მეტი ვეღარ გაუძლო, ლოგინიდან წამოხტა, სინათლე აანთო, ჩემოდნიდან ალბომი ამოიღო, ალბომიდან გივის სურათები ამოჭყარა, ზიზღით დააცქერდა მათ და ნაკუწებად აქცია, ნაკუწები მუჭში დაბღუჯა და ფანჯრიდან გადაყარა.

ისეთი შვება იგრძნო, თითქოს მხრებიდან ძძიმე ტვირთი მოიხსნაო, ღრმად ამოისუნთქა, მაგიდასთან ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ისევ ფიქრებმა გაიტაცეს:„ რა უნდა აქ? რა დააშავა? რისთვის უნდა იყოს მერი აქ და ისინი იქ, თბილისში,

სადაც სიცოცხლე ჩქეფს და გადადუღს. ერთი თვის განმავლობაში ნამუხარში ოთხჯერ უჩვენეს კინოსურათი და მერის ოთხივე ნახახი ჰქონდა. ერთხელ კონცერტს დაესწრო კლუბში, ორჯერ კრებაზე იყო, ორჯერ სტუმრად გახლდათ, დანარჩენი დღეები კი მხოლოდ მუშაობა და მუშაობის შემდეგ — საშინელი მოწყენილობა.

მერის ფიქრები ახლა ასლანს დასტრიალებდნენ.

კოლმეურნეობის ბრიგადირი.

სად მერი და სად კოლმეურნე?

რასაკვირველია, წარმოუდგენელია, ფიქრობდა მერი, მაგრამ ასლანის სახე მაინც არ ასვენებდა.

ნუთუ თბილისელი ლამაზმანების დედოფალი გლეხკაცის ტრფიალს სამაგიერო გრძნობით უპასუხებს?

ო, ეს როგორ შეიძლება!

ყოვლად წარმოუდგენელი ზღაპარია! მაგრამ ერთი მერის გულში ჩაიხედეთ, ასლანს პატარა ადგილი როდი უკავია იქ.

ახლა თინათინი გაიხსენა, გაიხსენა და გულიც გაუნათდა.

მერი კარგად ხედავდა, რომ თინათინი მისთვის ყველაფერია.

იმ საღამოს თინათინმა ბოლომდე გამოამჟღავნა თავისი თავი. მეგობარიც ასეთი უნდა, ფიქრობდა მერი და თანდათან თვლემდა, ძილი ერეოდა, ძარღვებში სიმშვიდე იგრძნო, აღარ ნერვიულობდა, თავი წამოსწია, საფეთქლები დაისრისა, საათს დახედა. უკვე ოთხი იყო.

მამლის ყივილიც მოისმა.

მერიმ სინათლე ჩააქრო.

ლოგინში ჩაწვა და ღრმად ჩაეძინა.

* * *

თბილისში სიცხეები დაიწყო. კოჯორი, წყნეთი, მანგლისი, ბაკურიანი, წაღვერი, ბორჯომი, სურამი კვლავ გაივსო თბილისელი მოაგარაკეებით. ზოგი ზღვაზე წავიდა. ერმონიამ გადაწყვიტა ზაფხული ელიზბართან ერთად მწვანე კონცხზე ან ქობულეთში გაეტარებინა... უკიდურეს შემთხვევაში ბათუმში, ზღვის აბაზანებზე. ამის მთავარი მიზეზი მერი იყო. ერმონიას იმედი ჰქონდა, რომ ელიზბარი ბოლოს და ბოლოს შეიცოდებდა

თავის ერთადერთ ქალიშვილს („ავ თვალს რომ არ დაენახვება, ისეთ ქალიშვილს") და ახლა მაინც გამოიყენებდა ბათუბელ მუშაკებთან მეგობრობას... მერის გაათავისუფლებდა სოფელში მუშაობისაგან და თბილისში გადაიყვანდა...

მაგრამ ჩაეშალა ერმონიას საათივით აწყობილი გეგმები... ელიზბარი ავად გახდა... თითქმის მთელი ზაფხული იავადმყოფა, ერმონია ვეღარ მოშორდა თბილისს, ქმარს უვლიდა და ქალიშვილს სშირად სწერდა წერილებს იმის შესახებ, რომ მალე, სულ მალე დააბრუნებდა მერიკოს თავის საყვარელ თბილისში.

მერი კი ამ ხნის განმავლობაში შეეჩვია, შეეთვისა თავის მდგომარეობას და არცთუ ისე ცუდად გრძნობდა თავს, რომ ნამუხარში ყოფნის გამო ქვეყანა აეწრიალებინა, მით უმეტეს, დედამისი ყოველ წერილში თბილისში გადაყვანასთან ერთად ოქროს მთებსაც ჰპირდებოდა.

ერთ საღამოს მერი საავადმყოფოდან გვიან დაბრუნდა და ჯერ სახლში არ შესულიყო, ეზოში ორი უცნობი შემოიჭრა. მერის ეძებონენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ისინი გეოლოგები იყვნენ. სასწრაფო საექიმო დახმარება ესაჭიროებოდათ. გეოლოგიური პარტიის მუშაკს მოულოდნელად ბრმა ნაწლავის საშინელი შეტევა დაეწყო. ავადმყოფი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მისი ადგილიდან დაძვრა აღარ შეიძლებოდა და მხოლოდ სასწრაფო ოპერაცია თუ იხსნიდა სიკვდილისაგან. იგი გეოლოგიური პარტიის ბანაკთან ყველაზე უფრო ახლო მოსახლის ოჯახში დაეწვინათ და, ვინაიდან ნამუხარი რაიონულ ცენტრზე შედარებით უფრო ახლოს იყო, ექიმის წაყვანაც იქიდან ირჩიეს. ნახევარი საათის შემდეგ მერი და გეოლოგები გზას გაუდგნენ. ჩემოდანი საოპერაციო ხელსაწყოთი ერთ-ერთ გეოლოგს მიჰქონდა.

როგორც კი გასცილდნენ სოფელს, აღშართს შეუდგნენ. ბილიკი ისე ვიწრო და დაქანებული იყო, რომ გეოლოგები და მერი ძლივს მიცოცავდნენ. ოთხი კილომეტრი ასე უნდა ევლოთ. ჯერ ერთიც არ გაევლოთ, რომ სიბნელე ჩამოწვა და მთაში რაღაც იდუმალი სიჩუმე ჩამოვარდა, ცა უცებ მოიღრუბლა. გეოლოგებმა მოახლოებული წვიმა იგრძნეს.

გზას ფანრით მიიკვლევდნენ.

შორს სადღაც ძლიერად გაიელვა. განათებული და ღრუბლიანი ცის ფონზე უზარმაზარი მთების სილუეტები გამოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ ქუხილიც მოისმა. ახლა უფრო ახლოს იელვა. ჯერ ძლიერად იქუხა. შემდეგ კი გამაყრუებელი ჭახჭახი ისე გაძლიერდა, მერის ოატომღაც ვეებერთელა დევები მოეჩვენა. თითქოს ისინი ხარხარებენო. ტანში ჟრუანტელმა დაუარა და შეშინებულმა გეოლოგებს მაგრად ჩასჭიდა ხელი. უცებ ციდან უზარმაზარი დაკლაკნილი ელვის ისარი წამოვიდა და სადღაც ახლოს მიწაში ჩაესო. ჯერ რაღაც შემზარავი ჭახანი მოისმა, შემდეგ თითქოს ქვესკნელი ზევით ამოვარდა და ცა ქვესკნელში ჩაინგრაო, ჯოჯოხეთურმა გრუხუნმა გადააყრუა იქაურობა. მერისაც და გეოლოგებსაც ფეხი დაუცურდათ და წაიქცნენ. ეტყობოდა, მეხი ახლოს დაეცა. წვიმის რამდენიმე წვეთი წამოვიდა, მერე უფრო მოუხშირა, ცოტა კიდევ და ცისკენ ზღვა ჩამოეშვა.

ელვა. ჭექა-ქუხილი და თავსხმა წვიმის ხმაური აზანზარებდა მიწას. დაცემისას მერიმ მუხლი იტკინა. გეოლოგებმა წამოაყენეს, მაგრამ ტკივილი ძლიერ აწუხებდა, რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადადგა. ხის ხშირ ტოტებს ქვეშ შეაფარეს თავი, მაგრამ წვიმა მაინც არ ინდობდა მათ, წყალი ყველგან ეცლიდა. შეშინებულ და თავიდან ფეხებამდე დასველებულ მერის აკანკალებდა. წვიმამ ოდნავ იკლო, მერე სულ უფრო და უფრო შენელდა. ჭექა-ქუხილიც შორიდან ისმოდა. მერიმ ბედი დაიწყევლა, შურით გაიხსენა თავისი მეგობრები, ღრმად ამოიოხრა და, ალბათ, ტირილსაც დაიწყებდა, ამ დროს თანამგზავრები რომ არ გამოსაუბრებოდნენ. საშინელი ავდრის შემდეგ ირგვლივ რაღაც საამო მყუდროებამ დაისადგურა. ცა მოიწმინდა, ვარსკვლავები აკაშკაშდნენ და მალე მთვარეც გამოჩნდა...

ცისკარზე ოპერაცია დაამთავრა. გათენებისას ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე და ექიმი ამოვიდნენ. ავადმყოფი უკეთ გრძნობდა თავს, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. განყოფილების გამგემ და ექიმმა მადლობა გადაუხადეს მერის. მერი კი თავს შეუძლოდ გრძნობდა, მუხლი გაუსივდა და ძლივს ადგამდა ფეხს, ტანში ტეხდა, თავიც ატკივდა და მაჯისცემაც გაუხშირდა.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ და ექიმმა მერი დაბლობში ჩამოიყვანეს, მანქანაში ჩასვეს და რამდენიმე წუთში ნამუხარში იყვნენ...

მერიმ ერთ კვირას იავადმყოფა.

ახმედ ფუტკარაძის ოჯახი, განსაკუთრებით ასლანი და თინათინი სიყვარულით უვლიდნენ ავადმყოფ ექიმს.

გამოჯანსაღების შემდეგ გეოლოგიურმა პარტიამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო მერის.

თაიგულებით დაასაჩუქრეს, საქართველოს გეოლოგიური საბჭართველოსაგან კი ჯილდოდ მაჯის საათი მიიღო, საათზე ასეთი წარწერა ამოეჭრათ: „გულისხმიერ ექიმს. ამხანაგ მერი ელიზბარის ასულ დარსაველიძეს“. გეოლოგიური პარტიის მუშაკების თბილმა მისალმებამ და კეთილმა სურვილებმა მერი სიხარულის ცრემლებამდე მიიყვანეს და უზომოდ ნატრობდა, რომ იმ წუთში მისი მეგობრებისა და დედ-მამის თვალ-ყურამდე მიეღწია ამ შემთხვევას... ნატრობდა. იმათაც მოესმინათ ის გულთბილი სიტყვები, რომლებითაც ასე შეამკეს მერი დარსაველიძე.

ო, რა ამაყად გაისმის მერისათვის: „გულისხმიერი ექიმი მერი ელიზბარის ასული დარსაველიძე“.

მერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასლანს მერიზე ნაკლებ როდი უხაროდა. მერის ცხოვრების ამ ფრიად მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად ასლანმა ნამუხარში დიდი ქეიფი მოაწყო... და ამ ქეიფზე მერიმ სიტყვა მისცა ასლანს... ცოლად გაჰყვებოდა, თუ მერის მშობლებიც თანახმა იქნებოდნენ. ორი დღის შემდეგ მერიმ წერილი მისწერა მშობლებს.

მერი და ასლანი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს.

* * *

თინათინის მეგობრები უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად სხვადასხვა ქალაქებში წავიდნენ.

ოცამდე ახალგაზრდის წასვლამ სოფელს საკმაო დაღი დაჯსვა.

თინათინი ერთხანს გულდაწყვეტილი დადიოდა. მაგრამ შემოდგომის გახურებულმა სამუშაომ კვლავ გამოაცოცხლა და „მოღალატე“ მეგობრები თითქმის სულ დაივიწყა.

წასულთა შორის მხოლოდ ფერიდემ მოიწერა ბარათი. ჭალე ღვაბრუნდები ნამუხარშირ... ერთ-ერთ საგანში ცუდი ნიშანი მიეცო და ინსტიტუტში მოხვედრის იმედი აღარ ჰქონდა.

სექტემბერიც დაილია, მაგრამ შერიფმა და ნოდარმა მაინც არ იბრუნეს პირი სახლისაკენ.

თბილისში უკვე ორ ოვეზე მეტია არიან და ამ ხნის განმავლობაში კარგად შეისწავლეს მთელი თბილისი... ფუნიკულიორი, ოპერის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, გაღმა და გამოღმა: „დინამოს“ სტადიონი და რესტორნები: „თბილისი“, „ინტურისტი“, „საქართველო“, „ყაზბეგი“, „დარიალი“, ზემელი და ლაღიძის წყლები, უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების სადარბაზო შესასვლელები, ავლაბრელი სტეპკო და ნახალოვკელი პუზატა; „კირიჩნის“ გოგოები და „მამადავითის“ ბიჭები, „მიხაილოვსკი“ და „გალავინსკი“, ყველას დაუახლოვდნენ, ყველაფერი იგემეს და შეითვისეს. მოდი და ამის შემდეგ დატოვე „მზისა და ვარდების“ ქალაქი და ნამუხარში დაბრუნდი მშობლების გულის მოსაკლავად თინათინის გულის გასახარებლად. არა, ეს არ გამოვა, შერიფი და ნოდარი ორასოციანებს აღარ დაუბრუნდებიან! ანდა, რა პირით უნდა დაბრუნდნენ? აჰ, არ შეიძლება... სირცხვილისაგან სად უნდა გამოჰყონ თავი? მერე და, რა ჭკუის უნდა იყო, თბილისი დატოვო და ისევ...

— მოგცლია ბიძია, — შეუტია შერიფმა ნოდარს, — ფეხებიო რომ ჩამომკიდონ, უკან მაინც არ დავბრუნდები. შუა ზღვაში გემიდან ნავში გადავხტე?!

— უმაღლესში მოსაწყობად გამოტანებული ფული თითქმის სულ შემომელია, ათიათასიდან სამი დამრჩა... ესეც დაილევა და მერე რაღა ვქნა? — სევდიანად შესჩივლა ნოდარმა შერიფს.

— მე მაგდენიც არ დამრჩენია, მაგრამ ჯერჯერობით გამოსავალი კარგი მაქვს, წერილი მივწეროთ სახლში, ინსტიტუტში მოვეწყვეთ-თქო: თქვენი გამოტანებული ფული ამ საქმეს დაჭირდა და კიდევ ერთი იმდენი უნდა-თქო.

— ისიც რომ დაილევა, მერე რაღა ვქნათ?

— მერე, მე გიშველით, ბიჭებო!

გაისმა მეზობელი მაგიდიდან და შერიფი და ნოდარი თითქოს ქურდობაში დაიჭირესო, გაწითლდნენ, მაგრამ უცნობის მოღიმარმა სახემ გული მოულბო მათ.

ხალხით გატენილ რესტორანში უცნობი მარტო იჯდა მაგიდასთან. მეგობრების მოლოდინში ერთი ბოთლი ღვინო დაედგა და იმას შეექცეოდა.

— ჩვენთან გადმობრძანდით! — გაუბედავად შესთავაზა შერიფმა უცნობს და ფეხზე წამოდგა

— უმჯობესია მაგიდები გავაერთიანოთ, თორემ მეგობრებს ველი და მერე ადგილს ველარ ვიშოვით.

— სიამოვნებით! — უპასუხა შერიფმა და მაგიდები შეაერთეს. ერთმანეთს გაეცნენ. უცნობი „ყოვლისმძლე“ დოდიკ სეფისკვერაძე აღმოჩნდა.

— ასეთი კაი ბიჭები ინსტიტუტში ვერ მოხვდით? — სინანულით ამბობდა სეფისკვერაძე და სინანულის გამოსახატავად თავს აქნევდა და „აი, აის“ გაიძახოდა. სამწუხაროდ, ახლა უკვე ოქტომბერია და გვიან არის, თორემ ნაღდში მოგაწყობდით. მაგრამ არა უშავს, თუმცა არც იანვარია ადვილი საქმე. მაგრამ დოდიკ სეფისკვერაძე მოგიკვდეთ თუ თქვენი საქმე არ დავაგვირგვინე... ეს საქმე ნაღდია. ისევე როგორც ახლა რესტორან „თბილისში“ კიმყოფებით და ჩვენს სუფრაზე მარტო ერთი ბოთლი ღვინოა.

თქვენ ბიძაჩემს არ იცნობთ? რას ამბობთ, კაცო? — დოდიკმა ორთავეს ყურში ჩაუჩურჩულა და როდესაც შერიფისა და ნოდარის თვალებში განცვიფრება ამოიკითხა, განაგრძო: — აბა, ჩემი აღმზრდელი ბიძაა და თვალში რომ ჩავუვარდე ხელს არ ამოისვამს. კაცს ინსტიტუტში მოვაწყობინებ კი არა, თუ გინდა ინსტიტუტის დირექტორად დავანიშვნინებ. ამას წინათ დისერტაცია რომ დავიცავი, „ვოლგა“ მაჩუქა და ისეთი ბანკეტი გადამიხადა, თამარ მეფის ქორწილიც ვერ შეედრებოდა.

— აფიციანტ! — რიხიანად წამოიძახა შერიფმა და სამი ბოთლი ღვინო შეუკვეთა...

— სუკებს არ იკითხავთ? ჰო, რა სუკები და შემწვარი წიწილები იყო... — განაგრძო დოდიკ სეფისკვერაძემ.

— აფიციანტ, — უკან დააბრუნა შერიფმა აფიციანტი, — სუკი და შემწვარი წიწილები ხომ არის?

— დაილია, მარა, თქვენთვის ყველაფერს ვიშოვით. ბატონო!

ოფიციანტს სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, ახალგაზრდების სუფრას რომ ხმაურით შემოსული სეფისკვერაძის მეგობრები მოადგნენ.

შერიფის, ნოდარისა და მათი ახლად შეძენილი მეგობრების ღრეობა ღამის პირველ საათამდე გაგრძელდა... ბევრი სადღეგრძელო შეისვა, ბევრჯერ ითქვა გაცვეთილი „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მეგობრობა, ძმობა, ერთგულება, ჩვენი საქართველო, თამარი, შოთა, ერეკლე. სააკაძეც გაიხსენეს და ბასა ღოლობერიძე და მიშა მესხიც არ დაივიწყეს...

* * *

თბილისიდან ცუდი ამბავი ჩამოვიდა.

ერმონია სასტიკად გაწყრა.

წერილის კითხვის დროს მერის ტირილი აუტყდა. მიუხედავად ამისა, მაინც რამდენჯერმე გადაიკითხა: „შვილო მერიკო! იცოდე, ეს წერილი დედაშენის ცრემლებით არის დაწერილი. ეხი რომ დამცემოდა, ალბათ, უფრო ადვილად ავიტანდი. ვიდრე იმას, რასაც შენ მწერ. ნუთუ ასე უნდა გადაირიცხო დედის ამაგი? ნუთუ ამისათვის გაგზარდე ყოველმხრივ შემკული, რომ ბოლოს ასეთი მომაკვდინებელი ცოდვა, უფრო მეტიც, საშინელი დანაშაული ჩაგედინა?! რას იწერები თუ იცი, შე მართლა უბედურ დღეზე დაბადებულო?! სიტყვები არ მყოფნის აღშფოთების გამოსათქმელად. ამას ველოდი შენგან? სად დაკარგე თავმოყვარეობა და ღირსება? თბილისის მარგალიტი პროვინციის დედაკაცად უნდა გადაიქცე? ელიზბარ დარსაველიძის ასული გლეხი კაცის ცოლი უნდა გახდე? ჩემი ქალიშვილი კოლხოზნიკს უნდა გაჰყვეს?! ღმერთო, რა შეგცოდე, ასე რომ გადამირიე ერთადერთი ქალიშვილი, რომლის მსგავსი ქვეყნად არავინ მეგულებოდა, დღესვე წამოვიდოდი და წამოგიყვანდი მაქედან მაგრამ, რა ვქნა, მამაშენი ავად არის და ვერ მივატოვებ. ამ წერილის მიღებისთანავე მიატოვე მაქაურობა და სასწრაფოდ წამოდი. შენს მაგივრად მე ვაგებ პასუხს. ერთხელ კიდევ გაფიცებ დედაშვილობას, სისულელე არ ჩაიდინო და ყელი არ გამოგვჭრა“...

მთავარი ის იყო, რომ მერის ასლანის ერიდებოდა, როგორ გაეცნო მშობლების პასუხი. წერილის ჩვენება შეუძლებელი იყო. მერის არ შეეძლო ასლანისათვის ეჩვენებინა ასეთი შეურაცხმყოფელი წერილი. ბოლოს, როგორც იქნა, მერიმ გაბედა და ყველაფერი აუხსნა ასლანს. წერილი კი ნაკუწებად აქცია და სანაგვეზე გადააგდო.

— რატომ დახიე, რისთვის არ გამაცანი დედაშენის წერილი?

— ჩემო ასლან, მე ხომ თანახმა ვარ, განა ეს საკმარისი არ არის?

მერისა და ასლანის ქორწილი მთელმა სოფელმა იზეიმა.

თბილისიდან არავინ ჩამოსულა.

სდუმდნენ მერის მშობლები, მეგობრებიც.

ერთადერთი დეპეშა მიიღო მერიმ: „სულითა და გულით გილოცავ გაბედნიერების დღეს შენს ძვირფას მეუღლესთან ერთად. იცოცხლე და იბედნიერე, ჩემო საყვარელო მეგობარო. შენი მეგი“.

* * *

კოლმეურნეობის კანტორის ეზოში ახალგაზრდები მოეყარათ თავი და გაცხარებით ბჭობდნენ, თინათინის საქციელზე კამათობდნენ.

— უცნაური ადამიანია, — წამოიძახა ერთმა მათგანმა. — ორდენზე წარადგინეს, ის კი შარზეა...

— იძახის, არავის მივცემ უფლებას მთავრობა მოატყუოსო, — დაუმატა მეორემ.

— თინათინი კი არა, ჯოჯოხეთის მაშხალა ჭნდა ერქვას! კაცო, გაჯილდოებენ. ხომ არ გსჯიან... ბაგრამ მაინც თავისას გაიძახის — ამ საქმეს ასე არ ღავტოვებ, ცუდი სუნი უდისო.— ცხარობდა რამაზ კონცელიძის დეიდაშვილი ოსმან ირემაძე, რომელიც ნამუხარის კოლმეურნეობაში სატვირთო მანქანის შოფრად მუშაობდა.

— რა იცი, იქნებ თინათინი მართალია, — გაუბედავად თქვა ნამუხარის კლუბის გამგემ, რომელსაც მოშვებული თმების გამო სოფელში მეტსახელად „ტარზანს“ ეძახდნენ.

— კი, ასლანიც თინათინს უჭერს მხარს. — ჩაერია მათ საუბარში თბილისიდან ახლად დაბრუნებული ფერიდე.

— ასლანს ეს მერის ხათრით მოსდის... ვარდის გამო ეკალსაც რწყავენ. თინათინი და მერი დადნაფიცები არიან, — ღვარძლიანად წარმოთქვა ოსმან ირემაძემ.

— სისულელეს ჩმახავ. მას შემდეგ, რაც ასლანი პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს, კოლმეურნეობის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა! თაღლითები აილაგმნენ, ზარმაცები გამოსწორების გზას დაადგნენ და, საერთოდ, განმტკიცდა დისციპლინა.

გაზეპირებულივით წარმოთქვა ფერიდემ და ოსმანს მიაცქერდა.

— კი, კოლმეურნეობაში სამხედრო წესები შემოიღო, — დამცინავად უპასუხა ოსმანმა.

— უდისციპლინოს დისციპლინა როგორ მოკეწონება! ყველა ამბობს, ასლანი მისაბაძი პარტმუშაკიაო და ეს ასეც არის... ჩვენი ასლანი ყველასათვის საყვარელი ადამიანია, შენ კი... მთელ რაიონში ავარიების რეკორდსმენად ხარ ცნობილი

— ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, ფერიდე მართალს ამბობს, — დაუმატა „ტარზანმა".

ფერიდე გათამამდა და უფრო მეტად შეუტია ოსმანს.

— შენ იმიტომ არ მოგწონს ასლანის მუშაობა, რომ შენს ნათესავს ფრთები შეაჭრა. მართალია, თინათინის დახმარებით, მაგრამ ასლანმა გამოააშკარავა რამაზის მაქინაციები, ცენტერაძის ოინები და ბევრი სხვა.

„ტარზანმა" ტარზანივით გაიზმორა, თავზე ცხენის ფაფარივით დაყრილ თმებში თითები სავარცხელივით გაიყარა და ისე გადაივარცხნა, სახეზე სიამოვნების იერმა გადაჰკრა და აღტაცებით წარმოთქვა:

— ყველაზე უფრო ასლანის ქორწილი მომეწონა... ჰო, ჩემი ქორწილი იყო. ასლანი ამბობდა: თინათინი რომ არ ყოფილიყო, არც ჩემი ქორწილი იქნებოდაო. თინათინის მაგალითს მიყვა ჩემი მერი და დღეს მთელ რაიონში განთქმული და დაფასებული ექიმიაო.

— ტყუილია თუ? — ჩაურთო ფერიდემ, — ადგილობრი-

ვი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, თინათინი კი რაიონული საბჭოს დეპუტატია.

ოსმან ირემაძემ დრო ისელთა და მერის ლანძღვას მოკლა. რამაზ კონცელიძის მეგობრები და ნათესავები დარწმუნებული იყვნენ, თინათინისა და რამაზის ურთიერთობა მერიმ გაიფუჭაო. მერი რომ არ ჩამოსულიყო ნამუხარში და თინათინს ან დანგრობრებოდა, დღეს თინათინი რამაზის ცოლი იქნებოდაო.

— მაი თქვენი ინციქიფუცქა მერი. — იღრინებოდა ოსმანი, — რაიონში კია დაფასებული. მაგრამ თბილისში თურმე ბისმა მეგობრებმა მასხრად აიგდეს. დედამისი ამ ქორწილის გამო ისე გამწარებულა, რომ კინაღამ თავი მოუკლავს — როგორ გაჰყვა ცოლად სოფლელ კაცსო.

კი, სწორია! მერიმ დედისაგან წერილი მიიღო! ჩემი შვილი აღარ ხარო, — დაუმატა „ტარზანმა".

ილიკო ცენტერაძემ სიმშვიდე დაკარგა. ბორგავდა, ნერვიულობდა და აქეთ-იქით ეხეთქებოდა. — იქნება რამე ხვრელი ვიპოვო თავის დასაღწევადო. ნამუხარის ღვინის ქარხნის დირექტორის საქმიანობის რევიზიამ გამოააშკარავა ნამუხარის კოლმეურნეობის ბუღალტრის საქმიანობაც. ცენტერაძე თინათინის სანახავად გამოვიდა კანტორიდან, თითქმის ერთი საათი ეძებდა, ვერსად ვერ ნახა და ისევ თავის კანტორას მიაშურა. ეზოში ახალგაზრდებს შეხვდა და ისე გაესაუბოა მათ, თითქოს ყველაფერი რიგზე ჰქონოდა და მხიარულ გუნებაზეაო.

— ტარზანს გაუმარჯოს, როგორ ხარ კაცო? რამდენი ხანია არ მინახავხარ. ჰო, რა ცივი ლუდია დუქანში! — ...ფული გაქვს?

— არა! — ცივად უპასუხა „ტარზანმა".

— პაპიროსი?

— არა!

— აბა დრუნჩი ღორსაც კი აქვს.

ახალგაზრდებს სიცილი წასკდა. ირემაძემ მოწიწებით და ყველაზე უწინ ჩამოართვა ხელი კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტერს, რომელმაც მისალმებაზე პასუხის ნაცვლად პაპიროსი მოსთხოვა.

— ამოიღე, გავაბოლოთ შენი პაპიროსი.

— ბოდიში, ჩემო ილიკო, — ირემაძემ მოკიდებული პაპიროსი უჩვენა, — ამის მეტი აღარ დამრჩა.

— აბა, შენი გავაბოლოთ, ქოჩორავ!

— არც მე მაქვს. — უპასუხა ქოჩორამ.

სახტად დარჩენილმა ცენტერაძემ გაკვირვებით გადახედა ახალგაზრდებს, რომლებიც მას ამრეზილად უცქეროდნენ, და ჯიბიდან საკუთარი „ყაზბეგი" ამოიღო.

— ასე გამოდის, ისევ ჩემი უნდა მოვწიო, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ცენტერაძემ და საკუთარი პაპიროსი მადიანად გააბოლა, — რა ამბავში ხართ თუ იცით. — განაგრძო ცენტერაძემ, — ვხედავ, პატივს აღარ მცემთ, ხომ არაფერი გაგიგიათ? რევიზია კი დამესხა. მაგრამ ილიკო ცენტერაძეს ვერ გააფუჭებენ... ბულალტერია სარკესავით მაქვს... სპეციალურად.

— ამბობენ, რამაზს ცუდად აქვს საქმეო? — თითქმის აკანკალებული ხმით შეეკითხა ირემაძე.

— სულ თინათინის ბრალია, — ისევ აქაქანდა ცენტერაძე. უპკუო დედაკაცს როგორ უნდა აყვეს ვაჟკაცი კაცი. ვერაფრით ვერ დავიყოლიე რამაზი, რომ თინათინისათვის თავი დაენებებინა. კარგი ქალიშვილიაო, ჩემი შეგობარიაო. ესეც შენი მეგობარი! სულელი მეგობარი მტერზე უარესია. რამაზს თინათინისათვის სიკეთე უნდოდა, თინათინმა კი რამაზს საციხოდ მოუწყო საქმე. პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ხომ მთლად აგვრია. ფრონტზე ნამყოფ კაცს ყველგან მტრები ეჩვენება. რაც ასლანი ჩამოვიდა, ჩვენი საქმე სულ უკუღმა წავიდა. ქარხანაში რევიზია უკვე დაამთავრეს და რამაზი რაიონში გამოიძახეს.

— წავიდა? — შიშნარევი ხმით შეეკითხა ირემაძე.

— წაიყვანეს. — აგდებულად უპასუხა ცენტერაძემ, თითქოს სრულებითაც არ აღელვებს, როგორც მისი, ისე რამაზის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობაო.

მაგრამ ირემაძე ცენტერაძის ნათქვამმა ისე დააბნია, რომ ხელი მაგრად მოიქნია, საკუთარ შუბლზე იტკიცა და მაშინვე ღვინის ქარხნისაკენ გაიქცა

მას ამხანაგებიც მიჰყვნენ და მარტოდ დარჩენილმა ცენტერაძემ დამცინავად დაადევნა:

— გაიქეცით თუ არა. ძალიან კი უშველით.

ამ დროს თინათინი გამოჩნდა. ეტყობოდა, სადღაც მიეჩქარებოდა. მაგრამ ცენტერაძე გადაეღობა და დიდი ხვეწნის შემდეგ ძლივს შეაჩერა.

— ერთხელ მაინც მომისმინე გულდასმით... შედი ჩემს მდგომარეობაში, თუ ქალი ხარ! — ევედრებოდა ცენტერაძე.

— არაფერსაც არ მოგისმენ. დღესვე მობრძანდები კომკავშირის კრებაზე და იქ მოგვიახსენებ ყველაფერს. — გაბოლოზებით მიახალა თინათინმა და თან სიძულვილით სავსე თვალებით მიაცქერდა.

— ან. კომკავშირი არ გამაგონოთ და თუ გინდა თავით ნიგოზს დაგინაყავ. — ამ სიტყვებთან ერთად ცენტერაძემ მლიქვნელურად გაუღიმა თინათინს და უნიჭო არტისტის მიერ განსახიერებული მართალი კაცის პოზა მიიღო.

თინათინი ახლა უფრო მეტად გაბრაზდა და მკაცრად შეუტია ცენტერაძეს.

— ნიგოზი კი არა, თვითონ შენი თავია დასანაყი, ბოროტი აზრებისა და ბნელი საქმეების ბუდედ რომ გადაქცეულა.

— სხვის დანაშაულს მე რატომ მაბრალებ?

— შენი სიტყვებით გამოდის, რომ ამ საქმეში მარტო რამაზია დამნაშავე.

— აბა, ძამაჩემი აოასცხრაას ოც წელს მოკვდა! — ისევ მისებურად იხუმრა ცენტერაძემ და გულის მოსალბობად ნაძალადევად გაუღიმა, — თინათინ, სიტყვას თუ მომცემ, რომ ამ საქმეში დამეხმარები, ისეთ საიდუმლოებას გაგანდობ, სიხარულით ცას მიწვდები.

— რა უნდა მითხრა ასეთი?! დაინტერესდა თინათინი.

— ჯერ სიტყვა მომეცი.

— რით შემიძლია დაგეხმარო?

— დაადასტურე, რომ მართალია...

— შენ დაგეხმარო და მთავრობა მოვატყუო?!

— მთავრობას ამით არაფერი დააკლდება, მე კი ხიფათს ამაშორებ

— ამას გარდა სხვაც ბევრი აქვს ნათაღლითარიო, ასე მითხრეს შენს შესახებ.

— ვინ ჩაგაწვეთა ასეთი შსამი?

— რამაზმა, — უცებ უპასუხა თინათინმა და თან გამოცდილი თვალებით მიაცქერდა. ცენტერაძე ხელად გაება თინათინის მახეში. თუმცა რამაზის ასეთ საქციელს არაფრით არ მოელოდა, მაინც დაეჭვდა: იქნებ მართლა გამოიჩინა რამაზძა სულმოკლეობა და ასე უსინდისოდ გამცაო; იქნებ თავის დასაღწევად ყველაფერი მე დამაბრალაო და გულზე ცეცხლი მოედო.

— რამაზმა გითხრა ასეთი საშინელი?! რამაზს უჯერი? რამაზი თვითონ არის ჟულიკი და მაშენიკი. რაც რამაზმა შენსა და ნადიმს შორის საძაგლობა ჩაიდინა, იმას მტერიც არ უზამს კაცს.

— რატომ ლანძღავ მართალ კაცს?

თინათინის ამ სიტყვებმა კიდევ უფრო მეტად გააცეცხლა ილიკო.

— რამაზი მართალი კაცია და მე... სად ხარ, ღმერთო, არ გესმის, რა ხდება ამ მართლაც ცოდვილ ქვეყანაზე? მაშ თუ ასეა, მეც მომისმინე... სპეციალურად.

ცენტერაძემ ენა მოიმარჯვა და თითქმის ნახევარი საათი ესაუბრა თინათინს, თუ როგორ ხერხებს მიმართავდა რამაზი ნადიმის წინააღმდეგ, და რა ხრიკებს აწყობდა თინათინის გულის მოსაგებად. ყველაფერი ის, რაც თინათინმა ცენტერაძისაგან მოისმინა, დაუჯერებელი იყო, მაგრამ როგორც თვითონვე ხედავდა, სამწუხაროდ, სიმართლეს შეიცავდა.

თუმცა ცენტერაძის ნათქვამმა თინათინს გუნება წაუხდინა, გულში მაინც რაღაც იმედის ნაპერწკალმა გაუელვა და მალე ეს ნაპერწკალი სიხარულის კოცონად აინთო, თურმე, ნადიმი ცამდე მართალი ყოფილა... თურმე, საბრალო თინათინსა და ნადიმს შორის სიყვარულის ძაფების დასაწყვეტად რამაზის ბინძური ხელი ფათურობდა, ხოლო თვითონ ნადიმი ცამდე მართალი ყოფილა !— ფიქრობდა თინათინი რამაზისეულ ობობას ქსელზე და თან გული მოსღიოდა, რომ ასე ადვილად გაება მახეში, რომელმაც კინაღამ სამუდამოდ დაეკარგვინა საყვარელი ადამიანი.

—არამზადები! — მოულოდნელად წამოცდა თინათინს და თვალებში ისეთი რისხვა და სიძულვილი ჩაესახა, როქ ცენტერაძემ პირდაპირ ვეღარ შეხედა და თავი დახარა.

ამ დროს „ტარზანი“ წამოადგათ თავს.

— აქ რას აკეთებ, კაცო? რევიზორები გეძებენ, სად დაიკარგაო.

„ტარზანის“ სიტყვებმა ცენტერაძეს ციებ-ცხელება დააწყებინა. თუმცა თავი რიხიანად ეჭირა და თინათინს ამაყად, მაგრამ მაინც ხვეწნით მიმართა.

— ამის შემდეგ, იმედი მაქვს, დამეხმარებით. თინათინ!

— კი, „სპეციალურად“, — მიაძახა თინათინმა ცენტერაძეს, რომელიც „ტარზანის“ თანხლებით ჩქარი ნაბიჯით გაემართა კანტორისაკენ

მარტოდ დარჩენილ თინათინს გული აეწვა, თვალნათლივ წარმოუდგა ყველა ის სისაძაგლე, რომლებიც რამაზს არა მარტო საზოგადოებრივ საქმიანობაში, არამედ ნადიმისა და თინათინის ურთიერთობის გასამწვავებლადაც ჩაუდეწია. ძალაუნებურად გულის სიღრმიდან აღმოხდა მწარე სიტყვები: „აი თურმე რა ძნელი ყოფილა ადამიანის გამოცნობა, მე კი ყველაფერი ისე მეგონა, როგორც ვხედავდი“.

თინათინს თვალებზე ცრემლები მოადგა, ბრაზი ახრჩობდა და ამავე დროს სიხარულისაგან ცახცახებდა. თურმე, ჩემი ნადიმი ყველაფერში ცამდე მართალი ყოფილა!

თინათინი მაშინვე სახლისაკენ გაეშურა, მაგიდას მიუჯდა და ბარათი მისწერა ნადიმს.

რაც შეეხება ილიკო ცენტერაძესა და რამაზ კონცელიძეს, ვერც პურმარილმა, ვერც რევიზორებთან მიგზავნილი კაცების ჩალიჩმა ვერაფერი უშველეს. ორივე პასუხისგებაში მისცეს და დააპატიმრეს.

* * *

ნადიმ დევაძე გაკვირვებით კითხულობდა თინათინის წერილს. ორჯერ გადაიკითხა, ბოლოს გულმოსულმა წერილი მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ქაღალდებს შორის მიაგდო და ფიქრს მიეცა.

ნადიმს უკვირდა რამაზ კონცელიძისა და ილიკო ცეტერაძის საქციელი... ნუთუ ადამიანი ასეთ საზიზღრობამდე უნდა დაეშვესო. კიდევ ბოგინობენ ასეთი გაიძვერა ადამიანებიო, ფიქრობდა ნადიმ დევაძე და ბავშვური გულუბრყვილობით სავსე გული ეკუმშებოდა. მერე ისევ თინათინი გაიხსენა, გაიხსენა და კვლავ აიღო მისი წერილი. ახლა უკვე თინათინის სპეტაკი გრძნობების გამომხატველ სიტყვებს უგდებდა ყურს. როცა მესამეჯერ გადაიკითხა ბარათი, ნადიმის წინაშე თინათინი კვლავ აღიმართა, როგორც ყველაზე უფრო სასურველი და ყველაზე უფრო სანატრელი მეგობარი.

ნადიმი დიდხანს იჯდა მაგიდასთან, საპასუხო წერილზე ფიქრობდა, ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და ნადიმ დევაძე ცხოვრებაში პირველად გახდა სამიჯნურო წერილის ავტორი.

თინათინსაც ნადიმის წერილმა პირველად აგრძნობინა უდიდესი სიხარული და ამქვეყნიური ბედნიერების ჯერ განუცდელი გრძნობების სიამე: სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა.

* * *

კვირადღის მიუხედავად დარსაველიძეები ჩვეულებრივზე ადრე ადგნენ.

ელიზბარმა წვერი მოიპარსა, ხალათით სასტუმრო ოთახში შევიდა, ტრიუმოს წინ დადგა და პატარა მაკრატლით ულვაშების შესწორებას აპირებდა, მაგრამ მისი ყურადღება მიიპყრო ერმონიამ, რომელიც სარკეში კარგად ჩანდა. ერმონია ღელავდა, საშინლად ნერვიულობდა, ხან ფანჯარასთან მივიდოდა და გარეთ იცქირებოდა, ვერ ისვენებდა. ელიზბარმა ვეღარ მოითმინა ცოლის უსაფუძვლო წრიალი.

— რა ამბავში ხარ, ქალო?

— რომელი საათია, ელიზბარ, — პასუხის ნაცვლად შეეკითხა ქმარს და ზედმეტი ნერვიულობისაგან თითებს იმტვრევდა.

— კვირა დილითაც საათს დავხედო? — უკმაყოფილოდ უპასუხა ელიზბარმა.

— ვაი ასეთ კვირას! — აწუწუნდა ერმონია.

— რა მოგივიდა შე ქალო. განა ასე უნდა შეხვდე ერთი წლის უნახავ ქალიშვილსა და უცნობ სიძეს?

— ჩემს მტერს ასეთი შეხვედრა. საღ გამოვყო თავი... დარსაველიძეების ოჯახში კოლხოზნიკი სიძე... როგორ მოვწონს, ხომ კარგია?..

— პირდაპირ დელიკატესია, შენ ნუ მომიკვდები! — გამაღიზიანებლად უპასუხა ელიზბარმა და დამცინავად განაგრძო: — ჩვენი საკადრისი სასიძო კაცი თბილისში არ მოიპოვებაო. იძახოდი, შენმა ქალიშვილმა დაიჯერა და...

— ასეთი კაცი პროვინციაში მონახა, არა?

— ერთ საათში მოგაკითხავს! — ელიზბარის სიტყვებმა უკვე გამომწვევი ხასიათი მიიღეს, — ხო, რა სანახავი იქნება — ყაბალახით და ჩაქურით, მხარზე ხურჯინგადაგდებული.

— რას ამბობ, ელიზბარ!

— მერი ჩადრში. კი. ასე მოგაკითხავენ! — ელიზბარს ისე ვულიანად გაეცინა, რომ ხელები აუკანკალდა და მაკრატლით ულვაშის ნაცვლად კინაღამ ცხვირი მოიჭრა.

— ელიზბარ, გადამრევ!

ელიზბარი უფრო აჩაღებდა ცეცხლს.

— ზღვა თაფლად გადაიქცა და უბედურს კოვზიც არ ჰქონდაო, — ირონიით დაიწყო ელიზბარმა, — მინისტრებისა და აკადემიკოსების ვაჟიშვილები, მწერლები და კომპოზიტორები, ტრესტის უფროსები და გენერლის ტოლი სამხედრო პირები ჭიანჭველებივით ირეოდნენ ჩვენს ოჯახში შენი საამაყო ქალიშვილის სათხოვნელად.. შენ კი... ერთხელაც არ მოგაკითხა ჭკუამ რომელიმე მათგანისათვის მიგეთხოვებინა ჩვენი პრინცესა. ბედაურიდან ჩამოვხტი, ვირზე შევჯექიო, სწორედ ამას ჰქვია.

ერმონია დამნაშავესავით ისმენდა ელიზბარის სიტყვებს, მათრახივით ხვდებოდა გულზე და მუდამ მობუზღუნე, ახლა თვინიერ ფინიასავით ბუტბუტებდა.

— ჩემი რა ბრალია, ელიზბარ! მთავრობისხელა კაცი ხარ, გავლენიანი, ქვეყანას ეხმარები და საკუთარ ქალიშვილს ვერ გამოადექი. განა არ შეგეძლო თბილისში მოგეწყო ჩვენი ქალიშვილი? განაწილების გარეშე მაინც დავტოვებდი... მაგრამ არ იკადრე. მერიკოს თბილისში სული ეხუთებოდა, სული —

ვიწრო ჰორიზონტიაო., და უცებ — სოფელი... მარტოხელა, უპატრონოდ, უმწყემსო კრავი ყოველთვის მგლის ლუკმაა. ასეც მოხდა. შენ კი მე მადანაშაულებ, გრცხვენოდეს ელიზბარ!

ერმონია, ალბათ, ტირილს დაიწყებდა, ტელეფონს რომ არ დაერეკა. ყურმილი ელიზბარმა აიღო, მავრამ იმ წუთშივე ერმონიას გადასცა. როგორც კი დაამთავრა ტელეფონით ლაპარაკი, ერმონია სახეგაბრწყინებული მიუბრუნდა ელიზბარს:

— ჟანეტა და დოდიკი კითხულობდნენ. მოდიან. მოგვესალტრა, დღესვე უნდა ვნახოთ ჩვენი მერიო.

— ეს დოდიკი თუ ბობიკია, რა მოხელე ნაჩალნიკია? — იკითხა ელიზბარმა.

— დათიკო სეფისკვერაძეა, ქალიშვილები დოდიკს ეძახიან. ასე უფრო ლამაზიაო.

კვლავ ახმაურდა ტელეფონი, კვლავ ერმონია მივიდა სალაპარაკოდ.

— გისმენთ, — ნაზი ხმით დაიწყო ერმონიამ (ტელეფონით ლაპარაკის დროს განსაკუთრებული სინაზით გამოთქვამდა ხოლმე სიტყვებს) — დიახ, მე გახლავარ, ჯერ არ ჩამოსულან, მაგრამ წუთი წუთზე ველოდებით, მობრძანდით, გენაცვალე.. კი, ჭირიმე, როგორ გეკადრებათ... ძლიერ გვასიამოვნებთ, მობრძანდით, მობრძანდით...

— რაო, ვინ ვარო? — უკმეხად იკითხა ელიზბარმა.

— ნინელი კითხულობდა, ჯერ ხომ არ ჩამოსულანო... მეკი და ზურაბი თან მახლავს და პირდაპირ თქვენთან მოვდივაროო. არიქა, ელიზბარ, დატრიალდი, შოფერი გამოიძახე. მარუსია ბაზარში უნდა გავგზავნო. დღეს ჩვენსას უთვალავი ხალხი მოიყრის თავს, ღვინოც დაგვჭირდება. ქინძმარაული თითქმის სულ დაილია.

— რას ამბობ, ქალო, სატირალი საქმე საქეიფოდ უნდა გადააქციო?! ქალიშვილმა ყელი გამოგვჭრა და შენ პურმარილით ხვდები?! ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, რას მოესწრება ადამიანი! — გააღიზიანა მეუღლე ელიზბარმა.

ერმონიამ გულთან ახლოს არ მიიტანა ელიზბარის სიტყვები. მას თავისი გეგმა ჰქონდა, ისეთი გეგმა, რომ მისი აზრით, ქვას გახეთქავდა. თითქოს დიდი საიდუმლოაო, ისე გააცნო

იგი ელიზბარს. გეგმის მიხედვით გივი ვარკაციშვილი უნდა მიეწვიათ, იქნებ მერისა და გივის შეხვედრამ ისევ გააღვივოს მბჟუტავი ნაპერწკალიო, იქნებ კვლავ აღსდგეს მათ შორის ჩატეხილი ხიდიო.

— როდესაც მერი კვლავ აღმოჩნდება თბილისის ბრწყინვალე ახალგაზრდობის წრეში, მაშინ მიხვდება თავის შეცდომას... აი, ნახავ, ელიზბარ, თუ ჩემი მერიკო დღესვე არ მიატოვებს თავის კოლხოზნიკს, — გატაცებით ჰყვებოდა ერმონია თავის გეგმას და შედეგით წინასწარ ტკბებოდა.

— ერმონია, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და, იცოდე, ვინც არ უნდა იყოს ასლანი, ჩვენი სიძეა და დახვედრაც საკადრისი უნდა.

ელიზბარმა მანქანა გამოიძახა და საკვირაო ტანსაცმლის ჩასაცმელად მოემზადა, მაგრამ ამ დროს დერეფნიდან ზარის ხმა მოისმა. ერმონიამ ჯერ საათს დახედა, მერე დერეფანში გავიდა და ორი წუთის შემდეგ სასტუმრო ოთახში ჟანეტასა და დოდიკ სეფისკვერაძეს შემოუძღვა.

სეფისკვერაძე ერთი შეხედვით იპყრობდა ყურადღებას არა მარტო ეფექტური გარეგნობით, არამედ ჩაცმა-მორთულობითაც... ეტყობოდა, დიდ დროსა და თანხას ხარჯავდა ამაზე. რაც შეეხება თანხას, მას ძალიან იოლი „შრომით" იძენდა. დათიკო სეფისკვერაძე „ორასოციანების" გაბითურების დიდი „სპეცი" გახლდათ („ბითური" და „გაბითურება" სეფისკვერაძის ლექსიკონში ყველაზე უფრო საყვარელი სიტყვები იყო).

„ორასოციანები" სეფისკვერაძისა და მისი მეგობრებისათვის პერიფერიის, ანუ „პროვინციის" მცხოვრებლები იყვნენ. ელექტროდენის საზომი თბილისში და ცენტრალურ ქალაქებში ასოცდაშვიდი ვოლტია, პერიფერიებში კი ორასოცი, ამბობდნენ ხოლმე სეფისკვერაძე და მისი მეგობრები... აქედან გამომდინარე, პერიფერიის მცხოვრებლებს ერმონია და მისი ამფსონები პროვინციელებს ეძახდნენ, სეფისკვერაძე და მისი მეგობრები კი ორასოციანებს.

ორასოციანები, როგორც თვითონ სეფისკვერაძე იტყოდა ხოლმე, მისთვის „ზდობნი ბულკები" იყვნენ. ვინ იცის, რამდენი ასეთი გაუბრიყვებია დოდიკ სეფისკვერაძეს, რამდენ ორასოციანს გაუწევია სეფისკვერაძისათვის „ზდობნი ბულკობა".

— დილა მშვიდობისა, ბატონო ელიზბარ!

— პატივცემულ ელიზბარს ვახლავართ! ალბათ სიხარულისაგან ნერვიულობთ კიდევაც! — ზედიზედ მიესალმნენ ელიზბარს ჟანეტა და სეფისკვერაძე.

— როგორ არ ინერვიულებს, — მიმართა ჟანეტამ სეფისკვერაძეს, — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ბიბო, თითქმის ერთი წელიწადია, რაც მერი არ უნახავს. ქალბატონი ერმონია, სადგურზე რატომ არ ხვდებით?

— ჩვენ ამ მიზნით გამოვიარეთ, რომ თქვენთან ერთად სადგურზე წავსულიყავით, — დაუმატა ჟანეტას ნათქვამს სეფისკვერაძემ.

— კი, როგორ არა, — მწარე ღიმილით უპასუხა ერმონიამ ,— ყვავილებით და სასულე ორკესტრით შეეგებებით! ხუმრობა საქმე ხომ არ არის, სიძე კოლმეურნეობის ბრიგადირია!.. ვაი შვილო! ამისთვის ვიკლავდი თავს?! ქვეყანა გაიძახოდა მერი ელიზბარის ასული დარსაველიძე მთელი თბილისის მარგალიტიაო...

ელიზბარმა აღარ დააცალა ერმონიას სიტყვის დამთავრება:

— ჰოდა, ამ შენს ქალიშვილს, „მარგალიტს“ სოფლის გლეხი დაეპატრონა.

ელიზბარის დამცინავმა და გამომწვევმა სიტყვებმა ერმონიას წონასწორობა დაუკარგა და, ალბათ, ყუმბარასავით იფეთქებდა, მაგრამ თავი შეიკავა და სტუმრების წინაშე ვეღარ გაბედა ენაზე მომდგარი ქმრის შეურაცხმყოფელი სიტყვების გადმოფრქვევა, თუმცა მაინც გაბრაზებით მიმართა ელიზბარს:

— ნუ მაღიზიანებ, კაცო! ტრიბუნაზე რომ გამოდიხარ და იძახი ეს ქვეყანა მუშისა და გლეხისაო, როგორ გგონია, ადამიანო, ქვეყანას თუ პატრონობს, ვითომ შენს ქალიშვილს ვერ უპატრონებს კოლმეურნე კაცი?!

— თუ ასეა, რაღას იკლავ თავს? — ისევ მქირდავი ტონით შეეკითხა ელიზბარი.

— თავი როგორ არ მოვიკლა... რაც უნდა იყოს, ჩვენი მერი, მას ენაცვალოს დედამისი, თბილისელი მარგალიტია, ის კი ვიღაცა პროვინციელი მუჟიკია.

ელიზბარმა ბოდიში მოიხადა და სასტუმრო ოთახიდან გა-

ვიდა. დერეფნიდან კვლავ მოისმა ზარის რეკვა. ერმონიამ ისევ საათს დახედა, შემდეგ დერეფანში გავიდა და ორიოდე წუთის შემდეგ ნინელის, მეგისა და ზურაბის თანხლებით დაბრუნდა.

ზურაბი ახალგაზრდა ინჟინერ-არქიტექტორი გახლდა, და უკვე ერთი წელიწადი შესრულდა, რაც მეგის დაუახლოვდა, მაგრამ მეგის მეგობარი ქალიშვილები. რატომღაც. დარწმუნებული იყვნენ, რომ ზურაბი არასოდეს არ შეირთავდა მას. სხვები კიდევ სხვა აზრისანი იყვნენ... მეგის მეგობარ ქალიშვილებს ეს შურით მოსდითო, ამბობდნენ ისინი.

ახალმოსულნი მხიარულად მიესალმნენ ჟანეტასა და დოდიკ სეფისკვერაძეს.

— სხვა, როგორ ხართ, მეგობრებო, კარგახანია ერთმანეთი არ გვინახავს, თითქოს დიდი ხნის ნატვრა აუსრულდაო, ისე მიმართა ნინელიმ ჟანეტასა და დოდიკს.

— ჩვენ არა გვიშავს რა.. შენ როგორ ხარ, ნინელი?

— ჩინებულად, გენაცვალე...

— კი ჩემო ჟანეტა, ჩვენს ფრონტზე ყველაფერი უცვლელია, — დაუმატა მეგიმ.

— სად მოეწყვე, ბოშო? ახალ თანამდებობაზე ხარ, თუ ისევ ტრესტის მმართველის მდივნად მუშაობ?

— ვმუშაობ, — გულისტკივილით წარმოთქვა ნინელიმ, — რა სამუშაოა ექიმის დიპლომით ხელში პირადი მდივნობა!

— მერის უნდა მიებაძოთ... პროფესიის მიხედვით მუშაობს და ქმარიც იშოვა. ჩვენ კი...

სიტყვა არ დაამთავრა და ხელი ჩაიქნია მეგიმ.

— გაჩუმდი მეგი, — წამოიძახა თითქმის გულმოსულმა ნინელიმ, — არც მასეთი ქმარი მინდა და არც ისეთი სამუშაო! სოფელში თამარ დედოფლის ტახტზე რომ დამსვან, არ მოვისურვებ. რაც შეეხება ქმარს, მერის მსგავსად პროვინციელს ხომ არ გავყვები?.. მერი გათხოვდაო.. ასეთ გათხოვებას, სულ რომ არ გავთხოვდე ის მირჩევნია.

— არ გირჩევნია, მაგრამ მეტი რა გაქვს სათქმელი, — ირონიით მიუგო მეგიმ.

— რა უსინდისობაა! — აღშფოთებით დაიწყო ნინელიმ,— ერთბაშად გივი ვარკაციშვილის „პარაა“ ის შენი კოლხოზნი-

კი. მერის სატრაბახოდ მაშინ ექნებოდა საქმე, გივის რომ შეერთო ცოლად და თბილისში მოწყობილიყო. პროვინციის დედოფალი!

— ხოხოხოოოო, გივი თუ მოვიდა, რა სეირი იქნება! წარმოგიდგენიათ ახლა თქვენ გივის გვერდით ის უბედური „ორასოციანი?“ — ღვარძლიანი სიცილი დააყოლა ამ სიტყვებს სეფისკვერაძემ.

ზურაბს არ მოეწონა ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს. საუბარში ჩაბმის მიზნით, მანაც გივი გაიხსენა და იკითხა:

— ჰო, მართლა, როგორ არის გივი? დიდი ხახია არ გამოჩენილა.

— გამოსაჩენი არაფერი აქვს. ახლა გამოჩენილებში გაერია და იმით ირთობს თავს, — უპასუხა მეგიმ.

— მაგი ასეთია, — დაუმატა ჟანეტამ.

— თუ ვინმე ოდნავ ცნობილი პიროვნებაა თბილისში, — განაგრძო მეგიმ, — ყველასთან ძმაკაცობს, ხუმრობა საქმეა მათი გამასპინძლება! ვარკაციშვილების ოჯახი სასტუმრო „თბილისის“ რესტორანის ფილიალს დაემსგავსა. ვინ გინდა, რომ იქ არ დადის.

— ალბათ მშობლები შეწუხებული ჰყავს ამდენი სტუმრიანობით, — თქვა ჟანეტამ.

— აჰ, რას ამბობ, ქალო! პირიქით, სატრაბახოდ გაიხადეს... ყოველი ქეიფის მეორე დღეს, ქეიფი კი ყოველდღე აქვთ, სულ იმის ლაპარაკში არიან, თუ ვინ ჰყავდათ სტუმრად... ირაკლის სიხარულს საზღვარი არა აქვს, — რა ბიჭი გავზარდე, რა ხალხში აქვს საქმე, წუხელის მისი მეგობრებიდან ეს იყო, ის იყო და გიყვარდეს, ჩამოთვლის, მაგრამ რას ჩამოთვლის... მთელი თბილისის თვალსაჩინო ხალხს. რა უჭირს! მე თქვენ გეტყვით, ვერ გაუმასპინძლდებიან, ფული აკლიათ თუ სხვა რამ სიმდიდრე!

— კი, ბევრი ეხარჯებათ, სამაგიეროდ მაგრად არიან, საპატიო პიროვნებათა სიაში ამოყვეს თავი, — ავტორიტეტულად განაცხადა სეფისკვერაძემ.

ესენი რომ ასეთ საუბარში იყვნენ, ბათუმის მატარებელი თბილისში შემოვიდა.

აუარებელ დამხვედრთა შორის ბაქანზე მერიმ არათუ უბრალო ნაცნობები, ამხანაგები და მეგობრები, არამედ მშობლებიც კი ვერ დაინახა. მერის არავინ ხვდებოდა, ასლანმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერიზე ისე იმოქმედა, ფერი ეცვალა, ტუჩები გაულურჯდა და ვაგონიდან ძლივს ჩამოვიდა. ვაგზლის მოედანზე თინათინს და აჭარიდან ჩასულ სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირის სხვა მონაწილეებს დარცხვენით დაემშვიდობა. მერიმ ვერ გაბედა თინათინი სახლში მიეპატიჟებინა. ამან უფრო მოუკლა გული.

რამდენიმე წუთის შემდეგ მერის და ასლანს ტაქსი დარსაველიძეების ბინისაკენ მიაქროლებდა.

მეორე სართულამდე მერი უსიტყვოდ ავიდა კიბეზე. მშობლების ბინის კარებს რომ მიადგა, გული საშინლად უძგერდა. სანამ ზარს დარეკავდა, ასლანს შეხედა, ასლანი კი, თუმცა მძიმე ხელბარგით იყო დატვირთული, მუხასავით იდგა და ისეთი მოსიყვარულე თვალებით უღიმოდა, მერის ძალა და გამბედაობა მოემატა. ზარი დარეკა.

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო და წინა კარში მოსამსახურე მარუსია გამოჩნდა. მერის დანახვაზე მას ჯერ თვალები გაუფართოვდა, შემდეგ ტუჩები აუთამაშდა, მშობელ დედასავით გადაეხვია, ხელიდან ჩემოდანი გამოსტაცა, გზა დაუთმო და სამივენი დერეფანში შევიდნენ.

სასტუმრო ოთახში ერთი მხრივ სტუმრები, მეორე მხრივ კი ერმონია და ელიზბარი ისე იცქირებოდნენ კარებისაკენ, თითქოს რაღაც მოულოდნელი ამბავი ხდებოდა. ღია კარებიდან დერეფანში მერი და ასლანი გამოჩნდნენ. ასლანს ორივე ხელში ჩემოდანი და ღვინის კასრი ეჭირა. ფეხზე ჩექმები, ტანთ კი უბრალო ტანსაცმელი ეცვა. არც მერი იყო ძველებურად გამოწყობილი. ადგილზე გაქვავებული სტუმრები დედ-მამასა და ქალიშვილს უცქერიოდნენ და ცნობისმოყვარეობით აღსილნი რაღაც საინტერესოს ელოდნენ.

— დედა! — წამოიძახა მერიმ და დედისაკენ გაექანა, მაგრამ ერმონიამ პირი პირიბრუნა და თვალებზე ცხვირსახოცი შეიფარა. მერი სახტად დარჩა, მეხლები კინაღამ მოეკეცა, გულზე ბოლმა მოაწვა და თვალები ცრემლებით რომ არ ავსებოდა, ალბათ, გულწასული იატაკზე დაეცემოდა. ბოლოს რო-

გორც იქნა, ძალა და ნებისყოფა მოიკრიბა, გული გაიმაგრა და მამას გადახედა.

— მამა! — აკანკალებული ხმით წამოიძახა მერიმ, მაგრამ მამა ქანდაკებასავით იდგა და თკალები ფანჯრისათვის მიებჯინა, თითქოს სადღაც სივრცეში იცქირებაო.

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ყველა იქ მყოფის სუნთქვა და გულისძგერაც კი გარკვეულად ისმოდა.

ასლანმა ხელბარგი დერეფანში იატაკზე დასდო, ოთახში თამამად შემოვიდა, ელიზბარს და ერმონიას მიუახლოვდა და ისეთი ღიმილით მიესალმა მათ, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო.

— ჩემს ძვირფას სიდედრსა და სიმამარს გაუმარჯოს!

ერმონია და ელიზბარი ისევ ზურგით იდგნენ, ეტყობოდათ, საშინლად ღელავდნენ და არც ერთი მათგანი არ გამოეხმაურა ასლანის მისალმებას.

— ბატონო ელიზბარ, ვაქკაცს არ შეჰფერის პირი იბრუნოს, მტერიც რომ იდგეს მის წინაშე, რაც უნდა იყოს თქვენი სიძე ვარ!

ასლანის სიტყვებმა კიდევ უფრო დააბნია ელიზბარი, ხაფანგში მომწყვდეულივით აწრიალდა, ბოლოს ასლანს პირდაპირ შეხედა და ძლივს წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა.

— ბოდიში... მაპატიეთ... მოულოდნელმა შეხვედრამ.. ცოტაოდენი დაგვაბნია, მაგრამ არა უშავს, — ელიზბარმა ასლანს ხელი ჩამოართვა და მერი მკერდზე მიიკრა.

ერმონიამ ვერ მოითმინა და თვალცრემლიანი, ხელებგაშვერით მერისაკენ წაიწია.

— მერი, შვილო!

— დედა, ჩემო დედიკო!

დედა და ქალიშვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ და ორივეკ ისე აქვითინდა, რომ ძნელი გასარკვევი გახდა, ორივეს ერთი და იგივე მიზეზი ატირებდა თუ სხვადასხვა.

— გაიცანით, ესენი მერის მეგობრები არიან, — ელიზბარმა ასლანს სტუმრები სათითაოდ გააცნო. მერი სიხარულით აივსო. როცა დაინახა, რომ ელიზბარს ასლანის მხარზე ხელი მეგობრულად დაედო და ისე აცნობდა სტუმრებს. მერი გამო-

ცოცხლდა, თვალებზე ცრემლები შეიშრო და მეგობრებთან მიიჭრა.

— ნინელი, ჟანეტა, შეგი, დოდიკ, ზურაბ!

ამ დროს ტელეფონის ზარის წკარუნი მოისმა. ტელეფონთან ერმონია მივიდა, ღრმად ამოიხვნეშა და ყურმილი აიღო.

— დიახ, ერმონია ანტონოვნა გახლავართ. სალამი, ოო, თქვენ ბრძანდებით. კი, ეს წუთია რაც ჩამოვიდნენ. მობრძანდით, მობრძანდით, ძალიან გაგვახარებთ, გელოდებით!

როგორც კი საუბარს მორჩა, ყურმილი ადგილზე დადო და თავის ქალიშვილს ცბიერი ღიმილით გადახედა.

— ვინ იყო? — იკითხა მერიმ.

— გივი!

— გივი! — მერის სახეზე გაკვირვების ტალღამ გადაიარა.

* * *

გივი ვარკაციშვილი ღელავდა. ერთი მხრივ, მეტოქის ნახვა აინტერესებდა, მეორე მხრივ მერისთან შეხვედრის შესაძლებლობა მოსვენებას არ აძლევდა.

მთელი ერთი საათი ტრიუმოს წინ იდგა გივი. — ტანსაცვამდა, გულდასმით გამოეწყო თავისი საუკეთესო ულტრამოდურ კოსტიუმში, თმაზე ბრილიანტი წაისვა და რამდენჯერმე გადაივარცხნა, სარკის წინ დიდხანს კეკლუცობდა, თავისი თავი ძლიერ მოსწონდა: „როგორ?! მე, გივი ვარკაციშვილი, დამიწუნა და ვიღაც პროვინციელს, კოლმეურნეობის ბრიგადირს გაჰყვა ცოლად?! ესეც ქალის ჭკუა... მაგრამ გივი ვარკაციშვილი რა კაცის შვილია, თუ თავისი პრესტიჟი არ დაიცვა? დეე, ყველამ დაინახოს, თუ რა დიდი განსხვავებაა, რა უძირო უფსკრულია გივისა და იმ პროვინციელს შორის. დეე, ყველამ დაინახოს გივის უპირატესობა და მერის მომაკვდინებელი შეცდომა. გივის ერთი გამოჩენა, და კოლმეურნეობის ბრიგადირი სოროს ძებნას დაიწყებს. სად გივი და სად ვიღაც ორასოციანი. ვახ, რა ამბები ხდება ხოლმე ამ ქვეყნად! კომედიაც სწორედ ეს არის! განა სადმე გაგონილა ასეთი მასკარადი? გივი ვარკაციშვილი მოკვდეს, თუ მერი მის ფეხებთან არ დაიწყებს ფართხალს და ტირილს, მაგრამ, პარდონ, პროდანნიე ბილეტი ობრატნო ნე პრისიმაიუტსია“.

დარსაველიძეების ოჯახში უკვე ოცამდე სტუმარს მოეყარა თავი. მარუსია სუფრას აწყობდა, ზურაბი და დოდიკი ნარდს თამაშობდნენ. ზოგი ჭადრაკის დაფაზე იბრძოდა, ზოგი ბანქოს გაეტაცნა. ასლანს ტანსაცმელი გამოეცვალა და ახალ კოსტიუმში მშვენიერი სანახავი იყო. ერმონია და ასლანი განცალკევებით ისხდნენ და ნელი ხმით საუბრობდნენ.

ყველა აქ იყო, ელიზბარის გარდა, რომელიც თავის კაბინეტიდან ტელეფონით ელაპარაკებოდა თავის მეგობრებს და სტუმრად ეპატიჟებოდა, მეწვიეთ, სიძე და ქალიშვილი ჩაწომივიდაო.

გივი ვარკაციშვილი გიტარაზე ამღერებდა ახალი მოდის რომანსს. სიმღერა უნიჭო და დიდი პრეტენზიების მქონე არტისტივით დაამთავრა, შემდეგ გიტარა ჰაერში შეატრიალა და მანჭვა-გრეხით მიუახლოვდა ქალიშვილებს.

— რას იტყვით, ჩიტუნებო, ხომ კარგია? ჩემმა მეგობარმა, კომპოზიტორმა ქურდაძემ დაწერა და ნოტების პირველი ეგზემპლარი მე მითავაზა. ამჟამად ოპერაზე მუშაობს. იდეა მე მივეცი. სხვათაშორის ლიბრეტოს შინაარსი დიდებულია, მოგიყვეთ?

— მოგვიყევი, მოგვიყევი, საინტერესოა! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ქალიშვილებმა.

— სიამოვნებით, გივი ვარკაციშვილი დღეს თქვენს განკარგულებაშია, — გივი ქალიშვილებს შორის ჩაჯდა და გატაცებით დაიწყო ლიბრეტოს თხრობა. ასლანი ცნობისმოყვარეობით უცქერდა გივის და ბოლოს, ერმონიას ჰკითხა:

— ვინ არის ეს ახალგაზრდა?

ერმონიამ დიდმნიშვნელოვნად ასწია მარჯვენა ხელი და გაბმულად უპასუხა:

— ოო... ეს ახალგაზრდა ირაკლი ვარკაციშვილის ვაჟიშვილია.

— კარგი ხელობა ჰქონია, — ირონიით წარმოთქვა ასლანმა, მაგრამ ერმონია ვერ მიუხვდა და ისევ განაგრძო:

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, ხელობა რა მოხელე ჩიქვანია... მთელი თბილისის ბრწყინვალე საზოგადოება იცნობს და თვითონაც თითქმის ყველა გამოჩენილი და წარჩინებული ადამიანის ახლო მეგობარია.

— კარგი პროფესია.

— რა ბრძანეთ?

— კარგი პროფესია ჰქონია-მეთქი, — ისევ ირონიით გაიმეორა ასლანმა.

— პროფესია კი აქვს, საექიმო დაამთავრა, მაგრამ რაში ჭირდება; მშობლების ქონება მისი სიცოცხლის განმავლობაში ბატონივით აცხოვრებს.

— არ მსახურობს?

— სადა აქვს მაგის დრო, ანდა რა უჭირს ისეთი, რომ იმსახუროს. მამამისმა მოახერხა და ვანაწილების გარეშე დატოვეს. მშვენივრად მოეწყო.

— სად მოეწყო?

— საერთოდ, ცხოვრებაში... თბილისში დარჩა.

— იშვიათი ადამიანი ყოფილა.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა ერმონია, რომელსაც ასლანის სიტყვები პირდაპირი გაგებით ესმოდა, — სწორედ რომ იშვიათი ადამიანია...

— უეჭველად! — ბექანიკურად უპასუხა ასლანმა და საუბარი სხვა საკითხზე გადაიტანა. მისი ყურადღება მიიპყრეს ქალიშვილებმა, რომლებიც გივის ნაამბობით აღფრთოვანებულნი ტაშს უკრავდნენ და ერთხმად გაიძახოდნენ:

— მშვენიერია, დიდებულია!

— სალაურეატო საქმეა, მიიღებს კიდევაც! — დაუმატა გივიმ.

— არ ძალუძს ხესა ხენეშსა ტკბილთა ნაყოფთა მოსხმაო. ღმერთმა დაგვიფაროს ქურდაძის ოპერისაგან, ორი-სამი იაფფასიანი რომანსის ავტორი ოპერას ეჭიდავება?! — წამოიძახა ზურაბმა, რომელსაც ჭადრაკის თამაში მიეტოვებინა და ლიბრეტო მოესმინა.

— პროვინციელივით მსჯელობ, — უხეშად მიახალა გივიმ — ქურდაძის რომანსები ევროპეიზმით არის გაჟღენთილი, და ხალხურ მუსიკას შეჩვეულ სმენისათვის მიუწვდომელია.

— ბეთჰოვენი ყრუ იყო, მაგრამ შეუდარებელი მუსიკალური ქმნილებანი შექმნა შინაგანი სმენით.

გივიმ შეატყო, რომ ზურაბი საქმეს გაუფუჭებდა და ამიტომ შეტევაზე გადავიდა,

— შენს თავს ბეთჰოვენს ადარებ? ბეთჰოვენი ევროპაში, ბერლინში დაიბადა და ბერლინშივე გარდაიცვალა, შენ კი რაჭაში დაიბადე და სამეგრელოში ან სადმე სვანეთში დაამთავრებ სიცოცხლეს, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თბილისელი ხარ.

ზურაბს არ მოეწონა გივის სიტყვები და მოურიდებლად უპასუხა:

— თბილისის საბჭოს წინ არც შენ დაბადებულხარ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად შენც თბილისელი ხარ.

ამ დროს სხვებისათვის შეუმჩნეველად კარებში გამოჩნდა ელიზბარი, რომელიც მეორე ოთახიდან უსმენდა ახალგაზრდების კამათს.

ასლანს კი საერთოდ არ სურდა არათუ კამათი, არამედ უბრალო საუბარიც, მაგრამ ველარ მოითმინა და დინჯად მიმართა გივის:

— პატივცემულო ამხანაგო! ჯერ ერთი, ბეთჰოვენი ბერლინში კი არა, ბონში დაიბადა, გარდაიცვალა კი — ვენაში. მეორე ის, რომ არაფერი საძრახისია, თუ ადამიანი რაჭაში ან იმერეთში დაიბადა და სიცოცხლეს სვანეთში, სამეგრელოში ან კახეთში დაამთავრებს!

გივი ჯერ სახტად დარჩა, მაგრამ შემდეგ, გაეხარდა კიდევაც — შესაძლებლობა ეძლეოდა ასლანისათვის ანგარიში გაესწორებინა:

— საძრახისი კი არა, განსხვავებაა. მაიაკოვსკიმ კარგად თქვა — „Рожденный ползать,-летать не может“, ესე იგი, მხოხავად დაბადებულს ფრენა არ შეუძლიაო.

— მაიაკოვსკი აქ არაფერ შუაშია. ეს გორკის სიტყვებია, მაგრამ შენი ანალოგიისათვის მაინც არ გამოდგება.

— სრული ჭეშმარიტებაა! — დაუმატა ასლანმა ზურაბის ნათქვამს.

გივი კი უკვე შეტევის გუნებაზე დადგა.

— ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ბეთჰოვენი ვენაში გარდაიცვალა. თქვენ ბეთჰოვენი და შტრაუსი ერთმანეთისაგან ვერ გაგირჩევიათ და ამ საკითხზე კამათსაც ბედავთ.

— რატომ გგონია, რომ ყველაფერში შენ ხარ მართალი? — უკმაყოფილოდ მიმართა მას მეგიმ.

— მართალი ვარ იმიტომ, რომ ამაში დარწმუნებული ვარ! — ამაყად უპასუხა გივიმ.

ასლანი იძულებული გახდა გივი ემხილებინა და თავისი აღგილი მიეჩინა. ერმონიას ბოდიში მოუხადა, სავარძლიდან წამოდგა და გივის მიუახლოვდა. თავიდან ფეხებამდე ასწონ-დასწონა. თვალებში მრისხანედ ჩახედა, მაგრამ თავაზიანი ტონით მიმართა:

— თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ გორკის „სიმღერა შევარ-დენზე" — „აქედან არის ეს სიტყვები! «Рожденный ползать—летать не может! Забыв об этом, он пал на камни, но не убился, рассмеялся»... მე მგონი არ ვცდები, რომ ეს ასეა.

— ბრძენის „მე მგონია" უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ბრი-ყვის „მე გარწმუნებ" — აღტაცებით წამოიძახა ზურაბმა და გივის მიუბრუნდა: — ამის შემდეგ კიდევ რით დაგვარწმუნებ, რომ შენ მართალი ხარ და ჩვენ მტყუანი?

გივი არ შედრკა, პირიქით, ასლანის დამცირების სურვი-ლმა ახლა უფრო მეტად გაიღვიძა მასში და ირონიით სავსე იერით უპასუხა ზურაბს.

— ნუ ცხარობთ, ორასოციანების ადვოკატო! ჩვენი პატი-ვცემული ბრიგადირი, (სიტყვა ბრიგადირი განსაკუთრებული ტონით წარმოთქვა), როგორც არ უნდა იყოს, ბეთჰოვენის სა-კითხში მაინც ცდება და გასაკვირიც არ არის იმიტომ, რომ ეს მისთვის უცხო და უცნობი სამყაროა. მე კი ჩემს ნათქვამში დარწმუნებული ვარ იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, მთელ კონსერვატორიას და ოპერის თეატრს ძალიან ახლოს ვიცნობ. ხშირად გამიგონია კომპეტენტური პირებისაგან, თვითონ ჩემი მეგობარი მომღერლებისაგან და პროფესორებისაგან და ეს ასეც არის, — ბეთჰოვენი ბერლინში გარდაიცვალა, ვენაში კი შტრაუსია დასაფლავებული. ეს ყველამ იცის, ვისაც კულ-ტურის რაიმე ნატამალი გააჩნია. მე ძალიან მიკვირს, რომ აბ ამბავმა აქ ასეთი დავა გამოიწვია.

ასლანმა გაიფიქრა, გაგონილს ნახული სჯობია, და მეოის სთხოვა ჩემოდნიდან ალბომი ამოეღო. მერი მიუხვდა ასლანს

ჯანზრახვას და თითქმის ფრთებშესხმული გაფრინდა ალბომის შოსატანად.

— მე, მაგალითად, გივის ვემხრობი, — მოულოდნელად წამოიძახა ნინელიმ და შემდეგ ასლანს მიუბრუნდა: — თქვენ ნუ გეწყინებათ, ჩვენი გივი ამ საკითხში უფრო ავტორიტეტულია და უფრო მას დაეჯერება.

ნინელის დოდიკი წამოეხმარა.

— ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო. რასაკვირველია, ასეთ საკითხებში გივის უფრო დაეჯერება, ვინემ პატივცემულ ასლანს.

დოდიკის ნათქვამს ახლა ჟანეტამაც დაუმატა.

— რას ამბობ, ბოშო, ამ საკითხებში თვალდახუჭული ვენდობი გივის.

მეგობრების მხარდაჭერით გათამამებულმა გივიმ ახლა უფრო ფართოდ შეუტია.

— მაგალითად, სოფლის მეურნეობის საკითხებში, შესაძლებელია უფრო ნაკლებად მესმის, ვიდრე კოლმეურნეობის მუშაკს... ბოლოკისა და კიტრის, სიმინდისა და ლობიოს, ჩაისა და ვენახის, ხეხილისა და მეცხოველეობის შესახებ თქვენ, ალბათ უფრო მეტი იცით, პატივცემულო ასლან, მაგრამ ისეთ საკითხებში, რომლებიც თქვენთვის მიუწვდომელი და უცხოა, ჩემთვის კი, რასაკვირველია... თუმცა ამაზე არ ღირს ლაპარაკი. სრულებით არ მიკვირს თქვენი თავდასხმა — საერთოდ თითქმის ყველა პროვინციელის თვისება ასეთია: იცის თუ არა, მაინც უნდა იდავოს... აქაო და ჩვენც ვითომ რაღაცა გაგვეგებაო.

— ესე იგი... კუმ ფეხი გამოყო — მეც ნახირ-ნახირო.

დოდიკის ეს უხეში ხუმრობა თითქმის არავის არ მოეწონა.

ასლანი ბრაზით აღივსო, მაგრამ თავი შეიკავა. სამაგიეროდ მეგიმ ვერ მოითმინა და გულმოსული მიუბრუნდა გივის და დოდიკს.

— რას ჰგავს თქვენი საქციელი. ცოტა უფრო წესიერად რომ იყოთ, კი აჯობებდა.

— სტუმარს ასე არ უნდა შეხვდეთ, — დაუმატა ზურაბმა.

— ამ ოჯახში ჩვენც სტუმრები ვართ, ჩვენ რატომ გვედა-

ვებიან... მერე კიდევ ვის ედავებიან და ისიც რა საკითხში... ბეთჰოვენი ვენაში გარდაიცვალაო, როგორ მოგწონთ, ა?!

ამის თქმაზე გივიმ ნაძალადევად გადაიხარხარა.

— ძალიან მოგვწონს, — უპასუხა ზურაბმა, — იმიტომ მოგვწონს, რომ ეს ასეც არის... ბეთჰოვენი 1827 წლის 26 მარტს ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ვენაში და დაკრძალეს იქვე, ვერინგის სასაფლაოზე, შემდეგ მისი ნეშტი ვენის ცენტრალურ სასაფლაოზე გადაიტანეს.

ამასობაში მერი შემოვიღა და ასლანს ალბომი გადასცა: ასლანმა ალბომიდან რამდენიმე სურათი ამოიღო და ისინი ჯერ გივის, შემდეგ დანარჩენებსაც აჩვენა.

— აი, ბეთჰოვენის საფლავის სურათი, რომელიც გადაღებულია 1945 წლის აპრილში, — დაიწყო ასლანმა, — როგორც ხედავთ, საბჭოთა მეომრები ყვავილებით და გვირგვინებით ამკობენ დიდი კომპოზიტორის საფლავს, — ასლანმა ახლა მეორე სურათი აჩვენა მათ, — როგორც ხედავთ, საბჭოთა მეომრებმა ასევე შეამკეს შტრაუსის საფლავი.

ერმონია, რომელიც ამდენ ხანს გაქვავებულივით იჯდა საჯარძელში, აღტაცებით წამოხტა და ელიზბართან მიირბინა.

— ელიზბარ, ხედავ რა ამბავია? ესეც ჩვენი ბრიგადირი სიძე!

— ერმონია, — სიამაყით უპასუხა ელიზბარმა, — შეხ. თვითონ თუ ხედავ, რომ უსაქმური ბრძენი ყოველ უსწავლელზე უარესია.

— უსწავლელი კი არა, ენა არღანივით აქვს მომართული, ისეთ ჭკვიანურ სიტყვებს ამბობს, პირდაპირ პროფესორი გეგონება. დედა, როგორ დაბა ჩვენი სანაქებო გივი?!

— დასაბმელი შენ მყავხარ, მასკარადი რომ მომიწყვე მაგ. შენი გივით... — უკმაყოფილოდ უპასუხა ელიზბარმა და გულმოსული მოშორდა ერმონიას, სუფრასთან მივიდა, რამდენიმე შენიშვნა მისცა მარუსიას და თვითონაც მიიღო მონაწილეობა. სუფრის გაწყობაში.

ერმონია ახლა მიხვდა, რომ სუფრა მარტო მოსამსახურე ქალისათვის მიეტოვებინა, ტუჩზე იკბინა, „ეს რა მომივიდაო", მარუსია უფრო აამოძრავა და თვითონაც დატრიალდა. ასლანს

კი ახალი სურათი ეჭირა ხელში და ახლა იმის შესახებ მსჯელობდნენ. სურათზე ბეთჰოვენის ძეგლი იყო:

— ოო, ეს მშვენიერი ძეგლი ცნობილი მოქანდაკის ცუმბუშის ნამუშევარია, — აღტაცებით წარმოთქვა ზურაბმა, — იგი გაიხსნა ვენაში 1880 წელს ბეთჰოვენის დაბადების 110 წლისთავზე.

— სწორია, — დაუდასტურა ასლანმა, — ჩვენი ნაწილი პირველი შეიჭრა ვენაში და ეს ძეგლიც ჩვენ შევამკეთ გაზაფხულის ყვავილებით.

— უი, ვიცანი, — მოულოდნელად წამოიძახა მეგიმ და ასლანს მიუბრუნდა, — ეს ხომ თქვენა ხართ, მარცხნიდან მეხუთე.

— დიახ, მე ვარ, — კმაყოფილებით უპასუხა ასლანმა.

— გივი, მოკაკვე თითი, წაგებული ხარ. შენი ნომერი ეღარ გავიდა, — გამაღიზიანებლად ჩაუჩურჩულა მეგიმ.

ზურაბმა უფრო მოურიდებლად მიმართა გივის, რომელიც ყურებჩამოყრილი იდგა და ნერვიულად ექაჩებოდა პაპიროსს.

— მაიაკოვსკი და გორკი შენ თვითონ ვერ გაარჩიე ერთმანეთისაგან, ბეთჰოვენი და შტრაუსი შენ აგერია ერთმანეთში და სხვას ედავებოდი?!

— ესეც თქვენი ავტორიტეტული, კომპეტენტური... გივი ვარკაციშვილი! — დამცინავად შეიახალა მეგიმ ნინელის, ჟანეტასა და დოდიკს.

გივი ჯერ ოდნავ დაიბნა, თემცა თავი მაინც მაგრად ეჭირა და, მისი აზრით, სათანადო პასუხის გასაცემადაც კი მოემზადა, მაგრამ ამ დროს ელიზბარმა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა.

დერეფნიდან ზარის ხმა მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ მარუსიას თანხლებით თინათინი შემოვიდა. სადად და გემოვნებით ჩაცმულმა, თავისი გონიერი სიტყვა-პასუხით, თამამი და ასევე მოკრძალებული ქცევით ყველას ყურადღება მიიპყრო. მაგრამ როგორც კი გაიგეს, თინათინი კოლმეურნეობის მერგოლურიაო, პირველი შთაბეჭდილება ოდნავ შენელდა, განსაკუთრებით ნინელიმ და ჟანეტამ აითვალწუნეს თინათინი. ვინმე ისეთი კი არა, უბრალო კოლმეურნე ქალიშვილი ყოფილაო... მაგრამ ისინი იმ წამსვე შურით აღივსნენ იმის გამო, რომ ვა-

ქები ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუ ვის გვერდით დაჯდებოდა-ყო თინათინი, ბოლოს თინათინი ზურაბსა და დოდიკს შორის დასვეს.

— როგორ მოეწყვე, თინიკო? — შეეკითხა მერი.

— სასტუმროში რომ მივედი,..

სასტუმროს გაგონებაზე უკმაყოფილო მერიმ სიტყვა შეაწყვეტინა თინათინს.

— არავითარი სასტუმრო არ ვიცი... თუ შენ ჩემთან არ დარჩები, ჩვენი მეგობრობა საპნის ბუშტივით გაქრება.

— თქვენ იმდენი ამაგი მიგიძღვით ჩემი მერიკოსადმი, — ჩაერია ლაპარაკში ერმონია, — რომ თქვენი ვალიდან ჩვენ ვერასოდეს ვერ ამოვალთ. თუ გსურთ უსაზღვროდ არ გვაწყენინოთ, მერის სურვილს უსიტყვოდ უნდა დაეემორჩილოთ. ასეთ ძვირფას სტუმარს ვერსად ვერ გავუშვებთ.

— თათბირზე აქედან ივლი ასლანთან ერთად, — დაუმატა მერიმ.

— კი მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, — ისევ შეაწყვეტინა მერიმ, — თინიკო ძვირფასო, ნუთუ მართლა გაბედავ უარის თქმას?!

გამოსავალი რომ ვეღარ ნახა, თინათინი გამოტყდა.

— კი, მაგრამ ნადიმმა უკვე იცის, სხვებთან ერთად სასტუმრო „თბილისში" რომ გავჩერდი.

— უკვე ნახე ნადიმი? — გახარებული შეეკითხა მერი,

— არა, ჯერ არ მინახავს, მხოლოდ ტელეფონით ველაპარაკე... მითხრა, ერთ საათში მანდ გავჩნდებიო. ძარტომ ვერ გავბედე მასთან შეხვედრა და შენს წასაყვანად მოვირბინე.

— ჩვენ არსად არ წავალთ, — გადაჭრით უპასუხა მერიმ, — თვითონ ნადიმი უნდა მოვიყვანოთ აქ. მაგრამ როგორ?

— ის, ალბათ, აქ დარეკავს. სასტუმროს მორიგე გავაფრთხილე, თუ ვინმემ მიკითხოს, ამა და ამ ნომერზე დამირეკოსმეთქი.

— კარგად მოქცეულხარ, — თქვა მერიმ და სწორედ ამ დროს ტელეფონის ზარის ხმა მოისმა. ყურმილი ერმონიამ აიღო.

ტელეფონში თინათინს ჰკითხულობდნენ. მაგრამ ტელეფონთან მერი მივიდა.

— ნადიმი ბრძანდებით? დიახ, თინიკო აქ არის, მაგრამ ტელეფონთან არ მოვუშვებ. ჩვენი საერთო თხოვნაა დაუყოვნებლივ მობრძანდეთ ჩვენთან. როგორ? მისამართი? ბაგრატიონის ქუჩა, ოცი, მეორე სართული, მეთორმეტე ბინა. გელით მოუთმენლად...

მერიმ ყურმილი დადო და სიხარულით წამოიძახა: — მოდის!

— ჰო, რა გემრიელი სულგუნია! — შეაქო ჭყინტი სულგუნი გივიმ და ნინელისა და ჟანეტას გადააწოდა. ამ დროს მარუსიამ დიდი ლანგარით თეფშზე დაწყობილი შემწვარი წიწილები შეპოიტანა.

— აჰ, წიწილები მერე...: ისევ წამოიძახა გივიმ და სუფრას რევიზორივით გადაავლო თვალი, — ჯერ ქორფა კიტრი და პომიდორი, — განაგრძო მან, — მწვანილი და დალოცვილი ლობიო ნიგვზით შეკმაზული, ცხელი მჭადი, არა, ქართულ კერძს ქვეყნად ბადალი არა აქვს.

ელიზბარმა სიძის ჩამოტანილი ღვინო ჭიქაში დაისხა, სასმისები სხვებსაც შეავსებინა, ბროლის ჭიქა ხელში აიღო, ქარვისფერ ღვინოს შემფასებელი თვალებით მიაცქერდა, ეტყობოდა, ღვინო შესახედავად ძალიან მოეწონა და სადღეგრძელო დაიწყო.

— მეგობრებო, მოდით სანამ დანარჩენი სტუმრებიც თავს მოიყრიან და სანამ თამადას ავირჩევდეთ, ერთი პატარა სადღეგრძელო დავლიოთ, — ჩვენს შეკრებას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — ყველამ ერთად წამოიძახა და ჭიქები დასცალეს, ეტყობოდა, ღვინო ყველას მოეწონა.

— ელიზბარ ბატონო, სად იშოვეთ, რა დიდებული ღვინოა! — ყველაზე ადრე გივიმ გამოთქვა აღტაცება.

— ეს ღვინო ჩვენებურია, ქედის ღვინოა! — სიამაყით უპასუხა თინათინმა.

ასლანმა მოღიმარი თვალებით გადახედა გივის და ცბიერად შეეკითხა:

— მაშ, ძალიან მოგწონთ ჩვენი ღვინო, გლეხის მიერ მოწეული ლობიო, ნიგოზი, კიტრი, პამიდორი, მწვანილი და სხვა?

— ძალიან! — მოკლედ მოუჭრა ვივიმ.

— ამას ყველაფერს მიწა და შრომა გვაძლევს, — განაგრძო ასლანმა. — თქვენ კი ცოტა ხნის წინათ აუგად მოიხსენიეთ მიწის მშრომელი, ესე იგი მიწაც. ქართველები მიწას დედას ვეძახით. დედას კი ყველაზე უფრო მეტი სიყვარულით უნდა მოვეპყრათ. ის, ვინც მიწას მოწყდა და ჰაერში გამოეკიდა, არც მიწისაა და არც ცისა. მოდით მეგობრებო. სანამ თამადას ავირჩევდეთ. შევსვათ ჩვენი მშობლიური, ქართული მიწის სადღეგრძელო. მიწის მშრომელის სადღეგრძელო!

— ვაჟკაცური სიტყვაა!

— ჩინებული სადღეგრძელოა! — ერთიმეორეზე შესძახეს ზურაბმა და მეგიმ, მათ სხვებმაც მიბაძეს და ყველამ ერთად შესვა ეს სადღეგრძელო.

დერეფნიდან ჯერ ზარის ხმა მოისმა, შემდეგ მარუსია შემოვიდა და ერმონიას მოახსენა, ვიღაც სტუმარი მოვიდაო. ერმონიას მერიც გაჰყვა დერეფანში და სულ მალე ნადიმთან ერთად დაბრუნდნენ. ასლანი წამოდგა და სისარულით მიეგება ნადიმს, თინათინი კი ოდნავ დარცხვენილი უცქერდა დიდი ხნის უნახავ მეგობარს. ახლადმოსული სტუმარი ყველას გააცნეს და სუფრასთან მიიპატიჟეს, მაგრამ ნადიმმა ბოდიში მოიხადა და უარი თქვა. შემდეგ თინათინს და ასლანს მიუბრუნდა.

— მარტო არ გახლავართ... ჩემთან ერთად შერიფი და ნოდარია. როკორც კი ვაიგეს თქვენს სანახავად მოვიდოდი, თან წამომყვნენ.

— მერე და სად არიან? — იკითხა მერიმ.

— გარეთ მიცდიან... კარებთან.

მერი მაშინვე გაიქცა და რამდენიმე წამში შერიფთან და ნოდართან ერთად შემოვიდა. ორივე ახალგაზრდა ნამუხარელს თინათინის დანახვისთანავე ფერი ეცვალათ, უხერხულად და თითქოს დამნაშავედაც კი იგრძნეს თავი. მაგრამ, თინათინის მეგობრულმა გაღიმებამ და მასპინძლების თბილმა დახვედრამ ნოდარი და შერიფი დააშშვიდა. შერიფის ყურადღება სეფისკვერაძემ მიიპყრო, იგი განცვიფრებული აკვირდებოდა და თავიდან ფეხებამდე ზომავდა დოდიკ სეფისკვერაძეს. რო-

ცა კარგად დარწმუნდა, რომ ის ნამვილად სეფისკვერაძე იყო, მოულოდნელად წამოიძახა:

— დათიკო სეფისკვერაძე!..

დოდიკმა, რასაკვირველია, შემოსვლისთანავე იცნო შერიფი და თავს არიდებდა, მაგრამ ვეღარ დაუძვრა.

სეფისკვერაძე ხედავდა, რომ ცუდად გაეჩხირა და შერიფს ყურში ჩაუჩურჩულა:

— თუ კაცი ხარ, ცალკე მოვილაპარაკოთ.

მოსალაპარაკებელი კი ჰქონდათ. შერიფი სეფისკვერაძისათვის იმ მრავალთაგანი იყო, რომელთაც, როგორც თვითონ სეფისკვერაძე, აგრეთვე მისი მეგობრებიც, ორასოციანებს ეძახდნენ. სეფისკვერაძემ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „ბედნიერად გააბითურა შერიფი", რომელიც უკვე რამდენიძე თვეა დაეძებდა თავის „გამბითურებელს" და აგერ შეხვდა კიდევაც.

— ბოდიშს ვიხდი ამ პატივცემული საზოგადოების წინაშე, — მოკრძალებით მიმართა შერიფმა მასპინძლებსა და სტუმრებს, — აქ არ არის ამის ადგილი, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია მოქალაქე სეფისკვერაძე, თუ კაცი ხარ, აქ იმართლე თავი!

— ვინ ხარ, ძმაო, პირველად გხედავ! — სეფისკვერაძემ თითქმის ყვირილით წარმოთქვა ეს სიტყვები.

— არ მელოდი, განა? არც მე ველოდი ასეთ შეხვედრას. უკვე რამდენიმე თვეა გეძებ, მაგრამ შენს კვალს ვერსად მივაგენი. ახლა რას იტყვი? რა უყავი, სად წაიღე, ვის მიეცი ჩემი ათი ათასი მანეთი?

— გიჟია, ვიღაცაა! — აღშფოთებით წამოიძახა სეფისკვერაძემ და სახეზე გაკვირვება გამოხატა.

— ვიჟი და სულელი კი გეგონე, როცა დაგიჯერე, მაგრამ ახლა? ახლა რაღას მიპასუხებ? რა უყავი მეთქი ჩემი ფული?... — არ ეშვებოდა შერიფი.

— ვის უბედავ, თუ იცი, ვის წინაშე ბედავ ასეთ ლაპარაკს? — თითქმის იღრიალა სეფისკვერაძემ და ფეხზე წამოხტა.

— კარგად გიცნობ, ვინც ბრძანდები. თავი მეცნიერ მუ-

შაკად გამაცანი, მაგრამ შემდეგ, გახსოვს, ლენინგრადში და რიგაში როგორ გაიძახოდი ბაზრის შესასვლელთან: „ლავროვი ლისტ, ლავროვი ლისტ, მანდარინი, გრუზინსკი მანდარინი“.

— დაფნასა და მანდარინს შენ თვითონ ჰყიდდი.

— შენ გამასულელე და ამიყოლიე.

— იქ მე მივლინებაში ვიყავი, შენ კი სასპეკულაციოდ! — ამაყად წამოისროლა სეფისკვერაძემ.

— არსად არ მუშაობ, მივლინებაში ვინ გაგგზავნა? — გამომწვევად შეეკითხა ზურაბი.

— მივლინების საბუთები კი ჰქონდა, მაგრამ თვალის ასახვევად. „ნაუჩნი კამანდიროვკაში“ ვარო, ასე ეუბნებოდა ქუჩაში თუ რესტორანში გაცნობილ ქალებს. რაც მისი რჩევით სოფელში მანდარინი და დაფნა მოვაგროვე, ყველა გამინიავა.

— ძალზე საინტერესოა, — თითქოს თავს ელაპარაკებოდა, ისე თქვა ელიზბარმა და შემდეგ შერიფს მიუბრუნდა: — განაგრძეთ ახალგაზრდავ, მოგვიყევით რაც მოხდა.

ახლა კი ძლიერ შეშფოთდა სეფისკვერაძე და უკმაყოფილოდ მიმართა ელიზბარს:

— ბატონო ელიზბარ, ვის უსმენთ?! თქვენგან ძალიან მიკვირს, რომ ასეთ ვიგინდარას სახლში უშვებთ.

— როგორც ვხედავ, საკვირველი ის არის, რომ შენისთანებს ღებულობენ ჩემს სახლში.

— ელიზბარ! — გამაფრთხილებელი და უკმაყოფილო ტონით წამოიძახა ერმონიამ.

— შენ გაჩუმდი, ქალო, — ელიზბარი ისევ შერიფს მიუბრუნდა, — შენ ილაპარაკე, გვითხარი, რა მოხდა თქვენს შორის.

გამხნევებულმა შერიფმა უფრო თამამად განაგრძო.

— ჯერ ხომ ლენინგრადში და რიგაში გამაცურა, რაც ჩემი დაფნიდან და მანდარინიდან ფული აიღო, სულ თვითონ მითვისა — მომპარესო. თურმე, რიგის ავეჯი იყიდა და თბილისში გამოგზავნა გასაყიდად. უნივერსიტეტში მოგაწყობო, ათი ათასი მანეთი დაჯდებაო, თუ გინდა ჩარიცხვის საქმე ნაღდი იყოსო. მეც გავსულელდი და მივეცი.

ასლანმა ვეღარ მოითმინა:

— კი, მაგრამ ასე რამ გაგასულელა? როგორ ენდე, ჰკუა

სად დაკარგე? ფულით შედიან უნივერსიტეტში, თუ ცოდნით?

— დიდი კონკურსი იქნება და რაც უნდა კარგი ნიშნები გქონდეს, მაინც ძნელია მოხვედრა, საქმე თუ არ მოვაკვარახჭინეთო...

— მერე? — შეეკითხა ასლანი.

— არ ჩამრიცხეს. დათიკო სეფისკვერაძე კი მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამ, მისი გზა-კვალი ველარ ვიპოვე, — მერე თვითონ სეფისკვერაძეს მიუბრუნდა — მაგრამ ახლა რას ძეტყვი? რა პასუხს მაძლევ?

სეფისკვერაძე გაქვავებული იდგა, მისთვის უცხო გრძნობა—სირცხვილი, რატომღაც, ერთბაშად ეწვია, გაფითრდა, შემდეგ სიწითლე მოეკიდა, ბრაზისაგან თვალები გაუფართოვდა და ცხვირის ნესტოები ნარბენი ცხენივით დაეჭიმა.

— ბატონო ელიზბარ, ქალბატონო ერმონია, — აკანკალებული და თან აღელვებული ხმით დაიწყო სეფისკვერაძემ, — არ მეგონა, თუ თქვენს ოჯახში ასეთი ხალხი იყრიდა თავს, თორემ ფეხს არ შემოვადგამდი აქ. ამგვარი შეურაცხყოფა ჩემთვის ჯერ არავის მოუყენებია, რაშია საქმე, რა მოხდა? სოფლელებს უნდა გაალანძღვინოთ ჩემი თავი თქვენს ოჯახში?! აწი მე ვიცი, როგორ უნდა ადამიანის დამცირება. მე თქვენ გიჩვენებთ, ვინ არის დოდიკ სეფისკვერაძე.

სიტყვის დამთავრებისთანავე სეფისკვერაძე დამდუღრულივით გავარდა დერეფანში. ნოდარმა გასდია, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდა და შერიფს უთხრა:

— ქუდი აიღო და გაიქცა.

— არიქა, ნოდარ, გავსდიოთ, თორემ კვალი დაგვეკარგება.

შერიფმა წინ გაიგდო ნოდარი და თვალის დახამხამებაში ორივენი გაუჩინარდნენ.

უცებ ნაკვირველი სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი გაშეშებული იდგნენ თავიანთ ადგილებზე. დაძაბულობა ისევ გივის დაარღვია.

— ქალბატონო ერმონია! მე აღშფოთებული ვარ... რას ბავს ეს? დოდიკის შეურაცხყოფა ჩვენი შეურაცხყოფაა. მართალია, ქალიშვილი კი მიათხოვეთ სოფლელ კაცს, მაგრამ თქვენი ბინა გლეხთა სახლად არ უნდა გადაგექციათ.

მოთმინებიდან გამოსული მერი პასუხის გასაცემად შემოტრიალდა, მაგრამ ასლანმა შეაკავა და ყურში ჩასჩურჩულა:

— თავს ნუ გაუყადრებ!

ამ ხნის განმავლობაში ნინელი და ჟანეტა ძალზე ღელავდნენ. ისინი მცველებივით შემოხვეოდნენ გივის და თვითონაც შეურაცხყოფილად თვლიდნენ თავს, ბოლოს ვერ მოითმინეს და უკმაყოფილოდ მიმართეს ერმონიას:

— თქვენი ოჯახი, — წამოიწყო ნინელიმ, — ოდესღაც ერთ-ერთ კულტურულ ოჯახად ითვლებოდა თბილისში და დღეს კი თქვენ....

— რას გავს ბოშო ეს, გაგონილა ასეთი სკანდალი?! — დაუმატა ჟანეტამ.

გივიმ ჯერ ღვარძლიანად გადახედა მერის და ასლანს, შემდეგ კი უხეშად მიმართა მერის.

— ფერი ფერსო, მადლი ღმერთსო... თავიდან სოფლუშკა იყავი და...

თინათინმა სიტყვის დამთავრება არ აცალა და მრისხანედ მიახალა გივის:

— მოქალაქევ, საფრთხობელას რომ დამსგავსებიხარ, ვიღაცა ხარ, ენას კბილი დააჭირე, თორემ..,

თინათინს ზურაბმა შეაწყვეტინა სიტყვა და თან ბოდიში მოუხადა, მერე გივის მიუბრუნდა, თავიდან ფეხებამდე თვალებით გაზომა, ზიზღით მიაჩერდა ნინელის, ჟანეტას და ბოლოს სამივეს მათრახივით გადაუჭირა:

— სამწუხაროდ, მხოლოდ დღეს გაგიცანით, რაც ყოფილხართ... თბილისის „ბრწყინვალე ახალგაზრდობის", დედაქალაქის კულტურის ნაღებს შორის ტრიალებდა თქვენი და თქვენივე არამზადა მეგობრის სახელი, მაგრამ, ვაი, თურმე რას წარმოადგენთ! აი, თურმე როგორი ყოფილა თქვენი სულიერი სამყარო, თქვენი სამოქმედო ასპარეზი.

გივიმ ყოჩივით დახარა თავი, თითქოს სარქენად ემზადებაო, უხეშად და დამცინავად აათვალიერა ზურაბი, ბრილიანით აპრიალებულ თმაზე ხელი გადაისვა, ამაყი პოზა მიიღო და სიტყვები ქვებივით დაუშინა ზურაბს:

— ჩემს საზომად, იქნებ, შენი მოქმედების ასპარეზი გინდა იხმარო! შენი ერთი თვის ხელფასი ერთ დღეში მეხარჯება.

არათუ სამსახურში, თეატრშიც კი, სადაც წელიწადში ერთხელ თუ მოხვდები, ტრამვაით დადიხარ, მე კი „ზიმით“ მატარებენ. იქნებ გავიწყდება ვისთან გაქვს საქმე! ახია ჩემზე, შენისთანებს რომ გავუყადრე თავი.

ასლანი ისევ აუღელვებლად იდგა, მერისაც ანიშნებდა ხმა არ ამოეღო. მეგი ღელავდა, საშინლად უნდოდა ზურაბის დაცვა და გივის გალანძღვა.

ზურაბს თავი ისე ეჭირა, თითქოს გივის სიტყვები მას სრულებით არ ეხებაო, ნინელი და ჟანეტა კი გივის გვერდით იდგნენ და მამლებივით შემართული უცქეროდნენ ასლანსა და ზურაბს. ერმონია გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით ცქმუტავდა. ელიზბარი თავჩაღუნული იჯდა და თითებს ნერვულად ათამაშებდა. ყველანი ელიზბარს მიჩერებოდნენ. მაგრამ ელიზბარი კვლავ თავჩაღუნული იჯდა და თითების მოძრაობაზე ეტყობოდა, ნერვიულობდა. ბოლოს, ფეხზე წამოდგა და ზანტად დაიწყო:

— მე ქართველი კაცი ვარ და სტუმარს უდიერად არ უნდა ვეპყრობოდე, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება, — უცებ ელიზბარის თვალებში რისხვის ცეცხლი აელვარდა, ზიზღით გადახედა გივის და ხელით კარისაკენ მიუთითა: — ახლავე, ამ წუთში მიბრძანდით აქედან და არსად წამოგცდეთ, რომ თქვენ ოდესღაც ჩემს ოჯახში დადიოდით.

— Подумаешь! Великая важность! — დაიწყო ნინელიმ, მაგრამ გივიმ არ აცალა:

— იქნებ თქვენთვისაც დარჩეს სატრაბახოდ ჩემთან ნაცნობობა. ახლა კი აუფიდერზეინ, სოფელო! — უხეშად უპასუხა ელიზბარს, დამცინავად გადახედა დანარჩენებს და დემონსტრატიულად გავიდა ოთახიდან:

— ვაი, შე მართლა ცირკის მასხარავ! — დაადევნა ზურაბმა დერეფანში გასულ გივის.

— მეგი, ჟანეტა, წავიდეთ, აქ ჩვენთვის ადგილი არ ყოფილა!

— მშვიდობით გნახეთ, აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, — მიუგო მეგიმ ნინელის და ღიმილით მიუახლოვდა მერისა და ასლანს.

— მშვიდობით! — გულმოსული წამოიძახა ნინელიმ.

— მიბრძანდით, ქალბატონო! — ცივად უპასუხა ელიზბარმა.

— მეც მივდივარ, — ჩაილუღლუღა ჟანეტამ.

— თქვენც მიბრძანდით! — უპასუხა ისევ ელიზბარმა.

ნინელი და ჟანეტა უკანმოუხედავად წავიღნენ კარებისაკენ და სწრაფი ნაბიჯით დაედევნენ გივის, რომელიც ამ დროს სარკის წინ ტრიალებდა და დერეფანში უცდიდა მათ.

როდესაც გივი, ნინელი და ჟანეტა გარეთ გავიდნენ და კარები მიიხურეს, ელიზბარი მყისვე ხუმრობის ხასიათზე დადგა.

— ერმონია, ფანჯრები ფართოდ გააღე, ჰაერი გაიწმინდოს! — მხიარულად წამოიძახა ელიზბარმა და თვითონაც დაეხმარა ერმონიას.

ზურაბი გულისტკივილით უყვებოდა ასლანს გივისა და მისი მეგობრების შესახებ და ძლიერ სწუხდა. რომ კიდევ ბოგინობენ ასეთი ადამიანები ჩვენს დედაქალაქშიო.

— არა უშავს, მსგავსი უქნარები, სამწუხაროდ, ჩვენს სოფელშიც მოიპოვებიან! — ჩაერია საუბარში თინათინი.

ისევ სუფრას დაუბრუნდნენ. ელიზბარმა ღვინით სავსე ჭიქა აიღო და სადღეგრძელო უნდა ეთქვა, რომ სწორედ ამ დროს დაპატიჟებული სტუმრებიც მოვიდნენ. სუფრასაც მეტი ლაზათი მიეცა. ქალიშვილისა და სიძის შესახვედრად სახელდახელოდ მოწყობილმა წვეულებამ საზეიმო ხასიათი მიიღო.

როდესაც ყველა დაჯდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ელიზბარმა ქედის ჩხავერით შეავსო მამაპაპური ყანწი და სადღეგრძელო დაიწყო:

— პირველყოვლისა, ბოდიშს ვიხდი ჩემი ქალიშვილისა და სიძის წინაშე. დღეს ღრმად დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი ჩვენგანი ბევრ რამეში ჩამორჩა ცხოვრებას და საკუთარ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს. გესმის, ბოდიშს ვიხდი. ეს უფრო მეტად შენ გეხება, ჩემო ერმონია. და იმათაც, რომლებიც ახლახან გავაძევეთ აქედან, ქართველი კაცი თბილისელობით კი არ უნდა ყოყოჩობდეს, არამედ თვითონ თბილისი უნდა ამაყობდეს. რას ჰგავდა მათი საქციელი, განა ასე უნდა მიეღოთ რაიონიდან ჩამოსული ჩვენი ძვირფასი სტუმრები? შაგრამ.

თინათინმა ვერ მოითმინა და სიტყვა შეაწყვეტინა ელიზბარს, რომელსაც ამავე დროს ბოდიშიც მოუხადა თავისი საქციელის გამო. თინათინი ჯერ დაიბნა და საშინლად გაფითრდა, მერე სიწითლე მოეკიდა, თავი დახარა და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი საკუთარი თავი თვითონვე დატუქსა, ბოლოს ნებისყოფა მოიკრიბა, მისთვის ჩვეული სითამამე კვლავ დაიბრუნა და მშვენიერი აჭარელი ქალიშვილი გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებით ალაპარაკდა.

თინათინის გრძნობით სავსე სიტყვებმა ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს, აღტაცების ნიშნად, სტუმრებმა და მასპინძლებმა ტაში დაუკრეს და მხიარული სიმღერით დააგვირგვინეს. ელიზბარმა ღვინით სავსე ჭიქას წამოავლო ხელი და მღელვარე ხმით დაიწყო:

— ნება მომეცით, ამ სასმისით შევსვა საქართველოს მშვენიერი კუთხის, ჩვენი ღვიძლი აჭარის და მისი შვილების, და მათ შორის ჩემი სიძის, ჩვენი ძვირფასი ასლანის სადღეგრძელო. მოიტა ხელი, მოდი მკერდში ჩაგიკრა, ძვირფასო შვილო, ამხანაგო და მეგობარო!

ელიზბარი და ასლანი ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ „ვახტანგურად“ შესვეს ღვინო, კვლავ გადაკოცნეს ერთმანეთი. ყველამ ტაში დაუკრა და მრავალჟამიერიც შემოსძახეს.

ერმონია დარცხვენილი მიუახლოვდა ასლანს, სიყვარულით ჩახედა თვალებში და შუბლზე ეამბორა.

— მაპატიე შვილო! — დამნაშავესავით წაიჩურჩულა ერმონიამ და თავი დახარა. ასლანმა ხელზე აკოცა თავის სიდედრს, მერე ღვინით სავსე ჭიქა ასწია და სიტყვა დაიწყო:

— მეგობრებო! — ბავშვობიდან დედით ობოლი გავიზარდე და მხოლოდ დღეს ვიგრძენი დედის ამბორი და დედაშვილური გრძნობის სიამე. — ასლანი ერმონიასა და ელიზბარს მიუბრუნდა: ნება მიბოძეთ დღეიდან ასე მოგმართოთ: ძვირფასო დედავ და მამავ!

ასლანმა ბოლომდე დაცალა კარგა მოზრდილი ბროლის ჭიქა და დინჯად დაჯდა. გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვამ ისე იმოქმედა დამსწრეებზე, რომ რაღაც სასიამოვნო დუმილს მიეცნენ, ჭიქები უსიტყვოდ დაცალეს და ყველაზე უფრო მე-

ტყველი, სიყვარულით სავსე თვალებით შეაცქერდნენ ასლანს, რომელიც მათთვის ამიერიდან უძვირფასესი შვილი და ძმა გახდა. მერის სიხარულის ცრემლები აწვებოდა და თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, როგორც არასოდეს... კეთილად გადაწყდა საკითხი, რომელიც მერის ყველაზე უფრო აღელვებდა.

— მომავალ შაბათს ჩვენს ოჯახში, ქორწილი უნდა ვადავიხადოთ,—მოულოდნელად წამოიძახა ელიზბარმა და ასლანს მიმართა: — გთხოვთ დღესვე შეატყობინოთ თქვენიანებს, გვეწვიონ! — შემდეგ თინათინს მიუბრუნდა, — თქვენებსაც შეატყობინეთ!

— გმადლობთ, ბიძია ელიზბარ! — უპასუხა თინათინმა და მერე თუმცა თავისთვის, მაგრამ მაინც გასაგონად და ამოოხვრით ჩაიჩურჩულა: — ეჰ... მამაჩემს მუდამ სხვის ქორწილში უსდებოდა სიარული... თავის ოჯახში კი...

ნადიმი მიხვდა თინათინის დარდს და თუმცა გაუბედავად, მაგრამ სიყვარულით სავსე გრძნობით წამოცდა ერთადერთი სიტყვა: — თინიკო!

თავისი სახელის გაგონებაზე თინათინი ოდნავ შეკრთა, ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა და ნადიმს თვალებში მიაცქერდა.

— ჩვენი ქორწილიც მალე იქნება... თუ თანახმა ხარ, ამ ორ კვირაში.

ნადიმის სიტყვებმა თინათინს თავბრუ დაასხა და მოზღვავებულმა სიხარულმა კინაღამ დაახრჩო.

მ ე მ ე დ ი

1918 წლის მარტის მიწურული იყო, თბილისი. სასტუმრო „იენი დუნიეს“ ყავახანა ისევ ქუჩის პირას გამოეფინა. ზღვიდან მონაბერი ნელი სიო ოდნავ არხევდა პალმის შტოებს, მუშტრები ბაასით, თურქული ყავის სმით, გაზეთის კითხვით, ნარდის თამაშითა და ნარგილეს ქაჩვით იყვნენ გართული.

უცებ ყველას ყურადღება ახლად შემოსულმა ოსმან-აღამ მიიპყრო.

— სალამ ალეიქუმ! — ყველა იქ მყოფი თემენას წესით მიესალმა შემოსულს.

— ალეიქუმ სალამ! — უპასუხა ოსმან-აღამ და თავისუფალ მაგიდას მიუჯდა. ყაბალახი სკამის საზურგეზე ჩამოჰკიდა, გაოფლიანებული შუბლი ბაღდადური ცხვირსახოცით მოიწმინდა და ცალი თვალით ახედა კაფეჯის, რომელიც სალდათივით გამოჭიმული იდგა მის წინ.

— კახვე! — ძუნწად ისროლა ოსმან-აღამ და „ბაღდადური“ ერთხელ კიდევ გაატარ-გამოატარა შუბლსა და გაოფლიანებულ კისერზე.

— სულთანური, თუ?! — გაუბედავად შეეკითხა კაფეჯი.

— თურქული! — მოკლედ მოუჭრა ოსმან-აღამ.

— ამბობენ მალე ყველაფერი თურქული იქნებაო, — გაუბედავად წამოიკნავლა კაფეჯიმ.

— შენს პირს შაქარი, — ღიმილით მიუგო ოსმან-აღამ და ახლა ორივე თვალით შეხედა კაფეჯის, რომელიც თითქმის ხტუნვით გაეშურა ყავის მოსატანად.

მაგიდებს შორის შეუმჩნევლად გამოჩნდა სულეიმან ეფენდი. იგი ფრთხილად და მოწიწებით ხან ერთსა და ხან მეორე

მუშტარს რაღაცას ეკითხებოდა და პასუხის ნაცვლად ყველა ოსმან-აღასაკენ მიუთითებდა. სულეიმან ეფენდი თამამად მივიდა ოსმან-აღასთან, რომელიც რაღაც განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევდა თურქულ ყავას და მარცხენა ხელში კრიალოსანს მარცვლავდა.

— მე მითხრეს, თქვენ ოსმან-აღა ბრძანდებით!

— დიახ, მაგრამ თქვენ ვინა ხართ?!

ახალმოსულმა იმ წუთშივე პაროლით უპასუხა.

— სტამბოლში კარგი დარია...

— ჩვენთან წვიმა მოდის! — მიუგო ოსმან-აღამ და მაგიდასთან მიიპატიჟა.

— დაბრძანდით... მაშ სულეიმან-ეფენდი თქვენ ბრძანდებით? — ოსმან-აღამ ხელები კმაყოფილებით დაისრისა და სულეიმან ეფენდის სკამი მიუჩოჩა.

— მე გახლავართ, ფაშავ ბატონო! — დაუდასტურა სულეიმან ეფენდიმ გვერდით მჯდომ ოსმან-აღას, მერე უბიდან წერილი ამოიღო და დიდმნიშვნელოვნად გადასცა.

კითხვას რომ მორჩა, კმაყოფილმა ოსმან-აღამ სულეიმან ეფენდის მხარზე ხელი დაადო და ალერსით უთხრა:

— დიდება ალლაჰს, ამასაც ვეღირსე... როდის ჩამობრძანდით, საიდან?

— ამ დილით, ტრაპიზონიდან.

— თან გახლავთ ვინმე?

— ორი კაცი... თვითონ ენვერ-ფაშას დავალებით... მაგრამ ისინი ტრაპიზონელი ლაზები არიან და უსინდისოდ გვიღალატეს... მხოლოდ ახლა გავიგეთ მემედ-ბეგ აბაშიძის კაი კაცობა და ხელს არ ვახლებთო.

— სად არიან ახლა ისინი? — ხმამაღლა იკითხა ოსმან-აღამ და სახეზე სიბრაზემ გადაურბინა.

— მაშინვე უკან გაბრუნდნენ. ხვალ, ალბათ, ისევ ტრაპიზონში იქნებიან.

— გიაურები!.. — ბრაზით სავსე ხმით წამოიყვირა ოსმან-აღამ, — მაგრამ არა უშავს, მოღალატეებს თავისას მიუზღავენ, თქვენ რას ფიქრობთ? იქნებ, თქვენც აიცრუეთ გული?

პასუხის მოლოდინში, ჩვეულებისამებრ ცალი თვალი ბასრი ისარივით გაუყარა სულეიმან-ეფენდის თვალებში.

— მაგ შემთხვევაში მეც უკან გავბრუნდებოდი. მე ჭეშმარიტი მუსლიმანი ვარ და ჩვენი შარიათის, ჩვენი ფადიშახის მტერს სათანადოდ გავუსწორდები!

— ალლაჰ, ხეირ ვერსუნ ყარდაშ! — სიხარულით წამოიძახა ოსმან-აღამ და უფრო ახლოს მიჩოჩდა სულეიმან-ეფენდისთან.

— სანამ დავალებას შევასრულებ, მე მაინც მაინტერესებს გავიგო რა კაცია... ზოგი აქებს, ზოგი აგინებს! — იკითხა სულეიმან-ეფენდიმ.

— შესახედავად თქვენაც მოგეწონებათ, მაგრამ ვაი, რომ ავი კაცია... ბეგი მაინც არ იყოს... გიაურია, ნამდვილი გიაურია! მთელი აჭარა არია და ხალიფის გზას ააცდინა, ვითომ თვითონაც მუსლიმანია, მაგრამ სინამდვილეში მთელი სამუსლიმანოს მტერია. თუმცა მუსლიმანობა თურქებმა ძალად მოგვახვიეს. მაგრამ ისლამსა და შარიათს არას ვერჩიო... სინამდვილეში საქართველოსაკენ უჭირავს თვალი და აჭარასაც ქართველებისაკენ მიექაჩება. მოსაკლავია, ნამდვილად მოსაკლავი და თქვენ, ალბათ, თვითონ ალლაჰის მოგზავნილი ხართ, ეს შაითანი გზიდან რომ ჩამოვიშოროთ!

ოსმან-აღას ნათქვამით წაქეზებულმა სულეიმან-ეფენდიმ რევოლვერი ხელში შეატრიალა და მუქარით სავსე სიტყვები გადმოაფრქვია:

— უჰ, გიაურ-ოღლი, გიაურ, შვიდსავე ტყვიას შიგ შუბლში მივარტყამ!

ოსმან-აღამ თავის ძეწკვიან საათს დახედა, მოსმენილი სიტყვებით ნასიამოვნებმა სულეიმან-ეფენდის ღიმილით გადახედა და დამრიგებლური ტონით მიმართა:

— სადაც არის გამოჩნდება... აი იმ მაგიდასთან ჯდება, — თვალით ანიშნა, ყაბალახს ხელი წამოავლო და ასადგომად მოემზადა, — მე წავალ, ჩემთან ერთად რომ დაგინახოს, დაეჭვდება... აბა, თქვენ იცით, სულეიმან-ეფენდი. ჩემი სახლი ხომ იცით?

— უკვე ვიყავი, მაგრამ არ დამხვდით.

— ახლა კი დაგელოდებით!

ოსმან-აღა ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას.

სულეიმან-ეფენდიმ თვალი გააყოლა. მერე ისევ ჩამოჯდა სკამზე, ოსმან-აღას ნაჩვენებ მაგიდას მიაპყრო თვალები და ფიქრს მიეცა. თითქოს მიწიდან ამოძვრენო, მაგიდებს შორის ფუსფუსებდნენ გაზეთის გამყიდველები, რომლებიც ახალ-ახალ გაზეთებსა და ტელეგრამებს აფრიალებდნენ ხელში და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდნენ.

— ტელეგრამა... კლემანსოს სიტყვა... პუანკარეს აზრი...

— ვილსონის გამოსვლა, ლოიდ ჯორჯის მოთხოვნა!

— „სედაი-მილეთი" ენვერ ფაშას ჩამოსვლის შესახებ!

— ენვერ-ფაშა ზევ ბათუმში იქნება!

— აბა, ცხელ-ცხელი გაზეთები, ტელეგრამები...

როცა ყველა მსურველმა შეიძინა გაზეთები და ტელეგრამები, მეგაზეთეები სწრაფად მოშორდნენ მაგიდებს და მხიარული სიმღერა წამოიწყეს:

გეგეპკორი ვ კარტი იგრალ,
ბატუმ პრაიგრალ,
ა ჩხენკელი ვ ეტო ერემია
კარსომ ტარგაეალ

ყავახანაში ახოვანი შუახნის კაცი შემოვიდა. ფეხზე მას წაბლისფერი კრაგი ეცვა, ათლეტურ ტანზე კი გალიფე და ინგლისური ფრენჩი ემოსა. თავზე მუქი ქარვისფერი ბუხრის ქუდი ეხურა. ქუდს ქვემოთ მოჩანდა ღია წაბლისფერი მოსუჭუჭო თმა. მოსულს ძლიერ შვენოდა ოდნავ კეხიანი ქართული ცხვირი და მეტყველი ლამაზი თვალები, იგი ყველას თავაზიანად ესალმებოდა და ყველა უდიდესი პატივისცემით პასუხობდა.

ახალმოსული სულეიმან-ეფენდისთან შეჩერდა, ტელეგრამების კითხვით გაერთო და ვერც კი შეამჩნია, ისე ჩამოჯდა მის მაგიდასთან. სულეიმან-ეფენდი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა მას და გულში ფიქრობდა, ვიღაცაა, ეტყობა უბრალო ვინმე არ არის. უცნობმა კითხვას თავი მიანება და გადახედა სულეიმან-ეფენდის, რომელიც პირდაღებული მიშტერებოდა.

— მაპატიეთ, რომ უკითხავად დავჯექი თქვენს მაგიდასთან, — დარბაისლური თავაზიანობით მიმართა სულეიმან-ეფენდის და თან გულღიად გაუღიმა.

— როგორ გეკადრებათ.. მე მოხარული ვიქნები მასპინძლობა გაგიწიოთ! — უპასუხა სულეიმან-ეფენდიმ და იმ წამსვე მომტანისაკენ გაიხედა, მაგრამ მას უცნობისათვის უკვე მოჭქონდა თურქული ყავა.

— რას ბრძანებთ, ეფენდი!.. გატყობთ, აქაური არა ხართ და მასპინძლობა ჩემი ვალია, საიდან ბრძანდებით?

— ტრაპიზონიდან.

— რა ამბავია თქვენში?

— იქ არა უშავს, ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ აქ, როგორც ვატყობ, ძალიან ურევენ.

— სამწუხაროდ, რაც ახლა ჩვენს მხარეში არეულობაა, სულთანის ბრალია! — უმაყოფილოდ წარმოთქვა უცნობმა.

— სულთანის?! — გაიკვირვა სულეიმან-ეფენდიმ, — ალბათ, ძალიან გძულთ თურქები!

— რატომ?!. მე მხოლოდ ჩემი ხალხის მტრების მტერი ვარ და მათ შორის თურქი მოძალადეებისა. თურქ ხალხს კი დიდ პატივს ვცემ.

— თქვენ თურქების პატივისმცემელი ხართ?! — თითქმის ხმამაღლა წამოიძახა განცვიფრებულმა სულეიმან-ეფენდიმ და ეჭვით სავსე თვალებით მიაშტერდა უცნობს,

— დიახ! — მტკიცედ უპასუხა უცნობმა და განაგრძო: — სადაც შუღლი სიკვდილს თესავდა და სისხლი იღვრებოდა, მე მინდა იქ ძმობისა და მეგობრობის წყარო ჩუხჩუხებდეს, მე მინდა ქართველებსა და თურქებს შორის ძმობისა და მეგობრობის ხიდი გაიდოს...

სელეიმან-ეფენდი სულგანაბული უსმენდა უცნობს, ამ უცნაურ ადამიანს. ძლიერ ესიამოვნა უცნობის გულწრფელი სიტყვები, მაგრამ ბოლოს მაინც შეჰკადრა:

— ქართველებისაგან ეს შეუძლებელია!

— პირიქით, — შეედავა უცნობი, — მიუხედავად იმისა, რომ თურქები ყოველთვის დამნაშავენი იყვნენ ქართველების წინაშე, ჩვენ მაინც არა ვართ მათთან მეგობრობის წინააღმდეგი.

— ნუთუ თქვენს შორის ბევრია, ასე რომ მსჯელობს?! — გაკვირვებით შეეკითხა სულეიმან-ეფენდი.

— უმეტესობა, — მოკლედ მოუჭრა უცნობმა.

— როგორც ვატყობ, თქვენ კარგად იცნობთ თურქებს და თურქული ენაც ჩინებულად გცოდნიათ!

სულეიმან-ეფენდის სიტყვებმა ღიმილი მოგვარა უცნობს და ალერსიანი ხმით უპასუხა:

— ამას ჩემს სიმდიდრედ ვთვლი. სულზე უფრო მეტად მიყვარს ჩემი ტკბილი ქართული, მაგრამ დიდ პატივს ვცემ საამო თურქულ ენასაც. მე ვთარგმნე თურქულიდან ქართულ ენაზე ნამიკ ქემალის „სილისტრია", სეფეთ ნეჰიზისა და გახიდე საბრის ნაწარმოებები. ახლა ქართველი მწერლების რამდენიმე ნიმუში მინდა ვთარგმნო თურქულად. უკვე დროა ბოლო მოეღოს სიძულვილსა და უნდობლობას და ჩვენ, კარის მეზობლებმა — უკვე დროა ერთმანეთს მეგობრობის ხელი გავუწოდოთ!

სულეიმან-ეფენდი ფეხზე წამოდგა, უცნობს ხელი გაუწოდა და აღტაცებით უთხრა:

— თქვენისთანა კაცის გაცნობა ჩემთვის სწორედ რომ ბედნიერებაა. ამიერიდან მეგობრად მიგულეთ... მწამს, თქვენც გამიწევთ მეგობრობას და ერთ საქმეში ძმასავით გამომადგებით... იმედი მაქვს უარს არ მეტყვით!

— სიამოვნებით! ბრძანეთ... რა გნებავთ?

— მემედ-ბეგ აბაშიძეს დავეძებ, დღესვე უნდა შევხვდე, თორემ მერე გვიან იქნება... ამბობენ, ამ დროს იცის მოსვლაო... როგორც კი გამოჩნდება, გთხოვთ, მანიშნოთ, მასთან შესახვედრად ჩამოვედი.

უცნობს გაეცინა და მრავალაზროვნად გადახედა სულეიმან-ეფენდის.

— მე თვითონ გახლავართ მემედ აბაშიძე!

სულეიმან-ეფენდის განცვიფრებისაგან ისე აუთამაშდა სახის კუნთები, რომ მემედს თავაზიანი სიცილი წასკდა.

— მართალს ამბობთ?! — ხმამაღლა წამოიძახა სულეიმან-ეფენდიმ.

— დიახ, მე გახლავართ! — მტკიცედ უპასუხა მემედმა.

— აი, თურმე როგორი ყოფილხართ! — ძლივს წარმოთქვა სულეიმან-ეფენდიმ და შიშნარევი და გაკვირვებული შესცქეროდა მას, მემედის სახე ისეთ სიდინჯესა და სიდიადეს გამოხატავდა, რომ მოხიბლა სულეიმან-ეფენდი. გაოგნებულმა ბოლოს უთხრა: — არა, ასეთ ადამიანს მე თითსაც ვერ ვახლებ!

სულეიმან-ეფენდიმ ჯიბიდან ამოღებულ რევოლვერს დახედა და მწარედ გაიცინა.

— რა მოხდა, რა გემართება, ეფენდი?! — ორაზროვნად შეეკითხა მემედ აბაშიძე და ფინჯანში დარჩენილი ყავა ბოლომდე შესვა.

— მე დავალებული მქონდა თქვენი მოკვლა, მაგრამ — სულეიმანმა რევოლვერს დახედა და ისევ ჯიბეში ჩაიდო, — უარს ვამბობ...

ყავახანაში მთვრალი მეზღვაურებისა და სპეკულანტების ჯგუფი შემოვიდა. ისინი ხრინწიანი ხმით, მაგრამ ხმამაღლა მღეროდნენ:

ჩიკი-ჩიკი, პრაპორჩიკი,
არღანჩიკი და დუხანჩიკი..

სულეიმან-ეფენდიმ ყავა მოსვა, წყალი დააყოლა და წამოდგა.

— ამის შემდეგ, ალბათ, სხვას დაავალებენ... გთხოვთ ფრთხილად იყოთ... ახლა კი ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. მშვიდობით!

სულეიმან-ეფენდი გამოემშვიდობა მემედ აბაშიძეს და თავჩაქინდრული გაშორდა იქაურობას. ღრმად ჩაფიქრებული მემედი კი გაქვავებული გასცქეროდა ზღვის სანაპიროს, რომელსაც უთვალავი თურქული ფელუგა და შხუნა მოსდგომოდა. მთვრალი სპეკულანტები და მეზღვაურები კი კვლავ მღეროდნენ:

ჩიკი-ჩიკი, პრაპორჩიკი,
არღანჩიკი და დუხანჩიკი.

* * *

აპრილი იყო. ბათუმის ცხოვრება ჭინჭყლიან მარტს ჰგავდა... თურქთა ჯარები ქალაქს მოადგნენ, ქვეყნის მმართველები

კი, დაწყებული მენშევიკებით, დამთავრებული მონარქისტებითა და სხვადასხვა ჯურის სოციალისტებით, გაუთავებლად ლაპარაკობდნენ რევოლუციის მონაპოვარზე და ენამჭევრობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

თურქები შეუჩერებლად მოიწევდნენ ბათუმისაკენ.

ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარი გაიხიზნა.

ასეთ ვითარებაში დრო იხელთეს მეხუთე კოლონის მესვეურებმა და კატეგორიულად მოითხოვეს ბათუმის ციხე-სიმაგრის უბრძოლველად დათმობა.

„ერგეს“, „სტეფანოვკის“, „დიდი სამების“, „ჰამიდიეს“, „კასაბრის“, „ბარცხანის“, „ანარიისა“ და სხვა ფორტები თითქმის უბრძოლველად დანებდა თურქ ასკერებს, რომლებიც თოთხმეტ აპრილს ქალაქს მოადგნენ. თურქოფილების სპეციალური დელეგაცია ოსმან-აღასა და სულეიმან-ბეგის მეთაურობით, მასთან ერთად ბათუმის სათათბიროს დელეგაცია, მისი ნაციონალური საბჭოს მთელი შემადგენლობით, გენერალ ორლოვის მეთაურობით, ზეიმით შეხვდნენ ქალაქში შემოსულ თურქეთის ჯარს.

ჯარებთან ერთად ვახიდ და ენვერ-ფაშაც ჩამობრძანდნენ. თურქეთის სამხედრო მინისტრის ჩამოსვლა „სედაიმილეთლებმა“ და მათთან ერთად სხვადასხვა ჯურის მედროვეებმა ზეიმად გადააქციეს.

— ბუირუმ, ბუირუმ! — ხმის ჩახლეჩამდე გაიძახოდნენ ოსმან-აღა, სულეიმან-ბეგი და მათი ამალა, — ინშალა... ველირსეთ, როგორც იქნა, ველირსეთ ბედნიერებას!

— იაშა, ენვერ-ფაშა! იაშა!

— გაუმარჯოს ანატოლიის ლომს! — ღრიალებდნენ „სედაიმილეთლები“.

— ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, ახლა? — წუწუნებდა სპირიდონ სართანია.

— უნდა მივესალმოთ, როგორც მასპინძლებმა, — მტკიცედ უპასუხა ორლოვმა.

— რას ამბობთ, ბატონო გენერალო, მასპინძლები დღეიდან თვითონ იქნებიან! — შეუსწორა სართანიამ და ნერვიულობისაგან თითებს დაუწყო წვალება.

— ასეა თუ ისე, მაინც უნდა მივესალმოთ! — გაუბედავად

წამოაყრანტალა სარქისიანცმა, რომელსაც ყარსის ოლქიდან მიღებული ცნობა ეჭირა. ცნობაში საშინელი ამბავი ეწერა: „ამიერკავკასიის კომისარიატის წინადადება ყარსის ოლქის მშვიდობიანი დაცლის შესახებ, თურქებმა აინუნშიც არ ჩააგდეს... ასკერებმა სისხლიანი შეტევა დაიწყეს ოლქის მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ და აუწყეველი სისასტიკე გამოიჩინეს... ბავშვებსა და ქალებს სოცავენ. ქუჩები მოფენილია გატიტვლებული გვამებით... დედაკაცებს ქმრების წინაშე აშიშვლებენ და აუპატიურებენ, ლამაზები თან მიჰყავთ, ბევრი გაგიჟდა...“

სარქისიანცი მოულოდნელად ოსმან-აღას თვალებს შეეფეთა. ჯერ დაიბნა, შემდეგ ქაღალდი მისალმების ნიშნად ცხვირსახოცივით ააფრიალა და ხმამაღლა დაიღრიალა:

— ბუირუმ, ბუირუმ. . ინშალა, ენვერ-ფაშა!

თბილი მიღებით ნასიამოვნები ენვერ-ფაშა კარგ ხასიათზე დადგა... და დამხვდურთ მოწყალებასავით მიუგდო ორიოდე მისასალმებელი სიტყვა:

— იაშასუნ ბიზუმ მილეთ! იაშასუნ თელაიი ისლამ ჯამიეთი!

უცებ ყველას ყურადღება გენერალმა ორლოვმა მიიპყრო, რომელმაც ჯერ მედიდურად გადახედა ხალხს, მერე ენვერ-ფაშას გამოეჭიმა და ხმამაღლა დაიწყო:

— ბათუმის სათათბიროს რუსული ეროვნული საბჭოს სახელით მივესალმები ოსმალეთის ძლევამოსილ მხედრობას და მის ბელადს ანატოლიის სახელგანთქმულსა და უძლეველ ლომს, ბატონ ენვერ-ფაშას! ჩვენ, რუსებმა, ბათუმის დაკავების დროს არ გაგიწიეთ არავითარი გადამწყვეტი წინააღმდეგობა, ვინაიდან ქალაქი თქვენ გეკუთვნოდათ და ორმოცი წლის უკან თქვენ ძალით მოგწყვიტეს... ჩვენ თქვენი გულითადი მოკავშირეები და მეგობრები ვართ...

ნება მომეცით ბატონო ენვერ-ფაშა, ბათუმისა და მისი ოლქის საზოგადოების სახელით გადმოგცეთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

სიტყვა მისალმებისათვის ეკუთვნის ბატონ მემედ აბაშიძეს.

მემედ აბაშიძის სახელის ხსენებამ ოსმან-აღას ფერი უც-

ვალა, თვალები მაღლა აღაპყრო და კბილების ღრჭიალით წარმოთქვა:

— სულეიმან-ეფენდი!.. ნუთუ შენც გვიღალატე... უუ, გიაურ-ოღლი, გიაურ!

მემედ აბაშიძის ხსენება არც ენვერ-ფაშას ესიამოვნა, იგი უკვე ლიკვიდირებული ეგონა. სინამდვილეში კი... მემედ აბაშიძე უკვე გამოჩნდა, ცერით ბუხრის ქუდი შუბლზე ოდნავ აიწია, ულვაშებზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და დაიწყო:

— დიდად პატივცემულო ბატონო ენვერ-ფაშა! მთელი ამ კუთხის სახელით, ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობის სახელით მოგესალმებით მხოლოდ, როგორც სტუმარს, მაგრამ თუ თქვენ ჩვენს მიწა-წყალზე ფეხი შემოდგით, როგორც დამპყრობელმა, ჩემი სამშობლოს ამ ბედუკულმართობისას დრო იხელთეთ და მისი მიტაცება გწადიათ, მაშინ ჩვენ ასე გეტყვით: მიბრძანდით აქედან, თქვენი აქ არაფერი თესია. ბათუმი და მისი ოლქი, მთელი აჭარა, ჩვენი დედა სამშობლოს — საქართველოს განუყრელი ნაწილია. იმედი გვაქვს თქვენს შეცდომას სწრაფად გამოასწორებთ — დაუყოვნებლივ დატოვებთ ჩვენს მამა-პაპათა მიწა-წყალს და წახვალთ იქით, საიდანაც მოსულხართ...

— გააჩუმეთ... გააჩუმეთ! — დაიღრიალა ოსმან-აღამ და შეიარაღებული ამალით მრისხანედ წაიწია აბაშიძისაკენ, მაგრამ მას მემედის ვაჟკაცები გადაეღობენ. მოწინააღმდეგეებს შორის ორლოვი და მისი მეომრები ჩადგნენ. ენვერ-ფაშამ თვალით ანიშნა ვახიდ-ფაშას და ფაშები თავისი დიდი ამალით გზას გაუდგნენ განკუთვნილი რეზიდენციისაკენ.

ბათუმში თურქების შემოსვლია მეორე დღეს ხმა გავრცელდა. წუხელის ენვერ-ფაშას ბრძანებით დააპატიმრეს მემედ აბაშიძე და მისი მომხრეები, რომლებიც ამ დილით ტრაპიზონის ციხეში გაგზავნესო... ზოგი იმასაც ამბობდა, რომ იქ მათ სიკვდილით დასჯიანო.

* * *

ცუდი ამინდი დაიწყო, მაგრამ მზე ხანდახან მაინც გამოჩნდებოდა და გაზაფხული ძალაში შედიოდა.

ბათუმის სანაპიროებს აუარებელი ხამსა და სტავრიდული მოაწყდა.

ზღვა ნავებით, სხვადასხვა ჯურის კატარღებით აივსო და ჯერ აონახული თევზაობა გაჩაღდა.

ყველგან ნედლი, შემწვარი და მოხარშული თევზის სუნი იდგა. დამშეულმა ბათუმმა სული მოითქვა.

ბოლო სანაპირო თევზებით სავსე ნავებით იყო მოფენილი. ნავებს შორის თურქულ ფელუგებს წამოეყოთ თავი. ფელუგების უკან ნაპირზე მომდგარი შხუნები ჩამწკრივებულიყვნენ. შხუნების ანძებზე თურქული დროშები ფრიალებდა. შხუნებსა და ფელუგებში გორებად ეყარა რიზედან, ხოფადან და ტრაპიზონიდან ჩამოტანილი ვაშლი და ფორთოხალი. ხილის გორებთან წითელფესიანი ლაზები იდგნენ, აქა-იქ ტრაპიზონელ თურქებსა და მუჰაჯირ აფხაზებსაც შეხვდებოდით, რომლებიც ვაშლსა და ფორთოხალს ჩალის ფასად ჰყიდდნენ.

მუჰაჯირი აფხაზი ფეიზ ტანტ-ოღლი ბათუმის ხშირი სტუმარი იყო. იგი ტრაპიზონიდან ხილით სავსე შხუნით ჩამოდიოდა ბათუმში და უკან ნავთით სავსე თუნუქის ბიდონებით ბრუნდებოდა,

ფეიზ ტანტ-ოღლის საშუალება ეძლეოდა ხშირად ენახა მუჰაჯირობიდან დაბრუნებული ნათესავები, რომელთა ნაწილიც გუდაუთს დაბრუნდა, ნაწილი კი ბათუმსა და კახაბერში დასახლდა.

ტანტ-ოღლი და მისი ბათუმელი ბიძაშვილი თემურ ტანტიბა ხანში შესული ადამიანები იყვნენ. სამოც წელს მიღწეულ ბიძაშვილებს კარგად ახსოვდათ მუჰაჯირობის მწარე დღეები, როცა ჯერ კიდევ ბავშვები, მშობლებთან, ნათესავებთან და სხვა თანამემამულეებთან ერთად სამშობლოს ბედუკუღმართობამ მოსწყვიტა მშობლიურ მხარეს და თურქეთში გადაისროლა.

ფეიზი ბათუმელ და კახაბრელ ნათესავებს ხშირად ხვდებოდა, მაგრამ უკვე რამდენიმე წელიწადია გუდაუთელები აღარ უნახავს.

მზე ახლად ჩასული იყო, როცა ფეიზ ტანტ-ოღლის შხუნას თემურ ტანტიბა მიადგა. თემურს რეჯებ ჩაზმავა და ორი უცნობი ახლდა. უცნობებს ნათლად ეტყობოდათ, ნავსადგუ-

რის მუშები იყვნენ. თემურმა განზე გაიხმო ფეიზი და კარგა ხანს რაღაცას უმტკიცებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა, მაგრამ უსაყვედურა:

— რა ვიცი, თავს იკლავდი, ნეტავი ერთხელ მაინც მანახა ჩვენები გუდაუთაშიაო და ახლა კინაღამ უარი თქვი?

— უარს არ ვამბობ. თავი გაიმართლა ფეიზმა. — მე მხოლოდ სხვა რამე მაფიქრებს.

— სხვა რამე შენ არ გეხება.

— როგორ არ მეხება, როცა ჩემი შხუნით გინდათ ტვირთის გადაზიდვა, მერე კიდევ, როგორი ტვირთის

— ახლა სწორედ ეს ტვირთია ყველაზე უფრო საჭირო, როგორც შენი გუდაუთელი ნათესავებისათვის, ისე ყველა ჩვენიანებისათვის.

ფეიზ ტანტ-ოღლის შხუნასთან ხუთი ურემი გაჩერდა. ურმებიდან ათი ანგისელი აფხაზი გადმოხტა.

თემურ ტანტიბამ თვალით ანიშნა და მეურმეებმა იმ წუთშივე დაიწყეს ჭილოფებში გახვეული ტვირთის გადაზიდვა შხუნაზე.

— რას შვრები, ფეიზ-აღავ?! ამ ვაჟბატონებს უთხარი ტვირთი ახლავე უკან გადაიტანონ. თორემ ზღვაში გადავუშვებ! — წამოიღრიალა ფეიზ ტანტ-ოღლის კომპანიონმა, რომელიც დათვის ტყავზე იყო გაშოტილი და შხუნაზე მოფუსფუსე აფხაზების ხმაურმა გამოაღვიძა.

ოსმანმა შემთხვევით შეამჩნია გახვეული ჭილოფიდან თავგამოყოფილი შაშხანები, რომელთა რიცხვი, მისი ვარაუდით ოთხასამდე აღწევდა.

უცებ რეჯებ ჩაზმავამ ოსმანი გვერდზე გაიხმო და ხელში ახალთახალი კარაბინა მიაჩეჩა.

— ფეშქეშ! — ღიმილით მიმართა რეჯებმა გაკვირვებულ ოსმანს და არწივისებური თვალები გაღვივებული ნაკვერჩხლებივით მიანათა.

ლაზი ოსმანი დიდხანს გაბრუებული იდგა ერთ ადგილზე. გონს რომ მოვიდა, იმ წუთშივე იცნო რეჯები, რომელიც პირველად, ორი წლის წინ, ბათუმის ბულვარში ნახა ტირში გამართული სროლის დროს. მაშინ რეჯებმა ყველა იქ მყოფი გააკვირვა ზუსტი სროლით, ოსმანმა კი ფულთან ერთად მამის და-

ტოვებული ოქროს საათიც წააგო... გული დაწყდა, ძლიერ შეწუხდა თავმოყვარე ლაზი. ტირში თავმოყრილთა შორის იგი თითქმის ყველაზე ცუდი მსროლელი აღმოჩნდა.

ამას კიდევ როგორმე აიტანდა, მაგრამ ოსმანი საათს ნაღვლობდა, მამის მიერ დატოვებულ საათს, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში მუდამ თან ატარებდა.

ყველას შეეცოდა ლაზი ოსმანი, მაგრამ ვერავინ დაეხმარა.

— რამდენი გინდა მაგ ოქროს საათში? — გაისმა დარბაისლური ხმა.

— ათი თუმანი, მაგრამ ნიზლავით სროლაში, — უპასუხა ტირის პატრონმა.

— პირობა?

— ორმოცდაათი — ორმოცდაათი შესაძლებლობიდან.

— მოდის! — ისევ გაისმა უცნობის ხავერდოვანი ხმა და სიტყვას სროლაც მოყვა. ტირის პატრონს თვალები ორმაგად გაუღიდდა, ტყვიები ძმებივით ჩახუტებულიყვნენ ერთ წერტილში და გამარჯვებულმა ოსმანის ოქროს საათი ტაშის ხმაურში საზეიმოდ ჩაიბარა. როცა პირით ხალხისაკენ მობრუნდა, გამარჯვებული იცნეს და ისევ ატეხეს ტაშის ცეცა, ყველა თავმდაბალი სალამით ულოცავდა მემედ აბაშიძეს შესანიშნავ გამარჯვებას. მისი თვალები კი ვიღაცას დაეძებდა. ეს იყო ლაზი ოსმანი, რომელიც აგუზგუზებული თვალებით შესცქეროდა თავის ოქროს საათს.

— ფეშქეშ! — ღიმილით უთხრა ოსმანს მემედ აბაშიძემ და საათი გაუწოდა. „ფეშქეშ", თითქოს ვიღაცა ტკბილად ჩასჩურჩულებსო, ლაზი ოსმანის ყურთასმენას კვლავ ატკბობდა სასიამოვნო სიტყვა. „ფეშქეშ" ტკბილად ესმოდა ლაზ ოსმანს, რომელიც მოჯადოებული დასცქეროდა ახალთახალ კარაბინას... ორი წლის წინათ მომხდარმა ამბავმა ელვის სისწრაფით გაირბინა მის წინ.

— მადლობელი ვარ — თავაზიანად უთხრა ფიქრებისაგან გამოფხიზლებულმა ოსმანმა თავზე ქორივით წაჰომდგარ რეჯებს და ხელი გაუწოდა.

ერთი საათის შემდეგ შაშხანებითა და ტყვია-წამლით დატვირთული შხუნა ყურედან გამოვიდა, მარცხნივ თურქეთი-

საკენ გაუხვია, როგორც კი გაშორდა ქალაქის სანაპიროს. ზღვის სიღრმეში შევიდა, მარჯვნივ მოუხვია და კურსი გუდაუთისაკენ აიღო.

შხუნას თან მიყავდა სოხუმელი ბოლშევიკები.

ორი კვირის შემდეგ ფეი ტანტ-ოღლისა და ლაზი ოსმანის შხუნა მშვიდობიანად დაბრუნდა ბათუმში... იქედან კი ნავთით დატვირთულმა პირდაპირ ტრაპიზონისაკენ გასწია.

კარაბინა ფეიზ ტანტ-ოღლიმაც მიიღო ფეშქეშად.

გზაში, ბათუმიდან ტრაპიზონამდე, ლაზი ოსმანი და ფეიზ ტანტ-ოღლი მიზანში სროლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

გამარჯვებული ხან ერთი გამოდიოდა და ხან მეორე, მაგრამ მარჯვე სროლითა და საკუთარი კარაბინებით ორივე ერთნაირად იყვნენ აღტაცებულნი.

* * *

ტრაპიზონის სანაპიროც გამოჩნდა.

ქალაქის მახლობლად, ზღვისპირა კლდეებს შორის გაჩრილი ლაზი მეთევზის სახლიდან შვიდი კაცი გამოვიდა. ისინი ნაპირზე გამოტანილ ნავს მიადგნენ და რამდენიმე წუთში იგი ზღვაში ჩაუშვეს. ოთხი მათგანი ნავში ჩასხდა, სამი ნაპირზე დარჩა. ნავმა გეზი ბათუმისაკენ აიღო.

ცაზე ღრუბლები წამოიშალნენ.

ზღვა თანდათან მუქ ფერს იღებდა. ნისლი ჩამოწვა. მაგრამ ლაზი ოსმანი და ფეიზ ტანტ-ოღლი მაინც განაგრძობდნენ სროლაში ვარჯიშს.

შხუნა ნაპირიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით მიცურდა დასავლეთისაკენ. ნისლის გამო ნაპირი არ მოჩანდა. ამიტომაც ვერ შეამჩნიეს ასიოდე მეტრით დაშორებული ნავი. რომელმაც დიდი სიფრთხილით ჩაუარა შხუნას, საიდანაც გამუდმებული სროლა ისმოდა. ნავში მსხდომთ მდევარი ეგონათ, მაგრამ სროლის ხმაზე მიხვდნენ, რომ შხუნას ტრაპიზონისაკენ ეჭირა კურსი გახარებულმა მენავეებმა, რაც შეიძლება სწრაფად მოუსვეს ნიჩბებს. ლაზი ოსმანი და ფეიზ ტანტ-ოღლი ადგილზევე გაქვავდნენ... მოპირდაპირე მხრიდან სრო-

ლა მოესმათ. კიდევ ცოტა და მათი შხუნის წინ ასკერებით სავსე სამხედრო კატერი გამოჩნდა.

— შეჩერდით! — მოისმა მრისხანე ბრძანება კატერიდან.

რამდენიმე წუთში ასკერები შხუნაზე გაჩნდნენ. მათ ეურადღებაც არ მიუქცევიათ იქვე გაშეშებული ლაზი ოსმანისა და ფეიზ ტანტ-ოღლისათვის, ისე დაიწყეს ჩხრეკა.

ლაზი ოსმანი და ფეიზ ტანტ-ოღლი იცინოდნენ... ონბაში ნაცნობი გამოდგა. ონბაშმაც იცნო ისინი, ხელი ჩაიქნია, ჩხრეკა შეწყვიტა და თუთუნის ნამწვი, ნაცვლად იმისა, რომ ზღვაში გადაეგდო, შხუნას საპეს მიასრისა, მერე ძირს დააგდო და ფეხითაც გასრისა. ეტყობოდა იგი ან გულმოსული იყო, ან უხერხულად გრძნობდა თავს.

ფეიზმა და ოსმანმა დრო იხელთეს და დაუწყეს გამოკითხვა:

— რას ეძებთ?

— ნავთი თუ გინდათ, ჩხრეკა რა შუაშია?

— ნავთი რა შუაშია... ჩვენ გაქცეულებს ვეძებთ. — მორცხვად უპასუხა ონბაშმა და ორთავეს თავაზიანად მიესალმა.

— ვინ გაიქცა?

— საიდან გაიქცა? — ზედიზედ მიაყარეს შეკითხვები ონბაშს, რომელიც ამ დროს თავის ასკერებთან კატერზე გადასვლას აპირებდა.

— გურჯი მემედ-ბეგ აბაშიძე... ორი კვირის წინ ტრაპიზონის ციხიდან გაიქცა. დღეს კი ნავით გაპარულა. — უგუნებოდ უპასუხა ონბაშმა და წასასვლელად გადადგა ნაბიჯი, მაგრამ იგი ოსმანმა შეაჩერა

— აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე... ჩვენ კი ისინი ხელიდან გავუშვით.

— სად ნახეთ?! — უცებ იკითხა გაბარებულმა ონბაშმა.

— რიზედან გამოსვლის წინ ვნახეთ... მათი ნავი გაფუჭებულიყო და იგი ჩვენი თვალის წინ ბათუმისაკენ მიმავალ შხუნაზე გადაჯდა.

— შხუნა წავიდა?

— შხუნა და ჩვენ ერთდროულად გამოვედით რიზედან.

— რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? — მოუთმენლად იკითხა ონბაშმა და ნერვიულობა დაეტყო.

ოსმანმა ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო, ზანტად დახედა და გაკვირვებისაგან ხელები გაშალა.

— ოო, მას შემდეგ უკვე სამ საათზე მეტი გასულა... ალბათ, ისინი ახლა ათინეს უახლოვდებიან... მაგრამ არა უშავს. იმ ვიაურს თუ მანამდე არა, ბათუმში მაინც გაკოკავენ.

— კი, მაგრამ თქვენ ვის ესვროდით? — უგუნებოდ იკითხა ონბაშმა.

— ჩვენ სროლაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

— რაზე დანიზლავდით? — ისევ იკითხა ონბაშმა და ლაზი ოსმანის ოქროს საათს დააცქერდა, ოსმანს კი მემედ აბაშიძე ეაახსენდა... ვინ იცის, იქნებ, იგი ჯერ კიდევ ახლოს არის... დევნა რომ განაგრძრ. დაეწევიან. და...

— ამ ოქროს საათზე დავნიზლავდით... იქნებ ინებებთ, შეგვეჯიბროთ? — უმალვე წამოიძახა ოსმანმა და ონბაშს გამომწვევად გაუღიმა. ონბაში დათანხმდა, სამი ხნე ნიშანი კატერზე აღმართეს, თვითონ კი შხუნიდან ისროდნენ. სროლაში ონბაში გამოვიდა გამარჯვებული. წაგებული საათი თვითონვე შეისყიდა ოსმან-აღამ.. უკვე მზე ჩადიოდა, როდესაც დიდი მოგებით გახარებული ონბაში თავის ასკერებთან ერთად ტრაპიზონისაკენ გაბრუნდა.

სამხედრო კატარღას უკან მისდევდა ნავთით დატვირთული შხუნა. ლაზი ოსმანი კმაყოფილებით ათამაშებდა ხელში თავის ოქროს საათს.

ზემოთხვევა უავახანაში

ნავსადგურის სანაპიროზე და თათრის ბაზრის უბანში უამრავი ყავახანები და ჩაიხანები იყო ჩამწკრივებული, იქ ადრე დილიდან გვიან ღამემდე აუარებელი მუშტარი იყრიდა თავს და თურქულ ყავასა და ჩაის შეექცეოდა. ნარდის განუწყვეტელ თამაშში, დაუსრულებელი ამბის ოხრობაში წარსულზე (აწმყოსა და მომავალზე ლაპარაკი აღმოსავლეთსა და სამხრეთში უცხო ხილი იყო). „ინშ-ალლაზე" დაყრდნობილები მორჩილებით ხვდებოდნენ ხვალინდელ დღეს... ხვალ კი, ისევ ყავახანა და ჩაიხანა, დომინო და ნარდი... და კვლავ „ინშ-ალლა" — ფანატიკური აღმოსავლეთის მომავლის ბატონ-პა-

ტრონი. „ინშ-ალლა“ — ყოფნა ღმერთის იმედით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში აღარ ისმოდა გაუთავებელი „ინშ-ალლა“ და „ჰაი-გიდი“. თითქოს შორეული წარსულისაკენ მიპყრობილმა თვალებმა გამოიღვიძესო და...

საეკვო პირებით ავსებული სასტუმრო „ენი დუნიეს“ ქვედა სართული, მემიშ-ოღლის ცნობილი ყავახანა, ჩვეულებრივზე მეტად ხმაურობდა...

შესასვლელთან გამომწვევად შიშხინებდა ლულა-ქაბაბი. გავარვარებული მუგუზლებით სავსე მანღალებზე ცხვრის მწვადები, პამიდორით და დუმით გატენილი ბადრიჯნები მადის გამაღვიძებლად უშვებდნენ ნოკიერ ოხშივარს, რომელსაც ხარბად ისუნთქავდნენ მშიერი გამვლელები.

ყავახანა სანახევროდ ქუჩაში იყო გამოტანილი და ტროტუარზე ჩამწკრივებულ მაგიდებთან შემომსხდარი მუშტრები უსაქმოდ როდი იყვნენ: ზოგი ლულა-ქაბაბს, ზოგი მწვადს, ზოგი თურქულ ყავას, ან პატარა ირანული ჭიქით ჩაის შეექცეოდა,

ნარდის მოთამაშეების მხრიდან კამათლების განუწყვეტელი წკრიალი და „შაში-ბეშ“, „იქი-ბირ“ და „სევაი-იაქე“ ისმოდა. უფრო დარბაისლები, ხანში შესული და შეძლებული პირები ნარგილებს ქაჩავდნენ, აჩუხჩუხებდნენ და ბოლქვებად აბოლებდნენ.

ყავახანასთან იღლიაში ხურჯინამოჩრილი ახმედი შეჩერდა. როგორც იქნა, გადაწყვიტა და შიგ შევიდა, კუთხეში მიგდებულ მაგიდასთან მივიდა, ხურჯინი იატაკზე დადო, მჭადისა და ყველის ნაჭერი ამოიღო, მაგიდაზე დააწყო, თვითონაც ჩამოჯდა და თავზე წამომდგარ ჩაიჯის გაუბედავად შეუკვეთა:

— ბირ შირინ ჩაი!

სახრჩობელადან ჩამოხსნის შემდეგ ახმედმა ორი თვე იავადმყოფა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოკეთდა. მაგრამ უსახლკაროდ დარჩენილმა, სულიერი სიმშვიდე ვერა და ვერ იპოვა ბოლოს ბედმა გაუღიმა, მეზობლის ქვრივი შეირთო ცოლად.

რამდენიმე თვეში ახმედმა ახლად შექმნილი ოჯახი ფეხზე წამოაყენა. ფეხმძიმე ცოლი სახლში მარტო დატოვა, თვითონ ქალაქში წამოვიდა, ვიმუშავებ, ფულს მოვაგროვებ, დავბრუნ-

დები სოფელში, ძროხას ვიყიდი და ცხოვრებას სამოთხესავით მოვაწყობო.

ახმედი სოფლიდან სწორედ იმ დილით ჩამოვიდა... ჰოდა, ახლად ჩამოსული, სანამ სამუშაოს ძებნას შეუდგებოდა, ყავახანას ესტუმრა. კუთხეში დაჯდა და ფიქრებს მიეცა. იგ მყოფთ, რომ თვალი გადაავლო, უცებ შეკრთა... ყავახანის შუაგულში ნოხზე გაწოლილ და მუთაქებზე ნიდაყვდაყრდნობილ აღებს შორის, რომლებიც ნარგილეს ქაჩავდნენ და ყავას მირთმევდნენ, ოსმან-აღა შეამჩნია.

ტკბილი ჩაი შხამივით გადადიოდა ახმედის ყელში. სისხლი თავში აუვარდა, ხელი ბებუთისაკენ გააქანა, მაგრამ თავი შეიკავა.

ოსმან-აღა საინტერესო ამბავს ყვებოდა და ახმედიც დაინტერესდა. დაინტერესდა და სმენად გადაიქცა.

— არჩილ არაბიძე ჟულიკია, სერგეი ნოვიკოვი ყაჩაღი და რეჯებ ბოლქვაძე კი უსინდისო, ნამდვილი ბოლშევიკები არიან, მაგრამ არა უშავს, — ბურდღუნებდა ოსმან-აღა და აჩუხჩუხებდა ნარგილეს. — მალე მიაგნებენ მათ კვალს და ჰაიდა, სახრჩობელაზე. მაგ ყურმუსაღებს მართლა ჰგონიათ, რომ თურქები ამ დღეებში ბათუმს დატოვებენ და თავი ეიშვეს... თურქები თუ წავლენ, ანგლიჩები იქნებიან, ან რუსის ხელმწიფე მევა, ანდა ისევ ჩვენს სულთანს დარჩება ყოლისფერი. რევოლუციას გუუმარჯოს, ფუხარას და ყველა გლახას გუუმარჯოსო. რა ნა უქნა ამისთანებს და, ცხელი ტყვია შუბლში... ანგლიჩებისა და ჟორდანიას მთავრობას, რუსისა და ენვერ-ფაშის მთავრობას, ბატონებსა და პატიოსან ხალხს ვეჩხუბოთ და გევიმარჯვოთო... თფუ!

— ვალაჰ, ძალუან გონჯი ღროა... სულ ჩხუბი და ომები, შიმშილობა, გაჭირვება და ათასი უბედურება... დეიხოცა, დეილია ხალხი, ვალლაი და ბილლაი, ქვეყნის დაღუპვის, ნამდვილი ახირ ზამანის დროა! — სინანულითა და ხელის ჩაქნევით თქვა სულეიმან-ეფენდიმ, მაგრამ ოსმან-აღა არ დაეთანხმა.

— ახირ ზამანის კი არა, რაც კაი და ბედნიერი დროა ახლაა... ვისაც თავში ჭკუა აქვს და მარიფათი გააჩნია, გამდიდ-

რებისათვის და კაი ცხოვრებისათვის ამაზე უკეთეს დროს ჰად ნახავს.

ნგრევისა და ომების წლები ოსმან-აღასათვის მართლაც რომ ბედნიერი და სანატრელი დრო იყო... სწორედ ამ დრომ მოუტანა სიკეთე და ბედნიერება ოსმან-აღას. ყოველი მხრიდან მოდიოდა სიმდიდრე, მაგრამ ამ ბოლო წლებში ყველაზე უფრო დაკლული საქონლით ვაჭრობამ გაამდიდრა იგი.

ბათუმში და მის ოლქში განლაგებულ ჯარის ნაწილებს მხოლოდ ოსმან-აღა ამარაგებდა საქონლით. იგი ყოველდღე ბითუმად ჰყიდდა რამდენიმე ათეულ ცოცხალ ცხვარსა თუ თხას, ძროხასა თუ ხარს.

ჯარის წარმომადგენლები, ეს იყო მეფის დროს. დროებით მთავრობის, თუ თურქების დროს, ერთმანეთს ჰგავდნენ... იმდენად გულუბრყვილო, დაუკვირვებელი და დაუდევრები იყვნენ, რომ ოსმან-აღა მათ ყოველთვის ადვილად და მოხერხებულად ატყუებდა... როცა ორს თუ სამ ცოცხალ ცხვარს ან თხას სასწორზე ასაწონად დააყენებდნენ, თითქოს იმ მიზეზით. რომ ისინი სასწორიდან არ გადამხტარიყვნენ, ოსმან-აღა და მისი კაცები პირუტყვს ხელით ამაგრებდნენ და რაც სიმძიმე და ძალა ჰქონდათ სასწორს აწვებოდნენ. მთავარი ის გახლდათ, რომ პირუტყვის დასამაგრებლად ოსმან-აღა თვითონ მყიდველებსაც იხმარიებდა ხოლმე.

ოსმან-აღა არაჩვეულებრივი სისწრაფით მდიდრდებოდა. ასე ენება სასწორს და სასწორის სიმართლეს კი, ვერსად წაუხვალ. „ასეთი სიმართლის სასწორის დროა ახლა... სხვა დრო რა ჯანდაბად უნდა ოსმან-აღას?.. მისი ინტერესი ფულია, ოქროს ლირები, სიმდიდრე“. ოსმან-აღასათვის სულერთი იყო რუსის, უცხოელების, ქართველების თუ თურქების ჯარი... იგი ყველას ერთნაირად ამარაგებდა. „დიდება ამ დროს!“ — ფიქრობდა ნოხზე გაჭიმული ოსმან-აღა, დროდადრო თურქულ ყავას შეექცეოდა. ნეტარებით ქაჩავდა ნარგილეს და გულში კმაყოფილების ტკბილი გრძნობა და სიხარული უხიცინებდა.

ყავახანაში მეგაზეთეები შემოიჭრნენ. ხელში გაზეთები და

ახალ-ახალი ტელეგრამები ეჭირათ და გაბმულად გაჰკიოდნენ:

— ტელეგრამა, ტელეგრამა... ვერსალის ზავი, გერმანიის დამარცხება, კლემანსოს სიტყვა. პუანკარეს აზრი...

— ვილსონის გამოსვლა... ლოიდ ჯორჯის მოთხოვნა...

— ანტანტა და საბჭოთა რუსეთი... ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიაში.

— თურქეთის დამარცხება და მუდროსის ზავი, დარდანელისა და ბოსფორის გახსნა მოკავშირეთა ფლოტისა და არმიისათვის... ინგლისელები ბაქოში.

გაზეთები და, მით უმეტეს ტელეგრამები, თითქმის ყველამ შეიძინა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მათგანმა კითხვა არ იცოდა. ყავახანაში თავმოყრილი მოქალაქენი ორ ჯგუფად გაიყვნენ: ერთ ჯგუფში — სულეიმან-ეფენდი კითხულობდა, მეორეში — ოდესიდან გამოქცეული ფედერალისტი, სასტუმრო „ლონდონის" მთავარი ოფიციანტი იპოლიტე ცეცხლაძე.

ყველამ თავისებურად დაიწყო ახალი ამბების შეფასება, მაგრამ საერთო ყურადღება იპოლიტე ცეცხლაძის კომენტარებმა მიიპყრო.

— ფრანციას და ანგლიას მოატყუებ შენ?.. ანგლიამ, მაგალითად, მე შენ გეტყვი, მიწაში რაა იგი იცის და გაშლილ ქვეყანაზე ვერაფერს ვერ დეინახავს?.. ანგლიჩების ბაირალზე, ჩემო ბიძია, ლომი ხატია... გეყურებათ რას გიჩვენით? ლომი ხატია-მეთქი. ჰოდა, ადგა ეს ლომი და ისეთი დეიკივლა, რომე თელმა ქვეყანამ დააყურა, რას ჩივა ლომიო, რას ვჩივიო და ამდენ ხანს მეძინა და ჩემს მტრებს კტარი ვეგონე, მარა ახლა დამაყურეთ რას ვიზამო.. დეიქადნა და ქეც შეასრულა.

— კი მარა, რა ქნა ასეთი? — გაისმა შეკითხვები.

— რა ქნა, ჩემო ძამია და, იმხელა შეაფურთხა გერმანიას, რომე კინაღამ ჩაახრჩო შიგ. მერე სხვებს გამოდვა კვანტი, ოსმალეთს კი ისეთი მეგორდია გოუკეთა, რომე ცხრა მთას იქით გადააგდო. ხომ გეიგონეთ რა ეწერა ტელეგრამაში... ინგლისელებმა ბაქოში ამოყვეს თავი, და ალბათ, მალე აქანაც გამოჩნდებიან, მაგრამ მაი რაა.. ანგლიამ და ფრანციამ ოსმალეთის ხვანთქარს შეუთვალა, თავი დაანებე სხვა ქვეყნებს და შენს ტყავში დეეტიე, თვარა დედას გიტირებო.

— სულთანმა რა შეუთვალა? — ისევ გაისმა შეკითხვები.

— რა უნდა შეუთვალოს.. გერმანიის მეფე ვილგელმი ტახტიდან ჩამოაგდეს, გერმანია დამარცხდა და ხვანთქარი ახლა მარტოხელა დარჩა... იმას, ჩემო ბიძია, მე შენ გეტყვი, სიცოცხლე მოძულდა თუ რა... ადგება და შეაყოლებს თავის საბლისაკენ.

— რომ არ წავიდეს?

— რას მიქვია არ წავა... წავა კი არა, კისრის ტეხით გააძუნძულებენ. ხელი აქვს მოწერილი. აბაა.... ასე კი არაა საქმე.

— ენა ჩეიგდე მუცელში, ყიამყრალო ღორიშვილო. უყურე ამ გიაურს, — იფეთქა ოსმან-აღამ და თავის კაცებთან ერთად ცეცხლაძისაკენ წაიწია. ამ დროს ქუჩიდან მთვრალი მეზღვაურების გინება, სიმღერა და ერთმანეთის საწინააღმდეგო წამოძახილები მოისმა. მალე ისინი იქაურობას გასცილდნენ და ახლა შორიდან მოისმოდა ყაყანი. მეგაზეთეები ისევ ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: „აბა, ახალ-ახალი ამბები“... „ოურქეთის დამარცხება და მუდროსის ზავი“... „ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიაში“, „ინგლისელები ბაქოში“...

ბოლოს მათი სიმღერაც მოისმა:

— გეგეკკორი ვ კარტი იგრალ
ბატუმ პრაიგრალ,
ა ჩხენკელი ე ეტო ვრემია
კარსომ ტარგავალ...
დაშ ხოშ, ნე მაროჩ...
ენვერ-ფაშა, ენვერ-ფაშა,
ისტამბულსკი კნიაზ.
პოსელილსია, ვესელილსია
ხოტელ ნაშ კავკაზ...
დაშ ხოშ, ნე მაროჩ,
ნეხაი, ნეხაი რიაშკუ,
ბოლშევიკი იდუტ,
კუპი დიადია შაშკუ!

ყავახანა თითქმის ელვის სისწრაფით დაცარიელდა. ნოხზე ფეხმორთხმული სულეიმან-ეფენდი მარტო დარჩა. ნარგილე მაგრად მოქაჩა, ხელი ჩაიქნია და დაცინვით წარმოთქვა:

— ჰაი გ^დი, როგორ აიმღვრა, როგორ აირია ქვეყანა!

განმარტოებული, ფიქრებით დატვირთული ახმედი თავ-ჩაღუნული დააცქერდა „შირინ ჩაის“ ცარიელ ჭიქას.

ინგლისელები

მიიწურა შფოთითა და მღელვარებით სავსე ათას ცხრაას თვრამეტი წელი.

დეკემბრის შუა რიცხვებში მზიანი ამინდი დადგა და ნავ-სადგური და მთელი სანაპირო ჩვეულებრივზე მეტად ახმაურ-და. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ნავმისადგომებთან, სადაც თავს იყრიდნენ მტვირთავები.

— იჯექი ყოველდღე ასე და უცქირე ჰორიზონტს, — ჯავ-რობდა სარდიონი.

— ეს ოხერი, ერთი გემი მაინც გამოჩნდეს, იქნებ ორი დღის სამუშაოს ვეღირსოთ, თორემ კუჭი შიმშილისაგან ქიშ-მიშივით დამიჭკნა, — წუწუნებდა აპოლონი და ელამ თვალებს ჰორიზონტისაკენ აცეცებდა.

— კუჭი თუ ქიშმიშივით გადაგექცა, მეტი რაღა გინდა, შენ ყოფილხარ შახინ-შახი.

ნავსადგურის მუშებს შორის მხარზე ხურჯინგადაკიდებუ-ლი ახმედი გამოჩნდა. იგი სარდიონს მიუახლოვდა, რაღაც უნ-დოდა ეკითხა, მაგრამ ვერ გაბედა. მუნჯივით სდუმდა. სარდი-ონმა მოიხედა... და გულმოსული შეეკითხა:

— რას დამადექი თავზე, რა გნებავს?

— კაცს ვეძებ.

— აქ ვისაც ხედავ, კაცებია სულყველა... ვინ გნებავს-მე-თქი?

— რეჯებ ბოლქვაძეს ვეძებ. ჩემი ხისიმია... მითხრეს აქ არისო.

სარდიონმა მარჯვენა ხელი ზანტად ასწია და თითით უჩ-ვენა რეჯების ადგილსამყოფელი. ახლა ახმედი რეჯების წინ აიტუზა.

— რეჯებ, ვერ მიცანი? ახმედი ვარ.

რეჯებმა გაოცებით შეათვალიერა ახმედი. იცნო და მოვ-სიყვარულა, გადაეხვია

— ახმედ! საიდან, როგორ?!

— ცოლი მოვიყვანე. ხელახლა დავსახლდი და სადაცაა ბავშვიც მეყოლება... ჰოდა, გადავწყვიტე ძროხა შევიძინო.

— ასე მალე გამდიდრდი?!

— მდიდარი რომ ვიყო, აქ რა მინდოდა.

— აბა რისთვის შეიწუხე თავი?

— თქვენთან ერთად ვიმუშავებ, ფულს მოვაგროვებ, ძროხას ვიყიდი და მერე ჰაიდა, სახლისაკენ გავსწევ.

ახმედის სიტყვებს მუშების სიცილი მოჰყვა.

— აქ მუშაობით, შე დალოცვილო, ძროხას კი არა რძეს ვერ იყიდი, — უგუნებოდ ჩაილაპარაკა სარდიონმა.

— ქატოს ჭადი თუ იშოვე, იმასაც მიდლობა უთხარი ღმერთს. — დაუმატა აპოლონმა.

ახმედს ჯერ ხუმრობა ეგონა, მერე დაეჭვდა და გაკვირვებული შეეკითხა რეჯებს.

— რას ამბობენ, რეჯებ?!

— მართალს ამბობენ, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. ახმედ!

რეჯებმა ახმედი იქვე დაგდებულ ცარიელ ყუთზე ჩამოაჯინა და სოფლის ამბები გამოკითხა. თვითონაც ბევრი რამ მოუყვა. მათ გულთბილ საუბარს აპოლონმა შეუშალა ხელი... აპოლონს ჩასძინებოდა, ჯერ ბოდვას მოყვა და მერე ყვირილით გამოეღვიძა.

— გაფრინდა, გაფრინდა, — ყვიროდა, აპოლონი.

— რა გაფრინდა.. ვინ გაფრინდა?! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— ო, რა სუფრა იყო გადაჭიმული... — ძლივს წარმოთქვა ჯერ კიდევ სიზმრის ტყვეობაში მყოფმა აპოლონმა, — რა გინდოდა სულო და გულო!

— რა ნახე ასეთი? — დამცინავად შეეკითხა სარდიონი.

აპოლონმა ენა ტუჩზე მოისვა, ღრმად ამოიოხრა და დაიწყო:

— გურული ფელამუში და ტკბილისკვერი, სამტრედიული კუპატები და ოსური ხაბიზგინა... ქართლის ხილი და კახური ღვინო, იმერული საცივი და შემწვარი გოჭი... ვენაცვალე, დრუნჩი დაჟანგულ შაურიანს მიუგავდა და თვალები ისე ჰქონდა

მოჭუტული, თითქოს მეხვეწებოდა, ე, ბიჭო, შემჭამე რამეფრათო...

— მერე, მერე? — მოუთმენლად შეეკითხა სარდიონი.

— მეგრული ელარჯი და ჭყინტი სულგუნი... აჭარული კაიმაღი და აფხაზური აჯიკა...

— გაჩუმდი, ბიჭო, თვარა, შემომელახები და პასუხსაც არ ვაგებ. — გიჟივით წამოიყვირა გაღიზიანებულმა ჭიჭიკომ, რომელსაც ზედმეტ სახელად „მენშევიკს“ ეძახდნენ.

— მერე, მერე? — ისევ გატაცებით შეეკითხა აპოლონს მადაზე მოსული სარდიონი.

აპოლონმა კვლავ დააღო პირი სათქმელად, მაგრამ ჭიჭიკომ ისევ შეუტია.

— გაჩუმდი-მეთქი, ბოშო... სისხლი ტვინში ამივარდა!

— ენა შეიმოკლე, „მენშევიკო“, — შეუტია სარდიონმა ჭიჭიკოს. — შენ გააგრძელე, აპოლონ!

— იგი რაა, რაც მოვყევი, — განაგრძო აპოლონმა, — ნავსადგურში იმდენი გემი შემოვიდა და იმდენი ტვირთი ვზიდეთ, რომ ფული ჩეჩქივით მოდიოდა.

— მერე, მერე? — კვლავ მოუთმენლად შეეკითხა სარდიონი.

— მერე, მერე ის სუფრა და ის გეგმები შავ შაშვად იქცა და გაფრინდა.

— ამის მეტი ვერაფერი ვერ ინატრე, შე ვლახა და ისიც სიზმარში?!

— საინტერესოა, კიდევ რას ინატრებდი, აპოლონ? — ზედიზედ შეეკითხნენ სარდიონი და რეჯები.

— რომ ნამდვილი აპოლონი ვიყო და ლამაზი ქალები ჩემს ფეხებთან მწყერებივით ფართხალობდნენ, — იმ წუთშივე მიახალა აპოლონმა და თან ელამ თვალებს აბრიალებდა.

— ადამიანო, ექვსფუთიანი კაცი თხილის ჩურჩხელას დაემსგავსე და კიდევ ქალებზე ფიქრობ?!

— მელა კვდებოდა და თავი მაინც საქათმისაკენ ეჭირაო... მიახალეს აპოლონს სარდიონმა და რეჯებმა და გულიანად ახარხარდნენ.

— გამარჯობათ, ძმებო! — ხმამაღლა მიესალმა მუშებს

ახლად მოსული სერგეი ნოვიკოვი და ამხანაგებს თუთუნი გაუწოდა.

— კაი გამარჯობაა, უკვე ორი თვე იქნება სამუშაო არა გვაქვს. — ისევ აწუწუნდა აპოლონი.

— ნავსადგურში ისე ჩაკვდა სიცოცხლე, რომ თაგვებიც კი გაწყდა, რამდენი ხანია ერთი გემიც თვალით არ გვინახავს, — დაუმატა სარდიონმა.

— ვერც თქვენი პროფკავშირები გვეხმარება, — განაგრძო აპოლონმა, — და სახლში მისვლა ჭირივით მეზარება, ვეღარ ვუძლებ დამშეული ბავშვების ცქერას.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, — გამამხნევებელი ტონით წარმოთქვა სერგეიმ, მაგრამ სარდიონმა ხელი ჩაიქნია და უპასუხა:

— აგერ, რეჯებიც სულ ამას გვეუბნება, მაგრამ სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო.

— ისედაც ტყავგამძვრალი ვართ, — ჩაერია რეჯები, — თურქები გაგვეცალნენ, მაგრამ რა, ბათუმი და მთელი ოლქი აწეწილ-დაწეწილი და თითქმის უპატრონოა, მსარში უნდა ამოვუდგეთ ბათუმის კომიტეტს და პროფკავშირებს. ახლა უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე და ნებისყოფა, რომ თეთრგვარდიელებმა და მენშევიკებმა თავი ვეღარ წამოყონ. სერგეი მართალია, ამ დღეებში დიდ ამბებს უნდა ველოდოთ.

უცებ ყველას ყურადღება არჩილ არაბიძემ მიიპყრო. არჩილმა მოსვლისთანავე მხიარულად გადახედა მუშებს და გულთბილად მიესალმა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! ყურები რისთვის ჩამოგიყრიათ, ვატყობ, ცუდ გუნებაზე ხართ.

— სამხიარულო არაფერი გვაქვს, — ისევ აპალონმა დაასწრო ყველას, — ასე თუ გაგრძელდა. ალბათ, შიმშილით დავიხოცებით.

— ვეღარ გცნობთ, ვინ გამოგცვალათ?! — რიხიანად იკითხა არჩილმა, მაგრამ ამ დროს მკაფიოდ მოისმა სევდიანი სოფხური სიმღერა, რომელმაც ყველას ყურადღება მიიპყრო.

— ვართანი მღერის, — ნელი ხმით წარმოთქვა რეჯებმა და ისევ სმენად გადაიქცა.

— ჩვენი ნავსადგურის მუშაა.. ლტოლვილია ოსმალეთის სომხეთიდან. — თითქმის ერთხმად უპასუხეს მუშებმა.

— ყური დაუგდეთ. — დაიწყო არჩილმა. რა განუზომელი სევდა. რამდენი ცრემლი და როგორი მწვავე გრძნობებია ჩაქსოვილი მის მელოდიაში.

— თითქოს მთელი სომხეთის დაჭრილი გული კვნესისო, — ხმის კანკალით წარმოთქვა აპალონმა და ელამი თვალი აუცრემლდა.

— იცით, — განაგრძო არჩილმა, — რისთვის მღერის იგი ასე გულამოსკვნით?.. რომ მისი თვალები დაიღალნენ და ვერაფერს ამჩნევენ... რომ მისთვის ცხოვრების სილამაზესა და სიტკბოს შავი ზეწარი გადაეფარა და... ირგვლივ კი სიცივეა, ყინავს და ყველაფერი წყვდიადში გახვეულა, რომ სიცილი მწუხარებას დაუჯაბნია, რომ სიხარული სევდის ობობაში გახვეულა და რომ სამართალს უსამართლობა სთელავს, მაგრამ იგი მაინც იმედით უყურებს მომავალს და ჩვენს მზეს ელოდება... და მართლაც.. ხედავთ, როგორი უკუნეთია! ძალიან ბნელა, ცივა და ყინავს, მაგრამ გწამდეთ მზე ამოვა, უეჭველად ამოვა ჩვენი მნათობი... და მაშინ სიმღერაც სულ სხვანაირი იქნება.. იმღერე, ვართან! იქნებ მაგ სიმღერაში ჩაჰკლა გულის ვარამი, რომ მერე უფრო ღრმად და შვებით ამოისუნთქო... იმღერე, ვართან! — თითქმის სიმღერით ამბობდა არჩილი და სხვებთან ერთად სიყვარულითა და თანაგრძნობით უსმენდა ვართანს.

ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ ჰორიზონტზე თვალი მოჰკრა შავ წერტილს, რომელიც თანდათან იზრდებოდა. თანდათან იმატა შავმა წერტილებმა.

— გემი, — აღტაცებით დაიძახა ახალგაზრდა მტვირთავმა.

— გემები! — ხმამაღლა წამოიყვირეს უფრო ახალგაზრდებმა, ხანში შესული მტვირთავები ეჭვის თვალით უცქეროდნენ შავ წერტილებს და არ სჯეროდათ, რომ ნავსადგურში, სადაც ამჟამად საშინელი სიცარიელე იყო გამეფებული. კვლავ მოვიდოდნენ გემები, კვლავ გაჩაღდებოდა მუშაობა და... დამშეულ ოჯახებს ოდნავ მაინც ეშველებოდა.

ჰორიზონტზე გამოჩენილი შავი წერტილები თანდათან

გემების სილუეტებად გადაიქცნენ. დიახ, შემოდიოდა გემები და მომლოდინეთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— სამუშაო, სამუშაო გვექნება! — აღტაცებით წამოიყვირა ერთ-ერთმა მტვირთავმა და ორასამდე მუშის მხიარული შეძახილი ქალაქის სანაპიროს მისწვდა. თავმოყრილი მტვირთავების ჟრიამული სულ უფრო და უფრო ნელდებოდა, მათ მხიარულ სახეებს თანდათან ფერი ეკარგებოდა, ბევრი მათგანი დაღვრემილი თვალებით მიშტერებოდა მოახლოებულ სამხედრო გემების ფლაგშტოკებზე აღმართულ დიდი ბრიტანეთის დროშებს. საფლაგმანო კრეისერზე უკვე თვალნათლივ გამოჩნდა ვეშაპებივით პირდაღებული ქვემეხები.

— სამუშაო! — დამცინავად თქვა ხანში შესულმა მტვირთავმა და ალმაცერად გადახედა ახალგაზრდა მუშას, რომელმაც ეს სიტყვა გემების დანახვისას პირველმა წამოიძახა.

— ოო, რომ იცოდეთ, ბიჭებო, სამუშაო გვექნება და მერე კიდევ როგორი სამუშაო! — მრავლისმეტყველად თქვა სერგეიმ და მრისხანე თვალებით გადახედა გემებს, რომლებიც უკვე ნავსადგურს უახლოვდებოდნენ.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო ესკადრა სანაპიროდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით რეიდზე დადგა.

რესტორან „პალერმოში“ საშინელი ღრიანცელი და კამათი გაემართათ ქალაქის წარჩინებული საზოგადოების მესვეურებს.

ბათუმელ სომეხ დაშნაკთა ერთ-ერთი ლიდერი სარქისიანცი გულდასმით ისმენდა „სტანდარტ ოილის“ ამერიკული აგენტების რჩევა-დარიგებას.

— და თქვენ, — ხმამაღლა ეუბნებოდა „სტანდარტ ოილის“ აგენტი სარქისიანცს, — ალბათ, ეს არც კი გაფიქრებთ: როგორ შეიძლება თქვენი ქვეყანა ჩაებას საერთაშორისო ცხოვრების ფერხულში, როდესაც იგი მოქცეულია ოთხ სახელმწიფოს შორის და არც ერთი მიმართულებით ზღვასთან მისადგომი გზა არ გააჩნია? დაშნაკებმა სომხეთისათვის უნდა მოი-

ეხოვონ ნავსადგური ბათუმი. ჩვენ, ამერიკელები კი, როგორც ყოველთვის მხარს დაგიჭერთ!

— გმადლობთ, მისტერ ნიკერბოკერ, — უპასუხა კმაყოფილებით სავსე სარქისიანცმა, — თქვენს ამაგს დაშნაკცუტიუნი არასოდეს არ დაივიწყებს!

სარქისიანცი მოწიწებით დაემშვიდობა ამერიკელებს და თავისი მეგობრების მაგიდას მიაშურა.

— მე კი შევუნთე ცეცხლი! — ძიახალა ნიკერბოკერს მისმა მეგობარმა, — იჩხუბონ და იკინკლაონ, მღვრიე წყალში ოქროს თევზები ჩვენს ანკესზე წამოეგებიან.

— მოქალაქენო! — მოისმა ქართველების მაგიდიდან. ნოე სადრაძეს მარჯვენა ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა, ხოლო მარცხენა ხელს ჰაერში იქნევდა და ხმამაღლა განაგრძობდა: — მოქალაქენო! ამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც რუსეთის იმპერიაში ანარქია ბატონობს და ბოროტი ძალები რევოლუციის დაღუპვას ლამობენ, ჩვენ, სოციალდემოკრატები, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, შეიიგებისაკენ მოვიწოდებთ. რაც შეეხება ბათუმს, დავა და კამათი ზედმეტია... ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის...

ქართველების მაგიდებიდან ტაშის ცემა და „ვაშას“ ძახილი მოისმა. უკრავდა ორკესტრი.

— მენშევიკურს? — შეეკითხა ვიღაცა.

— იქნებ ბოლშევიკური გნებავთ, ვაჟბატონო? — თვალების ბრიალით იკითხა სადრაძემ.

— ჩვენ ის გვნებავს, რაც ყველა ჭეშმარიტ ქართველს! — ისევ მოისმა უცნობის სიტყვები.

— ნახალ! — ღვარძლიანად მიახალა სადრაძემ.

— რასაკვირველია, ვნახავ... თქვენ იკითხეთ თვარა, მე უეჭველად მოვესწრები და ვნახავ ჩემთვის სასურველს!

უცნობის გამომწვევმა სიტყვებმა ისე ააღელვა ნოე სადრაძის მეგობრები, ჩხუბი ატყდებოდა, რომ რუსი მონარქისტებისა და თეთრგვარდიელების მხრიდან მოთმინებიდან გამოსული ორლოვი არ ჩარეულიყო.

— რუსების მიერ დაღვრილი სისხლით არის მოპოვებული ეს კუთხე. რუსების ოქრომ ააღორძინა აქაურობა, კამათი და

დავა ზედმეტია, ბათუმი და მისი მიდამოები რუსეთის იმპერიისაა.

— ეხ, მატუშკა რუს! — ისე წამოიბღავლა ვიღაც გულდაწყვეტილმა და შეზარხოშებულმა რუსმა გენერალმა, რომ ყველას ეგონა ბავშვივით ატირდებაო, მაგრამ იგი წამოდგა, წელში გაიმართა და ორკესტრს რიხიანად გადასძახა: ნა სოპკახ მანდჟურიი!

ერთ წუთში ვალსის კორიანტელი დატრიალდა, ათმა წყვილმა მოცეკვავემ მთელი რესტორანის ყურადღება მიიპყრო. მოცეკვავეთა შორის იყვნენ გრაფი ორლოვი, პოლკოვნიკი სეკერჟინსკი, რამდენიმე ცნობილი გენერალი და ორი ამერიკელი ბიზნესმენი. მთელი რესტორანის ინტერესი გამოიწვია არა მარტო იმან, რომ მათმა აღმატებულებებმა ცეკვა ისურვეს, ყურადღებას იპყრობდნენ უმთავრესად მათი ქალბატონები, რომლებიც ზღაპრულ სიმდიდრეში ჩასმულ მოცეკვავე გედებს ჰგავდნენ. პეტროგრადისა და მოსკოვის მაღალი არისტოკრატიის თვალსაჩინო ბანოვანებს, მიუხედავად იმისა, რომ დროება და მდგომარეობა შეიცვალა, თავი მაინც ამაყად ეჭირათ ღა სახეზე ღიმს არ იშორებდნენ. ფართო ფანჯრებიდან შეჭრილი მზის სხივები უსვამდ მოფენილიყო რესტორანის დარბაზში და მოცეკვავე ქალების ოქროს და ბრილიანტის სამკაულები მაშხალებივით ანთებულიყვნენ

რესტორანში ხმა გავარდა „ინგლისელები შემოვიდნენ ბათუმშიო“ და ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა. მოცეკვავეებმა თავიანთ მაგიდებს მიაშურეს. რესტორანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

რამდენიმე წუთში რესტორანში აღარავინ დარჩა. ყველამ სანაპიროს მიაშურა.

რეიდზე ჩამწკრივებული ესკადრის საფლაგმანო კრეისერზე საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა...

ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შავი ზღვის მთავარსარდალი გენერალი მილნი ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობისადმი ბრძანებას კარნახობდა:

— „ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობისადმი“. — მილნი ჩაფიქრდა, ჯერ იატაკს მიაშტერდა, მერე ზევით აღაპყრო თვალები, თითქოს

იქ ეძებს საჭირო სიტყვებსო, — „ბრიტანეთის ჯარების მიერ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციის, კანონისა და წესრიგის დაცვის მიზნით, საზავო კონფერენციის მიერ ტერიტორიული საზღვრების საკითხის გადაჭრამდე, მე ოლქში დავაარსე სამხედრო საგუბერნატორო და დავნიშნე სამხედრო გუბერნატორი!“

უცებ შეწყვიტა კარნახი და ღიმილით გადახედა გენერალ კუკ-კოლის, რომელმაც ღიმილითვე უპასუხა. მილნმა ჩაახველა და კვლავ განაგრძო კარნახი... — „არსდება მუდმივი სასამართლო, რომელიც სხდომებს ჩაატარებს ბათუმში და საჭიროების მიხედვით ქალაქის ფარგლებს გარეთაც. სამხედრო გუბერნატორს უფლება ეძლევა შესედულების მიხედვით დააარსოს სამოქალაქო სასამართლო... ოლქს მოემსახურება ჟანდარმერია, ქალაქს კი პოლიცია... ხსენებულის ძალით მოვუწოდებ ქალაქისა და მისი ოლქის ყველა მცხოვრებს, დაიცვან წესრიგი. ვინც არ აღასრულებს საოკუპაციო ხელისუფლების მოთხოვნებს, სასტიკად დაისჯება. ვინც ჩაიდენს ან განიზრახავს შელახოს ბრიტანეთის საოკუპაციო ინტერესები, ვინც იმოქმედებს ბრიტანეთის მხედრობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, გასამართლებული იქნება სამხედრო ან სამოქალაქო სასამართლოს მიერ და მიესჯება სიკვდილი ან სხვა მკაცრი სასჯელი.

დღესვე ეს ბრძანება დაისტამბოს და გაიკრას ბათუმის ქუჩებსა და დაწესებულებებში“.

საფლაგმანო კრეისერიდან ნავები ჩაუშვეს, რომლებშიც ესკადრის სარდლობა ჩაჯდა და სანაპიროსაკენ გაეშურა.

სანაპიროზე ზღვასავით ღელავდა ხალხი. ზოგი იგინებოდა, ზოგი იმუქრებოდა, ზოგი სიხარულისაგან ხტუნავდა და ყველა საშუალებით ესალმებოდა მოახლოებული ინგლისელების ნავებს. ნაპირზე მომდგარ კარჭაპზე შეზარხოშებული მონარქისტი მეზღვაურების სიმღერა გაისმა:

Гулимджан! Гулимджан!
Знаем свое дело,
Мы Батум вам за ляржан
Уступаем смело.
Кричали мы: ай, ай
С невеселым физии,
Ради бога присылай
Поскорей дивизии.
Ллойд Джордж отвечал:
Тронут вашим горем,
Наш английский флот помчал
Нашим Черным морем.
Мени тенкс! Мерси сбоку!
Можем обещаться,
Что английский наш Батум
Будет защищаться.
Гулимджан, Гулимджан!
Знаем свое дело,
Мы Батум вам за ляржан
Уступаем смело.

როცა ინგლისელების ნავები უკვე ნაპირს მოადგნენ, სპირიდონ სართანიამ ქლოშინით მიირბინა ნოე სადრაძესთან და სულმოუთქმელად მიახალა.

— რავა გაჩერებულხარ, ბატონო ნოე, ინგლისი შემოვიდა, უნდა მივესალმოთ დემოკრატიის სახელით, ჩვენი პატარა საქართველოს სახელით!

იქვე, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილზე, გარდა ნოე სადრაძისა და მისი ამალისა, თავი მოეყარათ „სედაიმილეთელებს“ ოსმან-აღას მეთაურობით, დაშნაკებს სარქისიანცის მეთაურობით, შავრაზმელ თეთრგვარდიელებს ორლოვის მეთაურობით და ქალაქის სხვა პრივილეგირებული საზოგადოების წარმომადგენლებს, აქვე იყვნენ გივი და ციალა სართანიებიც, რომლებსაც ხელში თაიგულები ეჭირათ.

ციალა გაფაციცებით ეძებდა ვიღაცას, თვალებს მოუსვენრად აცეცებდა და ღელავდა: „ნუთუ ვერ ვნახავ. მთელ ქალაქს მოუყრია თავი და ნეთუ ის არ არის?!“ — გაიფიქრა ციალამ და უცებ სახეზე ალმურმა გადაუარა. მან ნათლად დაინახა არჩილი, რომელიც ამხანაგების ჯგუფში იდგა და ზიზღით გასცქეროდა ნაპირზე ამომავალ ინგლისელებს. თითქოს მაგნიტით მიიზიდესო, არჩილმა მოულოდნელად მოიხედა და ციალა დაინახა, იგი ციალას კი არა, დააცქერდა თაიგულებს, რომლებიც

სანდროს და ციალას ეჭირათ. სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. ციალამ სირცხვილისაგან თვალები დახარა. თავი უხერხულად იგრძნო, მთელი ტანი ისე აუცახცახდა, თითქოს ხელში ყვავილების თაიგული კი არა, ქვეწარმავალი უჭირავს და. აღარ იცის რა უქნასო. ბოლოს, სინდისის ქენჯნას ვეღარ გაუძლო და თაიგული სანდროს მიაჩერა. გაოცებულმა სანდრომ ციალასაკენ მიიხედა, მაგრამ იგი უკვე იქ აღარ იყო. ენერგიულად მიაპობდა ხღვა ხალხს და სანდროს დაძახილზე ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

— რას შვრებით, ბატონო ნოე, თქვით რამე! — ღელავდა სპირიდონ სართანია. გენერალი მილნი და მისი ამალა უკვე ნაპირზე გადმოსხდნენ და ქალაქის „რჩეული საზოგადოება" ტაშით მიესალმა მათ.

— აუცილებლად, ბატონო სპირიდონ. — აწყნარებდა სადრაძე სართანიას, სიტყვას ბატონი ორლოვი იტყვის!

— არა, ბატონო სადრაძე, — დამცინავი ღიმილით მიმართა ორლოვმა. — სიტყვას იტყვით თქვენ. როგორც დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი.

— მერედა, დროზე თქვით, თქვე დალოცვილებო, რაღას უყურებთ? — აბუზღუნდა ბოთმინებიდან გამოსული სართანია და შვილებს გადახედა, მარტო სანდრო რომ დაინახა თაიგულებით და ციალა კი აღარ ჩანდა. საშინელმა ეჭვებმა გაუელვა თავში, მაგრამ ორლოვის სიტყვებმა გამოაფხიზლეს.

— ნება მომეცით, ბატონებო, — ხელგაშლილი და ხმამაღლა მიმართავდა ორლოვი მილნსა და მის ამალას. — ბათუმის საზოგადოების სახელით მოგმართოთ — კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება!

— გმადლობთ! — ძლივს გადმოაგდო ერთადერთი სიტყვა გენერალმა მილნმა და იმ წუთში მისი ყურადღება მიიპყრეს კარჭაპზე მყოფმა მეზღვაურებმა და სანაპიროზე თავმოყრილმა ასობით მუშამ, რომლებიც მუშტებით იმუქრებოდნენ.

— იცნობდეთ, — ისევ გაისმა ორლოვის ხმა. — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბატონი ნოე სადრაძე, დენიკინის არმიის წარმომადგენლები, გენერალი ლოპუხინი, გენერალი ვოლკოვი, პოლკოვნიკი სეკერ-

ჟინსკი, ადგილობრივთა ლიდერი ოსმან-აღა, ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელი ბატონი სპირიდონ სართანია, გენერალი თარხანოვი, სომეხთა წარმომადგენელი „დაშნაკ ცუტიუნის“ ლიდერთაგანი ბატონი სარქისიანცი, ბერძენთა საზოგადოების წარმომადგენელი ბატონი პარასკევოპულო!

ორლოვის მიერ ჩამოთვლილმა „ბატონებმა“ გენერალ მილნსა და მის ამალას თაიგულები მიართვეს.

— ბატონებო, — გაისმა ნოე სადრაძის აწეული, მაგრამ გაბზარული ხმა, — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოგესალმებით თქვენ, ბრიტანეთის იმპერიის ღირსეულ წარმომადგენელთ: მე ვფიქრობ, გამოვხატავ ჩემი მთავრობის აზრსა და სურვილს, თუ გეტყვით, რომ საქართველოს არ გამოურიცხავს თავი შეთანხმების სახელმწიფოთა მეგობრობის სიიდან და იგი თავის ვალდებულებას შესრულებულად ჩასთვლის, თუ ინგლისი დაეხმარება მას კავკასიაში ბოლშევიზმისა და ყველა უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ, ბათუმსა და მის ოლქში წესრიგის დაცვაში, კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება!

ნოე სადრაძემ სანდრო სართანიას მიერ მიწოდებული თაიგულები მიართვა მილნს და კუკ-კოლინს.

— ინგალა, — მოულოდნელად წამოიჩხავლა ოსმან-აღამ, — ვეღირსეთ, როგორც იქნა, ვეღირსეთ თავისუფლებას... ჩვენთანაც მოვიდა ინგლისი — მუსლიმანი ხალხის დიდი მეგობარი და ქომაგი“.

გაუმარჯოს დიდი ბრიტანეთის არმიას!

ბათუმი ინგლისისაა!

— გაუმარჯოს ინგლისს!.. ბათუმი ინგლისის მფლობელობაში უნდა დარჩეს! — წამოიყვირა პარასკევოპულომ.

— ბათუმი ბედნიერად ჩათვლის თავისთავს თუკი იგი დიდი ბრიტანეთის ხელში გადავა სამუდამოდ! — დაუმატა სარქისიანცმა.

სპირიდონ სართანია მოწიწებით წარსდგა ინგლისელების წინაშე და პირიდან თითქოს თაფლი გადმოსდისო, ტკბილად მიმართა გენერალ მილნს.

— ბათუმის საზოგადოება გთხოვთ დაესწროთ თქვენი ჩამოსვლის გამო სპეციალურად გამართულ ბანკეტს!

გენერალმა მილნმა ნაძალადევად გაუღიმა სართანიას და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ბედნიერი მაპინძლები დიდი ცერემონიითა და ლაქუცით მიაცილებდნენ გენერალ მილნს და მის მრავალრიცხოვან ამალას.

— ხედავ, ახმედ? — შეეკითხა რეჯები გვერდში მდგომ ახმედს.

— ვხედავ, რეჯებ, ვხედავ, — უპასუხა ახმედმა და თან დაუმატა, — ამბობენ შაგათთან კარგი მეწველი ძროხები იცისო.

— ამათმა უფრო სხვისი ძროხების მოწველა იციან, ახმედ! — უპასუხა რეჯებმა.

კარქაპიდან კვლავ მოისმა მეზღვაურების სიმღერა.

ჟ ო რ ნ ი ლ ი

1920 წლის პირველმა მაისმა დილიდანვე საზეიმო იერი მიიღო. მზის სხივებით მოიქარგა მწვანეში ჩაფლული ბათუმი.

ქალაქის ქუჩებში და სანაპიროზე, სადაც სხვა დროს სიცოცხლე ჩქეფდა, იმ დილით არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო.

ქალაქის ზღვისპირა ბაღში, აზიზიეზე, სანაპიროზე და ცენტრალურ ქუჩებში ინგლისელი პატრულების სამ-სამი ჯარისკაცისაგან შემდგარი ჯგუფები დალასლასებდნენ.

მარინეს პროსპექტზე ეტლების მთელი ქარავანი გამოჩნდა. გაზაფხულის ყვავილებით მორთულ წინა ეტლში საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილი ნეფე-დედოფალი იჯდა. დანარჩენ ოცდახუთში კი თითქმის მთელი ბათუმის ბომონდი მოთავსებულიყო. მოწინავე ეტლმა ზღვისპირა ბაღისაკენ შეუხვია, მას მიყვნენ დანარჩენები და ყველა ერთად სპირიდონ სართანიას სახლის წინ გაჩერდა.

წინა ეტლიდან ახლად ჯვარდაწერილი ნეჯე-დედოფალი მისტერ ლეპსონი და ციალა სართანია ჩამოვიდა. სართანიას სახლის საპარადო შესასვლელამდე ცოცხალი ყვავილების ნოხი დაეგოთ, როცა ნეფე-დედოფალი შესასვლელს მიადგნენ, თეთრ ჩოხებში გამოწყობილმა ორმა ტანწერწეტა ქართველმა ახალგაზრდამ ხმლები იშიშვლა. ერთმანეთს გადააჯვარედინეს და ასეთი „ტრიუმფალური არკის“ ქვეშ გაატარეს ახლად ჯვარ-

დაწერილები. სახლის აივანზე სასულე ორკესტრმა ქართული მარში დაუკრა, რომელიც თანდათან ახლო-მახლო ქუჩებში მოულოდნელად გამოსული ხალხის „მარსელიოზასა“ და „ინტერნაციონალის“ ხმამაღალმა სიმღერამ და მუშათა სასულე ორკესტრების გუგუნმა ჩაახშო. ბათუმის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია აზიზიეს მოედნის მიმართულებით მიედინებოდა. მოედანზე კი, სახელდახელოდ გამართულ ტრიბუნაზე მიტინგი გაემართათ. მალე დემონსტრანტთა რიცხვმა ოცდახუთი ათასს გადააჭარბა. დემონსტრანტების კოლონებს წინ მიუძღოდნენ აქტიური რევოლუციონერები, რომელთაც ხელში ეჭირათ მარქსის, ენგელსის და ლენინის პორტრეტები, წითელი დროშები, საბრძოლო ლოზუნგების ტრანსპარანტები და ხმამაღლა გაიძახოდნენ: „ძირს პროვოკატორები და ომის გამჩაღებლები!“ „ძირს ინგლისელი ოკუპანტები!“. „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ „გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!“.

ორატორებიც ხმამაღლა მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუყოვნებლივ გამოცხადებას და მებრძოლ სალამს უთვლიდნენ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეულ რუსეთის მშრომელებს.

გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის ბრძანებით ინგლისელების სამხედრო გარნიზონში საგანგაშო მდგომარეობა გამოცხადდა, რეიდზე მდგარმა ანტანტის სამხედრო გემებმა ქვემეხები დაუმიზნეს დემონსტრანტებს, სამხედრო საგუბერნატორო შენობის წინ მსუბუქმა არტილერიამ და ტყვიამფრქვევთა საცეცხლე წერტებმა წამოყვეს თავი, ინგლისელი ჯარისკაცები ინდუს სიპაიებთან ერთად დამატებითი ვაზნებითა და ხელყუმბარებით აღჭურვეს და მთელ ქალაქში ჯაშუშები და პროვოკატორები დაგზავნეს. თავითფეხებამდე შეიარაღებული ამალის თანხლებით, თეთრ ცხენზე წამოსკუპებული კუკ-კოლისი კი სპირიდონ სართანიას სახლისაკენ გაეშურა მისტერ ლეპსონის ქორწილზე დასასწრებლად.

დიდსა და მდიდრულად მორთულ დარბაზში საქორწილო სუფრა იყო გაშლილი. აქ იყვნენ ვაჭრები და კომერსანტები, თეთრგვარდიელი გენერლები და ოფიცრები, ბათუმელი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ნოე სადრაძე, თავადი მიქელა-

ძე, ორლოვი, ოსმან-აღა, მისტერ ოვეი, ლედი ჯეინი თავის გა-ნუყრელ ბულდოგთან ერთად, სანდრო სართანია ახალგაზრდა ოფიცრებითა და წარჩინებული პირების ქალიშვილებით გარ-შემორტყმული, თვითონ სპირიდონ სართანია და ნეფე-დედო-ფალი. სტუმრები და მასპინძლები, სანამ სუფრას შემოუსხდე-ბოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი საუბრობდნენ, მაგრამ ყოველ მათგანს, მაინც ერთი საკითხი აწუხებდა,—პოლიტიკუ-რი მდგომარეობა ბათუმში, და საერთოდ, ამიერკავკასიაში.

— ...მდგომარეობა ძალიან ცუდია. უტყუარი ცნობებით გუშინწინ ბაქოში წითელი არმია შესულა! — გულისწუხილით წარმოთქვა გრაფმა ორლოვმა და თვალები მისტერ ლეპსონს მიაპყრო, თითქოს მისგან ელის შველასო.

— ეს ჩვენი კატასტროფის დასაწყისია! — ცივად უპასუ-ია მისტერ ლეპსონმა და სასიამოვნო პასუხის ნაცვლად მდუ-ღარე გადაასხა ორლოვის გახურებულ თავს.

— გარდა ამისა, — ჩაერია საუბარში ლაპარაკის მოყვა-რული მიქელაძე, — აქაც — ბათუმშიც ბოლშევიკური ეპიდე-მია ვრცელდება. თითქმის მთელი ქალაქი პოოფიცერების სა-ბჭოს ხელშია. ოამდენიმე დღის წინ ბოლშევიკებმა მოჰკლეს გენერალი ლიახოვი, მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.

— ვინ ყოფილა არჩილ არაბიძე? — იკითხა მისტერ ლეპ-სონმა.

— მაგი მე მკითხეთ! — ხმამაღლა წამოიძახა სპირიდონ სართანიამ და მისტერ ლეპსონის ჯგუფისაკენ გაეშურა. — მას ბავშვობიდანვე ვიცნობ... თავიდანვე ეტყობოდა ავკაცობა... სტუდენტობისას მას ბუნტი მოუწყვია და უნივერსიტეტიდან გამოაგდეს. მამამისის ხათრით ჩემთან მივიღე სამუშაოზე, მაგ-რამ მაინც არ გამოსწორდა. გარდა ამისა, ყველა ეს გაფიცვები, გემებისა და ხიდების აფეთქება, ლიახოვის მოკვლა და ბევრი სხვა ასეთი ბოროტმოქმედება თვითონ მისი და მისი ამხანაგე-ბის საქმეა. საინტერესოა, რას ფიქრობს დიდი ბრიტანეთის ხე-ლისუფლება ამ ბანდიტის შესახებ?..

— რასაკვირველია, დაიხვრიტება! — მოულოდნელად და ხმამაღლა განაცხადა ახლად შემოსულმა გენერალ-გუბერნა-ტორმა კუკ-კოლისმა და დამხვდურებს თავაზიანად მიესალმა.

კუკ-კოლისის განცხადება ყველას ესიამოვნა. რაკი ეს ფრიად პატივსაცემი სტუმარი უკვე მოვიდა, სუფრას მიაშურეს და რანგის მიხედვით შემოუსხდნენ.

— ქართული სუფრა, მით უმეტეს ქართული ქორწილი მოითხოვს თამადას! — წამოიყვირა დიდებული სუფრის ნახევით წინდაწინ შეზარხოშებულმა ორლოვმა და მას სხვებმაც მიბაძეს. — „თამადა", „თამადა", — გაისმა შეძახილები.

— თამადად ბატონი ნოე სადრაძე ავირჩიოთ! — რიხიანად განაცხადა მიქელაძემ.

— აჰ, მე ვერ გავუძღვები ამ მშვენიერ სუფრას! — ვაინაზა ნოე სადრაძე, ისე კი თამადობისათვის სული ელეოდა. მალალფარდოვანი, მოჩუქურთმებული სიტყვების მოყვარული და ამავე დროს კარგი ბსმელი ნოე სადრაძე, პირველ სათამადო კაცად ითვლებოდა. ამიტომაც იყი სპირიდონ სართანიამ ნეფე-დედოფლის მოპირდაპირე მხარეს, სუფრის თავში სწორედ იგი რომ მოათავსა.

— როგორ გეკადრებათ, — ძალდატანებული შეშფოთებით თქვა სპირიდონ სართანიამ, — ბატონო ნოე, გთხოვთ!

— გთხოვთ! — თავაზიანად მიმართა მისტერ ლეპსონმა.

— გთხოვთ, გთხოვთ! — გაიმეორა კუკ-კოლისმა და ეს უკვე საკმარისი იყო, რომ ნოე სადრაძე შესდგომოდა მოვალეობის შესრულებას.

— ბატონებო! — დაიწყო თამადამ ღვინით სავსე ჭიქით ხელში. — რით არის შესანიშნავი დღევანდელი დღე? პირველ ყოვლისა იმით, რომ დღევანდელ მშვენიერ დღეს, ზღაპრული კოლხიდის ლამაზ ქალაქში, შავი ზღვის პირას, ივერიის მშვენიერი ასულის, ქალბატონ ციალა სართანიას და დიდი ბრიტანეთის ღირსეული წარმომადგენლის, უწარჩინებულეს მისტერ ლეპსონის ქორწილია. ეს სიმბოლური გამოხატულებაა იმ მეგობრობისა და ურთიერთგაგებისა, რომელიც ინგლისსა და საქართველოს შორის სუფევს. ჩვენ აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია,—გრძნობარმოეული ნოე სადრაძე ინგლისელებს მიუბრუნდა, — დიახ. ჩვენ თქვენთან ვართ, ბატონებო, ანარქიისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში! მე ამ სასმისით ვადღეგრძელებ ამ შე-

სანიშნავ შეუღლებას, მშვენიერ ნეფე-დედოფალს და მათ ბედნიერ ქორწილს...

— ეს სადღეგრძელო უეჭველად ყანწით უნდა დაილიოს, — აღტაცებით წამოიძახა ორლოვმა და ყანწს წაავლო ხელი, ღვინო ჩაასხა შიგ და ნოე სადრაძეს გაუწოდა.

— ყანწით!

— ყანწით!

ყოველი კუთხიდან გაისმა შეძახილები, ნოე სადრაძემ ჭიქის ნაცვლად ყანწს დაავლო ხელი, ღიმილით გადახედა ნეფე-დედოფალს და ბოლომდე გამოცალა.

— ალავერდი თქვენთან! — დიდი მოწიწებით გადასძახა ნოე სადრაძემ და შევსებული ყანწი კუკ-კოლისს გადაულოცა.

— გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს! — მოწყალებასავით წამოისროლა სამიოდე სიტყვა კუკ-კოლისმა და ყანწიდან ოდნავ მოსვა.

„გამაგონე ეგ ხმა ტკბილი“... გაისმა სიმღერა, რომელიც კუთხეში ფერიებივით ჩამწკრივებულმა ქალიშვილებმა წაიმღერეს, მას სუფრის ირგვლივ მსხდომ ქართული წარმოშობის ადამიანთა ხმებიც აყვა. როცა სიმღერა მიწყდა, ისევ წავიდა სიტყვაწყლიანი სადღეგრძელოები, ღვინომ თითქმის ყველა შეაზარხოშა და...

— აბა, ცეკვა, თქვენებური, ჩქარი, ტემპერამენტიანი! — წამოიძახა ტვინგახურებულმა მისტერ ლეპსონმა და ქართული ცეკვის ცეცხლი გაჩაღდა.

ქუჩიდან სულ უფრო და უფრო ხმამაღლა მოისმოდა ორკესტრის ხმა, „მარსელიოზას“ და „ინტერნაციონალის“ გუგუნი.

ცეკვა-თამაში მოულოდნელად შეწყდა, ყველას ყურადღება ახლად შემოსულმა ინგლისელმა ოფიცერმა მიიპყრო. ოფიცრის გაფითრებულმა და შეშფოთებულმა სახემ მოქეიფეთა მხიარულება მდუმარებით შესცვალა, კუკ-კოლისმა ვერ მოითმინა და სანამ ოფიცერი მოახსენებდა, თვითონ შეეკითხა მოსვლის მიზეზს:

— რა მოხდა?!

— თქვენო აღმატებულებავ, — დაიწყო ოფიცერმა, —

თუ რაიმე არ ვიღონეთ, დემონსტრაციის ტალღა წალეკავს მთელ ქალაქს.

— რა მოხდა ასეთი? — ფეხზე წამოდგა და ისე იკითხა საკმაოდ შეშფოთებულმა კუკ-კოლისმა.

— დელეგატები ითხოვენ თქვენს ნახვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც განაცხადეს, ქალაქს ჩაიგდებენ ხელში!

— სად არიან დელეგატები?

— ქვევით, ქუჩაში გელოდებიან!

— შემოიყვანეთ!

ოფიცერი იმ წამშივე გაბრუნდა უკან და ყველა იქ მყოფი ფანჯრებს მიცვივდა.

— ეს რა ზღვა ხალხია?!

— ასეთი დემონსტრაცია ჯერ არ ყოფილა ბათუმში!

— წითელი დროშები, მარქსისა და ლენინის სურათები?

— რაო, რაო? „ხელისუფლება საბჭოებს“, „ძირს ინგლისელი ინტერვენტები და მოღალატე მენშევიკები...“ ეს რა საძაგლობაა!

— მოვითხოვთ პოლიტპატიმრების განთავისუფლებასო. არამზადები! მთელი ქალაქი გაბოლშევიკებულა, სად იყო ამდენი ხალხი, საკვირველია!

— ოცდახუთი ათასზე მეტი იქნება. საშიშია .. რომ მოინდომონ ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებენ! — ერთი მეორეზე გაისმოდა ფანჯარასთან მიმდგარი შეშფოთებული სტუმრებისა და მასპინძლების სიტყვები.

— პანიკას ნუ მიეცემით! — დამაწყნარებელი ტონით მიმართვადა კუკ-კოლისი ყველას, მაგრამ თვითონ ყველაზე მეტად ეტყობოდა მღელვარება.

— საჭიროა სიფრთხილე! — ჩაუჩურჩულა მისტერ ლეპსონმა და კუკ-კოლისი გვერდზე გაიხმო. ამ დროს ღია და ფართო კარებში დემონსტრანტთა დელეგატების თანხლებით ინგლისელი ოფიცერი გამოჩნდა, კუკ-კოლისმა ამწონავი თვალებით გადახედა ჯერ დელეგაციის მეთაურებს სერგეი ნოვიკოვს და რეჯებ ჩაზმავას, შემდეგ კი დანარჩენი დელეგატები ჩაათვალიერა და ამაყად მიმართა შფოთის მეთაურებს.

— მე გისმენთ, ბატონებო!

— ჩვენ მოვედით ბათუმის მშრომელთა სახელით, — დაი-

წყო სერგეი ნოვიკოვმა. — რათა გადმოგცეთ შემდეგი მოთ-ხოვნა: დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ პატიმრები. არჩილ არაბიძე, რომელსაც საოკუპაციო ხელისუფლება დახვრეტას უმზადებს. გაათავისუფლოთ ახლავე იმ ვარაუდით, რომ მან მონაწილეობა მიიღოს ჩვენს დემონსტრაციაში, გარდა ამისა, ჩვენ მოვითხოვთ, ვინაიდან ვაჭრებმა და სპეკულანტებმა დაიწყეს ბათუმიდან ძვირფასი საქონლის, კერძოდ, ფქვილის, შაქრის და მანუფაქტურის გაზიდვა ყირიმსა და სტამბოლში, რითაც ბათუმს სასურსათო კრიზისი ემუქრება, დაწესდეს კონტროლი ამ მხარეებში საქონლის გატანაზე.

— საქონლის გატანა საქართველოს სხვა კუთხეებში თავისუფალი დარჩეს! — მტკიცე ხმით დაუმატა რეჯებ ჩაზმავამ.

— რას ამბობთ, რას ბედავთ?! — აღშფოთდა კუკ-კოლისი, — ეს ხომ მეორე მთავრობის შექმნას ნიშნავს? თუ ასე შეაჩერებთ თქვენს დამღუპველ მუშაობას, ჩვენ რეპრესიებს მივმართავთ!

— თქვენს რეპრესიებს ჩვენ შეიარაღებული აჯანყებით ვუპასუხებთ, — დაემუქრა სერგეი და ფანჯრისაკენ მიუთითა. — ხედავთ საბრძოლველად აღდგა ბათუმის ოცდაათი ათასამდე მშრომელი!

— მე ვერ მოვითმენ, რომ ინგლისის მეფის დროშის გვერდით მეორე დროშა ფრიალებდეს, — დაემუქრა კუკ-კოლისი.

— ჩვენ ვერ მოვითმენთ იმას, რომ ბათუმში და მის ოლქში ინგლისის მეფის ხელისუფლება არსებობდეს! — თოფივით მიახალა რეჯებმა.

— ეს უკვე მეტისმეტია! — აღშფოთდა კუკ-კოლისი. და პირი იბრუნა დელეგატებისაგან.

— ჩვენ ველით პასუხს! რა გადავსცეთ ხალხს?! — იკითხა სერგეიმ.

— პოლიტპატიმრებს, პირველ რიგში კი არჩილ არაბიძეს, თქვენი ბრძანებით გაათავისუფლებთ თუ ხალხმა გაათავისუფლოს? — დაუმატა რეჯებმა.

მისტერ ლეპსონმა გვერდზე გაიხმო კუკ-კოლისი და ჩუმად ურჩია:

— აუცილებელია გავიღოთ პატარა მსხვერპლი უფრო დიდი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად!

მისტერ ლეპსონის დარიგება კუკ-კოლისს ჭკუაში დაუჯდა და იქვე დაწერა სასწრაფო ბარათი, რომელიც ოფიცერს გადასცა:

— მიუტანეთ ციხის უფროსს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს არჩილ არაბიძე, დანარჩენების შესახებ კი ცალკე მიიღებს ბრძანებას! — მერე ტელეფონთან მივიდა და მუდამ დინჯმა და წყნარმა გენერალმა ნერვიულად დარეკა, — მომეცით ციხის უფროსი... ვინ არის. ძალიან კარგი. დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ არჩილ არაბიძე! როგორ? დიახ, კუკ-კოლისი, პირადად. ბრძანება უკვე გამოგზავნილია. დანარჩენი პატიმრების შესახებ ცალკე მიიღებ განკარგულებას!

— გაეცით ბრძანება და დაურეკეთ ნავსადგურის სამმართველოს, — ახალი მოთხოვნა წამოაყენა რეჯებმა, — რომ იგი დაუყოვნებლივ დაემორჩილოს ბათუმის პროფკავშირების საბჭოს მიერ გამოყოფილ საკონტროლო კომისიას!

— ამ საკონტროლო კომისიის გარეშე არ უნდა დაიტვირთოს არც ერთი გემი! — დაუმატა სერგეიმ.

— თქვენ შეუძლებელს მოითხოვთ! — აღშფოთდა კუკ-კოლისი, — ეს უხეში, ყაჩაღური ძალადობაა, რომლის უფლებას არავინ მოგცემთ!

— წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უფლებას ჩვენ თვითონ მივცემთ კომისიას! — წყნარად, მაგრამ მტკიცედ მიუგო სერგეიმ.

— ჩვენ ამ კომისიას დავაპატიმრებთ და სასტიკად დავსჯით! — თითქმის ყვირილით წარმოთქვა მოთმინებიდან გამოსულმა კუკ-კოლისმა,

— ამ შემთხვევაში დემონსტრაცია განაიარაღებს ინგლისის გარნიზონს, დააპატიმრებს თქვენს ხელისუფლებას და ძალაუფლებას თვითონ აიღებს ხელში!

სერგეის მუქარამ გასჭრა. სპირიდონ სართანიამ, ორლოვმა, ლეპსონმა, მიქელაძემ, ოსმან-აღამ და ნოე სადრაძემ გენერალი კუკ-კოლისი აივანზე გაიხმეს და დიდხანს ბჭობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს და სახეგაქვავებული კუკ-კოლისი ერთხელ კიდევ მივიდა ტელეფონთან.

— ნავსადგურის სამმართველო! ლაპარაკობს ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი, დაემორჩილეთ ბათუმის პროფკავშირების საბჭოს კომისიას. თქვენ უნდა იმუშაოთ ამ კომისიასთან შეთანხმებით. ბრძანებას მიიღებთ დღესვე! — მერე დელეგატებს მიუბრუნდა და ძწარე ღიმილით მიმართა: — მე მგონია დემონსტრანტების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია!

— ნაწილობრივ, — მიუგო სერგეიმ, — მაგრამ ამჯერად ჩვენ მეტს არაფერს ვიტყვით.

— ჩვენს მთავარ მოთხოვნილებას და უფლებებს თავის დროზე თქვენს რეზიდენციაში მოგახსენებთ! — დაუმატა რეჯებმა.

— მე სიამოვნებით მოვუსმენ ბათუმის პროფკავშირების საბჭოს!

— ნახვამდის, ბატონებო! — ერთხმად გამოეთხოვენ კუკ-კოლისს და აღფრთოვანებულმა დელეგატებმა ციხეს მიაშურეს. დარბაზში ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. რომელიც ყველასათვის მოულოდნელად სპირიდონ სართანიამ დაარღვია.

— ყაჩაღები! — ისტერიულად შეჰყვირა ჭან და კუკ-კოლისს მიუბრუნდა. — რას შვებით, ბატონო გენერალო, ვის ხელში გვაგდებთ?! ასე თუ გაგრძელდა, ისინი მალე ხელისუფლებასაც მოითხოვენ და აიღებენ კიდეც!

— ესეც ადვილი შესაძლებელია. ვის ხედავთ? ბოლშევიზმი აღარ ხუმრობს, იგი სწრაფად იზრდება და ოითქმის მთელ ქვეყანას მოედო!

ერთი საათის შემდეგ ციხიდან განთავისუფლებული არჩილ არაბიძე დელეგატებმა მიტინგზე მიიყვანეს, ტრიბუნაზე აიყვანეს. მისმა მგზნებარე სიტყვამ დემონსტრანტებს ფრთები შეასხა. ეს რომ სპირიდონ სართანიამ გაიგო, ღვიძლი ქალიშვილის საქორწილო ზეიმი პანაშვიდად მოეჩვენა და ჩაწყვეტილი ხმით ალუღლუღდა:

— ისევ ის! როგორი დაცინვაა! სიკვდილმისჯილი დახვრეტის ნაცვლად ტრიბუნაზე! დახურეთ ფანჯრები, ჩამოუშვით ფარდები! — დაიღრიალა სპირიდონ სართანიამ. მსახურებმა ფანჯრები დახურეს, ფარდები ჩამოუშვეს. გარედან კვლავ მო-

ისმოდა „მარსელიოზას“ და „ინტერნაციონალის“ ძლიერი სიმღერა და მუშათა ორკესტრების მძლავრი გუგუნი.

— ბატონებო, — რიხიანად წამოიძახა ნოე სადრაძემ, რომელიც ძლივს გამოერკვა შექმნილი მდგომარეობიდან და სტუმრებსა და მასპინძლებს დაუწყო დაწყნარება, — ბატონებო, პანიკას ნუ მიეცემით, ჩვენი დემოკრატია, ჩვენი პატარა საქართველოს მთავრობა ძირფესვიანად მოსპობს ბოლშევიზმს საქართველოში!

ნოე სადრაძის სიტყვამ გონს მოიყვანა ყველა, განსაკუთრებით სპირიდონ სართანია და სამოცდაათი წლის მასპინძელი ოცი წლის ჭაბუკივით დატრიალდა.

— გთხოვთ ბატონებო, სადღეგრძელოებს რუ გააციებთ, ამას ქართული სუფრა, ქართული ქორწილი ვერ მოითმენს!

სტუმრები და მასპინძლები ისევ შემოუსხდნენ მაგიდას და კვლავ გამოცოცხლდა საქორწილო ნადიმი. ნოე სადრაძემ ღვინით სავსე ჭიქა აიღო ხელში და მორიგ სადღეგრძელოებს შეუდგა.

— ბატონებო, ნება მომეცით ამ ჭიქით ვადღეგრძელო ჩვენი..., — უკანასკნელი სიტყვა ენაზე მიეყინა. პატივცემული თამადა ძლიერ გააოცა მისტერ ლეპსონის საქციელმა. იგი მოულოდნელად წამოვარდა სკამიდან და გაფითრებულმა გაიხედა ფართოდ გაღებულ კარებისაკენ, სადაც ყველასათვის გასაკვირად ამაყად იდგა და დამცინავი თვალებით მისჩერებოდა ნეფე-დედოფალს ლამაზი და ახოვანი ბერძნის ქალი, მისტერ ლეპსონის კონსტანტინეპოლელი ცოლი ურანია. ურანიამ ცალა თავითფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა და მისტერ ლეპსონს სიცილით მიმართა:

— რა მშვენიერი ძორიგი მსხვერპლი ჩაგივდიათ ხელში, მისტერ ლეპსონ!

— შენ აქ რა გინდა... აქ როგორ მოხვდი, ურანია? — ... ძლივს წარმოსთქვა დაბნეულმა და ძლიერ შეშფოთებულმა მისტერ ლეპსონმა.

— კონსტანტინეპოლამდე მოაღწია ხმამ, მისტერ ლეპსონი ცოლს ირთავსო..., — ღვარძლიანი სიცილით უპასუხა ურანიამ და თვალებზე სიბრაზის ცრემლები მოადგა.

— ვინ არის ეს ქალი? — ურანიაზე მიუთითა ციალამ და თავისი ლამაზი, მაგრამ ცეცხლივით მწველი თვალები შამფურივით გაუყარა თვალებში მისტერ ლეპსონს... ძლიერი მღელვარებისაგან მუდამ წყნარსა და სათნო ციალას სახეზე ალმური ასდიოდა... მთელი სხეული უკანკალებდა. ფეხზე ძლივს იდგა.

— ეს ის... — დაიბნა მისტერ ლეპსონი.

— არავითარი ის... მე მისტერ ლეპსონის კანონიერი ცოლი გახლავართ!

ურანიას სიტყვები ყუმბარასავით გავარდა დარბაზში და ყველას სახეზე გაკვირვებამ გადაირბინა.

— რას ნიშნავს ეს?! — ისევ იკითხა უკვე სავსებით ვაფიქრებულმა ციალამ.

— არაფერია, დაწყნარდი, ციალა! — შესძახა სპირიდონ სართანიამ ქალიშვილს და ურანიას ვეფხვივით შეუბღვირა.

— ააა, სპირიდონ-ბეი, ძლივს გიცანით. — დამცინავად მიმართა ურანიამ სართანიას და თუმცა გულში ბოღმა უღვიოდა, სახეზე მაინც ღიმილი აუთამაშდა და გაჭიმწვევად გადაიკისკისა.

— მამა, შენ ამ ქალს საიდან იცნობ? რას ნიშნავს ყველაფერი ეს, მითხარი მამა! — სასოწარკვეთილებითა და თითების მტვრევით შეეკითხა ციალა.

— მამაო... — კვლავ დაიწყო ურანიამ. — რა საძაგლობაა, სპირიდონ-ბეი, თქვენ ხომ კარგად იცოდით, რომ მისტერ ლეპსონის ცოლი ვარ...

— მამა ახლავე, აქვე მითხარი, რას ნიშნავს ეს? — არ ეშვებოდა ციალა და მუდარით სავსე თვალებით მიშტერებოდა მამამისს.

— მამათქვენზე უფრო მე გეტყვით სიმართლეს... ეს მათ ენაზე ვაჭრობას ნიშნავს. ხშირად, ძალიან ხშირად, მდიდარი მამები საკუთარი ქალიშვილებითაც კი ვაჭრობენ!

— რას ბედავ, ხმა ჩაიწყვიტე! — ველარ მოითმინა და მუდამ თავდაჭერილმა მისტერ ლეპსონმა მკაცრად შეუტია ურანიას.

— ნუ ღელავთ. — ზიზღით მიახალა ურანიამ ნაქმრევს, — მე ყველაფერს ვიტყვი. სულ ერთი თვის წინათ სპირიდონ-ბეი

თავისი სავაჭრო საქმეების გამო კონსტანტინეპოლში ჩამობრძანდა და ჩემი „პატიოსანი“ ქმრისაგან წერილი და საჩუქრები ჩამომიტანა. იგი გულისტკივილით ჩიოდა, რომ არა ჰყავს ძლიერი კამპანიონი და ვაჭრობის დიდ მასშტაბებზე ოცნებობდა. იქ მყოფმა ვაჭრებმა და მამაჩემმაც სპირიდონ-ბეის ურჩიეს სავაჭრო საქმეებში ინგლისელები ჩაერია, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მფარველობით ესარგებლა.

— სიცრუეა..., ცილისწამებაა, — ძლივს ალუღლუღდა გონს მოსული სპირიდონ სართანია.

ურანიას თითქოს არც კი სმენია სპირიდონ სართანიას სიტყვები, განაგრძო: — ბათუმში გამგზავრების წინ იგი უკვე აშკარად ნატრობდა ქალიშვილი ინგლისელისათვის მიეთხოვებინა. ეს „წარჩინებული და პატიოსანი“ ინგლისელი კი მისტერ ლეპსონი აღმოჩნდა, დიახ, მისტერ ლეპსონი, რომელსაც ჩემს გარდა კიდევ ერთი ცოლი ლონდონში ჰყოლია თურმე.

— ნუთუ ყველაფერი ეს მართალია, მამა?

— ყურს ნუ უგდებ, ციალა, ყველაფერი ეს სისულელეა! ემუდარებოდა ქალიშვილს სპირიდონი, მაგრამ იგი აღარ უსმენდა.

— თვითონ იძახდი, რომ ქართველები ინგლისელებს უნდა დავუმოყვრდეთ, ჩვენთვის სასარგებლო საქმეაო. შენ ღვიძლმა მამამ, ღალატი არ ითაკილე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შენი ვაჭრობისათვის სასარგებლო იყო... ცოლიან კაცს საკუთარი ქალიშვილი ცოლად მიჰყიდე!..

— რას ბედავ, ციალა?! — იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა სპირიდონ სართანიამ.

— ციალა! — მუქარით წამოიძახა სანდრო სართანიამ. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმე ციალას გულის დამწველმა სიტყვებმა დაარღვია:

— კარგად იცოდი, მამაჩემო, რომ მე ეს კაცი მძულდა, მაგრამ ჩემი ცრემლები და ჩემი სურვილი არ შეიწყნარე, ფეხი დაადგი ჩემს სათუთ გრძნობებს... იმისათვის, რომ მშობლები და ახლობლები არ დამეკარგა, გულში ვიკლავდი სიყვარულის ძლიერსა და ძვირფას გრძნობებს, მაგრამ, ვაი, რომ აქაც სასტიკად მოვტყუვდი... — აქ კი უკვე ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ ბოღმას და აქვითინდა.

— ციალა, დაწყნარდი! — ხან ემუდარებოდა, ხან უყვიროდა სპირიდონი, — ჩუმად იყავ, სისულელეებს ნუ როშავ.

უცებ ციალა ვერცხლის წყალივით მოწყდა ადგილიდან და გარეთ გავარდა.

— ციალა, სად გარბი, ციალა, თავი არ მოგვჭრა! — გაიძახოდა სპირიდონი და ადგილიდან ვეღარ იძროდა... სხვებიც დაიბნენ... როცა გონს მოვიდნენ, გვიანღა იყო... ციალა გაუჩინარდა.

— ვერაფერი გამიგია! — ბუტბუტებდა მიქელაძე.

— ძალიან ცუდი ამბები დატრიალდა დღეს!.. — ჯავრობდა ნოე სადრაძე.

— სკანდალ! — წამოიკნავლა ორლოვმა,

— სკოოონდალ! — ჩაიბურტყუნა კუკ-კოლისმა.

ქისა და ცდუნება

ხასან-აღა უკვე ორმოცდაათი წლის კაცი იყო. როცა ცოდვების ჩამოსაბანად მეჭაში სალოცავად წავიდა. ბევრი ფული წაიღო თან... უმეტესად თურქული ოქროს ლირები, ისინი ნაცნობ-მეგობრებისაგან მიიღო, რათა მათი სულის განსაწმენდადაც ელოცა.

ბათუმში ხასან-აღა ჩრდილოეთ კავკასიიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიიდან, ყაზანიდან და ბაშკირეთიდან ჩამოსულ მლოცველებს შეუერთდა.

უკვე მზე ამოდიოდა. როცა მლოცველებით გატენილი გემი ჯედას ნავსაყუდელს მიადგა, მაგრამ არავინ ჩქარობდა... მგზავრები დილის ლოცვას ასრულებდნენ.

ხასან-აღამ ყველაზე აღრე მოათავა ლოცვა და გემბანიდან ქალაქს გახედა.

ქალაქი გაჟედილი იყო მეჭას წამსვლელი მლოცველებით.

ამ დროს ჯედაში, რომლის მკვიდრი მოსახლეობა ოცი ათასს ძლივს აღწევდა, ორასი ათასი მლოცველი იყრიდა თავს.

მლოცველების უმეტესობა ღია ცის ქვეშ ათენებდა, ჯედას შენობები ყველას ვერ იტევდა, ვერც მეჭას მიმავალ აქლემთა ქარავნები ყოფნიდა ყველას.

ხასან-აღას ჩასვლამდე ჯედაში შავი ჭირი გაჩენილიყო და ადამიანები ბუზებივით წყდებოდნენ.

ხასან-აღამ სამი ღამე სამ ლირად მოხუცი არაბის ეზოში გაათენა. მეოთხე ღამე მისთვის დაუკიწყარი აღმოჩნდა. ავადმყოფი ადამიანის კვნესა და ქართული სიტყვები მოესმა.

ღია კარავში საწოლზე გაშოტილი ავადმყოფი დროგამოშვებით ალაჰსა და მუჰამედ წინასწარმეტყველს ახსენებდა, თან სასთუმალთან ჩამომჯდარ ძმისშვილს მიხრწნილი ხმით რაღაცას უყვებოდა.

მომაკვდავის ძმისშვილი იბრაგიმ-ეფენდი მეუძლოდ იყო, მაგრამ ბიძის სიტყვებმა გამოაცოცხლა, ძარღვებში სისხლი აუჩუხჩუხა და გული ახალგაზრდულად აუტოკა.

— ალბათ, მზის ამოსვლამდე ცოცხალი ვეღარ მივაღწევ... — მკაფიოდ გაისმა მომაკვდავის ხმა. — მექამდე ვეღარ მივაღწევ. ვეღარ შევძელი სულის განწმენდა, და ალბათ, ცოდვილი ჩავალ სამარეში. იბრაგიმ. ვიცი ძნელია, მაგრამ ფულით ყველაფერს შეძლებ. . .ჯედას მეჩეთის ეზოში დამასაფლავე. — უბიდან კარგა მოზრდილი ქისა ამოიღო და ხელის კანკალით გადასცა. — აქ ათი ათასი ოქროს ლირაა.. მექადან რომ დაბრუნდები. წამოიღე ზემზემის წყალი და საფლავზე დამაპკურე.

მომაკვდავმა ისევ ჩაიყო ხელი უბეში და ახლა იქიდან პატარა ქისა ამოიღო, — ამაში გასაღებია... ჩემი სახლის კიბის ქვეშ, მესამე საფეხურთან. აგურს გამოიღებ, მერე ამ გასაღებით კიბეში ჩაკირულ სალაროს გააღებ. იქ პატარა გასაღებს ნახავ... —ეს თქვა, ღრმად ამოიოხრა და დადუმდა.

იბრაგიმ-ეფენდიმ მომაკვდავი შეანჯღრია და სასოწარკვეთით ჩასძახა:

— მერე?

— მერე, ჩემი სახლის დიდი დარბაზის ბუხარს მიადგები... ბუხარი წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის აგურით არის ნაგები... მარჯვენა მხარეზე. კედლის საზღვართან, იატაკიდან მეხუთე აგური ლურჯი ფერისაა, იმ აგურს გამოანგრევ. გამოჩნდება რკინის სალარო, რომელსაც პატარა გასაღებით გააღებ.

— მერე?

— გააღებ და ყველაფერი შენი იქნება, მაგრამ ერთი პირობით, ჩემს ოჯახს უპატრონე.

— კი, მაგრამ, რა არის ყუთში, — მოუთმენლად წამოიძახა იბრაგიმ-ეფენდიმ.

— ოთხი ათასი ოქროს ლირა... დიდძალი ოქრო და ბრილიანტი... პო, ოქრო.. ბრილიანტი...

ძლივს დაამთავრა სათქმელი და ბრაზისაგან სახე დაღრიჯა.

იბრაგიმ-ეფენდი გაბრუებული გასცქეროდა ცაზე ჩამოკიდებულ მთვარეს. მან კარგად იცოდა, რომ ბიძამისი, სამოცდაათ წელს მიღწეული ჯევდეთ-ბეი მთელს კონსტანტინეპოლში განთქმული იყო, როგორც ულამაზესი ცოლის პატრონი და ყველაზე მდიდარი ქართველი მუსლიმანი. მან კარგად იცოდა, ორი სავაჭრო გემი, ერთი სასტუმრო, ათამდე მაღაზია, თამბაქოს ფაბრიკა, საპნისა და ტყავის ქარხანა, საკმაოდ დიდ ქონებას წარმოადგენდა, მაგრამ .ამდენი ლირა, ოქრო და ბრილიანტი?! და, როცა წარმოიდგინა ასეთი ურიცხვი სიმდიდრის პატრონი თვითონ უნდა გამხდარიყო, უცებ თავბრუ დაესხა... თავბრუ დაესხა და შიშმა აიტანა, ვაითუ ჯევდეთ-ბეი გადარჩეს და ასეთი ბედნიერება ხელიდან გამომეცალოსო. ამაო იყო იბრაგიმ-ეფენდის შიში... ჯევდეთ-ბეი უკვე აღარ სუნთქავდა.

იბრაგიმ-ეფენდიმ თეთრად გაათენა. არც ხასან-აღას დასძინებია, მას მოსვენებას არ აძლევდა ჯევდეთ-ბეის ნაანდერძევი. მთელი ღამე თივაში ჩაფლული ვეფხვივით ბორგავდა.

როგორც კი ირიეერაჟა, იბრაგიმ-ეფენდი ჯევდეთ-ბეის დაკრძალვის თადარიგს შეუდგა. დიდად რომ არ დახარჯულიყო, მიცვალებული საერთო სასაფლაოზე დაასაფლავა და იქედან პირდაპირ ჯედას მთავარ მოედანს მიაშურა.

მოედანზე მექაში მიმავალი აქლემების ქარავნები ჩამოსულ მლოცველებს ელოდნენ. აქლემების პატრონებსა და მლოცველთა შორის გაბურებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ჯედადან მექამდე სამოცამდე კილომეტრი იყო, ყოველი მლოცველის გადაყვანის საფასურად მექარავნეები სამოც ლირას მოითხოვდნენ. იბრაგიმ-ეფენდიმ ბევრი ივაჭრა, ორმოც ლირად მოურიგდა და მთელი ღამის უძილობით მოქანცული, კარვისაკენ წავიდა მოსასვენებლად.

ხასან-აღას არ ეძინა. მომაკვდავი ჯევდეთ-ბეის სიტყვები საწამლავივით ეწვეთებოდა ყურში და თავში ათასი აზრი უტრიალებდა. არც იბრაგიმ-ეფენდის ეძინა. ჯევდეთ-ბეის გასაღები და ათი ათასი ოქროს ლირა მოსვენებას არ აძლევდა, — ვაითუ ძილში ვინმემ გამქურდოს და მშრალზე დავრჩეო. მაგრამ წინა დღით ჯედაში მომხდარი შემთხვევის მოწმე, ისევ წყნარდებოდა, წინა დღით კი ასეთი ამბავი მოხდა: მექადან ჩამოსული ერთი ბედუინი ჯედას პოლიციაში გამოცხადდა:

— გზაზე ქერით სავსე ტომარა გდია... ალბათ, ვინმეს დაეკარგა, — გულწრფელად მოახსენა ბედუინმა პოლიციის მოხელეს,

— შენ საიდან იცი, რომ ტომარაში ქერია?! — იკითხა პოლიციის მოხელემ.

— გავხსენი და შიგ ჩავიხედე, — გულწრფელად უპასუხა ბედუინმა.

— აჰა, ესე იგი მოპარვა გინდოდა! — იყვირა განრისხებულმა მოხელემ და...

ბედუინს იმავე დღეს მარჯვენა მოკვეთეს.

იბრაგიმ-ეფენდიმ კარგად იცოდა, რომ შარიათის კანონით ქურდობისათვის სასტიკად სჯიდნენ, მაგრამ მაინც შიშობდა და საწოლზე პირაღმა გაშოტილი ხშირად ხელით სინჯავდა უბეში შენახულ ოქროს ლირებით სავსე ქისას და სანუკვარ გასაღებს...

უცებ იბრაგიმ-ეფენდიმ საწოლზე რაღაც ამობურთული იგრძნო... კინაღამ შეჰყვირა, როცა ხელში ფულით სავსე ქისა მოხვდა... ქისა უბეში შეინახა, მაგრამ აფორიაქებული სული ვერა და ვერ დაიოკა...

გათენებისას ხასან-აღა სადღაც გაქრა.

მზე ახალი ამოსული იყო, როცა მთვლემარე იბრაგიმ-ეფენდის საწოლს ორი პოლიციელი მოადგა.

* * *

— მერე? — დინჯად იკითხა საპოლიციო უბნის უფროსმა, რომელიც წარმოშობით ალეპოელი თურქი იყო.

— ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა ეს საშინელი ამბავი გავიგე, ოთხი ქისიდან სამი მომპარეს... ერთში იყო ათი ათასი ლირა, მეორეში ათასი და მესამეში კი პატარა გასაღები.

— ესე იგი, ერთში ათი ათასი ლირაა, მეორეში ათასი და მესამეში კი პატარა გასაღები? — დინჯად იკითხა საპოლიციო უბნის უფროსმა.

— ზუსტად ასეა...

ხასან-აღა დაიხარა და საპოლიციო უბნის უფროსს ყურში ჩასჩურჩულა.

— თუ დაკარგულის დაბრუნებაში დამეხმარებით, ნახევარი თქვენთვის მიფეშქეშებია, როგორც შარიათის დამცველისათვის.

საპოლიციო უბნის უფროსი გამოცოცხლდა, თვალებში სინათლე მოემატა და ახლა უკვე ენერგიულად წარმოსთქვა:

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც საჭიროა, მაგრამ ამისათვის განცხადების გარდა მოწმეებია საჭირო.

— ერთი იმ ქისათაგანი, რომელშიც ათასი ლირაა, აქ, ჯიბეში გავაკეთებინე. ზედ ჩემი სახელია ამოკვეთილი. ხელოსნებიც დამემოწმებიან.. ისინი უკვე აქ არიან.

— აქ არიან? — სიხარულით წამოიძახა საპოლიციო უბნის უფროსმა და კარებთან ატუზულ პოლიციელს უბრძანა: — შემოიყვანეთ!

პოლიციელმა შემოიყვანა ორი ჯიბელი ხელოსანი, რომლებიც საპოლიციო უბნის უფროსს წელში საბჯერ მოხრილი მიესალმნენ.

უფროსმა ხასან-აღაზე მიუთითა და ხელოსნებს მკაცრად შეეკითხა:

— ამ კაცს თუ იცნობთ?

— როგორ არა... გუშინ საფულე ქისა შეგვიკეთა და მისივე თანდასწრებით გავაკეთეთ.

— შეგიძლიათ გაიცნოთ ის ქისა?

— როგორ არა.

— შემოიყვანეთ დაპატიმრებული! — ბრძანა უფროსმა და პოლიციელი იბრაგიმ-ეფენდის შემოსაყვანად გავიდა.

ხასან-აღამ საპოლიციო უბნის უფროსს რაღაც ჩაუჩურჩულა და კუთხეში, შეუმჩნეველ ადგილას დაჯდა. პოლიციელმა იბრაგიმ-ეფენდი შემოიყვანა და უფროსს წარუდგინა. ერთ წუთში მის წინ ოთხი ქისა იდო.

— ვისია ესენი? — მრისხანედ შეეკითხა უფროსი იბრაგიმ-ეფენდის, რომელმაც ძლივს დაადო აკანკალებული ხელი ერთ-ერთ ქისას და გაჭირვებით უპასუხა.

— ეს ჩემია.

— ესენი? — ახლა დანარჩენ ქისებზე მიუთითა.

— ამ სამთაგან ორი ბიძაჩემმა ღამიტოვა სიკვდილის წინ, ეს კი ვიპოვე.

— ამ დიდ ქისაში რა არის?

—ათი ათასი ლირა! — ახლა უკვე თამამად უპასუხა იბრაგიმ-ეფენდიმ.

— ათი ათასი. — ვაიმეორა უფროსმა. — უკვე დათვლაც მოასწარი?

— არ დამითვლია... მე ისედაც ვიცოდი, რომ ამ ქისაში ათი ათასი ლირა იყო.

— აჰა, იცოდი, არა? ძალიან კარგი... — უფროსმა ახლა მომცრო ქისას დაადო ხელი და ისევ შეეკითხა, — ეს?

— ეს ქიაა? მე უკვე ვთქვი. — ვიპრვე.

— შიგ რა არის?

— ფული... ათასი ლირა.

იბრაგიმ-ეფენდის სიტყვის თქმა არ აცალეს, ორივე ხელოსანმა თითქმის ერთდროულად წამოიძახა:

— ეს არის... ეს არის ჩვენი გაკეთებული ქისა.

საპოლიციო უბნის უფროსი წამოდგა, მრისხანე თვალებით გადახედა იბრაგიმ-ეფენდის, მაგრად დაარტყა ხელი მაგიდაზე და დაიყვირა:

— გიაურო, უწმინდურო, მთელი მილეთის ხალხი აქ ჩამოდის, რომ წმიდა ადგილები მოინახულოს, ილოცოს, ცოდვებისაგან განიწმინდოს და უმწიკვლოდ დაბრუნდეს თავის ქვეყანაში, შენ კი, — ღრიალებდა მოთმინებიდან გამოსული უფროსი, — შენ კი, აქ ჩადიხარ საძაგლობასა და ცოდვას! გაიყვანეთ, ახლავე გაიყვანეთ და ორმოში ჩააგდეთ!

თავზარდაცემულსა და გაოცებულ იბრაგიმ-ეფენდის რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პოლიციელმა აღარ აცალა, მუჯლუგუნით გაიგდო წინ.

უფროსმა ხელოსნები გაისტუმრა, ხასან-აღას გაულიმა. იბრაგიმ-ეფენდის კი ხელის მოკვეთა გადაუწყვიტა.

ხასან-აღა შეკრთა, თან შიშმა შეიპყრო, ვაითუ ისედაც დაუძლურებულმა იბრაგიმ-ეფენდიმ ვეღარ გაუძლოს ასეთ წამებას და...

ხასან-აღასათვის იბრაგიმ-ეფენდი ჯერ კიდევ საჭირო იყო.

— ეფენდი! მადლობელი ვარ ასეთი დიდი დახმარებისათვის. მაგრამ... — ხასან-აღამ ვეღარ ჩაათავა სათქმელი. მის უფროსი წამოეშველა.

— ჰო, რა მაგრამ?

— თუმცა ხაჯაზე მივდივარ, ცოდვებისაგან განვიწმინდე-ში, მაგრამ არ მინდა ჩემი გულისათვის ადამიანი დაისაჯოს... მაჩუქეთ ის ცოდვილი ადამიანი, ჩემი ხარჯით წავიყვან მექას, იქედან სახლშიც გავისტუმრებ ცოდვებისაგან განწმენდილს და მეც აღარ შემაწუხებს სინდისის ქენჯნა... სამაგიეროდ აქედან ხუთი ათასი ლირა თქვენი იყოს,

ხასან-აღამ ხელში აიღო მოზრდილი ქისა, გადმოაპირქვავა, ოქროს ლირები შუაზე გაყო, ნახევარი უფროსს მიართვა და დააყოლა:

— ფეშქეშ!

— დეე ასე იყოს... ჩემგანაც ფეშქეშ!.. წ-იყვანეთ და თუკი ქურდს კაცად გამოიყვანთ, ალაჰი იქნება თქვენი მფარველი! — ღიმილით უპასუხა საპოლიციო უბნის უფროსმა და ლირები მაგიდის უჯრისაკენ გააქანა.

* * *

ხაჯობა დაიწყო. მლოცველებმა, როგორც კი შედგეს ფეხი მექას მეჩეთის ეზოში, იმ წუთშივე სალოცავად აღმართეს ხელები,

ლოცვის დამთავრების შემდეგ მიადგნენ ქააბეს შუაგულში აღმართულ შავ ქვას. უხსოვარი დროიდან იდო იგი დღევანდელი ქააბეს შუაგულში და მეტეორიტის ეს ვეებერთელა ნატეხი, არაბებმა ალაჰის გამოგზავნილ სათაყვანებლად გადაქციეს.

ხაჯობის დროს ყველა მლოცველი ვალდებული იყო შავი ქვისათვის ეკოცნა. მაგრამ ეს ყველასათვის როდი იყო მისაწვდომი. ზოგი ხელით ეხებოდა შავ ქვას და ლოცვის შესრულების შემდეგ საკუთარ თითებს კოცნიდა... ბევრი, ძალიან ბევრი, გრძელი ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულნი... ჯოხის ერთ ბოლოს ქვას მიაბჯენდნენ, მეორეს კოცნიდნენ და ასე ასრულებდნენ სასურველსა და სავალდებულო ამბორს.

სავალდებულო ამბორის მიღების შემდეგ მლოცველთა ბრბო ზმუილით გავიდა ქააბედან. მათ შვიდჯერ შემოიარეს ქააბეს ირგვლივ — პირველი სამი წრე, წესისამებრ მხრების

რხევით, ვიწრო ნაბიჯით და თოხარიკით, მეორე ოთხი წრე კი, დინჯი და ნელი ნაბიჯით. ყოველი თითო წრის შემოვლის შემდეგ ოფლში გაღვრილი, მტვრით გაჟღენთილი და არაქათგამოლეული მლოცველების ურიცხვი ბრბო ისევ შავი ქვის საამბორებლად დაიძრა. ისევ ილოცეს და ზემზემის წყაროს მიაშურეს... ზოგმა თითები დაისველა, ზოგმა ხელი, ბევრმა პირიც-სახეზეც შეიპკურა ღვთიური წყაროს წყალი.

მეორე დღეს მლოცველები გაემართნენ საფას გორაკისაკენ, რომელიც ქაბედან ასიოდე ნაბიჯით არის დაშორებული. აქ პირით ქაბესაკენ შებრუნდნენ და ისევ ლოცვას შეუდგნენ.

საფას გორაკიდან სირბილით მერვას გორაკისაკენ გასწიეს, შვიდჯერ გაირბინეს მანძილი საფას გორაკიდან მერვას გორაკამდე ისევე, როგორც თავისი შვილის ისმაილისათვის წყლის მოსანახად აგარი დარბოდა ამ გორაკებს შორის.

ამით დამთავრდა ხაჯას მეორე ნაწილი და მზის ჩასვლისას ქაბე და მისი მიდამოები მლოცველთა ხვრინვამ გადააყრუა.

— იბრაგიმ-ეფენდი, როგორ ხართ? — შეწუხებული ხმით შეეკითხა ხასან-აღა მის გვერდით პირაღმა გაშოტილ იბრაგიმ-ეფენდის, რომელიც მძიმედ სუნთქავდა და თავიდან ფეხებამდე ოფლში იყო გაღვრილი.

— არა მიშავს, ალაჰის წყალობით, ალბათ, არაფაზეც შეიძლებ წასვლას, ხაჯი ვიქნები და მერე სიკვდილისაც აღარ შემეშინდება.

— სიკვდილს თქვენთან რა უნდა იბრაგიმ-ეფენდი... ალაჰის წყალობით დიდხანს იცოცხლეთ!

— თქვენს პირს შაქარი, ხასან-აღავ, თქვენით მიდგას სული, ალბათ, ღმერთის მოგზავნილი ხართ. თუ განგებამ ინება და შინ მშვიდობით დავბრუნდი, ოქროში ჩაგსვამთ და ფადიშახივით გაგიშვებთ სამშობლოში.

— ოღონდ თქვენ იყავით კარგად და ჯილდოდ ესეც მეყოფა... რაც არ უნდა იყოს, ჩვენიანი ხართ.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. იბრაგიმ-ეფენდი ძალიან წუხდა, რომ მისთვის ძლიერ საჭირო გასაღები საპოლიციო უბნის უფროსთან დარჩა, მაგრამ ხასან-აღა დაბეჯითებით პირდებოდა გასაღებისა და კუთვნილი ფულის დაბრუნებას, როცა ისინი ჯედაში დაბრუნდებოდნენ.

იბრაგიმ-ეფენდის თავზე გადამბდარ უბედურებას ხასან-აღა აბრალებდა ჯედელ ხელოსნებს, რომლებმაც ისე უსინდისოდ დაწამეს ქუოდობა და მერე ვის? ისეთ პატიოსან და ღვთისმოსავ ადამიანს, როგორიც იბრაგიმ-ეფენდია...

მეცხრე ზულხიჯეს დღეს დაიწყო ხაჯის მესამე და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი — ლტოლვა არაფას გორაკისაკენ, სადაც ყოველმა მორწმუნემ, რომელსაც „ხაჯის“ წოდების მიღება სურს, ქადაგობა უნდა მოისმინოს.

მუსლიმანისათვის არაფა ყველაზე უფრო წმიდათაწმიდა გორად ითვლება მთელ ქვეყანაზე, ვინაიდან გადმოცემისთანახმად დიდი ხნის განშორების შემდეგ, აქ შეხვდა ადამი ევას, აქ აღწავლა მთავარანგელოზმა ადამს ლოცვა ღმერთისადიდებლად, აქ მოდიოდა ადამი ცეილონიდან ხაჯას ჩასატარებლად, აქ არის ადგილი, რომელზეც იდგა ხაჯის დროს თვითონ მუჰამედ ფეიჰამბერი და აქვეა ნანგრევები იმ მეჩეთისა, სადაც იგი ლოცულობდა.

მლოცველები არაფადან ისევ მექასაკენ გაემართნენ. გზაზე მაზდალაფში კიდევ ორი ლოცვა შეასრულეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვეს ყოველი მუსლიმანისათვის უდიდესი ბედნიერება — „ხაჯი“ საპატიო სახელი, რომელსაც ისინი მიუხედავად საშინელი დაღლილობისა, აუწერელი სიხარულით ულოცავდნენ ერთმანეთს.

მლოცველთა შორის აღარ ჩანდა იბრაგიმ-ეფენდი, იგი არაფას მახლობლად მკვდარი ეგდო უზარმაზარ ლოდებს შორის ნახევრად გახრწნილი აქლემის გვერდით.

მისი სიკვდილის მიზეზი არავინ იცოდა, გარდა ერთი კაცისა, ის ერთი კაცი ცოდვებისაგან განბანილი, „ხაჯის“ სახელით აღჭურვილი ხასან-აღა იყო.

* * *

გემი ბოსფორის სრუტეს მიუახლოვდა, ხასან-აღამ მარცხენა გემბანისაკენ გადაინაცვლა და იქედან გახედა კონსტანტინოპოლის დიდ ნაწილს — სტამბულს, რომელსაც გალატასა და პერასგან ოქროს რქის სრუტე ჰყოფდა. ამომავალი მზის სხივები თანდათან ეფრქვეოდა სტამბულის მეჩეთების უამრავ მინარეთებს.

აი, ჩატალდი კაპუსის მიდამოები, ეგერ ჩატალდის კარიბჭე, რომელიც პირდაპირ ზღვას გადმოჰყურებს; იმის იქეთ ქიუჩუქ აია სოფიას მეჩეთი, შემდეგ აია სოფიასა და სულეიმანიეს დიდებული მეჩეთების მინარეთები, ახორის კარიბჭე, გიულხანე, ბალიკხანეს კარიბჭე, თოფ კაპი სერაის მიდამოები....

სერაი ბურნუს მახლობლად გემმა მარცხნივ შეუხვია, ოქროს რქის შესართავში შევიდა, უფლისწულის პატარა კუნძულებს ჩაუარა და სულთან ვალიდეს ნავსაყუდელს მიადგა...

ხასან-აღა კონსტანტინოპოლში ჩავიდა.

ძველი საცვლები და უკვე შელანძღული ტანსაცმელი ხასან-აღამ გემზე დატოვა, მთელი სიმდიდრე, რამდენიმე ათასი ლირა და სანუკვარი გასაღები კი თან წაიღო. ნავსადგურიდან პირდაპირ მაღაზიებისაკენ გაემართა. გალატა რამდენიმე წუთში გადასერა, პერაზე გავიდა და პერასი ბუიუქ ქუჩაზე გაჩნდა. აქ დიდი ჩემოდანი, საცვლები, ზედა პერანგები გახამებული საყელოთი და მანჟეტებით, ძვირფასი კოსტუმი და ფეხსაცმელები იყიდა, ხოლო საიუველირო მაღაზიაში ალმასებით მოპენდილი ქალის ოქროს საათი და ბრილიანტებით დამშვენებული პლატინის სამკერდე შეიძინა.

როცა საყიდლებს მორჩა, ეტლი დაიქირავა და სტამბულისაკენ გასწია. თხუთმეტი წუთის შემდეგ ეტლი უკვე კუჭ კაპუს სადგურს მიუახლოვდა და ბაშ-ფაშის ქუჩაზე სასტუმრო „სელიმიეს" წინ გაჩერდა. ეს სასტუმრო ჯევდეთ-ბეის ეკუთვნოდა. ხასან-აღამ სწორედ ამიტომ ირჩია იქ გაჩერება.

საუკეთესო ნომერი მოითხოვა. იმ წუთშივე შეეიცარმა მისი ჩემოდანი მეორე სართულისაკენ გააქანა, ხოლო ადმინისტრატორმა ნომრამდე მიაცილა და კარები თვითონ გაუღო. ხასან-აღამ ადმინისტრატორს ოცი ლირა აჩუქა, ჩემოდნის ამტანს ორი და სამოთახიანი, მდიდრულად მორთული ნომერი მექაში მოგზაურობის შემდეგ სამოთხედ მოეჩვენა.

— ყოჩაღ, ხასან-აღა! — მიაძახა სარკეში თავისთავს, ფეხზე გაიხადა და ოტომანურ ტახტზე ოტომანიის სულთანივით გაიშხლართა.

ორი საათის შემდეგ ახალ კოსტუმში გამოწყობილი ხასან-აღა სასტუმროს საპარიკმახეროში შევიდა, იქიდან ათი წლით გაახალგაზრდავებული გამობრუნდა, პარიკმახერს სამი

ლირა გადაუგდო, სასტუმროს პორტიეს ერთი ლირა ჩაუდო ჯიბეში და ქალაქში გავიდა.

საღამომდე კუმ კაპუს, ნური ოსმანიეს, ენი კაპუსა და ესკი სერაის მიდამოებში ხმა გავარდა — სასტუმრო „სელიმიეში“ მექადან დაბრუნებული ვიღაც გიურჯი-აღა ჩამოსულაო.

ეს ამბავი იმავე საღამოს ჯევდეთ-ბეის ოჯახშიც შეიტყვეს და ძლიერ დაინტერესდნენ, იქნებ, მექაში წასული ჯევდეთ-ბეის შესახებ რამე იცისო.

სწორედ ამ დროს ჯევდეთ-ბეის მეუღლეს ნევრესტან ჰანიმს და მის თვრამეტი წლის ქალიშვილს გადასცეს ხასან-აღას გამოგზავნილი საჩუქრები — ალმასებით მოჭედილი ოქროს საათი და ბრილიანტით დამშვენებული პლატინის სამკერდე... საჩუქრებმა აღტაცებაში მოიყვანა ნევრესტან ჰანიმი და მშვენიერი ზულფიე.

იმ წუთშივე კაცი აფრინეს ხასან-აღასთან, გვეწვიეთო.

* * *

ხასან-აღამ იცოდა, ყავა ზულფიემ გააკეთა და ქებას მოუყვა:

— მთელი დუნია შემოვლილი მაქვს, მაგრამ ასეთი გემო თურქულ ყავას პირველად ჩავატანე.

ნევრესტან ჰანიმს ძლიერ ესიამოვნა შექება და კმაყოფილებით გადახედა ზულფიეს, რომელმაც ამ დროს ხილი შემოიტანა. ხასან-აღა კარგად ამჩნევდა, ნევრესტან ჰანიმი რომ მოუთმენლად ელოდა საუბარს ჯევდეთ-ბეის შესახებ, მაგრამ არ ჩქარობდა.

ნევრესტან ჰანიმი სრულებით არ ერიდებოდა ხასან-აღას, პირიქით, მუსლიმანი ქალისათვის აკრძალულ სითამამეს იჩენდა, კეკლუცობდა კიდეც. ჩადრს მხოლოდ ქალაქში გასვლისას იხურავდა, შინ კი უპირბადოდაც ხვდებოდა ჯევდეთ-ბეის არცთუ ისე მცირერიცხოვან სტუმრებს, რომლებიც უფრო მის სანახავად დადიოდნენ.

ნევრესტან ჰანიმი ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, მაგრამ ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა... თვალებში იმდენი ვნება და ცეცხლი ენთო, ხასან-აღამ ვეღარ გაუძლო და პირდაპირ დაიწყო:

— რაღა უნდა დაგიმალოთ... ცოდვაა, როცა ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ლამაზი, ასეთი თვალწარმტაცი ცოლ-შვილი უპატრონოდ რჩება, მაგრამ ღმერთმა არ გაგწირათ, ჯევდეთ-ბეიმ თქვენი თავი მე ჩამაბარა, მექას მეჩეთში ფიცი დამადებინა, რომ მისი დავალება პირნათლად შევასრულო. როგორც კი მოთავდა ხაჯობა, ჯევდეთ-ბეი...

— ჰო, რა დაემართა? — უცებ წამოიძახა ნევრესტან ჰანიმმა და ფერი ეცვალა

ზულფიე შველივით ყელმოღერილი, შიშით სავსე თვალებით შეჰყურებდა ხასან-აღას, რომელმაც არც აცხელა და არც აცია, უცებ თქვა სათქმელი:

— არაფას გორასთან, სულგანწმენდილი გარდაიცვალა.

ნევრესტან ჰანიმმა თავი ჩაქინდრა. ზულფიე ჯერ გაქვავებული იდგა, მერე საშინლად შეჰკივლა და დარბაზიდან გავარდა.

ხასან-აღამ ხელები მოხვია ნახევრად გულწასულ ნევრესტანს და თავისი ხელით დაალევინა წყალი...

ნევრესტან ჰანიმი თანდათან გონს მოვიდა, თვალები გაახილა და პირდაპირ სახეში შეხედა ხასან-აღას.

მამაკაცის მკერდზე მიყრდნობილი სისხლსასვე ქალი ციებიანივით აცახცახდა. ხასან-აღამაც დაკარგა წონასწორობა... ვნებააშლილი სხეულების სიახლოემ ორთავე გაახელა და სულ უფრო მაგრად ჩაეკვრნენ ერთმანეთს. ხასან-აღა ჩუქურთმით დაეწაფა ნევრესტან ჰანიმის ვნებიან ტუჩებს. ცოტა კიდევ და... მაგრამ ნევრესტან ჰანიმი გონს მოვიდა, ხელიდან გაუსხლტა და ისეთი თვალებით შეხედა ხასან-აღას, რომ იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა.

* * *

ხასან-აღამ შუაღამემდე ვერ დაიძინა. გული მოსდიოდა თავის თავზე — ვაითუ ჩემი უჭკუობით საქმეს ვავნე და მშრალზე დავრჩეო.

არც ნევრესტან ჰანიმს ეძინა, მან კარგად იცოდა, მეუღლის უთვალავი სიმდირე: ფული, ოქრო, ძვირფასი თვლები და ხვა განძი, სადღაც ინახებოდა და დაეჭვდა, ალბათ ჯევდეთ-

ბეიმ ხასან-აღას გაანდო თავისი სიმდიდრის ადგილსამყოფელიო... ისიც გაახსენდა, საუბრის დასაწყისში ხასან-აღამ რომ ვიღაც ბათუმელი ოსმან-აღა-სუნი-ოღლი ახსენა, ჯევდეთ-ბეის მთელი ქონების საბუთები, სხვადასხვა ვექსილები და მდიდარი განძი მას აბარია და ჩემი დახმარებით ამას ყველაფერს სულ მოკლე დროში ჩაიბარებთო. ადამიანი კეთილი სურვილებითა და დახმარების მიზნით მოვიდა მასთან და თვითონ კი... უდიერად მოეპყრო, მაგრამ, განა ხასან-აღა დამნაშავე არ იყო? დრო იხელთა და მწუხარებაში მყოფ ქალს ღმერთმა იცის რა მოუნდომა... თუმცა ამ საქმეში არც თვითონაა საკვლევით უცოდველი. პირველ წუთში ხომ მასაც უღალატა თავდაჭერილობამ? განა ნევრესტან ჰანიმი თვითონაც არ აღელდა? განა მის ძარღვებშიაც არ იფეთქა საამო ვნებამ, როცა ვაჟკაცის მკლავებში იყო მოქცეული? განა კოცნას კოცნითვე არ უპასუხა? არა, ნევრესტან ჰანიმი სწორად არ მოიქცა ხასან-აღას წინაშე. ძლიერ უხეშად მოეპყრო კეთილი სურვილით მოსულ ადამიანს, რომელიც ახლა ვინ იცის რას ფიქრობს მასზე. ასეთი შეურაცხყოფის შემდეგ, შეიძლება ხვალვე დაბრუნდეს თავის გურჯისტანში და ამით, ალბათ, ყველაფერი დამთავრდება.

ჰოი, ქალის მოკლე ჭკუავ. რა ადვილად შეცდები ხოლმე!

ასე ფიქრობდა ნევრესტან ჰანიმი, როცა დიდ დარბაზში თორმეტჯერ ჩამოკრა დროის ულმობელმა დამთვლელმა.

ნევრესტან ჰანიმი ისევ ფიქრებს მიეცა... ხასან-აღა ახლა მისთვის ყველაზე საჭირო ადამიანი გახდა. როგორი წარმოსადეგი ვაჟკაცია, როგორი თვალები ჰქონდა, როგორი ცეცხლოვანი ვნებით შემოხვია ხელები, როგორი გაშმაგებით კოცნიდა, როგორ აუჩუხჩუხა მიძინებული მხურვალე სისხლი...

ვნებააშლილი ნევრესტან ჰანიმი ხიდან ჩამოვარდნილი მწიფე ნაყოფივით გორავდა ლოგინში... საბანი გადაიხადა, ღრმად ამოისუნთქა.. მოეწონა საკუთარი სხეულის ნაკვთები.

წამოდგა, ჩაიცვა, აივანზე გავიდა, გრილ ნიავს მიუშვირა ნახევრად გაღეღილი სულისწამწყმედი მკერდი და პირისახე.

სახლში მკვდარი სიჩუმე სუფევდა. შინამოსამსახურეებს ეძინათ. ნამტირალევ ზულფიესაც ტკბილად ეძინა. ოდნავ მბჟუტავი სინათლე მხოლოდ მეეზოვეს თოფალ ხუსეინისას მოჩანდა. ნევრესტანმა ხუსეინი გარეთ გამოიხმო, რამდენიმე

ლირა მისცა და უბრძანა: ახლავე ეტლი დაიქირავე, სასტუმრო „სელიმიეში“ წადი, ხაჯადან დაბრუნებული ხასან-აღა იკითხე და გადაეცი, რომ ნევრესტან ჰანიმი სასწრაფოდ გიბარებს-თქო.

* * *

იმ ღამეს ხასან-აღასთან საუბარმა ნევრესტან ჰანიმი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ამ კაცის გარეშე მისი შემდგომი უზრუნველყოფილი და ბედნიერი ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა.

სამი საათი შესრულდა, მაგრამ არც ხასან-აღას და არც ნევრესტან ჰანიმს ძილი არ მიკარებიათ.

სავსე მთვარემ უკვე ზენიტს მიაღწია, ღია ფანჯრიდან ნათლად მოჩანდა ღამის მნათობის შუქით განათებული აია სოფიასა და სულეიმანიეს მეჩეთების ცამდე აწვდილი დიდი და პატარა მინარეთები. მათმა დანახვამ ხასან-აღას კვლავ გაახსენა ალაჰი და მისი წინასწარმეტყველი მუჰამედი, ყურანი და შარიათი, მექა და ქაბე, მაგრამ უცებ მისი ყურადღება ლამაზ ჩარჩოში ჩაწყობილმა მუგუზლებივით ანთებულმა ნევრესტან ჰანიმის სულში ჩამწვდომმა თვალებმა მიიპყრო და ძარღვებში ეშმაკები აუთამაშდნენ. ნევრესტან ჰანიმმა ხასან-აღას ლამაზსა და ვაჟკაცურ სახეზე დაუოკებელი ვნება და ჟინი ამოიკითხა. მის სხეულსაც ეშმაკები დაეპატრონენ. თავბრუ დაესხა და რომ არ წაქცეულიყო, საწოლი ოთახისაკენ გაიქცა.

წამი და ხასან-აღა იმავე საწოლ ოთახში აღმოჩნდა...

* * *

სასტუმრო დარბაზში საათმა თორმეტჯერ დარეკა.

ზულფიემ ამაოდ უცადა დედის გამოჩენას. ბოლოს შეწუხდა, ვაითუ რამე მოუვიდაო და კარებთან მივიდა. დაკაკუნება ვეღარ გაბედა. აივანზე გავიდა... ფანჯარაში ფარდებს შორის დარჩენილ ნაჭვრეტში შეიჭვრიტა. მზის სხივებს საოცრად მოეხატა ნევრესტან ჰანიმის მდიდრული საწოლი ოთახი, მაგრამ უფრო მეტი საოცრება ზულფიემ დედამისის ფართო საწოლზე დაინახა... ნევრესტან ჰანიმის გვერდით ხასან-აღა იწვა.

ორთავეს ტკიბლად ეძინა.

ხასან-აღას მარცხენა ხელი ნევრესტან ჰანიმის გაღეღილ-მკერდზე დაედო, მარჯვენაზე კი ნევრესტან ჰანიმის ლამაზი თავი ედო, რომლის თმები შავი ზღვის ტალღებივით მიმობნეულიყო თეთრად მოქათქათე ბალიშზე.

ზულფიეს ცივმა ოფლმა დაასხა. ჯერ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა მაგრამ, როცა დარწმუნდა დანახული ცხადი იყო და არა სიზმარი, ფანჯარას გველნაკბენივით მოშორდა, სასტუმრო დარბაზში ტახტზე დაემხო და ტირილი მორთო... ღვართქაფად წამოსულმა ცრემლებმა ოდნავადაც ვერ დაუოკა აშლილი ნერვები, აფთარივით წამოხტა და გარეთ გავარდა...

უცებ საშინელი კივილი და ნაუცბათევად დამუხრუჭებული ავტომანქანის ხმაური მოისმა. წუთში ქვაფენილზე გაშხლართულ ზულფიესა და იქვე გაქვავებულ ავტომანქანის ირგვლივ კარგა მოზრდილი ბრბო გაჩნდა. მანქანიდან ჯერ გაფითრებული მძღოლი გადმოვიდა, შემდეგ კი ვიღაც დიდი სამხედრო პირი, რომლის დანახვისთანავე ბრბომ ერთხმად წამოიძახა:

— ოსმან-ფაშა!..

* * *

თურქეთის სამხედრო მინისტრის ენვერ-ფაშას უახლოესი ნათესავი ოსმან-ფაშა ძლიერ შეაშფოთა ამ უსიამოვნო შემთხვევამ. მალე შეშფოთება აღტაცებამ შეცვალა. ზულფიემ, რომელიც ავტომანქანაში ფაშის ხელებზე ესვენა, თვალები გაახილა და იქიდან ორმა მზემ გამოანათა... გამოანათა და ოსმან-ფაშას თვალები მოსჭრა. ზულფიეს თვალ-წამწაოთა და სახის სილამაზემ ყოვლად ძლიერი ფაშის ლომის გული გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით აუფართხალა.

— ხომ არაფერი გტკივათ? — ჩურჩულით, თითქმის ალერსით შეეკითხა ოსმან-ფაშა.

— არა! — ღონემიხდილი ხმით უპასუხა ზულფიემ და ისევ მიხუჭა თვალები.

ოსმან-ფაშას ეზოს ჭიშკარი გაიღო და მანქანა ეზოში შევიდა.

მძღოლის დახმარებით ოსმან-ფაშამ ზულფიე ფრთხილად

გადმოსვა მანქანიდან და გონმოსული, მაგრამ ღონემიხდილი ქალიშვილი სახლში შეიყვანეს.

ოსმან-ფაშამ ექიმს გამოუძახა. ექიმმა დაამშვიდა შეშფოთებული ოსმან-ფაშა და დედამისი ადვიე ჰანიმი, რომელიც მას შემდეგ, რაც ოსმან-ფაშას მესამე ცოლი გარდაეცვალა, საყვარელი ძმისშვილის ოჯახს ემსახურებოდა.

* * *

ადვიე ჰანიმმა მოუხშირა ნევრესტან ჰანიმთან სტუმრობას, მათი ხშირი შეხვედრები ოსმან-ფაშას გაბედნიერებით დაგვირგვინდა — მშვენიერი ზულფიე ფაშა-ჰანიმი გახდა.

ხასან-აღა, რომელიც უკვე ნევრესტან ჰანიმის მეუღლის უფლებებში დამკვიდრდა, სიხარულით ცას წვდებოდა — ხუმრობა ხომ არ იყო, ყოვლადძლიერი ოსმან-ფაშის დამოყვრება.

სულ მოკლე ხანში ხასან-აღა მთელ ანატოლიაში და რუმელიაში ცნობილი გახდა, როგორც ბიუქ-ხასან-აღა და კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი პიროვნება.

ისმაილ ბეი

ვინ არ იცნობდა სტამბოლში ისმაილ ბეის!

პერაზე სამი დიდი სახლი, გალათაში სასტუმრო და ოქროს რქაზე რესტორანი „ენი დუნია“ — ისმაილ ბეის საკუთრება გახლდათ.

აღმოსავლეთ ანატოლიაში ცხვრის ფარა, ესკიშეხირში ტყავისა და იზმირში ლეღვის ჩირის ქარხნები, — განუწყვეტლივ მიერეკებოდნენ ოქროს ლირებს ბეის უძირო ჯიბეებისაკენ.

მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ბებეკასა და თერაბიაში ისმაილ ბეის ორი დიდი ვილა ყველას ხიბლავდა სიმდიდრითა და ლამაზი ბაღებით.

ამასთან ერთად ისმაილ ბეი განთქმული იყო, როგორც გულკეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი და ამ სახელის მოხვეჭისათვის თვითონაც ცოტას როდი ცდილობდა.

ვინ მოსთვლის რამდენი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებია ისმაილ ბეის: „ცხოველთა დაცვის კომიტეტს“ ხუთი ათასი ლირა შესწირა, უპატრონო „მოხუცთა სახლს“ სამი ათასი ლირა; თერაბიაში კი ძაღლების საერთო საცხოვრებელი შოაწყო, სადაც მისი კაცები უპატრონო ძაღლებს უყრიდნენ თავს და მის ხარჯზე უვლიდნენ „ადამიანის ერთგულ მეგობრებს“, განსაკუთრებით უყვარდა თავისი იშვიათი ყვავილთა ბაღი „გუმაგუჩალიბელი“, რომლის საამო სურნელით ბევრჯერ დამტკბარა, მაგრამ ყვავილი ერთხელაც არ მოუწყვეტია.

* * *

ივნისის მიწურულს ისმაილ ბეი ესკიშეხირს ეწვია. ტყავის ქარხანა მოინახულა.

მოულოდნელად გაჩნდა ქარხანაში და ყველაფერი რიგზე დახვდა.

ნასიამოვნებმა შეაქო ქარხნის დირექტორი ორხან ქილიმჯი, რომელიც ერთხანს დაიბნა კიდეც ესკიშეხირში ისმაილ ბეის მოულოდნელი ჩამოსვლის გამო.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ ორხან ქილიმჯიმ ისმაილ ბეი სადილად სახლში მიიპატიჟა.

* * *

ეზოდან ცხვრის ბღავილი მოისმა.

ისმაილ ბეი მაშინვე აივანზე გამოჩნდა და ეზოში შემზარავი სურათი დაინახა... ორხან ქილიმჯის მზარეულს თოვლივით თეთრი ცხვარი წაეცია და ის იყო მისთვის ყელი უნდა გამოეღადრა, რომ ამ დროს ისმაილ ბეის სიტყვები მოესმა:

— არ გაბედო! ხელი გაუშვი! რას ერჩი საბრალო ცხოველს?

ისმაილ ბეიმ სწრაფად ჩამოირბინა კიბეზე და ქილიმჯის მზარეულს დაადგა თავს... მაგრამ უკვე გვიანღა იყო... ყელგამოღადრული ცხვარი სისხლისაგან იცლებოდა და მისი თეთრი ბეწვი გულმკერდზე წითლად შეღებილიყო, მწვანე ბალახში გაგორებული წითელლაქებიანი ცხვრის თავი პირაღმა ეგდო და ღიად დარჩენილი თვალები, დაკლული ცხვრის თვალები გულისგამგმირავად მიშტერებოდა ისმაილ ბეის. მან იმ თვალებიდან წყევლა და საყვედური ამოიკითხა: „რას მერჩოდი, ადამიანო, სხვა ვერაფერი ნახე, რომ შენი სტომაქის ამოსავსებად ჩემი სიცოცხლე ვერ შეგეწირა?“

ისმაილ ბეი მხოლოდ მაშინ გამოერკვა ფიქრებიდან, როცა თვითონ ორხან ქილიმჯიმ წაავლო მკლავში ხელი და სახლისაკენ წამოიყვანა... ისმაილ ბეიმ უმადობა მოიმიზეზა და მოწოლილი სევდის გასაქარვებლად ქალაქგარეთ გასეირნება მოისურვა.

ხუთი წუთის შემდეგ ორხან ქილიმჯის მანქანა ქალაქგარეთ მიაქროლებდა ისმაილ ბეის.

ორხან ქილიმჯი კი, სტუმრის უარით დიდად ნაწყენი, აივანზე გაშლილ სუფრას მარტო მიუჯდა, ყავას შეექცა და დროგამოშვებით ნარგილეს ქაჩავდა.

ორხანი დიდად შეაწუხა მის ეზოში მომხდარმა არასასიამოვნო შემთხვევამ... ისმაილ ბეის სახე ედგა თვალწინ და ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რატომ მაინცდამაინც მის სახლში დადგა ცუდ ხასიათზე მისი მფარველი და ყოვლისშემძლე პატრონი.

ამ ფიქრებში იყო, როცა მზარეული წამოადგა თავს.

— ორხან ეფენდი, რა ვუყოთ დაკლულ ცხვარს? — იკითხა მზარეულმა.

— აღარ არის საჭირო, ახლავე რესტორან „ისტამბულში" წაიღე და შერიფ აღას მიჰყიდე.

— სწორია, ორხან ეფენდი, ჩემი აზრით, ისმაილ ბეი ცხვრის ხორცს არ ჭამს... იგი ხომ გულკეთილი კაცია... როცა დაკლული ცხვარი დაინახა, ისმაილ ბეის თვალებში ცრემლი შევნიშნე.

„ისმაილ ბეის თვალებში ცრემლი" — ყრუდ გაიმეორა ორხან ქილიმჯიმ მზარეულის ნათქვამი და თვალწინ დაუდგა ისმაილ ბეის კუთვნილი დიარბეჭირის სასაკლაო. სადაც ყოველდღე აღმოსავლეთ ანატოლიიდან მირეკილი ასობით პირუტყვი იკვლებოდა და საიდანაც განუწყვეტლივ მოდიოდა საქონლის ტყავი ესკიშეხერის ქარხანაში გადასამუშავებლად.

ორხან ქილიმჯიმ მაგრად მოქაჩა ნარგილე და ეზოში გადაიხედა. მზარეული დაინახა, მას მხრებზე მოეგდო დაკლული ცხვარი და რესტორან „ისტამბულში" მიჰქონდა.

* * *

ერთი საათის შემდეგ, როცა ქალაქგარეთ გასეირნებით გული იჯერა, ისმაილ ბეი ისევ ქალაქში დაბრუნდა, სასტუმროსთან გადმოვიდა მანქანიდან და მადაზე მოსულმა ტელეფონის უურმილს წაავლო ხელი.

რამდენიმე წუთში ესკიშეხირში მცხოვრებ ყველა მეგობარს გამოელაპარაკა და ყველანი რესტორან „ისტამბულში" მიიწვია ვახშამზე.

ასამდე ესკიშეხირელმა მეგობარმა მოიყარა თავი ისმაილ ბეის მიერ გამართულ ვახშამზე. ორხან ქილიმჯიც აქ იყო.

ესპანური ღვინო, ფრანგული კონიაკი და შამპანური ერთმანეთს ეჯიბრებოდა.

ჯერ კონიაკი შეისვა, მერე ღვინოს მიადგნენ და ამ დროს ესკიშეხირის მინარეთიდან მუეძინის გაბმული ზმუილი მოისმა.

ისმაილ ბეი და მისი კამპანია ნოხებით მოვებულ დარბაზში გავიდნენ და ნამაზს შეუდგნენ.

ლოცვა მოათავეს და ისევ სუფრას მიუსხდნენ, ისმაილ ბეიმ ისლამისა და შარიათის მიერ მუსლიმანებისათვის აკრძალული ღვინით სავსე ჭიქა აიღო და ისლამისა და შარიათის სადღეგრძელო შესვა.

შემდეგ საუბარი გააბეს იმის შესახებ, რომ „ამ ბოლო დროს ბევრმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ალაჰი და სარწმუნოება თანდათან დაივიწყეს და ნამდვილ გიაურებს დაემსგავსნენ. ამიტომაც არის, ასე რომ გავრცელდა ხალხში ყოველგვარი სისასტიკე და დაუნდობლობა“, — დაასკვნეს მათ.

— დღეს საშინლად აღმაშფოთა შემზარავმა სურათმა, — დაიწყო ისმაილ ბეიმ, — წარმოიდგინეთ საბრალო პირუტყვი, თეთრი, თოვლივით თეთრი ცხვარი, რომლის დანახვისას ადამიანს გულში ალაჰის გაჩენილი ყველა სულდგმულისადმი სიყვარული და პატივისცემა უნდა აღეძრას... და აი, ხედავთ, რომ პირიქით ხდება...

უცოდველ პირუტყვს შენს თვალწინ, შენივე მსგავსი ადამიანი, სულ რამდენიმე ყურუშის გასამრჯელოსათვის დანით ისე სჭრის კისერს, რომ სახეზე სიბრალულის ერთი კუნთიც არ უთამაშებს და ამ დროს იმ უსულგულო კაცთან შენც ალაჰის მიერ გაჩენილ ადამიანს გეძახიან... რა დიდი შეცდომაა.

უფრო მეტიც — საშინელებაა!..

მაგრამ ამ ქვეყნად, საბედნიეროდ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სინდისი, ადამიანობა და გულკეთილობა კიდევ საკმაოდ გააჩნიათ.

მოდით, ეს ადამიანები ვადღეგრძელოთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

— ეს სადღეგრძელო თქვენ გეკუთვნით, ისმაილ ბეი!

ყველამ ერთად წამოიძახა და ყველამ ერთად შესვა ისმაილ ბეის სადღეგრძელო.

ამ დროს სუფრაზე ცხელ-ცხელი ყარსული მწვადები მოიტანეს. ისმაილ ბეიმ სამადლობელი დალია და ყარსულ

მწვადს შეუტია... ჯერ დუმის ქონით გაჟღენთილი შემწვარი ბადრიჯანი მიირთვა, მერე ხორცსაც სწვდა და მადიანად შეექცა. მწვადი ყველას მოეწონა და ყველა ერთსულოვნად შეთანხმდა: არსად არ აკეთებენ ისეთ გემრიელ ყარსულ მწვადებს, როგორც ესკიშეხერში და ისიც მხოლოდ რესტორან „ისტანბულში“.

ამ სიტყვების გაგონებაზე რესტორანის პატრონი შერიფაღა ფრიად ნასიამოვნები დარჩა და კმაყოფილებით გადახედა ორხან ქილიმჯის, რომლის გამოგზავნილმა ცხვარმა დროზე უშველა, თორემ მოულოდნელი სტუმრებისათვის (ისიც ასეთი პატივსაცემი სტუმრისათვის), სამზარეულოში დარჩენილი ხორცი არ ეყოფოდა.

სწორედ ამ დროს ორხან ქილიმჯის მზარეული თავის სახლში სუფრასთან იჯდა და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ცხვრის შემწვარ თავს შეექცეოდა.

ევა ნიველინგერი

პიონერთა პარკში ხმა გავარდა, უცხოელი სტუმრები მოდიანო.

გერმანელი ტურისტები ესტუმრნენ ნორჩებს.

ღირსეულადაც დახვდნენ.

საზაფხულო თეატრში კონცერტიც გაიმართა.

სტუმრებისათვის არაფერი დაიშურეს მასპინძლებმა... მისალმებები. ცეკვები, სიმღერები ერთმანეთს ცვლიდნენ... ყველას ერთად კი აღტაცებაში მოჰყავდა საპატიო სტუმრები.

* * *

ევა ნიველინგერი...

სულ ერთი თვის წინ იზეიმა მან დაბადების სამოცი წლისთავი.

ჭაღარა თმა, ცისფერი თვალები, ოდნავ დანაოჭებული შუბლი და სავსე ტანის ჯიშიანი აღნაგობა თავისთავად ამბობდნენ: დარბაისელი ქალია ევა ნიველინგერი.

ვინც კი იცნობდა, ყველა პატივს სცემდა, ვინც არ იცნობდა, — ერთი შეხედვისთანავე ინადირებდა მათ გულს და ევა ნიველინგერი თვითონაც კმაყოფილი იყო, რომ ასეთი კარგი იყო.

* * *

გერმანელი ტურისტები აღტაცებული იყვნენ ქართველი პიონერების ცეკვებითა და სიმღერებით.

მიუხედავად ამისა, ევა ნიველინგერის სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა.

იგი რუხი ქვისაგან გამოთლილ ქანდაკებასავით იჯდა სკამზე. გაყინული თვალებით უცქეროდა მის ირგვლივ ყველაფერს.

როდესაც დარბაზში მოწონების ტაშმა იგრიალა, ევა ნიველინგერს არც მაშინ შეუცვლია სახის გაქვავებული იერი... თვალხილული ბრმა, ყრუ და მუნჯი იყო სცენაზე მომხდარი ამბებისადმი... ყველას ეგონა... ევა ნიველინგერის გულში კი...

* * *

კონცერტის დამთავრების შემდეგ პიონერები ჟივილ-ხივილით მიიჭრნენ სტუმრებთან და თაიგულები მიართვეს.

სტუმრებსა და მასპინძლებს შორის ისეთი გულთბილი დამოკიდებულება დამყარდა და ქართველი პიონერების გულწრფელმა შეხვედრამ ისე იმოქმედა გერმანელ სტუმრებზე, რომ მოზღვავებულმა გრძნობამ ბევრ მათგანს თვალებზე ცრემლი აუციმციმა.

თორმეტ-ცამეტი წლის ქართველმა გოგონამ სიყვარულით მიირბინა ევა ნიველინგერთან და ყვავილები გაუწოდა, მერე თავისი პიონერული ყელსახვევი შემოახვია ყელზე და თაფლისფერი ლამაზი თვალებით გაუღიმა.

ხანდაზმული გერმანელი ქალი ისევ ქანდაკებასავით იჯდა ადგილზე და კვლავ ყინულივით ცივი გამოხედვა ჰქონდა. მან მხოლოდ გოგონას სახელი იკითხა,

— ეთერი! — მიიღო პასუხად და ევა ნიველინგერი გაკვირვებული, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდაო. თვალებში მიაცქერდა ქართველ გოგონას, შემდეგ დანარჩენ პიონერებს გადახედა და ყველა მათგანის თვალებში მხოლოდ წრფელი გრძნობა ამოიკითხა.

„ნუთუ, ნუთუ, ყველაფერი ეს სინამდვილეა, ნუთუ ყველაფერი ეს ცხადია, სიმართლეა!“ — ბუტბუტებდა თავისთვის გაკვირვებული ევა ნიველინგერი.

* * *

ცალფეხა მამაკაცი შორიდან უთვალთვალებდა ეთერსა და გერმანელ ქალს. მერე ახლოს მივიდა მათთან, სტუმარს ბოდიში მოუხადა და ეთერს მიმართა:

— იქნებ არ სიამოვნებს შენი კეთილი მოპყრობა, დაემშვიდობე და წამოდი.

ევა ნიველინგერი განზრახვას მიუხვდა, ეთერს ხელი მაგრად ჩაავლო და იკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— ჩემი ბიძაა, ინჟინერი... მე დედასთან ერთად მის ოჯახში ვცხოვრობ, — გერმანულად უპასუხა ეთერმა, მისი ლამაზი თვალებიდან გაზაფხული ულიმოდა ევა ნიველინგერის თვალებში ჩამდგარ შემოდგომას.

— კი, მაგრამ მამა? — გაკვირვებით შეეკითხა ნიველინგერი.

— მამა სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა, ბიძაჩემი გადარჩა, მაგრამ მარცხენა ფეხი...

— ვიცი, ვხედავ... ალბათ, ძალიან გძულს გერმანელები!

— გერმანელები რა შუაშია, მე მხოლოდ ფაშისტები მძულს.

— სად ისწავლე გერმანული?

— სკოლაში.

— სკოლაში?

— სახლში კი ბიძაჩემი მასწავლის.

— ბიძაშენი?!

— დიახ.

ნიველინგერი უცებ დადუმდა, თავში ათასმა აზრმა გაურბინა, თვალებში მწუხარება დაუგუბდა, ყელში ბოღმა მოაწვა... გიორგის გადახედა, თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა, მერე პირდაპირ სახეში შეხედა და მის მოღიმარ თვალებს შეეფეთა.

მშვიდობაძეს ძლიერ სიამოვნებდა ძმისშვილისა და ნიველინგერის გულითადი ბაასი.

ეთერი თითქმის თავისუფლად საუბრობდა გერმანელ ქალთან, რომელსაც ნათლად ეტყობოდა, გაკვირვებული იყო.

ნიველინგერმა ვეღარ გაუძლო გიორგის მოღიმარ თვალებს და მის თვალებშიც ალერსიანმა ღიმილმა დაისადგურა...

მათ შორის ურთიერთპატივისცემის რაღაც უხილავი ძაფი გაიბა და გიორგი ახლა უკვე თამამად და თავაზიანად მივიდა მასთან.

იმდენი გულწრფელობა, იმდენი სითბო იგრძნო ამ კაცში, რომ ნერვებმა ვეღარ გაუძლეს ქალს და გაბზარული ხმით დაიწყო:

— და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ხალხმა ისეთი დი-

დი უბედურება მიაყენა თქვენს ქვეყანას, მაინც არ გძულვართ?

გიორგიმ გადაჭრილ ფეხს დახედა და ისევ თავაზიანად მიმართა ნიველინგერს:

— ხალხი რა შუაშია...

ქალი არ გამომშვიდობებია არც მას, არც ეთერს, არც სხვებს, ისე გაშორდა იქაურობას და უხმოდ გაემართა პარკის გასასვლელისაკენ...

* * *

სასტუმროს ადმინისტრაცია შეაშფოთა ევა ნიველინგერის მოულოდნელმა ავადმყოფობამ.

ნიველინგერი პირაღმა იწვა თავის საწოლზე და ვინც კი შედიოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაგებად, ყველას დამნაშავის თვალებით უყურებდა, სირცხვილისაგან ლოყები უწითლდებოდა და ცრემლმორეული თვალები აღარ იცოდა საით მიეპყრო.

ექიმებს არ ღებულობდა... მე თვითონ ვიცი ჩემი ავად გახდომის მიზეზი, ექიმი არ მჭირდებაო.

ევა ნიველინგერს მხოლოდ ნაშუალამევს ჩაეძინა. ძილში ოდნავ დაუწყნარდა აშლილი ნერვები.

როდესაც დილის მზემ მის ფანჯარაში შეანათა, ნიველინგერს გამოეღვიძა და მთელს სხეულში ისეთი საამო მოთენთილობა იგრძნო, რომ ლოგინიდან დიდხანს არ ამდგარა. თვალები ჭერს მიაპყრო და ისევ ფიქრებს მიეცა.

ალბათ, დიდხანს იქნებოდა ასეთ მდგომარეობაში, თანამემამულე მეგობრებს, რომ არ მიეკითხათ.

მათთან ერთად ისაუზმა.

ქალაქში რომ გავიდა, თვალს აღარ არიდებდა მოქალაქეებს... მათ თვალებში მისდამი მოკრძალებულ პატივიცემას კითხულობდა და სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა.

ეთერის მიერ ნაჩუქარი პიონერული წითელი ყელსახვევი ხელში სათუთად ეჭირა, სასტუმროს წინ, პარკის გასწვრივ ჩამწკრივებულ მწვანე მაგნოლიებზე გაფურჩქნილი თეთრი ყვავილები თეთრ მტრედებად ეჩვენებოდა და ყველას სიყვარულით უღიმოდა.

ალსტერის სანაპიროზე

ჰამბურგმა უკვე გამოიღვიძა... შემოდგომის დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა, მაგრამ ზეცა მაინც ტყვიისფერი იყო.

ყველა უბნის ძარღვებში სისხლი ამოძრავდა და მძლავრად აძგერდა დიდი ქალაქის მაჯისცემა.

განსაკუთრებული სიწყნარე მხოლოდ ალსტერის ტბის ირგვლივ, ადამოს არისტოკრატიულ უბანში სუფევდა. აქ, ლამაზ ბაღში ჩადგმული პატარა, ორსართულიანი სახლის მთავარ მობინადრეს ჯერ კიდევ ეძინა. ამერიკელი საოკუპაციო ჯარების პოლკოვნიკი ჯეიმს მერეი საერთოდ გვიან დგებოდა.

პოლკოვნიკს ძლიერ უყვარდა დროსტარება, რომელიც შუაღამემდე გრძელდებოდა. გარდა ამისა იგი, ცოტა დროს როდი უთმობდა მჩქეფარე კომერციულ საქმიანობას. პოლკოვნიკი ჯეიმს მერეი უფრო მეტად ბიზნესმენი იყო, ვიდრე სამხედრო პირი. შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უფროს ოფიცერს უხვად გადაესროლა ანკესები დასავლეთ გერმანიის ამღვრეულ წყალში და ოქროს თევზებიც არცთუ იშვიათად ეგებოდნენ მათ.

ჯეიმს მერეის მდივანმა ედვინ დოუსონმა იმ დილით შეძენილი იშვიათი ნივთები თავისი შეფის კაბინეტში შეალაგა, გამოსაჩენ ადგილზე დააწყო, შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა და ფრთხილად გადაფურცლა სპილოს ძვლის პატარა დაფაზე დაკრული მაგიდის კალენდარი, რომელიც იუწყებოდა, რომ 1949 წლის პირველი ოქტომბერი გათენებულიყო. ედვინ დოუსონის აზრით, ეს დღე ძალიან სარფიანი გათენდა. ამ დილით ჯეიმს მერეის არსად არ ეჩქარებოდა, ჯერ კიდევ ადრე იყო. სულ ათიოდე წუთის წინ დაამთავრა საუზმე და ახლა, სავარ-

ძელში ჩაფლული, ჩიბუხს ეწეოდა, ხელში მდიდრულად მოხატული ფაიფურის სურა ეჭირა, იმით ერთობოდა და მდივანს უსმენდა.

ედვინ დოუსონი კი საქმიანად მოახსენებდა თავის შეფს:

— ეს ფაიფურის იშვიათი სურა პროფესორ გერჰარდ შტაუბეს ცოლმა მოიტანა, თვითონ პროფესორს იგი 1920 წელს ორას დოლარად უყიდია ჰანოვერის პაზარზე. რაღაც ემიგრანტისაგან. ამ ემიგრანტს კი ეს სურა თავის დროზე ხარბინში შეუძენია გაკოტრებული ჩინელი მანდარინისაგან და მასში სამასი ოქრო მანეთი მიეცია.

— რას მოითხოვს საფასურს? — იკითხა მერეიმ.

— ბევრს არაფერს, — ბეკონს, შაქარს, კარაქს და შედეგებულ რძეს, — კარგად გაზეპირებული ლექსივით ჩააბულბულა ედვინ დოუსონმა, — თვითონ პროფესორი ძალზე ავად არის და მეუღლე გამოუგზავნია.

— მიეცით! — მოკლედ მოუჭრა მერეიმ და ახლა იშვიათი ოსტატობით შესრულებულ ტილოს მიაპყრო თვალი.

— ეს მშვენიერი ტილო, — კვლავ გააბა დოუსონმა, — ცნობილი ამერიკელი მხატვარ-პეიზაჟისტის ჯორჯ ინესის ნახატია. იგი 1890 წელს ჩიკაგოში თვითონ ჯორჯ ინესისაგან შეუძენია გერმანიის კონსულს იოჰანეს ფონ მიუკეს. შემდეგ ამ სურათს ბევრი უმოგზაურია ამერიკასა და ევროპაში. ბოლოს კი იგი მედიცინის დოქტორის ჰელმიუტ ობერჰოფის საკუთრება გამხდარა. ამჟამად ძლიერ მოხუცი დოქტორი ობერჰოფი გაჭირვებულ მდგომარეობაშია და თანახმაა ეს დიდებული სურათი პროდუქტებზე გაცვალოს. მისტერ მერეი, ეს სურათი შეერთებულ შტატებში შეგიძლიათ გაყიდოთ სულ ცოტა — ათი ათას დოლარად.

— ჩინებულია, მიეცით! — ბეჭედდარტყმული საბუთიანით მიუგდო სიტყვა მერეიმ თავის მდივანს და ისე მაგრად მოქაჩა ჩიბუხი, რომ ბოლმა თითქმის დაუფარა სახე დოუსონს, რომელიც ახლა თავისი შეფის კმაყოფილებით ნასიამოვნები იმ დილის საქმიანობის შეჯამებას შეუდგა.

— ამგვარად, დღეს ვიყიდეთ ხუთი ნოხი, სამი სურა, ორი სურათი, ერთიც ლალითა და ზურმუხტით შემკული, ბრილიან-

ტით დამშვენებული სამაჯური, ტევტონთა ორდენის ალმასებით მოჭედილი ძველებური დაშნა ზედ ამოკვეთილი ოქროს ღერბით, სპილოს ძვლის ორი სასიგარე, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის ერთ-ერთი ვარიანტის ორიგინალი, შილერის მარმარილოს ქანდაკება და ერთი ოქროს მონოგრამებიანი, ოდესღაც პრინც ვიურტემბერგელის ნახმარი, ორლულიანი სანადირო თოფი.

სახეზე კმაყოფილების იერმა გადაურბინა ჯეიმს მერეის. იგი სავარძლიდან ზანტად წამოდგა, მაგიდასთან მივიდა და საფერფლეზე ჩამქრალ ჩიბუხს დაუწყო წმენდა. შემდეგ მდივნისაკენ არც კი მიუხედავს, ისე დაიწყო განკარგულების მიცემა, ედვინ დიუსონი გულმოდგინედ იწერდა მერეის სიტყვებს.

— ხვალისათვის საწყობიდან გამოიტანეთ კარაქი, შედედებული რძე, კვერცხის ფხვნილი, შაქარი, — სიგარეტები კი. რაც შეიძლება ბლომად.

მერეიმ ვისკი დაისხა, სასმისი ძირამდე გამოცალა და გაიფიქრა: „გერმანელებს შიათ, მე კი, რაც შეიძლება, მეტი ძვირფასეულობა უნდა შევიძინო, სანამ ისინი გაძღომას მოასწრებდნენ“.

— გოიბერგერთან თუ იყავი?

— ამ დილით! — უპასუხა დიუსონმა.

— რაო?

— უარზეა. იგი ვერც შიმშილმა მოტეხა და ვერც ჩვენმა შეთავაზებულმა სურსათმა მოალბო, ფულის შესახებ მოსმენაც არ სურს.

მერე თავისი მდივნისაკენ ზანტად შემოტრიალდა და იღრიალა:

— გერმანიიდან ისე არ წავალ, ვიდრე მისი შემოქმედების იმ გვირგვინს ხელში არ ჩავიგდებ.

— ოო, სერ, იგი მას ოცი წლის განმავლობაში ხატავდა, მეოცე საუკუნის ფერწერის შეუდარებელი ქმნილებაა გოიბერგერის „ახალი ნემეზიდა!“.

მერეიმ კვლავ დაისხა ვისკი, კვლავ ბოლომდე გადაჰკრა და დიუსონს ისე უპასუხა, თითქოს უკვე გადაწყვეტილი ყოფილიყო ეს საკითხი: — გოიბერგერის „ახალი ნემეზიდა“ ჩემი იქნება!

— „ახალი ნემეზიდა“ თქვენი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გოიბერგერს ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენებთ, რომ ვაიძულებთ მის გაყიდვას, — მორიდებით, მაგრამ ძაინც დარიგების კილოთი უპასუხა დოუსონმა.

— სავსებით სწორია. მე მას ალსტერის ტბის ხედის დახატვა შევუკვეთე. თანახმად პირობისა, დღეს უნდა ჩამაბაროს, მზად აქვს თუ არა?

— უკვე დაამთავრა და ამაღამ მოიტანს.

ჯეიმს მერეი ჩაფიქრდა, თითქოს რაღაც გეგმას აწყობსო, შემდეგ დოუსონს მიუბრუნდა და თითქმის ინტიმური ტონით მიმართა:

— ვახშამი მოამზადეთ ათი კაცისათვის. სტუმრები მეყოლება, მათ შორის ხელოვნებათმცოდნეებიც იქნებიან ჩემს მიერ შეძენილი სურათების შესაფასებლად. ჰო, გოიბერგერიც მოიწვიეთ მეუღლესთან ერთად.

— გთხოვთ მაპატიოთ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მე ეულწრფელად მომწონს თქვენი გემოვნება... ფრაუ ერნა, ქალი კი არა, საუნჯეა!

— საღამოს ცხრა საათისათვის ყველაფერი მზად იყოს, თავისუფალი ხართ.

ედვინ დოუსონმა შეფს თავი ღრმად დაუკრა და თითქმის მხედრულად შემოტრიალდა კაბინეტიდან გასვლისას.

ჯეიმს მერეი ფანჯარასთან მივიდა, ბაღს გაღახედა, მებაღე საუზმეს შეექცეოდა.

ყუთზე ჩამომჯდარი მებაღის მუხლებზე გაშლილ სუფრას მარტოოდენ ხუთიოდე მოხარშული კარტოფილი „ამშვენებდა“.

ჯეიმს მერეიმ ჩიბუხი გააბოლა. ოდესღაც ბოელ ჰამბურგში განთქმული მებაღის. ამჟამად მისი მსახურის სუფრას დააცქერდა და ღრმად ჩაფიქრდა. ის ფიქრები სიტყვებად რომ ჩამოესხათ, ასე ითქმებოდა: „ნეტავი კიდევ კარგა ხანს დავრჩებოდეთ აქ“.

უკუღმართი

ალიოსმანის ვაჟს ასლანი ერქვა. მაგრამ მეტ-ახელად უკუ-ღმართს ეძახდნენ.

პატარაობიდანვე თვითნება და უკუღმართი იყო ასლანი.

ერთხელ ალიოსმანს სტუმარი ეწვია. მამამ შვილი დაასა-ქმა და უთხრა: — წადი, შვილო, და ქათამი დაკალი, შენებუ-რად არ ქნა და მამალს არ გამოჭრა კისერი.

ასლანმა მამალი დაკლა.

* * *

ალიოსმანმა ასლანი მჭედელთან გაგზავნა.

— წადი, შვილო, მჭედელთან და უთხარი ცხენს წინა ფე-ხები დაუჭედოს.

ასლანმა ცხენი მიიყვანა მჭედელთან და მოახსენა:

— მამამ შემოგითვალა, ჩემს ცხენს უკანა ფეხები დაუჭე-დეო.

მჭედელს გაუკვირდა, მაგრამ რა ექნა... დააძრო ნალები და უფრო ახლები გაუკეთა.

როცა ასლანმა ცხენი სახლში მიიყვანა, ალიოსმანი გაცე-ცხლდა, მიირბინა მჭედელთან და გალანძღა:

— დაბრმავდი, თუ რა დაგემართა?!

— მე რა შუაში ვარ... შენმა შვილმა თვითონ ბრძანა: უკა-ნა ფეხები დაუჭედეო.

* * *

ალიოსმანს ეზოში თივის ვეებერთელა ზვინი ედგა. თივა მუდამ გაზაფხულამდე ყოფნიდა და თავს ბედნიერად გრძნობ-და. ერთხელ ალიოსმანმა ასლანს დაუძახა და უთხრა: — არ გესმის, საქონელი როგორ ბღავის ბოსელში? წადი და თივა დაუყარე, მაგრამ თუთუხი გამოიღე პირიდან, თორემ, შენი ამბავი რომ ვიცი, მაგ ანთებულ თუთუნს ზვინზე დააგდებ.

მალე საქონელი აღარ ბღაოდა, მაგრამ ალიოსმანმა

ცეცხლს მოკრა თვალი. ეზოში გამოვარდა. ზვინი უზარმაზარ-კოცონად ქცეულიყო.

* * *

ზამთარი ახლოვდებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ გაზაფხულამდე სოფელი ქალაქს მოწყვეტილი იქნებოდა.

ჰოდა, იმ შემოდგომის მიწურულს ალიოსმანი სოფლის განაპირა მაღლობზე ასულიყო და გზას გასცქეროდა, გზაზე ურემი გამოჩნდა, მარილიანი ტომრებით დატვირთული. ურემს ასლანი მოუძღოდა.

ურემს მდინარე უნდა გადმოელახა. ასლანი ურმის კოფოზე შეხტა და ხარები მდინარეში ჩარეკა. როცა ურემმა შუა მდინარეს მიაღწია, მარჯვნივ გადაიხარა, ისე გადაიხარა, რომ კიდევ ცოტა და გადაბრუნდებოდა.

ალიოსმანი წამოხტა და ის იყო უნდა დაეძახა, ურემი მარცხნივ გადახარეო, რომ ვაახსენდა შვილის უკულმართი ხასიათი და დაუძახა;

— ასლან, ურემი მარჯვნივ გადახარე, თორემ გადაბრუნდება.

ალიოსმანმა იფიქრა, როგორც ყოველთვის, ასლანი პირიქით გააკეთებს, მარჯვნივ კი არა, მარცხნივ გადასრის ურემსო.

ასლანს ამჯერად შეეცოდა მამა: მთელი ცხოვრების მანძილზე ყველაფერს უკულმართად ვაკეთებდი, მოდი, ერთხელ მაინც დავუჯერებ... ამით მამასაც ვასიამოვნებ და მარილსაც გადავარჩენ.

— ასლან, რას შვრები, ასლაან?!

მთელი ხმით ყვიროდა ალიოსმანი, მაგრამ ღვიანლა იყო... ურემი გადაბრუნდა და მარილიანი ტომრები წყალში ჩაცვივდა.

წელამდე მდინარეში ჩამდგარი ასლანი ბრაზით დასცქეროდა ურემს და მწარედ ფიქრობდა, „ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დავუჯერე მამას და ისიც უკულმა გამომივიდა“.

ალიოსმანი ლოდზე ჩამომჯდარიყო, თავი ხელებში ჩაერგო და ფიქრობდა: „ჩემმა შვილმა მხოლოდ ერთხელ დამიჯერა და ისიც უკულმა გამოუვიდა“.

შინაარსი

ყიზლარიდან ბოროდინომდე 3

პროვინციელები 154

მემედი 250

ქისა და ცდუნება 296

ისმაილ ბეი 312

ევა ნიველინგერი 317

ალსტერის სანაპიროზე 321

უკუღმართი 325

Шервашидзе Амиран Джемилович
ОТ КИЗЛЯРА ДО БОРОДИНО
Повести и рассказы.
Издательство «Сабчота Аджара»
Батуми, ул. Гогебашвили, 24
1969

რედაქტორი შ. როყვა
მხატვარი ლ. სეიდიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ხოჯაშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჭყონია
კორექტორები ნ. ჯიჯავაძე
ე. ემირიძე

გადაეცა წარმოებას 17.1.69
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.9.69
ქაღალდის ზომა 60X90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 19.06
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,01
შეკვ. № 1638. ემ 00797, ტირაჟი 5.000

ფასი 62 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა"
ბათუმი, გოგებაშვილის, 24
ბათუმის სტამბა № 9, ლუქსემბურგის, 22
Батумская типография № 9
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.